

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ფილოსოფიის ინსტიტუტი

ანტონ პირველი კათალიკოსი

სვეკალი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და
ლექსიკონი დაურთო

გულნარა დედაბერიშვილი



თბილისი
„მეცნიერება“

1991

ნაშრომში წარმოდგენილია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის, მეცნიერის, საზოგადო და საეკლესიო მოღვაწის ანტონ პირველის (ბაგრატიონის) მთავარი ფილოსოფიური თხზულება „სპეკალი“. ტექსტს თან ახლავს გამოკვლევა, რომელიც აადვილებს ტექსტის გაგებას.

წიგნი განკუთვნილია მათთვის, ვისაც ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორია აინტერესებს.

ტექსტის რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი მ. რ ა ფ ა ვ ა

გამოკვლევების რედაქტორი ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი ს. ა ვ ა ლ ი ა ნ ი

რეცენზენტები: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი
რ. თ ვ ა რ ა ძ ე
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი
კ. ს ა ნ ა ი ა

0301030000
M 607 (06)—91 222—91 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991

ISBN 5—520—00942—2

*ვუძღვნი მეუღლის ვლადიმერ კობახიძის
ნათელ ხსოვნას*

ანტონ პირველის თხზულება „სპეკალი“

ჩვენს წინაშეა XVIII ს. მეორე ნახევრის გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ანტონ I (ბაგრატიონის) თხზულება „სპეკალი“.

„სპეკალი“ დიდხანს იყო უცნობი საზოგადოებისათვის. იგი 1929 წელს ს. ხეთაში, მღვდლის ოჯახში აღმოაჩინა აპ. როგავამ¹. ამჟამად „სპეკალის“ ტექსტი ერთ ეგზემპლარად არსებობს და ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (A—1743).

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ტექსტი მთლიანად მისდევს „სპეკალის“ ხელნაწერს. გახსნილია ქარაგმები, შეცვლილია პუნქტუაცია, ნუსხური დამწერლობიდან ტექსტი გადატანილია მხედრულზე.

ამჟამად ცნობილი ხელნაწერი გადაწერილია ტფილისის ჯვრის საყდრის დეკანოზის — იოანეს (იოანე ოსეს ძის) მიერ 1752 წელს. ამაზე მოგვითხრობს იოანეს ანდერძი. დაწერის თარიღს თვით ანტონი გვაუწყებს. წიგნი იწერებოდა 1752 წლის 1 ივლისიდან 14 ოქტომბრამდე, ანტონის გამგზავრებამდე რუსეთში, ე. ი. თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში.

ემუშაობდი რა XVIII—XIX საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის საკითხებზე, ჩემთვის ცხადი გახდა „სპეკალის“ ტექსტის გამოცემისა და გამოკვლევის აუცილებლობა შემდეგი მოსაზრებების გამო:

1. „სპეკალში“ წარმოდგენილია იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ვითარება. მასში გამოყენებულია ის ნაშრომები, რომლებიც

¹ აპ. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი, 1950; მისივე, Зачатки капитализма в Грузии и политика Ираклия II, 1974; მისივე, ანტონ პირველის დამოკიდებულება საერო მხატვრული მწერლობისადმი, 1981 წ. და სხვ.

საქართველოში არსებობდა. ზოგიერთი მათგანი ანტონის სკოლის წევრების მიერ იყო თარგმნილი „სპეკალისათვის“ და ავტორის აზრით, განათლებულ საზოგადოებას უნდა სცოდნოდა.

2. „სპეკალში“ გადმოცემულია ანტონ პირველის მიერ გაზიარებული ფილოსოფიური შეხედულებები. ამდენად, იგი საინტერესოა, როგორც ავტორის მსოფლმხედველობის წყარო.

3. მიუხედავად ურთულესი ენისა, „სპეკალში“ გადმოცემულმა შეხედულებებმა გარკვეული გავლენა მოახდინა ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებაზე.

4. „სპეკალში“ გვხვდება მრავალი ფილოსოფიური ტერმინი, რომელთა გამოყენება ახლაც შესაძლებელია. რასაკვირველია, ეს არ ითქმის ყველაზე. ბევრი მათგანი აშკარად მოძველებულია, მაგრამ მათ შორის ბევრია მნიშვნელოვანი და სახმარად ღირებული. ამ აზრით „სპეკალს“ ვაძინობა უაღრესად საჭიროა.

გასათვალისწინებელია ის დიდი სიძნელე, რაც წინ ეღობება ანტონის თხზულებათა და განსაკუთრებით „სპეკალის“ შესწავლის მსურველს. ესაა უმძიმესი, ხელოვნური ენა, რომლის შესახებ ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ანტონ კათალიკოსის ტერმინოლოგიის თანამედროვე შესატყვისობანი რომ გამორკვეულ იყოს, მაშინ მისი ნაშრომის შინაარსიც ადვილი გასაგები გახდებოდა. და ის ღვაწლიც, რომელიც ქართული ენის შესწავლაში მას მიუძღვის, უფრო ცხადი შეიქმნებოდა“².

წინასიტყვაობაში, რომელიც ახლავს „სპეკალს“, შეძლებისდაგვარად შევეცადე ვადმომეცა „სპეკალის“ შინაარსი თავების მიხედვით. ეს გაკეთდა ანტონ კათალიკოსის ტერმინოლოგიის თანამედროვე შესატყვისების დადგენით. ვეცადე, ამით ვამეადვილებინა ტექსტის გაგება. როგორ შევასრულე ეს განზრახვა, მკითხველმა განსაჯოს.

„სპეკალის“ გაგებას აძნელებს ფილოსოფიურ ტერმინთა სიჭრელი. ხშირად ერთი და იმავე საგნის ან მოვლენის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინია გამოყენებული. ეს იმით აიხსნება, რომ მასში სხვადასხვა დროის და სხვადასხვა ავტორის აზრებია თავმოყრილი.

ტექსტს თან ახლავს ლექსიკონი, რომლის შესადგენად ძირითადად გამოვიყენე შემდეგი ლიტერატურა:

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 4—5.

1. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. 1949 წ.
2. დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1984 წ.
3. ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. ალ. ლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, 1961 წ.
4. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973 წ. მეცნიერება.
5. იოანე პეტრიწი, შრომები, ტომი I, 1940 წ.
6. იოანე პეტრიწი, შრომები, ტომი II, ქართული ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, 1937 წ.
7. ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა. ბერძნულიდან გადმოღებული იოვანე პეტრიწის მიერ. ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ს. რ. გორგაძემ, 1914 წ.
8. იოანე უამასკელი, დიალექტიკა. ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფაევამ, 1976 წ.
9. ამონიოს ერმისის თხზულებანი ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნ. კეჭალაძემ და მ. რაფაევამ. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. რაფაევამ, 1983 წ.
10. დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომებში ნახმარი ზოგიერთი ტერმინის განმარტებისათვის, „მაცნე“ ფსიქოლოგიის და ფილოსოფიის სერია, 1968, № 1.
11. დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ ტრაქტატში ნახმარი ზოგიერთი ტერმინის განმარტებისათვის, თსუ შრომები, № 174, 1976 წ.
12. დ. მელიქიშვილი, ქართული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები, „მნათობი“, 1983 წ. № 2.
13. დ. მელიქიშვილი, ძველი ქართული ლექსიკონიდან „განი“ (საგანი) საზრი, პირი, მიზანი. — „საენათმეცნიერო ძიებანი“ 1983 წ.
14. დ. მელიქიშვილი, ძველი ქართული ლოგიკური ტერმინოლოგიიდან, თსუ ძველი ქართული ენის შრომები, № 25, 1984 წ.

15. დ. მელიქიშვილი, დასკვნა-დასაბუთებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ძველ ქართულში. „მაცნე“ ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის სერია. 1987, № 1.

16. დ. მელიქიშვილი, დროის ცნება, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1987 წ., № 36.

ცხადია, რომ „სპეკალში“ გამოყენებულ ტერმინთა მნიშვნელობის დადგენა ძირითადად, მაინც ტექსტის გაგებიდან გამომდინარეობს.

თხზულება სამი ნაწილისაგან შედგება. თითოეულში რამდენიმე თავია.

ნაშრომის I განყოფილება: „კატეგორია“ (თ. 1—90).

ა) მარტივმიღება = მოძღვრება ცნებაზე (თ. 1—65).

ბ) თხზულება ან შეთხზვაა ე. ი. შეწმასნაა ლექსთთხზვითა = მოძღვრება მსჯელობაზე (თ. 66—80).

გ) სილოგიზმია ე. ი. შეკრებაა სიტყუათა = მოძღვრება დასკვნაზე (თ. 81—90).

ეს სქემა შეესაბამება ტრადიციულ ლოგიკაში მიღებული მასალის დაჯგუფებისა და მიმდევრობის წესს.

ნაშრომის II განყოფილება: „დიოლოგიკობითანი ადგილნი“ (თ. 91—119). ნაწილი „მაცდურნი“ (თ. 108; 119).

ნაშრომის III განყოფილება: „სულისათვის“ = ე. ი. ფსიქოლოგიური ნაწილი.

„სპეკალს“ თან ახლავს რამდენიმე მიმართვა მეფე ერეკლესადმი (თავები მე-80, 120-ე, 152-ე), წინასიტყვაობა გორის მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილისა, ი. პეტრიწის ბიოგრაფია, „თუ ვითარ ჯერ არს სასწავლოსა წიგნთა კითხვა“ და ზანდუკი-სარჩევი.



„სპეკალის“ წინასიტყვაობაში. რომელიც ეკუთვნის გორის მიტროპოლიტს ტიმოთე გაბაშვილს, მოცემულია ცდა, მოინახოს ანტონ პირველის ამ ნაშრომის ადგილი ქართული აზროვნების ისტორიაში. აქ ნათქვამია, რომ საგანთა უმაღლესი მიზეზის კვლევა ბერძენმა ფილოსოფოსებმა დაიწყეს. პირველი მათგანი იყო პლატონი, რომელმაც დიალოგში — „„პარმენიდე“ სწორად, ნათლად და გასაგებად აღმოგვცა ძნელი, დახლართული საკითხები. პლატონის მიერ გადმოცემული აზრები განავითარა პროკლემ. იგი „ემემკვიდრევა“ პლატონს

პირველდასაბამის — უძრავის „უგვაროს“ ფილოსოფიურ განხილვაში, ხოლო შემდეგ პეტრიწმა — „საღმთო ფილოსოფოსმა“ — ეს ძნელად გასაგები ნააზრევი „გადმოანაკადა ელინთა ენამწეობისაგან“, ე. ი. თარგმნა ბერძნულიდან ქართულ ენაზე. მრავალი დროის შემდეგ ეს საქმე განაგრძო ანტონმა, წარმოშობით ბაგრატიონმა. მან, საღვთო წერილის და ფილოსოფიის ცოდნით აღჭურვილმა, ბერძენთა ენამწეობისაგან დამოუწყიდებლად ქმნილი ქართული ნაშრომები, პერიპატეტიკოსთა „ახი შესმენა“, „პორტირი: ზუთი ხმანი“ აამეტყველა და დაბალი სტილით, საერო ენით ნაბრძნობი — მაღალი სტილით „ფედრონულისა ხმით“ გადმოსცა, არისტოტელეს აზრები, როგორც სამოთხის ველზე — ყვავილად ააყვავა. ანტონის გონებამ განსჭვრიტა სტოელთა ბნელი მოძღვრება, იგი პლატონური ხედვით წაიკითხა და გადმოსცა პროკლე დიადოხოსის „ღვთისმეტყველების ელემენტები“.

დიდად საღიღებელ წიგნში — „სპეკალი“ — ანტონმა არისტოტელეს, პლატონიკელთა, სტოელთა „ღუარქნილ ბრძნობანი აწრფელნა“ — ნათლად გადმოსცა, შეამკო მორთულებებით და სამართლიანად უწოდა „სპეკალი“. როგორც პლატონს შეენაცვლა პროკლე დიადოხოსი, ასევე პროკლეს და იოანე პეტრიწს შეენაცვლა ანტონი. როგორც ბერძენთა შორის არის ხრიზანთოსი, ასევე ქართველთა შორის ანტონი — აღმალორძინებელი და საჭირო განსაზღვრებათა მომცემი. მან ეს წიგნი მიუძღვნა ბრძენს და საფილოსოფოსო სწავლით აღმკულ მეფეს — ირაკლის.

„ძეგლს“ თან ახლავს რამდენიმე მიმართვა ერეკლე II-სადმი (თავები მე-80, 120-ე), სადაც ანტონი ამბობს, რომ „სპეკალში“ გადმოცემული ცოდნა მისი შემოქმედების ნაყოფი არ არის და რომ მასში გადმოცემულია სხვადასხვა დროის სხვადასხვა ავტორის და აგრეთვე ეკლესიის მამათა შეხედულებები: „მე შენმან წმიდამან გონებამან უწყოდენ, არარაჲ მითქევას რაჲვეცა არა ვიხილე გარეშეთა და ეკლესიისა ბრძენთაგან ფილოსოფოსთა“ (თ. 152). „არარაჲ ჩემის უსწავლელობისა, თავისა ჩემისა მისიბრძნიეს ცთომილსა, არამედ რაჲვეცა ვისმინე ლათინთაგან ფილოსოფოსთა და ზაქარიას ვისმე სომეხთა მოძღვრისა, რომლისაგან აღმეცნა მე დაფარულებჲჲ არისტოტელისა გამოთა სიბრძნეთა და სხვათა მიერ ვიეთმე მეცნიერთა, იგი შესაკრებით განვაწყვეე, და ესთა გვირგვინოსან ცყავ წიგნი ესე „სპეკალი“ თავმედგმულობით“ (თ. 120). მე-80 თავის ბოლოში ანტონი მიუთითებს, რომ „კატეგორიის“ მე-2 და მე-3 ნაწილი არ იყო ქარ-

თულ ენაზე. ამიტომ ანტონმა ათარგმნინა „სხვათა ენათაგან“ და გად-
მოსცა („დალექსა“) სიტყვების შეცვლით, სხვაგვარად, მაგრამ დაიცვა
ისეთივე წყობა, როგორც ჰქონდათ არისტოტელეს მიმდევართ.

ამასთან, მთელი ეს მასალა ანტონს გამოუყენებია ზოგი „პერი-
ფრასისებრ, ხოლო რომელთაზე უვრცელესადრე“.

ამრიგად, „სპეკალის“ წყაროები თვით ანტონის მიერ არის მი-
თითებული. ჩვენს მიერ ამ მიმართულებით მოხდა დაზუსტება და ზო-
გიერთ სხვა წყაროზე მითითება.

„სპეკალი“, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არის „ყო-
ველი თვალი პატროსანი“, ამ შემთხვევაში იგი ძვირფას ფილოსოფიურ
აზრთა კრებულს გულისხმობს, რომელიც ანტონს მიუერთმევია ძღვნად
მეფე ირაკლისათვის.

„სპეკალის“ პირველი განყოფილების თავი პირველი იწყება გარ-
კვედით — რა არის „აობა“, აქედან იწყება მოძღვრება ცნებაზე.

ამ თავის პირველწყარო (და არა წყარო, რომლითაც უშუალოდ
ანტონი სარგებლობდა) არის არისტოტელის „კატეგორიებას“ მეოთხე
თავი. „აობა“ არის საერთო სახელი არსებულისა, მყოფისა. იქნება ეს
„ნაძღვილ მყოფი“ ანუ არსება, სუბსტანცია, ე. ი. ის, რაც არ საჭი-
როებს თავისი არსებობისათვის სხვას, თუ „ზედშესრული“, ე. ი. „შემ-
თხვევითი“ ის, რასაც თავისი არსებობისათვის სჭირდება სხვა.

საკითხს „აობის“ შესახებ ანტონი კვლავ ეხება 31-ე თავში, მაგრამ
„აე“-ს შესახებ ცოდნას აქ უკვე სხვა წყარო აქვს. როგორც ანტონი
მიუთითებს. ესაა პეტრიწი (იხ. ტ. II, თ. 18), „სალმთო მზე ქართველ-
თა“. „აე“ 3 ნიშნავს მარტოოდენ განყოფილსა არაობისაგან, იგი არის
უფროსო რაობა „სული, ცეცხლი, ჰაირი ანუ ფონებაა“. პეტრიწი
ამბობს, რომ „აე“, „მყოფი“ და „არსი“ სხვადასხვაა. პეტრიწის კვალ-
დაკვალ ანტონი განმარტავს „არსის“ მნიშვნელობას პერიპატეტიკოსთა-
და პლატონის მიხედვით. არსება არის „თვით მდგომი“ — თავისი არსე-
ბობისათვის არ მსაჭიროებელი სხვისა, განსხვავებით ზედშემოსრული-
საგან ანუ შემთხვევითისაგან. არისტოტელეს მიმდევრებს ბრალდებათ,
რომ ისინი მხოლოდ „ბუნებრივს“ სწავლობენ, ხოლო სულიერი პლა-
ტონის და მისი მიმდევართა სფეროა. არისტოტელე „კატეგორიებ-
ში“ (თავი მეხუთე) განასხვავებს პირველ და მეორე არსებებს. პირ-
ველი არსება მისთვის ერთეული, ინდივიდუალური საგნებია, მეორე
არსება კი გვარები და სახეებია, რომელთა არსებობა მხოლოდ პირ-
ველი არსებით განისაზღვრება. ანტონი ყოველ არსს პირველი არსის-
გან წარმოშობილად თვლის, ყოველ თვისებას — პირველი თვისებისა-

გან, ყოველ განსხვავებას — პირველი სხვაობიდან წარმოშობილად და ყოველ „გებას“ (უძრაობას) — პირველი უძრაობიდან და ყოველ შემოქმედებას და დაბადებითს მოძრაობას — პირველი მოძრაობისაგან. ამგვარად, ყოველივეს, რასაც აქ ზილვად ბუნებაში ბუნებით ხედვათა შორის გარეშედ, შემთხვევითად თელის, იქ არსი და ტომია (გვარეობა).

აქვე ლაპარაკია შემთხვევითის შესახებ და გადმოცემულია პლატონის და არისტოტელეს თვალსაზრისები. სახელდობრ, ანტონი აღნიშნავს, რომ შემთხვევითის ცნება პლატონს და არისტოტელეს სხვადასხვა მნიშვნელობით ესმით. ის, რაც შეიძლება ბუნებაში, ემპირიულ სინამდვილეში შემთხვევითი იყოს, იდეათა სამყაროში ასე არ არის. ამასთანავე, იგი იდეათა სამყაროს აშკარა უპირატესობას ანიჭებს.

„მყოფი“, როგორც არისტოტელი ამბობს, არსისა და შემთხვევითის საერთო სახელია, ვინაიდან ორივე მათგან არსებობს. მყოფობს.

ანტონის მთელი ეს მსჯელობა ეყრდნობა პეტრიწის „განმარტების“ მე-18 თავს. საკითხი „აობის“ შესახებ განხილულია „სპეკალის“ მე-2 თავის ბოლოს, როგორც ილუსტრაცია გვარის და სახის დამოკიდებულებისა. იქვე გამოორებულია აზრი, რომ მყოფი მოიცავს არსსაც და შემთხვევითსაც. ეს აზრი პლატონის და არისტოტელეს ფილოსოფიაში საკმაოდ ცნობილია, რასაც პეტრიწი, ხოლო შემდეგ ანტონ პირველი იღებს.

ამასთან დაკავშირებით დ. მელიქიშვილი წერს: „ბერძნული ტერმინია შესაბამისად იოანე პეტრიწი ხმარობს ტერმინებს τὸν (ბუნება) არსი და მყოფი. ამდენად, ისინი სინონიმებია, მაგრამ ნაწილობრივი, რადგანაც მყოფი მოიცავს არსსაც და შემთხვევითსაც. ეს უკანასკნელი კი არსის ცნებიდან გამორიცხულია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მყოფი გვარეობითი ცნებაა, არსი კი მისი სახეობითი“³.

„სპეკალის“ 2—25-ე თავებში გადმოცემულია პორფირის სწავლება „ხუთი კმის“ ანუ ტერმინის შესახებ. პორფირის ეს მოძღვრება სათავეს იღებს არისტოტელეს თეორიიდან პრედიკაბილიების ანუ შემასმენელთა (პრედიკატთა) გვარების შესახებ, რომელიც განვითარებული აქვს მას „ტოპიკაში“ (წიგნი პირველი, თავები: მეოთხე, მეხუთე, მეექვსე). ტერმინი „პრედიკაბილია“ არისტოტელეს შემდეგაა შემოღებული, თვითონ არისტოტელესთან შესატყვისი ზოგადი ტერმინი

³ დამანა მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომებში ნახმარი ზოგიერთი ტერმინის განმარტებისათვის, თსუ შრომები 174, 1976, გვ. 135.

„არა გვაქვს; მაგრამ ის მას ახასიათებს, როგორც განსაზღვრებაში გამო-
სადგეს. ეს არსებითად განასხვავებს პრედიკატილიას კატეგორიისაგან.
პრედიკატილია იმ პრედიკატების (შემასმენლების) უზოგადესი დახა-
სიათებაა. რომლებიც შეიძლება გამოითქვას სუბიექტის (ქვემდებარ-
ის) განსაზღვრებად. არისტოტელეს მიხედვით, არსებობს ოთხი პრე-
დიკატილია, რომელსაც იგი შემდეგი მსჯელობით აღგენს: როდესაც
ჩვენი მდებარე მივწერთ შემასმენელს, ეს ორი რამ შეიძლება ურთიერთ-
შენაცვლებადი აღმოჩნდეს, შეიძლება — არა. ამავე დროს, შემას-
მენელი შეიძლება გამოხატავდეს ქვემდებარის არსს, შეიძლება — არა.
ერთბაშად ამ ორი გაყოფის შედეგად მიიღება ოთხი სახის შემასმენელი
(პრედიკატილია): განსაზღვრება (შენაცვლებადია და გამოხატავს არსს),
საკუთრივი ნიშანი (შენაცვლებადია, მაგრამ არ გამოხატავს არსს), გვარი
(არ არის შენაცვლებადი, მაგრამ გამოხატავს არსებას) და შემთხვევითი
ნიშანი (არც შენაცვლებადია და არც არსებას გამოხატავს). პლატონ-
ის მოწაფემ და კომენტატორმა, ნეოპლატონიკოსმა პორფირამ III
საუკუნეში თავის ტრაქტატში — „არისტოტელეს „კატეგორიების“ შე-
სავალი (ისაგოგე) ანუ „ხუთი კმისათვის“ პრედიკატილიები გაიხარა,
როგორც შემასმენლები, რომლებიც უპირისპირდებიან ინდივიდუალურ
საგნებს, ფაქტობრივად, როგორც კატეგორიები და შემოგვთავაზა მათ
თი ახალი კლასიფიკაცია: გვარი (ნათესავი), სახელი (სახეობრივი),
განსხვავება (განყოფილება), საკუთარი ნიშანი (განთვისებული) და
შემთხვევითი ნიშანი (ზედშემოსრული). ანტონი აღნიშნულ თავებში
იძლევა თითოეული ამ ტერმინის განმარტებას და შემდეგ დეტალურ-
რად აანალიზებს, თუ რა არის საერთო და განსხვავებული მათ შო-
რის.

„რა არს ნათესავი ანუ რა არს სახე“ — ამ და მომდევნო თავის
პირველწყაროა „კატეგორიების“ მესამე თავი. „ნათესავი“ ანუ გვარი
სამი მნიშვნელობით იხმარება. მათგან მესამე მნიშვნელობა ფილო-
სოფიურია. ფილოსოფიური გვარი მოიცავს განსხვავებულ სახეებს.
სახე დაქვემდებარებულია გვარისადმი, ემორჩილება მას. ამრიგად,
სახე ექვემდებარება გვარს, როგორც გაყოფის წევრი.

ამრიგად, გვარი არის ის, რაც იყოფა სახეებად. სახე კი არის
ის, რადაც იყოფა გვარი. სახე აღარ განიყოფა სხვა სახეებად: იგი
არის „განუკვეთელი“. განუკვეთელი არის იგივე, რაც არისტოტელეს
პირველი არსება. სუბსტანცია. „ადამიანი“. „ცხენი“. „უსახოფისი“
„განუკვეთელთა სიმრავლედ განიყოფება, რომლის შესახებაც თქვა პლა-

ტონმა, რომ აქ უნდა გაჩერდეს ძიება, რადგან მათი დათვლის შესაძლებლობა აღარაა. აქ ანტონს მოაქვს სქემა, ე. წ. „პორფირის ხე“. ეს სქემა ახალი არაა, მრავალ ნაშრომში გვხვდება და უძველესი დროიდან ცნობილია. „ნათესავის“ ანუ გვარის განმარტებისას ანტონს პირველი გვარის პირველი კეთილობის ცნება შემოაქვს, იგი არის უზოგადესი გვარი, ანუ „ნათესავი უნათესოვანესი“. მან „აკეთილნა მის ქვევით მყოფნი, ხოლო მისგან გამომდინარე გაიყვნენ ნათესავად, სახიდ რა უსახოვნეს სახედ“ — ინდივიდალ ანუ განუკვეთელად. იხილავს რა გვარ-სახის დამოკიდებულებას, ანტონი ცდილობს, მათ შორის ურთიერთობა პროკლეს თვალთ დაინახოს. ლოგიკური საკითხი მან სამყაროს წყობის სურათამდე აიყვანა.

თაწყბოლი მე-3 თავიდან, ანტონი არჩევს „განყოფილებას“ (ან-სხვაელებას). გვარის მოცემულ სახეს განასხვავებს ამ გვარის სხვა სახეებსგან. არისტოტელესა და მისი მიმდევრების მიხედვით, იგი გამოხატავს სახის არსებას. მისდევს რა პორფირის სწავლებას, ანტონი ერთმანეთისაგან ასხვავებს 3 სახის ნიშანს: ზიარებითს, საკუთარებითსა და „უგანთვისებითს“. ყოველ ნიშანს საგანში შეაქვს ცვლილება ან ზღის მას სხვად. ნიშნები, რომელთაც საგანში ცვლილება შეაქვთ, განმასხვავებელი ნიშნებია. სახის შემქმნელი ნიშნისაგან განსხვავებით, განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რაც ითქმება იმ სახეებზე, რომლებიც ერთ გვარშია გაერთიანებული. ერთი სიტყვით, განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რაც ერთმანეთისაგან ყოფს ერთი და იმავე გვარის სახეებს. ადამიანი და ცხენი გვარით არ განსხვავდება. მაგრამ მათ გვარს ვუმატებთ გონიერების ნიშანს, რითაც გამოკყოფთ სახეს. გონიერი არსება არის ადამიანი და ღმერთი, მაგრამ მათ ერთმანეთისაგან მოკვდაობის ნიშანი განასხვავებს და ა. შ.

მეოთხე თავში განხილულია „განთვისებული“ — საკუთარი ნიშანი. ამ ტერმინს 4 განსხვავებული მნიშვნელობა აქვს:

1. ნიშანი სახის ერთ წევრს ახასიათებს. მაგრამ არა ამ სახის ყველა წევრს.
2. ნიშანი დამახასიათებელია რამდენიმე სახისათვის. მაგ., ორფეხობის ნიშანი მხოლოდ ადამიანს არ ახასიათებს.
3. ნიშანი დამახასიათებელია მხოლოდ ერთი სახისათვის, მთელი მოცულობით და ისიც, გარკვეულ დროს. მაგ., — გათეთრება მოხუცებულობის დროს.
4. ნიშანი იმყოფება ერთ სახეში მთელი მოცულობით, მუდმივად. ასეთია, მაგალითად, სიცოცხლის უნარი. შეიძლება ადამიანი ამჟამად არ იცინოდეს, მაგრამ ეს მისი დამახასიათებელი ნიშანია.

შემთხვევითია ნიშანი („ზედშემოსრული“), რომლის არსებობა-არარსებობაზე არ არის დამოკიდებული მისი მატარებელი ქვემდებარე. მისი არარსებობა არ იწვევს ნიშნის მატარებელი სუბიექტის მოსპობას. შემთხვევითი ნიშანი ორგვარია: განშორებადი და არაგანშორებადი. მუსიკოსობა განშორებადია, ხოლო ბროლის სითეთრე — არაგანშორებადი, მაგრამ ორივე შემთხვევაში მათი არსებობა-არარსებობა არ წყვეტს საგნის არსებობის საკითხს.

ასეთია „ზედშემოსრული“ ანუ შემთხვევითი ნიშანი.

მე-6 და 25-ე თავებში დეტალურად განხილულია, თუ რა აქვს საერთო („ზიარი“) და განსხვავებული („განთვისება“) შემდეგ ხუთ ტერმინს: ნათესავი, სახე, განყოფილება, განთვისებული და შემთხვევითი. კერძოდ, აქ ლაბარაკია იმის შესახებ, თუ რა მსგავსება და განსხვავება არსებობს გვარსა („ნათესავს“) და სახეს, გვარსა და საკუთარ ნიშანს, გვარსა და შემთხვევით ნიშანს, განმასხვავებელ ნიშანსა და სახეს, განმასხვავებელ და საკუთარ ნიშანს, განმასხვავებელ და შემთხვევით ნიშანს, სახეს და საკუთარ ნიშანს, სახესა და შემთხვევით, საკუთარ და შემთხვევით ნიშანს შორის და ა. შ.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი: ამ ხუთ ტერმინს საერთო ის აქვს, რომ მრავალთა შესახებ ითქმის. „ნათესავი“ გვარი ითქმება მრავალ სახესა და ინდივიდუალური საგნების შესახებ. ხოლო „სხვაობა“ — განმასხვავებელი ნიშანი და სახე ასევე, „თვისგნით განხილულთა რიცხვთაგან“, ე. ი. — მისთვის დაქვემდებარებული ინდივიდუალური საგნების შესახებ. ხოლო, საკუთარი ნიშანი — „თვსი“ — ითქმება როგორც სახის (რომლისათვისაც ეს საკუთარი ნიშანია), ასევე სახით მოცულ ინდივიდუალურ საგნებზე.

ასევე შემთხვევითია ნიშანი, რომელიც სახეს და ინდივიდუალურ საგნებს მიეწერება. სიტყვიერება აღამიანზე ითქმება და „კერძოთა მისთა“ — ინდივიდუალური საგნების შესახებ, ხოლო „მელან ყოფი“ ყორანთა სახის თითოეული წევრის დამახასიათებელია. ხოლო „ძრვა“², სულიერ ყოველ სახეს ახასიათებს და იგი განშორებადია.

რა არის საერთო გვარსა და განმასხვავებელ ე. ი. სპეციფიკურ ნიშანს შორის? საერთო ისაა, რომ ორივე სახეს მოიცავს; განმასხვავებელი ნიშანიც მოიცავს სახეებს, მაგრამ, გვარისაგან განსხვავებით, არა ყველა სახეს. ყველაფერი, რაც ითქმება გვარზე, ითქმება მისთვის დაქვემდებარებულ სახეებზე, მაგრამ რაც ითქმება განმასხვავებელ ნიშანზე, ითქმება მისი საშუალებით შექმნილ სახეებზე და ა. შ. ნათელია, რომ ეს ცოდნა ხუთი ტერმინისა და მათი მსგავსება-განსხვავე-

ბის შესახებ პორფირიოსს ეკუთვნის. ამას ანტონიცი მიუთითებს: „იტყვის პორფირი“ ან „გვასწავა პორფირი“.

„სპეკალის“ შედარებისას პორფირის ტექსტთან, აღმოჩნდა, რომ ანტონის ტექსტი დეტალურად მიჰყვება პორფირისას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ანტონს ხელთ ჰქონდა თვითონ პორფირიოსის ტექსტი და არა მისი შემცველი კომენტარი.

პორფირიოსის საქართველოში ძველი დროიდან იყო ცნობილი. ჯერ კიდევ X—XI საუკუნეებში იოანე ტარიჭისძემ ბერძნულიდან თარგმნა არისტოტელეს ნაშრომების ცნობილი კომენტატორის ამონიოს ერმიისის თხზულება „მოსაქსენებელი“ „ხუთთა კმათადმი პორფირი ფილოსოფოსისა“⁴.

1736 წელს, ვახტანგ VI-ის ბრძანებით, ზურაბ შანშოვანმა თარგმნა პორფირის ხუთი ტერმინის განმარტება, მაგრამ არა ამონიოსის ნაშრომი, არამედ VI საუკუნის სომეხი ფილოსოფოსის დავით უძლეველის „ახსნა პორფირის შეყვანილობისა“.

- ამონიოს ერმიისის ზემოხსენებული თხზულებისა და „სპეკალის“ ურთიერთშედარებამ ტერმინთა იგივეობა არ დაადასტურა. სამაგიეროდ, დადგინდა მსგავსება ანტონ პირველის ნაშრომთან „კატეგორია-სიმეტნეა“, თ. IV, რომლის სათაურია „პორფირიოს ფინიციელისა ხუთთა კმათა ზიარება და განთვისებაი“. ეს თავი, თვით ანტონის ცნობით, სხვადასხვა ავტორთა თხზულებათაგან შედგება, ანტონი ამბობს, რომ ეს თხზულება არის „ქმნილი ანუ თქმული წიგნი კატელორია სიმეტნეა და ჰსჯილი მისგან მასა ზედა არისტოტელისსა შემდგომითავე მისითა. მაკრა სხტათაცა სხოლასტიკოსთა და ახალთა ფილოსოფოსთა განსაზღვრებათაგან და გარდამოცემათა მიღებული“. მაგრამ ანტონის ეს თხზულება „სპეკალის“ შემდეგაა დაწერილი. თვით ანტონის მითითებით, ამ ნაწილის შესადგენად გამოუყენებია დამასკელის წიგნი. ამასთან, „სპეკალი“ სვ. ჯულაეცის „დილექტივასთან“ ნათესაობას ამჟღავნებს. კერძოდ, მოძღვრება ხუთი ტერმინის შესახებ დამასკელის წიგნის 19—28 თავებშია გადმოცემული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტონს პორფირის ცოდნაში დამატებით შეაქვს ცნება, „ნათესავი უნათესოვანისის, პირველი კეთილობის“ შესახებ და. ცდილობს პორფირიოსის წაიკითხოს პროკლე-პეტრიწის თვალთ, ანუ ამ სწავლებათა შეერთებით ახლებური წაიკითხვა მოგვცეს.

⁴ ამონიოს ერმიისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, 1983, გვ. 0124.

აღსანიშნავია. რომ „სპეკალი“⁵ გადმოცემული ცოდნა პორფირის ხუთი ტერმინის შესახებ სიტყვასიტყვით განმეორებულია იოანე ბაგრატიონის თხზულებაში — „კალმასობა“. როგორც ჩანს, ანტონის წიგნი წყარო გახდა მის შემდეგ შექმნილ ფილოსოფიურ თხზულებათათვის, კერძოდ, ქართული ფილოსოფიური აზრის ისეთი დიდი ძეგლისათვის, როგორცაა „კალმასობა“.

ნათქვამის საილუსტრაციოდ შევადაროთ ამ ორი თხზულების ერთი ადგილი. მაგ., „სპეკალი“ თ. მე-2, „ზიარი ნათესავისა და განთვისებულისა“.

„ქცევამან სახეთამან აზიარნა ნათესავი და თვისი, ვითარ რეცა კაცი მშვინველი და კაცი მოცინარი. ვიტყვით უკვე: „პეტრე მშვინველი“ და „პეტრე მოცინარი“. კვალად თან-მოსახელედცა სადამე შესმენილ ესენი ესთა, ვითარმედ ნათესავი სახეთად და თვისი, რომელთა იგი თვისი“.

„კალმასობა“: „თვს ზიარისა ნათესავისა და განთვსებულისა“, „ქცევამან სახელთამან აზიარნა ნათესავი და განთვსებულ ვითარ რეცა კაცი მშვინველი და კაცი მოცინარი. მაგ., ვიტყვით რა „პავლე მშვინვერი“, და „პავლე მოცინარი“, ამას შინა ნათესავმან, რომელ არს თვისი“⁵.

ყოველივე ზემოთქმულიდან, „სპეკალის“ ამ პარაგრაფის შესახებ, რამდენიმე დასკვნა გამომდინარეობს:

1. ანტონ პირველმა პორფირის მოძღვრება ხუთი ტერმინის შესახებ გადმოსცა ყოველგვარი სქოლასტიკური დამატებების გარეშე.

2. პორფირის ცნებებს დაუმატა კიდევ რამდენიმე, კერძოდ, „აჲ“-ს განმარტება, „ნათესავი-უნათესოვანესი“ — პირველი სიკეთე, მარადიული რეალობა, იდეათა იდეა, აბსოლუტი ანუ პირველი სიკეთე, დასაბამი გვართა ანუ უზოგადესი გვარი. აქ აშკარად ჩანს, რომ ანტონი წიგნში გადმოცემულ ლოგიკურ მასალას კითხულობს პროკლე-პეტრიწის თვალით.

3. „სპეკალის“ ამ ნაწილში აღინიშნება ერთი და იგივე შინაარსის მქონე ცნებათა სხვადასხვა სახელწოდებით გადმოცემა; შემთხვევითი — ზედშემოსრული, განთვისებული — თვისი; განყოფილება — სხვაობა და სხვ. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, სხვადასხვა წყაროს გამოყე-

⁵ ქართული ფილოსოფიური აზრის ნარკვევები, III, თბ., 1974, გვ. 71. იხ. ი. ბაგრატიონის „კალმასობის ფილოსოფიური ნაწილები“.

ნებით აიხსნება. 27-ე თავში განხილულია საკითხი „შემასმენელთა-თვის“. ამ თავის წყარო დამასკელია, რაზედაც ანტონი თვითონ მიუთითებს: „ესე ორლან შესმენისა საზღვარნი ჩემნი ჩემდად კმა იყავნ სიტყვად, მე სამღთოსა დამასკელისად, თუმცა უღირსი, მაგრამ რწმენით მიმღვენელისა პისდა“ .

ყოველი „შესმენილი“ (ის, რაც გამოითქმება ქვემდებარეზე ანუ პრედიკატი) ან უფრო ფართოა ქვემდებარეზე („უპირველესი კერძოთა შორის“), ან თანასწორია იმისა, რაზედაც გამოითქმის. მაგალითად, არსება გამოითქმის ცოცხალ ადამიანზე, ადამიანი — ინდივიდზე. პლატონიც ამავე აზრისაა. ანტონი ცდილობს ამ საკითხშიც პლატონი-პეტრიწის იდეების შემოტანას. ყოველი მყოფი პირველი არსებისაგან ე. ი. სუბსტანციისაგან იწარმოება, რომლისგანაც მოდის „სირაი“ (წყება) სიმრავლისა. ერთმა გადასცა თავისი თვისებები სიმრავლეს და შექმნა სახეები. თითოეულ მათგანში მონაწილეობს ეს სუბსტანციური არსება. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემასმენელი (პრედიკატი) თანასწორია იმისა, რაზედაც იგი გამოითქმება, მაშინ უკუქცევა ერთსა და იმავე შინაარსს გვაძლევს. მაგალითად, „ყოველი კაცი მოცინარი“ და „ყოველი მოცინარი კაცი“ შინაარსის მიხედვით იგივეობრივია. როგორც აღვნიშნეთ, ეს თავი აგებულია დამასკელის მიხედვით, ხოლო საილუსტრაციოდ მოტანილია პეტრიწის სწავლა „სირას“ შესახებ.

28-ე თავი ეძღვნება იმის გარკვევას, თუ რა არის „რა არსებებითი, ვითარი არსებითი და შინაგანი შესვენა“. ამ საკითხთან დაკავშირებით, ანტონი სვამს კითხვას: რა არის კაცი? პასუხი — მშვიინველი. მაგრამ ეს საკმარისი არ არის ადამიანის შესაცნობად. ამიტომ ისმება შემდეგი კითხვა: „ვითარია?“ ე. ი. როგორია იგი? პასუხი ასეთია: „გონიერი“, „მოკვდავი“. ეს კი არის იმის ცოდნა, თუ რა არის საგანი (ადამიანი). გვარი პასუხობს კითხვაზე, თუ რა არის საგანი. სახეობრივი განსხვავება კი გვეუბნება იმის შესახებ, თუ როგორია საგანი. განუკვეთელის ე. ი. ინდივიდის შესახებ ასეთი საკითხები არ ისმება.

საგნებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ მათი ბუნების მიხედვით. მაგ., ცხენი და ადამიანი სხვადასხვაა, ადამიანი შეადგენს ერთ სახეს,

ცხენი — მეორეს. განსხვავება არის ცალკეულ ადამიანებს შორისაც. მაგ., იოანე თეთრია, ღვთისმეტყველი, ეს ნიშნები შეიძლება პეტრესაც ჰქონდეს. პეტრე მსცოვანია, მაგრამ შესაძლოა ეს ნიშანი იოანესაც ჰქონდეს. ეს ნიშნები საგანთა ინდივიდუალობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

29-ე თავში ირკვევა, თუ რა არის უმიზეზო მიზეზი და მიზეზოვანი მიზეზი და ამ საკითხების წყაროდ შესახებ ანტონის პროკლეს პლატონურ მოძღვრებას მიიხიწევს: „ამათი რაობა განჭვრიტა მყოფთა მხედველმან მწვერვალმა ღვთისმეტყველთამან პროკლე, რომელმაც გვასწავა პლატონური მოძღვრება“. უფრო მეტიც: „სპეკალის“ 29-ე თავი წარმოადგენს იოანე პეტრიწის ნაშრომის 24-ე თავის სიტყვასიტყვით გამეორებას.

აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ყოველგვარ მიზეზს საბოლოო მიზეზი აქვს უმიზეზო, ყოველ მიზეზზე მალლა მდგომი მიზეზი. შემდეგ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ბუნებაში ყოველგვარი არსებული ოთხი ელემენტისაგან (წყალი, ცეცხლი, მიწა, ჰაერი) შედგება, ეს ელემენტები წარმოქმნის ყოველ არსებულს — როგორც ცოცხალს, ასევე არაცოცხალს. ჯამყარო, რომელიც ამ ოთხი ელემენტისაგან შედგება, არის მიზეზობრივი სინამდვილე, მაგრამ საბოლოო მიზეზს ანუ მიზეზთა მიზეზს არავითარი შედგენილობა არა აქვს. იგი არის საბოლოო მიზეზი ყოველთა არსებულთა. ანტიკურ ფილოსოფიაში კარგად ცნობილი ეს თვალსაზრისი პეტრიწის მეშვეობით შევიდა ანტონის წიგნში.

შემდეგ დეტალურადაა გადმოტანილი პროკლეს ტექსტი და მისი პეტრიწისეული განმარტება, სადაც ნათქვამია შემდეგი: ყველაფერი იმ პირველი მიზეზისაგან წარმოსდგება, მაგრამ ყველა ერთნაირად არ არის ნაზიარები ერთს. ზოგი ბუნებრივ მოვლენათა მწკრივში („სი-რა“) უფრო ახლოს დგას ერთთან, ზოგი კი — უფრო შორს, მაგრამ თითოეული მათგანი, საბოლოო ჯამში, ერთისაგან წარმოსდგება. ამ შემთხვევაშიაც გადმოცემულია ნეოპლატონიკური ემანაციის თეორია. „სპეკალის“ 31-ე თავში გრძელდება საკითხის განხილვა: „რა არის მიზეზი და მიზეზოვანი“ (შედგვი). აქ ნათქვამია, რომ პლატონი არ მსჯე-

ლობს მიზეზისა და შედეგის შესახებ. მას უმთავრესად პირველი მიზეზი აინტერესებს. ასეთად მან სიკეთე დაასახელა, რომელიც წარმოადგენს ყველაფრის მიზეზს.

პირველი მიზეზი („ზესთა მიზეზი“) არ ეზიარება მასზე მალლა მდგომს (ვინაიდან ასეთი არ არსებობს) და არც მისი ქვემდგომი იზიარებს. ის არის წმინდა ერთი, რომელიც განსხვავდება იმ ერთისაგან, რასაც ბუნებაში ვხვდებით.

31-ე თავში იხილება საკითხი: რა არის არსება, „აჲ“ და მყოფი. პეტრიწმა ეს სამი რამ ერთმანეთისაგან განასხვავა. არსებას თავის არსებობისათვის სხვა არ სჭირდება, როგორც ეს ხდება „ზედშესრულის“ ანუ შემთხვევითის დროს. მყოფი შეიცავს ორივეს. ხოლო „აჲ“ არარსისგან განსხვავდება.

32-ე თავში — „მაზიარებელი — ზიარებული“ — ლაპარაკია ერთის შესახებ, რომელიც ყველაფერზე მალლა დგას. ანტონი იმოწმებს არისტოტელეს, რომელიც „ორგანონში“ ამბობს, რომ უზენაესი ძალას აძლევს ყველაფერს, რაც მის ქვევით იმყოფება. სავარაუდოა, რომ აქ მხედველობაშია შემდეგი აზრი: „როდესაც ერთი მიეწერება მეორეს, როგორც ქვემდებარეს, მაშინ ყველაფერი. რაც ითქმება შემასმენელზე, მიეყენება აგრეთვე ქვემდებარეს“ („კატეგორიები“ 1. ბ 10—11). ამასთან დაკავშირებით, ანტონი ამბობს, რომ ერთი, როგორც უზენაესი მიზეზი, შედეგს იქვემდებარებს და მას განაპირობებს, თუმცა იგი შედეგისაგან არაფერს არ იღებს.

„სპეკალის“ თავი — „რამ არს თვით კეთილობაჲ და რამ კეთილობაჲ“, წარმოადგენს პეტრიწის თხზულების მე-8 თავის („პირველისა კეთილობისათვის“) შემოკლებულ გადმოცემას. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ყოველ კეთილს, რომელიც პირველ სიკეთეს არის ნაზიარები, წინ უსწრებს სიკეთე, როგორც პირველარსებული. ამ შემთხვევაში მხედველობაშია პლატონურსა და ნეოპლატონურ ფილოსოფიაში ცნობილი თეზისი სიკეთის სუბსტანციურობის შესახებ. კეთილი (ინდივიდუალური ობიექტი) იმიტომ არის ასეთი, რომ იგი ზიარებულია სიკეთის იდეას. ანტონს სიკეთე ესმის (მსგავსად პლატონისა), როგორც უსასრულო, ხოლო კეთილი — როგორც „მყოფი“, ე. ი. ცალკეული, კონკრეტული ობიექტი, რომელიც სიკეთის იდეას არის ნაზიარები.

რა არის კეთილობა? პასუხის გაცემიხას ანტონი იმოწმებს პლა-

ტონს, რომელიც ამბობს, რომ ის არის პირველი წყარო, ერთთა დამბადებელი, უმაღლესი ქეშმარიტება.

ანტონი გადმოგვცემს, რომ სოკრატი განიხილავს უმაღლეს სიკეთეს, რომელიც თავის თვისებებს ანიჭებს ყოველ ცალკეულს, მაგრამ, ამასთანავე, არავის ძალუძს მისი შემეცნება, ვინაიდან იგი პირველ-არსებული და სუბსტანციაა. ამიტომ იგი შეუმეცნებელი რჩება იმათთვის, ვისაც მისი შემეცნება სურს. ღმერთი, ვითარცა უზენაესი არსება, შეუმეცნებელი და გამოუთქმელია ადამიანისათვის — სასრული არსებისათვის (მღრ. რუსთაველი, „უცნაუროი და უთქმელო“).

34-ე თავი — „მარტივი კეთილობაა, რაა უმოქენოა და სრული კეთილობაა“ წარმოადგენს პეტრიწის წიგნის 34-ე თავის გადმოცემას.

ამ თავში ლაპარაკია უძრავი პირველარსებულის შესახებ, რომლის ქვეშ ანტონს (პეტრიწს) უმაღლესი სიკეთე ესმის. ნაჩვენებია მისი ურთიერთობა „კეთილთან“, რომელიც პირველარსებული სიკეთის ნაზიარებს წარმოადგენს.

29-ე—44-ე თავები პროკლე-პეტრიწის თხზულებიდანაა აღებული. ზემოდასახელებული თავების განხილვა გვიჩვენებს, რომ ანტონი თითქმის უცვლელად იღებს პროკლესა და პეტრიწის მოსაზრებებს აქ განხილული საკითხების შესახებ.

35-ე თავის — „რა არის არსება და შემთხვევითი“ წყაროა არისტოტელე, დამასკელის რედაქციით. „არსება“ არის ის, რაც თავისი არსებობისათვის სხვას არ საჭიროებს. იგი არის თვითმყოფი რეალობა.

პლატონი ნამდვილ მყოფობას, პირველ კეთილობას არსებას უწოდებს. არსება არ იცვლება. ამით იგი განსხვავდება შემთხვევითისაგან, რომელიც სხვადასხვა მიმართებაში სხვადასხვა მნიშვნელობას იღებს. ამიტომ ყოველგვარი განსაზღვრება არსებას უნდა ემყარებოდეს და არა შემთხვევითს, რომლის არსებობა „არცა ყოფითა აცხოვნებს. და არ ყოფითა არცა ხრწნის ქვემდებარესა თვისთა“.

36-ე თავის — „რაა არს ბუნებით უპირველესობაა“ წყარო არისტოტელეა („გვასწავა არისტოტელი“), რომელიც დამასკელის მეშვეობითაა გადმოცემული: კერძოდ, იგი საარგებლობს 36-ე თავით, რომლის სათაურია „რაა არს ბუნებითი უპირველესობაა“

სანამ უშუალოდ ანტონის ტექსტს გავარჩევდეთ, განვიხილოთ არისტოტელეს შეხედულება ამ საკითხზე; არისტოტელეს თანახმად, ერთეული უმეტეს შემთხვევაში გრძნობადია, იგი „პირველადია ჩვენთვის“, მაგრამ „მეორადია ბუნებით“, ხოლო ზოგადი, მათ შორის ბუნებრივი

მიზეზები და საწყისები, „მეორადი ჩვენთვის“, თუმცა „პირველადი ბუნებით“ („მეორე ანალიტიკა“, 1, 2, „მეტაფიზიკა“, V, II), საგნის ბუნება განსაზღვრებაში აისახება. ამიტომ, ბუნებით პირველი განსაზღვრებით პირველადი ნიშნავს. ამის გამო სხვა ადგილას არისტოტელე ამ კონტექსტში „განსაზღვრებით პირველს“ ამბობს. „არსება პირველია ყველა აზრით: განსაზღვრებითაც, შემეცნებითაც და დროშიც“. („მეტაფიზიკა“, VII, I). უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც აქ არისტოტელე შემეცნებაზე ლაბარაობს, იგი გულისხმობს გონებრივ გააზრებას, საგნის გაგებას განსაზღვრების მიხედვით და არა — გრძნობად აღქმას.

თუ ამასაც დაემატებთ არისტოტელეს მოძღვრებას „პირველადი“ და „მეორადი მიზეზების“ შესახებ, რომელსაც იგი „მეტაფიზიკასა“ და „ფიზიკაში“ ვაღმოსცემს, მაშინ ჩათელი ვახდება ანტონის მსჯელობის არსი. იგი თავისი სიტყვებით ვაღმოგვეცემს ამ თვალსაზრისს. ცხადია, არა უშუალოდ არისტოტელეს მიხედვით, არამედ მეორე წყაროებიდან (დამასკელი, სვ. ჟულაეცი).

ბუნებით უპირველესი ეწოდა იმას, რაც გულისხმობს არსებობას სხვასთან ერთად. ეს იგივეა, რაც „თან შემომღებლობაა“. მაგრამ სპობს რა სხვას. არ ისპობა მასთან ერთად. არისტოტელესთან ეს აზრი ასეა ვამოთქმული: არსებულის სანებებიდან მხოლოდ არსებას — სუბსტანციას შეუძლია ცალკე არსებობა („მეტაფიზიკა“, 102b, თ. 36), ვინაიდან იგი სხვებისაგან დამოუკიდებელია.

ცხოველი, როგორც ვვარი, წინ უსწრებს ადამიანს, როგორც მის სახეს. მისი არსებობისათვის არაა საჭირო ადამიანის არსებობა.

37-ე თავია — „რად არს ბუნება“.

წყარო აქ ვაღმოცემული ცოდნისა, არის არისტოტელეს კატეგორიები დამასკელის რედაქციით. ანტონი გვეუბნება, რომ ყოველგვარი არსებულის მოძრაობისა და უძრაობის მიზეზს ბუნება წარმოადგენს. მიწა მოძრაობს იმ აზრით, რომ მასზე აღმოცენდება მცენარე. ხოლო უძრავია, რადგან არ იცვლის ადვილს. ამრიგად, მოძრაობა და უძრაობა (ძვრა და დაცხრომა) შემთხვევითი არაა.

რაც შეეხება საკუთრივ არისტოტელეს, იგი განასხვავებს სიტყვა „ბუნების“ რამდენიმე მნიშვნელობას: წარმოშობის მექანიზმი; წარმოშობის დასაბამი, მოძრაობის წყარო; საგნის განუსაზღვრელი მატერია, რომელსაც არ ძალუძს შეცვლა საკუთარი ძალით; ბუნებრივი საგნების არსება, მათი ფორმა და სხვ. მაგრამ ძირითადი მნიშვნე-

ლობა აქვს „არსებას“. ბუნება, პირველადი აზრით, არის არსება იმისა, რასაც საკუთარი მოძრაობის დასაბამი თავის თავში აქვს („მეტაფიზიკა“, V, 5).

ბუნება და „არსება“ სხვადასხვაა. „არსებისათვის“ კი არისტოტელეს იქვე („მეტაფიზიკა, V, 8), მოცემული აქვს შემდეგი მნიშვნელობები: მარტივი სხეულები და მათგან შედგენილი საგნები; საგნის არსებობის წინააღიწი მიზეზები; საგნის არსებითი, აუცილებელი განსაზღვრულობები; საგნის ყოფიერების არსი, ანუ მისი ფორმა. ძირითადი მნიშვნელობა ორივე: საბოლოო სუბსტრატი, რაც არ შეიძლება სხვაზე გამოითქვას და ის, რაც საგანს აძლევს ინდივიდუალობას. თავად დამოუკიდებლად მდგომი, იგი მარტივ ყოფიერებას აღნიშნავს, ისევე, როგორც არსება-სუბსტანცია. გვაში, ანუ ინდივიდი, არის დამოუკიდებელი, რომელშიც ჩანს არსება, რაც მას სხვასთან აკავშირებს და აიღვევს განასხვავებს. ამრიგად, იპოსტასებს ახასიათებს საერთო ნიშნები, რომლებიც, ერთი მხრივ, აერთებს ერთმანეთთან, მეორე მხრივ, გამოყოფს სხვა იპოსტასებისაგან.

შედარებისათვის მოვიყვანოთ არისტოტელეს მოსაზრებანი თხზულებიდან — „კატეგორიები“. „არსება“ არის ის, რაც არ გამოითქმის სხვაზე. თვითონ კი ყოველგვარი გამოთქმის ქვემდებარეა. მაგრამ მეორე მხრივ, იგი, როგორც ზოგადი, მრავალს ერთმანეთთან აკავშირებს.

42-ე თავი — „არისტოტელე ასწავლის განუყვეთელის 4 მნიშვნელობას“: ის, რაც არ იყოფა (მაგ., წერტილი), ის, რაც ძნელად იყოფა იშლება (მაგ., ალმასი), სახე, რომელიც არ იყოფა სახეებად (ადამიანი, ცხენი). ინდივიდი ეწოდება იმას, რაც იყოფა, მაგრამ გაყოფის შემდეგ ვერ ინარჩუნებს თავის პირველ სახეს. მაგ., პეტრე იყოფა სულად და სხეულად. მაგრამ არც სხეული და არც სული არაა ადამიანი. სავარაუდოა. პირველწყარო ამ თავისა არის არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ მეხუთე წიგნის მე-3 და მე-6 თავები (ელემენტისა და ერთიანობის შესახებ).

43-ე თავში — „მიუღრეკელი, თვითმიმდრეკი, სხვისა მიერ მიდრეკილი“, გამოყენებულია პეტრიწის თხზულების მე-14 თავი.

მიუღრეკელი, ე. ი. უძრავი შეიძლება იყოს მხოლოდ მარადიული. თვითმიმდრეკი (თვითმოძრავი) გონიერთა სფეროს ახასიათებს. გონიერთა სფერო უფრო მაღლა დგას გონიერზე. იგი მისთვის გონებისა და გონებით მისაღწეველი ობიექტია. ეს გამოხატულია ქართულ ენაზე სიტყვით „გონიერი“. აქ მივიღეთ ახალი ცნება, ასევე, მაგალი-

თად, სული — სულიერი, გონება — გონიერი. სული განსხვავდება სულიერისაგან, გონება — გონიერისაგან. ისევე, როგორც სულა მალა დგას სულიერზე, ასევე გონება — გონიერზე. ასე გამოეყო ერთმანეთს უძრავი, თვითმოდრავი და სხვისი საშუალებით მოძრავი. იგი უძრავს ათავსებს გონებასა და გონიერს შორის. მის არსებას და მოქმედებას თვლის უმოდრაოდ და ყოველგვარ ცვლილებაზე და მოძრაობაზე აღმატებულად. სული თვითმოდრავია იმიტომ, რომ იგი არავისგან არ იღებს სიცოცხლეს და აქვს იგი, არა როგორც, გარედან შემოტანილი.

პლატონი ამბობს, რომ თვითმოდრავი წარმოადგენს უსხეულოსა და უკვდავს. სხეულებს არა აქვთ ენერგია და მოქმედების უნარი. შემდეგში პლატონის ეს კონცეფცია გააყრიტყა არისტოტელემ ტრაქტატში — „სულის შესახებ“ (თავი პირველი).

თვით ციურ სხეულებსაც კი იგი თვლის მარტივად, უსიცოცხლოდ და უმოქმედოდ. პლატონი „ტიმეოსში“ ლაპარაკობს, რომ ცა, ისევე, როგორც სხეული მოკვდავი და „უძღვოა“, არამარადიულაა. ამრიგად, ყველა არსებული სამ სახედ იყოფა: უძრავი, თვითმოდრავი და სხვის მიერ მოძრავი. მათგან უმაღლესია უძრავი, ხოლო ყველაზე დაბალი, რომელსაც სხვა ამოძრავებს. საშუალო ადგილი უძრავს და მოძრავს შორის თვითმოდრავს უკავია, თვითმოდრაობის მეშვეობით სხვით მოძრავი ურთიერთობას ამყარებს უძრავთან.

44-ე თავი — „რად არის თვისდადვე მიმართ უკუწქეცევა“ მთლიანად აღებულია პეტრიწის თხზულების მე-15 თავიდან — „უსხეულოსა და სხეულთათვის“.

! თითქმის სიტყვასიტყვით აღმოგვეცემს რა პეტრიწის აზრს, ანტონი ამბობს, რომ ყოველ არსებულში დათესილია ღვთაებრივი („ერთის“) სინათლე. ის არის წყარო, თესლი ანუ მიზეზი არსისა. უკუწქეცევის ქვეშ მხოლოდ სივრცეში უკუწქეცევა არ უნდა გავიგოთ, როგორც ამას ადგილი აქვს სხეულთა შორის. უკუწქეცევა მხოლოდ უსხეულოს შეუძლია, ვინაიდან უკუწქეცევა ხდება იმ ერთისადმი (ღვთაებრივისადმი) სიყვარულის გამო.

სხეულს არ შეუძლია დაუბრუნდეს თავის თავს — „ვერ უკუნ იქცევისო თავსა შორის თვისა“, იმის გამო, რომ სხეულის ნაწილები არ არიან მტკიცედ შეკრულნი და ერთმანეთთან აუცილებლობით დაკავშირებული. ნამდვილი უკუწქეცევა შეუძლია მხოლოდ უსხეულოს, რომელიც დაკავშირებული არ არის სამი განზომილების არსებობას-

თან, რაც მის განფენილობას ნიშნავს. უსხეულო კი განუფენელია. უსხეულო სივრცეში არ არსებობს და არც იქ გადაადგილდება. ცა იმიტომ ბრუნავს სფეროსებურად, რომ იგი შინაგანი ერთიანისაგან ისწრაფის. მაგრამ ვინაიდან იგი სხეულებრივია, სივრცეში მოძრაობას ასრულებს.

45-ე თავია — „რაც არს საზღვარი. განსაზღვრება და წარწერა“.

„საზღვარი“ ანუ ტერმინი არის საგნის (საქმის) აღმნიშვნელი სიტყვა (გამოთქმა). „საზღვრის“ რაობას იკვლევდნენ არისტოტელე, ამონიოს პერმია, ეპიკურელნი, სტოელნი და წმინდა მამები.

განსაზღვრება, რომელიც რამდენიმე სიტყვას შეიცავს, შედგება სპეციფიკური ნიშნისა და გვარისაგან. ასე, მაგალითად, ცხოველი არის სულიერი სუბსტანცია, რომელსაც აქვს აღქმის უნარი. აქ გვარი არის სულიერი, ხოლო აღქმის უნარი სპეციფიკური ნიშანია.

ამ თავში ანტონი ერთმანეთში ურევს (შესაძლოა, ეს იმ წყაროს ბრალიც რყოს, რომელსაც იგი ეყრდნობა) „საზღვარსა“ და განსაზღვრებას. მიტომ საორიენტაციოდ მოვიყვანოთ არისტოტელის შეხედულებები იმის დამატებით, რაც ზემოთ პრედიკაბილიებთან დაკავშირებით აღვნიშნეთ. ტერმინი არის ის, რაზედაც იშლება წანამძღვარი, ანუ ის, რაზედაც გამოითქმება რაღაც და ის, რაც გამოითქმება, „არის“ ან „არ არის“ მიმატებით („პირველი ანალიტიკა“, 24 b 15—17); ტერმინი იგივეა, რაც სახელი და ზმნა („განმარტებისათვის“, 16 b 10—18) იგივეა, რაც სიტყვა, რომელიც რაღაცას აღნიშნავს, მაგრამ არ წარმოადგენს მტკიცებას ან უარყოფას (იქვე, 16 b 26—30). განსაზღვრება არის საკუთრივ ნიშანი, რომელიც აღნიშნავს საგნის არსს („ტოპიკა“, 101 b 22); განსაზღვრება არის გამოთქმა, რომელიც აღნიშნავს არსს, იგი ცვლის სახელს გამოთქმით ან გამოთქმის — გამოთქმით (იქვე, 101 b); განსაზღვრება არის დასაბუთების საწყისი დებულება, რომელიც ადგენს, რა არის ესა და ეს („მეორე ანალიტიკა“, 72 a 12—24). განსაზღვრება შედგება გვარისაგან და სახეობრივი განსხვავებისაგან („ტოპიკა“, 103 b 17).

განსაზღვრების ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მას არც უნდა აკლდეს ნიშნები და არც ზედმეტი ჰქონდეს. სრულქმნილი განსაზღვრება იქნება ისეთი, რომელიც უშვებს ურთიერთშენაცვლებას, ხოლო არასრულქმნილი განსაზღვრება არ იქნება. მაგ., ყოველი ცოცხალი, გონიერი, მოკვდავი „უშვებს მოქცევას“. ცხოველი გონიერი, მოკვდავი არის ადამიანი.

თუ განსაზღვრებას აკლია რომელიმე ნიშანი (სიტყვა, ლექსი), მაშინ ის იმაზე ფართოა, რასაც განვსაზღვრავთ, ხოლო თუ მასში ზედმეტი ნიშანია, მაშინ ის განსასაზღვრზე უწროა. მაგალითად, თუკი ვიტყვით, რომ კაცი არის სიტყვიერი, მოკვდავი, გრამატიკოსი, შემატებული ნიშანი — გრამატიკოსი — დაავიწროებს მას. მხედველობაში გვექნება „კაცი ოდენ ორამატიკოსნი“. ორივე შემთხვევაში ირდღივად ურთიერთშენაცვლების (გარემოქცევის) არისტოტელური მოთხოვნა.

„იმდენად მნიშვნელოვანია განსაზღვრებაში საქმის არსი გამოხატოს. რომ ზოგჯერ განსაზღვრება გააგებულია, როგორც არსი ამ საქმისა“, სამართლიანად აღნიშნავს მ. რაფაეა ამ ტერმინის განმარტების დროს⁶.

46-ე თავის — „რად არს განწვალვად და რაოდენ გვარი განწვალვად“, წყაროა არისტოტელე, როგორც ამბობს ანტონი (მას მასალა უშუალოდ იოანე დამასკელიდან აქვს აღებული), მაგრამ უნდა შევნიშნოთ. რომ ტრადიციულ ლოგიკაში მოძღვრება გაყოფაზე პლატონიდან შემოვიდა (ფილებოსი, 16 სოფისტოსი, 218 ნ, პოლიტიკა, 258). არისტოტელეს დამოკიდებულება ამ ლოგიკური პროცედურის მიმართ სექტიკურია და დაწვრილებით არსად არჩევს მას.

გვარი „მშვინველი ცხოველი“ იყოფა სიტყვიერ და უსიტყვო არსებებად. ეს სრული გაყოფაა. „ნახევარ იყოფა“ არის სახის შიანით ქვესახეების გამოყოფა. მაგ., უსიტყვო სახის შიგნით არის კანჭარი (გარეული ვირი) და კარაული (ვირი) შემდეგი სახე გაყოფისა — „ზე განწვალვად“ (ი. ი. დაყოფა) არის გაყოფა გაყოფილი ნაწილისა. ასე, კაცი გაყოფა გონიერად და არაგონიერად. შემდეგ — ქალად და კაცად და შემდეგ სოკრატე იყოფა სოკრატე და სხეილოთ და ა. შ. სოკო მ სახის გაყოფა არსებობს. პირველი — გვარ-სახეებად: მეორე — სახე-ინდივიდებად; მესამე — მთელისა ნაწილებად. მესამე სახე ორგვარად იყოფა — მსგავს ან არამსგავს ნაწილებად. მთელის ნაწილები („კერძონი სრულისანი“) მაშინ ჰგვანან ერთმანეთს, როდესაც მისი ნაწილები იღებენ დასახელებასა და განსაზღვრებას, როგორც მთელის, ისე ერთმანეთისას. მაგ., თუ გაიჭრა სხეილი (ხორცი), თითოეულ ნაწილს ეწოდება ხორცი. პირიქით. როცა საგანი შედგება არამსგავსი ნაწილებისაგან, მაშინ გაყოფილი ნაწილები არ იღებენ არც დასახელებას,

⁶ მ. რაფაეა, ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, 1985, 017.

არც მთელის და არც ერთმანეთის განსაზღვრებებს. ლევიტელმა თორმეტ ნაწილად გაყო თავისი მეუღლე, მაგრამ არც ერთი ნაწილი არ ჰგავს ერთმანეთს, არც ერთი არ მიიღებს ქალის სახეს (თავი, ფეხი და სხვა).

მეოთხე სახე გაყოფისა — „სახელმოდგამისამებრ კმისა“ — ომონიური დასახელება, სახელითაც და შინაარსითაც სხვადასხვა მნიშვნელობისაა. მაგ., ძალი აღნიშნავს ჩვეულებრივ და ზეციურ ძალსაც. თითოეული მათგანი შინაარსით სხვადასხვაა.

ანტონი ჩამოთვლის გაყოფის დანარჩენ ოთხ სახესაც.

ამ გაყოფის რვა სახეს შორის არც ერთი არ არის ბუნებით უპირველესი, გარდა ერთისა და ერთის მიმართ.

მთელის გაყოფა ნაწილებად, მაგალითად, ინდივიდის გაყოფა სულად და ხორცად, ან სხეულის დაქრა ასობად, არ არის ის, რასაც ლოგიკაში ცნებებს გაყოფა ეწოდება, ხოლო ომონიშიაზე დაფუძნებული გაყოფა არის ლოგიკური შეცდომა. გაყოფა არსებებისათვის შემთხვევითი ნიშნით, ან შემთხვევისათვის — შემთხვევითი ნიშნით, მიუღებელი იყო როგორც პლატონის, ისე არისტოტელესათვის, რადგან შემთხვევითი ნიშანი არ გამოხატავს გასაყოფი საგნის არსებობას.

ამრიგად, „სპეკალის“ თავების: „ბუნებითი უპირველესობაა“, „რამ არს ბუნებაა“, „რამ არს ხატოვნება“, „რამ არს გუამოვანი და რამ უგვანოა და რამ არს გვამი, პირი, განუყვეთელი“, ასევე, 45-ე თავის — „რამ არს საზღვარი და რამ განსაზღვრებაა და რამ წარწერაა“ — წყარო ცნობილია. იგი მითითებულია ამავე თავებში: „არისტოტელი გვასწავა სიტყვაა ბუნებისა, რამეთუ საღმრთოა დამასკელი იტყვის გარდამოცემასა შინა არისტოტელის შესმენათასა“, ან: „თქვა საღმრთომან მოძღუარმან დამასკელმან გარდამოცემასა შინა არისტოტელის შესმენათასა“.

ამრიგად, დამასკელის გადმოცემით, წყაროა არისტოტელეს „კატეგორიები“ თუმცა, როგორც გაყოფის მაგალითზე ვნახეთ, არ არის არისტოტელეზე მითითება ყოველთვის სწორი. აგრეთვე, — არც მხოლოდ „კატეგორიების“ მხედველობაში ქონა, რადგან გამოყენებულია არისტოტელეს სხვა ტრაქტატებიც.

ზოგჯერ „სპეკალის“ აზრთა წყობა სიტყვასიტყვით ემთხვევა დამასკელის ტექსტს, მაგალითად,

„სპეკალი“, თავი 45-ე — „თქვა არისტოტელი საზღვარი არსო სიტყვაა შემოკლებული სიტყვადე წინ დაღებულისა საქმისა აობისა“.

დ ა მ ა ს კ ე ლ ი :

„განსაზღვრებად არს სიტყუად შემოკლებული ცხად მყოფელი ბუნებასა წინა მდებარისა საქმისასა, რომელი მცირედთა სიტყუათა მიერ დაპნიშნვიდეს ბუნებასა საქმისა წინა მდებარისასა“.

„გვამი“ განმარტებულია არისტოტელეს სიტყვით — „გვამი არსო ბუნებად სიტყვიერი, არსებად განუკვეთელი და ქვემდებარეობად უზიარებელი“. „გვამის“ განმარტებისას მითითებულია კირილე. „ამისთვის თქვა სანატრელმან კირილე“. ვფიქრობთ, ესაა კირილე ალექსანდრიელი, რომლის ნაშრომი ითარგმნა სომხურიდან ანტონის სკოლის მიერ.

თავი — „რად არს საზღვარი და რად განსაზღვრებად და რად წარწერად“ სიტყუასიტყვით შეესაბამება ჯულფელის (ჯულაეცის) „დიალექტიკის“ თავს — „ადგილთათვის რომელ არს საზღვრისაგან და საზღვრებითისა“.

„სპეკალის“ თავებში, 47-დან 66-ის ჩათვლით, განხილულია არისტოტელეს მოძღვრება „შესმენად-ს“ ანუ კატეგორიების შესახებ. დასაწყისში, ისევე, როგორც არისტოტელის წიგნში, გარჩეულია სინონიმი, ომონიმი და პარონიმი.

შემდეგ (თ. 56—66) გადმოცემულია არისტოტელეს თვალსაზრისი „უნათესავესი ნათესავის“ შესახებ. კატეგორია ათია: არსება (გონება, სული, სფერო), რაოდენობა (ორი, სამი) „რამსა მიმართი“, ვითარება, სადაობა, „ოდესობა“, მდებარეობა, ქონება, მოქმედება, ვნება. ათივე „უნათესავესი ნათესავია“. ე. ი. კატეგორია, უზოგადესიცნება, მაგრამ მთავარი მათგან არსებაა. „ერთი უკვე არს არსებად და ცხრანი იგი ზედშესრულნი“.

არსების კატეგორია ანტონმა შრომის პირველ ნაწილში განიხილა, კერძოდ, თავებში — პირველი — სამოცდამეცხრე, სახელწოდებით — „მარტივმოღებად ანუ მოძღვრება ცნებაზე“. აქ კი განვიხილოთ დანარჩენი კატეგორიები, რომელთა განმარტება აგრეთვე არისტოტელედან არის აღებული.

47-ე თავია — „რად არს თანსახელობითი შესმენად“.

პირველწყარო ამ და შემდეგი ორი თავისა არის „კატეგორიების“ პირველი თავი. თანსახელობითი ეწოდება საგანთა ჯგუფს, რომელსაც სახელიც ერთი აქვს და განსაზღვრებაც. ილუსტრაციისათვის პეტრიწიდან მოყვანილია მაგალითი პირველი და უამრავი კეთილობის შესახებ გონება, სული, სფერო და სხეული სხვადასხვა ხარისხით უახლოვდება ერთს, რომლისგანაც ყველაფერი წარმოიშვა. ეს წარმოშო-

ბილნი ხშირად თანსახელებითია: ბუნება გონებისა და სულისა ერთია, სფეროსა და სხეულისა — ერთი. ისინი წარმოშობილა ერთის მიერ, რომელთა შორის „არსებაჲ“ „პირველი კეთილობაჲ“ და „ერთობაჲ“ საერთო წარმოშობისაა.

ამ სხვადასხვას, რომლებიც ერთისაგან წარმოიშვა, ზოგჯერ ბევრი რამ აქვთ საერთო, რის გამოც ისინი თანამოსახელენი არიან. მაგალითად, „ცოცხალი არსება“ საერთო სახელია ადამიანისა და ხარისათვის, ანავე დროს, ერთი და იგივე პასუხი აქვს კითხვას, თუ რას ნიშნავს თითოეული მათგანისათვის ცოცხალ არსებად ყოფნა („კატეგორიები“ 17—11). ოდნავ შეცვლილი სახით არისტოტელეს ეს განსაზღვრება და მაგალითი ანტონს მოყავს შემდეგი თავის ბოლოს.

48-ე თავია — „თანამოსახელობითი. შესემნა საქვემდებაროსა და ქვემდებარისა“.

ანტონი გვუბნება, რომ ამ საკითხზე ცოდნა მოგვცა არისტოტელემ. ეს არის ქვემდებარე ქვემდებარეზე, რომელზედაც სახე გამოითქმის, ამავე დროს, სახე და ინდივიდი თანსახელობითნი არიან. „მშვინველი“ ითქმის ადამიანზედაც და პავლეზეც. რადგან პავლეზე ითქმის „ადამიანი“. ამიტომ ადამიანი და პავლე თანსახელობითია.

49-ე თავია — „რამ არს სახელმდგომობაჲ“ (ომონომია). ომონომია იხილი, რომელთაც ზიარი სახელები აქვთ, მაგრამ არსება სხვადასხვა. მაგ., ძალდი „მშვინველი“ (სულიერი) და ძალდი — ვარსკვლავი. მათ შხოლოდ სახელი აქვთ საერთო, ხოლო ბუნება — სხვადასხვა.

50-ე თავია — „მრავალსახელობაჲ“ (პოლინომია).

მრავალსახელნი სახელებით განსხვავდებიან, არსებითად კი ერთმანეთს ემთხვევიან. ეს ხდება მაშინ, როდესაც ერთი და იმავე ბუნების საგნებს უწოდებენ სხვადასხვა სახელს. მაგალითად, კრავალი, ორპირი დანა, ისარი, ლახვარი. თითოეული მათგანის არსება რკინა და მახვილია, მაგრამ სხვადასხვა სახელი აქვთ.

51-ე თავი — „რამ არიან სხვანი და რამ სხვა სახელნი“.

ზოგჯერ საგნები ერთმანეთისაგან განსხვავდება სახელითაც და არსებითაც. თუმცა, შესაძლოა, აქვს ერთი ქვემდებარე — სათოძილო (პეტრონიმები). მაგ., მდინარე ხმელეთს ორ ნაწილად ჰყოფს („აქეთ“ და „იქით“), მდინარე მათი საერთო ქვემდებარეა: ან, მაგალითად, სუბსტანციასა და აქციდენციას სახელებიც სხვადასხვა აქვთ და არსებითაც სხვადასხვაგვარია.

52-ე თავია — „რამ არს სახელნართაულობითი შესემნაჲ“.

ომონომსა და სინონიმს შორის არის „სახელნართაულობითი შესემნაჲ“.

ნა“, რომლებიც ერთმანეთს ნაწილობრივ ემთხვევა, ნაწილობრივ განსხვავდება. მათ ეწოდება პარონიმები ე. ი. წარმოებულა. ასე, „ქალწულება“—საგან წარმოებულა „ქალწული“. მათ საერთო სახელი აქვს, ხოლო სახელის დაბოლოებით განსხვავდებიან. მაგრამ ისინი არსებითად ერთმანეთს ემთხვევიან. მათ შორის განსხვავებაცაა, რადგან „ქალწულება“ არის სათნოება, ხოლო „ქალწული“ — არსება, რომელშიც არის სათნოება. ამრიგად, სახელნართაულობითია საგნები, რომლებიც იღებენ სახელწოდებას სხვა სახელისაგან. მაგალითად, „მეფე“—მსამეფოსაგან მიიღო ნართაულობა სახელისა.

პარონიმები მოიცავენ იმ სახელებს, რომლებსაგანაც მათ მიიღეს თავიანთი სახელი. ხოლო ის საგნები, რომელთაც სახელი მიიღეს წარმოშობით ან გარკვეული საგნისაგან, პარონიმი არ იქნება. შესაბამისი ადგილი გვხვდება არისტოტელესთან. იხ. მისი „კატეგორიები“.

53-ე თავში გარჩეულია საკითხები, თუ რა არის „სწორპენათესაობა“, „სხვანათესავნი“, „სხვასახენი“ და „სხვანი რიცხვითი“ და „რათანამეგვაჲ“. ამ თავის წყაროა დამასკელის წიგნის 23-ე თავი — „თანამონათესავეთა და თანამოსახეთა, სხვანათესავეთა და სხუა სახეთა და რიცხვთა განყოფილთათვის“ და პეტრიწის სწავლება ამ საკითხზე. თავის დასაწყისში გადმოცემულია პეტრიწის თვალსაზრისი. ნათქვამია, რომ უზენაესი არსება („ერთი“) ძალასა და ენერჯას ანიჭებს ყოველგვარ ნამდვილ არსებულს. ერთგვაროვანია ის საგნებო, რომლებიც ექმვემდებარებიან ერთი და იმავე კატეგორიის გვარს, ხოლო არაერთგვარია ისინი, რომლებიც სხვადასხვა გვარს ეკუთვნის. მაგალითად, ადამიანი და ცხენი ერთგვარია, რადგან ორივე ერთ გვარშია გაერთიანებული. მაგრამ ადამიანი და ცოდნა სხვადასხვაგვარია, რადგან ადამიანი სუბსტანციაა, ცოდნა კი თვისება. ერთი სახისაა ის საგნები, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან სახით ე. ი. ისინი, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ერთი გვარის შიგნით (მაგ., ადამიანი, ცხენი, სიტყვიერი და უსიტყვო). სხვადასხვა საგნებს აქვს საკუთარი სახე და განმასხვავებელი ნიშნები. ანუ სახეობრივი განსხვავება. აქ ანტონი კვლავ უბრუნდება საგანთა ურთიერთგანსხვავების საკითხს, გვარისა და სპეციფიკური ნიშნის მიხედვით. ათი კატეგორიიდან თითოეულს აქვს შექმნილი და გამოპყოფელი ნიშნები. თითოეული წარმოადგენს უმაღლეს გვარს და აქვს დაქვემდებარებული სახეები. ცხადია, რომ სადაც არის გვარი, არის აგრეთვე სახეები და განმასხვავებელი ნიშნები.

არის ისეთი საგნები, რომელთაც ერთი არსება აქვს, მაგრამ ერთ-

მანეთისაგან მიინც განსხვავდება. ასეთი განსხვავება შეიძლება სამგვარი იყოს: „სწორგვარობა“, მაგალითად, სოკრატი და პლატონი, რომლებიც ეკუთვნიან ერთ სახეს — ადამიანს. „თანამეგვაიმობა“ — ორი ბუნების შეერთება ერთ გვამად (მაგ., სულისა და სხეულის შეერთება ქმნის ერთ გვამს, ერთ პირს). რიცხობრივად განსხვავებულია ის საქმე, რომლის ბუნება განისაზღვრება შემთხვევითი ნიშნების შეუღლებით, ე. ი. რომლებიც ერთმანეთთან განსხვავდება აქციდენტალურად (მაგალითად, პეტრე და პავლე).

54-ე თავი — „რად არს რაღსშინაობითი და რაოდენ გვარად რაღსშინაობაჲ“, აღებულია დამასკელის წიგნის 38-ე თავიდან — „რაღსშინაობისათვის“. აქ ანტონი ამტკიცებს, რომ სხვაში ყოფნა შეიძლება თერთმეტი განსხვავებული სახით: 1. მიზეზის ყოფნა შედეგში, 2. სახისა გვარში, 3. ადგილის მიხედვით, 4. ღრობის მიხედვით (ყამსა შინა), 5. კურკელში ყოფნა (მაგალითად, მანანაჲ ზეცისა კურკელსა შინა ოქროსასა), 6. მთელი იმყოფება ნაწილებში, 7. ნაწილი — მთელში (მაგალითად, თავი, ხელი პეტრეში), 8. ფორმა იმყოფება ნივთიერებაში (მაგალითად, კენისის გამოსახლება ოქროს ფულში), 9. დამბადებელ მიზეზში ყოფნა, რადგან ისინი ყოველნი ომერთშია, 10. ქვემდებარეში ყოფნა, მაგალითად, ფერი და ფორმა სხეულში, 11. ძირითად სუბსტრატში ყოფნა, როგორც თეთრი ფერი სხეულში.

„რაღსშინაობაჲს“ ცნება (ქვემდებარეში ყოფნა) შეჰოილო არისტოტელემ „კატეგორიებში“ (1b 20—1 10).

55-ე თავი — „რად არს ძალი დადებულ შემოქმედებითისა მიზეზისაგან თითოეულთა შინა ერთთა, რომელ არიან ბუნებაი“, პეტრიწის გადმოცემაა. იგი შედგენილია მე-14 თავის — „მიუღრეკელისათვის თვითმოდრეკისა და სხვსა მიერ მიღრეკელისა“ მიხედვით. აქ ლაპარაკია უძრავის, თვითმოდრავის და სხვის მიერ მოძრავის შესახებ. ისინი გარჩეულია ერთმანეთისაგან და ნაჩვენებია მათ შორის საერთოც. აქ გადმოცემული მასალა, არსებითად, ზემო თავებშიც ფიგურირებდა.

ადამიანებს თვითმოდრობის უნარი არა აქვთ. მხოლოდ მათი სულია თვითმოდრავი, სული კი, თავის მხრივ, ამოდრავებს სხეულს. ადამიანებს აქვთ განსჯის, აზროვნების უნარი, ცხოველებს კი გრძნობადი სული, გრძნობის უნარი. მცენარეებს აქვს ზრდის უნარი. ქვა იღებს მხურვალეებას, მაგრამ სულიერი არ არის. ყოველ ქვემდებარეს (სუბსტრატს) იწოდება გვარი. აქ ანტონი იმოწმებს არისტოტელეს, პერიპატეტიკოსებსა და დამასკელს.

56-ე—66-ე თავებში გადმოცემულია არისტოტელეს მოძღვრება კატეგორიების ანუ ათი „უნათესავეი ნათესავის“ (უზოგადესი გვარის) შესახებ.

ანტონი ჩამოთვლის და განმარტავს არისტოტელეს მოძღვრებას ათ კატეგორიაზე. ეს კატეგორიებია: 1. სუბსტანცია, 2. რაოდენობა (ორი წყრთა, სამი წყრთა), 3. „რამაა მიმართ“ — ნათესავი, სახე, 4. ვითარება (როგორობა) — თეთრი, ფერო. 5. სადაობა — არიოპაგში, გოდოლზე, 6. „ოდესობა“ — პირველ წელიწადს, მეორე თვეს, მესამე დღეს. 7. მდებარეობა — დგომა, ჯდომა. 8. ქონება — შემოსვა, შეცმა. 9. მოქმედება — წვა და 10. ენება — დაწვა, დაწველა. ამას არისტოტელემ უწოდა „შესმენა“ ანუ „კატილორია“. თითოეული მათგანის უნათესავესი ნათესავი (ამ ადგილის პირველწყაროა „კატეგორიების“ მეოთხე თავი, 1b 25—2a 10). მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია არსება; „ერთი უკვე არს არსებად და ცხრანი იგი ზედშესრულნი“. დანარჩენი კატეგორიები არსებისა მხოლოდ ცალკეულ მხარეებს გამოხატავენ.

როგორც ვხედავთ, აქ ანტონი კვლავ უბრუნდება არისტოტელეს „კატეგორიების“ საკითხს, რომლის შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი.

75-ე თავიდან იწყება კატეგორიების ცალ-ცალკე გარჩევა. თვითონ ეს თავი ეხება რაოდენობის კატეგორიას. როგორც ჩანს, ანტონი დაქმყოფილდა იმით, რომ არსების კატეგორიას ეძღვნება თავები 1, 31-ე და 35-ე.

57-ე თავია — „რამ არს რაოდენი და რამ რაოდენობა“.

„რაოდენობა არს ერთთა შეკრება“ განსაზღვრულია „სპეკალში“. აქვე წყაროდ მითითებულია დამასკელი, რომელიც გადმოსცემს არისტოტელეს სწავლებას კატეგორიების შესახებ. პირველწყარო ამ თავისა არის არისტოტელეს „კატეგორიების“ მეექვსე თავი და „მეტაფიზიკის“ მეხუთე წიგნის მეცამეტე თავი. დასახელებულია იოანე მანსური, რომელმაც პერიპატეტიკოსთა ცოდნა გადმოსცა ამის შესახებ. რაოდენობა არის ერთთა შეკრება. ერთი არ არის რაოდენობა. იგი არის დაწყება რაოდენობისა.

რაოდენობა, ანუ ის, რაც ექვემდებარება გაზომვასა და აღრიცხვას („არიან აღრიცხვისა და განზომისა შინანი“) შეიძლება იყოს „განწვალებული“ (გაყოფილი — წყვეტილი, ცალკეულთა ერთობლიობა) და შერწყმული (მთლიანი, უწყვეტი) გაყოფილი რაოდენობები ერთმანეთისაგან ვანსხვავდება სახით და რიცხვით. შერწყმული რაოდენ-

ნობა გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა გასაზომია ერთი საგანი, მაგალითად. ავეჯი, რომელიც იზომება მტკაველით ან ფარგლით. „განწვალე-ბული“ რაოდენობის მაგალითია თორმეტი კვიპაროსი, რომლებიც გაყოფილია ერთმანეთისაგან, ისეთი შერწყმული სიდიდეა, რომელთა ნაწილები დაკავშირებული, გაერთიანებულია. გაყოფითი რაოდენობის ნაწილები არ ერთიანდება ისე, რომ ჰქონდეს რაიმე საერთო, „ზიარებითი“ საზღვარი. მაგ., ათ მარგალიტს არა აქვს საერთო, შემაერთებელი.

გაყოფად რაოდენობას განეკუთვნება რიცხვი და სიტყვა. რიცხვს ამ შემთხვევაში ვუწოდებთ აღრიცხულს, რადგან აღრიცხული აუცილებლად წარმოადგენს გაყოფადს. სიტყვაც გაყოფადია; იგი აღრიცხება სიტყვებით („ლექსებით“), არა აქვს საერთო საზღვარი („არა აქვს ზიარებითი რაღვე საზღვარი“), რომელიც გაერთიანებს მის ნაწილებს. ვთქვათ, ფრაზა შედგება ათი სიტყვისაგან, თუ მას გავყოფთ ხუთ-ხუთ სიტყვად, მაშინ მათ არ ექნება საერთო, „ზოგადი საზღვარი“.

ასევე, მარცვლებით აღრიცხულ სიტყვას არ აქვს საერთო შემაერთებელი საზღვარი. მაგ., სახელს „პეტრე“ „პე“ და „ტრეს“ — ნაწილაკებს შორის არა აქვს საერთო შემაერთებელი საზღვარი. შერწყმითი (უწყვეტი) სიდიდე არის „ეპიფანიაჲ“ (ზედაპირი), ადგილი და დრო („უამი“). წერტილს არა აქვს სიდიდე, რადგან იგი არ განიზომება და არ აღრიცხება. მას არა აქვს არც ერთი განზომილება. ხაზს აქვს ერთი განზომილება — სიგრძე, ეპიფანიას ორი — სიგრძე და სიგანე. მის ნაწილებს აქვს საერთო საზღვარი, რომლითაც ისინი ერთიანდება. სხეულს აქვს სამი განზომილება: სიგრძე, სიგანე და სიღრმე ანუ სისქე. დრო („უამი“) იზომება, რადგან იგი იყოფა წარსულად და მომავლად, რომელთაც აქვს საერთო საზღვარი — აწმყო.

ამრიგად, გავარჩიეთ შეიდე რამ: რიცხვი, სიტყვა, დრო, ადგილი, ხაზი, ზედაპირი და სხეული. ანტონი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ გამოზომვას მხოლოდ სასრული საგნები და რიცხვები ექვემდებარება. უსასრულო კი აო იზომება.

58-ე თავის — „რაჲ არს რაჲსა მიმართ“ პირველწყაროა არისტოტელეს „კატეგორიების“ მეშვიდე თავი და „მეტაფიზიკის“ მეხუთე წიგნის მეთხუთმეტე თავი. „რაჲსა მიმართ“ არიან საგნები, რომელთა რაობაც განისაზღვრება სხვასთან მიმართებაში. მაგ., როდესაც ლაპარაკობენ ადამიანზე, როგორც მამაზე, განსაზღვრავენ მას, როგორც შვალისადმი მიმართებულს, პირველს შემდგომისადმი, მიზეზს მი-

ზეზოვნის მიმართ. ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფი საგნებიდან ზოგიერთი ერთი და იმავე სახელით იწოდება. მაგ., ორი მოყვასიდან ორივეს მოყვასი ეწოდება. სხვები სხვადასხვა სახელით იწოდება. საგნები შეიძლება ერთმანეთის მიმართ აღმატებით ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, მაგალითად, უფრო დიდი ან უფრო მცირე.

საგნები იმყოფება ურთიერთობაში აგრეთვე აქტიურობისა და პასიურობის მიხედვით. მაგალითად, ის, რაც ათბობს და რაც თბება. ურთიერთობა შეიძლება იყოს წარმოშობის გამომხატველი, მაგალითად, მიზეზი და შედეგი და სხვ.

საგანთა ურთიერთობა შეიძლება ისეთივე იყოს, როცა ერთ-ს წარმოშობა ან მოსპობა მეორის წარმოშობა-მოსპობას იწვევს. მაგალითად, გვარის მოსპობა სახესაც მოსპობს, ასევე, პირობით, გვარის წარმოშობას თან ზღვეს სახის წარმოშობაც.

59-ე თავია — „რად არს ვითარი და ვითარებაჲ“.

სიტყვა „ვითარება“ პირველად პლატონმა იხმარა დიალოგში — „თემისტოხოსი“. არისტოტელემ განაგრძო მისი მნიშვნელობა და სხეულთა მიმართ იხმარა. სულის მიმართ ვითარება ნიშნავს სათნოებასა და ზედმიწევნულობას. მასალა ამ თემის განსახილველად ანტონს, როგორც თავად მიუთითებს, აუღია ამონიოს ერმისის ნაშრომიდან („მისცა არისტოტელი თნებადთა სწავლისათა გვარი ვითარებისა ოთხად, რამეთუ ამონიოს ერმისი ესთა გვასწავებს არისტოტელისაგან“).

პირველწყარო შეიძლება იყოს არისტოტელეს „კატეგორიების“ მერვე თავი და „მეტაფიზიკის“ მეხუთე წიგნის მეთოთხმეტე თავი, პირველ მათგანში არისტოტელე გამოყოფს ვითარების ოთხ სახეს: მყარი და წარმავალი თვისებები, თანდაყოლილი უნარები, განცდადი თვისებები და მდგომარეობები, გარეჯანი სახე და ფორმა. „მეტაფიზიკაში“ კლასიფიკაცია სხვაგვარია: სახეობრივი განსხვავება არსებაში, უძრავი მათემატიკური ობიექტების თვისებები, მოძრავ საგანთა მდგომარეობები და ზნეობრივი თვისებები.

იოანე დამასკელი ამბობს, რომ ვითარება არის ის, რაც საგანთა თვისობრიობას წარმოადგენს. ანუ თვისება არის ის, რის საფუძველზეც საგნებს გარკვეულ სახელებს უწოდებენ. ეს განსაზღვრება „კატეგორიებიდან“ იღებს დასაბამს (10a 27—32).

არისტოტელესა და დამასკელის კვალდაკვალ, ანტონი ერთმანეთიდან განასხვავებს თვისებასა და თვისებრიობას. თვისებრივი გუ-

ლისხმობს თვისებას და თვისების მატარებელს. შესაძლებელია, ამ ცნებების ზუსტი მნიშვნელობა მას არ ესმოდა, მაგრამ მათ შორის განსხვავებას აშკარად ხედავდა.

ზოგიერთი თვისება იმყოფება გონიერსა და სულიერ არსებებში. მაგ., ცოდნა და სათნოება, ავადმყოფობა და ჭანმრთელობა, ტყვილი, სიმაართლე და სხვ. ზოგიერთი თვისება თანაბრად ახასიათებს როგორც ზულიერ, ისევე უსულო საგნებს, ასეთია, მაგალითად, სითბო და სიცივე, ფორმა და უფორმოება, ძალა და უძალობა. და სხვ.

ზოგიერთი თვისება პოტენციურად ეკუთვნის საგნებს, ზოგი კი აქტუალურად. ამრიგად, თვისების ქონებაზე ლაპარაკი ერთი აზრით შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ანტონი (დამასკელის გზით) გადმოხტემს არისტოტელეს ცნობილ მოძღვრებას პოტენციური და აქტუალური, ანუ შესაძლებლობასა და აინამდვილეში არსებობის შესახებ. ცნობილია, რომ არისტოტელი აქტუალურ არსებობას პოტენციურის განხორციელების შედეგად თვლიდა. შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიებს იგი ქონების კატეგორიის მიმართაც იყენებს. მაგალითად, ვლაპარაკობთ, რომ ყრმას აქვს მათემატიკური უნარი, მაგრამ არა აქვს მათემატიკური ცოდნა. მათემატიკური ცოდნის შექმნა მის შესაძლებლობას ემყარება. ხოლო ცხოველს კი არა აქვს არც ერთი და არც მეორე, ე. ი. მას არა აქვს არც ცოდნის შესაძლებლობა და, მით უმეტეს, არც განხორციელებული შესაძლებლობა. ანტონი ფიქრობს, რომ თვისება შეიძლება იყოს შექმნილი ან თანდაყოლილი. შექმნილის მოცილება ადვილია, თანდაყოლილისა — ძნელი. ამასთან ერთად, თანდაყოლილ თვისებას სხვაში კი არა აქვს საწყისი, არამედ არსებითად დამახასიათებელია საგნისათვის („არსებით მყო არიან ნივთთა შინა“). ასეთია წყლისათვის სიგრილე და ცეცხლისათვის — სიმზურვალე. სითბო ცეცხლისათვის ან სიტკბო თაფლისათვის არ არის შექმნილი თვისება. მათ აქვთ ეს თვისებები. შემდეგ მოქმედებენ ჩვენზე და აღძრავენ შეგრძნებებს. ეს თვისებები „არა მორკებულ“ — არა შექმნილია, არამედ არსებითია მათთვის. აქ საინტერესოა ანტონის თვალსაზრისი, რომელიც უპირისპირდება დემოკრიტეს მოძღვრებას ე. წ. „მეორადი“ თვისებების შესახებ. გრძობად თვისებებს ანტონი ამ შემთხვევაში სუბსტანციურ მნიშვნელობას ანიჭებს. აქვე იგულისხმება, რომ მეორადი თვისებები ისევე შემეცნებადია, როგორც პირველადი.

ვითარების შემდეგ სახე, ფიგურა ანუ ფორმა („მორფი“) მხოლოდ სულიერ არსებებში გვაქვს, ნაკვეთი კი არაა ცოცხალ საგნებსაც აქვს.

მაგალითად, მცენარეებს ქვას და სხვ. როდესაც არაორგანული სხეულების ფორმაზე ვლაპარაკობთ, მაშინ ამ ცნებას გადატანითი მნიშვნელობით ვხმარობთ.

თვისებას (ვითარება) ანტონი სამი ნიშნით ახასიათებს: ერთსა და იმავე საგანს შეიძლება სხვადასხვა (საწინააღმდეგო) თვისებები ჰქონდეს (მაგალითად, შეიძლება იყოს თბილი ან ცივი). თვისებას შეიძლება ჰქონდეს ხარისხი (უფრო მეტი ან უფრო ნაკლები). იგი შეიძლება შესუსტდეს ან გააწიერდეს. მესამე ნიშანი ისაა, რომ თვისებები შეიძლება იყოს მსგავსი ან არამსგავსი, თუმცა გამონაკლისი შემთხვევებიც არსებობს.

მე-60 თავში — „სადაობა“, ლაპარაკია ადგილის ბუნების შესახებ, რაც ანტიკურ ფილოსოფიაში დისკუსიის საგანი იყო. ეს არსებითად არის სივრცის პრობლემა, ვინაიდან არისტოტელეს ადგილის ქვეშ, არსებითად, კონკრეტული სივრცე ესმოდა. სადაობა, ე. ი. ადგილი სამი სახით ვლინდება: ქვე, ზე და გარემო.

61-ე თავში — „ოდენობა“, ანტონი გადმოსცემს არისტოტელეს თვალსაზრისს დროის შესახებ. კერძოდ, ლაპარაკია ფიზიკური დროის სასრულობის შესახებ.

62-ე თავში — „მდებარეობა“, გადმოცემულია არისტოტელეს თვალსაზრისი იმეც რა ანუ ადგილის შესახებ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ არისტოტელემ ადგილის (საერთოდ სივრცის) ცნების პრინციპულად ახალი გაგება შეიმუშავა (იხ. მისი „ფიზიკა“). სივრცე მან გაიგო, როგორც სივრცითი მიმართებების სისტემა. ამის შესაბამისად ადგილიც განსაზღვრა, როგორც სივრცითი მიმართებების ერთობლიობა, ეს იყო სივრცის თანამედროვე (რელატივისტური) გაგების წინამორბედი, რაზეც აინშტაინმაც მიუთითა:

63-ე თავია — „რაა არს ქონება“. ქონება ნიშნავს რაიმეს ქონას ვისმეს მიერ. სიტყვა „ქონება“ რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება. იგი ან გარეშემცველია, („შესამოსელისა მიერ“ შემოსვა ვისმესი). ან გარეშეცული ანუ ვინმეს მიერ ქონებული. შეიძლება სულიერისა და უსულოს „ქონება“. ამ თავის წყაროა იოანე დამასკელი.

64-ე თავის — „ქმნა“, წყარო, სვ. ჯულფელი. მოქმედება ნიშნავს თვისში იყოს მოქმედების მიზეზი, განსხვავებით ვნებისაგან, როდესაც მოქმედების მიზეზი სხვაშია. „ქმნა“ ანუ მოქმედება ორად იყოფა: შემოყვანად და არაშემოყვანად. შემოყვანა მაშინ ვეაქვს,

როდესაც მოქმედს და მოქმედების საგანს შორის ვნება შემოგვაქვს. მაგ., მკვეთელს და „კვეთილს“ შორის კვეთა „შემოუყვანებლად“ მოქმედების შემთხვევაში არაა ვნება. მხილველსა და ხილულს შორისაც არ არის ვნება, რადგან ხილული მხილველისაგან არ იცვლება.

ქმნა შემოყვანითი არის მარტივი (შენებად, მორჩვად) და „შენადგი“ (შედგენილი). მარტივია, როდესაც „არს“, „არა“ შექმნის და ნაქმის ე. ი. მოქმედსა და მოქმედების ობიექტს, შედეგს შორის არაფერი დამატებითი საშუალება არ იხმარება. მაგ., „ბადვა“ და „შობა“.

65-ე თავია — „ვნება“.

რადცა შეუღდგების ქმნასა, ასევე ვნებასაცა“, ამბობს ანტონი ე. ი. ის, რაც ითქმის მოქმედების შესახებ, ითქმის ვნების შესახებაც. ამიტომ ვნების თვისებები მოქმედების თვისებათაგან ძნელი გასარჩევია. ვნება იყოფა არსებითად და შემთხვევითად. არსებითია — მაკეთებელი, მადმერთებელი, შემთხვევითი — მხრწნელი და დამშლეი (მოკვდომა, მოკვეთა). თავის მხრივ, შემთხვევისაებრ ვნება იყოფა შინაგანად (მხიარულება და მწუხარება) და გარეშედ (თქმა, ხედვა, გაგონება). ვნებას ოთხი სახე აქვს: „ყოფად, ხრწნად, შინაგანითი ვნებად და გარეშე ვნებად“. გარეშე ცნებანი — „თქმად“ „ხედვად“, „გაგონებად“.

კატეგორია „ვნების“ დახასიათება მოცემულია იოანე პეტრიწის*. მიხედვით. როგორც მიუთითებს ანტონი: „გონება მზემან და მამამზემან ჩვენმან, იოანე სამღთა ფილოსოფოსმან აღქსნასა შინა პლატონურთა გამოთქმათასა მიხედვით“. პეტრიწის მიხედვით ჩამოთვლილია ვნების 9 თვისება.

66-ე თავში გარჩეულია წინააღმდეგობა, „განრეზომობა“, ანუ „წინამეწყევობა“. წარმოდგენილი მასალის პირველწყაროა არისტოტელეს „კატეგორიების“ მეათე და მეთერთმეტე თავები, ანტონი მას გადმოსცემს იოანე დამასკელის მიხედვით.

„განრეზომები“ (ურთიერთდაპირისპირებულები) ოთხი სახისაა:

1. „რახსამიმართობითი“. ის, რაც არის საგანი, არის დაპირისპირებულთან დამოკიდებულებაში, მასთან მიმართებაში. ასეთი დაპირისპირება არის გარეშესმენითი (შექცევადი) და გულისხმობს დაპირისპირებულ მხარეთა თანაარსებობას. „თან შემოაქუს ურთიერთობად და თან მო-

* ეს შემთხვევითი არაა. „კატეგორიებში“ (და აგრეთვე „მეტაფიზიკაში“) არსების, (სუბსტანციის), რაოდენობის, რახსამიმართისა და ვითარების კატეგორიების გაძღვა, სხვა კატეგორიებზე არისტოტელე მხოლოდ მოიხსენიებს და დაწვრილებით არ აჩვენებს.

სპობს“. ასეთი დაპირისპირების მაგალითებია: მამისა და ძის, ბატონისა და მონის, მთელისა და ნახევრის ურთიერთმიმართება. 2. საკუთრივ „წინამეწყევობა“ — ეს არის საგნის ნიშან-თვისებათა დაპირისპირება. იგი სამგვარი შეიძლება იყოს: უსაშუალო — ორი თვისებოდან ერთ-ერთი აუცილებლად აქვს საგანს და მათ შორის არაფერია საშუალო. მაგალითად, „სიმართლე და სნეულება“. სნეული ან მისი ნაწილი ან მრთელია, ან სნეული, საშუალო მდგომარეობა მას არ შეიძლება ახახიათებდეს; საშუალობითი — მაგალითად, „მხურვალე და გრილი, რომელთა შორის არს უკვე საშუალო რაღვე“, სახელდობრ, ნელთბილი. აღნიშნულ „წინამეწყევთაგან“ ზოგიერთი არ შეიწყნარებს ცვლილებას. მაგალითად, „ცეცხლი მარადის მხურვალ“ და „თოვლი მარადის გრილ“, ზოგიერთი კი შეიძლება იცვლებოდეს, ვითარცა წყალი გათბობისას. ამას უწოდებს ანტონი „წინამეწყევობის“ მესამე სახეს. არც ერთ მათგანს არ ახახიათებს თანაწარმოშობა და თანამოსპობა. აქ, ცხადია, საქმე გვაქვს ლოგიკური დაპირისპირების სახეებთან: საშუალობითია ის დაპირისპირება, რომელსაც ტრადიციულ ლოგიკაში კონტრარობა უწოდეს, ხოლო უსაშუალო — კონტრადიქტორული დაპირისპირება (წინააღმდეგობა). 3. მოკლებითი წინააღმდეგობა. მასზე ლაპარაკი შეიძლება მაშინ, თუ საგანს არა აქვს რომელიღაც თვისება, რომელიც მას უნდა ჰქონდეს. მაგ. მხედველობა „მშვინველის“ — ცოცხალის თვისებაა, „ანაგებ“, და თუ მას იგი არა აქვს, ეს იქნება მოკლება. ამრიგად, სიბრმავე არის მოკლება.

სხეულის თვისების ქონება-მოკლებაზე ვლაპარაკობთ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს თვისება სხეულში აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს. ამის გამოა, რომ არც მგრძობელ ცხოველთ და არც „უორძილო“ არსებებს, რომელთაც არა აქვს მხედველობის უნარი, არ უწოდებენ ბრმას. ეს იგივე არაა. რაც მოკლება და ქონება თვისებისა. ერთმანეთს უპირისპირდება მოკლება და ქონება და არა ის თვისებები, რომლებიც აქვთ ან აკლიათ საგნებს. 4. მეოთხე სახე დაპირისპირებულისა — „წართქმა და უკუთქმა“, ანუ მტკიცება-უარყოფა. მტკიცებაა: „იგი კეთილ არს“, უკუთქმა — „იგი არა კეთილ არს“. ეს ისეთი წინააღმდეგობაა, როდესაც ერთი უარყოფს მეორეს. წართქმა-უკუთქმა (კონტრადიქტორული დაპირისპირება ტრადიციულ ლოგიკაში) არის დაპირისპირება წინადადებებს შორის. ამ დროს წინააღმდეგობის ერთი მხარე იქნება ჭეშმარიტი, მეორე კი არაჭეშმარიტი. ამრიგად, დაპირისპირებულები ქმნიან წინააღმდეგობას; როდესაც მტკიცდება და უარყოფა ერთი და იგივე. ამ წინააღმდეგობებს არა აქვს საშუალო, რადგან

ორიდან ერთი უნდა იყოს. მაგ., სხეულში უნდა იყოს ან ავადმყოფობა, ან მისი საწინააღმდეგო — ჯანმრთელობა. ეს არისტოტელეს ნათქვამია — ამბობს ამ თავის ბოლოში ანტონი.

67-ე თავია — „რად არს მოძრაობა“.

მოძრაობის 6 სახეა ცნობილი. „ქმნაჲ“ — წარმოშობა, „ხრწნაჲ“ — დაშლა, „ორძილი“ — გადიდება (ზრდა), „მოკლება“ — შემცირება, შეცვალება, ცვლილება და გადანაცვლება. პირველწყარო ამ თავისა არის არისტოტელეს „კატეგორიების“ მეთოთხმეტე თავი. თავად ანტონი ასეთ მითითებას აკეთებს: „ესენი უკვე მოძრაობისა გვარნი გარდაიდვა ჩვენ მიერ, ვითა თქვეს გამოთა პერიპატეტიკოსთა და შენ ვეტრფევო სწავლისაო, თუ გინდოდეს უვრცელესადრე მოძრაობისა შესმენად, მიხედვ საღმთოსა მოძღვრისა ჩუჴნისა გარდამოცემულსა კატილორიასა და იხილე ვრცელებულ ადრე თავსა შინა 45“. მაგრამ აქ არანაკლებ მნიშვნელოვანია არისტოტელეს „ფიზიკა“, სადაც მან პირველად მოახდინა მოძრაობის ფორმების კლასიფიკაცია. ანტონის მიერ დასახელებული მოძრაობის ფორმები ზუსტად მისდევს არისტოტელეს კლასიფიკაციას.

68-ე თავი: „უპირველესი“ ეწოდება იმას, რომელიც წინ უსწრებს მეორეს. არისტოტელე ამ ტერმინს ხუთი აზრით ხმარობსო, ამტკიცებს ანტონი: 1. ეამით პირველობა ანუ დროში წინ წასწრება. 2. ბუნებით პირველობა. მშვიინველი ბუნებით წინაა ადამიანზე, ადამიანიც მშვიინველია, მაგრამ „არა ყოველი მშვიინველი არის კაცი“ 3. უპირველესობა წესით. ამ აზრით, პირველია ის, რაც უფრო მეტად შეესაბამება გარკვეულ წესრიგს. ასე, მაგ., გრამატიკაში უპირველესია მარცვალი. 4. პატივით პირველი არხიერის წინ პრესვიტერია. 5. მიზეზობითი უპირველესი, ადამი მიზეზია სეითის, ვინაიდან ადამი არის მიზეზი სეითისა მშობლობით, ესე იგი, უპირველესი არის დროით, ბუნებით, წესით, პატივითა და მიზეზობით. ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაცია არსებითად ეკუთვნის არისტოტელეს („მეტაფიზიკა“, წიგნი მეხუთე [A], თავი მეთერთმეტე); მაგრამ ანტონი მას იღებს დამასკელის „დიალექტიკიდან“. არისტოტელეს ეს კონცეფცია გამოყენებულია აგრეთვე შესაძლებლობისა და სინამდვილის ურთიერთმიმართების დასადგენად (იხ. „მეტაფიზიკა“, წიგნი 1).

69-ე თავში — „რად არს გვარი მყისთანაღობითი“, გარჩეულა არისტოტელეს თვალსაზრისი ერთდროულობის შესახებ. არისტოტელე-

ლე აბსოლუტური დროის ცნებიდან ამოდიოდა და ერთდროულობაჲც ასევე ესმოდა.

„სპეკალის“ 69-ე თავით თავდება I განყოფილების პირველი ნაწილი — მოძღვრება ცნებაზე ანუ „მარტივობება“. გარდა ამისა, იგი შეიცავს მსჯელობას ანტონისათვის საინტერესო რამდენიმე საკითხის: მოძრაობის, წინააღმდეგობის, ბუნების და სხვ. შესახებ. „სპეკალის“ მირველი განყოფილების მეორე ნაწილს ეწოდება „თხზულება ანუ შეთხზვაჲ“, ესე იგი „შეწმასნაი ლექსთთხზვითა, რომელ არს კერძოა მეორე კატილორიათა“.

აქაა ვადმოცემული მოძღვრება მსჯელობაზე. სახელდობრ, 70-ე თავიდან ირჩევა საკითხები, რომლებიც არისტოტელეს „ჭერი ჰერმენეას“ შინაარსს წარმოადგენს. 70-ე თავია — „რაჲ არს შეთხზვაჲ, ესე იგი შეწმასნაჲ ლექსთ თხზვითა“. წინადადება (შეთხზვაჲ) არის სიტყვათა (ხმათა მარტივთა ანუ ლექსთა) შეერთება (შეწმასნაჲ): რათა „წარმოაჩინოს“, გამოხატოს „შინაგან მდებარე სიტყვაჲ“ — სულში არსებული აზრები და წარმოდგენები. სიტყვა ორი სახისაა — შინაგან მდებარე და წარმოჩენილი. სიტყვის მიზანია აზრის გამოთქმა, წარმოჩენა. სიტყვა არის ბევრით წარმოჩენა იმისა, რაც წარმოდგენებში, აზრებში იმყოფება. ბევრა ორი სახისაა: ცოცხალთა მიერ გამოწვეული (ვმა) და არაცოცხალთა მიერ გამოწვეული (არაკვა, საკუთრივ ბგერა) ის, რაც რაიმე შინაარსის მქონეა — „ნიშნოვანი“ და „უნიშნო“ — ცხენის ხეიხინი, ძაღლის ყეფა. ასევე უნიშნოა სიტყვა — იპოკენტავრი, შეთხზული, გამოგონებული სიტყვა. იგი რაღაცას აღნიშნავს, მაგრამ არც ჰეშმარითა და არც მცდარი შინაარსის მქონე, ისევე, როგორც სულში, არის წარმოდგენები, აზრები, რომლებიც არ გამოხატავს არც ჰეშმარტს, არც მცდარს. წარმოჩენა სიტყვების მეშვეობით ხდება. მხოლოდ არსებითი სახელის და ზმნის შეერთება იძლევა აზრს, რომელშიაც არის საგანი და ის, რაც მასზე ითქმება.

71-ე თავში ირჩევა საკითხი — რა არის სახელი. ამ თავის პირველწყაროა არისტოტელეს „განმარტებისათვის“ („ჭერი ჰერმენეას“). მეორე თავი. სახელი არის „კმაჲ შეერთებული და ზედწოდებული და დამნიშვნელი და უყამო და უპიროვნო“, რომლის ნაწილები ცალკე არაფერს არ აღნიშნავენ.

სახელს მნიშვნელობა ეძლევა შეთანხმების ძალით: „არა ბუნებით არიან რაჲვე, არამედ წოდებით“, „ზედწოდებით“. მაგალითად, ავიღოთ „აპოლოს“ (ეთომილის სახელი). რატომ არ უწოდებენ მას

ყველა ენაზე აპოლოს? ქართველები მზეს, სხვები — სხვას ეძახიან მას. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ სახელი პირობით, შეთანხმების საფუძველზე იქმნება და თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სახელი არ იცვლის მნიშვნელობას ბრუნვებში; უყამობით (დროის კატეგორიის უქონლობით) განსხვავდება იგი ზმნისაგან; ალბათ ამ განსხვავებას მიუთითებს აგრეთვე პირის უქონლობა („უპიროვნო“), რაც არისტოტელეს ტექსტში არ გვხვდება. განსხვავდება სახელი სიტყვისგან (речы) და შედგენილი სახელებისგანაც. ესენი იყოფა მნიშვნელობის მქონე სახელებად, მაგალითად, „თვითმობრავი სული“. სახელი ასეთ ნაწილებად არ იყოფა. ან კიდევ: სახელ „პეტრეს“ ნაწილებს „პე“-სა და „ტრე“-ს არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია, თუმცა ზოგჯერ შეიძლება მოხდეს, რომ სახელის ნაწილს ჰქონდეს „ანაზღი“, თვითონ სახელის მნიშვნელობასთან დაუკავშირებელი მნიშვნელობა. ისეთ გამოთქმებს, როგორცაა „არაკაცი“, არისტოტელე სახელს არ უწოდებდაო, ამბობს ანტონი (და ეს მართლაც ასეა). რადგან „არა“-თი მნიშვნელობიდან გამოირიცხება აღამიანი, ხოლო სამაგიეროდ არ არის რაიმე სხვა, გამორჩეულად მითითებული.

72-ე თავის — „რად არა! ზმნაჲ“, პირველწყაროა „განმარტებისათვის“, მესამე თავი.

ზმნა არის „კმაჲ შეერთებული, აღმნიშვნელი რაიმესი, მქონე დროისა და პირისა, რომლის ცალკეულ ნაწილს, მსგავსად სახელისა, არ აქვს არავითარი მნიშვნელობა“. კემარტება და მცდარობა ახასიათებს პირის ნიშნის მქონე ზმნის შეერთებას სახელობით (წრფელობით) ბრუნვაში მდგომ სახელთან: „იოანე არს“, „იოანე არა არს“. მითითებულია წინადადებათა წარმოქმნის სხვა ხერხიც: „ბეჭდის წარტაცებად მოვიდა“. საინტერესოა, რომ, არისტოტელეს კვალად, ანტონი ზმნას მიაწერს კავშირის ფუნქციასაც, რაც ტრადიციულ ლოგიკაში გამოყოფილი იყო კობულის სახით.

73-ე თავი — „რად არს სიტყვაჲ“. ეხება გამომთქმელ სიტყვას, წინადადებას. პირველწყაროა „განმარტებისათვის“, მეოთხე თავი. სიტყვა არის მნიშვნელობის მქონე ბგერათშეერთება, რომლის ნაწილებიც ცალ-ცალკე აღნიშნავენ რაღაცას, მაგრამ აღნიშნავენ, როგორც არისტოტელეს ტექსტშია ნათქვამი, არა როგორც მტკიცებასა და უარყოფას („განმარტებისათვის“, 16 b 26—28).

სიტყვა (წინადადება) არის სრული და არასრული. სრული წინადადება, ამავე დროს, „შამიერიცაა“ — აღნიშნავს დროს „იოსტინონ

არს ფილოსოფოსი“. არასრული შესაძლოა იყოს უქამოც („პეტრე წინამძღვარი მოციქულთა დასისა“) და ჟამიერიც („მიიტყეს მოციქულნი იერუსალიმად“). სიტყვა (წინადადება) არის თხრობითი (გამომაჩინებელი), მაგ., „სული არს ღმერთი“, ბრძანებითი — „წარვედით და მოიმოწაფენი ყოველნი წარმართნი“, საწაღო — „ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნეს უშუქულობანი“, ქვეწყობილი — „უკეთუ ღმერთი იდიდა“. და კითხვითი — „არა გესმაა?“.

74-ე თავი — „რამ არს გამომაჩინებლობა?“ ეხება თხრობით ანუ მამტიკიცებელ წინადადებებს. მასალა აღებულია უშუალოდ ჯულაეციდან, პირველწყაროდ ნაწილობრივ შეიძლება მივიჩნიოთ „განმარტებისათვის“, მეხუთე თავი.

„გამომაჩინებლობა არს სიტყვა აღმოსაჩინო და საქმე რამთვე ვისადადმე წართქმა ანუ უკუთქმა სიცხადის მომცემი ჩვენდა ჭეშმარიტებისა, ანუ სიცრუისა“. არშიაზე ანტონს მიწერილი აქვს: „გამომაჩინებლობა იგი, რომელ შეგულისსიტყვა რამვე ქვემდებარისათვის რამსამე გამოიჩინების წართქმით ანუ უკუთქმით. მაგალითად, „პეტრე ქადაგებს“, „პეტრე არ ქადაგებს“. ამრიგად, „გამომაჩინებლობა“ არის მიწერა (თქმა, მტკიცება) რაიმესი ქვემდებარისათვის, ან არმიწერა, უარყოფა, რაც ხასიათდება როგორც ჭეშმარიტი, ან როგორც მცდარი. თავის ბოლოში მოტანილი განსაზღვრება („ჭეშმარიტებად ესე არს ესე, რომლისა შორის აღმოიჩინების, ვითარმედ არსი არს, ხოლო არარსი არა არს“) ემყარება „მეტაფიზიკას“ (1011 b 26—28). გაშლილთა — „მიყვარს მე“ — არც ჭეშმარიტებაა და არც სიცრუე, ე. ი. არ არის გამომაჩინებლობა.

გამომაჩინებლობა, წინადადება, წინამძღვარი და წინაწყობა ერთსა და იმავეს ნიშნავს, რადგან მათში რაღაცაზე ითქმის (მტკიცდება) რაღაც, ისე როგორც, წინამძღვარი და დანასკვი (ციღურმღგომობა) ერთობლივად ითქმის, როგორც წინამძღვარი. სიტყვა „სული“ მარტივი „კმა“ და არ აღმოაჩენს ჭეშმარიტს და არაჭეშმარიტს. ჭეშმარიტება გამოჩნდება „შეწმასნით ანუ შეთხზვით“ — კავშირში.

75-ე თავი — „რამ არს განწვალება წინადადებისა, რომელი არს შეგულისსიტყვა“, ეხება წინადადებათა (საკითხთა, პრობლემათა) კლასიფიკაციასა და დაპირისპირების (ოპოზიციის) დამოკიდებულებებს მათ შორის. პირველწყარო ამ თავში გადმოცემული მასალისა ძირითადად არის „განმარტებისათვის“, მეშვიდე თავი, თუმცა ანტონს მოყვანილი აქვს უფრო გვიანდელი ცნობებიც.

წინადადებათა კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს გარკვეული „სქემა“. დაყოფა ხდება რამდენიმე ნიშნის, სახელდობრ, კავშირის ხარისხის („არსებითობის“), თვისებრიობის („ვითარების“) და რაოდენობის მიხედვით. თუმცა ყველა ეს დაყოფა გვხვდება არისტოტელთან. თვითონ სქემა მასთან მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი.

არსებითობის მიხედვით, წინადადებები იყოფა შესმენით და ქვედადებთ წინადადებებად. შესმენითი შეიცავს ერთ სუბიექტს (ქვემდებარეს) და ერთ პრედიკატს (შემასმენელს), მაგალითად, „პეტრე არის მწვერვალი მოწაფეთა“. ქვედადებითი კი ეს კომპლატური (შეიცავს რამდენიმე სუბიექტსა და ერთ შემასმენელს) და რთული, მათ შორის პირობითი, წინადადებებია. მაგალითად, „უკეთეს პეტრე არის მწვერვალი მოწაფეთა, მოციქულ არს“. ფაქტობრივად, ეს არის წინადადებების მარტივებად და რთულებად გაყოფა არისტოტელეს მიერ („განმარტებისათვის“, 17 a 20—22).

ვითარების მიხედვით, არსებობს დადებითი (წართქმითი) და უარყოფითი (უკუთქმითი) წინადადებები („ნებთალიმ არს ისრაილ“ და „ნებთალიმ არ არს ისრაილ“), ზოლო რაოდენობის მიხედვით — ზოგადი (ყოვლობითი) და კერძობითი („ყოველი კაცი ქრისტიანე არს“ და „არა ყოველი კაცი ქრისტიანე არს“). ანტონი არსად არ აღნიშნავს, რომ ეს ორი დაყოფა მხოლოდ შესმენით წინადადებებს ეხება.

ვითარებისა და რაოდენობის მიხედვით, ერთდროულად დაყოფა გვაძლევს წინადადებათა ცნობილ, ოთხწევროვან ტრადიციულ კლასიფიკაციას. ზოგადდადებითი — „ყოველი სული თვითმიმდრეკ არს“, ნოკადუარყოფითი — „არავის სული თვითმოძრავ არს“, კერძობითდადებითი — „რომელიმე სული არს თვითმიმდრეკ“ და კერძობითუარყოფითი — „რომელიმე სული არა არს თვითმიმდრეკ“. განმარტავს დაპირისპირების დამოკიდებულებებს მათ შორის. ზოგადდადებითი და ზოგადუარყოფითი წინადადებები ერთმანეთთან არიან დაპირისპირების ანუ კონტრარობის, (წინააღმდეგობილი განმარემზომი) დამოკიდებულებაში, კერძობითდადებითი და კერძობითუარყოფითი წინადადებები — ქვედაპირისპირების ანუ სუბკონტრარობის (ქვე წინააღმდეგობოჲ განრემზომი) დამოკიდებულებაში, ზოლო ზოგადდადებითი და კერძობითუარყოფითი, აგრეთვე ზოგადუარყოფითი და კერძობითდადებითი — წინააღმდეგობის, ანუ კონტრადიქტროობის (საკუთრივ განრემზომი) დამოკიდებულებაში.

კონტრარული და სუბკონტრარული წინადადებები „ერთითა გვა-
რითა განჩემზომობენ“, კონტრადიქტორული დამოკიდებულება კი ორ-
მაგი დაპირისპირებაა („მრჩობლ არს გვართა განჩემზომისათა“), რად-
გან კონტრადიქტორული წინადადებებიდან ერთი ყოველობითა, მეო-
რე — კერძობითი და, ამავე დროს, ერთი წართქმაა, ხოლო მეორე —
უკუთქმა.

ისეთი წინადადებები, როგორცაა „სული არს თვითმოძრაჲ“ და
„სული არა არს თვითმოძრაჲ“, რომლებშიც არაა მინაშნებულნი სუ-
ბიექტის რაოდენობა, არას განსჯივად „განჩემზომნი“. თუ წინადა-
დებაში სუბიექტად აღებულია რაოდენობრივად განსაზღვრული ტერ-
მინი, საკუთარი (განუჭრელი) სახელი ანდა ნაცვალსახელა (სახელ ნაკ-
ლები), მაშინ გვექნება „განჩემული“ დაპირისპირება (განჩემქომობა).
მაგალითად, „მიხაილ არს თვითმოძრაჲ“ და „მიხაილ არა არს თვით-
მოძრაჲ“, „შენ თვითმოძრაჲ ხარ“ და „შენ არა თვითმოძრაჲ ხარ“.

თუ წინადადებაში გვხვდება განუსაზღვრელი (განუჩემველი) ქვემ-
დებარე ან შემასმენელი („არა კაცი“, „არა მართალი“ და ა. შ.), მა-
შინ თვითონაც განუჩემველია, წინააღმდეგ შემთხვევაში, წინადადება
„განჩემულია“.

ანტონი წინადადებებს ყოფს, აგრეთვე: მარტივად და რთულე-
ბად, პრედიკატის (შემასმენლის) სირთულის მიხედვით (ეს არ არის
არსობრივად ზემოთ მითითებული გაყოფა) და ეგზისტენციალურად
(არსებოვანად) და პრედიკაციულობად (გვაროვანად) იმისდა მიხედ-
ვით, დასტურდება ქვემდებარის არსებობა („ცხენა არს“), თუ მას მიე-
წერება რაიმე შემასმენელი („ცხენი არს რაჲსი“ — წაბლისფერი).

76-ე თავში — „რამ არს განჩემზომთა განმართლებად და რამ გან-
ცრუებაჲ“, ანტონი ვადმოგვეცემს განჩემზომი (დაპირისპირებული)
წინადადებების ქვემარტება-მცდარობას პირობებს, ამასთან დაკავ-
შირებით, მოცემულია მოდალურ (აუცილებლობის, შესაძლებლობის,
შეუძლებლობის) წინადადებათა გარკვეული ინტერპრეტაცია და ტრა-
დიციული მოძღვრება ლოგიკურ კვადრატზე. პირველწყაროდ ნაწი-
ლობრივად შეიძლება მიჩნეულ იქნეს „განმარტებისათვის“ მეშვიდე,
მეათე და მეცამეტე თავები.

ქვემდებარესა და შემასმენელს შორის შეიძლება იყოს სამგვარი
მიმართება: როგორც აუცილებელი (საჭირო) — „საჭირო აქვს კაცსა,
რათა იყოს სიტყვიერ“, როგორც შეუძლო — „შეუძლოდ აქვს კაცსა,
რათა იყოს ოქროდ“ და როგორც შესაძლო — „შესაძლოდ აქვს კაცსა,
რათა იყოს მუსიკელ“. თუ ქვემდებარეს აუცილებლობით მიეწერება

შემასმენელი, როგორც 'მაგალითად, სულს თვითმოდრაობა, მაშინ კონტრარული წინადადებებიდან („ყოველი სული არს თვითმიმდრეკ“, „არავინ სული არს თვითმიმდრეკ“) დადებითი (წართქმა) ჭეშმარიტო, ხოლო უარყოფა (უკუთქმა) — მცდარი: ეს ახასიათებს შესაბამის სუბკონტრარულ და განურჩევლად დაპირისპირებულ წინადადებებსაც. თუ ჭეშმადებარე შეუძლებელია იყოს შემასმენელი, მაშინ კონტრარული წინადადებებიდან — „ყოველი თვითმიმდრეკი ოქრო არს“ და „არავინ თვითმიმდრეკი არს ოქრო“ წართქმა მცდარია, ხოლო უკუთქმა — ჭეშმადრიტი. ასევეა სუბკონტრარული („რომელიმე თვითმიმდრეკი არს ოქრო“ და „რომელიმე თვითმიმდრეკი არა არს ოქრო“) და განურჩევლად დაპირისპირებული წინადადებებისათვის. თუ ჭეშმადებარისათვის შესაძლოა შემასმენელი, ორივე კონტრარული წინადადება („ყოველი კაცი არს ეპისკოპოსი“ და „არავინ კაცი არს ეპისკოპოსი“) მცდარია, ხოლო ორივე სუბკონტრარული („რომელიმე კაცი არს მუსიკელ“ და „რომელიმე კაცი არ არს მუსიკელ“) და ორივე განურჩეველი („არს კაცი მუსიკელ“ და „არ არს კაცი მუსიკელ“) არის ჭეშმადრიტი. სამივე განხილულ შემთხვევაში კონტრადიქტორული (საკუთარივე განრემზომი) წინადადებებიდან ერთი ჭეშმადრიტია და მეორე — მცდარი. იგივე ვრცელდება ერთეულ წინადადებებზეც.

შემდეგ ანტონი არჩევს დაპირისპირების საკითხს ისეთ წინადადებებს შორის, რომლებშიც ჭეშმადებარე ომონიმურად, ანუ „სახელმოდგამისაებრ“ (იხ. თავი 49-ე და მისი კომენტარები) არის ნახმარი. ასეთ შემთხვევაში, როგორც ზოგადდადებითი და ზოგადუარყოფითი. ისე დადებითი და უარყოფითი წინადადებები, რომლებშიც ჭეშმადებარე საკუთარი სახელი ან ე. წ. სიტუაციური სიტყვაა, მიუხედავად დაპირისპირებული ფორმისა, შესაძლოა ერთდროულად ჭეშმადრიტი იყოს; „ვითარ იგი „დღეს ცროის“ და არქასა ადგილისათვის ჭეშმადრიტ ეხვ და „დღესა არა ცროის“ — ესეც ჭეშმადრიტ, რამეთუ არა ყოველსა ადგილსა იქმნების ერთად წვიმაჲ ანუ გვაღვაჲ“. ასეთი წინადადებები ფაქტიურად „განრემზომნი“ არ არის.

ანტონი აყალიბებს ლოგიკური კვადრატის წესებს. კონტრადიქტორული (საკუთარივე განრემზომი) და განრჩეული წინადადებებიდან თუ ერთი ჭეშმადრიტია, მეორე მცდარია და პირიქით („და გარე შეისმინებისცა ესე“). კონტრარული (წინააღმდეგო) წინადადებებიდან თუ ერთი ჭეშმადრიტია, მეორე მცდარია, მაგრამ არა პირიქით: თუ ერთი მცდარია, მეორე შეიძლება არ იყოს ჭეშმადრიტი, „რამეთუ თანად გან-

ცრუვდებიან“. სუბკონტრარული (ქვეწინააღმდეგო) და განურჩეველი წინადადებებიდან თუ ერთი მცდარია, მაშინ მეორე ქვეშაირიტია, მაგრამ არა პირიქით: თუ ერთი ქვეშაირიტია, მეორე აუცილებლად არაა მცდარი, „რამეთუ თანად გამართლდებიან“.

თუ გვაქვს თანაქვეშაირიტება და თანამცდარობა, რატომღა ვლაპარაკობთ დაპირისპირებაზე („რადღა ითქმან განრეშომად“)? „თანად ცრუ ყოფად და თანად ქვეშაირიტად ყოფად“ ითქმის მხოლოდ შესაძლებელზე, და არა აუცილებელზე ან შეუძლებელზე.

ბოლოს ანტონი ჩერდება სუბალტენრანსიის (დაქვემდებარების) დამოკიდებულებაზე. კერძობითი წინადადების გამცდარება ამცდარებს ზოგადსაც („ყოვლობითსაც“) — „რომელიმე კაცი არს კანჯარ, ყოველი კაცი არს კანჯარ“, „რომელიმე კაცი არ არს სიტყვიერ, არავინ კაცი არს სიტყვიერ“, რაც იმას ნიშნავს, რომ „რაჟამს ზოგადნი იყუნენ მართალ, აჰა, კერძობითნიცა მართალ. მაგრამ ამ მართების შებრუნება არ შეიძლება, რამეთუ განკრუებდა ყოვლობითისა არ ცრუჰყოფს კერძობითსა, ვითარ „ყოველი ნული ნეტარ, რომელიმე სული ნეტარ“.

უნდა შევნიშნოთ, რომ მოდალური წინადადებები ანტონთან ასერტორულზე დაიყვანება. ასეთი გაგება არისტოტელესთან არა გვაქვს.

77-ე თავში — „რომელნი არიან სწორნი წინადადებანი“, აქტორი აყალიბებს უარყოფითი ნაწილაკის — „არა“-ს შემცველი წინადადებების კატეგორიულ წინადადებებთან ტოლფასობის („სწორ“-ობის) პირობებს. მასალის პირველწყაროა „განმარტებისათვის“ (მეათე თავი). ამოსავლად ანტონი იღებს ტრადიციული ლოგიკიდან მომდინარე მართებულ დებულებას: „არა“ — სიტყვა არღვევს („ხრწნის“) წინადადებას, იგი ყოვლობით (ზოგად) წინადადებას გადააქცევს კერძობითად, დადებითს (წართქმას) — უარყოფითად (უკუთქმად) და პირიქით. ანტონი ცდილობს, ამ ზოგად დებულებას ხორცი შეასხას კონკრეტულ ენობრივ მასალაში. იგი რაოდენობის გამომხატველი ფრაზებისათვის (ყოველი, არავინ, ვინმე, რომელიმე, რაღვე) თავში და ბოლოში „არა“-ს დართვით მიღებული წინადადებების ტოლფასი კატეგორიული წინადადებების ნიმუშებს იძლევა, მაგალითად, „არა ყოველი კაცი წერს“ — „რომელიმე კაცი არ წერს“, „არა არავინ კაცი წერს“ — „რომელიმე კაცი წერს“, „ყოველი კაცი არ წერს“ — „არავინ კაცი წერს“, „ყოველი კაცი წერს“ — „არავინ კაცი არ წერს“, „ყოველი კაცი წერს“ — „არავინ არს კაცი, რომელი არა წერდეს“, „არა ყოველი კაცი არ წერს“ — „რომელიმე

კაცი წერს“. საყურადღებოა, რომ ბოლო ორი წყვილი თანამედროვე კვანტორთა თეორიის მნიშვნელოვან კანონებს გამოხატავს.

78-ე თავში — „რა არს გარემესმენაჲ წინადადებათა“, გადმოცემულია ტრადიციული მოძღვრება კატეგორიულ წინადადებათა უკუქცევის (გარემესმენის) შესახებ. პირველწყარო ამ თავისა არისტოტელეს „პირველი ანალიტიკის“ მეორე თავია. ანტონი ამბობს, რომ არისტოტელემ თქვა: უკუქცევა არის ურთიერთშეცვლა ორი ტერმინის (საზღვრისა) და ერთი და იმავე თვისებრიობის მქონე ორი წინადადების მონაწილეობით. არისტოტელეს ტექსტში ასეთი განსაზღვრება არა გვხვდება და, ამავე დროს, იგი არც არის ზუსტი. ამიტომ ანტონს უხდება დამატებითი შენიშვნების გაკეთება.

უკუქცევაში მონაწილე ორი წინადადება მიიღება ერთიმეორისაგან ქვემდებარისა და შემასმენლის ადგილების ურთიერთშეცვლით. ამ დროს არ იცვლება წინადადებების თვისებრიობა, თუმცა რაოდენობა შეიძლება იცვლებოდეს კიდევ. მაგალითად, წინადადებები „უსხეულო არს სული“ და „სული არს უსხეულო“ არ ქმნიან უკუქცევას, რადგან ორივეში „სული“ არის ქვემდებარე, ხოლო „უსხეულო“ — შემასმენელი და ამიტომ ისინი აგივეობრივი წინადადებებია. ასევე, არ განირჩევა ერთმანეთისაგან წინადადებები „გაბრიილ ახარებს“ და „ახარებს გაბრიილ“. მაგრამ არც წინადადებები — „ყოველი სული არს უსხეულო“ და „არა ყოველი უსხეულო არს სული ქმნის უკუქცევას, რადგან მათ, მართალია, საზიარო ტერმინები აქვს და თანაც „სული“ პირველში არის ქვემდებარე, ხოლო მეორეში — შემასმენელი. არა აქვთ ერთი და იგივე თვისებრიობა — ერთი დადებითია, მეორე კი უარყოფითი (შევიშნოთ, რომ ტექსტში მეორე წინადადება არ არის სწორად ფორმულირებული — „არა ყოველი სული არს სხეულო“, რადგან, ჯერ ერთი, გვექნებოდა სამი ტერმინი „სული“, „უსხეულო“, „სხეული“, ხოლო მეორეც, „სულს“ ორივე წინადადებაში სუბიექტის ადგილი ექნებოდა).

უკუქცევა გამოიყენება („არს საკმარ“) პირველი ფიგურის ოთხ სახეზე (მოდუსზე) სხვა სილოგიზმების დაყვანისათვის („ზედ შემოღება“), მაგრამ დაყვანისათვის შეიძლება მივმართოთ მხოლოდ სწორ („მართალ“) უკუქცევებს. უკუქცევა არ არის მართალი, როდესაც მისი ერთი წინადადება ჭეშმარიტია, მეორე კი ცრუ. მაგალითად, მართალი არ არის კერძობით-უარყოფითი წინადადების უკუქცევა, რასაც ადასტურებს წინადადებათა შემდეგი წყვილი: „რომელიმე კაცი არა არს ასტრონომოს“ და „რომელიმე ასტრონომოსი არა არს კაცი“.

ვარგისი უკუქცევა სამი სახისაა: 1. თვისებითი, 2. „მასვეობითი“, 3. სხვაობითი. თვისებითია ზოგად-უარყოფითი წინადადების უკუქცევა, იგი ისევ ზოგად-უარყოფითი წინადადებაა. მაგალითად, „კაცი არავინ არს ბროლ“ და „არავინ ბროლ არს კაც“. მასვეობითი ანუ იგივეობითია კერძობით-დადებითი წინადადების უკუქცევა, იგი ისევ კერძობით-დადებითი წინადადებაა: „რომელიმე კაცი არს მშვინველ“ — „რომელიმე მშვინველ არს კაც“. სხვაობითი უკუქცევა ახასიათებს ზოგად-დადებით წინადადებას, ზოგად-დადებითი წინადადების უკუქცევა არის კერძობით-დადებითი. მაგალითად, „ყოველი კაცია მშვინველ“ — „რომელიმე მშვინველია კაცი“. ეს უკუქცევა სხვაობითად ითქმის, რადგან ზოგად-დადებითი არ უკუქცევა იგივეობრივად. სხვაობითი უკუქცევისას გვაქვს „თან განმარტლება“ — თუ ზოგად-დადებითი წინადადება ჭეშმარიტია, მაშინ მისი უკუქცევა — კერძობით-დადებითი წინადადებაც ჭეშმარიტია, — მაგრამ არა „თან განცრლება“. შესაძლოა ზოგად-დადებითი წინადადება მცდარი იყოს, ხოლო მისი უკუქცევა — ჭეშმარიტი.

ბოლოს ანტონი საგანგებო ყურადღებას უთმობს უკუქცევის სწორად წარმოების ენობრივ მხარეს. „არავინ ქსული განჭრის დანას“ და „არავინ დანაა განჭრის ქსულს“ — არ არის უკუქცევა, რადგან ორივეში „განჭრაჲ“ არს შესვენოლი“. საკუთრივ უკუქცევა აქ ასეთი უნდა იყოს: „არავინ ქსული განჭრის დანას“ და „არავინ, რომელიცა განჭრის დანას, ქსული არს“. ასეთივე სიფრთხილის დაცვაა საჭირო „მასვეობითი“ (კერძობით-დადებითი წინადადების) უკუქცევის დროს მაგალითად, არ არის უკუქცევა: „რომელიმე მღვდელი არს საკურთხეველსა შინა“ და „რომელიმე საკურთხეველი მღვდელსა შინა“. უკუქცევისას მეორე წინადადება ასეთი უნდა იყოს: „რომელიმე, რომელიცა არს საკურთხეველსა, მღვდელი არს“.

არისტოტელეს თანახმად, ამბობს ანტონი, „საკუთრად გარეშესმენად არის „თანასწორთა“ (ერთმნიშვნელოვანთა) უკუქცევა. მაგალითად, ყოველი კაცი მოცინარ“ და „ყოველი მოცინარი კაც“. სავარაუდოა, რომ ანტონის უშუალო წყაროში აქ ლაპარაკია არა უკუქცევაზე, არამედ ურთიერთშენაცვლებაზე, რაც ტერმინისა და საკუთარი ნიშნისთვისაა დამახასიათებელი.

79-ე თავი — „რომელნი არიან გვაროვანნი წინადადებანი“, იძლევა წინადადებათა კლასიფიკაციას მოდალობის („გვაროვნობის“)

მიხედვით და რთული მოდალური ფრაზების ანალიზს. მასალის პირველწყაროა „განმარტებისათვის“, მეთორმეტე და მეცამეტე თავები.

გვაროვანი წინადადება მიიღება ასერტორული („არსებოვანი“) წინადადებიდან მაგალითად, „კაცი არს თეთრ“) მასში რომელიმე „განჩრევიით“ სიტყვის ჩართვით; ასეთი სიტყვებია „საჭირო“ (აუცილებელი), „შესაძლო“ და „შეუძლო“. ამის შესაბამისად არსებობს სამი სახის წინადადება გვაროვნების მიხედვით. ეს არის ტრადიციული ლოგიკიდან ცნობილი აპოდიქტიკური პრობლემატური და შეუძლებლობის წინადადებები. ასერტორული წინადადება არ შეიძლება მოდალურის უარყოფა იყოს.

თითოეული „განჩრევიით“ სიტყვისა და „არა“-ს კომბინაციით შეიძლება აიგოს ოთხი (სულ თორმეტი) სახის წინადადება: აუცილებლობით არის („საჭირო ყოფად“), არააუცილებლობით არის („არა საჭირო ყოფად“), აუცილებლობით არ არის („საჭირო არყოფად“), არააუცილებლობით არ არის („არა საჭირო არყოფად“). (ზუსტად ასე იწარმოება მოდალურ ფრაზათა ანალოგიური სახეები დანარჩენი ორი გვარისათვის).

ამ თორმეტიდან ზოგიერთი ერთიმეორისაგან გამომდინარეობს („ემდევრებიან... ურთიერთას“) და ამიტომ ერთმანეთის ტოლფასია, ზოგიერთთა შორის კი მხოლოდ ცალმხრივი გამომდინარეობა გვაქვს. მაგალითად, აპოდიქტიკური წინადადებებიდან პრობლემატური გამომდინარეობს, მაგრამ არა პირუკუ („საჭიროსად შედრგინებულ შესაძლოა, მაგრამ არა გარე-მოიქცევის“). ანტონი იძლევა ურთიერთტოლფასი მოდალური ფრაზების ჯგუფებს. ეს ჯგუფები მიღებულია თანამედროვე ლოგიკაშიც:

1. საჭირო ყოფად, არ შესაძლო არყოფად, შეუძლო არყოფად,
2. არ საჭირო ყოფად, შესაძლო არყოფად, არ შეუძლო ყოფად,
3. საჭირო არყოფად, არ შესაძლო ყოფად, შეუძლო ყოფად.

4. არა საჭირო არყოფად. შესაძლო ყოფად, არ შეუძლო ყოფად.

ანტონი მიუთითებს აგრეთვე დაპირისპირების („განჩრევიით“):
დამოკიდებულებებზე მათ შორის.

მე-80 თავში განხილულია „ქვედადებითა“ წინადადებების სახეები, ანუ თუ ვიტყვით, ტრადიციულ ლოგიკაში მიღებული ტერმინოლოგიის გამოყენებით, წინადადებათა სახეები სუბიექტსა და პრედიკატს შორის კავშირის ხასიათის მიხედვით. ეს სახეებია: პირობითი („უკუთუო--

ბითი“), კონიუნქციური („შეწმასენითი“), გაყოფითი ანუ დისიუნქციური („განწვალვითი“) და „ვითარებითი“. პირობითი წინადადება ოთხგვარი შეიძლება იყოს, იმისდა მიხედვით, მისი პირობა და შედეგი წართქმაა (დადებითია) თუ უკუთქმა (უარყოფითი): „უკეთუ ორძილი მოზარდია, მაშასადამე, ცხოველია“, „უკეთუ ორძილი არ მოზარდოა, მაშასადამე, არ ცხოველია“ და „უკეთუ ორძილი არს უმოზარდოა, მაშასადამე ის ცხოველია“ და „უკეთუ ორძილი არ მოზარდია, მაშასადამე, ცხოველია“ (ორაზროვნება რომ თავიდან იქნეს აცილებული ანტონის შესამე მაგალითი ასე უნდა ჩამოყალიბდეს: „უკეთუ ორძილი მოზარდია, მაშასადამე, არ ცხოველია“) „შეწმასენითი“ წინადადება მიიღება ორი წინადადების „და“ — სიტყვით დაკავშირებით: „კაცი სიტყვიერი არს და ლომი უსიტყვეო არს“. „განწვალვითი“ ან (ანუ) კავშირით იწარმოება, მსგავსად ამისა: „არსება არს, ანუ ზედშესრული“. ვითარებითის მაგალითად ანტონი ასახელებს წინადადებას — „რომელი ღრამმატიკოსობს, კელონობს“ (შენიშვნა: უკვე ტრადიციულ ლოგიკაში ცნობილი იყო, რომ ასეთი წინადადებები შეიძლება პირობითი სახითაც წარმოვადგინოთ და ზოგად-დადებითი წინადადებების სახითაც, ამიტომ მას, როგორც წესი, ცალკე არ გამოყოფდნენ).

საყოფადღებოა ანტონის განმარტება იმის თაობაზე. რომ პირობითი წინადადებების ქეშმარიტებისათვის საკმარისია მისი პირობაც („წინამსრბოლი“) და შედეგიც („რომელი სდევს“) მცდარი იყოს, ანდა პირობა იყოს მცდარი, ხოლო შედეგი — ქეშმარიტი. ეს პირობით წინადადებაზე სტოელთაგან მიმდინარე მოძღვრების ნაწილია და მთლიანად შესულია თანამედროვე ლოგიკაში.

მე-80 თავით მთავრდება „სპეკალის“ პირველი განყოფილების მეორე ნაწილი. ამ თავის ბოლოში ანტონი წერს: „ორნი ესე ნაწილნი კატელორიითანი 2 და 3 არა იყუნეს დროთა ჩვენთა ქართულთა ზედა გამათა და სხვათა ენათაგან გარდამოღებაჲ ვაქმნიე ვისმე და დაგლექსენ მანვე კანონსა ზედა ლექსი შეცვალობით და სხვა-გაგვარებულად, მაგრა იგივე კანონი ვიპყრენ არისტოტელისაგანთა მესკოლეთაგანი“.

კატეგორიათა, უფრო სწორად „ორგანონის“, როგორც არისტოტელეს ლოგიკურ ტრაქტატთა კრებულს უწოდებენ, ორი ნაწილი, რომელთა შესახებაც აქ არის ლაპარაკი, წარმოადგენს არისტოტელის თხზულებებს: „ანალიტიკები“ და „ტოპიკა“. ანტონის დროს ეს ნაშრომები ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა. ამიტომ მისი ინიციატივით და მონაწილეობით ითარგმნა სვიმონ ჭულაეცის „დიალექტიკა“, რო-

შელიც შეიცავს არისტოტელეს ამ თხზულებებს შემოკლებული სახით. სწორედ სვ. ჯულაეცის თხზულების მეშვეობით შემოვიდა „სპეკალში“ ეს თხზულებები.

თუ დამასკელის და ამონიოს ერემსის ნაშრომების მეშვეობით ქართველი მკითხველისათვის ცნობილი იყო „სპეკალის“ პირველ განყოფილებაში გადმოცემული ცოდნა, ეს არ ითქმის „ტოპიკასა“ და „ანალიტიკებაზე“.

81-ე თავის — „რად არს სილოგიზმომ, ესე იგი შეკრებაჲ სიტყუათა“, მიზანია „წინჩამოსაგდებელისა“ და სილოგიზმის ცნებების განსაზღვრება, მათი კლასიფიკაცია. სიძნელეს ქმნის ტერმინ „წინჩამოსაგდებელის“ უჩვეულო ხმარება. ჩვეულებრივ, ის იხმარებოდა ბერძნული პროტაზისის ან პრობლემა-ს ქართულ შესატყვისად (ბერძნ. *Πρόβλημα* სიტყვასიტყვით წინ ან ძირს ჩამოგდებას ნიშნავს), რაც დღევანდელი ტერმინოლოგიით უნდა გადმოიცეს, როგორც დებულება, წინამძღვარი, პრობლემა ან, უბრალოდ, წინადადება. შეადარეთ ქართული „სიტყვის ჩამოგდება“, რაც სამსჯელო-სასაუბროდ საკითხის დასმას, გულისხმობს. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ანტონი შემდეგ თავში ხმარობს სიტყვას „შეგულისსიტყვა“, რაც ეთანხმება დ. ჩუბინაშვილის განმარტებასაც.

ამ თავში ტერმინ „წინჩამოსაგდებელს“ ხმარობს ბჰოპის, განსჯის, არგუმენტაციის, დასკვნის მნიშვნელობით. ამას გვაუწყებს პირველივე განსაზღვრება (პირველი აბზაცის დასაწყისი, „წინჩამოსაგდებელი“ არის სიტყვა, რომელშიაც რაიმეთი, რაც ვიცით, შევიცნობთ იმას, რაც არ ვიცით — „რომელითამე საცნოთა იცნობდეს რად უცნოჲ“). მაგალითი: „ყოველი ორძილი ზრდილებითია, ყოველი ზრდილებითი ცხოველია, მაშასადამე, ყოველი ორძილი ცხოველია“. „წინჩამოსაგდებელით“ შემეცნება მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი და უცნოა ანგელოსებისათვის და პირუტყვებისათვის, რადგან ანგელოზები უშუალოდ იმეცნებენ, ცხოველები კი მხოლოდ გრძნობენ და არ აზროვნებენ.

მოცემულია „წინჩამოსაგდებელის“ მიმართ არისტოტელეს ოთხი მიზეზის თეორიის მექანიკური მიყენება.

„წინჩამოსაგდებელზე“ ამბობენ სილოგიზმიად, თუ მასში შეერთებულია საბუთები (სიტყვანი გამომაჩინებლობითნი), „რათა მეცნონ უცნოთა“.

წინამოსაგდებელი აუოფა შინაარსის („მებრ ნიეთისა“) და ფორმის ანუ გვარის („მებრ ნაკვეთისა“) მიხედვით. გვარის მიხედვით წინამოსაგდებელი ოთხი სახისაა. სილოგიზმი, ინდუქცია („ზედ შემოყუანებაჲ“), ენთიმემა („მოკლსიტყვაობაჲ“) და ანალოგია („აღმოჩენაჲ, ესე იგი მაგალითით შემოღებაჲ“). შინაარსის მიხედვით კლასიფიკაცია შემდგომში იქნება მოცემული.

შენიშვნა: როგორც ვხედავთ, შემეცნებით-თეორიული თვალსაზრისით, ანტონთან აქ თითქმის წაშლილია განსხვავება წინამოსაგდებელსა (ბჭობასა, კერძოდ დასკვნასა) და სილოგიზმს შორის. არისტოტელეს განსაზღვრებით, სილოგიზმი არის ბჭობა (დასკვნა). რომელშიც რაიმე დაშვებულიდან აუცილებლობით გამომდინარეობს დაშვებულისაგან განსხვავებული. განსხვავებას გვიჩვენებს სიტყვა „აუცილებელი“. სილოგიზმზე დედუქციური დასკვნაა.

82-ე თავის — „რად არს ხატი პირველი სილოგიზმობაჲ“, პირველწყარო არისტოტელეს „პირველი ანალიტიკის“ პირველი წიგნის მე-4—8 თავებია, მაგრამ მასში შესულია. აგრეთვე, დებულებები შუასაუკუნეების ლოგიკიდან, რომლებმაც ადგილი დაიმკვიდრეს ტრადიციულ ლოგიკაში. ეს, უწინარეს ყოვლისა, სწორი მოღუსების და მათი პირველ ფიგურაზე დაყვანის კოდინფიკაციას ეხება.

დასაწყისში ანტონი იძლევა სილოგიზმის განსაზღვრებას, რომელიც თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს არისტოტელეს ტექსტს (24 b 12 — 20). სილოგიზმი არის (დასკვნა), რომელშიც მიღებული (დაშვებული) წინადადებებიდან („მოწონებითა შეგულისსიტყვათაგან“) იწარმოება სხვა წინადადება, რომელიც მათგან აუცილებლობით გამომდინარეობს („საპიროდ ემდევრების“). პირველ წინადადებებს წანამძღვრები („წინადადებანი“) ეწოდება, ხოლო ბოლოს — დანასკვი („კიდურმდგომობაჲ“).

თუ ბჭობას („წინამოგდებას“) არ ექნება წანამძღვრები („მოწონებითნი წინადადებანი“), არ იქნება დანასკვიც. „შენ კაც ხარ.“ — მხოლოდ ეს ერთი არაა სილოგიზმი. ამავე დროს, დანასკვნი უნდა განსხვავდებოდეს წანამძღვართაგან, რომელთაგან ის აუცილებლობით გამომდინარეობს, რადგან წანამძღვრები დამატკიცებლებია. დანასკვა — დამტკიცებული და ისინი რომ ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდეს, არ გვექნება დამტკიცება.

სილოგიზმში სამი ტერმინისაგან აგებული წინადადებები შედის. მაგალითად: „სილოგიზმში — „ყოველი კაცი მშვინველია, ყოველი მშვინველი არსებაა, მაშასადამე, ყოველი კაცი არსებაა“, ტერმინებია

„კაცი“, და „მშვინველი“. არსება „კაცი“ არის მცირე ტერმინი („უმცროს საზღვარ“), „არსება“ — დიდი, ხოლო „მშვინველი“ — საშუალო.

წანამძღვარი, რომელშიც საშუალო ტერმინი შეუღლებულია („თანწმასნილია“) დიდ ტერმინთან, არის დიდი წანამძღვარი, ხოლო წანამძღვარი, რომელშიც საშუალო ტერმინი შეუღლებულია მცირე ტერმინთან:— მცირე. დიდ და მცირე ტერმინთა „შეწმასნა“ არის დანასკვი, სილოგიზმში პირველ ადგილზე დგას დიდი წანამძღვარი, შემდეგ მცირე. ასე დადგინდა ფილოსოფოსთა მიერ — ამბობს ანტონი. მართლა, ეს თანმმდევრობა არისტოტელესთან არა გვაქვს, იგი გვიან იქნა შემოღებული.

სილოგიზმში სამი ტერმინი, ორი წანამძღვარი და ერთი დანასკვი უნდა იყოს. რადგან სამი ტერმინი სულ სამგვარად შეიძლება „შეიწმასნოს“ ორ წანამძღვარად, გვექნება სამი ფიგურა („ნაკვეთი“) სილოგიზმისა: 1. საშუალო ტერმინი ქვემდებარეა დიდი ტერმინისა და შემასმენელი — მცირესი. 2. საშუალო ტერმინი ორივე წანამძღვარში შემასმენელია, 3. საშუალო ტერმინი ორივეში ქვემდებარეა (მესამე ფიგურის მაგალითად მოტანილია a ai მოდუსის სილოგიზმი). ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შემდგომ ტექსტში, ცალკეული ფიგურების მოდუსების მიმოხილვისას, ეს მოდუსი გამოტოვებულია.

თითოეულ ნაკვეთს აქვს სხვადასხვა მოდუსი („გვარი“) იმისდა მიხედვით, არიან ისინი საყოველთაო თუ კერძო; დადებითი თუ უარყოფითი. მათი რიცხვია 19 (იგულისხმება წანამძღვრებისა და დანასკვის საყოველთაობა-კერძობითობა და უარყოფითობა-დადებითობა).

ჩამოთვლილია მოდუსების სახელები:

1. ბარ-ბა-რა, 2. კე-ლა-რენტ, 3. და-ნი-ილ, 4. ქე-ლი-ქტი, 5. ბა-რა-გილ, 6. კტე-პან-სტე, 7. და-ლი-თიმ, 8. ქაგ-ტეს-ცოლ, 9. ქმი-სელ-ცოლ, 10. კელტ-სა-პერ, 11. კალ-პერ-ნეცს, 12. ქლეს-ი-პოტ, 13. ბაპ-შოშ-ლო, 14. დოლ-გა-ტი, 15. ქელ-ლატ-გო, 16. დიმ-თა-ციმ, 17. და-მი-კირ, 18. ბო-შა-თორ, 19. ქე-სიმ-ზო.

„სპეკალში“, ისევე როგორც, არისტოტელის ორიგინალურ ტექსტში („პირველი ანალიტიკა“, წიგნი პირველი, თავები 1—7), გამოყოფილია სამი ფიგურა, მაგრამ მოდუსები ჩამოთვლილია ოთხი ფიგურისა, როგორც ეს დაკანონდა შუა საუკუნეებში. მოდუსები ჩამოთვლილია შემდეგი მიმდევრობით: I ფიგურის, IV ფიგურის, II ფიგურისა და III ფიგურის მოდუსები.

მეშვიდე აბზაცში მოყვანილი მაგალითის შესატყვისი მოდუსი, რომელსაც ევროპული ტრადიციით Devapti ეწოდება, ჩამოთვლაში არა გვაქვს. მას უნდა ეკავოს № 14. ამ ადგილას ჩანს მოდუსი რაი (დოლატი). ქვემოთ ვნახავთ, რომ ეს არ არის მექანიკური წესდომა და ეტყობა, იმ წყაროდან მოდის, რომლითაც ავტორი სარგებლობდა.

პირველი მარცვალი გვიჩვენებს პირველი წანამძღვრის სახეს, მეორე — მეორისას, მესამე — დანასკვისას, შემდეგი წესით: ყოველ სახელში გვხვდება ოთხი ხმოვანი, ანი და ენი აღნიშნავს დადებით და უარყოფით ზოგად წინადადებებს, ინი და ონი — დადებით და უარყოფით კერძობით წინადადებებს.

I ფიგურა.

I ფიგურაში გაერთიანებულია საკუთრივ I ფიგურისა და IV-ის მოდუსები (ამიტომ ოდნავ შეცვლილიც არის პირველი ფიგურის განსაზღვრება).

პირველ ფიგურას აქვს 9 მოდუსი (მაგალითების ნაცვლად ჩავწერთ სქემებს, მათი ანტონისეული და ევროპული სახელებით).

1. ბარბარა Barbara	$\frac{MaP}{SaM}$	კელურანტს celarent 2	$\frac{MeP}{SaM}$	დანიილ Darrii 3	$\frac{MaP}{SiM}$
	SaP		SeP		SiP
		ძელიკტო Ferio 4	$\frac{MeP}{SiM}$		
			SoP		
IV ბრაგოლ Bramalip	$\frac{MaS}{PaM}$	კტეპანსტე Camenes 6	$\frac{MeS}{PaM}$	დაოთიმ Dimatis 7	$\frac{MaS}{PiM}$
	SiP		SeM		SiP
	ძაგტესოლ Fesaro 8	$\frac{MaS}{PeM}$	ძ მის-ულოდ Fresison 9	$\frac{MiS}{PeM}$	
		SoP		SoP	

IV ფიგურა რომ გააერთიანა I-თან, ავტორმა ადგილები შეუცვალა წანამძღვრებს, ამის გამო აქ ქართული სახელის პირველ მარცვალს შეესატყვისება ევროპული სახელის მეორე მარცვალი, ხოლო მეორეს — პირველი. ამავე დროს, ამით დაარღვია წესი, რომ დიდი წანამძღვარი უნდა იყოს პირველ ადგილზე, ხოლო მცირე — მეორეზე. ამ დარღვევას აღნიშნავს თვითონ ავტორიც.

II ფიგურა კელტასპერ Cesare 10	<u>PeM SaM</u> SeP	კალპესნეც Cainestres 11	<u>PaM SeM</u> SeP	ფ ლესიპოტ Festino 12	<u>PeM SiM</u> SOP
--	---------------------------	-------------------------------	---------------------------	----------------------------	---------------------------

ბაპოზოლო Baroco 13	<u>PaM SoM</u> SoP
--------------------------	---------------------------

III ფიგურა
I4 დაღვატი

რომელიმე კაცი არსებაა ყოველი კაცი მშენიველია რომელიმე მშენიველი არსებაა	სქემა	<u>MiP MaS</u> SiP
---	-------	---------------------------

შენიშვნა: 'სახელი არ ასახავს სქემას. პირველი წანამძღვარი სქემაშია i, ხოლო სახელში!— o. ამავე დროს, მაგალითი e-ა, მაშასადამე, სქემა ემთხვევა ქვემოთ მოყვანილ 16-ს — დიმთაციმს, მაგრამ გამოტოვებულია

Darapti	<u>Map MaS</u> SiP
---------	---------------------------

მაგალითი: მოტანილი მაგალითის პირველ წანამძღვარში („რომელიმე“) უნდა შეიცვალოს „ყოველი“-თ.

15. ფელაპტო Felapton	<u>MeP MaS</u> SoP	დიმთაციმ Disamis	<u>MiP MaS</u> Sip	დამიკირ Datisi 17	<u>MaP MiS</u> Sip
-------------------------	---------------------------	---------------------	---------------------------	-------------------------	---------------------------

ბაშატორ Bocardo	<u>MoP MaP</u> SoP	ფესიმზო Ferison 19	<u>MeP MiS</u> SoP
--------------------	---------------------------	--------------------------	---------------------------

18.

I ფიგურის მოდუსები ბარბარა, კელარენტ, დანიილ და ქელიქტო „არიან მაწარმოებელ და წყარო სხვათა გვართა, რამეთუ სხვანი იგი ყოველნი ამათ ზედა მოსაღებელ არიან“ — რადგან სხვები მათზე დაიყვანება. ეს არისტოტელედან მომდინარე დებულებაა. არისტოტელეს მიხედვით, I ფიგურის მოდუსები სრულყოფილია, დანარჩენებში კი გამომდინარეობს აუცილებლობა. I ფიგურის გამოყენებით

ხდება ნათელი („პირველი ანალიტიკა“, წიგნი პირველი, თავი პირველი და მეშვიდე).

შუა საუკუნეებში სხვა მოდუსების პირველი ფიგურის მოდუსებზე დაყვანის პროცედურა კოდიფიცირებულ იქნა მოდუსების სახელებში. ანტონი იძლევა ამ კოდის ახსნას და ამით — დაყვანის პროცედურის აღწერას.

ყოველი მოდუსის სახელი იწყება ბ, კ, დ, ანდა ფ თანხმოვნით. ეს მიუთითებს, რომ მოცემული მოდუსი უნდა დავიყვანოთ I ფიგურის იმავე თანხმოვნით დაწყებულ მოდუსზე.

მოდუსის სახელში ჩართული თანხმოვნები ს, მ, გ, ც და შ აღწერს დაყვანის პროცედურას („თუ ვითა ზედა შემოიღებინა“). იმ მარცვლის შესატყვისი წინადადება, რომელშიც გვხვდება თანხმოვანი ს, მ ან გ, უნდა უკუიქცეს საკუთრებითად, მასვეობითად, განწვალეობითად (შენიშვნა: 77-ე თავში ანტონი ნაცვლად ტერმინისა — „განწვალეობითი“ უკუქცევა, ხმარობს ტერმინს — „სხვაობითა“). ც დანასკვის შესატყვის მარცვალში მიუთითებს, რომ საჭიროა წანამძღვრების ადგილების შეცვლა („ცვლაჲ“). შ მიუთითებს, რომ ეს მოდუსი, არც უკუქცევით და არც წანამძღვართა ადგილების შეცვლით, არ დაიყვანება პირველ ფიგურაზე („გარემოქცევითა ანუ ცვალებითა არ ზედ შემოიღების“) და საჭიროა შეუძლებელზე დაყვანის მეთოდის გამოყენება („შეუძლოისაჲ შემოხმაჲ“).

შემდეგ ანტონი იძლევა დაყვანის მაგალითებს. სწორედ აქ ჩანს, რამდენად მართებულად ესმის მას დაყვანის პროცედურა — ბა-რა-გილის დაყვანა ბარ-ბა-რა-ზე. არასწორად ესმის დანასკვი უკუქცევის გამოყენება და უკუქცევა „განწვალეობით“. „განწვალეობითი გარე შესმენაა, რათა ყოვლობითი გარე მოიქცეს კერძობითთამი და კერძობითი ყოვლობითთამი“ —! მეორე ნახევარი ამ დებულებისა მცდარია. ამის შედეგად თვითონ მაგალითია გაუგებარი:

	<u>MaS</u> <u>PaM</u>	მაგრამ დანასკვის უკუქცევით მივიღებთ:	<u>MaS</u> <u>PaM</u>
ბარაგილ	SiP		<u>PaS, რაც</u> არის ბარბარა.
ეს დაყვანა ასე უნდა განხორციელდეს:			

<u>MaS</u> <u>PaM</u>		
PaS	ბარბარა უკუქცევა განწვალეობით	SiP

ასევე არასწორად არის განმარტებული კტე-პან-სტე-ს დაყვანა კე-ლა-რენტზ-ზე („სანი აჩვენებს, ვითარმედ ჩემი შეგულისსიტყვაჲ გარე მოაქციეო საკუთრებისისაებრ და მაშინ იქნას კე-ლა-რენტ გვარად“). კტე-პან-სტე-ში კი არ უნდა უქუვაქციოთ დანასკვი, არამედ წანამძღვრებიდან კე-ლა-რენტით უნდა გავაკეთოთ დასკვნა PeS, შემდეგ ეს უქუვაქციოთ საკუთრებითად და ამით მივიღებთ საჭირო დანასკვს SeP-ს.

ასევე უნდა გავიგოთ მოყვანილი მაგალითი და-ლი-თიმ-ის და-ყვანისა და-ნი-ილ-ზე. ზოგადი შენიშვნა 5—9 მოდუსებზე. თუ IV ფიგურა განიხილება დამოუკიდებლად, მაშინ 5—9 მოდუსებში წანამძღვრების მიმდევრობა შებრუნებულია და I ფიგურაზე დაყვანისას ყოველთვის საჭიროა წანამძღვართა გადასმა, რაც კლასიფიცირებულია ანტონთან ცანით.

ჭაგ-ტეს-ცოლ-ის დაყვანა ქე-ლი-ქტო-ზე: ჯერ უნდა შესრულდეს გ და ს მითითებები, ხოლო შემდეგ:

V	MaS
—	PeM
—	—
SiM	გ
MeP	ს
MeP	ც
MeP	v
SiM	
—	
Sop	

ქ ე-ლი-ქტო.

ასეთი თანმიმდევრობის დაცვა არაა აუცილებელი: შესაძლოა, ჯერ წანამძღვრებს შევეუცვალოთ ადგილები და შემდეგ ჩავატაროთ უქუქცივები.

ახლა შინის შესახებ. ავიღოთ იმ წანამძღვრის კონტრადიქტორული, რომლის აღმნიშვნელ მარცვალშიც ზის შ და აგრეთვე დანასკვის კონტრადიქტორული „განრემზომი“ და შევეუცვალოთ მათ ადგილები, მივიღებთ დასკვნას I ფიგურის ბარ-ბა-რა-თი და ეს (იხილავს ბაპ-შოშ-ლო-ს მაგალითს), არა მხოლოდ არაქეშმარიტი, არამედ შეუძლებელი იქნება.

ბოლო ეტაპი პროცედურისა არასწორად არის ახსნილი:

PaM	ბაპშოშლო	გვინდა ვაჩვენოთ მისი სისწორე	ბარბარას
—	Som	და შეუძლებელზე დაყვანიო.	
—	—		
Sop			

ავიღოთ დანასკვის კონტრადიქტორული (რატომ? იმიტომ, რომ დანასკვი თუ არ გამომდინარეობს წანამძღვრებიდან, მაშინ ხომ მისი საწინააღმდეგო თავსებადი იქნება წანამძღვრებთან) პირველი წანა-

მძღვრიდან და დანასკვის კონტრადიქტორულიდან $\begin{matrix} PaM \\ SaP \end{matrix}$ გამოდის

დანასკვი SaM, რაც მეორე წანამძღვრის კონტრადიქტორულია. შეუძლებელია, SaM და SoM ერთად ჰეშმარიტი იყოს. მაშასადამე, დანასკვი კონტრადიქტორული არ არის წანამძღვრებთან თავსებადი და, მაშასადამე, მათგან გამომდინარეობს SOP. შ მიუთითებს, რომელ წანამძღვართან გვექნება წინააღმდეგობა.

თუკი აღწერილი კოდიფიკაციის მიხედვით გადავამოწმებთ ყველა მოდუსის დაყვანას, დავინახავთ, რომ მე-10 მოდუსში (II ფიგურა) სანი ეკუთვნის პირველ მარცვალს და მისი სახელი უნდა იწერებოდეს, როგორც კელტს-ა-პერ და არა როგორც — კელტს-სა-პერ. ასევე, მე-15 მოდუსში განი ეკუთვნის მეორე მარცვალს და მისი სახელია ჭელ-ლატ-ო და არა ჭელ-ლატ-გო.

ახლა რაც შეეხება მე-14 მოდუსს. გამოტოვებულია III ფიგურის მოდუსი aai (ლათ. სახელი Darapti) ტექსტში მოტანილ სახელში ონის ნაცვლად დაეწერთ ანს, მივიღებთ დალ-გა-ტს, ასეთ შემთხვევაში განი ზუსტად მიუთითებს დაყვანის პროცედურას:

MaP	
MaS	განწვალებითი უკუქცევა
SiM	
SiP	დანიილ (როგორც მიუთითებს პირველი ასო).

მაგალითში სხვა შეცდომაა, მაგრამ ისიც იოლად სწორდება. პირველი წანამძღვარი უნდა იყოს: „ყოველი კაცი არსებაა“.

მე-19 მოდუსს არ შეიძლება დაემატოს არც ერთი სხვა. ავას ცხადყოფს წესები („კანუნნი“). არის კანონები, საერთო ყველა ფიგურისათვის — „ზიარებულთა კანუნნი“ — სილოგიზმის ზოგადი წესები და „კანუნები“ თითოეული ფიგურისათვის — „მხოლოდობითი კანუნი“ — სპეციალური წესები ცალკეული ფიგურებისათვის.

ზოგადი წესი I („ზიარებულთა პირველი კანუნი“) — მხოლოდ კერძობითი წანამძღვრებიდან დანასკვი არ გამოდის („შეუძლებლობაა სილოგიზმოთა“).

ამასთან დაკავშირებით, ანტონი იძლევა ძალიან მნიშვნელოვან განმარტებას: „რომელიცა ყოველსა შორის ჰეშმარიტ იყოს, იგი სი-

ლოჯიზმისამებრ კანუნისა იქმნების, ხოლო რომელიც რავეცგან თუ ჭეშმარიტ და არა ყოველსა ადგილსა, იგი არ არს სილოჯიზმოდ“. ანუ თუ მოდუსი ტერმინთა რომელიმე მნიშვნელობისათვის გამოვიდა ისეთი. რომ წანამძღვრები ჭეშმარიტია, ხოლო დანასკვი მცდარი, მაშინ ამ სახის სილოჯიზმი არ არსებობს.

პირველი წესისათვის დამადასტურებელია მაგალითი: „რომელიმე მშვინველი ლომია, რომელიმე კაცი მშვინველია“, მაშასადამე, რომელიმე კაცი ლომია“.

მე-2 წესი — მხოლოდ უარყოფითი წანამძღვრებიდან „შეუძლოა არს სილოჯიზმოდ“.

მე-3 წესი — თუ ერთ-ერთი წანამძღვარი კერძობითია, მაშინ დანასკვიც კერძობითია.

მე-4 წესი — თუ ერთ-ერთი წანამძღვარი უარყოფითია, მაშინ დანასკვიც უარყოფითია.

მე-5 წესი — „რამეთუ საშუალ მყოფ არ დადებად არს კიდურ-მდგომობად“ — საშუალო ტერმინი არ შედის დანასკვში (?) საშუალო ტერმინისა და დანასკვის ურთიერთობას ეხება, მაგრამ შინაარსი გაუგებარია. მაგალითები ისეა კონსტრუირებული, რომ წესის ასეთი დამტკიცებისათვის საჭიროა ბევრი შემთხვევის გათვალისწინება: ყოველგვარი კომბინაციები კერძობითებისა სამივე ფიგურაში, ყოველგვარი კომბინაციები უარყოფითებისა ოთხივე ფიგურაში და ა. შ.

სპეციალური წესები:

I ფიგურისა

I წესი მცირე წანამძღვარი უნდა იყოს („ღირს, რათა იყოს“), დადებითი.

მე-2 წესი: (დიდი) წანამძღვარი უნდა იყოს ყოვლობითი.

II ფიგურას აქვს 2 წესი.

I წესი დიდი წანამძღვარი უნდა იყოს ყოვლობითი.

მე-2 წესი ერთ-ერთი წანამძღვარი უნდა იყოს უარყოფითი.

III ფიგურასაც აქვს ორი წესი.

I წესი მცირე წანამძღვარი უნდა იყოს დადებითი.

მე-2 წესი დანასკვი უნდა იყოს კერძობითი.

შენიშვნები წესების შესახებ:

1. სწორი არ არის, რომ მე-19 მოდუსს არ შეიძლება დაემატოს. არც ერთი სხვა და ამას ამტკიცებს წესებით. ე. წ. შესუსტებული მოდუსები არ შედის მე-19-ში. მათი ჩათვლით სწორი მოდუსების რიცხვი არის 24.

2. ზოგადი წესები ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ სპეციალური წესები მათგან ჭამომდინარეობდეს, აქ კი ასე არა გვაქვს.

83-ე თავია — „რამ არს გვაროვანი სილოგიზმია?“

წინა თავში აღწერილი სილოგიზმები შედგება ასერტორული („არსებოვანი“) წინადადებებისგან. სილოგიზმი შეიძლება შეიცავდეს მოდალურ („გვაროვან“) წინადადებასაც. მაგალითად. თუ რაიმე აუცილებელია („საჭიროა“), მაშინ შესაძლოც არას, ხოლო თუ რაიმე შეუძლებელია, მაშინ ის არ არის აუცილებლობით. შეიძლება სილოგიზმი შეიცავდეს ასერტორულ და მოდალურ წანამძღვრებს ერთდროულად. მაგალითად: ყოველი ორძილი აუცილებლობით არას ცხოველი; ყოველი ორძილი არის ზრდილებითი — ყოველი ორძილი აუცილებლობით არის ცხოველი. ეს არის მოდლობითი სილოგიზმი.

მოდალური სილოგიზმის თეორია მოდის არისტოტელედან („პირველი ანალიტიკა“, წიგნი პირველი, თავები 8—22). სირთულის გამო, ტრადიციულ ლოგიკაში ვერ დაიმკვიდრა ადგილი, მოყვანილი მაგალითი სწორი არ არის: ჯერ ერთი, დანასკვი იმეორებს წანამძღვრებს (ე. ი. მეორე წანამძღვარი ზედმეტია). მოცემული წანამძღვრებიდან კი დანასკვი უნდა იყოს „რომელიმე ზრდილებითი აუცილებლობით არის ცხოველი“ („პირველი ანალიტიკა“ წიგნი პირველი, თავი მე-თერთმეტე).

84-ე თავი — „რამ არს ქვედადებითი სილოგიზმია და რამ არიან კავშირნი ლექსთან რომელნიმე?“ — ეხება რთულ სილოგიზმებს. ანტონი იძლევა ტრადიციულ ლოგიკაში ცნობილ კლასიფიკაციას ხარვეზებით, ეს, ცხადია, მისი უშუალო წყაროს ბრალია.

1. „უკეთურობით“ ანუ თუმცაობითი სილოგიზმი (პირობითი სილოგიზმი) მოაქვს პირობით-კატეგორიულ სილოგიზმის ე. წ. მოდუსს. პონენსის მაგალითი:

თუ A, მაშინ B

A

მაშასადამე, B

2. „შეწმასენითი“ სილოგიზმი (გავიხსენოთ, რომ „შეწმასენითი“ წინადადებები ეს კონიუნქტიური წინადადებებია):

- a) $\frac{S_1 \text{ არის არის } P_1 \text{ და } S_2 \text{ არის } P_2 \text{ და } P_1 \text{ და } P_2 \text{ არის } Q}{\text{მაშასადამე, } S_1 \text{ და } S_2 \text{ არის } Q}$
- b) $\frac{S_1 \text{ არის } P_1 \text{ და } S_2 \text{ არის } P_2; P_2 \text{ არ არის } P_2}{\text{მაშასადამე } S_1 \text{ არ არის } S_2}$

3. განწვალებითი“ სილოგიზმი (გაყოფითი სილოგიზმი)

$$\frac{S_1 \text{ არის } P \text{ ან } Q; S_2 \text{ არ არის } P}{\text{მაშასადამე } S_2 \text{ არის } Q}$$

აკლია წანამძღვარი S_2 არის S_1

4. ვნებითი სილოგიზმი

ყოველი, ვისაც სურს სწავლა, უნდა იყოს მორჩილი
შენ გსურს სწავლა
მაშასადამე, უნდა იყო მორჩილი

ეს პირობით-კატეგორიული სილოგიზმია, რომლის ერთი წანამძღვარი და დანასკვი იმპერატიული წინადადებებია (დღეს ასეთი დანასკვები დეონტიურ ლოგიკაში შეისწავლება).

85-ე თავი — „რამ არს ზედშემოყვანა, ესე იგი გვარი 2 წინაჩამოსაგდებელისა“ — იძლევა ინდუქციის ზოგად დახასიათებას, როგორც ეს მიღებული იყო ტრადიციულ ლოგიკაში არისტოტელედან. „გედშემოყვანა“ — აქ ინდუქცია (ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობით: ლათ. ინდუქცია — დაყვანა).

„ზედშემოყვანა“ არის დასკვნა, რომელშიც მრავალი კერძობითი წანამძღვარიდან გამოიყვანება ერთი ზოგადი დანასკვი.

იოანე მანსური არს მუსიკელი
კოზმაე არს მუსიკელ
გერმანოს მამამთავარი არის მუსიკელ
მაშასადამე, ყოველი კაცის არს მუსიკელ

მაგრამ აქ სიფრთხილეა საჭირო. არ უნდა მივიღოთ დასკვნა, თუკი არსებობს დამარღვეველი, კერძო შემთხვევა. მაგალითს ანტონი არასწორად აყალიბებს. უნდა იყოს ასე:

ცხენი უსიტყვია
ძროხა უსიტყვია
ქურციკი უსიტყვია
და ა. შ.

მაშასადამე, ყოველი მშვინველი არის უსიტყვი. ასეთა „ზედშემოყვანა“ არ ვარგა, რადგან გვაქვს შემთხვევა — „კაცი არის უსიტყვი. მშვინველი, მაგრამ არა უსიტყვი“. მეორე გამაფრთხილებელი მაგალითი ეხება არა ინდუქციას, არამედ ანალოგიას.

86-ე თავია — „რამ არს მოკლსიტყვაობა, ესე იგი გვარი 3 წინაჩამოსაგდებელისა“.

„მოკლსიტყვაობა“ (ანუ ენთიმემა) განმარტებულია, როგორც „წინ-წამოსაგდებელი“, რომელშიც გამოტოვებულია დანასკვი.

87-ე თავი — „რად არს აღმოჩენაჲ“, ე. ი. გვარი 4-წინჩამოსაგ-დებელისა „აღმოჩენა-ანალოგიას. დასკვნა ანალოგიის საფუძველზე. აღ-მოჩენა არის „მაგალითით შემოღება“, რომელშიც „სწორი რა(მ) სწორისამებრ“ დადგინდება.

დასკვნაში, ანალოგიის საფუძველზე, კერძობითიდან გადავდი-ვართ კერძობითზე. ასეთი გადასვლა ყოველთვის არ გვაძლევს ქეშმა-რიტ შედეგს.

„ხედშემოყვანა“, „მოკლსიტყვაობა“ და აღმოჩენა „არასრულნი სილოგიზმონი“ არიან. ყოველი მათგანი დაიყვანება სრულ სილოგიზ-მზე.

ეს თვალსაზრისი, თუმცა არასწორი, მაინც იყო გავრცელებული ტრადიციულ ლოგიკაში. მხოლოდ ენთიმემის დაყვანაა სწორად გაკე-თებული.

88-ე თავი — „რანი არიან გვარნი წინჩამოსაგდებელისანი“ — წარმოვედგენს ბჰობის (განსჯის) სახეებს, შინაარსის მიხედვით.

პერაპატეტიკოსთა თანახმად, ამბობს ანტონი, ბჰობის მასალა — მატერია წინადადებებია („ნივთი წინჩამოსაგდებელისა არიანო შეგუ-ლისსიტყვანი“), ისინი. თავის მხრივ, როგორც წინა თავებში ითქვა, სამი სახისაა: აპოდინქტიკური ანუ აუცილებელი („საჭირო“), პრობ-ლემატური („შესაძლო“) და შეუძლებელი. მასალის მიხედვით, სამ სახეს არჩევენ: დასაბუთებითს („აღჩენითი“, ბერძნ. აპოდექსის), რომელიც აუცილებელი დებულებებიდან არის „ნაწყობი ანუ ნაშა-დი“, დიალექტიკურს („მართლსიტყვაობითს“), „შესაძლოთაჲან, რო-მელიცა დაიმზადა“ და სოფისტურს („სიბრძნეობითს“), რომელიც არის „შეუძლოთაჲან მზადებული“ (ბოლო მათგანში შესაძლოა არისტო-ტელური ერისტიკული დასკვნები იგულისხმებოდეს).

დასაბუთებითი ბჰობის განსაზღვრებისას ზუსტად არის განმეო-რებული არისტოტელეს დებულება „მეორე ანალიტიკიდან“ (73 a 23—24). მაგრამ სქემატურად უფრო ახლომდგომი ტექტი არისტო-ტელესი, არის „ტოპიკის“ პირველი წიგნის პირველი თავი, სადაც იგი დიალექტიკურ და ერისტიკულ დასკვნებს დასაბუთებით ახასია-თებს.

სრულიად სხვა მნიშვნელობით არის ნახმარი სიტყვა „დიალექ-ტიკა“ ამ თავის ბოლოში. ანტონი აქ ლაპარაკობს დიალექტიკაზე, რო-გორც ფილოსოფიის ნაწილზე.

89-ე თავია — „რა არის ფილოსოფია, რა არის და რით განსხვავდება მისგან დიალექტიკა ანუ მართლსიტყვაობა და რატომ ეწოდება მცირე ნაწილი და არა ნაწილი ფილოსოფიისა“.

არავის შეუძლია ფილოსოფიის რაობის განმარტება, აღწერა ერთი გამოთქმით. ზოგიერთი განსაზღვრებანი არ არიან საფუძვლიანნი და არცა ვთვლით მათ ასეთად⁷, ზოგიერთი კი ასეთადაა მიჩნეული სარწმუნოებრივი მოსაზრებით, მაგალითად, „წმიდათასა ქცევასა ანგელოზებრსა, „შიშსა უფლისა“ ან „წვრთასა სიკუდილისა“ უწოდებენ სიბრძნის მოყვარებასა ანუ ფილოსოფიას.

აქ გამომადგა ამონიოს ერმისი, რომელმაც მოგვანწოდა ფილოსოფიის ბევრი განსაზღვრებაო — ამბობს ანტონი და უმატებს რომ პრავალმა მრავალგზის განსაზღვრა ფილოსოფია, მაგრამ მათგან მხოლოდ რამდენიმე შეიძლება იქნეს გაზიარებული. მათგან ორი ფილოსოფიას განსაზღვრავს საგნის („ქვემდებარისაგან“) მიხედვით, ორი მიზნის („დასასრულისაგან“) მიხედვით და ერთი — „ხესთაღმატებულებასაგან“.

1. ფილოსოფია არის „მყოფთმეცნიერებაჲ“. ფილოსოფიის საგანია ყოფნა, არსებობა, მაგრამ ყველა არსებული არ არის ფილოსოფიის საგანი, ფილოსოფიის საგანი ზოგადს ეხება, არსებობას საერთოდ. ხოლო სხვა მეცნიერებანი მყოფის კერძობითს — ცალკეულ მხარეებს იხილავს. „არა ყოველთა არსთა არიან მეცნიერებანი, არამედ კერძობითთა რომელთამე“, არსებითად ეს განსაზღვრება მოდის არისტოტელედან, რომელიც პირველ ფილოსოფიას ანუ მეტაფიზიკას ახასიათებს, როგორც მეცნიერებას არსებულის, როგორც ასეთის შესახებ („მეტაფიზიკა“, 1003 a 22—23).

2. პლატონის განსაზღვრებით, „ფილოსოფია არს მეცნიერება საღმთთა და კაცობრივთა საქმეთა“, ე. ი. ფილოსოფია არის მეცნიერება ზეციური და ადამიანური საგნების შესახებ, ე. ი. ერთი მხრივ, მარადიულის, მეორე მხრივ, ხრწნას და ქმნას დამორჩილებულის შესახებ. ორივეს სწავლობს ფილოსოფია. ემსახურება რა ადამიანურს, არ უკუაგდებს ზეციურს, და პირიქით, მისდევს რა ზეციურს, ფილო-

7 ს. ჭულაეცის წიგნში ამ აღვილას მითითებულია: „დავითისამებრ ვიტყოდეთ“ — მითითება დავით უძლეველის წიგნზე „განსაზღვრებანი ფილოსოფიისანი“ „ვითარედ სიბრძნისა მოყვარება არა წარიწერების ერთისა სიტყვითა, მით, რომელ მრავლნი არიან ცხოვრებანი, რომელნი არა არიან მეცნიერებანი და არცაღა მეცნიერებანი“.

წოფია სწავლობს მისგან, ხოლო ადამიანს აწესრიგებს და სრულქმნილს ხდის.

3. განსაზღვრება „დასასრულისაგან“, ე. ი. მიზნის მიხედვით: „ფილოსოფია არს მსგავსებად ღვთისა, რაოდენ ძალუცს კაცსა“ — პლატონის განსაზღვრებაა. ფილოსოფია განმარტებულია, როგორც ადამიანის მისწრაფება ღმერთთან მსგავსებისკენ — რათა „პნებავს მხედველ-ყოფაჲცა ყოვლთაჲ“, მაგრამ ეს ხდება ადამიანის შესაძლებლობის ფარგლებში. ეს დამატება: „ძალ-უცს კაცსა“ — „ძალისა-ებრ კაცისა“ ფრიად მნიშვნელოვანია. ფილოსოფოსს სურს ყველაფრის ცოდნა, მომავლის „წინგაგებულისაც“. ფილოსოფოსი მსაჭულობს და კანონებს ადგენს, მიისწრაფის სრულყოფისაკენ, მაგრამ მისი შესაძლებლობანი შეზღუდულია. როგორ შეიძლება ღმერთის ძალის და ადამიანის შედარება. „სადა უყვარს მსგავსებად მზესა მას ქუჭმთრევეთა კაცთა“. სხვადასხვაა ღმერთისა და ადამიანისა არსება. ხოლო თუ არსება სხვადასხვაგვარია, მაშინ განსხვავებულია მათი „სრულებაც“ — მიზანი, რომელიც მათში ხორციელდება. „რამეთუ რომელთანი არსებანი განყოფილ, მათნი სრულებანიცა განყოფილ არიან“. ასევე „განყოფილი“ — განსხვავებული აქვს ბუნება კაცს და ცხენს, რადგან კაცის „სრულება“ — არსება არის სიტყვა და ცნობიერება („ცნობის სიცოცხლე“) ცხენისა — სირბილი, მით უფრო დადია განსხვავება ღმერთის და ადამიანის ბუნებას შორის. ამიტომ ერთვის განსაზღვრებას „რაოდენ ძალ უც კაცსა“.

4. ფილოსოფია არს წურთაჲ სიკუდილია“ — ამბობს პლატონი „ფედონში“. აქ აუცილებელია განიმარტოს. თუ რას ნიშნავს სწავლება („წურთვაჲ“) სიკუდილისა, ამბობს ანპონი. პირდაპირი მნაშენელობით მისი გაგება არ შეიძლება, როგორც ეს მოუვიდა ვინმე კლეომერტს, რომელიც „აღსრულებად ამისა“ მალალი კედლიდან გადმოვარდა. ხორცი საპყრობილეა სულისათვის. ამბობს პლატონი, მაგრამ მისგან გასვლა, ე. ი. ჩვეულებრივი სიკვდილი, ჰგავს პატიმრობამისჯილი ადამიანის საპყრობილედან გაპარვას და ამით მის მიერ კანონის დარღვევას. ადამიანი, რომელიც ცდილობს გაექცეს სხეულის საპყრობილეს და იკლავს თავს, არღვევს განგებინ მიერ დაწესებულ კანონს. „არა ჯერ-არს უკვე მკვლელ თავისა ყოფაჲ“, ასკენის ანტონი. ადამიანი სულისა და ხორცის ნაზავია და ორმაგი აქვს ბორკილიც („მრჩობლი არს საკრველიცა“) მის სულს. ერთია ბუნებრივი კავშირი სულისა ხორცთან, რის გამოც ადამიანს აქვს სიცოცხლე, მეორეა ნებაყოფლობითი ბორკილი („წინააღრჩევითი საკრველი“), რომლის

გამო სული ემონება სხეულს. ამიტომ დახსნა სულისა ორგვარად არის: წესაძლებელი. სიკვდილი ორგვარია: ბუნებითი სიკვდილი, „რომლისაებრ ყოველი კაცი მოკვდება“ და „განაზრახი“ (წინააღმდეგობით), „რომლისაებრ ფილოსოფოსნი იწურთნიან განშორებასა სულისასა სხეულისაგან“ — ხორცის დაძლევა, მისი მონობისაგან გათავისუფლება. ეს შეესაბამება ფილოსოფიის საგანსა და მიზნებს. ფილოსოფიას ორმაგი მიზანი აქვს — თეორიული („მხედველობითი“) და პრაქტიკული („მოქმედებითი“). როდესაც ფილოსოფიას განსაზღვრავენ, როგორც „წურთაჲს სიკვდილისა“, ფილოსოფიის პრაქტიკული მიზანი აქვთ მხედველობაში. მაგრამ ამ მიზნის მიღწევისას ის თავისუფლდება თეორიისათვის.

5. არისტოტელე, ამბობს ანტონი, ფილოსოფიის სხვა განსაზღვრებასაც იძლევა. ფილოსოფია არის ხელოვნების ხელოვნება და მეცნიერების მეცნიერება („ზედმიწვევულობაჲ ზედმიწვევულობათა“). ასე გაგებული ფილოსოფია იყოფა თეორიულ („ხედვითად“) და პრაქტიკულ („საქმითად“) ნაწილებად, რადგანაც ზოგი რამ, მაგალითად, „ცნობაჲ თავისა თვისისა“ მხოლოდ მეცნიერების კვლევის საგანია, ზოგი რამ კი, მაგალითად, გულმოდგინება-სიბეჭითე (ცნობაჲ მოსწრაფებისა“) როგორც მეცნიერების, ისე მოქმედებისა. ან შეისწავლება როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად.

თეორიული ფილოსოფია იყოფა „ფიზიკად და ლოჯიკად და მეთეფიზიკად“. პრაქტიკულ ფილოსოფიაში „პირველი არს ქცევითი, რომელთა იქმნების მორთულობაჲ და შეწყვენაჲ ყოფისა ქალაქთა და გოდოლთა და სახლთა“ (არქიტექტურა?). ყოფენ აგრეთვე ფილოსოფიას „ფიზიკად, ლოჯიკად, მყოფობითად და მეტაფიზიკად“, რომელსაც. პლატონიდან დაწყებული, თეოლოგიასაც უწოდებენ. „ლოჯიკაჲ ასწავებს სიტყვასა წარმოჩენილსა“ (ე. ი. დასაბუთებას, არგუმენტაციას). მისი ნაწილებია („ამათაგანი, რომელ არიან“) გრამატიკა, დიალექტიკა, რიტორიკა და განმსჯელობითი. („მყოფობითი“, ესე იგი ცხოვრებითი ფილოსოფია იკვლევს „მოსწრაფებასა, ესე იგი სათნოებას“ (ეთიკა).

ფიზიკა და მეტაფიზიკა სწავლობს ბუნებას, მაგრამ სხვადასხვაგვარად: ფიზიკა — სხეულთა გრძნობად მხარეს, მეტაფიზიკა — გრძნობად სხეულთა ზოგად არსებას. ფიზიკა არსებულს ყოფს ხორცად და სულად, მეტაფიზიკა — ინდივიდუალად და მათში რეალიზებულ ზოგადად (იდეად) — („რომელნი თვის შორის აღმოსარულებენ სიტყვასა ყოველობითისასა“). ფიზიკა გვასწავლის, რომ სხეულებში ოთხი რამაა.

დაკავშირებული ერთმანეთთან: მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი, მაგრამ არ გვიჩვენებს მიზეზს ამისას, არ გვიჩვენებს, თუ „რახსათვის ოთხთა კავშირთა არც მეტ და არც ნაკლებ არს სხვა შემწყობ მათი“. მეტაფიზიკა იძლევა ამ მიზეზის ახსნას, როგორც ეს გვასწავლეს პლატონმა და პროკლემ. ამასთან დაკავშირებით, ტექსტში დასახელებულია აგრეთვე არისტოტელე, გრიგოლ ნოსელი, იოანე დამასკელი, თომა აქვინელი და ღუნს სკოტი.

ზოგმა სამად გაყო ფილოსოფია — ფიზიკად, ლოგიკად და პრაქტიკულ ფილოსოფიად, ხოლო მეტაფიზიკა „დადევს“ ფიზიკასთან არა მხოლოდ იმიტომ, რომ ორივეს ერთი და იგივე საგანი აქვს — იყოფის შემეცნება, მისი „უცთომელი პერობა“, არამედ იმიტომ, რომ ორივე გვიჩვენებს ერთს, მაგრამ სხვადასხვაგვარად. მაგალითად, ფიზიკაც და მეტაფიზიკაც, ორივე იკვლევს მოძრაობას, მაგრამ ფიზიკა ხედავს და აღწერს მოძრაობას („ხედავს ბუნებითი“), ხოლო, როცა კადევ იქით მიდიან და უძრავ და შეუქმნელ საწყისს, მიზეზს ხედავენ — ეს უკვე მეტაფიზიკაა. თვით ფილოსოფოსებსაც კი უჭირთ, ამბობს ანტონი, ფიზიკისა და მეტაფიზიკის ერთმანეთის გარჩევალ („ძველ განჩევავა“). ანტონი კიდევ რამდენიმე ასპექტს მიუთითებს ფიზიკისა და მეტაფიზიკის განსასხვავებლად და ბოლოს ასკენის — ქეშმარიტი მეტაფიზიკა ეკლესიის მოძღვართა და „გონებამზე“ ფილოსოფოსთა თეოლოგიაო.

ფილოსოფიის ნაწილები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და ერთმანეთისთვის სასარგებლოა („საქმარ ერთმანერთისა“). ანტონი აღწერს მათ შორის არსებულ ზოგიერთ დამოკიდებულებას. ფიზიკა წინ უსწრებს („უპირველესია“) ლოგიკას, რადგან ფიზიკის საგანი („ქვემდებარე“) — ბუნება წინ უსწრებს ლოგიკის საგანს — სიტყვას. მაგრამ ლოგიკის შესწავლა წინ უნდა უსწრებდეს ფიზიკის შესწავლას. დიალექტიკა ლოგიკის დარგია („ზედმიწევნილობა ლოგიკასი“). იგი არის შემეცნების საშუალებათა ასახვევ („ხატი საქმეთა საცნოთა“). მაგრამ მაინც, მეცნიერების შესწავლა დიალექტიკიდან კი არა, გრამატიკიდან უნდა დაიწყოს („პარველ ღრამატიკაჲ სწავლაჲ“) და მერე უნდა მოხდეს გადასვლა დიალექტიკაზე.

ახლა, მას შემდეგ, რაც გავარკვეით, რა არის ფილოსოფია და როგორ იყოფა იგი, უნდა გავარკვეოთ — რა არის დიალექტიკა და რატომ ვუწოდებთ მას მკირე ნაწილი („კერძოკი“) ფილოსოფიისა. ბოლო საკითხზე ანტონის მსჯელობა ასეთია: დიალექტიკა არის ნაწილი („კერძო“) ლოგიკისა, ხოლო ლოგიკა — ნაწილი ფილოსოფიისა. „მასანადა-

შე, დიალოღტიკაჲ არს კერძოკი ფილოსოფიისი“, ე. ი. ფილოსოფიის ნაწილის ნაწილი.

ფილოსოფიის უძველეს სადავო საკითხში — ლოგიკის და ფილოსოფიის დამოკიდებულების შესახებ: არის თუ არა ლოგიკა ფილოსოფიის ნაწილი, თუ იარაღი ფილოსოფიური შემეცნებისა, ანტონის თავისი ამოსავალი ავტორის — არისტოტელესაგან — განსხვავებული პოზიცია უჭირავს. ლოგიკა — „ორგანონი“ მხოლოდ იარაღი კი არ არის შემეცნებისა, იგი ფილოსოფიის ნაწილია. ლოგიკა ანუ დიალექტიკა პეტრიწისათვის შემეცნების იარაღია; ანტონისათვის დიალექტიკა ლოღიკის ნაწილიჲ, მისთვის „ლოგიკასა“ და „დიალექტიკას“ სინონიმური მნიშვნელობა არა აქვს. აქ უფრო დაქვემდებარებულ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე.

საიდანაა აღებული ფილოსოფიის ზემოთ მოტანილი განსაზღვრებები? ამის თქმა ძალიან ძნელია, რადგან ისინი თათქმის სიტყვასიტყვით მეორდება ქართულ ენაზე თარგმნილ მრავალ ფილოსოფიურ წიგნში. მაგალითად, მათ შეიცავს დავით უძღველის — „საზღვართა წიგნი“, ამონიოს ერმესის შრომა, იოანე დამასკელის — „დიალექტიკა“. სვიმონ ჭულაეცის — „დიალექტიკა“. წიგნიდან წიგნში გადადიოდა ფილოსოფიის ეს ხუთი განსაზღვრება. შინაარსით ყველა ერთმანეთს იმეორებს. შეიძლება იყოს განსხვავება ფილოსოფიის დარგებად გაყოფაში. მაგალითად, ამონიოსი თეორიულ მეცნიერებას ყოფს „ღვთისსწავლულებად“, „ზუნებათმეტყველებად“, მათემატიკად (ანუ სწავლულება სწავლულებითი) და ფიზიოლოგიად. ეს საქმეს არ ცვლის, ძირითადად ერთი სქემა მეორდება, ხოლო ამ სქემასთან დაკავშირებით, ერთი გარკვევით შეიძლება ითქვას: ფილოსოფიის გაყოფა ფიზიკად, ლოგიკად და ეთიკად, ან თეორიულ და პრაქტიკულ ფილოსოფიად სტოელთა მოძღვრებიდან იღებს სათავეს.

რაც შეეხება სვ. ჭულაეცის წიგნს, მასთან ნათესაობას აჩვენებს შემდეგი: „სპეკალის“ პირველი განყოფილების შესამე თავში, რომელსაც ახლა ვარჩევთ, ანტონი იხილავს „რამ არს ნაკვეთი I“ (პირველი ფიგურა). „სპეკალის“ ეს თავი ზუსტად შეესაბამება სვ. ჭულაეცის წიგნის თავს „პირველისა ნაკვეთისათვის“ „სპეკალის“ „რამ არს ნაკვეთი 2“ უღრის „მეორე ნაკვეთისათვის“, ხოლო „რამ არს ნაკვეთი 3“ უღრის „შესამისა ნაკვეთისათვის“ ჭულაეცის წიგნისა.

საინტერესოა, რომ „სპეკალის“ ცალკეული ადგილები სხვა მხრივაც ინარჩუნებს მსგავსებას მათ წარმომშობ ნაშრომთან.

აბ. როგავას ასეთი მაგალითი მოყავს. სპეკალის 90-ე თავის ბოლოს გვხვდება მინაწერი: „დასასრული მესამე ნაწილისა“ (სილოგიზმ-მ). ასეთივე მინაწერი აქვს სვ. ჭულაეცის წიგნის 90-ე თავს. მაგრამ სილოგიზმის შესახებ მოძღვრება, ე. ი. I განყოფილების მესამე თავი, „სპეკალში“ 88-ე თავით თავდება. ცხადია, რომ ამ შენიშვნამ მექანიკურად გადმონაცვლა ჭულაეცის წიგნიდან „სპეკალში“. ამონიოს ერმისიდან არის მოტანილი ფილოსოფიის განსაზღვრებებისა და ფილოსოფიის დაყოფა ხედვით (თეორიულ) და საქმით (პრაქტიკულ) ნაწილებად.

90—119-ე თავებში, ე. ი. 29 თავში, გარჩეულია არისტოტელეს „ტოპიკაში“ გადმოცემული შეხედულებები. მასალა ამ თავებისათვის ანტონის მიერ აღებულია სვ. ჭულაეცის წიგნიდან — „დიალექტიკა“, წახელდობრ, იმ ნაწილიდან, რომელსაც „თოფიკონცი“ ეწოდება, რაც მის პირველწყაროზე — „ტოპიკაზე“ მიუთითებს.

პლატონის აკადემიაში, რომელშიც არისტოტელე მოღვაწეობდა მრავალი წლის მანძილზე, ჭეშმარიტების მოპოვების მთავარი მეთოდი დიალოგი, კამათი იყო. არისტოტელეს „ტოპიკაში“ მოცემულია დიალოგის მეთოდოლოგია, კერძოდ, დიალოგში მოწინააღმდეგის დებულუბათა დარღვევის (უკუგდების) მეთოდები და ზერხები. ამის გამო ფასობდა „ტოპიკა“ სქოლასტიკურ ფილოსოფიაშიც. ესა აქვს მხედველობაში ანტონს, როდესაც განმარტავს „დიალოტიკას“. იტყვისო არისტოტელი, ამბობს იგი, „დიალოტიკა არსო ურთიერთს მესკოლეთა სიტყვისგებაჲ. რამეთუ ერთი ვიდრემე იკითხავს და მეორე ნაცვალუგებს“ და კიდევ: „დიალოტიკა არსო სკოლართა ურთიერთკითხვა და პასუხის გება“. ამას ეწოდება დიალოტიკა. ორსიტყვაობა და ორთა მეთქვეობა.

„დიალოტიკა“ სასარგებლოა აგრეთვე ზეპირი საუბრის წარმართვის, ფილოსოფიური ცოდნის შესაძენად. ესაა მეთოდი — იმსჯელო საგანზე (პრო და კონტრა) ისე, რომ არ ჩავარდე წინააღმდეგობაში. დიალექტიკა განხილულია, როგორც მეთოდი, სააღბათო დებულუბებიდან დასკვნების გამოყვანისა.

მაგრამ არისტოტელეს დიალექტიკა (დიალოგის თეორია) მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ლოგიკას. დიალექტიკა არისტოტელესათვის დამხმარე დისციპლინაა და მასში შეისწავლება დიალექტიკური დასკვნები, ე. ი. დასკვნები, რომელთა წინამძღვრები სააღბათო ხასიათისაა — მიღებულია ყველას, უმრავლესობის ან ბრძენთა მიერ, თუმცა; შეიძლება არც იყოს ჭეშმარიტი და რომლებშიც სუბიექტსა და

პრედიკატს შორის კავშირი პრობლემატურია (დასკვნების კლასიფიკაცია შინაარსის მიხედვით იხ. ზემოთ, თავი 88). დიალექტიკას არისტოტელე უპირისპირებს მკაცრ მეცნიერულ მეთოდს — დასაბუთებითი სილოგიზმის თეორიას (აპოდექტიკას), რაც მის „ანალიტიკებშია“ გადმოცემული.

„ტოპიკის“ შინაარსი მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს: დიალოგი, კამათი ყოველთვის მიმდინარეობს გარკვეული დებულების ირგვლივ; დიალოგის თეორია (ე. ი. „ტოპიკა“) იკვლევს ასეთ დებულებათა სტრუქტურას, დიალოგის შესაძლო მიმართულებებსა და ამ პროცესში გამოყენებული საშუალებების ზარტებულობას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს დებულებები მხოლოდ სააღბათო ხასიათისაა და მათში გამოთქმულია შეხედულება და არა ცოდნა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ტოპიკა“ იძლევა სააღბათო დებულებებში წინააღმდეგობათა აღმოჩენისა და მათი დაძლევის მეთოდებს.

„ტოპიკის“ დასაწყისში (წიგნი პირველი, თავი მეორე) არისტოტელე ერთმანეთისაგან განასხვავებს ორ ცნებას (პროტაზისი და პრობლემა), ორივე საკითხია, ოღონდ, ერთი — წინასწარშემოთავაზებული, რომლიდანაც იწყება მსჯელობა, ხოლო მეორე — თავად მსჯელობის პროცესში წამოჭრილი კითხვა. „პირველ ანალიტიკაში“ ეს განსხვავება თითქმის წაშლილია და ორივე ნიშნავს დებულებას, წინადადებას და არა — საკუთრივ კითხვას. ეტიმოლოგიურადაც ისინი მსგავსი წარმოშობისაა და მათი თავდაპირველი მნიშვნელობები ქართულად შეიძლება გადმოიცეს ფრაზებით: „წინ დადება“ — „წინ დაქერა“, „შეთავაზება“ „წინ ჩამოგდება“, „ძირს ჩამოგდება“ (შდრ.: ქართ. სიტყვის ჩამოგდება). არისტოტელე „ტოპიკაში“ იძლევა ასეთ დებულებათა ფორმალურ ანალიზს. ამ ანალიზის შედეგია პრედიკაბილიების თეორია, რაზედაც ზემოთ, პორფირის „შესავალთან“ დაკავშირებით, ვისაუბრეთ და რომლის ძირითადი დებულებაა: ყოველ დიალექტიკურ დებულებაში შემასმენელი (პრედიკატი) გამოხატავს საგნის გვარს, განსაზღვრებას, საკუთარ ნიშანს ან შემთხვევით ნიშანს. ყოველი პრედიკაბილისათვის არსებობს კვლევის განსაკუთრებული მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებით ხდება შესატყვისი შემასმენლის შემცველი დებულების დადასტურება (ვერიფიკაცია) ან დარღვევა (უკუგდება). ამის შესაბამისად, „ტოპიკაში“ დაწვრილებით არის გარჩეული თითოეული სახის შემასმენლის განსაზღვრება და საგნისათვის მისი მიწერის ან უარყოფის საშუალებანი. „ტოპიკის“ დიალექტიკურ-

რი მეთოდოლოგიის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია მოძღვრება კვლევის იმ ოთხი ორგანონის (იარაღის) შესახებ, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ვიპოვოთ წინააღმდეგობები მოწინააღმდეგის ნააზრევში, ანდა თავიდან ავიცილოთ ჩვენს მსჯელობაში. პირველი ორგანონის მეოხებით გამოვლინდება საკვლევი პრობლემა (თეზისი), მისი სახეები, კერძო შემთხვევები. მეორე ორგანონი ადგენს დებულებაში შემავალი სიტყვების მნიშვნელობებს, თავიდან აგვაცილებს ორაზროვნებებს. მესამე ორგანონი გამოავლენს განსხვავებებს ტერმინთა მნიშვნელობებს შორის და უზრუნველყოფს დაყოფის სისწორეს. მეოთხე ორგანონი შედეგების განზოგადებისა და სინთეზის მეთოდია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტი „ტოპიკისა“ არის მოძღვრება ტოპოსებზე. ქართულად — ადგილებზე. იგი ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი ცნებაა არისტოტელეს მოძღვრებაში, თუმცა მკვლევართა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ტოპოსი არის გარკვეული ფიგურა ან სქემა, რომლის მიხედვითაც აიგება დიალექტიკური მსჯელობა, ანდა ამ მსჯელობაში მონაწილე, საყოველთაო: (საერთოდ) მიღებული დებულება. ასეთი სქემებისა და დებულებების დახასიათებისას მრავლად ვნახულობთ „ტოპიკაში“ სილოგისმის თეორიის პრინციპებს (ლოგიკის ბევრი ისტორიკოსი ვარაუდობს, რომ „ტოპიკა“ უფრო ადრე დაიწერა, ვიდრე „ანალიტიკები“), მათ პირველ სახეს. ასეთ დებულებებს მიეკუთვნება, მაგალითად, პირველი ფიგურის სილოგისმების თავისებური ფორმულირება. თუ დავასაბუთებთ, რომ რაღაც მიეწერება ყველას, ამით ჩვენ დავასაბუთებთ, რომ იგი მიეწერება ზოგიერთსაც, ხოლო თუ დავასაბუთებთ, რომ რაღაც არ მიეწერება არც ერთს, ამით დავასაბუთებთ, რომ იგი მიეწერება არა ყველას („ტოპიკა“. 109 a 3—6); რასაც მიეწერება სახე, მას მიეწერება გვარიც, ხოლო რასაც მიეწერება გვარი, არ არის აუცილებელი მიეწერებოდეს ესა თუ ის სახეც (111 a 21—26). ტოპოსებში გვხვდება უფრო ფართო შინაარსის ზოგადლოგიკური ან სემანტიკური პრინციპებიც და პროცედურებიც, მაგალითად, დებულების დარღვევა (უკუგდება) მისი შედეგების დარღვევის (უკუგდების) მეშვეობით („ტოპიკა“, წიგნი მეორე, თავი მეხუთე), შეშასმენლის გადატანა ერთრიგოვანზე. თუ სამართლიანობა ქების ღირსია, ქების ღირსია სამართლიანიც და სამართლიანად მოქცევაც. ამ შემთხვევაში ერთრიგოვანი ტერმინებია სამართლიანობა, სამართლიანი, სამართლიანად მოქცევა („ტოპიკა“, წიგნი მეორე, თავი მეცხრე) ასეთივე დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან ტერმინები შური — მოშურნე, წინასწარმეტყვე-

ლება — წინასწარმეტყველი, კეისრობა — კეისარი, ვფიქრობთ, ამ ტოპოსის (წესის) კერძო შემთხვევა უნდა იყოს ანტონის „რადვეცა შესაბამ აღმატებულსა, იგივე შესაბამ განზრქელებულსა“.

„სპეკალში“ ტოპიკური მასალიდან გამოტოვებულა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი — მოძღვრება დიალექტიკურ დებულებათა დამტყიცების ორი მეთოდის — ინდუქციისა და სილოგიზმის შესახებ, რაზედაც „ტოპიკის“ პირველ წიგნშია ლაპარაკი.

90-ე თავში — „რად არს დიოლოღტიკად და რომელთა შორის განიყოფის“, ანტონი იძლევა დიალოგის (ის ხმარობს ტერმინს „დიოლოღტიკად“) განსაზღვრებას. როგორც იგი ამტყიცებს, არისტოტელეს მიხედვით, ეს არის „სიტყვის-გებად, რამეთუ ერთი ვიღვრემ იკითხავს და მეორე ნაცვალ-უგებს“. დიალოგში საკითხები სრულად სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს და არ არის აუცილებელი, რომ ისინი მხოლოდ საგნის არსებას ეხებოდეს („რადარსობითი“). ანტონი განმარტავს განსხვავებას კითხვის ორ სახეს შორის, რომელიც პროტაზისსა და პრობლემას შორის ჩვენ მიერ ზემო შენიშვნებში აღნიშნულ განსხვავებას შეესაბამება. პირველი სახის კითხვის მაგალითია: „სული არს თვით-მიმდრეკ, უკეთუ არა არს თვით-მიმდრეკ?“ მეორე სახისა იქნება კითხვა — „სული არს თვით-მიმდრეკ?“ არისტოტელე: „უკეთუ ტერმინოლოგიით, პირველი არის პრობლემა, მეორე კი დებულება (პროტაზისი) („ტოპიკა“ 101 b 25—36). პირველი სახის კითხვაზე ვერ ვუპასუხებთ მარტივი „პო“ ან „არა“-თი, აქ მოპასუხემ ორი საპირისპიროდანი ერთ-ერთი უნდა აირჩიოს, მეორე შემთხვევაში პასუხი შეიძლება იყოს უბრალო დადასტურება ან უარყოფა. დიალექტიკური განსჯა (აქაც ანტონი ისევ ტერმინ — „დიოლოღტიკად“-ს ხმარობს) ჩვეულებრივი ბჭობისაგან („წინჩამოსაგდებელისაგან“) მხოლოდ წანამძღვრების ხასიათით განსხვავდება და ისიც შეიძლება ოთხნაირი იყოს — სილოგიზმი, ინდუქცია („ზედშემოყვანა“), ენთიმემა („მოკლსიტყვაობა“) და ანალოგია („მაგალითით შემოყვანა“) ამ სახეების შესაბამისად, გვექნება „შეკრებულ-სიტყვაობითი დიოლოღტიკად“, „ზედშემოყვანებითი დიოლოღტიკად“, „მოკლ-სიტყვაობითი დიოლოღტიკად“ და „აღმოჩენითი დიოლოღტიკად“.

თუმცა ბჭობის („წინჩამოსაგდებელის“) სახეები დიალექტიკის სახეებია, მაგრამ ბჭობა და დიალექტიკა არაა იგივეობრივი. დიალექტიკა არის კითხვა-პასუხი — „ნაცვლის-გებად“. ქართულად („ჩვენსა ზედა ქმასა“) მას შეიძლება ვუწოდოთ „ორთსიტყვაობა“. თუ ბჭობს

(მსჯელობს) ერთი, არ იქნება „ორთსიტყვაობა“ (ე. ი. არ იქნება დიალოგი), არამედ — „ერთ-თქმაობა“.

ბჭობის მსგავსად, დიალექტიკა შინაარსის მიხედვით, სამ სახედ იყოფა: 1. დასაბუთებითი ანუ აპოდექტიკური („აღმოჩენითი“), 2. დიალექტიკური და 3. მეცნიერული („ზედმიწვენილებითი“) (მზ-ე თავში, ამ კონტექსტში, ანტონს ნახმარი აქვს ტერმინი „სიბრძნეობითი“ ანუ სოფისტური). აღმოჩენითი დიალექტიკური მსჯელობა აუცილებელია, მაგალითად, ნაწილის ნაწილი („კერძოკი“) ნაწალზე („კერძო“) მცირეა („კინი არს“). დიალექტიკური დიალექტიკა პრობლემატურია („შესაძლო“), მაგალითად, „დედაკაცსა უყვარს ქმარი თვისი“. ეს შესაძლებელია, მაგრამ არ არის აუცილებელი. დიალექტიკას ძალუძს („ძალ“) „დაგაჯეროს, ვითარმედ ელენეს უყუარს ქმარი თვისი, რამეთუ არს ცოლი ქმრისა და ძალუძს ესეცა, რომ „ელენე განვიდა ქმრისაგან“. ზედმიწვენილებითი დიალექტიკა შეუძლებელია, მაგალითად, „ყოველი უსხეულო სული არს“, ეს კი შეუძლებელია, რადგან ზედაპირიც („ეპიფანია“), ხაზიც („ღრამში“), წერტილიც და არარაც („არა რავეცა“) უსხეულონი არიან.

აუცილებელი ორი სახისაა — სარწმუნო და არასარწმუნო. შედეგი მიზეზის შემდეგ არის („მიზეზოვანი შემდგომ არს თვისისა მიზეზისა“), არის აუცილებელიც და სარწმუნოც, ხოლო ის, რომ „სფეროჲ არს ბრუნვებულ აღმოსავალით“, აუცილებელია, მაგრამ სარწმუნო არ არის. არასარწმუნო დიალექტიკურ მსჯელობას საეჭვო ეწოდება.

რადგანაც დიალექტიკური დიალექტიკის მიზანი გამგონის დაჯერებაა, მიღებასა („მოწონებულებასა“) და სიტყვისგებაში არ იკრძალება („არაკრძალვად აქუს“) არც ჭეშმარიტება და არც მცდარობა, დიალექტიკოსი მხოლოდ დასარწმუნებლად იღწვის.

სარწმუნოც ორგვარია — აუცილებელი და არააუცილებელი („საკიროჲ და არსაკიროჲ“. „ყოველი არხიერის უმაღლეს არს მისაგან, რომელი აქუნდა პირველ“ — სარწმუნოა და აუცილებელი, ხოლო ის, რომ „ყოველი მოწაფე მოძღვრისა მორჩილ“, სარწმუნოა მრავალთათვის, მაგრამ არ არის აუცილებელი. „ზედმიწვენილებით დიალოღტიკას“ „მაცთურებითი“ ეწოდება. მას სურს მოპირისპირისთვის რაიმე სამარცხვინოს მიგება, რათა ასპარეზზე უმეცარი გამოაჩინოს. მაგალითად, „შენ მეფეო, რაც არ დაგიღუპია, გაქვს“. ეს არის არა-აუცილებელი და არასარწმუნო.

ამრიგად:

აღმოჩენილი „დიპლომატიკა“ არის მასწავლებლობითი და აუცილებელი (საჭირო) და მარად კეშმარიტი. აღმოჩენილი დიპლომატიკის მიზანია კეშმარიტების დადგენა. მას მრავალი მეცნიერება: გეომეტრია, ფიზიკა და სხვ. იყენებს საგნად. „დიპლომატიკობითი დიპლომატიკა“ არის საეჭვო და სარწმუნო, ხან კეშმარიტი და ხან ცრუ. მისი არსია დებულების სარწმუნოყოფა.

„ზედმიწვენილებითი დიპლომატიკა არის მაცუთუნებითი და ურწმუნო და მარად ცრუ“. „პაზრი“ — განზრახვია, რათა სარწმუნო გახადოს თავისი ნათქვამი. ამიტომ მრავალ წინამძღვარს, სილოგიზმოს შემოიტანს საგნად, სწრაფსიტყვაობით შემოიღებს სასურველ და სხვა გამოთქმებს, რომლებიც არ არის „დიპლომატიკური“, რადგან ეს სახე არ არის სილოგიზმი. ხოლო აზრი ზედმიწვენილობისა არის, რათა მაცუთურობით არცხვინოს რომელიმე. აქ სოფიზმები და პარალოგიზმები იგულისხმება.

თუმცა ეს თავი თემატურად „ტოპიკის“ პირველი წიკნის პირველ თავს უკავშირდება, ამ ტრაქტატში მას ზუსტი შესატყვისი არ ეძებნება.

91-ე თავი — „რაოდენნი არიან ადგილნი დიპლომატიკისანი?“

ანტონი იწყებს ტოპოსის განსაზღვრებით. აოვილი არას მონაკვეთი (აქ ავტორი ხმარობს ტერმინს „კათედრა“, ქართულად „საყდარი“, რაც ეტიმოლოგიურად ისევ ადგილს, დასაჯდომ ან დასაყდრობ ადგილს ნიშნავს) ბჭობისა, რომელიც ადგენს და რომლის საშუალებითაც ვიმეცნებთ მის მართებულობას. მაგალითისათვის ანტონი იყენებს ტოპოსის რამდენიმე ვარიანტს ერთრიგოვანი ტერმინების შესახებ. რომელზედაც ახლახან ვილაპარაკეთ, პირველი მაგალითია: „შური ბოროტ არს. მაშასადამე, მეშურნე ბოროტ არს“. ასეთი „ადგილი მსჯელობის მართებულობაზე მიუთითებს, ოღონდაც ამის საბუთი ანტონთან განსხვავდება არისტოტელური საბუთისაგან — „რადვეცა შესაბამ აღმატებულისა, მასვე ვპყოფთ შესაბამისად განზრქელებულისა“. აქ შური აღმატებულია, ხოლო მეშურხე „განზრქელებული“. ასეთ სიტუაციაში არისტოტელე იტყოდა — შური გვარს ეკუთვნის, ის თავისი არსებით ბიწიერებაა, ხოლო მეშურნე — არა (იხ. სამართლიანობისა და სამართლიანის მაგალითი „ტოპიკაში“ 116 a 23—24). ანტონთან ეს ტერმინები უნდა ნიშნავდეს: აღმატებული — აბსტრაქტულს. ვაენჯიბულს; „განზრქელებული“ — კონკრეტულს. ლათ. კონკრეტუს თავდაპირველი მნიშვნელობით, მართლაც, შესქელებული

ბულს ნიშნავს. ტერმინები ეკუთვნის სე ჯულაეცის შრომის ქართულ ენაზე მთარგმნელს.

ვთქვათ, რომელიმე „მესკოლოე“ მსჯელობს — „შურა ბოროტ არს. მამასადამე, მეშურნე ბოროტ არს“ და მოპასუხე ეკითხება, როგორ მტკიცდებო ეს. პასუხია — „ადგილი არს აღმატებულისაგან“, ქვეშა-რიტება „წინამოსაგდებელისა“ — „რომელი შესაბამ აღმატებულისა, იგივე შესაბამ განზრქელბულისა“ ასაბუთებს, აძლევს სიცხადეს პირველ წინამოსაგდებელსაც. ამ მსჯელობის ვარიანტია ტექსტის შემდეგი ნაწილი: აღმატებულსა და „განზრქელბულს“ შორის იგივე დამოკიდებულებაა, რაც ზემოსა და ქვემოს შორის, მაგალითად, წინასწარმეტყველება არის ზემო, ხოლო წინასწარმეტყველი — ქვემო. „ადგილი აღმატებულისა არის მისი დაქვეითება („დაზევება“) „განზრქელბულისა“ კი, როგორც მსჯელობაში: „ქალწულება დიდებულ, მამასადამე, ქალწული დიდებულ“. მაგრამ თუ ვამბობთ, რომ ადგილი (ტობოსი) „განზრქელბულისაგან“ არის, მაშინ მსჯელობა უნდა ეკუთქცეს: „ქალწული დიდებულ, მამასადამე, ქალწულება დიდებულ“. ამრიგად, ადგილის სახელდება ხდება წინა ტერმინის (წინამსრბოლის) და არა მომდევნო, ან კიდურმდგომის მიხედვით, თუ აღმატებულისაგან არის „ადგილი“, მაშინ ის იქნება „წინამსრბოლ“, „ხოლო განზრქელბული მდევარ აღმატებულისა ეს გვარ: კეისრობაა სარგებელ, მამასადამე. კეისარი სარგებელ“. ხოლო თუ იმსჯელობთ „განზრქელბულისაგან, მაგალითად, „კეისარი სარგებელ, მამასადამე კეისრობაა სარგებელ“, მაშინ წინამორბედობის მიმართებაც შებრუნებული იქნება. „ადგილი“ არის საშუალი ანუ შინაგნიოი და გარეგნიოი. თუ წინამსრბოლი და „მდევარი“ ერთდროულად არსებობს, მას საშუალი ეწოდება. მაგ., ქალწული და ქალწულება, კეისარი და კეისრობა, საზღვარი და განსაზღვრება, ხოლო თუ წინამსრბოლი და მდევარი ერთმანეთისათვის გარეშე არიან, მათ „გარეგნიოი ადგილი“ ეწოდება. მაგ., ქალწული და უქალწულო. ან კეისარი და ჭარისკაცი და სხვ. „გარეგნიოი ადგილის“ მიხედვით მსჯელობა ასე გამოიყურება: „ათინაიდა ქალწულ არს“, მამასადამე, „ათინაიდა არა უქალწულო არს“. აქ ადგილი წინააღმდეგობითია. თუ მსჯელობაში დადგენილია ერთი საწინააღმდეგო მხარეთაგანი, მაშინ უარყოფილია მეორე. ეს ტობოსი ზუსტად შეესატყვისება „ტობიკის“ ერთ ადგილს იმავე, მეორე წიგნში (112 a 25—30): თუ საგანს მიეწერება ერთმანეთის საპირისპირო ორი თვისებიდან ან მდგომარეობიდან ერთი, არ მიეწერება მეორე და პირიქით.

ბოლოს ანტონი ჩამოთვლის „შინაგნითი“ ადგილების (ტოპოსე-ზის) სახეებს, რომლებსაც მომდევნო თავებში გააჩვენებს. ესენია: ადგილნი 1. „საზღვრისაგან და საზღვრებითისა“, 2. „სწორმეთქვეობისაგან და სწორმეთქვეობითისა სახელისა“, 3. „ყოვლადისაგან და კერძოსა“, 4. „მიზეზისაგან და მიზეზობითისა“. 5. „ქმნილებისაგან და ქმნილებითისა“, 6. „ხრწნილებისაგან და ხრწნილებითისა“. 7. „საქმის შემოღებისაგან და საქმის შემოღებითისა“, 8. „განმზიდველობისაგან და მღევრობითთა შემთხვევითთა“, 9. „აღმატებულთაგან და განზრქელებულთა სახელითა“.

უცრო მოგვიანებით ის დაახასიათებს „გარეგნით ადგილებს“.

92-ე თავია — „რომელნი არიან ადგილნი საზღვრისა და საზღვრებითისანი“.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ განსაზღვრება („საზღვარი“, როგორც ანტონი წერს ზოგჯერ და „განმსაზღვრელი“, ტრადიციულ-ლოგიკური ტერმინოლოგიით) არისტოტელეს „ტოპიკაში“ ერთ-ერთი პრედიკაბილია და ხასიათდება იმით, რომ ჯერ ერთი, ურთიერთშენაცვლებადია განსასაზღვრთან (საზღვრებითთან) და, გარდა ამისა, გამოხატავს განსასაზღვრის ყოფიერების არსს. განსასაზღვრისა და განმსაზღვრელის ურთიერთშენაცვლების პრინციპი გაზიარებულ იქნა ტრადიციულ ლოგიკაში და ფაქტობრივად მას აყალიბებს ანტონი (ეხადია, მისი უშუალო წყაროს მიხედვით).

„ადგილნი საზღვრისაგან“: 1. რაც მიეწერება განმსაზღვრელს, მიეწერება აგრეთვე განსასაზღვრსაც („რომელი შეისმინების საზღვრისაგან, შეისმინოს საზღვრობითისაგანაცა“), მაგალითი: თუ „გვამოვანი და კელოვნების მიმთვალველი წერს“, მაშასადამე, კაცი წერს; 2. რასაც მიეწერება განმსაზღვრელი, მას მიეწერება აგრეთვე განსასაზღვრი („რომელისად შეისმინოს საზღვარი, რომლისაგან შეისმინების საზღვრებითიცა“). მაგალითი: „პეტრე არს მგრძნობელი, ორ-ფერკი, სიტყვიერი, მაშასადამე, პეტრე არს კაცი“; 3. რაც უარიყოფა განმსაზღვრელისათვის, უარიყოფა განსასაზღვრისთვისაც („რომელი რაჟეცა მოისპოს. საზღვრისაგან, მოისპოს საზღვრებითისაგანაცა“), მაგალითი: „მგრძნობელი, ორ-ფერკი, სიტყვიერი არ წერს, მაშასადამე, კაცი არა წერს“; 4. რის მიმართაც უარიყოფა განმსაზღვრელი, მის მიმართ უარიყოფა განსასაზღვრიც („რომელისგან მოისპოს საზღვარი, მოისპოს საზღვრებითიცა“), მაგალითი: „ოქრო არა არს მგრძნობელი, ორ-ფერკი, სიტყვიერი. მაშასადამე, არა არს კაცი“.

ესენი იყო „ადგილნი საზღვრისაგან“, რადგან იგი იყო წინა-

მსრბოლი. ოთხივე ეს დებულება შეიძლება შევებრუნოთ (ამას გულისხმობს ურთიერთშენაცვლება) და მივიღებთ „ადგილებს საზღვრები-ბითისაგან“, „რამეთუ საზღვრებითი იქმნების წინამსრბოლ, ხოლო საზღვარი მღევარ“. ანტონი აყალიბებს მათაც. „ადგილნი საზღვრებითისაგან“: 1. რაც მიეწერება განსასაზღვრს, მიეწერება აგრეთვე განმსაზღვრელს („რადვეცა შესმენილ საზღვრობითისაგან, შესმენოლ საზღვრისაგანაცა“), მაგალითა: „კაცი წერს, მაშასადამე, მგაძნობელი, სიტყვიერი, ორ-ფერკი, წერს“. 2. რასაც მიეწერება განსასაზღვრი, მას მიეწერება განმსაზღვრელიც („რომლისაგან შესმენილ საზღვრებითი, შესმენილ საზღვარიცა“), მაგალითი „პეტრე არს კაცი, მაშასადამე, პეტრე არს მგრძნობელი, ორ-ფერკი, სიტყვიერი“. 3. რაც უარიყოფა განსასაზღვრისთვის, უარიყოფა განმსაზღვრელისთვისაც („რადვეცა მოისპოს საზღვრებითისაგან, მოისპოს საზღვრისაგანაცა“), მაგალითი: „კაცი არა წერს. მაშასადამე, მგრძნობელი, ორ-ფერკი, სიტყვიერი არა წერს“ და 4. რის მიმართაც უარიყოფა განსასაზღვრი, მის მიმართ უარიყოფა განმსაზღვრელიც („რომლისაგან მოისპოს საზღვრებითი, მოისპოს საზღვარიცა“), მაგალითი: „ოქრო არა არს კაცი. მაშასადამე, ოქრო არა არს გვაშოვანი, ორ-ფერკი, სიტყვიერი“.

„ტოპიკაში“ განსაზღვრებასთან დაკავშირებული ასეთი ტოპოსები არა გვხვდება. მეექვსე წიგნის პირველ თავში დადგენილია განსაზღვრების უვარჯისობის პირობები და ამ წიგნის შემდეგ თავებში აღწერილია ხერხები (ტოპოსები), რომელთა გამოყენებით შეიძლება დავადგინოთ, სრულდება თუ არა ეს პირობები. მასთან, რაზედაც ანტონი ლაპარაკობს, ყველაზე ახლოსაა იგივეობის დადგენისათვის საჭირო ტოპოსები, განხილული შემდეგ წიგნის პირველ თავში. აქ, ორ ადგილას (152 a 27—36 და 152 b 25—30), არისტოტელეს ტოლფასების (იგივეობრივთა) ურთიერთშენაცვლების პრინციპი აქვს ჩამოყალიბებული ხოლო, შემდეგ რამდენიმე სტრიქონიან მეორე თავში ამბობს, რომ იგი განსაზღვრებასაც მიეყენება, თუკი მისი დარღვევა გვსურს.

93-ე თავია — „რომელნი არიან სწორ-მეთქვეობისა და სწორ-მეთქვეობითისაგანისა სახელისა“.

ძნელია ცალსახა ინტერპრეტაცია ტერმინისა — „სწორ-მეთქვეობა“. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მასში იგულისხმება „იგივეობის“ გამოთქმა“ (შდრ. თავი 77-ის „სწორნი წინადადებანი“), რომელიც ენაში „არის“ სიტყვით გადმოიცემა. ამ სიტყვის შემცველი მარტივი წინადადება ორაზროვანია („მჩობლ არს“). ზოგიერთი მათგანი არ შეიძლება

„უქუეაქციოთ, მაგალითად, „გეომეტროსი არის მეცნი ღრამისა (ხაზი-სა)“, რადგან „არა ყოველი მეცნი მხოლოდ ღრამისა გეომეტროსი არს“, ზოგიერთის უქუეცევა კი შესაძლებელია „მოყვარე სიბრძნისა სიბრძნისმოყვარე არს“. იგივეობა ამ მეორე სახის წინადადებებით გამოითქმება, ალბათ ამიტომაც ამბობს ანტონი: „აწ უკვე, რომელი არა გარე-მოქცეოდის, დამდეგ. ვექმნეთ (თავი დავანებოთ). აქა ვიდრემე მოსაკუნ არს (მოხსენიების ღირსია) გარე-მიქცევითი სწორ-მეთქვეობაჲ“.

ამის კვალად, ანტონი აყალიბებს იგივეობრივთა ურთაერთშენაცვლების პრინციპს, მ დებულების (ადგილის) სახით, ზუსტად ისე, როგორც წინა თავში იყო განსაზღვრებისათვის. ტერმინებით — „სწორ-მეთქვეობითი“ და „სწორ-მეთქვეობა“, ანტონი აღნიშნავს, შესაბამისად. იგივეობის პირველ და მეორე წევრებს:

თუკი ეს ინტერპრეტაცია სწორია, მაშინ არისტოტელეს „ტოპიკის“ მეშვიდე წიგნის თავი პირველი, რომელიც იგივეობის დასადგენ ტოპოსებს ეხება, შეიძლება „სპეკალის“ ამ თავის პირველწყაროდაც იქნეს მიჩნეული.

94-ე თავი — „რაოდენი არიან ალაგნი ყოვლისაგან და კერძოსაგან“, ეხება ზოგადისა და კერძოს შესახებ ბჭობის სქემებს. ამ თავშიც პირველწყარო „ტოპიკაში“ არ ეძებნება. ანტონის მიერ მისი უშუალო წყაროებიდან გადმოღებული მითითებები არისტოტელეზე ან პერიპატეტეოსებზე უფრო იმას უნდა გულისხმობდეს, რომ ის, რაზედაც საუბარია, საზოგადოდ, არისტოტელესგან იღებს სათავეს. ეს კი მართლაც ასეა.

ანტონი ამ თავში არჩევს ექვს სქემას („ალაგს“, „ტოპოსს“):

1. გვარი ზოგადად და სახე ზოგადად („ყოვლობითი ყოვლადისაგან და ყოვლობითი კერძოსაგან“). უარყოფისას („უქუთქმით“) გვარი წინამორბედი სახისა: თუ გვარი უარყოფა ზოგადის მიმართ, მაშინ სახეც უარყოფა მის მიმართ („აღვოცა ყოვლობითისა ყოვლისა, აღვოცოს კერძოსაცა მისისა). მაგალითად, „ქვეა არ არს მშენიველი, მაშასადამე, ქვეა არ არს კაცი“. მაგრამ დასტურისას („წართქმით“) სახეა წინამორბედი გვარისა. დასტურიან ალაგს აქვს ორი ფორმულირება („აქუს ორი ჩამოსაგდებელი“). ერთში სახე და გვარი, ორივე ქვემდებარეა: რაც ითქმის კერძოზე ზოგადად, ითქმის აგრეთვე გვარზე („რომელი რაგვეცა შესმენილ ყოვლობითისაგან კერძოსა, ესე თვი სახისა, შესმენილ მისისა ყოვლადისაგანცა, ესე იგი ყოვლისა“), მაგალითად, „კაცი წერს, მაშასადამე, მშენიველი წერს“.

მეორეში სახე და გვარი შემასმენლებია. რაზეც ითქმის სახე, მას-ზევე ითქმის მისი გვარი („რომლისაგანცა შესმენილ სახე, შესმენილ-მისაგანვე ნათესავეცა მისი), მაგალითად, „პეტრე არს კაცი, მაშა-საღამე, პეტრე არს მშენიველი“. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ სახისა და გვარის დამოკიდებულება ზოგადდადებითი მსჯელობით გა-მოიხატება, ხოლო ქვემდებარის მიმართ შემასმენლია ზოგადად („ყოფ-ლობითად“) დადასტურება ან უარყოფა — ზოგადდადებითი ან ზო-გადუარყოფითი მსჯელობებით შესაბამისად, აღწერილი „ალაგის“ საშივე ვარიანტი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ კატეგორიული სილოგიზ-მის ენაზე. პირველი მათგანი არის მეორე ფიგურის მოდუსი „კამეს-ტრეს“ (ანტონის ტერმინოლოგიით, კალპესნეც), მესამე — პირველი ფიგურის მოდუსი ბარბარა, ხოლო მეორე — მესამე ფიგურის მოდუსი a a a. მაგრამ ეს მოდუსი არ არის სწორი (აქ ანტონ , ალბათ მისი წყაროს კვალად, შეცდომას უშვებს). მესამე სქემის მაგალითში. რა-დგან კაცი სახეა და მშენიველი — გვარი, წანამძღვრიდან „კაცი წერს“, სულ ერთია როგორ გავიგებთ მას, კერძობითდადებით თუ ზოგად-დადებით მსჯელობად, გამომდინარეობს მხოლოდ კერძობით დადებ-ბითი დანასკვი „ზოგიერთი (რომელიც) მშენიველი წერს პირველ შემთხვევაში — თანახმად მოდუსისა დატისი (დამოკირ), მეორეში — თანახმად მოდუსისა დარაპტი (დალგატი).

2. მთელი და ნაწილი („ყოვლითურთობითის ყოვლადისაგან და ყოვლითურთობითის კერძოსაგან“). დასტურისას, ამბობს ანტონი, მთელი წინამორბედი ნაწილისა: თუ არის მთელი, არის მასა ნაწი-ლებიც („დადებული რაჲ ყოვლითურთობითი ყოველი, დადებულ კერ-ძონიცა მისნი“), მაგალითად, „ეკვლესია არს, მაშასაღამე, კედელნიცა არიან“. უარყოფისას მდგომარეობა შებრუნებულია: თუ ისპობა ნა-წილები, ისპობა მთელიც („ხრწნაჲ ყოვლითურთობითისა კერძოსა ყოვლადობითსაჲცა კერძოსა“), მაგალითად, „კედელნი არა არიან; მაშა-საღამე, არც ეკვლესიაჲ არს“. შევნიშნოთ, რომ ამ სქემების სისწორო-სათვის არსებითია მოყვანილ მსჯელობათა ეგზისტენციური ხასიათი. მთელისა და ნაწილების ურთიერთდამოკიდებულების ეს პრინციპი არისტოტელეს ჩამოყალიბებული აქვს „ტოპიკის“ მეექვსე წიგნის მე-13 თავში, რომელიც განსაზღვრების სწორად აგების პირობების და-მდგენ ტოპოსებს ეხება: „მას შემდეგ, რაც ისპობა ნაწილები, უნდა მოიხსოს მთელიც, ხოლო თუ ისპობა მთელი, არაჲ სავალდებულო, მოიხსოს ნაწილებიც“ (150 a 33—35).

3. „ყოვლობითისა ნიშნის ყოვლადისაგან და თანშეკრებულთაგან კერძოთა“. აქ ანტონი აყალიბებს ორ ფუნდამენტურ სქემას, რომელთა საშუალებითაც ერთმანეთთანაა დაკავშირებული ზოგადი და ერთეული. უფრო გვიანდელი ტერმინებით რომ ვთქვათ, ამ სქემებში რეალიზებულია ზოგადის მოცულობითი გაგება. პირველი მათგანია დელუქციის ტრადიციული სქემა, რომელიც თითქმის იმეორებს ე. წ. სილოგიზმის აქსიომას, რაც დასტურდება ან უარყოფა ზოგადზე, იგივე დასტურდება ან უარყოფა ზოგადში მოაზრებულ თითოეულ ერთეულზე („რომელი რავეცა შესმენილ ყოვლობითისა ნიშნისა ყოვლისაგან, ყოვლობითიც შესმენილ თითოგანაცა კერძოთა მისთა“, რომელი რავეცა მოსპობილ ყოვლობითისა ნიშნისა ყოვლისაგან, მოსპობილ ყოველთაგანაცა კერძოთა მისთა“). მეორე პრინციპი ამის შებრუნებაა: რაც დასტურდება ან უარყოფა ერთეულების მიმართ, დასტურდება ან უარყოფა ამ ერთეულების გამეორთიანებელი ზოგადის მიმართაც („რავეცა შესმენილ თანშეკრებულთაგან კერძოთა, შესმენილ ყოვლადისაგანცა მათისა“, „რომელი რავეცა მოსპობილ თანშეკრებულთაგან, მოსპობილ ყოველთაგანცა კერძოთა. მისთა“). ამ პრინციპის პირველი მაგალითი დაუმთავრებელია: „პეტრე წერს, იოანე წერს, და სხვანი ყოველნი, თანა-მოსახენი მათნი წერენ“. იგი უნდა გაგრძელდეს ასე: მაშასადამე, ყოველი კაცი წერს. მეორე მაგალითი: „სოკრატე არ მკვივან: პლატონ არ მკვივან: და სხვანი თანამოსახენი ამათნი არ მკვივან“. მაშასადამე, არავინ კაცი მკვივან. არსებითაა შეენიშნოთ, რომ ეს მეორე სქემა არ უნდა ავურიოთ განმაზოგადებელ ინდუქციაში.

ამ ტოპოსის განხილვა მთავრდება მასთან სრულიად დაუკავშირებელი მსჯელობით, რომელიც ეხება არასილოგისტურ დასკვნას, შემოსაზღვრით, თუმცა იგი არაკორექტულად არის ფორმულირებული. შემდეგი ტოპოსის განხილვა გვიჩვენებს, რომ ეს მასალა მასთან დაკავშირებით არის მოტანილი და მე-4 ქვეთავში უნდა შედიოდეს.

4. შემოუსაზღვრავი ზოგადი და შემოსაზღვრული კერძო („ზედდაუდებელი ყოვლისაგან და ზედდადებულთის კერძოსაგან“). ტერმინის შემოსაზღვრა (ზედდადება) ანტონს ესმის (და ასე ესმოდათ ტრადიციულ ლოგიკაში ეს) როგორც ამ ტერმინის კომპოზირება სხვა ტერმინთან, რაც ამცირებს ტერმინის მოცულობას. პირველი სქემა: თუ უარყოფა შემოუსაზღვრავი გვარი, მაშინ უარყოფა მისი შემოსაზღვრით მიღებული კერძოც („აღკოცვაჲ, ესე იგა მოსპოლვაჲ ზედდადებულისა ყოვლადისა აღკოცს კერძოსაც მისთა“). მაგალი-

თად, „ვეფხი არა არს კაცი, მაშასადამე (ვეფხი) არა არს ჰრელებული კაცი“. შეორეა სქემა დადასტურებისათვის. მას ორი ფორმულირება აქვს. პირველი: რაც დასტურდება შემოსაზღვრულზე, იგივე დასტურდება შემოუსაზღვრავზეც („რომელი რაფეცა შესმენილ ზედდადებულისაგან კერძოსა, შესმენილ უზედადებულისაგანაცა ყოვლადისა“). მაგალითად, „ვარსკვლავთმრიცხველი კაცი წერს, მაშასადამე, კაცი წერს“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ საქმეში ქვემდებარე წანამძღვარშიც და დანასკვშიც გაგებულია კერძობითად (რომელიდაც ან ზოგიერთი ვარსკვლავთმრიცხველი კაცი, რომელიდაც ან ზოგიერთი კაცი): უნივერსალურ ინტერპრეტაციაში ეს სქემა არაკორექტულია. მეორე: თუ დასტურდება შემოსაზღვრული შემასმენელი, დასტურდება აგრეთვე შემოუსაზღვრავიც („რომლისად შესისმინების ზედდადებული კერძო, მისადვე შესმენილ ყოვლადიცა მისი“). მაგალითი: „აპოლონ არს ვარსკვლავთმრიცხველი (კაცი). მაშასადამე, აპოლონ კაცი არს“.

5. ზოგადი და კერძო სივრცეში („ადგილობითის ყოვლადისაგან და ადგილობითის კერძოსაგან“). „ადგილობითი ყოვლადი“ ანტონის ესმის როგორც ყველგან, ყოველ ადგილას, ან პირიქით, არსად, არც ერთ ადგილას, ხოლო ადგილობითი კერძო — როგორც აქ, იქ. ზოგან, რომელიდაც ადგილას. ჩამოყალიბებული სქემები არის წინა თავში განხილული ტოპოსების მოდიფიკაცია: რაც არის ყოველ ადგილას (მაგალითად, ღმერთი) ან არ არის არც ერთ ადგილას (მაგალითად, სატანაჲ), არის ან არ არის რომელიმე კერძო ადგილასაც. რაც არ არის რომელიმე კერძო ადგილას, „არა არს ყოველსა შინა ადგილსა“.

6. ზოგადი და კერძო დროში („ჟამითისა ყოვლისაგან და ჟამითის კერძოსაგან“) ზოგადია დროში „მარად და არაოდეს“, კერძო — „ერთსა ჟამსა და არა ყოველსა“. ამ ქვეთავში ანტონი წინა აბზაცში განხილულ სამ სქემას აყალიბებს დროითი ტერმინებით.

95-ე თავია — „ადგილები“ მიზეზისა და შედეგისათვის („რომელნი არიან ადგილნი ანუ რაოდენ მიზეზისაგან და მიზეზობითისა“).

არისტოტელეს მიმდევრების თანახმად*, მიზეზი ოთხგვარაა: მოქმედი („შემოქმედებითი“), მატერიალური („ნიეთებითი“), ფორმალური („ნაკვეთობითი, ე. ი. გვარობითი“) და ბოლოვადი („დასასრულებითი“) ანუ მიზანი. ანტონის მიხედვით, ამ მიზეზთაგან თითოეული-სათვის არსებობს ბჭობის ორი სქემა („ადგილნი“, ტომოსი) —

* არისტოტელეს ოთხი მიზეზის თეორია იხ. მის „ფიზიკასა“ (II, 3) და „მეტაფიზიკაში“ (I, 3).

„თვითთა ვიდრემე მიზეზი იქმნების წინა მსრბოლ და მიზეზობითა (შედგვი) მისი — მდევარ, ხოლო მერმეცა გარემიქცევეთი — თითთა მიზეზობითი იქმნების წინა მსრბოლ და მდევარი მიზეზი მისი“ თითოეულ ადგილს აქვს ორგვარი ფორმულირება (მოდუსი): — კონსტრუქციული („აღგებითი“) და დესტრუქციული („დარღვევითი“). ამ მოდუსების განსხვავება „ტოპიკიდან“ მოდის (იხ. მაგალითად, 110 a 15).

ადგილები მოქმედი მიზეზისათვის (მიზეზი არის „წინამსრბოლ“): „უკეთუ შემოქმედებითი მიზეზი არს კეთილ, შემოქმედებითი მიზეზობითაცა არს კეთილ“ (კონსტრუქციული), „ხოლო უკეთუ შემოქმედებითი მიზეზი არა არს კეთილ, შემოქმედებითი მიზეზობითაცა არ არს კეთილ (დესტრუქციული). ადგილები მოქმედი მიზეზობითისა (შედგვი „წინამსრბოლია“, მიზეზი — „მდევარ მისა“): „უკეთუ საქმეა კეთილ, მექმიცა კეთილ“ (კონსტრუქციული), „ხოლო უკეთუ საქმე არ კეთილ, მექმიცა არ კეთილ“ (დესტრუქციული). ანტონს მოჰყავს შესაბამისი მაგალითებიც: „რომელმან წარმართა სკოლაჲ, არს კეთილ მაშასადამე, სკოლაჲ არს კეთილ“; „რომელმან სწამლოს, არა კეთილ არს. მაშასადამე, წამლვაჲ არა კეთილ არს“; „სკოლაჲ არს კეთილ. მაშასადამე, რომელმან აღაგო იგი, კეთილ არს“; „წამლვაჲ არა არს კეთილ. მაშა, რომელმან ქმნა იგი, არა არს კეთილ“.

ადგილები მატერიალური მიზეზისათვის: „იყოს რა მიზეზი ნივთებითი, იყოსცა მიზეზობითიცა მისი“ (კონსტრუქციული), (ს.ე. უარდლებოა, რომ მაგალითში ანტონი მხოლოდ შედგეის არსებობის შესაძლებლობაზე ლაპარაკობს), „ხოლო თუ მოსპობილ მიზეზი ნივთებითი, მოსპობილ მიზეზობითიცა მისი“ (დესტრუქციული). მატერიალური შედგეისათვის, ამბობს ანტონი, მხოლოდ კონსტრუქციული მოდუსი არსებობს: „იყოს რაჲ ნივთებისაგან მიზეზობითისა რაჲვეცა, იყოს დანაღაშიცა მისი ნივთებითი მიზეზი“. აქვე ანტონი ცდილობს უჩვენოს, რომ არაა მართებული ამ ადგილის დესტრუქციული მოდუსი, თუ არ არის ნივთიერი შედგვი, არ არის ნივთიერი მიზეზიც. ეს მართლაც არასწორი პრინციპია, მაგრამ ტექსტში მოყვანილი მისი ფორმულირებაც, დასაბუთებაც და მაგალითიც ცალსახად არ იკითხება. ვფიქრობთ, ამ პრინციპის დამრღვევი მაგალითი ასე უნდა იყოს ფორმულირებული: ილეკრო* არ არის, ხოლო ოქრო არის. დანარჩენი სამი მაგალითი ასეთია: — „ოქრო არს, მაშასადამე, ოქროქსოვილისა ყოფად.

* ილეკრო — ოქროსა და ვერცხლის შენადნობი (ბერძნ. ილექტრო).

არს შესაძლოა“, „ოქრო არა არს, მაშასადამე, ოქროქსოვილი არა არს“ და „ოქროქსოვილი არიან. მაშასადამე, ოქრო არის“.

„ადგილები“ ფორმალური მიზეზისათვის: „ყოფს რაჲ ნაკვეთობითი მიზეზი, იყოს სამიზეზოცა მისი“ (კონსტრუქციული). „ხოლო არაყოფითა ნაკვეთობითისა მიზეზისათა, არცაღა სამიზეზოა მისი იყოს“ (დესტრუქციული). „ადგილები“ ფორმალური შედეგისათვის: „იყოს რა ნაკვეთობითისაგან მიზეზობითისა რაჲცაჲ. იყოს მიზეზიცა“ „კონსტრუქციული“, „ხოლო თუ არა იყო იგი, არცაღა ესე იყო“ (დესტრუქციული). ფაქტობრივად, აქ ნათქვამია, რომ ფორმის არსებობა ტოლფასია ამ ფორმის მქონე ინდივიდუური საგნის არსებობისა. ჩვენ ახლა არ შევხვებით იმას. თუ რამდენად ეკუთვნის ეს დებულება არისტოტელეს მოძღვრებას ფორმის შესახებ ან მის რომელმე გვიანდელ ინტერპრეტაციას. ზუსტად ეს დამოკიდებულებაა გამოთქმული მაგალითებში, რომლებშიც ფორმად აღებულია „სამაგანდგმულობა“, ხოლო ამ ფორმის მქონე საგნად — „სამაგანდგმული“.

ადგილები ბოლოვადი მიზეზისათვის: „რომლისა დასასრულ არს კეთილ. თვით იგიცა არს კეთილ“ (კონსტრუქციული), „ხოლო რომლისა დასასრული არს ბოროტ, თვით იგიცა არს ბოროტ“ (დესტრუქციული). ადგილები ბოლოვადი შედეგისათვის: „რაჲცაჲ არს კეთილ, დასასრულიცა მისი არს კეთილ“ (კონსტრუქციული), „ხოლო რაჲცაჲ არს ბოროტ, დასასრულიცა მისი არს ბოროტ (დესტრუქციული). რადგან სათნოების მიზანი ნეტარებაა, ხოლო უკეთურობის („უთნოება“) დასასრული — საუკუნო, სასჯელი (საუკუნოდა პატიჲ). მაგალითები ჩამოთვლილი ადგილებისათვის ასე ჩამოყალიბდებოდა: „ნეტარებაა არს კეთილ; მაშასადამე, სათნობაა არს კეთილ“, „საუკუნოდა პატიჲ არს ბოროტ; მაშასადამე, უთნოებაა არს ბოროტ“, „სათნოებაა არს კეთილ; მაშასადამე, ნეტარებაა არს კეთილ“, და „ცოდნობა არს ბოროტ, მაშასადამე, საუკუნოდა პატიჲ არს ბოროტ“.

96-ე თავი — „რომელი არიან ადგილი მყოფობისაგან და მყოფობითისა“, ეხება ქმნისა და შექმნილის შესახებ ბჭობის სქემებს. ს. ჯულიანის თარგმანში გვაქვს „ქმნილებსაგან და ქმნილისა“. ასევეა ზემოთ თავდაპირველ ჩამონათვალში, თავი 91-ე: აქაც ადგილები ფორმულირდება იმის მიხედვით, თუ რომელია წინამსრბოლი ქმნა [მყოფობა] თუ შექმნილი (მყოფობითი). თითოეულ შემთხვევაში გვექნება

აგრეთვე ორ-ორი, კონსტრუქციული და დესტრუქციული მოდუსი: „რადვესიცა მყოფობად კეთილ, იყოს თვით იგიცა კეთილ და რადვესიცა მყოფობად ბოროტ, იყოს თვით იგიცა ბოროტ“ და შებრუნებით: „რადვეცა კეთილ, მყოფობაცა მისი კეთილ, ხოლო რადვეცა ბოროტ, მყოფობაცა მისი ბოროტ“. მაგალითები: „აღგებამ გოდლისა კეთილ; მაშასადამე, გოდოლი კეთილ“; „აღგებამ* გოდლისა ბოროტ, მაშასადამე გოდოლი ბოროტ“. „გოდოლი კეთილ; მაშასადამე აღგებამ გოდლისა კეთილ“ და „გოდოლი ბოროტ, მაშასადამე, აღგებამ გოდლისა ბოროტ“. ამ თავთან დაკავშირებით, იხ. „ტოპისა“ მე-2 წიგნის თავი მეცხრე, ბოლო აბზაცის პირველი ნახევარი (114 ხ 15—20).

97-ე თავში — „რომელნი არიან ადგილნი ხრწნილებისაგან და ხრწნილებითისა“ იგივე თანმიმდევრობით, როგორითაც წინა თავებში, მოცემულია იმავე სახის სქემები მოსპობისა („ხრწნილებისა“) და მოსპობილის („ხრწნილებითის“) შესახებ ბუბისათვის. ეს სქემებია: „რადვესიცა ხრწნილებამ არს ბოროტ, თვით იგი... არს კეთილ. ხოლო რადვესიცა ხრწნილებამ არს კეთილ, თვით იგი... არს ბოროტ“ და შებრუნებით: „რადვეცა კეთილხრწნილებამ მისი... არს ბოროტ, ხოლო რადვეცა ბოროტ, ხრწნილებამ მისი... არს კეთილ“. პირველი ორი დებულება ზუსტად იმეორებს „ტოპიკის“ ზემოთ მითითებული აბზაცის მეორე ნახევარს (114 ხ 20—22).

98-ე თავში — „რომელნი არიან ადგილნი საქმის შემოღებისაგან და საქმის შემოღებითისა, ესე იგი მოქმედებისაგან და მოქმედებითისა“. ანტონი ჯერ განმარტავს, რომ „საქმის შემოღება“ არის რაიმეს კეთება („მოქმედებამ საკმარისა რადვესიცა“), მაგალითად, მსაჯულის მიერ სასჯელის დადება, ან მახვილის მიერ — კვება, ხოლო შემდეგ წინა თავებში დადგენილი მიმდევრობისა და სახეების (ჯერ მოქმედებიდან ნამოქმედარზე კონსტრუქციული, შესატყვისად დესტრუქციული, გადასვლა, ხოლო შემდეგ — პირიქით) მიხედვით აყალიბებს შესაბამის „ადგილებს“. ეს ადგილებია: „რადვესიცა საქმის შემოღებამ კეთილ, თვით იგიცა... კეთილ, ხოლო რადვესიცა საქმის შემოღებამ ბოროტ, თვით იგიცა... ბოროტ“, „რადვეცა კეთილ, საქმის შემოსაღებითიცა მისი კეთილ, ხოლო რადვეცა ბოროტ, საქმის შემოსაღებითიცა მისი ბოროტ“ პირველი დებულების მაგალითები, ვფიქრობთ, არასწორადაა ფორმულირებული — „სასჯელი არს კეთილ (ბოროტ), მაშასადამე, მსაჯული არს კეთილ (ბოროტ), რადგან მსაჯული არაა

* ტექსტში ამ ადგილას შეცდომით წერია „დარღუტეა“.

„საქმის შემოღება“, ის საქმის შემომღებია. არასწორადაა ფორმულირებული მეორე „ადგილის“ მაგალითებიც — „პური კეთილ, მაშასადამე, ჰამაჲ პურისა კეთილ“ და „თაფლუკი* ბოროტ“; მაშასადამე, „სამაჲ თაფლუკისა* ბოროტ“, რადგან პურის ჰამის და თაფლუკის სმის „მოქმედებით“ (ნამოქმედარი) არის სიმამძღრე და თრობა, შესაბამისად, და არა — პური და თაფლუკი.

შესაძლოა, ეს ტოპოსები სათავეს იღებს „ტოპიკის“ მითითებული თავის ბოლო ორი სტრუქტონიდან [114 ხ 23--24]: „ზუსტად ასეთი ვითარებაა იმისთვისაც, რასაც გაკეთება და მოსპობა ძალუქს. მართლაც, რაც კარგს აკეთებს, კარგია თავად, ხოლო რაც კარგს სპობს, თვითონ ცუდია“.

99-ე თავია — „რომელნი არიან ადგილნი განმზიდველობითა და მდევრობითაგან შეხდომათა“ (უნდა იყოს „შემთხვევითა“ — როგორც ეს 91-ე თავის ჩამონათვალშია). როგორ გავიგოთ ჩამოყალიბებული ადგილების არა მხოლოდ ფორმა და სტრუქტურა, არამედ შინაარსი, ვეარაუდობთ, რომ „განმზიდველობა“ უნდა ნიშნავდეს განტვირთვას, თავიდან მოცილებას (?), ხოლო „მდევრობითი“ — იმას, რასაც მოსდევს „განმზიდველობა“, რისი თავიდან მოცილებაცაა სასურველი. ანტონი აყალიბებს ორ სქემას. თუ „განმზიდველობა“ წინამსროლი“, მაშინ „ადგილი“ მხოლოდ დადასტურებითა („წარაქმით“): „იყოს რაჲვეცა განმზიდველობითი შემთხვევაჲ, იყოს მდევრობითიცა“. მაგალითად, „მანასემან შეინანა; მაშასადამე, შეცოდებული არს“. თუ „წინამსროლი“ „მდევრობითია“, „ადგილი უარყოფითია („უკუქმითი“); „მოისპოს თუ მდევრობითი შემთხვევაჲ, მოსპობილ განმზიდველობითიცა“. მაგალითად, „ყოვლად წმიდამან ქალწულმან არა სცოდა; მაშასადამე, არა შეინანებს“.

მე-100 თავია — „რომელნი არიან ადგილნი აღმატებულთაგან და განზრქელებულთა სახელთა“. „განზრქელებული სახელი“ კონტექსტის მიხედვით, აღმატებულს, აღმატების სუბიექტს უნდა ნიშნავდეს. როგორც აღმატებულის, ისე „განზრქელებულის“ „წინამსროლობის“ შემთხვევისათვის ანტონი აყალიბებს მსჯელობის სქემებს („ადგილებს“), ორივე; კონსტრუქციულ და დესტრუქციულ მოდულებს ერთობლივად. ესენია: „რაჲვეცა შესაფერ აღმატებულისა, იგივე შესაფერ განზრქელებულისა“. „მეფობაჲ კეთილ: მაშასადამე, მეფეჲ კეთილ“ (კონსტრუქციული ანუ „აღგებითი“ მოდულის მაგალითი), „მეფობაჲ

* თაფლუკი — თაფლის არაყი.

ბოროტ; მაშასადამე, მეფე ბოროტ“ (დესტრუქციული ანუ „დარღვევითი მოდუსის მაგალითი“). „რომელი რავეცა შესაფერ განზრქელე-ბულისა სახელისა, იგივე შესაფერ სახელისაცა აღმატებულისა“. ამ „ადგილისათვის“ ანტონი იძლევა მხოლოდ დესტრუქციული მოდუსის მაგალითს „მოსწრაფება (აჩქარება) ბოროტ: მაშასადამე — მოსწრაფე ბოროტ“.

101-ე თავია — ტოპოსები უდიდესისა და უმცირესის შესახებ.

ამ თავიდან იწყება „ადგილთა“ (ტოპოსთა) ახალი ჯგუფის, ანტონის ტერმინოლოგიით, „გარეგნით ადგილთა“ გადმოცემა. მათ ეძღვნება 101-ე და 107-ე თავები.

თავის დასაწყისში არისტოტელეს სკოლაზე მითითება შემთხვევითი არ უნდა იყოს: „ტოპიკის“ მეორე წიგნის მეცხრე თავის მეორე აბზაცში არისტოტელე აყალიბებს ოთხ ტოპოსს „უდიდესისა უმცირესისა“ შესახებ, რომელთაგან პირველის შინაარსი ასეთია: „თუ სიამოვნება სიკეთეა, მაშინ მეტი სიამოვნება მეტი სიკეთეა და თუ უსამართლობის ქმნა ბოროტებაა, უფრო დიდი უსამართლობის ჩადენა უფრო დიდი ბოროტებაა (114 b 36—115 a 15).

ანტონი იძლევა ორ „ადგილს“ — დესტრუქციულს, იმ შემთხვევისათვის, როდესაც წინამსწობლი უდიდესია, და კონსტრუქციულს, როდესაც უმცირესია ასეთი: „რავეცა უდიდესისადა არ ძალ“, არ ძალუძს უმცირესსაც და „რავეცა უმცირესისადა ძალ, იგი უმაღლესისადაცა ძალ ყოფად ანუ ქმნად“. მაგალითები: „არ ძალ მეფეთდა გამოღებად (აღება) ქალაქი ტროადა, მაშასადამე, არ ძალ მკედართა გამოღებად ქალაქი ტროადა“ და „მკედართა ძალ გამოღებად ქალაქი ტროადა მაშასადამე, მეფეთაცა ძალ გამოღებად ქალაქი ტროადა“.

102-ე თავში განხილულია სქემები დაპირისპირებულებისათვის („ადგილნი განრეშომობისაგანნი“). მასში გადმოცემული მასალის პირველწყარო არის „კატეგორიების“ მეათე თავი (მისი „კვალი“ ზემოთაც ვნახეთ, როდესაც ანტონი აანალიზებდა საკითხებს კატეგორიების შესახებ) და არა — „ტოპიკის“ მეორე წიგნის მერვე თავი. როგორც ეს მოსალოდნელი იყო თვითონ არისტოტელესთან, ორი ზნებადსხვა ტრაქტატის ეს ორი თავი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ს. ჯულაეცისა და მის კვალად ანტონის მიერ მასალის გადმოცემის მანერა, ისევე როგორც უკვე განხილულ თავებში, სქემატურია — ჯერ „ადგილების“ მაგალითები, შემდეგ თვითონ მათი ზოგადი სახით ფორმულირება. მათ ზოგჯერ თან ახლავს წმინდა გარეგნული ხასია-

თის კომენტარი; დაფუძნება-დასაბუთება თითქმის არ გვხვდება. არის-ტოტელეს მიხედვით (იხ. „კატეგორიები“, 11b 15—23), დაპარისპირება ოთხი სახისაა (ფრჩხილებში ანტონის ტერმინებია მითითებული): მიმართებაში ყოფნა („რამდენიმართად“), საკუთრივ დაპარისპირება გვარებისა და სახეებისა (დაპარისპირება „წინამეტყველებითად“, „წინამეწყვეობითად“), ქონება-ფლობა და მოკლება-მოკლებულობა რაიმე თვისებისა („მოკლებითად“, „ანაგებნი და მოკლებითი განრემზომნი“) და მტკიცება-უარყოფა („განრემზომობითა განრემზომნი“).

ანტონის თანახმად, მიმართებითი დაპარისპირებისათვის არსებობს ოთხი ადგილი — კონსტრუქციული და დესტრუქციული მოდული მიმართების თითოეული წევრის წინამსრობლობისას: „რამვეცა არს ერთი განრემზომთაგან, მეორეცა არს, რამვეცა ერთი... არა არს, არცაღა მეორეცა“. მოცემულია კონსტრუქციული მოდულების მაგალითები: „მამაჲ არს. მამასაღამე, ძეცა არს“ და „ძე არს. მამასაღამე, მამაცა არს“. ეს არის მიმართებითი დაპარისპირების არისტოტელესეული განსაზღვრების მორდიფიკაცია (11 b 23—25).

საკუთრივი დაპარისპირების შესახებ ანტონის ცნობების გასაგებად გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი დახასიათება „კატეგორიებში“. საკუთრივ დაპარისპირება, ამბობს არისტოტელე, ორგვარია: ერთი ისეთია, რომ დაპარისპირებულთაგან ერთ-ერთი აუცილებლად არსებობს და მამასაღამე, მათ შორის არ არსებობს არაფერი საშუალო (გვიანდელი ტერმინოლოგიით, კონტრადიქტორული დაპარისპირება). მაგალითად, ჭანმრთელობა და ავადმყოფობა, ლუწი და კენტი. მეორე სახის დაპარისპირებულთაგან ერთ-ერთის არსებობა აუცილებელი არ არის და, მამასაღამე, არსებობს რაღაც საშუალო მათ შორის, ანუ მათგან განსხვავებული მესამე მდგომარეობა (გვიანდელი ტერმინოლოგიით, კონტრარული დაპარისპირება). მაგალითად, შავი და თეთრი (ხომ არაა სწორი, რომ ყოველი სხეული შავი ან თეთრია; თეთრსა და შავს შორისაა ნაცრისფერი, ღია ყვითელი და სხვა ფერები), ცუდი და კარგი (12 a 2—25). ანტონის ტექსტი ამისი სხვა სიტყვებით ფორმულირებაა და არ ეხება იმას, რასაც არისტოტელე „ტოპიკაში“ [11, 8] გვთავაზობს. თუ უშუალო დაპარისპირებულთაგან („წინამეწყვეთა უსაშუალოთა“) წერს ანტონი, ერთ-ერთი დაატურდება, მეორე უარიყოფა და პირიქით, თუ ერთ-ერთი უარიყოფა, მეორე უნდა დადასტურდეს. მაგალითად, „ლაზარე არს მრთელ, მამასაღამე, არა სნეულ. ლაზარე არა მრთელ, მამასაღამე, სნეულ“. „ხოლო წინამეწყვეთა, რომელთა აქუს მითვალვად საშუალისა“, ერთის დადას-

ტურება მეორის უარყოფას მოასწავებს, მაგრამ არა პირიქით („არა გარეშე-შესმენით“). მაგალითი: „უკეთუ არს შავი, მაშასადამე, არა არს თეთრი, ხოლო თუ თეთრი არს იგი, მაშასადამე, არა არს შავი. მაგრამ შესაძლო, რათა არა იყოს შავი და არცა თეთრი, არამედ ფერო“. საყურადღებოა, რომ, ფაქტობრივად, მეორდება არისტოტელეს მაგალითები.

ქონება და მოკლება (რაიმე თვისებისა) არისტოტელეს თანახმად, ითქმის, როცა ეს თვისება ბუნებრივად უნდა იყოს. მაგალითად, თვალს შეიძლება ახასიათებდეს მხედველობა (ქონება) და სიბრმავე (მოკლება) რაიმე თვისება აკლიაო, ვამბობთ ყველა საგანზე, რომელსაც აქვს უნარი ამ თვისების ქონებისა, საგანზე, რომელშიც თუმცა არ არის ეს თვისება, მაგრამ ბუნებრივად კი უნდა არსებობდეს მასში. ბრმას ვუწოდებთ არა იმას, რასაც არა აქვს მხედველობა, რომელსაც არა აქვს მხედველობა, ოღონდ, მისი ბუნების, მიხედვით უნდა ჰქონდეს. არსებებზე, რომლებსაც საერთოდ არა აქვს (დაბადებიდან) მხედველობა, ან ბუნების მიხედვით, ჯერ არ უნდა ჰქონდეთ, არ ამბობენ სიბრმავეს („კატეგორიები“, 12 a 25—12 b 5, 13 a 5—6).

ანტონი: „მსგავსად უსაშუალოთა წინააღმდეგეთა“ ქონება-მოკლებების შემთხვევაშიც, ერთის დასტურიდან მეორის უარყოფა გამომდინარეობს და პირიქით. მაგალითად, „მელიტონ არს მხედველ“, მაშასადამე, არა არს ბრმაა. მელიტონ არა არს მხედველ, მაშასადამე, არა ბრმაა“. მოკლების დადასტურება, როდესაც უარყოფილია ქონება, არ იქნება მართალი, თუკი მოცემული თვისება, ბუნების მისეღვით, არ უნდა ჰქონდეს საგანს („წართქმითი მღევარი არა მართლოვს, თუ... წინამსრბოლი უკუთქმით არა იყოს ქვემდებარესა მას, რომლისა შორის აქუს ყოფნა ანაგებ ყოფილ“). მაგალითად, „ფინიკისა ითქვას თუ, არ არს მხედველ“, ვერ ვიტყვით, რომ იგი ბრმაა, რადგან „ესე არა უგარძნობელთა ზედა ითქმის, არამედ ცხოველთა, რომელთა აქუს გარძნობაჲ ეგ სახედვე“. მოკლებულობის დადასტურება მცდარი იქნება მაშინაც, როცა საგანში კია ეს თვისება ბუნებით მოცემული, მაგრამ მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ. მაგალითად, „ყრმისად თქმაჲ არა არს ფილოსოფოს-ჰელმარიტ... მაგრა თქმაჲ, მაშასადამე, არს ზედმიწევნელ* (არამეცნიერი), ცრუ არს, არა არს ეჲმი მისდა ჯერეთ“. მოკლების „წართქმა“ ჰელმარიტი იქნებოდა, თუკი ვიტყოდით:

* ტექსტის „არ არს ზედმიწევნილ“ შეცდომაა, რადგან აქ მოკლების დადასტურება უნდა იყოს.

„მოხუცი ესე არა არს ფილოსოფოს, მამასადამე, არს ზედმოუწე-
ნელი“*.

„განრემზომობითა განრემზომითა არა აქუს საშუალ არარაჲ“ — აქ რომ სწორედ მტკიცება-უარყოფა იგულისხმება, აშკარად ჩანს შემდეგი ფრაზიდან — „არავიღდა ძალ-თქმად საშუალ ყოფად განრემზომობითისა განრემზომისა, ვითარმედ უსაშუალ არს განრემზომობაჲ იგი, რამეთუ ყოვლისადა ყოვლისა შინა ქამისა შესაძლო არს თქმად არს ანუ არა არს“. ანტონის მიხედვით, „საშუალო“ სამ შემთხვევაში — სახეობითი („ვითარ თეთრისა და შავისა შორის ფეროჲ“), ნოვებითი („ვითარ მრთელისა“** და სნეულისა შორის ქვაჲ“) და ქამითი დაპირისპირებისას („ვითარ ლეკვი ძაღლისა. ვადრე დღემდე მეცხრედ შობითგან არცა მხედველ არს და არცა ბრმაჲ“) — გვაქვს. თითო „ადგილი“ ასეთა: „განრემზომობითისა განრემზომობისა თუ ერთა... არს... ქეშმარიტ. მყის მეორე არს ცრუ“ და პირიქით, ერთი თუ... „ცრუ არს, მეორე მყის ქეშმარიტ“. მაგალითები: „შენანება სოლომონისი არს ქეშმარიტ; მამასადამე, შეუნანებლობაჲ არს ცრუ“ და „შენანება სოლომონისი არს ცრუ, მამასადამე, არ-შენანებაჲ არს ქეშმარიტ“. შედარება გვარწმუნებს, რომ „კატეგორიებიდან“ შენარჩუნებულია უმარტივესი სქემა, ხოლო მტკიცება-უარყოფაში სინტაქსური და სემანტიკური შრეების განსხვავება (12 b 6—15), აგრეთვე, არასებულ საგანთა შესახებ მტკიცება-უარყოფის ინტერპრეტაცია (12 b 10—35) დავიწყებულია. ეს, ცხადია, უწინარეს ყოვლისა, ეხება ტრადიციულ ლოგიკას. საზოგადოდ, და არა ანტონსა და მის წყაროებს, კონკრეტულად***.

103-ე თავში — „რომელნი არიან ადგილნი განწვალებისანი“ გადმოცემულია ცნების გაყოფის სახეები, იოანე დამასკელის მიხედვით და ფორმულირებულია გაყოფით-კატეგორიული სილოგიზმის, ტრადიციულ ლოგიკაში კარგად ცნობილი მოდუსები — მოდუს ტოლენდო პონენს და მოდუს პონენდო ტოლენს. ცნების გაყოფის სახეები: 1. გაყოფა სახეებად („თანამოსახელობა თანამენათესავეთა სხვათა და სხვათა სახეთა“), 2. გაყოფა ინდივიდებად („სხვაგვამობაჲ თანამოსა-

* რადგან არის „ზედმოუწეველ“, „არს“-ის წინ „არა“ ზედმეტია ტექსტში.

** ტექსტის „ცეცხლისა“ შეცდომაა და უნდა იყოს „მრთელისა“, რადგან არის ტოტალუსთანაც და ანტონთანაც „სნეულს“, „მრთელი“ უპირისპირდება.

*** მეორე მაგალითში ანტონს ეს დიდი წინამძღვარი, ალბათ სიმოქლის გამო, გამოტოვებული აქვს. ქვემოთ მას მოაქვს სხვა მაგალითიც, რომლის დანახვას

ხეთა განუქვეთელთა“). 3. მთელისა — ნაწილებად („სრულისა, ესე იგი ყოვლითურთისა, განწვალება კერძო და კერძოდ“), 4. ომონიმური სასახელის მნიშვნელობების განსხვავება („სახელ-მოდგამისაებრ კმისა“), 5. არსებითის გაყოფა შემთხვევითი ნიშნის მიხედვით („არსებაჲ ზედშესრულთადმი“), 6. შემთხვევითი ნიშნის მიხედვით, სხვადასხვა არსებათა განსხვავება „ზედშესრულნ არსებათადმი“), 7. შემთხვევით ნიშანთა კლასიფიკაცია („ზედშესრული ზედშესრულთადმი“), 8. გაყოფა არსებად და შემთხვევად (?) („საქმე რაჲვე არსადცა და შემთხვევითად. გაყოფით-კატეგორიული სილოგიზმის მოდუსები, (მათ უწოდებს ანტონი „ადგილნს განწვალებისანის“, თუ დასტურდება (არსებობს, „დადებულია“) გაყოფის ერთი წევრი, მაშინ მეორე უარყოფა (არ არსებობს), „აღმზოცელი იყოს“, ხოლო ერთის უარყოფა ადასტურებს მეორეს, „ერთი იგი ჰგეის მეორე“. მაგალითები: „სოკრატი არს მშვინველი, ანუ სიტყვიერი არს, ანუ უსიტყვი, გარნა არა არს უსიტყვი; მაშასადამე, არს სიტყვიერი, „სოკრატი არს მშვინველი, ანუ სიტყვიერი არს, ანუ უსიტყვი; გარნა სიტყვიერი არს; მაშასადამე, არა არს უსიტყვი“.

104-ე თავი — „რომელნი არიან ადგილნი თანსქესობითთაგანნი“ და თავი 105-ე — „რომელნი არიან ადგილნი მსგავსთაგანნი შემსგავსებისაგანნი“ შეიძლება გავაერთიანოთ, რადგან ისინი ერთსა და იმავეს ეხებიან („თანსქესობითში“ ანტონი ერთგვაროვნებას, მსგავსებას გულისხმობს). მსგავსების შესახებ არისტოტელე „ტოპიკის“ ორ ადგილას მსჯელობს, ესაა პირველი წიგნის მე-17 და მე-18 (მესამე აბზაცი) თავები და მეორე წიგნის მე-10 თავი (პირველი აბზაცია). ანტონის ტექსტი არც ერთ მათგანს არ მიჰყვება ზუსტად. არისტოტელე მსგავსების პრობლემას ინდუქციასთან აკავშირებს — საგანთა შორის მსგავსების აღმოჩენა განზოგადების საფუძველია. ანტონთან ეს არ გვაქვს. მაგრამ „ტოპიკის“ ორივე მითითებულ ადგილას გვაქვს დებულებები, რომლებიც განმეორებულია ანტონის ტექსტში: „როგორცაა საქმის ვითარება მსგავსებიდან ერთ-ერთისათვის, ისეთივეა იგი მეორისათვის“ (18 b 13), თუ საქმის ვითარება ერთ-ერთი მიმსგავსებულისათვის ასეთი და ასეთია, ასეთივე იქნება ყველა დანარჩენისათვის, ხოლო თუ ერთი რომელიმე მათგანისათვის საქმის ვითარება ასეთი და ასეთი არაა, არც დანარჩენებისათვის იქნება ასეთი (114 i;

„მაშასადამე არს არა მგრძნობელ“-ის ნაცვლად, უნდა იყოს „მაშასადამე არა არს მგრძნობელი“.

:29—32). ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დებულებებს არისტოტელე უეჭველ ჰეშმარებდად არ მიიჩნევს.

ანტონი: „თანამსგავსნი... არიან ერთფერ“. ასეთი ფორმულირება მოასწავებს, რომ არსებობს როგორც კონსტრუქციული („აღკვებითი“); ისე დესტრუქციული („დარღვევითი“) ადგილები. მაგალითებში ივარაუდება, რომ სიცილისა („მოცინარეობაჲ“) და ხეზენისა („მკვიცვანობაჲ“) უნარები არის „თან სქეს“: „მოცინარეობაჲ არს თუ-სა კაცისა. მაშასადამე*, მკვიცვანობაჲ — ცხენისა“, „მოცინარეობაჲ არა არს ნათესავ კაცისა, მაშასადამე, არცაღა მკვიცვანობაჲ არს ნათესავ ცხენისა“. შემდეგ ადგილია (თავი 105) დებულება: „მსგავსნი ღირს ერთმანეთისამებრ მსგავსებისა ყოფად“. მაგალითში ივარაუდება, რომ მსგავსება მენავესა და თეოლოგს შორის, „რამეთუ ვითა მენავე ნავსადმი ეგ სახედვე არს თეოლოღოს თეოლოღითისადმი სკოლისა“, „არ აღჩვეულ იქნების შეხდომითა წილისათა (ენჭისყრით) მენავეთმოდღვარი, არამედ უფროსლა კელოვნებით. მაშასადამე, მოძღვარი თეოლოღიასი არა ჰხამს აღჩვევად წილ შეხდომით, არამედ კელოვნებით“.

შეიძლება ითქვას, რომ ამ თავებში ანტონი იძლევა ანალოგიით დასკვნის ფორმულირებას.

106-ე თავი — ბჭობის სქემები გამოცდილებს შესახებ (ანტონის „გამოცდილისაგან“ ჯუღაეცის თარგმანშია — „გამოცდილებსაგან“) თავი იწყება მიმართვით, სავარაუდოა, ერეკლე მეფისადმი. „გამოცდილებას“ ანტონი განმარტავს, როგორც რამეში გამოცდილებას, ცოდნის ისეთ ქონებას, როგორც ჰომეროსს გრამატიკაში, არისტოტელეს — ფიზიკაში, ხოლო პლატონს — ვარსკვლავთმრიცხველობაში. პრინციპა, რომელსაც ანტონი აყალიბებს, ასეთია: თავის დარგში გამოცდილი ადამიანის მეცნიერებული მსჯელობა სარწმუნოა („რომელიცა გამოცდილ არს თვისისა შორის ზედმიწევნილობისა, დასარწმუნოა არს ზედმიწევნილობაჲ მისი“). მაგალითი: „არისტოტელე თქვა: ზეციერნიო სხეულნი არა არიან ოთხთა ასოთაგან. მაშასადამე. ჰეშმარებ სიტყვა ესე“.

107-ე თავში — „რომელნი არიან ადგილნი ანუ რაოდენ სხვა და სხვათაგან ნათესავთა“, ანტონი აღწერს კიდევ ერთ ადგილს, რომელსაც პერიპატეტიკოსები „სხვა და სხვათაგან ნათესავთა“ (გვართა) კატეგორიათა (?) ადგილს“ უწოდებენ. მაგრამ მასში „წინამსრობოლი“ და „მღვევარი“ გვარები კი არ არის, არამედ გვართა სახეები. ეს

* ტექსტის „და“, ნაცვლად „მაშასადამე“-სი, შეცდომაა.

ადგილი ასეთია: სახეები, „რომლითაცა ნათესავნი არიან სხვადასხვა, თავით თვისით არიან სხვა და სხვა“. მაგალითად, „სული არს არსებად, ხოლო ფერი არს ვითარი“*, მაშასადამე, „სული... არა არს ფერი“.

ამის შემდეგ აკეთებს „ადგილთა“ დამაჯამებელ მიმოხილვას, იგი ჩამოთვლის ყველა მის მიერ განხილულ „ადგილს“, რომლებიც სახელდებულია წინამსრობოლი ნების მიხედვით (ფრჩხილებში მითითებული გვაქვს უფრო მიღებული ტერმინები და „ადგილთა“ მოკლე განმარტება):

1. საზღვრისაგან (ტერმინისაგან, განსაზღვრისაგან).
2. განსაზღვრებისგან (განმსაზღვრელისგან) (ფორმულირებულია განსაზღვრების მხარეთა ურთიერთშენაცვლების პრინციპი).
3. „სწორსიტყვაობისაგან“ (ტოლფასობისგან, წინამსრობოლია მარტივი ტერმინი).
4. „სწორსიტყვაობითისაგან“ ((ტოლფასობისაგან, „წინამსრობოლია“ საკუთრივ ნიშანი). (ფორმულირებულია ტოლფასთა ურთიერთშენაცვლების პრინციპი)
5. „ყოვლობითისაგან ყოვლადისა“ (გვარისაგან ზოგადად)
6. „ყოვლობითისაგან კერძოდა“ (სახისაგან ზოგადად) (მოცემულია გვარ-სახეობრივი დამოკიდებულების ზოგიერთი სილოგისტიკური თვისება)
7. „ყოვლითურთობისაგან ყოვლადისა“ (მთელისაგან)
8. „ყოვლითურთობისაგან კერძოდა (ნაწილისაგან) (დადგენილია მთელისა და ნაწილის ურთიერთდამოკიდებულების ეგზისტენციური ასპექტი)
9. „ყოვლობითისაგან ნიშანისა, ესე იგი ყოვლადისა“ (ზოგადისაგან).
10. „ერთად შეკრებულთაგან კერძოთა“ (ერთეულისაგან) (დადგენილია ზოგადსა და ერთეულს შორის მოცულობითი დამოკიდებულება).
12. „ზედდადებულთაგან კერძოთა“ (შემოსაზღვრული ზოგადისა— (დადგენილია მიმართება ზოგადსა და შემოსაზღვრით მიღებულ მის სახეს შორის)
13. „ადგილობითისაგან ყოვლადისა“ (ზოგადისაგან სივრცეში)

* ვითარი — თვისებრიობა, არისტოტელეს ერთ-ერთი კატეგორია.

14. „ადგილობრივთისაგან კერძოჲსა“ (კერძოსაგან სივრცეშა)
(მიმართება „ყველგან“ და „ზოგან“ ცნებებს შორის)
15. „უამითისაგან ყოვლადისა“ (ზოგადისაგან დროში)
16. „უამითისაგან კერძოჲსა“ (კერძოსაგან დროში)
(მიმართება „ყოველთვის“ და „ზოგჯერ“ ცნებებს შორის)
17. „შემოქმედებითისაგან მიზეზისა“ (მოქმედი მიზეზისაგან)
18. „შემოქმედებითისაგან მიზეზობითისა“ (მოქმედი მიზეზის შედეგისაგან)
19. „ნივთებითისაგან მიზეზისა“ (მატერიალური მიზეზისაგან)
20. „ნივთებითისაგან მიზეზობითისა“ (მატერიალური მიზეზის შედეგისაგან)
21. „ნაკვეთობითისა, ესე იგი გვარობითისაგან მიზეზისა“ (ფორმალური მიზეზისაგან)
22. „ნაკვეთობითისაგან მიზეზობითისა“ (ფორმალური მიზეზის შედეგისაგან)
23. „დასასრულებითისაგან მიზეზისა (მიზნისაგან)
24. „დასასრულებითისაგან მიზეზობითისა“ (მიზნის საწყისისაგან)
(დადგენილია ეგზისტენციალური და ზნეობრივი მიმართებები არისტოტელის კონცეფციის მიხედვით) (მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების წევრებისათვის)
25. „ქმნილებისაგან“ (მხედველობაშია ქმნის პროცესი)
26. „ქმნილისაგან“ (ქმნის პროცესის შედეგი)
27. „ხრწნილებისაგან“ (მოსპობისაგან)
28. „ხრწნილებითისაგან“ (მოსპობილისაგან)
29. „საქმის შემოღებისაგან“ (კეთებისაგან)
30. „საქმის შემოღებითისაგან“ (გაკეთებულისაგან)
(ცნებათა ყოველი წყვილისათვის დადგენილია ზნეობრივი მიმართებები ამ წყვილის წევრებს შორის — კეთილ-ბოროტი)
31. „განზიდულობითისაგან შემთხვევითისა“ (თავიდან აცილები-საგან)
32. „მღვერობითისაგან შემთხვევითისა“ (რასი თავიდან აცილებაც არის ნავარაუდელი)
(მტკიცება, მათ შორის ეგზისტენციალური მიმართების არსებობა — თუ ერთი არსებობს, არსებობს მეორეც)
33. „აღმატებულისაგან სახელისა“

34. „განზრქელებულისაგან სახელისა“ (აღმატების სუბიექტისაგან) ამტკიცებს, რომ აღმატება და აღმატებული ურთიერთშენაცვლებადნი არიან)

35. „უდიდესისაგან“

36. „უმცირესისაგან“

(დადგენილია გარკვეული მიმართება მათ, როგორც მოქმედ სუბიექტებს შორის)

37. „რახსა-მიმართობითისაგან განრემზომისა“ (დაპირისპირება მიმართების წვერებისათვის)

38. „წინააღმდგომისაგან“ (ცნებათა კონტრადიქტორული და კონტრარული დაპირისპირებისაგან)

39. „ანაგებისაგან და მოკლებისაგან“ (ქონება-ფლობისაგან და მოკლებსაგან“)

40. „განრემზომისაგან“ (დასტურ-უარყოფისაგან) არისტოტელეს კონცეფციის მიხედვით, დაპირისპირების ოთხი სახისათვის მოცემულია დაპირისპირების წვერთა შორის არსებულ მიმართებათა ზოგიერთი თვისება)

41. „განწვალებისაგან“ (ცნების გაყოფისაგან)

(ჩამოყალიბებულია გაყოფით-კატეგორიული სილოგიზმის მოდუსები)

42. „თანქესობითაგან“

43. „შემსგავსებულთაგან“

(ჩამოყალიბებულია ანალოგიით დასკვნის პრინციპები)

44. „გამოცდილისაგან“

(მცოდნე აზრის სანდობა)

45. „სხვა და სხვათაგან ნათესავთა“

(ერთმანეთისაგან განსხვავებულ გვართა სახეები თვითონაც ერთ-მანეთისაგან განსხვავდებიან).

ამტკიცებენ, რომ მათ გარდა („კიდე ამათისა“) არ არსებობს სხვა დიალექტიკური ადგილები. თუ ვინმე მოინდომებს გამოკვლევას, დარწმუნდება („სცნას ესე ვითა მან“), რომ ესენი მოიცავს ყველა დიალექტიკურ ადგილს. ადგილი დასკვნაში დიდი წინამძღვრის როლს ასრულებს. მაგალითად, მსჯელობაში: ყოველი ნაწილი თავის მთელზე უფრო მცირეა; თავი არის ნაწილი სხეულისა; მაშასადამე, თავი სხეულზე უფრო მცირეა. დიდი წინამძღვარი „ყოველი კერძო უმცირეს თვისისაგან ყოვლადისა“ არის „უსარწმუნოესი“ ადგილი.

ძალიან ძნელია ანტონის შემდგომი მსჯელობის ინტერპრეტაცია. სავარაუდოა, რომ იგი განმარტავს მნიშვნელობებს სიტყვებისა — „მი-

ნაგანი“ და „გარეგანი“, ადგილების კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ადგილები ორგვარია: შინაგანი ანუ „შორისი“. მსგავსად იმისა, როგორც „ოქრო ოქროვილისა შინა ითქმის“, ხოლო „ოქროვილო შინაგან ოქროსა არის მყოფი“, და გარეგანი ანუ გარეშე, როგორც „კეისარი და სოლდათი — გარეგნითი ერთმანეთისა მყოფობით“. მოქმედი მიზეზი და მისი შედეგი (პროდუქტი მოქმედებისა) გარეგანია ერთმანეთის მიმართ, ხოლო მატერიალური მიზეზი რჩება თავის შედეგში. ცდება, ვინც ფიქრობს, რომ არსებობს სხვაგვარი ადგილებიც („ხოლო თუმცადა თუ ჰკონოს ვინ ადგილი სხვაჲ ყოფად მერმეცა, რომელი დაწესებულ არს შორისად და გარეგნად კიდე ამათსა, სცთების იგი“). შემდეგ ანტონი მსჯელობს აღნიშნული ტერმინების სხვა (კოსმოლოგიურ) მნიშვნელობებზეც.

ამით ამთავრებს დიალექტიკურ ადგილთა განხილვას.

რა შეიძლება ითქვას „სპეკალის“ ამ ნაწილის შესახებ, რომელშიც გადმოცემულია არისტოტელეს „პირველი ანალიტიკისა“ და „ტოპიკის“ შესაბამისი პრობლემატიკა?

ანტონამდე ასეთი შინაარსის შრომა ქართულ ენაზე არ არსებობდა. არ არსებობდა თხზულება, რომელშიც განხილული იქნებოდა კატეგორიული სილოგიზმის თეორია და მოძღვრება ტოპოლებზე. „სპეკალი“ პირველი ასეთი ქართული წიგნია. ეს ანტონის უდიდესი დამსახურებაა. მოვუსმინოთ თვითონ მას: „უფიცავ თავსა შენსა... ვითარმედ ორნი ესე ნაწილნი „კატელორიათანი“, მე-2 და მე-3, არა იყუნეს დროთა ჩვენთა ქართულთა ზედა კმათა და სხვათა ენათაგან გარდამოღებაჲ ვაქმნიე ვისმე და დავლექსენ მასვე კანონსა ზედა ლექსთშეცვლობით და სხვა გაგვარებულად, მაგრა იგივე კანონი ვიპყრენ არისტოტელისაგანთა მესკოლეთაგანი“. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც დაიწერა „სპეკალი“, ანტონისავე დავალებით, სომხურიდან ქართულად ითარგმნა სვ. ჭულაეცის იმავე შინაარსის წიგნი „დიალექტიკა“. „სპეკალითა“ და სვ. ჭულაეცის წიგნის ქართული თარგმანით ქართული ფილოსოფიურ-ლოგიკური ლიტერატურა გამდიდრდა და გაფართოვდა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის, ჩვენთვის ახალი ნაკადით. ახალი თემატიკითა და იდეებით. ვიმეორებთ, ეს ანტონის უდიდესი დამსახურებაა.

ეს ყველაფერი, როგორც მოტანილი სიტყვებიდანაც ჩანს, კარგად ჰქონდა შეგნებული ანტონს. „სპეკალში“ ვერ ვიპოვით ადგილს, რომელიც არ იყოს შეჭვრებული მის ხელთ არსებულ წყაროებ-

თან. „თავმან შენმან, ჩემგან მრავალ ტრფობით დასაფიცავმან, მიმარ-
თავს იგი ერეკლეს, არარაჲ ჩემისამებრ უსწავლელობისა, თავისა ჩე-
მისა მინდობით, მისიბრძნიეს ცთომილსა, არამედ რაჲვეცა ვისმინე
ლათინთაგან ჭილოსოქოსთა და ზაქარიას ვისმე. სომეხთა მოძღვრისა“
(თავი 120). და კიდევ: „რწმენოდენ შენსა ღვთჳ ბრწყინვალესა ნოი-
მასა, რამეთუ რაჲცა ვისმინე, იგი თავდგმულობით ვაგვირგვინე წიგნ-
სა ამას“ (თავი 106) — ამბობს იგი.

ბუნებრივად დგება საკითხი — რა წყაროებს ეყრდნობოდა იგი?
ანტონი რომ უშუალოდ არ იცნობდა არისტოტელეს „პირველ
ანალიტიკასა“ და „ტოპიკას“, გარდა მოტანილი ციტატებისა, „სპეკალ-
ის“ ტექსტის უბრალო, ზედპირული გაცნობითაც კი დასტურდება.
არისტოტელეს კატეგორიული სილოგიზმის და, უფრო ზოგადად, დას-
კვნების თეორია „სპეკალში“ მოცემულია შუა საუკუნეებში ბერძნულ-
ლათინურ ლოგიკურ ლიტერატურაში შემუშავებული სქემის მიხედ-
ვით, რომელიც შემდგომში ტრადიციულ ლოგიკაში დამკვიდრდა. ამ
სქემის აუცილებელი ელემენტებია მეოთხე ფიგურის ცალკე განხილ-
ვა. სილოგიზმის მოდუსების პირველი ფიგურის მოდუსებზე დაყვანის
პროცედურის კოდიფიკაცია მოდუსების სახელებში, მოდალური სი-
ლოგიზმის თეორიის უგულვებელყოფა, კატეგორიული სილოგიზმების
გვერდით პირობითი და გაყოფითი სილოგიზმების განხილვა. ეს სქემა
და ჩამოთვლილი ელემენტები, რომლებიც „სპეკალშიც“ დასტურდება,
არსებითი გადახვევაა „პირველი ანალიტიკიდან“.

რაც შეეხება „ტოპიკას“, განხილვამ გვიჩვენა, რომ ანტო-
ნის „ადგილებს“ მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო შეხების წერტი-
ლი აქვს არისტოტელეს „ტოპიკასთან“. „ადგილები“ „სპეკალში“ წარ-
მოადგენს ზოგიერთ ცნებათა ურთიერთდამოკიდებულების მარტივ
თვისებებს. არ არის დაფუძნებულ-დასაბუთებული არც ამ თვისებების
ადეკვატურობა, არც ის ფუნდამენტური ფაქტი, თუ რატომღა სწო-
რედ ეს ცნებები, და არა სხვები, აღებული „ადგილების“ საგნად. „ტო-
პიკა“, ამის საპირისპიროდ, მტკიცე საყრდენის მქონე სისტემაა, ტო-
პოსები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პრედიკაბილიებზე (განსა-
ზღვრება, გვარი, საკუთარი ნიშანი, შემთხვევითი ნიშანი) ბჭობის
კორექტულად წარმართვის ან უკვე ჩატარებული ბჭობის დარღვევის
სქემებია. ანტონის „ადგილებისათვის“ მათი შერჩევის კრიტერიუმო
უცნობია. გარდა ამისა, თავად სტრუქტურა „სპეკალის“ 30-ე—107-ე

თავებისა ოდნეადაც არ უახლოვდება „ტოპიკის“ სტრუქტურას. საფიქრებელია, რომ, ამ შემთხვევაშიც, არსებობდა შუა საუკუნეებში შემუშავებული გარკვეული მოძღვრება „ტოპოსებზე“ — გაღარბებულა „ტოპიკა“, რომლის ლოგიკური ფუნქცია მაინცდამაინც ცხადად არ იყო გააზრებული (შესაძლოა, ამიტომაც არ მოხვდა იგი ტრადიციული ლოგიკის შემადგენლობაში), და რომელსაც, საბოლოო ანგარიშში, ეყრდნობოდა ანტონი.

ანტონის უშუალო წყაროებს, უკვე „სპეკალს“ აღმოჩენმა აბ. როგავამ მიაქცია ყურადღება იმას, რომ სვ. ჭულაეცის „დიალექტიკა“ მხოლოდ „სპეკალის“ დაწერის შემდეგ ითარგმნა ქართულად. მაგრამ მანვე გამოთქვა მოსაზრება, რომ ანტონი „სპეკალზე“ მუშაობისას იყენებდა სვ. ჭულაეცის წიგნის ზეპირ თარგმანს. ამას აღასტურებს ანტონისავე სიტყვები, მისი გრამატიკის წინასიტყვაობაში (1753 წ.): „შემემთხუა მე ფილიპე ხუცესი. რომლისა თანა ძიებასა ვპყროფდი სიტყუათასა დღითიდღე ურთიერთას და ფრიად მეგობარ ვიქმენ მისი. ჯერეთ ორთა ნაწილთა არისტოტელის შესმენათასა ვყავთ სომეხთ ენისაგან გარდმოთარგმანებაჲ ესე იგი შეთხზუაობისა და შესატყუაობისა, რომელ არს სილოგიზმო“. ფილიპე ხუცესი — ფილიპე ყაითმაზაშვილია, სომეხთა მოძღვარი. „სპეკალში“ (თავი 120) დამხმარედ დასახელებულია კიდევ ზაქარია სომეხთა მოძღვარი. „რომლისაგან აღმეცნა მე დაფარულობაჲ არისტოტელისაგამოთა სიბრძნეთა და სხვათა მიერ ვითემე მეცნიერთა. იგი შეკრებით განვაწყევ და ესთა გვირგვინოსან ვყავ წიგნი ესე „სპეკალი“ თავდგმულობით“. ეს ზაქარია არის მადინაშვილი. ზაქარიას დახმარებით, ზეპირად თარგმნის ფაქტზე მიუთითებს ზემოთ მითითებული ციტატაც, ისევე ამ 120-ე თავიდან.

ტექსტობრივი შედარება გვიჩვენებს, რომ დედანი ყველა ამ თარგმანისა არის სვ. ჭულაეცის „დიალექტიკა“. „სპეკალსა“ და „დიალექტიკას“ შორის არ არის არც აზრობრივი, არც სტრუქტურული განსხვავება. „სპეკალი“ სიტყვასიტყვით მიჰყვება მას. ვფიქრობთ, საჭიროა გაირკვეს საკითხი სვ. ჭულაეცის წყაროების შესახებ.

„სპეკალის“ 108-ე—118-ე თავების შუალობითი პირველწყაროა არისტოტელეს ტრაქტატი „სოფისტიკური გაბათილებების შესახებ“, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი „ტოპიკის“ ბოლო, მეცხრე წიგნად თვლის. ეს ტრაქტატი ქართულად დღემდე უთარგმნელია და ანტონამდე არც ერთ ქართულ ფილოსოფიურ თხზულებაში დალაგებული არ

ყოფილა. სავარაუდოა, რომ „სპეკალის“ აღნიშნული თავების წყარო იქვე სვ. ჭულაეცის „დიალექტიკაა“. როგორც ზემოთაც ითქვა, ანტონი კარგად იცნობდა ამ ნაწარმოებს და მისი რეცენზიებით ითარგმნა კიდევაც იგი ქართულად. ჭულაეცის „დიალექტიკის“ შესატყვისი თავების გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო სარწმუნო ხდება ეს ვარაუდი.

არისტოტელე თავის ტრაქტატში — „სოფისტიკური გაბათილებების შესახებ“, აღწერს, თუ როგორ მსჯელობენ (ბჭობენ) სოფისტები მოწინააღმდეგეთა არგუმენტაციის დასარღვევად, იძლევა მათ კრიტიკას და გამოავლენს ბჭობის მათ მეთოდებში დაფარულ ლოგიკურ შეცდომებს. მაგრამ ამ ტრაქტატის ღირებულება მხოლოდ ანტიკური ეპოქისთვისაა გასაგები და საჭირო შინაარსით არ ამოიწურება. ბჭობის სოფისტური მეთოდების კრიტიკა, ამავე დროს, არცსაერთოდ ლოგიკური შეცდომებისა და პარადოქსების კლასიფიკაცია, გამოკვლევა და მათი ახსნა, თავიდან აცილების მეთოდების შემუშავებაც. სწორედ ამით არის განსაზღვრული არისტოტელეს ამ თხზულების მნიშვნელობა ლოგიკის ისტორიაში. ასეა იგი წარმოდგენილი ჭულაეცისა და მისკვალად, ანტონის შრომებში — მათში მიმოხილულია არასწორი მსჯელობის (ბჭობის) ხერხები და მეთოდები; ოღონდაც ისევე, როგორც ეს „ანალიტიკებისა“ და „ტოპიკის“ შემთხვევებში, აქ წარმოდგენილია და განხილულია არისტოტელეს შრომის მხოლოდ მცირე ნაწილი.

106-ე თავში — „რომელნი არიან მაცთურნი“, ანტონი იძლევა ლოგიკური შეცდომის („მაცთურის“) განსაზღვრებას, მის კლასიფიკაციას. ლოგიკური შეცდომა არის არასწორი, მოჩვენებითი განსჯა, ბჭობა („მაცთურნი არიანო წინაჩამოსაგდებელნი ოცნებითად და არა ჰემმარტებითად“*), მოჩვენებითობა, არასისწორე არის ლოგიკური შეცდომის არსებითი ნიშანი. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „მოჩვენებითობა“ ამ კონტექსტში უკვე არისტოტელესთან გვხვდება. ყოველი ლოგიკური შეცდომა უპირისპირდება, არღვევს („წინამეწყვე არს“) წინააღმდეგობის კანონს და სილოგიზმის კანონებს („კანუნთა განრეშზომისათა და ანუ კანონთა სილოგიზმოსათა“). წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის ანტონისეული განმარტება ბუნდოვანია (იგი უკეთ აქვს ფორმულირებული სვ. ჭულაეცს), მაგრამ მოყვანილი მაგალითებიდან იკვე-

* განსჯა, ბჭობა ერთ-ერთი მნიშვნელობაა ტერმინისა „წინ ჩამოგდება“, რაც კარგად ჩანს მაგალითად, დ. ჩუბინაშვილისეულ განმარტებაში: „სიტყვა აღსახსნელიან მოქნე აღმოჩინებისა“ [ვ. ი. დასაბუთებისა].

თება, რომ მას მხედველობაში აქვს ამ კანონის ფართოდ გავრცელებული გაგება, რომლის თანახმად, შეუძლებელია ერთი და იგივე ქვემდებარის მიმართ, ერთსა და იმავე დროს, ერთი და იმავე მიმართებით დავადასტუროთ და უარვყოთ ერთი და იგივე შემასმენელი. მაგალითები არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს: „იუდა არს მოციქულ“ და „იუდა არა არს მოციქულ“, თუკი ამ წინადადებებში სხვადასხვა იუდა იგულისხმება; „სოკრათი არს საძაგელ“ და „სოკრათი არა არს საძაგელ“, თუკი ერთ შემთხვევაში იგულისხმება, რომ „შვენიერების გამოანუ სხვითა რაივეთა საძაგელ არს“, ხოლო მეორეში ის, რომ „ქცევის გამო არა არს საძაგელ“; „სოკრათი არს მცოვან“ და „სოკრათი არა არს მცოვან“, თუკი აქ ერთი და იმავე არსების სხვადასხვა დრო იგულისხმება; „დიოსკორიდესი თვალი მხედველ არს“ და „დიოსკორიდესი თვალი არ მხედველ არს“, „რამეთუ ერთი თვალი არს მხედველ და მეორე — არ მხედველ“; „წერილი სარგებ არს“ და „წერილი არა სარგებ არს“, რადგან „სარგებ არს ვიდრემე მეცნეთა, ხოლო არა სარგებ — უმცნოთა“. ანტონი გამოყოფს ლოგიკური შეცდომების ათ სახეს, რომელიც ცალ-ცალკეა განხილული შემდეგ თავებში.

109-ე თავში ანტონს განხილული აქვს თავის მიერ გამოყოფილი პირველი სახეობა ლოგიკური შეცდომებისა — „სახელმოდგამობითნი მაცთურნი“. ეს ისეთი შეცდომებია, რომლებსაც საფუძვლად უდევს ორაზროვნება, ომონიშია („სახელმოდგამობა“). ანტონი არჩევს ომონიშიის სამ სახეს, რომელთაგან თითოეული შესაძლოა პარალოგიზმის, მონვენებითი ბჭობის წყაროდ იქცეს. პირველი: სახელს აქვს ორი ან მეტი სხვადასხვა მნიშვნელობა და ბჭობაში ის, რაც მართალია ერთი მნიშვნელობისათვის, შეიძლება გავრცელდეს სხვა მნიშვნელობაზე. მაგალითად, „ყოველი ძალდი მყეფარ არს, რომელიმე ძალდი სფეროსა ვარსკულავი არს, მაშასადამე, რომელიმე სფეროსა ვარსკულავი მყეფარ არს“. აქ „ზეციურ“ ძალებზე გავრცელებულია ის, რაც პირველ წანამძღვარში გამოთქმულია „ქვეყნიერ“ ძალებზე. მეორე: სახელს, გარდა ძირითადი მნიშვნელობისა, აქვს გადატანითი („შესაბამისამებრი“) მნიშვნელობები. მაგალითად, „ნათელი ისაა, რაც თვალით შეიგრძნობა („თვალისა ქვემდებარე“), „მაგრა შესაბამისებრი ნიშნავს ღმერთსა, სათნოებასა, ზედმიწევნილობასა“. ასეთივე სიტყვებია „ბნელი“, „სიკვდილი“, „ძალი“. გადატანითი მნიშვნელობით ძალს უწოდებენ „მოქმედსა სიძვისასა კაცსა“. ასეთ ორაზროვნებას ემყარება შემდეგი პარალოგიზმი: „ყოველივე ძალდი მყეფარ არს, რომელიმე კაცი არს ძალდი, მაშასადამე, რომელიმე კაცი არს მყე-

„ფარ“. მესამე: უნით ნაწარმოებ უარყოფით სახელებს აქვთ დამატე-
ბითი (დართული, ნართაული) მნიშვნელობა. მაგალითად, „უსხეულო-
სა მრჩობლი (ორმაგი) აქვს ნიშნაი: პირველად ნიშნავს იმას, რო-
მელიცა არასხეულევან არს, ხოლო მეორედ ნიშნავს, რომელი არა
არს სხეული, თუმცაღა არს მექონეა სხეულისა, ვითარცა არს სული“.
ამას ემყარება შემდეგი პარალოგიზმი: „ყოველსა უსხეულოსა არა
აქუს სხეული. ხოლო სული არს უსხეულოა, მაშასადამე, სულსა არა
აქუს სხეული“. მსგავსი ვითარება გვაქვს „უკვდავის“ შემთხვევაშიც.
ორაზროვნებაზე, ძირითადი, გადატანითი და დამატებითი მნიშვნე-
ლობის აღრევაზე დაფუძნებული ბჭობა ეწინააღმდეგება სილოგიზ-
მის კანონებს. თუმცა არ ასახელებს, მაგრამ აქ ანტონს მხედველობაში
უნდა ჰქონდეს ლოგიკური შეცდომა, რომელსაც ტრადიციულ ლო-
გიკაში ტერმინთა გაოთხება ეწოდება.

არიტოტელეს მსგავსი სახის ლოგიკური შეცდომები განხილული
აქვს ტრაქტატის — „სოფისტური გაბათილებების შესახებ“, პეორე
თავში, სადაც არჩევს ენობრივ გამოსახულებათა არასწორ გამოყენე-
ბაზე დაფუძნებულ სოფისტიკურ გაბათილებებს: სახელდობრ, სახელთა
ომონიმურ გამოყენებაზე აგებულ პარალოგიზმებს ეხება ამ თავის პირ-
ველი ნაწილი (165b 23—166a 20).

110-ე თავში განხილულია მეორე სახე ლოგიკური შეცდომებისა,
რომელთა წყაროა სიტყვათა შეერთებისა („დართვა“ — „რთულება“)
და გაყოფისას („განწვალება“) ენობრივ გამოსახულებათა მნიშვნე-
ლობების ცვალებადობა („ნართაულებითნი“ ანუ „რთულებითნი და
განწვალებითნი მაცთურნი“). ანტონი გამოყოფს მნიშვნელობათა ამ-
გვარი ცვალებადობის ექვს გვარს. 1. „არსობითი ზმნაჲ და მიმღეა,
რთული და წვალებული ნიშნავენ სხვადასხვასა“. მაგალითად, ეს თავს
იჩენს შემდეგ პარალოგიზმში: „ჰრომი არს აწ, ხოლო აგებული არს,
მაშასადამე, ჰრომი აწ აღშენებული არს“ (დანასკეში მტკიცდება, რომ
რომი ახლად აღშენებული). ეს სილოგიზმის კანონებს ეწინააღმდეგებაო,
ამბობს ანტონი, მაგრამ არ მიუთითებს — თუ რომელს. აქ უნდა
იგულისხმებოდეს დასკვნა ტრადიციული გაგებით, კონიუნქციური და-
ნასკვით და არა — კატეგორიული სილოგიზმი. მე-2 და მე-3 ქვეშემ-
თხვევაში ანტონი იხილავს წინადადების — „ყველა S არ არის P „ორ-
გვარ გაგებას, რაც გამოწვეულია ფრაზის „ყველა... არ არის „ორ-
აზროვნებით. 2. გაყოფით-კატეგორიულ სილოგიზმში უარყოფითი
წანამძღვარი ორაზროვანია (ანტონი იხილავს მოდუს ტოლენდო პო-
ნენსს), რაც შეიძლება, წყარო გახდეს პარალოგიზმისა: „ყოველი გვა-

მოვანი ანუ სიტყვიერი არს, ანუ უსიტყვი. ხოლო ყოველი გვამოვანი არა არს სიტყვიერი; მაშასადამე, ყოველი გვამოვანი უსიტყვი არს^{*}. თუ სწორად ვიმსჯელებდით, დანასკვში უნდა გვექონოდა „რომელიმე გვამოვანი უსიტყვი არს“. 3. ანალოგიურ შეცდომას შეიცავს სილოგიზმი: „ყოველი გვამოვანი არა არს კაცი, ყოველი მოცინარი არს გვამოვანი, მაშასადამე, ყოველი მოცინარი არა არს კაცი“. მიზეზი ამ შეცდომისა, ანტონის მიხედვით, ასეთია: დიდ წანამძღვარს — „ყოველი გვამოვანი არა არს კაცი“ ორი მნიშვნელობა აქვს („მჩობლი აქვს ნიშნაჲ“) — „არაჲნ გვამოვანი არს კაცი“ (ეს მცდარი წინადადებაა) და „ვეთნიმე გვამოვანი არიან კაცნი (ეს კი ჰეშმარიტი წინადადებაა), რამეთუ რომელიმე გვამოვან არს კაცი და რომელიმე გვამოვანი არა არს კაცი“. 4. ისეთი სიტყვები, როგორიცაა „მარად“, „მხოლოდ“, იმისდა მიხედვით, ცალკე („განწვალებით“) იხმარებიან, თუ დაერთვიან ზმნას ან სახელს, იცვლიან მნიშვნელობებს და ამიტომ შესაძლოა შეცდომის წყაროდ იქცენ. მაგალითად: „რომელა ცხოვლობს მარად“, არს, სეკუნდოს ცხოვრობს, მაშასადამე, სეკუნდოს მარად არს“. პირველ წანამძღვარში „მარად“ ერთვის ზმნას „ცხოვლობს“ და სხვა რამეს ნიშნავს, ხოლო დანასკვში მისგან დაცილებულია და იღებს სხვა მნიშვნელობას. მეორე მაგალითში ანტონი გვიხსნის, თუ როგორ იცვლის მნიშვნელობას ფრაზა „(ფინეზ) მხოლოდ მოკლა“ იმისდა მიხედვით, სიტყვა „მხოლოდ“ სახელს ერთვის თუ ზმნას. ამ ცვალებადობას ემყარება პარალოგიზმი: „რომელმან ერთმან მხოლოდ მოკლა, არა სხვანი მოკლნა“, მაგრამ „ფინეზ (ერთმან) მოკლა ისრაიეტელი. მაშასადამე, სხვანი არა მოკლნა“. 5. ასევე იცვლის მნიშვნელობას ზოგიერთი ზმნა, როდესაც მას დაერთვის მოქმედებით ბრუნვაში მდგომი სახელი, მაგალითად, „გიხილავს“ და „გრხილავს თვალით“. ამას ემყარება შემდეგი მოჩვენებითი ბჭობა, რომელიც სააღუსტრაციოდ აქვს მოტანილი ანტონს: „შენ რომლითა გიხილავს ისრაიეტელი წყლული, მითივე არს წყლული, ხოლო თვალითა გიხილავს ისრაიეტელი წყლული; მაშასადამე, თვალითა შენითა არს წყლული“. 6. მარტივი სახელებისგან შედგენილ სახელში მარტივი სახელები ერთად სხვა რამეს შეიძლება ნიშნავდეს. და სხვას, როცა ისინი ცალკეა აღებული. სააღუსტრაციოდ მოყვანილი განსჯის მაგალითი ცალსახად არ იკითხება, არ ჩანს, სად კეთდება შეცდომა.

* როგორც ანტონის შემდეგი განმარტებიდან ირკვევა, ამ ადგილას ტექსტში მძიმე [,] არასწორად ზის.

სიტყვათა შეერთება-გაყოფაზე დაფუძნებული შეცდომები არის-
ტოტელეს ტრაქტატის „სოფისტიკური გაბათილებების შესახებ“. ის
იმავე, მე-4 თავში აქვს გარჩეული (166 a 21—116 b 3), მაგრამ, ვფიქ-
რობთ, არისტოტელეს მიდგომა სხვაგვარია: ანტონი ფაქტობრივად
აგრძელებს ომონიმიზე აღმოცენებული ლოგიკურა შეცდომების გან-
ხილვას, მაშინ, როდესაც არისტოტელე ანალიზებს ენობრივ გამოსა-
ხულებათა ამფიბოლიურობაზე (ენობრივ გამოსახულებათა გრამატიკუ-
ლი სტრუქტურის ორაზროვნებაზე) აგებულ პარალოგიზმებს.

ლოგიკური შეცდომების ცალკე სახედ აქვს გამოყოფილი ანტონს,
კერძოდან ზოგადზე დაუფუძნებელი გადასვლა, რასაც ის „უყოვლოდ
მატუტრს“ უწოდებს: „მატუტური უყოვლოდ... კერძოთა რამეთა აოც-
ნებს (მოგვაჩვენებს) ყოვლადაა მყოდ“. დაუფუძნებელი, იმიტომ
ვამბობთ, რომ მასზე დამყარებული პარალოგიზმები პოპულარული ინ-
დუქციის მსგავსი პროცედურებია. ამ შეცდომას ლოგიკურ ლიტერა-
ტურაში ნაჩქარევ განზოგადებას უწოდებენ. ზემოთ ვნახეთ, რომ
ანტონს განხილული აქვს ინდუქციის პრობლემა; საინტერესო იქნე-
ბოდა, რომ მასვე შეემჩნია ეს მსგავსება. საკუთრივ, „უყოვლოდ“ პა-
რალოგიზმები არისტოტელეს ზემოხსენებულ ტრაქტატში არ იძებნება,
თუმცა მატუტნებელი დასკვნები, რომლებშიც კერძოდ ან რაღაც
მიმართებით ნათქვამი მტკიცდება საერთოდ, მას განხილული აქვს
(„სოფისტიკური გაბათილებების შესახებ“, თავი მეხუთე, მეორე აბ-
ზაცი).

„უყოვლოდ“ შეცდომები, ანტონის მიხედვით, ორი სახისაა: 1. ის,
რაც მიეწერება ზოგიერთს ან ნაწილს, ვრცელდება ყველაზე, მთელ-
ზე. მაგალითად: „რამდენსაცა ქვედმდებარესა შორის სიმეწამულე არს,
მეწამული არს; მალრანისა* შორის სიმეწამულე არს; მაშასადამე, მა-
ლრანი მეწამული არს“. გამოდის, რომ მალრანის ნისკარტის წითელი
ფერიდან ვასკვნით მთლიანად მალრანის („ყოვლადისა მალრანისა)
მეწამულ ფერზე; 2. ის, რომ მიზეზის რაოდენობრივი კლება-შემცირე-
ბა იწვევს სასურველ შედეგს, არასწორია დასკვნის გამოტანა, რომ
ამ მიზეზის სრული მოსპობა მით უფრო მოგვეცემს აღნიშნულ შედეგს.
მაგალითი: „მცირედ მოღებად საზრდელისა რამსავე უსნებობისათვის
არს კეთილ; მაშასადამე, არა რამეთ მიღებად ფრიად კეთილ არს“.

112-ე თავში განხილულია ლოგიკური შეცდომები, რომელთა
წყაროა ლოგიკური გამომდინარეობის დარღვევა („მდეგრობითანი მაც-

* მალრანი ერთგვარი ფრინველია.

თურნი“); ტრადიციულ ლოგიკაში ისინი ცნობილია ფალაცია კონსექუენტის სახელით. ანტონი გამოყოფს ამ შეცდომების ორ სახეს: 1. სახის გვართან დამოკიდებულებიდან („ქვეშარიტი მდევერობა“) შებრუნებული დამოკიდებულების („ცრუ მდევერობა“) გამოყვანა. მაგალითად, წანამძღვრიდან „თუმცა არს კაცი, არს გვამოვანი“ გამოჰყავთ ხოლმე დანასკვი, „თუ არს გვამოვანი, არს კაცი“ ან „თუ არა არს კაცი, არა არს გვამოვანი“, ხოლო წანამძღვრიდან „თუ არა არს გვამოვანი, არა არს კაცი“ — დანასკვი: „თუ არს გვამოვანი, არს კაცი“. ეს ფაქტები ტრადიციულ ლოგიკაში უშუალო დასკვნების თეორიის ნაწილია: სახისა და გვარის ერთ-ერთი მიმართებიდან („ყველა S არის P“) არ გამომდინარეობს არც მისი მარტივი უკუქცევა, „ყველა P არის S) და არც ინვერსია (ყველა არა S არის არა P), არამედ მხოლოდ მისი კონტრაპოზიცია (ყველა არა P არის არა S). ამას ანტონი შემდეგნაირ ზოგად ფორმულირებას აძლევს: „ესე არს ესე, კანუნი მდევერისა, წართქმისა რაჲ კერძოჲ (სახე) იყოს წინამსარბოლ, და ყოვლობითი გვარი — მდევეარ. ხოლო... უკუთქმისა შინა ყოვლობითი იქმნების წინამსარბოლ და კერძოჲ-მდევეარ“. 2. მეორე სახედ, ამ შეცდომისა ანტონს გამოყოფილი აქვს არასწორად ჩატარებული ისეთი ინდუქციური განზოგადება, როდესაც ერთი სახის ინდივიდების („განუკვეთელთა“) რაიმე გვარში შესვლის საფუძველზე ხდება ამ სახისა და გვარის გაიგივება. მაგალითი „სოკრატე გვამოვანი არს, გვამოვანი არს სოკრატე: პლატონ გვამოვანი არს, გვამოვანი არს პლატონ. ესთა ხოლო სხვანიცა კაცნი; მაშა, ყოველი კაცი გვამოვანი არს და ყოველი გვამოვანი კაცი არს“.

პარალოგიზმები, რომელთა წყაროა ფალაცია კონსექუენტის, არისტოტელეს განხილული აქვს ტრაქტატი — „სოფისტიკური გაბათილებების შესახებ“ იმავე, მეხუთე თავში (167 b — 1—20), ოლონდ იგი ამ ადგილას იფარგლება მხოლოდ გვარ-სახეობრივ დამოკიდებულებასთან დაკავშირებული პარალოგიზმებით და არ ეხება ინდუქციას.

„გარდამავლობითნი მატურნი“ (თავი 113) ლოგიკური შეცდომებია შესაფერისი წესისაგან გადახვევის, სხვა რაიმეში გადასვლის გამო („გარდამავლობითი არს, რომელი თვისსა ზედა წესსა არა ეგების, არამედ გარდავლის სხვაჲ რაჲვედ“). ანტონი გამოყოფს ასეთი შეცდომის ორ სახეს: 1. არსებულიდან არარსებულზე გადასვლა: „მიგცე, შენ ღრაჰკანი ერთი, არა მაქუს მე ღრაჰკანი ერთი; მაშასადამე, მოგცე შენ, რაჲცა არა მაქუს“ ამ ბჭობაში დანასკვი მცდარია („კიდურ-

მდგომობა ცრუ არს“), რადგან წანამძღვარში „არა მაქუს... ერთი“ ნიშნავს იმას, რომ „მრავალი მაქვსო“ ხოლო დანასკეში „არა მაქვს“ საერთო არქონას არც ერთის ქონას გულისხმობს. 2. არსებულიდან სხვა არსებულზე დასვლა: „სოკრეტი არს კაცი, ხოლო კაცი არს სახე, მაშასადამე, სოკრეტი არს სახე“. ანტონს მოყავს სხვა მაგალითიც, რომელიც „ნართაულებითი მაცთურის“ (იხ. თავი 110-ე) ნიმუშს უფრო წარმოადგენს: „რაფეცა ისყიდე პირველ საქმელად, ჭამე; მაგრა უმი ხორცი ისყიდე პირველ, მაშასადამე, უმი ხორცი ჭამე“. ანტონის შენიშვნით, აქ სხვა ერთაებაში გადასვლა გვაქვს.

მაგალითების შედარებით შეიძლება გავარკვეოთ, რომ ტრაქტატში — „სოფისტიკური გაბათილებების შესახებ“, გარდაშავლობითი მაცთურის ეს ორი სახე არისტოტელეს მიერ სხვადასხვა ჯგუფებშია შეტანილი. სახელდობრ, პირველის (არარსებულზე, აგრეთვე სხვა ვითარებაზე გადასვლის) წყაროა ენობრივ გამოსახულებათა არასწორი, არაერთგვაროვანი გამოყენება (იხ. აღნიშნული ტრაქტატის მეოთხე და ოცდამესამე თავები), ხოლო მეორისა — (სხვა არსებულზე გადასვლა), შემთხვეულის, შესემნილის არასწორი ხმარება — ფალაცია აციდენტის (იხ. მეხუთე და ოცდამეოთხე თავები). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სხვა არსებულზე გადასვლის შეცდომის ანტონისეული ახსნა — „აქა უკვე გარდავლო კერძობითისაგან ყოვლობითად“ — არაა ადეკვატური. არისტოტელე მას ასე ხსნის: „ის, რაც სწორია შემთხვეულისთვის, არ არის სავალდებულო, რომ სწორი იყოს თავად საგნისთვისაც“ (179 a 37).

114-ე თავში — „რომელნი არიან მსგავსებითნი მაცდურნი“, განხილულია ლოგიკური შეცდომები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მსგავსების (ანალოგიის) საფუძველზე დასკვნების მიღების დროს. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია დაპირისპირებულ წყვილებს შორის მსგავსება-განსხვავებაზე, რაც შეიძლება პარალოგიზმის წყაროდ იქცეს. არისტოტელეს ზემოთ ხსენებულ ტრაქტატში ამ სახის შეცდომები ცალკე ჯგუფად არ არის გამოყოფილი, თუმცა მის სხვა ლოგიკურ ტრაქტატებში არის აღვლენილი, რომლებიც შეიძლება შეიძლება ქცეულიყო წყაროდ ისეთი განხილვისა, როგორც ანტონთან გვხვდება. სახელდობრ, მხედველობაში გვაქვს „კატეგორიების“ მეათე-მეთერთმეტე და „ტოპიკის“ პირველი წიგნის მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე თავები.

ძირითადი შეცდომა, ანტონის მიხედვით, რომელიც ჩნდება მსგავსობის საფუძველზე წარმოებულ ბჭობაში, არის ორი მოვლენის

მსგავსების გავრცელება მათ არამსგავს მხარეებზეც — „მაკტური მსგავსებითი არს, რომლისა შორის საქმე რავე არს მსგავს რადაც და გვართა რავეთი წადნიოს ყოვლითურთ მას მსგავსებად“. მაგალითად, ჭანმრთელობა და ავადმყოფობა, აგრეთვე ლუწი და კენტი „უსაშუალო“ დაპირისპირებულები არიან („უსაშუალოდ“ დაპირისპირება, როგორც ზემოთაც ითქვა, არისტოტელეს „კატეგორიებიდან“ მომდინარე ცნებაა). შესაძლოა მოხდეს, რომ „სხეულმან მრთელისამან ისნეულა და სნეულმან იმრთელა“, მაგრამ ამის გავრცელება ლუწსა და კენტზე „მარჩბივი კენტ იქმნა და კენტი — მარჩბივი“ — არ შეიძლება. რადგან „არ ძალ ცვალებად ურთიერთას მარჩბივისა და კენტისა“. საქმე ის არის, გვიხსნის ანტონი, რომ „სიმართლე და სნეულებად არიან წინამეწყევი“, ერთმანეთის საწინააღმდეგო, ვინაიდან მათ ძალუქს „ერთმანერთისა აღკოცაჲ“, ხოლო ლუწსა და კენტსა „არ ძალ აღკოცად ერთმანერთისა“.

ასევეა საქმე სხვა მსგავსი წყვილებისათვისაც. „სიკუდილი არს განრემზომ (საპირისპირო) ცხოვრებისა“, ასევე. „ხრწნაჲ არს მყოფობის განრემზომ“. მაგრამ ისინი, სიკუდილი—ხრწნას და ცხოვრება—მყოფობას, მხოლოდ ზოგიერთი რამით ჰგავს ერთმანეთს, „მაგრამ არა ყოვლითურთ მსგავს, რამეთუ ცხოვრებაჲ არს არსებაჲ. ხოლო მყოფობაჲ—მოდრობაჲ“, ასევე, სიკუდილი ხრწნის შემდეგი მდგომარეობაა, ხოლო ხრწნა — მოძრობა სიკუდილისაკენ და ა. შ.

ანტონი იხილავს, აგრეთვე, ჩვეულებრივი (და არა დაპირისპირებული წყვილების) მსგავსების უმართებულო გავრცელებას არამსგავს ვითარებებზე. მაგალითად, „თვალი რა ინდოსი იყოს ბრმაჲ, ბრმად ითქმის ინდოცა. მაშასადამე, კბილი ინდოსი არს თეთრ. თეთრ ითქმის ინდოცა“. ახსნა ამ პარალოგიზმისა ასეთია: ნაწილის ზოგიერთი თვისება ითქმის მთელზეც, ასეთია მხედველობასთან. სმენასთან დაკავშირებული თვისებები, ხოლო ზოგიერთი — არა: „ხოლო სითეთრე და სხვანი ესთა არ არიან“.

„განრემზომობითნი მაკტურნი“ (თავი 115) ისეთი პარალოგიზმებია, რომელშიც ორი ჰემმარიტი წინამძღვრიდან გამოდის წინააღმდეგობის შემცველი დანასკვი. წინააღმდეგობა მიიღება იმის გამო, რომ წინამძღვრებში ერთსა და იმავე სუბიექტზე მტკიცდება და უარიყოფა ერთი და იგივე პრედიკატი, ოღონდაც, სხვადასხვა მიმართებით. ასეთი პარალოგიზმები არისტოტელეს განხილული აქვს ტრაქტატში — „სოფისტიკური გაბათილების შესახებ“, მეხუთე და ოცდამეხუთე თავებში.

„განრემზომობით მაცთურთ“ ანტონი ექვს სახედ ყოფს, მიმართებაში მყოფი წვერის მიხედვით: 1. მიმართება თანამოსახელებთან — „ქაჩაჩოვანი ცხენისამებრ არს მკვივანი: ხოლო მებრ ვირისა არა არს მკვივან, მაშასადამე, ქაჩაჩოვანი არს მკვივან და არა არს მკვივან.“ 2. მიმართება ომონიმურად თანამოსახელებთან — „ძალი ხმელეთისამებრ არს მყეფარ, ხოლო სფერისებრისა არა არს მყეფარ“; 3. მიმართება შესაძლებლობასთან და მოქმედებასთან — „ყრმაჲ არს ღრამმატიკოსესე ძალისაებრ, ხოლო ყრმაჲ არს არღრამმატიკოს — ესე მოქმედებისაებრ“; 4. მიმართება სხვადასხვა ადგილთან — „ღღეს ცროჲს აქა: ხოლო არა ცროჲს ეთიოპიას“. 5. სხვადასხვა რამესთან შედარება — „რკინაჲ არს უნდოჲ, ვითა რვალი და არა უნდოჲ, ვითა მიწაჲ“; 6. სხვა და სხვისა მიერ — „ალექსანდრემან საქმისა მიერ იხილა ბრძმედითა ოქრო გამოდნობილი, ხოლო ცნობისა მიერ — არა ბრძმედითა, არამედ თვალითა იხილა ოქრო გამოდნობილი“.

აჩსებობიდან ქონებაზე გადასვლა წარმოადგენს შეცდომას, რომელსაც ანტონი „ანგარებით მაცთურს“ უწოდებს (თავი 116); სვ. ჯულაეცთან მას „საცთური ქონებითი“ ჰქვია. მაგალითი: „წიგნი ესე არისტოტელისა არს: მაშასადამე არისტოტელის აქუს წიგნი ესე“, მაგრამ ეს დასკვნა არ არის სწორი, რადგან, მართალია, წიგნი არისტოტელისა, „ესე არა აქუს არისტოტელის, არამედ მე მაქვს“. ანტონს მოაქვს სხვა მაგალითებიც, რომლებიც ვარიანტებია ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში კარგად ცნობილი პარალოგიზმებისა. შედარებისათვის ავიღოთ ანტონის „მერმეცა რომელი რაჲცა არა წარწყმიდა ვინმე, აქუს მას. აჰოლოს არ წარწყმიდა მეფობაჲ, მაშასადამე, აქუს მეფობაჲ“ და ევბულიდე მილეტელის სოფიზმი „რქები“.

117-ე თავში განხილულია „მაცთურნი შესატყვისობითნი“, რომლებიც შეიძლება გაკეთდეს ანალოგიის საფუძველზე წარმოებულ დასკვნებში. იგი თეორიულად იმეორებს 114-ე თავს, სადაც აღწერილია „მსგავსებითნი მაცთურნი“. განსხვავება ისაა, რომ შესატყვისობა გულისხმობს ორ მოვლენას შორის წინასწარ დადგენილ შესაბამისობას (და არა აუცილებლად მსგავსებას), რაიმე თვალსაზრისით, რის საფუძველზეც პარალოგიზმში ხდება მოვლენიდან მეორის გამოყვანა. ასეა, მაგალითად, ერთმანეთთან შესაბამეობული „სლვაჲ ღამესა შინა“ და „სიძვაჲ“ რაც იქცევა შემდეგი არასწორი დასკვნის წყაროდ: „იგი რომელიმე ვალს ღამესა შინა; მაშასადამე, მეძაჲ არს“. დასკვნა კი არასწორია, ანტონის ახსნით, იმიტომ, რომ ღამით დადიან აგრეთვე „სამლთოსათვის მოსწრაფებისა“, „დაცვისათვის ქალაქისა“ და სხვ.

ცალკე აქვს განხილული ანტონს ე. წ. „შემსგავსებითი მაცთურ-
ნი“ (თავი 118), რომლებიც მეტაფორული მსგავსების (ამ აზრით,
მაგალითად, „წარსლვაი შეემსგავსების სიკუდილსა“) საფუძველზე შე-
იძლება აღმოცენდეს: „იგი იტრება (დაიძვრება) და წარვალს ამიერ-
მაშასადამე, იგი სიკუდილით არს სნეული“. ლოგიკურ შეცდომათა
ეს სახე განეკუთვნება ტრადიციულ ფალაცია ინ დიქტიონეთა ჯგუფს,
რომლებიც არისტოტელეს „გაბათილებების“ მეოთხე თავში აქვს გან-
ხილული. აქვე ანტონი გამოთქვამს დამაჯერებელ შენიშვნას ლოგიკუ-
რი შეცდომების შესწავლის სარგებლიანობის შესახებ.

„სპეკალის“ ის ნაწილი, რომელიც შეიცავს მოძღვრებას სულის
შესახებ, შედგენილია ვ. ფრანგიშვილის წიგნის — „ნარკვევები ადამი-
ანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში“ (თბილისი,
1959 წ.) მიხედვით. უფრო სწორად, გამოყენებულია ვ. ფრანგიშვი-
ლის ამ წიგნის მეორე ნაწილი, თავი III, სათაურით: „ფსიქოლოგიური
ცოდნის სისტემა ანტონის „სპეკალში“.

ისმის საკითხი, ხომ არ არის „სპეკალში“ წარმოდგენილი ეს მო-
ძღვრება არისტოტელეს წიგნის — „სულის შესახებ“, განყოფილება? ამ
კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ.

„სპეკალის“ მესამე განყოფილება — „სულისათვის“ იმავე წესით
არის ავებული, როგორც წინა ნაწილები, სახელდობრ, მის შესადგენად
გამოყენებულია სხვადასხვა თხზულებანი.

მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ „ლათინთა
ფილოსოფოსები“ — მისიონერები, ლათინურ ენაზე არსებული ფი-
ლოსოფიის მცოდნენი. მათი დახმარებით დაუწერია ანტონს „სული-
სათვის“, განსაკუთრებით კი, ის ადგილები, სადაც ლაპარაკია ალბერტ
დიდის, სენეკას, იოანე დუნს სკოტის, თომა აქვინელის შეხედულებ-
ებზე. ნაშრომში დასახელებულია ეპიკურე, კრატილი, დემოკრიტე,
პერაკლიტე, თალესი, პლატონი, არისტოტელე, ამონიოსი, ორიგენი,
სადუეველები, მანიქეველნი და სხვ. „არაარა ჩემისამებრ უსწავლე-
ლობისა, თავის ჩემსა მინდობით, მისიბრძნიეს ცთომილსა, არამედ
რავეცა ვისმინე ლათინთაგან ფილოსოფოსთა... და სხვათა მიერ
ვეითმე მეცნიერთა, იგი შეკრებით განვაწყევ და ესთა გვირგვინოსან
ვეყავ წიგნი ესე „სპეკალი“, — თავმდაბლად აპობს ანტონი 120-ე თავ-
ში. თუ რომელი ფილოსოფოსის რა ნაშრომია გამოყენებული „სპეკა-
ლის“ ამ ნაწილის შესადგენად, თანდათან იქნება ნაჩვენები თავების
შინაარსის გადმოცემისას.

121-ე თავია — „რამ არს სული არსებამ არს თუ ზედშესრული“, ე. ი. რა არის სული — არსება თავისი არსებობისათვის სხვისი უჭირვებელი, თუ შემთხვევითი. მყოფის შემეცნება ოთხი საკითხის გარკვევას გულისხმობს: არსებობს თუ არა, რა არის, როგორია და რისთვის არსებობს. სულის მიმართ ეს კითხვები ასე ყალიბდება: არსებობს თუ არა სული? რა არის სული? აუცილებელია თუ შემთხვევითი? როგორია სული — სხეულებრივი თუ უსხეულო, მარტივი თუ რთული? მოკვდავი თუ უკვდავი, სიტყვიერი თუ უსიტყვი?, გონიერი თუ არაგონიერი? და ბოლოს: რისთვის არსებობს სული, რა მიზანს ემსახურება, რა ფუნქციას ასრულებს?

122-ე თავია — „რამ არს მიწთომილებამ ფილოსოფოსთაგან სულისა“. ეკლესიის ბრძენმა ფილოსოფოსებმა მაქსიმემ და იოანემ გვასწავლეს, რომ ყოველი არსებული „მყოფი“ გრძნობებით ან გონებით შეიმეცნება. სულის შემეცნებისათვის გრძნობადი ძალები საკმარისი არაა. ყოველი გრძნობადი აისახება გრძნობის ორგანოებზე მისი მოქმედების შედეგად. მაგრამ სული გრძნობადის სფეროს არ ეკუთვნის და, მაშასადამე, მისი შემეცნება ემპირიული მეთოდებით შეუძლებელია. სული იმის საფუძვლად იმყოფება, რაც შეგრძნებებში გვეძლევა. ამიტომ მისი შემეცნება მხოლოდ შედეგების მიხედვით შეიძლება. ამრიგად, ანტონი სულის არსებობის შესახებ დასკვნას აკეთებს სულიერი მოვლენების არსებობის საფუძველზე.

123-ე თავია — „რამ არს ჩვენგან მიწთომამ სულისა?“ ანტონი თვლის, რომ სხეული ინერტულია, თვითმოძრაობის უნარი არ გააჩნია, მის მამოძრავებელს სული წარმოადგენს. ამრიგად, სხეულის მოძრაობის ფაქტი სულის არსებობას ასაბუთებს. აქ იგი იმოწმებს იოანე პეტრიწს, რომელიც თვლის, რომ „სხეული იძრვის სულისა მიერ“, „სიცოცხლისა მიმცემელისა მისდა“ სულისა და სხეულის გაიგივება „უადგილოდ არს მოძღვრება“. ერთი სიტყვით, აქ ლაპარაკია სულის არამატერიალურობის შესახებ.

124-ე თავში — „რამ არს ჩვენებამ ვითარმედ არსებამ არს სული“, ანტონი განაგრძობს წინა თავში განხილულ საკითხს და სულის უკვდავებას ასაბუთებს. რაკი სული არ არის სხეულებრივი, ამიტომ ის არც ხრწნადი, ე. ი. მოკვდავი იქნება, ვინაიდან ნაწილებად დაშლა (გახრწნა) იმას შეუძლია, რაც შედგენილია. სული კი არ არის შედგენილი, რაკი არაა სხეულობრივი.

125-ე თავში — „რამ არს სული — სხეული თუ უსხეულო“, ანტონი ამბობს, რომ წარმართმა ფილოსოფოსებმა ეპიკურემ („ეპიკ-

როს-). სტოელებმა, კრატილმა, დემოკრიტემ („დემოკრატის“), პერაკლიტემ („ირაკლიტოს“), თალესმა (თალი), პლატონმა, არისტოტელემ, ამონიოსმა და „სხვაგარეშე“ ფილოსოფოსებმა მოგვცეს სულის სხვადასხვაგვარი განსაზღვრება. ანტონს მიაჩნია, რომ ყველაზე უკეთესი განსაზღვრა პლატონმა, რომელმაც იგი გაიგო, როგორც გონიერი არსება, თვითმოძრავი. ხოლო სადღეუველებმა, ორიგენმა, მანიქეელებმა სულის შესახებ არაქვეშაირი, მწველებლური აზრები გამოთქვეს.

სული სხეულის შიგნით არსებობს, ამიტომ გასარკვევია, თუ რასახით არსებობს იგი სხეულის შიგნით — როგორც მოზაიკა ჰოზაიკის გვერდით. თუ იგი შეზავებულია სხეულთან? ანტონი ერთსაც უარყოფს და მეორესაც. სული რომ სხეულთან იყოს შეზავებული, მაშინ მატერიალური იქნებოდა და სხეულის მოცულობის გადაღებას გამოიწვევდა. მაგრამ ასე არ არის. მაშასადამე, იგი არ შეიძლება მატერიალურად მივიჩნიოთ.

სული რომ სხეულებრივი იყოს, მაშინ გაიზრდებოდა. მაგრამ სულის შესახებ ამისი თქმა არ შეიძლება, რადგან სული სხეულის მსგავსად. „საზრდელით“, საკვებით კი არ იზრდება, არამედ — სიტყვით (პლატონი, ნემესიოსი). შემდეგი არგუმენტი ასეთია: სხეულში შესაძლებლობა და სინამდვილე ერთმანეთისაგან განსხვავდება მასში ბევრი რამ მოცემულია შესაძლებლობის და არა — სინამდვილის სახით. სულიერის სფეროში კი შესაძლებლობა და სინამდვილე ერთმანეთს ემთხვევა. ეს ამტკიცებს, რომ სული არ არის სხეულებრივი.

126-ე თავია — „რაჲ არს სული — მარტივი თუ შეზავებული“. სხეული რთული და შედგენილია. იგი შეგრძნებებში გვეძლევა. სული კი მარტივი, შეუდგენელი და ზეგრძნობადია. ამიტომ მისი მიჩნევა სხეულებრივად შეუძლებელია.

127-ე თავში — „რაჲ არს სული — უკვდავი თუ მოკვდავი“, არსებითად იგივე არგუმენტი მეორდება. რაკი სული არ არის მატერიალური, ამიტომ იგი არც მოკვდავია, სხეული მატერიალური ნაწილებისაგან შედგება და, მაშასადამე, ნაწილებად იშლება. იგი ხრწნადია. სული კი მარტივია და, მაშასადამე, ნაწილებად იშლება. იგი უკვდავია.

სულის ძირითადი თვისება არის სიცოცხლე ანუ ცხოვრება, ისევე, როგორც ცეცხლისათვის — მხურვალება, სხეულს სული ანიჭებს სიცოცხლეს, ხოლო რომელსაც მოაქვს სიცოცხლე, შეუძლებელია მოკვდავი იყოს, იგი უკვდავია.

128-ე თავში მტკიცდება, რომ სული „სიტყვიერი“ ე. ი. გონივ-
რია. სული მომპოვებელია „ხელოვნებათა“ ცოდნისა, რაც საჭიროა
ცხოვრებისათვის. ამას ვერ აკეთებენ უსიტყვნი, არაგონიერნი, რაკი
მათ მხოლოდ შეგარძნების უნარი აქვთ. შეგარძნების საშუალებით სა-
განთა არსის შემეცნება შეუძლებელია. ეს უკანასკნელი მხოლოდ გო-
ნებით შეიმეცნება. მაშასადამე, ჰემმარიტი შემეცნება მხოლოდ სულის
საშუალებით შეიძინება. სული არის გონიერი. ამრიგად, სული არის
სუბსტანცია, უსხეულო მარტივი. იგი არის უკვდავი და გონიერი.

129-ე თავია — „რაჲ არს სული საზღვრისამებრ“. აქ და მომდე-
ნო თავში განხილულია სულის განსაზღვრების პრობლემა. ანტონი
ცდილობს სულის არსების გამოთქმას განსაზღვრების საშუალებით.
ჯერ განხილულია სულის განსაზღვრება თეოლოგთა მიერ, ხოლო
შემდეგ ფილოსოფოსთა მიერ. კერძოდ, დამოწმებულია ალბერტის
(ალბერტ დიდის) აზრი, რომლის მიხედვით, ზოგიერთმა სული გან-
საზღვრა როგორც აზროვნება, ხოლო სხვებმა — როგორც სმენა, გაგო-
ნება. შემდეგ ანტონს მოაქვს სულის ისეთი განსაზღვრება, რომელიც
არსებით ნიშნად „გაგონებას“ მიიჩნევს: „სული არა არსებობს უსხე-
ულოდ, ცნობადი, მიმთვალველი ნათლოვანებათა, უკანაჲსა სიცხადითა
შესაგნებითო. რამეთუ შორისობითა ანგელოსთათა შეისმინების, ე. ი.
შეიგნების, ანუ გაიგონების“. ამ განსაზღვრების მიხედვით, ინტელექ-
ტი შემეცნების პროცესში გამოცდილებიდან, გრძობადი აღქმიდან
გამოდის და იგი „ნათლოვანებას“ პირველ პრინციპისას უკანასკნელ
ფორმაში „მიითვალავს“. ასეთია მნიშვნელობა ფრაზისა — „მიმთვალ-
ველი ნათლოვანებათა უკანაჲსა სიცხადისა შესაგნებათ“. ა. ფრანგი-
შვილი ამ განსაზღვრებას ალბერტ დიდისეულად მიიჩნევს.

ადვილი შესამჩნევია, რომ ყველა ამ განსაზღვრებას, რომელიც
ანტონის მოწონებას იმსახურებს, მეტაფიზიკური ხასიათი აქვს. აქ ლა-
პარაკია არა სულზე, როგორც ფსიქიკურ პროცესთა ერთობლიობაზე,
არამედ როგორც სუბსტანციურ არსზე, რომელიც სხეულს განა-
გებს.

ანტონი სულის ორ განსაზღვრებას მიიჩნევს სწორად — პლატო-
ნისას და ალბერტ დიდისას. კერძოდ, პირველის შესახებ ამბობს: „მგ-
რა დიდმან პლატონ უკეთეს მათ ყოველთა, ესე იგი გარეშეთა ბრძენ-
თა თქვა სული მეტყველმან არსებად გონიერად თვითმიდრეკად ვითამ-
ცა ნაწევრობისად“. ასევე, უწონებს მეორეს: „სული არს არსებობთ სუ-
ლიერი და სიტყვიერი ნაბადი არარაისაგან ცხოვრებად კაცობრივისა

„სხეულისა“. ანტონს ეს განსაზღვრება მიაჩნია ისეთად, რომელიც „სი-
ტყვაუმემოკლებულად“ გვაძლევს „სიცხადეს“ წინდადებულისა საქმისა
აობისა“. ე. ი. გვაძლევს სულის არსის შესახებ ცხად ცოდნას, შემაჯა-
მებელს ყოველივე იმისას, რაც დადგენილ იქნა მის მიერ სულის არსის
გარკვეული მეთოდოლოგიური პრინციპების მიხედვით შესწავლის შე-
დეგად. ა. ფრანგიშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ორივე გან-
საზღვრება ანტონ პირველმა აიღო ნემესიოს ემესელის წიგნიდან —
„ბუნებისათვის კაცისა“.

130-ე თავია — „რაჲ არს საქმისაებრ სული“. ფილოსოფოსებმა
სხვადასხვანაირად განსაზღვრეს სული. პლატონი სულს თვითმოდრა-
ვად თვლიდა, არისტოტელე თვლიდა, რომ სული სხეულის მოქმე-
დების მიზეზია. ანტონი გადმოსცემს სხვადასხვა ავტორის თვალსაზ-
რის სულის შესახებ, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს
ალბერტ დიდისას, რომლის მიხედვითაც, სული არაჲ იდეალური არსი,
მარადიული, ადამიანის სხეულის მაცოცხლებელი, უსხეულო და განუ-
ფენელი. სულს აქვს „რაოდენობა, როგორც იტყვის ავგუსტინე, მაგ-
რამ არა ისეთი, რომელიც გაიზომება, არამედ „შეძლებათა ძალი“.
სული არ იზრდება, არც იკლებს. არც დიდია, არც მცირე. სულიერ
ძალთა სიმრავლე ნიშნავს არა ძალთა სიდიდეს, არამედ მოქმედებათა
სიმრავლეს.

როგორც პეტრიწი ამბობს, სულს აქვს გონიერება და ნება. იგი
განაგებს თავის თავს. თვითმოდრავია. იგი არ არის მატერიალური და
ამიტომ არა აქვს სიმძიმე, ნაკვეთი, ფერი. სული ღვთაებას არის ზიარ-
ებელი.

131-ე თავია -- „რომელნი არიან მპყრობადნი ძალნი სულისანი“.
ისევე, როგორც პირველი ნაწილი სულის შესახებ მოძღვრებისა, მეორე
ნაწილიც — სწავლება სულის შესახებ — არ არის აგებული საკუთარი
კვლევის საფუძველზე. აქაც საკითხების გარკვევა სხვადასხვა მოაზროვ-
ნეთა შეხედულებების სისტემატიზაციის გზით ხდება. ანტონი არ-
ჩევს მგრძნობელობით ანუ „პყრობით ძალებს“. იგი იმოწმებს ალ-
ბერტ დიდს, რომელიც თვლის, რომ სულს აქვს ორი სახის ძალა:
„პყრობითი“ და „ძვრითი“. პირველში გრძნობადი შექცენება იგუ-
ლისხმება, მეორეში — მამოდრავებელი. პყრობითი ძალები ორგვარია:
გარეგანი და შინაგანი. გარეგანს მიეკუთვნება მხედველობა, სმენა,
გემოვნება, ყნოსვა და შეხება. ერთი სიტყვით, გარეგანი გრძნო-

ბიოთი უნარები, ხოლო შინაგანი პყრობითი ძალებია: 1. ზოგადითი გრძნობა, 2. წარმოჩინება, 3. ექვი, 4. „პაზრი გინა განზრახვაი“, 5. მეხსიერება.

გარეგანი გრძნობის გაგების საკითხში ანტონი პერიპატეტიკოსებიდან ამოდის და ამტკიცებს, რომ შეგრძნების უნარი ადამიანს სწორედ უნარის, ე. ი. შესაძლებლობის სახით აქვს მოცემული. გარეგანი საგნების ზემოქმედების შედეგად, ეს უნარი გამოვლინდება, სინამდვილედ იქცევა, რაც უკვე შეგრძნების აქტის განხორციელებას ნიშნავს.

გრძნობადი შემეცნება იწყება საგნების და მოვლენების მოქმედებით გრძნობის ორგანოებზე. „არაჲ არს პყრობაჲ თვინიერ საგრძნოსა“. „საგრძნოს“ ზემოქმედების გარეშე შეუძლებელია შეგრძნობა. შეგრძნებები არის მიმღებლობითი ანუ ვნებითი ძალნი. ვნებითი იმიტომ, რომ სუბექტის აქტივობას შეგრძნების წარწ-შობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. რადგან „ყოველთა მათ შორის“ (შინაგან და გარეგან პყრობით პროცესებში) არის პყრობა მხოლოდითი გვარისა. ამრიგად, შეგრძნებების მოქმედება მიმართულია მხოლოდით საგანზე, როდესაც შემეცნება მიმართულია საყოველთაოზე. თუ შეგრძნება შეუძლებელია საგნის ზემოქმედების გარეშე, მაშინ ისმის საკითხი: როგორ უნდა იქნეს წარმოდგენილი ეს ზემოქმედება? „სპეკალ“ აქმულია, რომ ყოველი საგანი მასალისა და ფორმის შეერთებას წარმოადგენს. შეგრძნებებში საგანი რაიმე მატერიალური სახით კი არა, არამატერიალური ხატის სახით არსებას. შეგრძნების შემთხვევაში გაპალიზიანების ენერგია იქცევა ცნობიერების ფაქტად. სახე არის „დასაბამი“, „გინა მიზეზნი სამგრძნობელოსა ცნობისანი“. ამრიგად, მეორეება არისტოტელეს შეხედულება იმის შესახებ, რომ გრძნობადი აღქმის შემთხვევაში, ხდება სახის მიღება მატერიალურის გარეშე. ამრიგად, სახე არის „დასაბამი სამგრძნობელოსი ცნობისა“.

ყოველი გრძნობის ორგანო მისთვის სპეციფიკურ გრძნობად შინაარსს გვაძლევს. გრძნობის ორგანოების საშუალებით „სამეცნოსი“— შესამეცნებელის ასახვის ორგვარი შემთხვევა უნდა განვასხვავოთ. ერთი არის გრძნობადი აღქმის საგანი, რომელსაც შესაბამისი გრძნობის ორგანო შეიმეცნებს. მაგ., თვალი შეიმეცნებს ფერს. მაგრამ არის ისეთი ობიექტები, რომელიც ფერთან ერთად აისახება. ასეთია „გვარნი ზიარნი“, კერძოდ — მოძრაობა, სიმყარე, რიცხვი, ფიგურა და სხვ.

„სამგრძნობლო არს, რომელი წარმოდგებოდეს განუკვეთელთაგან და წინამოგდებითა .სამგრძნობელთაგან კერძოთანთა, რომელ არიან დასაბამნი სამგრძნობელოისა ცნობანი“. ანტონს მიაჩნია, რომ შეგრძნების ობიექტს გარეგან სინამდვილეში არსებული საგნების ეს თვისებები წარმოადგენს, რომელთა აღქმის უნარი ჩვენი გრძნობის ორგანოებს აქვს.

132-ე თავში — „რომელნი არიან კერძოვანი გრძნობანი“, „კერძოვან გრძნობათა“, ე. ი. ცალკეული გრძნობის ორგანოების თვისებები, მათი მსგავსება არის განხილული. მსგავსება მათ შორის ისაა, რომ მათ ყველას მიმღებლობითი ანუ აღქმის უნარი აქვს. ეს უნარი ყველა გრძნობის ორგანოს აქვს, როგორც შინაგანს, ისე გარეგანს. შეგრძნება შეუძლებელია ორგანოს ზემოქმედების გარეშე.

პირველ ყოვლისა, შეგრძნების აქტის განხორციელებული პირობაა გამაღიზიანებელია ძალის ზომიერება. უკიდურესად ძლიერი გამაღიზიანებელი ანგრევს ორგანოს. ეს აზრიც არისტოტელესაგან გამომდინარეობს.

„სპეკალში“ განსხვავებულია გრძნობადი ძალა და ობიექტი (წინდადებული). ობიექტმა რომ გრძნობის ორგანოზე იმოქმედოს და მიღებულ იქნეს სახე „თვინიერ ნივთისა, საჭიროა იყოს წინდადებული ახლოს და სამიმღებოს შუა“. ე. ი. აუცილებელია ობიექტის საახლოვე და ობიექტის და გრძნობის ორგანოს შორის მდებარე გამაშუალებელი გარემო ანუ „სამიმღებო შუა“. ეს უკანასკნელი აკავშირებს ობიექტს გრძნობის ორგანოსთან. ეს არის გარემო, რომელიც შესაძლებელს ხდის შეგრძნების აქტის განხორციელებას.

ანტონი მიუთითებს გრძნობის ორგანოების სპეციფიკური ენერგიის შესახებ. თითოეულ მათგანს „საკუთარი საქმენა“ აქვს, ე. ი. საკუთარი ფუნქცია აკისრია და სხვისი შეცვლა არ შეუძლია. თვლით მხოლოდ დანახვა შეიძლება და არა მოსმენა. ასევე ითქმის გრძნობის სხვა ორგანოებზეც. ამასთანავე, იგი ლაპარაკობს „სამიმღებო შუას“, ე. ი. იმ გარემოს შესახებ, რომელიც გრძნობის ორგანოსა და შეგრძნების ობიექტს შორის არსებობს, და რაც შესაძლებელს ხდის შეგრძნებას. ყოველ გრძნობის ორგანოს, მისი თავისებურების შესაბამისად, სპეციფიკური „გამტარი“ გარემოც აქვს. გემოვნებისა და შეხების გრძნობის ორგანოებს „სამიმღებო შუა“ უშუალოდ გრძნობის ორგანოებზე აქვთ მიკროულ-მიზრდილი. სხვა შეგრძნებების შემთხვევაში კი, იგი გრძნობის ორგანოს გარეთაა მოქცეული. გარდა სპეციფიკური საგნისა და „თავისებური გამაშუალებელი გარემოსი“,

ცალკეული გრძობანი ერთმანეთისაგან განსხვავდება იმითაც, რომ რა ნივთიერებათა შეზავების შედეგს წარმოადგენს ისინი. ანტონი გრძობის ორგანოთა შორის უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებს მხედველობის ორგანოს. მეორე ადგილი კი სმენის ორგანოს მიეკუთვნება. ეს არის ტრადიციულად დამკვიდრებული თვალსაზრისი, რომელსაც ანტონიც იზიარებს. გრძობადი შემეცნება არის არა ობიექტის თვისების სარკისებური ასახვა. გრძობის ორგანოთა თვისებები გარკვეულ გავლენას ახდენს ასახვის შედეგებზე, თუმცა მათ არსებითად არ ცვლის. ანტონი ამ შემთხვევაში გრძობის ორგანოების აქტიურობაზე მიუთითებს და, არსებითად, იმასაც აღნიშნავს, რომ გრძობადი შემეცნება ზოგადობის გარკვეულ ხარისხსაც არ არის მოკლებული.

მოძღვრება შინაგანი პერობითი ძალების შესახებ — ესაა გრძობადი ასახვის ფარგლებშივე, „აზრისკენ“ გარდამავალი საფეხურების დადგენა. მომდევნო 133-ე თავში ანტონი გადადის ზოგადი გრძობის ბუნების ანალიზზე. იგი გვეუბნება, რომ ალბერტ დიდის მახედვით, „ზოგადი გრძობაა არს ძალი მიმთვალველობითი წინადადებათა, ყოველ კერძოვანთა გრძობათასა“. ე. ი. ზოგადი გრძობა, რომელშიც აისახება ცალკეულ გრძობათა მონაცემები, მათი გამაერთიანებელია. ზოგადი გრძობა ერთგვარი რეფლექსიაა ცალკეული შეგრძნებების შესახებ. იგი „აღქმის აქტის ცნობიერებას“ (ალ. ფრანგიშვილი) წარმოადგენს. ზოგად გრძობას, როგორც განსხვავებულს „კერძოვან“ გრძობათაგან, ისიც ახასიათებს, რომ, პირველ ყოვლისა, იგი „შინაგანი განსჯაა“ ანუ აღქმის აქტის ცნობიერებაა.

134-ე თავია — „რად არს ძალი წარმოჩენითი“. კერძოვანი და ზოგადი გრძობების — გრძობადი შემეცნების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს „წარმოჩინება“ — წარმოდგენა. ანტონი მიუთითებს წარმოდგენისა და შეგრძნების განმასხვავებელ ნიშანზე, კერძოდ, აღნიშნავს, რომ შეგრძნება საგნის უშუალო თანხლების გარეშე შეუძლებელია, ხოლო წარმოდგენისათვის ასეთი რამ საჭირო არ არის. ამასთანავე, ხაზგასმულია წარმოდგენისა და შეგრძნების აუცილებელი კავშირი.

ანტონი „წარმოჩენითი ძალის“ განმარტებას ალბერტ დიდს მიაწერს: „ძალი პერობითი, რომლისა შორის დაცული შემსგავსებანი საგრძობელთ მოფარდულებათანი“. შენიშვნაში განმარტებულია:

„წარმოჩენითი არს, რადაცავე გრძნობადსა შემოსწერდეს, ვითარცა აწ მყოსა გარდასრულთა“. წარმოჩინება (წარმოდგენა) განსხვავდება ზოგადი გრძნობისაგან იმით, რომ ეს უკანასკნელი იღებს ხატს საგნის გრძნობის ორგანოებზე მოქმედების დროს. მას „არ შეუძლია ხატის მიმსგავსების მიღება თვინიერ ახლო მყოფისაზე საქმისასა“. წარმოდგენასა და შეგრძნებას ის განასხვავებს, რომ წარმოდგენას წარსულთან აქვს საქმე, ხოლო შეგრძნება ყოველთვის აწმყოსთან არის დაკავშირებული. ამასთანავე, შეგრძნებაში მოცემული მასალა აზროვნებაში გადაიშუავდება და ხატის მსგავსად, წარმოდგენაში წარმოდგება.

„წარმოჩენითი ძალით“ დამოკიდებულება სხვა შინაგან პყრობით. ძალებთან ასეთია: წარმოჩენითი ძალი მის მიერ დატულ ხატებს. აწვდის შინაგანი გრძნობის სხვა ძალებს.

ანტონი აღნიშნავს, რომ შეგრძნებაში საგანი არსებობს არა რაიმე მატერიალური სახით, არამედ არამატერიალური ხატის სახით. შინაგანი პყრობის ძალები, როგორცაა „ექვი“, „აზრი“, „მეხსიერება“, არსებითად, ხატის მნიშვნელობის გაცნობიერების საფეხურაა.

135-ე თავია, — „რად არს საგონებელი ესე იგი ექვი“. „საგონებელი ე. ი. ექვი ძალი რაიმე არს, რომელიცა შეწყნარებულისა გვარი-საგან ამოიღებს ჰაზრსსა ანუ განზრახვასა, რომელიც არა იყოს მითვალულ გრძნობითა“. იქვის შესახებ მასალები ამოღებულია ალბერტ დიდი შრომიდან — „De anima“. როგორც ა. ფრანგიშვილი აღნიშნავს, აქ „პირდაპირაა განმეორებული მისი განსაზღვრებები და მაგალითებიც კი“. „იქვის“ ბუნების ნათელსაყოფად, ანტონს ალბერტ დიდის მაგალითები მოჰყავს: „რომელიც ცხვარი გაურობს მგელს და მგელმა შეიწყალა როგორც „მეშვი“ დამბადებელმა თავისი „ნაშვი“, მაგრამ ეს არ მოხდებოდა, მგელს რომ არ ჰქონოდა ცოდნა თავისი ნაშვის შესახებ და არც ცხვარს ჰქონოდა ცნობა იმისა, რომ მგელი შავნებელია ცხვარისათვის. ესენი არ არიან ცნობადი გრძნობის, ე. ი. გრძნობის ორგანოების მეშვეობით“. იგულისხმება — ამბობს ა. ფრანგიშვილი, რომ კერძო და ზოგადი გრძნობა გვაწვდის რა უშუალოდ მოცემულის ხატს, უძლური ასახოს მისი „შავნებლობა“.

იქვი განსხვავებულია როგორც გრძნობადი აღქმის პროცესებისაგან (კერძო და ზოგადი გრძნობებისაგან), ისე „წარმოჩენებისაგან“, წარმოდგენის საშუალებით. მხოლოდ ხატი გვეძლევა იმისა, რაც ზოგად გრძნობაში იყო ასახული. ამ უკანასკნელის ფარგლებს ის ვერ სცილდება. ამდენად, ხატს არ ახლავს არც „განცხრომა“ არც „ლტოლ-

ვა“, ენ უქანასკნელები ასეთ ხატს დაერთვის მხოლოდ „იქვის“ ძალის მეშვეობით ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, გრძნობადი შემეცნების საფუძველზე.

ამრიგად, იქვი გრძნობადი შემეცნების საფეხურია. ამაში მხოლოდ ის იგულისხმება, რომ იქვი ლოგიკურ ოპერაციას არ მიეკუთვნება, ე. ი. რაციონალური შემეცნების სფეროში არ შედის. მას ძირითადად ემპირიული ხასიათი აქვს.

136-ე თავია — „რად არს ჰაზრი ესე იგი ვანზრახვა?“ ჰაზრი ანუ „ძალი განზრახვისა“ არის შინაგანი გრძნობის ის ძალა, „რომელი ჰრთავს გვართა გვართა ზედა, გვართა გვართა ჰაზრთა ზედა და ჰაზრთა ჰაზრთა ზედა“. ამ შემთხვევაში უკვე შემეცნების აბსტრაქტულ დონესთან გვაქვს საქმე, თუმცა რაციონალური შემეცნება (ინტელექტი) ჯერ კიდევ არა გვაქვს. მას ანტონი უფრო გვიან განიხილავს.

შემდეგ ანტონი ეხება აზროვნების პროცესს და განმარტავს შეცდომის შესაძლებლობას. შემეცნებას, მისი აზრით, თან სდევს ცოცხალი განჭვრეტა, რომელიც ყოველთვის ემპირიული არაა, მაგრამ კონკრეტულობით კი ხასიათდება. სახელდობრ, შემეცნების პროცესში ყალიბდება ცოცხალი სურათები — „ხატები“, რომლის საშუალებითაც შემეცნებელს პროცესი სრულდება. ამ დონის შემეცნება მხოლოდ ადამიანს კი არა, ცხოველებსაც აქვთ. მაგალითად, ცხვარი სცნობს თავის შვილს და ძუძუს აწოვებს, მაშინ, როცა იგი ასე არ იქცევა სხვა კრავის მიმართ.

რატომღაც ანტონი ფიქრობს, რომ ფანტაზიის უნარ-საერთოდ დამახასიათებელია ცხოველებისათვის. ეს კი იმაში გამოვლინდება, რომ ცხოველისათვის არსებობს არა მხოლოდ აწმყო, არამედ მომავალიც. ეს თვალსაზრისი, რასაკვირველია, მცდარია. ცხოველი მხოლოდ აწმყოთი ცხოვრობს და მისთვის მომავალი არ არსებობს. ანტონი იმასაც კი ფიქრობს, რომ თითქოს, ცხოველი ერთს ირჩევს და სხვას უკუაგდება. თითქოს აკეთებს არჩევანს. სინამდვილეში, ასეთი განზრახვა მხოლოდ გონიერებასთან არის დაკავშირებული, იგი ადამიანებს ახასიათებს და მგრძნობელ ცხოველთათვის უცხოა. ცხოველთა სამყაროში ფანტაზიის არსებობა შეუძლებელია.

„ფანტაზია ის ძალაა, რომელიც არს ქონებად მგრძნობელისა სულისა მიერ“ ე. ი. მგრძნობელობის ფუნქციაა, მაგრამ ის შეიძლება დაექვემდებაროს გონებას და მიმართულ იყოს გონების მიერაც. ეს ასეა (ან ხდება) ადამიანის შემთხვევაში. ამასთან, ანტონს მიაჩნია, რომ ცხოველებში ფანტაზიის მოქმედება წარმართება ინსტინქტუ-

რად, რომ ცხოველებში ფანტაზიის მოქმედება მრავალფეროვანია, რადგან ის გონების ამოცანებს ემსახურება, ხოლო გონება მრავალფეროვან ოპერაციებს ასრულებს.

ანტონი თვლის, რომ ცხოველთა მოქმედებას საფუძვლად უდევს ფანტაზია [„განზრახვა“], ადამიანის შემთხვევაში კი ქცევა წარმართულია გონების მიერ, ხოლო მოქმედების სხვა მასტიმულირებელი ძალები დაქვემდებარებულია ამ წამყვანი ძალისადმი.

137-ე თავია — „მეხსიერობა“. ანტონს მიაჩნია, რომ მეხსიერება არის შინაგანი პერობითი ძალა. ანტონი ამ თავის ავტორებად ასახელებს დამასკელს, ნემესიოს ემესელს, ორიგენს, პლატონს და სხვ. ალ. ფრანგიშვილის აზრით, ეს თავი მთლიანად აღებულია ნემესიოს ემესელის წიგნიდან — „ბუნებისათვის კაცისა“. თვითონ ნემესიოსს კი აღებული აქვს არისტოტელესაგან. აქ ანტონი ამბობს, რომ მეხსიერება არის ის, რაც წინათ გვსმენია, მაგრამ ამჟამად წარსულს ეკუთვნის („შესაბამი აქუს წარსულისა დროსამი“) ამრიგად, ცხადია, რომ დახსომება არის ის, რაც იყო და აღარ არის („ქმნადი და ხრწნადი“), მაგრამ რაც გაცნობიერებულია, როგორც წარსული და დაკავშირებულია დროში („ჟამისა თანგანზიდვითა აგებული“). ამრიგად, მეხსიერება ნიშნავს წარსულში რაიმე არსებულის გაცნობიერებას. მეხსიერება არის წარსულის შენახვა ცნობიერებაში, მისი ცნობიერად არსებობა.

„სპეკალში“ განსხვავებულია მეხსიერების ორი ფორმა — „მეხსიერება და აღხსენება“. მათ შორის განსხვავება მოცემულია ნემესიოსის მიხედვით. „აღქსენების“ ერთი მნიშვნელობა არის დავიწყებულს აღდგენა ან დროებით დავიწყებულის აღდგენა (მოგონება). მოყვანილია პლატონის აზრი. რომლის მიხედვით. „აღხსენება“ არის აღდგენა — აღხსენება იდეათა. „აღხსენება“ სიტყვიერის (ადამიანის) სული-სათვის არის დამახასიათებელი და არა მგრძნობელი (ნებისმიერი ცხოველის) სულისათვის. შეგრძნებათა საფუძვლად ითვლება ტვინის ერთი ნაწილი. სიტყვიერებასა და მეხსიერებას კი ტვინის სხვადასხვა ნაწილი განაგებს.

138-ე თავია — „რაჲ არს მიდმოგონებაჲ“. „მიდმოგონება“ არის განსჯა, რომელსაც ანტონი იოანე დამასკელის და ნემესიოს ემესელის მიხედვით გადმოსცემს. განსჯის ორგანოდ ჩათვლილია თავის ტვინი.

გრძნობადი შემეცნების ძალების შემდეგ ანტონი რაციონალური შემეცნების ძალებს განიხილავს. „მიდმოგონებას“ დისკურსიული აზ-

როვნება „დიანვაჲ“ („დიანოია“ — არისტოტელეს ტერმინით) და გავონება-გონებაინტუიციური აზროვნება განაპირობებს. წინა თავში განხილულია „თნება“ — სიტყვიერი სულის ძალა. გრძნობის ორგანოების მეშვეობით, გრძნობადი საგნები აისახება სულში და ამ გრძნობადი შემეცნების პროცესების საფუძველზე იქმნება „თნება“. გრძნობადის გარდა არსებობს გონიერებით საწვდომი სინამდვილე, რომელიც აზროვნების, გონების საგანია. გონებით წვდომის შედეგად იქმნება ჰეგელის ცოდნა („გაგონება“) ანუ ცნება. მიდმოგონება“ აზროვნების ისეთი სახეა, რომელიც გრძნობადთანაა დაკავშირებული, თუმცა მისი საგანი გონიერია და არა — გრძნობადი. მაგრამ იგი მაინც ისეთი გონიერია, რომელიც გრძნობადისგანაა გამოყვანილი და მასთან დაკავშირებული. ეს თავი აღებულია ნემესიოს ემსეკლიდან.

„მიდმოგონებისაგან“ განსხვავებულია გონება — „გაგონება“ (ნოიმაჲ) როგორც უშუალო შემეცნება. გონება, „მიდმოგონებისაგან“ განსხვავებით, უშუალოდ წვდება თავის საგანს, „გონებაჲ ზედ მიესხმის მარტივად, ვითარ აღმოხდა რა მზე და აჰა შარავანდედნიცა მისი უჟამოდ და მიუდრეკელად დაპარავენ ყოველსა“. ამ შემთხვევაში მხედველობაშია ინტუიციური შემეცნება. გონებას ანტონი ინტუიციის სინონიმად ხმარობს.

139-ე თავია — „რად არს შინაგან მდებარე სიტყვაჲ და რად გარე-მოსილი ესე იგი წარმოჩენილი“. როგორც წინ იყო ნათქვამი, სულის ერთი ნაწილი „უსიტყვოა“, ე. ი. ცხოველურია: გარკვეული აზრით, სული ცხოველებსაც აქვთ, მაგრამ მათგან ანტონი განასხვავებს „სიტყვიერ“ სულს, ე. ი. ისეთ სულს, რომელიც, ლოგოსითაა, აზრითაა დამძიმებული. ასეთია ადამიანის სული. ამგვარ სულს ანტონი სხვადასხვა სახელს უწოდებს: ნოიამა ნოიტონი, გონება, გონი, საგონებელი, გაგონება, სიტყუა, განსჯა, მიმოდგინება, მიდმოგონება, მოხსენება, მოგონება, მიმობსენება, ცნობა, საცნაური და სხვ. ამრიგად, „სიტყვიერებაჲ სულისა“ (გონიერი სული) განიყოფება შინაგან მდებარე სიტყვად და ხმოვნად, ე. ი. ისეთ აზრად, რომელიც მეტყველებაში გამოითქმის, და მეორე, ისეთად, რომელიც არ გამოითქმის.

ანტონი თვლის, რომ აზრი შეიძლება ენაში გამოხატვის გარეშეც არსებობდეს. ამის დასტურად იგი იმას თვლის, რომ ჩვენ ძილის დროსაც ვაზროვნებთ. ასევე აზროვნებენ ყრუ-მუნჯები. გარეგანი სიტყვის უნარის დამკარგავს რჩება შინაგან მდებარე სიტყვა და ამის გამო არის კლდეც გონიერი. „შინაგანი მდებარე სიტყვა“ არის გონე-

ბით ზრახვა ჩვენივე თავთან, გარეგან მეტყველებაში გამოსახვის გარეშე.

მაგრამ „სიტყვიერებაჲ სულისა“ გულისხმობს არა მხოლოდ შინაგანმდებარე სიტყვის, არამედ ეგრეთვე „ხმოანსაც“.

140-ე თავში მოცემულია სულიერი ძალების კლასიფიკაცია, არისტოტელესა და ალბერტ დიდის მიხედვით. დასახელებულია სამი სულიერი უნარი. 1. ძალნი, 2. „ანაგეზნი“, 3. ვნებანი. ალბერტ დიდის შეხედულებათა შესაბამისად, ანტონი არკვევს თითოეული მათგანის ბუნებას. ძალა ბუნებრივად არის მოცემული. ანაგეზი შექნილი თვისებაა. ვნება კი ისაა. რაც ამ მკვიდრი ძალების ნიადაგზე „შინაგნით“ იბადება და არა — შეიძინება. აფექტი-ვნება შინაგნით აღმოცენდება, ის არ არის განზრახვით შენაძენი. განზრახვით შენაძენი მხოლოდ „ანაგეზია“. „ანაგეზი“ ასეთია, როგორც არის მოქმედება. ნება ცოცხალ არსებას ახასიათებს. „ნება“ აქ სურვილის მნიშვნელობით იხმარება. ამრიგად, სულის გონიერ ნაწილში ისახება სურვილი-ნება.

სიტყვიერი (მეტყველი) სულის ღვთაებრივი საწყისია ადამიანში. იგი უკვდავია, ადამიანის სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს არსებობას. ასეთი არ არის ვეგეტატიური და მგრძნობელი სული, რაც ცხოველებს ახასიათებს.

141-ე თავში მოცემულია იმდროინდელი ცოდნა ოცნების შესახებ.

142-ე თავში — „არაჲ არს გრძნობაჲ“. განმარტებულია, რომ გრძნობა არის ძალი სულისა, რომელიც გრძნობის ორგანოებით სრულდება. დახასიათებულია გრძნობის ორგანოები.

143-ე თავში — „რაჲ არს ხედვაჲ“, გადმოცემულია მოძღვრება მხედველობის შესახებ. აქ ანტონი არისტოტელეს ემყარება. კერძოდ, თვლის, რომ მხედველობის შეგრძნება ობიექტურ სინამდვილეს ასახავს, თუმცა ეს ასახვა არ არის მექანიკური და სარკისებური.

244-ე, 245-ე, 246-ე და 247-ე თავებში ანტონ პირველი იძლევა გრძნობის ორგანოთა ფუნქციების დახასიათებას. კერძოდ, ლაპარაკია სმენის, ყნოსვის, გემოვნების და შეხების გრძნობის ორგანოებზე. როგორც აღნიშნულია შესაბამის ლიტერატურაში, თავები შეგრძნების შესახებ ანტონს სიტყვასიტყვით ამოღებული აქვს ნემესიოს ემესელის წიგნიდან — „ბუნებისათვის კაცისა“ და იოანე დამასკელის „გარდაპოცემიდან“. ერთი სიტყვით, იგი წარმოადგენს ამ ავტორების შეხედულებების შემოკლებულ გადმოცემას. ალ. ფრანგიშვილი აღნიშნავს, „ამ

ნაწილში მხოლოდ გამეორება იმისა, რაც ქართული ფილოსოფიური მწერლობის ადრინდელ ნაწარმოებებში გვხვდება“ (გვ. 266).

მართლაც, ანტონი სიტყვასიტყვით იმეორებს აღნიშნულ ავტორებს. რაც შეეხება ტერმინოლოგიას, იგი არ ემთხვევა ამ ავტორების ნაწარმოებთა არც ერთი ქართული თარგმანისას, გაკეთებულია დამკვნა, რომ ანტონი ძირითადად საკუთარი ტერმინებით გადმოგვცემს შესატყვის ადგილებს ნემესიოს ემესელის და დამასკელის ნაწარმოებებიდან. ალ. ფრანგიშვილის მიერ არაერთხელ არის აღნიშნული, რომ სულის შესახებ „სპეკალში“ გადმოცემული თვალსაზრისი არ არის ანტონის დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. იგი აღებულია სხვადასხვა მოაზროვნეთა ნაშრომებიდან. კერძოდ, ფსიქოლოგიური ნაწილი ალბერტ დიდის, ნემესიოსის, დამასკელის და სხვათა ნაშრომებით არის წარმოდგენილი.

148-ე თავია — „რად არს ძალი და მოქმედება სულისა და რად გავგონებისა და რად გასაგონოა“.

იოანე პეტრიწი თავის თხზულების წინასიტყვაობაში ამბობს, რომ სხვადასხვაა სულის და გონების ძალა და მოქმედება. ქართველები სულის ძალასა და მოქმედება — „დიანოიას“ უწოდებენ, ხოლო გონებისას — „ნომას“ და გონების მიღწეული გარეგანი ობიექტი არის ნოეტონი.

შემდეგ ანტონი, პეტრიწის კვალდაკვალ, იძლევა ლათინურის განმარტებას. „დიანვია“ არ არის მარტივი, არამედ ნაწილებისაგან არის შემდგარი. იგი თითქოს აზრის მოძრაობაა, ვინაიდან სულის გაგების უნარი მის მოძრაობაში ვლინდება. ეს გაგება არ არის მარტივი, რადგან იგი აპირისპირებს არსს და არარსს.

მაგალითად, როდესაც რაიმეს გაკეთებას ვიწყებთ, წინასწარ მოვიანზრებთ გასაკეთებელს, ვმსჯელობთ მასზე, ვიაზრებთ მას. ამიტომ ეწოდება მას, როგორც ამბობს პორფირი, „მიდმოგონება“ ანუ განსჯა. განსჯა ლოგიკური პროცესია, იგი თანდათანობით სრულდება („ობიექტისა მიერ მივიდოდის“). ადამიანის სული ერთიდან მეორეზე მიდის ნელა, სანამდე არ მოიცავს ობიექტს. განსჯა („მიდმოგონება“) გაშუალებული აზროვნების პროცესია. გონების ცნების ქვეშ ანტონს ინტუიციური უნარი ესმის. იგი განსჯისაგან („მიდმოგონება“) იმით განსხვავდება, რომ შემეცნების პროცესში უშუალოდ წვდომის უნარს წარმოადგენს, მაშინ როდესაც განსჯა გაშუალებულია, ლოგიკურ აზროვნებას წარმოადგენს. ანტონი იმეორებს პეტრიწის აზრს, რომ გონება ისე მოეფინება თავის ობიექტს, როგორც მზე გარე-

მოს. ამით ხაზგასმულია გონების უშუალო ხასიათი, მისი ინტუიციური ბუნება. ამასთანავე, ანტონი გონებას — ინტუიციის უნარს — სულზე მაღლა აყენებს, რომლისთვისაც დამახასიათებელია განსჯა („მიდმოგონება“). ანტონი ამბობს, რომ გონება მაღლა დგას სულზე, რადგან სხვა არის ბუნება გონებისა და სხვა — სულისა.

თავის მხრივ, გონებაზე მაღლა დგას უკანასკნელი ინსტანცია — არსება. გონება შემეცნებელია, ეს არსება („ნამდვილ მყოფი“) — შესამეცნებელი.

149-ე თავია — „რა არს გაგონებად არსებისა და გუამოვნებობისა, ე. ი. „არსება და გუამოვნებითი“.

ამ თავში პეტრიწის რედაქციით გადმოცემულია არისტოტელეს აზრი ბუნებით პირველისა და ჩვენთვის პირველის შესახებ. ანტონი გვეუბნება, რომ ყოველი ნამდვილის შემეცნება მისი შესაძლებლობის მიხედვით შეიძლება. როგორცაა შესაძლებლობა, ისეთივეა მისგან განხორციელებული სინამდვილე. თუმცა ისინი ერთმანეთს მთლიანად როდი ემთხვევა. ამასთან დაკავშირებით ანტონი ამბობს, რომ თავისთავად პირველი შემეცნებით პროცესში ხდება უკანასკნელი. ხოლო ბუნებით შემდგომი — პირველი, როგორც არსება და მოქმედება. არსება ბუნებით არის უპირველესი, ხოლო როდესაც ჩვენ რაიმეს შევიმეცნებთ, შევიმეცნებთ შედეგით — უკანასკნელით, რომლებიც არიან ძალი და მოქმედება. აქ მთლიანად გადმოცემულია არისტოტელეს კონცეფცია ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური პირველობის შესახებ.

სული, რომელთანაც დაკავშირებულია განსჯა („მიდმოგონება“), გაშუალებულია, ე. ი. თანდათანობით სრულდება. ამდენად, მასთან დაკავშირებულია შესაძლებლობა (პოტენცია), რაკი იგი ლოგიკური ქმნადობის პროცესს წარმოადგენს. ხოლო სხვა არის ძალა და მოქმედება გონებისა. ადამიანის სულში ცნებები, გონებით მისაწვდომი საგნები შესაძლებლობის სახით იმყოფება, ადამიანის სული ხან აზროვნებს, ხან არა. გონება კი წმინდა აქტიობაა. იგი სინამდვილედ აქცევს სულში შესაძლებლობის სახით არსებულ ცნებებს. იგი სხვა არა არის რა, თუ არა მარადიული მოგონება-შემეცნება. გონება არ იქცევა ისე, როგორც სული, რომელიც გაშუალებულად მოქმედებს. გადადის ერთი შესამეცნებლიდან მეორეზე. გონებაში ერთად არის გონებაშემეცნებელი და „ვასაგონო“-შესამეცნებელი. აქ ანტონი განსხვავებას ამყარებს განსჯასა („მიდმოგონება“) და ინტუიციას („გო-

ნება) შორის. პირველ შემთხვევაში შემმეცნებელი და შესამეცნებელი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ეს იმითაა განპირობებული, რომ განსჯას შუალობითი ხასიათი აქვს, იგი ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს. გონებაში (ინტუიციაში) კი ასეთი განსხვავების დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან საქმე გვაქვს უშუალო შემეცნებასთან. გონება უშუალოდ წვდება თავის საგანს, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში შემეცნების საგანს ღვთაებრივი სინამდვილე წარმოადგენს. რომელსაც ძირეული ნათესაობა აქვს გონებასთან. ეს შეხედულება ძალიან საინტერესოა, შემეცნების თეორიის თვალსაზრისით.

150-ე თავში ლაპარაკია სწავლების პროცესის შესახებ და ძირითადად გადმოცემულია პედაგოგიური იდეები, პეტრიწის მიხედვით.

151-ე თავი გვამცნობს, ვინ იყო იოანე პეტრიწი. იგი საიეფო გვარიდან იყო. განათლებული, მცოდნე ფილოსოფიისა, გრამატიკისა, რიტორიკისა, გეომეტრიისა, ასტრონომიისა, ფიზიკისა. იყო ბერძნული მეცნიერების ზედმიწევნით მცოდნე. დასახლდა ოპიზას, იოანე წინამორბედის მონასტერში და მრავალთა შრომით, ღვაწლით შეამკო იგი. იოანემ გადმოიღო ქართულ ენაზე საღმრთო წერილი, მრავალი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური თხზულება. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პროკლეს თხზულების თარგმნას („კავშირხი ღვთისმეტყველებითნი“).

152-ე თავში — „სიტყვა მეფისადმი ირაკლისა“, ანტონი მიჰართავს ერეკლე მეორეს და იმეორებს, რომ ამ თხზულებაში გადმოცემული ფილოსოფიური კონცეფცია მას აღებული აქვს სხვადასხვა ავტორებისაგან.

უკანასკნელ, 153-ე თავში ნათქვამია, რომ ანტონმა ამ წიგნის დაწერა დაიწყო 1752 წელს 11 ივლისს, დაამთავრა იმავე წლის 14 ოქტომბერს, თეიმურაზის მეფობის დროს, როცა ანტონი 32 წლისა იყო.

დასკვნა

ანტონ პირველის „სპეკალში“ განხილულია არისტოტელეს ლოგიკური მოძღვრების ძირითადი ნაწილი: ცნების, მსჯელობის და დასკვნის თეორია. შეხედულებები ფილოსოფიის სხვადასხვა საკითხებზე და ცოდნა სულის შესახებ.

რასაკვირველია, ის ცოდნა, რომელიც ზემოთ დავალაგეთ, ანტონის ნააზრევი როდია. „სპეკალში“ თავმოყრილია სხვადასხვა ავტორთა

ნაზარევიდან ამოღებული ცოდნა. ეს ავტორებია: პერაკლიტე, დემოკრიტე. ეპიკურე, პითაგორა, პარმენიდე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, პეტრიწი, დამასკელი, ამონიოსი, ნემესიოს ემესელი, ალბერტ დიდი, ჰომეროსი, ჰიპოკრატე, პროკლე დიადონოსი, პორფირი, სენეკა, თომა აქვინელი, კირილე ალექსანდრიელი, სვიმონ ჭულაეცი, დავით უძლეველი და სხვ. განსაკუთრებით ხშირია ლათინთა ფილოსოფოსთა დასახელება „სპეკალის“ ბოლო თავში — „სულისათვას“.

ანტონი, ცხადია, მექანიკურად არ იყენებს ზემოთ დასახელებულ ავტორთა შრომებს: აკლებს ან უმატებს თავისთვის მისაღებ აზრებს, ურთავს შენიშვნებს, როგორც სახელმძღვანელოს შედგენის დროს ხდება ხოლმე. იგი დამოუკიდებელი კვლევა-ძიების ნაყოფს არ წარმოადგენს: იღებს იმ იდეებს, რომლებიც მის მსოფლმხედველობას შეესაბამება.

ანტონის მიერ დასახელებულ ავტორთა უბრალო ჩამოთვლაც კი კითხვას ბადებს: როგორ ესაბამება ერთმანეთს განსხვავებულ ავტორთა იდეები „სპეკალში“. როგორ ეთანხმება ერთმანეთს არისტოტელეს და პლატონის, სვ. ჭულაეცის, პროკლეს, დავით უძლეველის და პეტრიწის შესედულებები.

„სპეკალის“ შესწავლამ დაგვანახვა, რომ ანტონი მეტად თავისუფლად. თავის ნებაზე ექცევა ამ ავტორთა შრომებს. იყენებს მათ, თავისი სურვილის მიხედვით. იღებს ერთი ავტორისაგან რაიმე იდეას, ამატებს მეორის აზრს. ხშირად ისე, რომ არც უწევს ანგარიშს ამ ავტორთა მსოფლმხედველობას. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ყველა ავტორს, რომელთა თხზულებებითაც იგი სარგებლობს, კითხულობს პროკლე-პეტრიწის ფილოსოფიის თვალთახედვით. პროკლე მისთვის უმაღლესი საზომი, უდიდესი ავტორიტეტია. მაგ., დამასკელის წიგნიდან აღებულ ცოდნას მყოფის და შემთხვევითის შესახებ ანტონი ავსებს პეტრიწის მოძღვრებით არსის [“აობის“] შესახებ. ჩანს, ამის გარეშე ცოდნა მყოფის შესახებ არასაკმარისად ჩათვალა. ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება „სპეკალიდან“.

ამ დებულების სისწორეში მკითხველი თვითონ დარწმუნდება. რასაკვირველია, ცხადია, რომ ანტონი უშუალოდ არ იცნობდა პლატონისა და არისტოტელეს თხზულებებს, იგი მათ შესახებ მსჯელობს შუა საუკუნეების კომენტატორთა: დამასკელის, ამონიოს პერმისას, სვ. ჭულაეცის და სხვ. მიხედვით. მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას, რომ ილაპარაკოს პლატონისა და არისტოტელის ფილოსოფიურ შეხედულებებზე.

„სპეკალის“ ძირითად წყაროებს წარმოადგენს ქართული თარგმანები შემდეგი ავტორების ნაშრომებისა:

1. იოანე დამასკელის „ცოდნის წყარო“ ანუ დიალექტიკადამასკელი ანტონისათვის ურყევე ავტორიტეტია. „ოქრო ნეტარმან ჩემ გონება მზემან დამასკელმან“ („სპეკალი“, თავი 89) — იოანე დამასკელის წიგნის მეორე ნაწილი „გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“ არის წყარო „სპეკალის“ განყოფილებისა — „სულისათვის“ (თ. 46, 103, 137, 138).

2. სვ. ჯუღაეცის „ლოგიკა“. XVIII საუკუნეში სომხურიდან ქართულ ენაზე თარგმნილ ფილოსოფიურ თხზულებათა შორის მეტად მნიშვნელოვანი იყო სვ. ჯუღაეცის „დიალექტიკა“. სომხურ ენაზე მას „ლოგიკა“ ეწოდება.

ამ წიგნის ავტორი სვ. ჯუღაეცი XVII საუკუნის სომხური ფილოსოფიური აზრის იმ მიმართულების წარმომადგენელია, რომელიც მიზნად ისახავდა ანტიკური ფილოსოფიის კულტურის ათვისებას. ჯუღაეცის წიგნი სწორედ ანტიკური ფილოსოფიური კულტურის, კერძოდ — არისტოტელეს ლოგიკურ შეხედულებათა გაცნობა-შესწავლას წარმოადგენს.

სვ. ჯუღაეცის ეს წიგნი დიდი ხნის მანძილზე იყო ყველაზე გავრცელებული სახელმძღვანელო სომხურ სკოლებში. იგი ორჯერ დაიბეჭდა სომხურ ენაზე 1728 და 1794 წელს. პირველი გამოცემა განხორციელდა კონსტანტინეპოლში. ამასთან, ეს წიგნი დიდად გავრცელებული იყო ხელნაწერის სახითაც. ისევე, როგორც „სპეკალი“, იგი სამი ნაწილისაგან შედგება. მასში ვაღმოცემულია ცოდნა ცნების, მსჯელობის, დასკვნის შესახებ. ამისათვის გამოყენებულია არისტოტელეს ლოგიკური ნაშრომები. ჯუღაეცი ამ წიგნში მთლიანად არისტოტელეს თვალსაზრისზე დგას და განსხვავებული შეხედულებები არ გააჩნია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნს არც თვლიდა საკუთარი აზრის ნაყოფად. იგი აღნიშნავდა, რომ მისი „ლოგიკა“ წარმოადგენს „არისტოტელეს ლოგიკის დალაგებას სომხურ ენაზე“. როგორც აღნიშნავს ამას ვ. კ. ჩალოიანი¹, ზოგადად ეს ასეა, მაგრამ კერძო საკითხებზე მსჯელობისას ჯუღაეცი თავის „ლოგიკაში“, არისტოტელეს ნაშრომებთან ერთად, იყენებს პორფირის, დავით უძლეველისა და სხვათა ნაშრომებს.

¹ В. К. Ч а л о я н, История армянской философии. 1959, гл. 316.

როგორ იყენებს ანტონი ჭულაეცის ნაშრომს? ამ ნაშრომიდან აღებულია უმთავრესად „ანალიტიკაში“ და „ტოპიკაში“ გადმოცემული ცოდნა, რადგან იგი არ არის დამასკელის ნაშრომში. ზოგან ანტონი სიტყვასიტყვით მისდევს ჭულაეცის, მაგ., 70-ე, 72-ე და 73-ე თავებში. ზოგან აზრი დაცულია, მაგრამ შემოკლებული ან გავრცობილი. ხშირად ჩართულია სხვა ავტორთა თხზულებები. ჭულაეცის მიერ მოყვანილი მაგალითები შეცვლილია სხვებით. აღსანიშნავია ტერმინთა სხვაობა.

როგორია სვ. ჭულაეცის წიგნის ქართული თარგმანის ხარისხი? აქ უნდა ვენდოთ ილია აბულაძეს, რომელსაც შეუდარებია ყაითმაზაშვილის თარგმანი სვ. ჭულაეცის დიალექტიკის სომხურ ორიგინალთან. ილია აბულაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „როგორც დედანთან დაპირისპირებამ მიჩვენა, თარგმანი ზედმიწევნითია, თითქმის სიტყვასიტყვითი. იგი არის რიგიანად შესრულებული მერმინდელი თარგმანი პირველწყაროსი“. ხოლო „სპეკალთან“ შედარებამ გვიჩვენა, რომ „სპეკალის“ ტექსტი რამდენადმე განსხვავებულია.

3. ანტონის ფილოსოფიურ შეხედულებათა ერთ-ერთი ძირითადი წყარო პ რ ო კ ლ ე და პ ე ტ რ ი წ ი ა. „დიდი იგი მოძღვარი, მზე ქართველთა ნათესავისა და გვირგვინი ჩვენ ტომთა თვისთა და დავითიანთა საღმრთო იოანე“ — ამბობს იგი პეტრიწის შესახებ.

4. „სპეკალის“ წყაროს წარმოადგენს აგრეთვე ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ (თ. 134. 137. 138) და მაქსიმე აღმსარებელი (თ. 121, 5).

5. ანტონის „სპეკალის“ ერთ-ერთი წყაროა ლათინთა ფილოსოფოსები „ლათინთა სიბრძნე“ — უმთავრესად ალბერტ დიდის და ავგუსტინეს შრომები (თ. 130. 131. 133. 140). ანტონი არაერთხელ ამბობს: „იტყვის დიდი ალბერდი“ რამდენიმე ადგილას დამოწმებულია ავგუსტინე: „სულსა უკუე აქუს რაოდენობაი, ვითარცა იტყვის ავგუსტინე“ ან: „რამეთუ სხეულსა შინა არცა უდიდესისა არს დიდ და არცა უმცირესისა არს მცირე, ვითარცა იტყვის ავგუსტინე“.

მაგრამ, საიდან მოხვდა „სპეკალში“ ალბერტ დიდის ან ავგუსტინეს აზრები? ამ ავტორთა შრომები ქართულ ენაზე ანტონ პირველის დროს არ არსებობდა. ამასთან, ანტონს დედნებიც რომ ჰქონოდა, საექ-

2 ილ. აბულაძის რეცენზია ავ. როგავას საღისერტაციო ნაშრომზე. ანტონ პირველი, „სპეკალი“, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები, თბ., 1947.

ვოა, რომ მას შესძლებოდა ლათინურ ენაზე დაწერილი ამ ურთულესი ფილოსოფიური თხზულების გამოყენება.

საკითხის ამოხსნას ისევ ანტონი იძლევა: იგი არაერთხელ (თავი 120) მიუთითებს, რომ „ლათინთა სიბრძნე მას უსმენია“. „ლათინთა ფილოსოფოსები“, ქართველ მეცნიერთა ერთობლივი აზრით (კ. კეკელიძე, ა. როგავა, შ. ნ. ნუცუბიძე, გრ. კალანდარიშვილი, თ. კუკავა, ს. ავალიანი და სხვ.), საქართველოში ამ დროს მცხოვრები განათლებული კათოლიკე ბერები იყვნენ, მისიონერები, რომლებიც ანტონს უკითხავდნენ და აცნობებდნენ ლათინურ ენაზე არსებულ ალბერტ დიდის და ავგუსტინეს შრომებს.

ასეთივე გზით არის შესული ანტონის თხზულებაში თომა აქვინელის, იოანე დუნს სკოტის და სენეკას ზოგიერთი აზრი.

6. „სპეკალის“ ერთ-ერთი წყაროა გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისა“. კერძოდ, „სპეკალის“ თავი: „რად არს აზრი ესე იგი განზრახვად“ მომდინარეობს გრიგოლ ნოსელის აღნიშნული თხზულებიდან. რაც სათანადო წარწერითაც დასტურდება: „იტყვასი სანატრელიცა გრიგოლი ნოსელი „კაცისა შესაქმისა“ განმარტებასა შინა 15 თავსა“.

7. „სპეკალის“ ერთ-ერთი წყარო ერმიასის თხზულებაა. მაგრამ იგი არაა წყარო, რომელსაც ანტონი ხშირად მიმართავს. შეიძლება ამ ნაშრომის რთული ენის გამო.

საინტერესოა ანტონის დამოკიდებულება არისტოტელისადმი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „სპეკალში“ ძირითადად არისტოტელის შეხედულებანია გადმოცემული, მაგრამ, რატომღაც, იგი მას არც ერთხელ არ ამკობს ისეთი ეპითეტებით, რომლითაც უხვად არიან შემკობილი სხვა ფილოსოფოსები. მაგალითად, პლატონი, პროკლე, პეტრიწი, დამასკელი.

„სპეკალი“ ანტონის მსოფლმხედველობის ადრეულ პერიოდს ეკუთვნის. მასში სქოლასტიკური აზროვნების მძლავრი გავლენა ჩანს. შემდეგ კი — უფრო გვიან, როცა ანტონმა ლაიბნიც-ვოლფის იდეები აითვისა (რუსეთში ყოფნის დროს), მას უკვე აღარ მოსწონს ის სქოლასტიკური შეხედულებანი, რაც გატარებული იყო თვით „სპეკალში“³.

რაც შეეხება ანტონის „სპეკალში“ არსებულ ტერმინებს, იგი არ ემთხვევა არც ერთი ავტორის ტერმინოლოგიას, რომელთა ნაშრომებშიც ისარგებლა მან, თუ არ ჩავთვლით პეტრიწის ნაშრომს, რომელიც ხშირად სიტყვასიტყვით აქვს გადმოტანილი. ეს შენიშნა

3 სე რ გ ი ა ვ ა ლ ი ა ნ ი, ანტონ პირველი, თბ., 1987.

აღ. ფრანგიშვილმა ანტონის ფსიქოლოგიურ შეხედულებების კვლევის პროცესში.

„სპეკალის“ ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია შეგრძნებების შესახებ, წარმოადგენს ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ და იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ შესაბამისი ადგილების განწერებას. მაგრამ არც ამ შემთხვევაში „სპეკალის“ ტერმინოლოგია არ ემთხვევა ამ ავტორთა ნაწარმოების არც ერთი ქართული თარგმანის ტერმინებს, სახელდობრ, არც ფერემ მცირის, არც არსენ იყალთოელის და არც იოანე პეტრიწის თარგმანებში გამოყენებულ ტერმინებს. ანტონი ძირითადად საკუთარი ტერმინებით გადმოგვცემს ნემესიოს ემესელისა და იოანე დამასკელის ნაწარმოებებს⁴.

იგივე უნდა ითქვას სხვა ავტორთა ნაშრომების, განსაკუთრებით სვ. ჭულაეცის ტერმინების შესახებ. ამ მხრივ, გამონაკლისია მხოლოდ პეტრაწი.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ანტონ პირველის ამ თხზულების გამოქვეყნება ხელს შეუწყობს მისი მსოფლმხედველობის შემდგომ დადგენას, აგრეთვე იმ ეპოქის ქართული სააზროვნო ვითარების შესწავლას, რომელშიაც ეს ნაშრომი შეიქმნა.

ანტონ პირველის „სპეკალის“ გამოცემა ანტონის გარდაცვალებიდან ორასი წლის აღსანიშნავად შექმნილ (1988) საიუბილეო კომისიაზე გადაწყდა, რისთვისაც საიუბილეო კომისიის ორგანიზატორებს მადლობას მოვახსენებ.

ანტონ პირველის თხზულების ტექსტის უკეთ გაგების მიზნით, საჭიროდ მივიჩნიეთ „სპეკალის“ ენის მოკლე მიმოხილვა. ამიტომ გამოკვლევას ვურთავთ პროფ. ნ. კოტინოვის ნარკვევს: „სპეკალის ენისათვის“.

ძველი ქართული ორთოგრაფიისათვის დამხმარე ნიშნები კ. კ, მ, ძ და ზ შეცვლილია თანამედროვე ენის ნიშნების მიხედვით. გახსნილია ქარაგმები.

გ. დედაბრიშვილი

⁴ აღ. ფრანგიშვილი, ნარკვევები, გვ. 266.

„სპეპალის“ ენისათვის

ანტონ ბაგრატიონისა და მისი მიმდევრების თხზულებათა ენა განეკუთვნება საშუალო სამწერლობო ქართულის განვითარების უკანასკნელ მიკროპერიოდს — XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. ეს იყო ის პერიოდი, როდესაც სალიტერატურო ქართული მაქსიმალურად დასცილდა საერთო-სახალხო ენას და არაბუნებრივი გზით წარიმართა.

ანტონმა და მისმა მიმდევრებმა დააკანონეს „ძველი ქართულის თავისებური სუროგატი, ენა დვლარჭნილი, რათელ წინადადებათა მოტრფიალე, მიმღეობებით მდიდარი, ზმნებით ღარიბი, გასაგებად ძნელი“¹.

თავისი „ქართული ღრამმატიკის“ პირველ რედაქციას (1753 წ.) მხითარ სებასტიელის გრამატიკისდა კვალად, ანტონმა დაუროთ თეორიული ტრაქტატი სალიტერატურო ენაში სამი განსხვავებული სტილის შესახებ, რომლის მიხედვითაც, პირველი ტიპის ნაწერები ყველასათვის ადვილად გასაგებია, ასეთია „სვნაქსარისა და მოთხრობათა ენა“; მეორე სტილს განეკუთვნება საღვთო წერილის ენა, ხოლო მესამე სტილით ნაწერი მხოლოდ მეცნიერთათვის არის გასაგები და მისაწვდომი. ეს ტრაქტატი ანტონმა აღარ შეიტანა „ღრამმატიკის“ მეორე რედაქციაში, რომელიც დაწერა 1767 წელს, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ. ნაირსტილოვან სალიტერატურო ენას მიმართავედა ჯერ კიდევ სულხან-საბა. მისი „სიბრძნე სიცრუისა“ და „მოგზაურობა ევროპაში“ დაწერილია ცოცხალ ხალხურ მეტყველებაზე დაფუძნებული, სადა სტილით, ხოლო თხზულებაში „სწავლანი და ქადაგებანი“ იგი მიმართავს სასულიერო მწერლობისათვის დამახასიათებელ და მასთან მიახლოებულ წერითს მეტყველებას². იგივე საბა „სიტ-

¹ ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დასასიათება: ქებულ, ტ. I, 1950, გვ. 019.

² ი. გიგინეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის: „სულხან-საბა ორბელიანი“, საიუბილეო კრებული, თბ., 1959, გვ. 33.

ჯვის კონაში“ გარკვეულად მიუთითებს „სამღვდელო“ და „მსოფლიური“ სიტყვების შესახებ, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ იგი ორ განსხვავებულ სტილს აღიარებდა ქართულ სალიტერატურო ენაში³. ნაირსტილოვანი მეტყველებაა დადასტურებული აგრეთვე ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვაშიც“.

თუმცა ანტონი თეორიულად მოითხოვდა სამი განსხვავებული სტილის წერიტი მეტყველების დანერგვას, მაგრამ პრაქტიკულად იგი მხოლოდ მესამე ტიპის მაღალფარდოვან, ხელოვნურად გააჩქარებულ სტილს მიმართავდა და თავისი ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლებისაგანაც მოითხოვდა ასეთივე სტილით წერას: ყოველი თხზულების ენა, რომლის გადაწერა-გადამუშავება ხდებოდა ანტონის სალიტერატურო სკოლაში, უნდა დამორჩილებოდა მის მიერ მიღებულ და დაკანონებულ ორთოგრაფიულსა თუ გრამატიკულ ნორმებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტონმა ე. წ. „სამი სტილის“ შესახებ მსჯელობა აღარ შეიტანა „ქართული ღრამმატიკის“ მეორე რედაქციაში. „ანტონმა ეს გააკეთა სრულიად შეგნებულად და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ძალაში დაეტოვებინა სამი სტილის თეორიის სკოლასტიკური, ძველი, მხითარისეული გაგება და არაფერი ეთქვა ამავე თეორიის ლომონოსოვისეულ გაგებაზე, რადგანაც ამ უკანასკნელს არა მარტო დასაშვებად მიაჩნდა სალიტერატურო ენაში სამი სტილის არსებობა, არამედ თავის „Рсссийкая грамматика“-ში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იძლეოდა იმის წესებსა და რეკომენდაციებს, როგორი სტილისტიკური ხერხები უნდა იყოს ხმარებული თითოეული სტილით წერისას ლიტერატურულ ნაწარმოებში⁴.

რას ემყარებოდა ანტონ კათალიკოსისა და მისი მიმდევრების თხზულებათა ენა; საიდან, იღებს დასაბამს მათი ფსევდოარქაული სტილი? დამანა მელაქიშვილი აღნიშნავს, რომ ანტონმა და მისმა მიმდევრებმა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში აღადგინეს და დაამკვიდრეს XII—XIII საუკუნეების ელინოფილური მიმართულება. ისინი „ახდენდნენ ხელოვნურად და ფორმალურად გადმოწერგვას და მიბაძვას XI—XII სს. მეცნიერული ენისას“⁵.

³ იქვე, გვ. 41—42.

⁴ ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1979, გვ. 236—237.

⁵ დ. მელიქიშვილი, დასკვნა-დასაბუთებასთან დაკავშირებული ტერმინ-

ენისა და სტილის ხელოვნურობის მიუხედავად, ანტონ კათალიკოსი უაღრესად დიდი ფიგურაა ქართული მეცნიერული აზრის განვითარების ისტორიაში, კერძოდ კი, ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიის სფეროში. მან შექმნა პირველი ქართული მეცნიერული გრამატიკა, შეადგინა და დაამკვიდრა ქართული გრამატიკული ტერმინოლოგია⁶. მის მიერაა შემოღებული და დაფუძნებული ისეთი ძირეული გრამატიკული ტერმინები, როგორცაა: სახელი, ნაცუალსახელი, ბრუნვა, რიცხვ, ზმნა, უღლებება, მიმღებობა, თანდებული, ზმნიზედა, კავშირი, შორისდებული, მარცხალი; ზმნის დრო, ზმნის პირი; ბრუნვათა სახელწოდებანი: წრფელობითი, ნათესავობითი, მიცემითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, წოდებითი; აგრეთვე, მრავლობითი და მხოლოდობითი რიცხვები და მრავალი სხვა. მან პირველმა შენიშნა და გარკვევით მიუთითა მოთხრობითი ბრუნვის სპეციფიკურობაზე ქართულ ენაში, პირველად მოახდინა ქართულ ბგერათა კლასიფიკაცია, შეადგინა სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღლების პარადიგმები, შესანიშნავად გაერკვა ქართული წინადადების სინტაქსურ სტრუქტურაში.

„სპეკალი“ ანტონ ბაგრატიონის კომპილაციური ხასიათის ფილოსოფიური თხზულებაა. ავტორისავე ხელით დათარიღებულია 1751—52 წლებით. იგი დაიწერა „ქართული ღრამატიკის“ I რედაქციის შექმნამდე ორი წლით ადრე, ე. ი. მანამდე, ვიდრე იგი ჩამოაყალიბებდა თავის თეორიულ ტრაქტატს ნაირსტილოვანი სალიტერატურო ენის შესახებ. როგორც მანამდე შექმნილი ყველა ორიგინალური თუ თარგმნილი თხზულება, ისე „სპეკალიც“ დაწერილია ფსევდოარქაული, ხელოვნურად გაარქაულებული, მაღალფარდოვანი სტილით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეცნიერს იმთავითვე ჰქონდა შემუშავებული ამგვარი სტილი და ბოლომდე ერთგული დაჩა თავისი ენათმეცნიერული პრინციპებისა.

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ანტონ კათალიკოსმა თავის უფლებებში აღადგინა და თვითონვე გამოიყენა სალიტერატურო ენაში უკვე ხმარებიდან გამოსული ძველი ქართული გრაფემები: *ჳ*, *ჲ*, *ჳ*, *ჴ*, *ჵ*. გარდა ამისა, შემოიღო და დაამკვიდრა სიბრჯგუის ნიშანი (A) უმარ-

ნოლოგია ძველ ქართულში: „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1987, I, გვ. 42.

⁶ ალ. ფოცხიშვილი, პოლემიკა ანტონ ბაგრატიონის გარშემო, თბ., 1990, გვ. 36.

ცვლო უ-სათვის, აგრეთვე არაქართული ძ და გ (ირაციონალური) ბგერის ნიშანი, როგორც თანხმოვანთა გასაყარი⁷.

როგორია „სპეკალის“ ენა და სტილი.

I. ორთობრაფია

„სპეკალში“ გამოყენებულია ყველა გრაფიკული ნიშანი, რომელიც აბასიათებს ანტონის თხზულებათა ორთოგრაფიას, გარდა თანხმოვანთ-გასაყარი გ ნიშნისა*. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვაგვარია მათი ხმარების სიხშირე, მომდევნო პერიოდის ძეგლებთან შედარებით; ამასთან, სხვაობას გვიჩვენებს ფუნქციის თვალსაზრისითაც: აქაულ გრაფიკათა გამოყენების წესები ყველა შემთხვევაში არ ემთხვევა ძველ ქართულს, სახელდობრ, — მ უმეტეს შემთხვევაში იხმარება 3 თანხმოვნის ბაღლად, იშვიათად კი — ე ხმოვნის შესატყვისად: ხოლო თუ სადამე თქვა: მე, რაივეცა არს ბრძენთა: გვ. 315.

მაშინ მიმგებისდა ძალ, რათა ნაცვალ-სცეს: მე ანუ არა: გვ. 242. რამეთუ მე არს წარტქმამ და არა უკუთქმამ: გვ. 240.

იშრუსალიმისა: გვ. 119.

ნაჭმთი უკვე და მორჭი ესე არს ესე: გვ. 111.

ვ და ჯ რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებას არ ავლენს ძველ ქართულთან მიმართებით. ისინი გვხვდება ყველა იმ შემთხვევაში, როგორც ძველ ქართულ ტექსტებში: ვითარ იგი თქუა კვრსოჲან: გვ. 8.

კორონა გვრგვნსა ეწოდების ატიკურთა კმათაგან: გვ. 10.

იენა რაჲ მზემან აიდიოსა შორის დამსკვალულმან თვსთა მონაბრწყინთაგან ნათელთა აღავსო სხვა: გვ. 9.

კარი უმთავრესად ძველქართული ფუნქციით გამოიყენება: და სი-კშოსადმი და სოფლურებრ ნაძნობნი არიტორნა: გვ. 3.

ორფერკობა, მკცოვანებად... კვივნობაჲ: გვ. 23.

ხოლო განზრახვასა ზედა დაიცვის მექსიერობაჲ და მაშინ გვართო მათ განზრახვასა განუყოფს და დართავს: გვ. 349.

უმარცვლო უ უმეტეს შემთხვევაში გვხვდება ბრჭგუს (Λ) ნიშნის გარეშე, ზოგჯერ კი მას ვ ენაცვლება:

7 ა. შანიძე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964, გვ. 9—17.

* მაგალითები მოგვყავს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A—1743 ხელნაწერის მიხედვით.

განუჯტმთელნი//განუჯუეთელთადმი: გვ. 17.

განუუნა იგინი ურთიერთარს: გვ. 20.

უპირველესნი იყუნენ ნათესავად: გვ. 14.

ვითარ ისწავე ერთისა გუამისა, რომელი იყო და არს მარად მყოფა შინა ბუნებასა: გვ. 8.

შემთხვევაა//შემთხუევაა: გვ. 47.

ქ ასონიშანი გამოიყენება მხოლოდ ბერძნული წარმოშობის სიტყვებში: ფილოსოფოსი, ეპიტაფია, ეპიფანია, მორფი, სტერა, ფისიკა, მეთეფისიკა:

იტყვის ფილოსოფოსი მიზეზოვნად წარმოყენებულსა გვამოვნებასა: გვ. 41.

პროკლე ფილოსოფოსსავე იტყვის: გვ. 42.

ესე არიან ესე ვითარ, რეცა ეპიფანია და ღრამში... არცა მებრ ეპიფანიასა: გვ. 102.

რომლისაგან ექსისა და დიათესი, სიმრთელე, ტკივილი და სიმართლე და მორფი: გვ. 111.

განყოფაა მხედველობითისა ფილოსოფიასი არს ფისიკად და ლოლიკად: გვ. 234.

გვაქვს ერთი შემთხვევა მ-ს გამოყენებისა, „პოა“ შორისდებულის ფუნქციით:

ვუწყით მეფობასა შენსა. ჰ კეთილ მსახურო; გვ. 360.

II. სახელთა ბრუნება

ყურადღებას იქცევს არქაული წრფელობითი, უმთავრესად შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციით:

რომელიმე კაცი არს ნერგ, არავინ ნერგი არს კაც: გვ. 184.

ხოლო თქვას ვინ: „კაცი არს თეთრ“: გვ. 185.

აპა უკვე სქიმადცა წინდადებულ: გვ. 16.

რამეთუ არა არიან ნათესავ და განუჯუეთელ: გვ. 17.

უმეტეს შემთხვევაში, საკუთარი სახელები მოთხრობით ბრუნვაში ბრუნვის ნიშანს არ დაირთავენ, როგორც ძველ ქართულშია:

ვითარ იგი თქუა პვროსომან, ღმრთივთა ნაკვერცხალთამან ისაია: გვ. 8.

რომელთა ზედა ბრძანა პლატონ: გვ. 17.

განხილვაა ოთხ გვარად განთვისებისა გვასწავა პორფირი; გვ. 23.

გვაქვს ერთი შემთხვევა ვითარებითი ბრუნვის არქაული ფორმისა — „ადგილ“: რამეთუ არა იცვალეზის ს ს ვ ა დ ა დ გ ი ლ დ: გვ. 60.

„გამო“ თანდებულისანი ფორმა ერთ შემთხვევაში დაირთავს მოთხრობითის „მან“ ნიშანს:

თქვა არისტოტელისგამომან სიბრძნემან: ადგილ არსო საზღვრისაგან: გვ. 254.

სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებისას შეგვხვდა „ებ“ და „თა“ სუფიქსების ერთობლივი გამოყენების შემთხვევა, რომელიც დაშახასიათებელია აღორძინების ეპოქის სალიტერატურო ენისათვის:

ვითარ სრული შედგა ნ ა წ ი ლ ე ბ თ ა გ ა ნ : გვ. 55.

დადასტურდა ერთი შემთხვევა -თ(ი) სუფიქსიანი ფორმის გამოყენებისა:

და კვალად სულითსა ცასა-ცაჲ გონებათი, რომელ არს ნამდვილ მყოფი.

უკანასკნელი ორი შემთხვევა ნიმუშია ცოცხალი სალაპარაკო ენის გავლენისა, რაც სავსებით ბუნებრივია.

III. ზმნა

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ „სპეკალის“ ენაში ჯერ კიდევ იშვიათად გვხვდება ანტონის მიერ შემოღებული და შემდგომში ფართოდ დანერგილი, ზმნის ხელოვნური „ჰაემეტური“ ფორმები. ცნობილია, რომ „ჰაემეტურობა“ ანტონმა დაამკვიდრა აგრეთვე საწყისებში და მიმღობებშიც; აქედან კი — არსებითსა და ზედსართავ სახელებში. როგორც ჩანს, 50-იანი წლების დასაწყისში ეს მოვლენა ჯერ კიდევ არ იყო მძლავრად ფეხმოკიდებული მის თხზულებებში. „სპეკალში“ სულ ორიოდ შემთხვევა გვაქვს ჰ თავსართის ზედმეტობისა ზმნებში და მხოლოდ ერთხელ გვხვდება ეს ზედმეტი ჰ საწყისში:

„ჰკამხ, რათა მებრ ჩვენებულისა ჰყოს: გვ. 208.

შდრ. კამხ: გვ. 310.

გარნა ჰკამხ ვიღრემე შეგულისსიტყვსა გარემიქცეად განწვალებისაებრ გარშესმენა: გვ. 206.

აწ სადამე მაშინ არს ჰრთვაჲ გვართა ზედა ჰაზრისა მიერ. გვ. 344.

ანტონი იცავს სახელობითში დანშული პირდაპირი ობიექტის -ენ (ნ) სუფიქსით აღნიშვნის ძველ ქართულ წესს:

პირველად გარეგნითა გრძნობითთა შინაგანითნი გ რ ძ ნ ო ბ ა ნ ი მ ო ვ ი კ ს ე ნ ე ნ ი თ : გვ. 340.

რამეთუ პირველმან კეთილობამან მან აკეთილნა მის ქვე-
წენი მის მიერ მრავალსახედ: გვ. 13.

მეტად საინტერესოა ანტონის მიერ უძველესი ქართულისათვის ნი-
შანდობლივი, ე. წ. „ინკლუზიური“ ფორმებაა გამოყენების სიხშირე.
„სპეკალში“:

ვინაცა სიცხადე მ ა ქ უ ს ჩვენ: გვ. 305.

მაგრა მ ა ც თ უ ნ ე ბ ს ჩვენ და არა ეგრეთ არს: გვ. 292.

მაშინ უმტკიცოება ამისა გ ა მ ო მ ი ჩ ნ დ ე ს ჩვენ: გვ. 220.

გვხვდება ორიოდე შემთხვევა საშუალი ქართულისათვის ნიშან-
დობლივი -სთ ნიშანთკომპლექსისა:

საშუალ ადგილნი ე წ ო ლ ო ს თ: გვ. 252.

უ კ ვ ი რ ს თ, მაგრა საკმარა თქმად: გვ. 211.

ფართოდაა გამოყენებული ძველი ქართულისთვის დამახასიათე-
ბელი და XVIII საუკუნის სალიტერატურო ენისათვის უკვე უცხო;
ზმნური მწკრივები: აწმყოს ხოლმეობითი, უწყვეტლის ხოლმეობი-
თი, II ხოლმეობითი, I ბრძანებითი და II ბრძანებითი.

ყველა ეს ფორმა არქაულ ელფერს აძლევს ანტონისეულ მწიგ-
ნობრულ ენას:

რომლისა შორის კერძოენი ყოვლადისა რაჲსამენი არა აღრაცხილ
არიედ (აწმყოს ხოლმ.): გვ. 305.

რომელნი ესეგვარსა შფოთსა და ზრუნვასა არშეყოფილ ა რ ი ე დ.
(აწმყოს ხოლმეობითი): გვ. 348.

ეგზომ ჰგიეს, რაზომცა ი მ ჭ ი რ ვ ო ლ ი ს მის შორის მოქმედისა
ძალისა მიერ (უწყვეტელის ხოლმეობითი): გვ. 325.

მრავალნი კერძობითნი წინადადებანი შე მ ო ი ყ ვ ა ნ ე ბ ო -
ღ ი ა ნ კიდურმდგომობად (უწყვეტელის ხოლმეობითი): გვ. 218.

მ ი ი ღ ი ს რაჲ სხვაობაჲ ვითარ სახე (II ხოლმეობითი): გვ. 27.

რათა თუ სადამე შ თ ა უ გ დ ი ს მათ (II ხოლმეობითი): გვ. 353.

ხოლო ვინამთჲან ესე ერთ, მაშა, ვითარი არს კაცი, ი კ ი თ ხ ვ ე -
ბ ო ლ ე დ (I ბრძანებითი): გვ. 22.

და სხვათა თანა ესენიცა მეჭკვრეტმან ი ხ ი ლ ე ნ (II ბრძანებითი):
გვ. 287.

განყოფაჲ სხვაობისა და თვისისა ი ყ ა ვ ნ სხვაობისა შესმენილება
(II ბრძანებითი): გვ. 22.

ხშირად გვხვდება ძველი ქართულისათვის უაღრესად სპეციფი-
კური წარმოება „ცროჲს“ ტიპისა, რაც, უპიკველად, სავანგებოდაა ანჲ

ტონის მიერ ხელოვნურად შემოტანილი და დანერგული ტექსტის არ-
ქაული ელფერის შესაქმნელად. მოვიყვანო რამდენიმე ნიმუშს:

ვითარმედ ვკგონებ ანუ ვ ი ჳ ნ ო ჯ, ანუ თუ ჰგავს, ვითარმედ ეგ-
რეთ არს: გვ. 316.

ღღეს ც რ ო ჯ ს აქა, ხოლო არა ც რ ო ჯ ს ეთიოპიას: გვ. 310.

ხოლო წართქმითი მღევარი არა მ ა რ თ ლ ო ჯ ს: გვ. 280.

ვითარ იგი ჩამომგდების მექმი წ ა ღ ნ ო ო ღ ე ს, რათა მტყიცე
ჰყოს: გვ. 254.

შეინიშნება ერთი, მეტად სპეციფიკური მოვლენა — მეშველი
ზმნის ჩავარდნა წინადადებაში და მისი ფუნქციის დაკისრება სახე-
ლად ნაწილზე. მაგალითად:

რამეთუ ყრმისად ძ ა ლ მუსიკობა, ანუ სხვაჲ რაჲვე სიტყვითი
კელოვნებაჲ და არმოქმედებაჲ, მაგრა სულისა რაჲცა ძ ა ლ, იგივე
შოქმედებაჲ: გვ. 323.

ზმირია „არს“ მეშველი ზმნის გამარტივების შემთხვევები, რაც
უდავოდ ცოცხალი მეტყველებიდან შესულად უნდა შეფასდეს:

ესე კ მ ა ა აწინდელსა სიტყვითსა კელოვნებასა ჩვენსა: გვ. 271.

ს ა უ წ ყ ა ესე მესწავლეთაღმრ, რამეთუ აღმოსაჩენონი ყოველ
ადგილსა შორის არიან: გვ. 227.

ყოველი ანგელოსი უ ს ხ ე უ ლ ო ა, მაშასადამე, არავინ ანგელოსი
კ ა ც ი ა: გვ. 198.

ყოველი მშვინველი არსებაჲ. ყოველი კაცი მ შ ვ ი ნ ვ ე ლ ი ა, მა-
შასადამე, ყოველი კაცი არსებაჲ: გვ. 198.

IV. ფორმაუცვლელი სიტყვები

ფორმაუცვლელი სიტყვებიდან, ანუ უდეტრებიდან, ყურადღებას
იქცევს ზმნაზედების, თანდებულებრსა და ნაწილაკების გამოყენების
სპეციფიკა. ანტონის ენისათვის ნიშანდობლივია რამდენიმე ისეთი ზმნი-
ზედის გამოყენება, რომელიც არაა დამახასიათებელი არც ძველა და
არც საშუალო ქართულის წინა მიკროპერიოდისათვის — აღორძინე-
ბის ხანის სალიტერატურო ენისათვის. ეს ზმნიზედები უმთავრესად
კომპოზიციის გზითაა წარმომდგარი; კომპონენტებაჲ ოღებულისა:
პირველ ნაწილად — ჩვენებითი ნაცვალსახელი, ხოლო მეორე ნაწი-
ლად — სახელის ფუძე ან ვითარებითი ბრუნვის ფორმა. ესენია: ეს-

თა, ესსახედ, ეგსახედ, ესგვარ, ესფერ, ესგვარვე, ეგსახედვე, ეგფერ-
ვე და მისთა:

მერმეცა სენეჟა ე ს თ ა განსაზღვრა იგი: გვ. 330.

სული არს ე ს თ ა: გვ. 329.

ე ს თ ა უკვე განსაზღვრა ნემესიოს: გვ. 329.

ვითარმედ ე ს ს ა ხ ე დ არს ესე: გვ. 352.

ხოლო არსებითი უკვე მოქმედებაჲ ე ს ს ა ხ ე დ, ვითარ სქიმა-
მანცა აღმოაჩინა: გვ. 17.

რამეთუ მოგებითნი ანაგებნი ვითა დაიგდებიან მოქმედებითა,
ე გ ს ა ხ ე დ ვ ე ბადებენ მოქმედებასა: გვ. 358.

...და ე გ ს ა ხ ე დ ვ ე მფრინველნი ბუდეთა: გვ. 345.

და ყოველი მერცხალი ე ს გ ვ ა რ ვ ე იქმს, ვითა მოლაღური: გვ.
346—347.

ხოლო რაჟამს იგი შეგულისსიტყვანი ე ს ფ ე რ მიიქცეოდენ: გვ.
206.

ხოლო წინააღმდეგოდ წინ ჩამოიგდების, ე ს ფ ე რ: არავინ ოქროა
კაცი: გვ. 212.

თანდებულებიდან ყურადღებას იქცევს -მებრ, რომელსაც ან-
ტონი წინდებულის ფუნქციას აკისრებს; რამდენადაც წინდებული
უცხოა ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურისათვის, ამდენად,
აქაც ენის ხელოვნურობისკენ მიმართული ტენდენცია უნდა ვივარაუ-
დოთ. მებრ თანდეთულის პოზიციაში მხოლოდ შემთხვევით შეიძლება
შეგვხვდეს, უმეტესად კი პრეპოზიციაში იმყოფება ნათესაობითში
დასმულ სახელთან:

სახე რაჟსამიმართად ნათესავისა თანა და თვისი არა მ ე ბ რ 'ს ა-
ხ ის ა: გვ. 34.

მ ე ბ რ ა მ ის ა დადგომად და სამდგისა დადგომად: გვ. 107.

ხოლო მ ე ბ რ ს ხ ე უ ლ ის ა ყოველითურთ არა, რამეთუ ურა-
ოდენი არს იგი: გვ. 103 და მ ე ბ რ ა მ ის ა, ვითარ მამაჲ — ძისა მ-
ამა: გვ. 107.

ხოლო საუწყე ესე, ვითარმედ შეხლომაჲ მ ე ბ რ გ ვ ა რ ის ა ვი-
სწავეთ: გვ. 114.

და ესეცა არგანშორებადსა შორის თან გავლის ა ღ ჩ ე ნ ი ლ-
ბ ის ა მ ე ბ რ: გვ. 20.

ნაწილაკებიდან ყურადღებას იქცევს: — მცა, -ა და -ო ნაწილა-
კები.

-მცა ნაწილაკი „სპეკალში“ რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებას არ გვიჩვენებს, საშუალო ქართულისაგან განსხვავებით. ისევე, როგორც მთელ საშუალო ქართულში, იგი გამოყენებულია უმთავრესად კავშირებითი კილოს ფორმებთან. ძლიერ იშვიათია მისი ძველქართული ფუნქციით ხმარების შემთხვევებიც.

-მცა ნაწილაკი კავშირებითი კილოს ფორმასთან:

ხოლო თუმცა არა ი ც ი ნ ო დ ე ს მ ც ა იგი ვინმე, საკუთრივე არს მისდა: გვ. 23.

ი ყ ო ს მ ც ა აღვსებულ ზესთ უსრულესისა: გვ. 55.

რა სული ი ზ რ დ ე ბ ო დ ე ს მ ც ა სხეულიანითა საზრდელითა: გვ. 323.

არა ვითარ დამთხვევით უსიტყვადმცა შ ე მ ტ კ ი ც დ ე ს (იგი): გვ. 326.

-მცა ნაწილაკი ძველქართული ფუნქციით:

ხოლო უკეთუ არა თანა ეღვამცა სიტყვიერთა და მოკვდავსა მშვინველის; გვ. 21.

რამეთუ გარემეცულთა ნათესავისა მიერ არშესაძლო მათდა, რ ა თ ა მ ც ა გარე შ ე ი ც ვ ე ს ნათესავი მათი: გვ. 28.

კითხვითი -ა ნაწილაკის გამოყენება აშკარა არქაიზმია ანტონის თხზულებებში. რამდენადაც საშუალო ქართულში იგი არ იცის:

ნუუმე ესრეთ არა სიცხადე არსა შინაგანით შესმენაჲ კაცისა? გვ. 22.

ნუუმე ვარსკულავთმრიცხველობაჲ თუმცა საკუთარ კაცისა არს, სრული სხვაობა არსა? გვ. 20.

სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის გამოყენება კი ცოცხალ მეტყველებასთან აახლოვებს ანტონის თხზულების ენას, რაც სრულიად კანონზომიერი მოვლენაა ყოველგვარი სახის წერითი მეტყველებისათვის.

რამეთუ იგი იტყვის, ყოველი ს უ ლ ი ო არს თვით მოძრავ, მერ-მეცა მანვე თქვა: არავის ს უ ლ ი ო არს თვით მოძრავ და ამან: რომელიმე ს უ ლ ი ო არს თვით მოძრავ: გვ. 159.

იტყვის: მ რ ა ვ ლ ი თ ა ო მ რ ა ვ ა ლ გ ზ ის გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ს ო იგი უძველესთაგან: გვ. 225.

V. სიტყვაწარმოება

სიტყვაწარმოება ის სფეროა ანტონის თხზულებათა ენაში და, კერძოდ, „სპეკალში“, რომელშიც ყველაზე რელიეფურად გამოვლინ-

და ანტონის ენის ხელოვნურობა და ფსევდოარქაიზაციის ტენდენცია. ეს ფაქტი უმთავრესად განაპირობა ფილოსოფიურ ტერმინთა შექმნის აუცილებლობამ. რამდენადაც ანტონი იყო პირველი ფილოსოფოსი, რომელმაც XII—XVIII საუკუნეებში არსებული ე. წ. პეტრიწონული სკოლის მოღვაწეობიდან დაახლოებით ხუთი საუკუნის შემდეგ ქართული ფილოსოფიური აზროვნების აღორძინება სწორედ პეტრიწონული სკოლის ტრადიციებზე დაყრდნობით განახორციელა. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ თავისი კომპილაციური ფილოსოფიური თხზულებისათვის ფილოსოფიურ ტერმინთა შესაქმნელად ანტონი, უპირველესად ყოვლისა, პეტრიწის ნაშრომებს მიმართავს. მისი სიტყვით, პეტრიწი არის „დიდი იგი მოძღვარი, მზე ქართველთა ნათესავისა და გვირგვინი ჩვენ ტომთა თვისთა და დავითიანთა საღმრთოიანი“.

გ. დედაბრიშვილი თავის გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ ანტონს „სპეკალში“ პეტრიწის ფილოსოფიური ტერმინები ხშირად სიტყვასიტყვით აქვს გამოყენებული, ეს მომენტი შენიშნული ჰქონდა ალ. ფრანგიშვილსაც ანტონის ფსიქოლოგიური შეხედულებების კვლევის პროცესში (იხ. მისი „ანტონ პირველის თხზულება „სპეკალი“, გვ. 149).

სიტყვაწარმოების ხელოვნურ წესებს ჟერ კიდევ პეტრიწი მიმართავდა თავის ორიგინალურ თუ ნათარგმნ ფილოსოფიურ თხზულებებში. დ. მელიქიშვილი წერს:

„იოანე პეტრიწი ფართო გასაქანს აძლევს ქართული სიტყვაწარმოების კანონებს, დამკვიდრებული წესებისა და ყალიბების მიხედვით, მათი განზოგადების გზით ქმნის ახალ სიტყვა-ტერმინებს“⁸, „თავისი ფილოსოფიური ნაშრომებისათვის იოანე პეტრიწმა გადაწყვიტა შეექმნა სპეციალური ფილოსოფიური მაღალი სტილი — მესხუე მდაბიონთაგან“⁹.

ანტონი „სპეკალში“ ხშირად მიმართავს პეტრიწის მიერ შემოღებულ ისეთ ფილოსოფიურ ტერმინებს, როგორცაა: ად — არსი, მყოფი, არსებული;

აობაჲ — არსობა, არსებობა;

მათ საპირისპიროლ: არაჲ, არაობაჲ — არარსებობა.

მიდმოგონება — გონებითი მიმოხილვა.

თანშესიტყვა — სილოგიზმის მნიშვნელობით და მისთანანი.

⁸ დ. მელიქიშვილი, ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები: „მნათობი“, 1983, № 2, გვ. 168.

⁹ იქვე, გვ. 166.

მაგრამ გასაოცარია ის დიდი სითამამე და გამომგონებლობა, რასაც მიმართავს ანტონი ახალი ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნისას, თარგმნის პროცესში და არა მარტო ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნისას. ქართული ენის სადერეფაციო საშუალებების გამოყენებით იგი ქმნის სიტყვა-ტერმინებს, რომელთა უმრავლესობა უცხოა, როგორც ძველი, ისე საშუალო და, მით უმეტეს, თანამედროვე სალიტერატურო ქართულისთვის, ესენია: უ- თავსართით ნაწარმოები ნეგატიური მნიშვნელობის სიტყვები: უპირველოდ, უოცნოა, უიგიოა, უოქიმოა, უმდგოა, უთნობაა, უგანთვისებითი:

ვინადაცა ერქუმის მას უზიარებელი, ვითარმედ უპირველოა: გვ. 41.

რამეთუ ესე მის უოცნოსა ოდენ ერთისაა არს თვისებაა: გვ. 41.

გარნა უიგიოა იგი სახილავსა შინა სადამე, მდგარსა... გვ. 56.
ვითარმედ სხეულიმოკუდადელია უმდგოა არსო: გვ. 68.

და დაიხსნას უთნობაა (ბოროტი): გვ. 230.

აქვე უნდა განვიხილოთ უფროობითი ხარისხის ფორმები, ნაწარმოები ფორმაუცვლელი სიტყვებისაგან და ზედსართავებისაგან სა-ო თავსართ-ბოლოსართით:

უპირველესში იყუნენ ნათესავად და უქვემოესნი სახედ. გვ. 14.

ამოსდა უზემოეს სხვისა ნათესავისა ყოფასა არ მეცნიერ სადამე არა ვინა: გვ. 13.

რამეთუ რადაცა აქუს უსაყოველთაოესსა, რომელ არს უზემოესნი თანმიცემაა კერძოსა თვისისა, რომელ არს უქვემოესნი: გვ. 49.

ფართოდაა გავრცელებული მიმღეობები „მყოა“, და „მდგოა“, (//მდგოა), რომლებიც გვხვდება ცალკეც და რთული სიტყვის კომპონენტადაც:

მაგრა არა ჭეშმარიტ არიან მყოა: გვ. 293.

სამარად მყოა სადამე არს სახეთა შორის უსრულესი იგი სხვაობაა: გვ. 20.

მაგრა სადაობამან არა აღმოაჩინა ადგილი, არამედ ადგილსა შინა მდგოა რადაც: გვ. 119.

რომელნი არიან მართლიად კიდურთა დამადგონი: გვ. 213.

არიან მართლად და სწორად დამადგონი კიდურთანი: გვ. 202.

და არს უადრეს გონებისა ხედვისაგან სარწმუნოებითისა შე ს ა
პ ყ რ ი ა: გვ. 238.

და არცა ერთი ამათ გა მო ა უკვე არსა, ესთა: „შენ კაცი ხარ“
გვ. 194.

გვხვდება აგრეთვე სა-; ხელოვნურად გაორკეცებული მმ-, მა-,
მე-, მე-ე; აგრეთვე ნა- აფიქსებით ნაწარმოები მიმღებები:

ესთა კმა არს ჩვენდა აწ ს ა ს ი ტ ყ ვ ე ლ ს ა შორის წინ დადებუ-
ლისა გვარისა: გვ. 49.

ვისდამცა იტრფობს უ კ უ ნ-ს ა ქ ც ი და საწყური არსთა წადი-
ლისა: გვ. 57.

კვალად დადებამ სამდებაროხსა დადებამ, მებრ ამისა დადგომამ
და ს ა მ დ გ ი ს ა: გვ. 107.

სული იცნობების სხეულისა ჩვენისა სიცოცხლისა მ მ ნ ი კ ე ბ -
ლ ა დ: გვ. 320.

შემოყვანამ არს, რომელიცა მოქმედებამ რაჲვე მ მ ე ქ მ ი ს ა ვის-
განმე შემოყვანებული იქმნების ვნებულისადმი: გვ. 125.

მარტივ არს იგი საშუალ არარაობამ მ მ ე ქ მ ი ს ა და ნათქმისა,
ვითარ ბადვამ და შობამ: გვ. 126.

ხოლო ჩვენ ვინათგან შეწვევისა ყოვლად წმიდისა და არსთა
მ ა მ კ ი ს ა სულისა მადლითა, ვინათგან გარდავდევით, თუ რამ არს
ჭილოსოფიამ: გვ. 239.

რამეთუ მსწრაფლ მიმღე არიან გულისკმისა ყოველთა სამეც-
ნოთა თვისთა: გვ. 191.

და იგი მინათესი და შ ი ნ ა მ ბ რ წ ყ ი ნ ი არს მიზეზი თათოვეუ-
ლებისა: გვ. 71.

ესენი არა საკუთრად სიტყვიერ მე ე კ უ დ ი ს ა მისა მებრ იმოქ-
მედებთან: გვ. 148.

ვითარმედ ყოველი სრული ტრფის სადამე მ ა ს რ უ ლ ი ს ა დე
გვ. 57.

და აიდიონთა მე ქ მ ს ა მას შესტრფის უადრეს სიტყვსა სათვსო-
სა ბუნებისა: გვ. 7.

იხილე მე ქ რ ე ტ მ ა ნ: გვ. 48.

რაჲმს მ მ ე ქ მ ი და ნ ა ქ მ ი განირჩიოს: გვ. 127.

გესმამ, რამეთუ ყოველი შობამ ნიშნავს წარმოობასა ნ ა შ ვ ი -
ს ა ს ა: გვ. 54.

გვხვდება ორმაგი უუ- თავსართით ნაწარმოები ხელოვნური ფორ-
მები მიმღობისა, რომლებიც მომდევნო პერიოდის მოღვაწეთა თხზუ-
ლებებში ფართოდ გამოიყენება:

უ უ თ ქ ე ა ს ა შინა კეთილობასა მზესა თვით ერთსა და ზესთ
უოცნოსა, დამსჭვალულ არიან კავშირნი განგებისანი: გვ. 90.

ხოლო რომელთაცა იწარმოეს და წარმოდგეს თვითებად, თან-
წარმოდგომილ — მათ ყოველთად უ უ ქ მ ო იგივე არსებაჲ: გვ. 92.

VI. სინტაქსი

სინტაქსური თავისებურებებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა
შევნიშნოთ რთული და ზერთული წინადადებების ფართო გამოყენე-
ბა, რასაც ხაზგასმით აღნიშნავდა ა. ჩიქობავა. წინადადების სირთულეს,
თანწყობისა და ქვეწყობის კონსტრუქციების გარდა, ქმნის ძველქარ-
თული ინფინიტიური კონსტრუქციის სიხშირე, ასევე, ქართული ენის
სინტაქსური სტრუქტურისათვის უჩვეულო მიმღობური კონსტრუქ-
ციის ხშირი გამოყენება შემასმენლის შემადგენლის ნაცვლად. სწო-
რედ ეს უკანასკნელი ანიჭებს ანტონისეულ წინადადებას უკიდურესი
ხელოვნურობისა და არაბუნებრიობის ელფერს. შეინიშნება აშკარა
სწრაფვა ზმნა-შემასმენლის უკუგდებისა და მის ნაცვლად ინფინი-
ტიური და მიმღობური კონსტრუქციების გამოყენების მძლავრი ტენ-
დენცია, ახრის ხელოვნურად გაბუნდოვნებისაკენ, რაც, შეიძლება ით-
ქვას, მიღწეულია კიდევც. ვნახოთ ნიმუშები: მიმღობური კონსტრუქ-
ცია ზმნა-შემასმენლის ბაღლად:

რამეთუ უკუეთუმცა ს ხ ე უ ლ ა რ ს ე ბ ი ს ა ქ ვ ე შ ე შ ე ს -
მ ე ნ ი ლ, მაგრა არა თავით თვისით, არამედ სხვისა შორის, რამეთუ
თვითმყოფად არ შესაძლო მათდა. გვ. 117.

რომლითა დ ა ც უ ლ ც ხ ო ვ ე ლ მ გ რ ძ ნ ო ბ ე ლ ი ხ რ წ ნ ი -
ს ა გ ა ნ: გვ. 338.

ძალიან ხშირად წინადადებას აკლია შედგენილი შემასმენლის
ზმნური ნაწილი — მეშველი ზმნა:

ს ა ჭ ი რ ო , რადცა იგი შესაძლოცა, მაგრა რადვეცა შ ე ს ა ძ ლ ო ,
იგი არა ს ა ჭ ი რ ო : გვ. 217.

ს ა უ წ ყ ე ს ე , რამეთუ 19 გვართა არვისად შესაძლო დართვად
სხვა რადვე და ამისსა სიცხადესა მიმცემენ ჩვენ კანუნნი: გვ. 211.

საკუთრივ გარშესმენად იგი არს, ვითა თქვა არისტოტელმან თანასწორთაგან გარშესმენად, ესე იგი, „ყოველი კაცი მოციინარ“ და „ყოველი მოციინარი კაცი“: გვ. 184.

ხოლო საუწყესე, ვითარმედ შეხლომად მებრ გვარისა. ვისწავეთ: გვ. 114.

ესთა უკვე ხედვად გარშესმენისა: გვ. 182.

რამეთუ შესმენად უპირველეს ქვემდებარისა: გვ. 156.

ინფინიტიური კონსტრუქცია ზმნა-შემასმენლის ნაცვლად: საჭირო უწყებად, ვითარმედ არა სხელულ სამე არს გვარი ვითარებისა: გვ. 117.

ხოლო რაჟამს თქვას, თუ ვინ: „საჭირო კაცისა თეთრო ყოფად, მაშინ ყოველთა მისცეთ განრჩევითი სიტყვად: გვ. 185.

ხოლო მოქმედებითისა ბრუნვებისაებრ შესაძლო განწვალად თვალისაგან და მოქმედებითსა თანა რთვად: გვ. 301.

მაშასადამე, საჭმარ მგრძნობელთა ქონებად იქვის: გვ. 343.

„სპეკალის“ ენის განხილვამ გვიჩვენა, რომ თხზულება დაწერილია ანტონ I-ის მიერ საგანგებოდ შემუშავებულად, ხელოვნურად გართულებული, მაღალფარდოვანი სტილით. ეს სტილი მიიღწევა შემდეგი საშუალებებით: ა) ძველი ქართული ენის ორთოგრაფიისათვის ნიშანდობლივი ძ, კ, ც, ზ გრაფემების გამოყენებით, აგრეთვე ხელოვნურად თავსმოხვეული ფ-ითა და სიბრჭგუის ნიშნებით; ბ) სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღლების სისტემებში ძველქართული წესების აღდგენითა და გამოყენებით; გ) სიტყვაწარმოების საშუალებებით — როგორც დერივაციის, ისე კომპოზიციის გზით — ხელოვნური, ქართული ენის ბუნებისათვის უჩვეულო ფორმების გამოყენებით; დ) წინადადების სტრუქტურაში ქართული წინადადების ზერხემლის — ზმნა-შემასმენლის უკუგდებისა და მის ხაცვლად, ქართული ენის სინტაქსისათვის უჩვეულო, არაბუნებრივი მიმდებარე კონსტრუქციების, აგრეთვე ძველქართული ინფინიტიური კონსტრუქციის ფართო გამოყენებით.

ყოველივე ზემოთქმული მიესადაგება „სპეკალის“ ენას, მაგრამ ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ამ თხზულებაში ჯერ კიდევ სრულად არ გამოვლინებულა ანტონ I-ისა და მისი საშეცნიერო სკოლის მიერ შექმნილი მაღალი სტილი. თუ ამ თვალსაზრისით „სპეკალს“ შევადარებთ 1767 წელს დაწერილ „ქართულ ღრამ-მატიკას“, აშკარა გახდება საგრძნობი სხვაობა მათ შორის; ენის ყველა სტრუქტურაში, განსაკუთრებით კი ორთოგრაფიისა და ზმნის უღ-

ლების სისტემაში, მოვიყვანო რამდენიმე ნიმუშს: 1. თუ „სპეკალში“ უე/ვე ბგერათკომპლექსში უმარცვლო უ უმთავრესად ბრჭგუს ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი, U კი 3 თანხმოვნის ბადალია, 1767 წლის „ქართულ ღრამმატიკაში“ ჩვეულებრივია უმ გრაფემათა კომპლექსი, ხოლო უმარცვლო უ ბრჭგუს ნიშნით (ა) რხმარება. ამასთან, ხშირია თანხმოვანთგასაყარი ჯ გრაფემის ხმარების შემთხვევები, სიტყვის გადატანისას,

2. „სპეკალში“ ხმნის ე. წ. „ჰაემეტური ფორმები“ იშვიათობას წარმოადგენს, „ქართული ღრამმატიკის“ ტექსტში კი ისინი ძლიერ ხშირია თანხმოვანთგასაყარი ჯ გრაფემის ხმარებისას სიტყვებსა და ზოგჯერ სახელებშიც, სახელდობრ: „ვჰსწერ, ვჰსძებნი, ვსჩხტჰჰ, ჰსწყმდენ, ჰრწმენუად, ვჰსჯდები, ვჰსწადნოჲ, ჰსჯელი, მჰსჯელი, განჰსჯილი და მი.ტ.

როგორც ჩანს, ანტონმა თავისი მოღვაწეობის აღრინდელ პერიოდთან შედარებით, თანდათან უფრო გაართულა თავისი თხზულებების სტილი, უფრო მეტი ხელოვნურობა და არაბუნებრიობა შესძინა მას. მიზანი ერთი იყო — მის მიერ და, აგრეთვე, მისი სამეცნიერო სკოლის მიერ შექმნილი, თარგმნილი თუ გადაწერილი თხზულებანი ნაკლებად გასაგები და მისაწვდომი ყოფილიყო ფართო საზოგადოებისათვის. ამგვარი პოზიციის „შედევნი იყო ის, რომ ანტონ ბაგრატიონისა და მისი სკოლის მიერ შექმნილი, თავისთავად მნიშვნელოვანი და დიდძალი მეცნიერული ლიტერატურა პრაქტიკულად უსარგებლოდ დარჩა შემდგომი თაობებისათვის“¹⁰.

6. კოტინოვი

¹⁰ დ. მელიქიშვილი, დასვენა-დასაბუთებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ძველ ქართულში: „მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1987, 1, გვ. 42.

ანტონე პირველი კათალიკოსი

ს კ მ კ ა ლ ი

[1]

წინასიტყვაა წიგნისა ამის, რომლისა წოდებულ „სპეკალი“-ირაკლის მიმართ, ღმრთივბრწყინვალისა მეთისა და ძმისა თესისა, მიწერილისა ანტონის მიერ, საქართველოსა მამათმთავრისა რიტორისა, ხოლო ნათესავმოდგამობით დავითიანისა.

აღიწერა წინასიტყუა ესე წიგნისა „სპეკალისა“ ტიპოთეს მიერ, ყოვლადსამღვლოსა სამთავროსა და გორისა მიტროპოლიტისა.

[2]

რებამად იგალობებოდეთ უმოზეზო მიზეზი მარეზოვანისა, რომლისათვის კმოვანება სიტყუათა არს ჩუენი უოცნოსა მის გვარისადმე უგვაროვსა და ურებამოვსათვის, წინაგანსიტყუა ფილოსოფოსთა და კუალად ატიკელებრივი დალექსვა, ძნიაღობენ მეებნეობა და რიტორთა თხზვა წინაუქმო. არცა განსაზიღთაგანობა ეკამების ერთთა ზესთა მეშეობასა და არცა ნამღვილისანი, და უზადო არდიფრუდობენ, რომლისა მსურავი პლატონ „ფედრონი“ აკადიმიადმი აღსრული, არსთა განმცდელი, სულთა ანალოლოდმი დასდებს და სამობით განსკვრეტს და უამქმელებს თავსა წყაროსა ბაზმაქთასა ერთთასა, და აღდგების ნაკადისამი მეტრფედ საცადისათა, და ერთისა მის მაკრობელისა ერთთა კანთარშანთ უოცნოსა ერთებრიობისა განმსტრობისა ხედვასა დაუდგნობს, რათა არა განიხილოდის უხილავი და უუცნაურდების მეამქმელ-შობად დაცილებადი საკვრვოსა ამის განსკვრეტასა.

ეგუერი საღმრთო პლატონ „პარმენიდი“ იქმნა მომცემ ნაბრწყინთა და უუინდალმეესთა გარდამოცემად და ადრასტირნა, აწრფელაბრძნა ფრიადი ღრიფა მის საზღვართა საზღვრისა და გვართა გვარისა, ერთთა ერთისა. და ესთა მაღალთა და უზესთთ განცდითა ყოვლობასა ბრძენთა და ფილოსოფოსთასა ზე აღცდა ფილოსოფოსი დღისა ცისკრისა და წიადისა ეკმაგიოსა¹ მისთვის უცვაბელისა მის ხატისა, რომელსა მოაქუს ყოველი სიმღიდრე პირველ მამისა თვისსა შორის, განზრქელებისამი მბადისა ნაბადისა შორის, რომლისა განგებულებისა წინავე მეტყვე და განმსტრობელ

¹ ხელნაწერშია: უკმაგიოსა.

იქმნა ბრძენი ესე, და სამობით ხედვამ ზეგარდამო გარდამოციისკრა და მით აღანთო სიმრუმე სოფლისა.

და შემდგომად ფედრონს ენაცვალა პროკლე ეონით და ილია-
ლოხოვა პლატონებრივნი მის უძრავისამი და უგუაროასა | და [3]
ყოვლად სამლდელოდ დაიდვა სავსებასა ეკლესიისასა დიდად სა-
ჭიროად ესე. ვინაჲ ფრიადისა საღრიფოსა და ძნიადობისამი საუ-
წყოთასა გარდამოინაკადა ჩუენ ქართველთა ზე ელინთა ენამზეო-
ბისაგან დავითიანთა, ესე იგი ბაგრატოვანთა, ძეთამი, ვიტყვი იოვა-
ნეს პეტრიწსა, საღმრთოდ ფილოსოფოსსა. ხოლო მრავალთა ჟამთა
შემდგომად ივერთა ზეუმკვეთრეს და უენამკვეერეს რიტორებრივთა
თხზვათა ენაცვალა ნაკუეთი და უსწორესი იოვანესი, რტო დავითიან-
თავე ნაბრწყინი და შარავანდი ბაგრატოვანთა, ანტონის ვიტყვი,
არა თუ ეონით, არამედ ივერიათ, რომელმან მშობელთა სფეროდ
კელმწიფეთაგან აღმოციისკრანაკადა. და სიყრმითგანვე მრუმე ესე
და ბინდისფერნი წუთერთობანი განივლთა. და ხედვასა ზენაჲსა
ნაწილთა კვრობისასა ეგანმცდელა, და მძნობ წერილთა საფილო-
სოფოთასა აღმოვიქირა, რომელმან უმკნი და ელლინთა ენამკვე-
რობისა კიდექმნულნი ქართულნი და წარწერილნი პერიპატოელ-
თანი „ათი შესემენად“ და „ხუთი კმანი“ პორფირითნი აენამზევა;
და სიკომოდმი და სოფლურებრ ნაძნობნი არიტორნა ფედრონული-
სა კმითა ატიკელებრივნი ლექსნი, ვითა ველსა ლვისიისასა | ყუა- [4]
ვილად იასფოდელოვა, და ნერგნი ღვთივნი სატრფოდ აღაფრო.
რამეთუ განმსტრობელი ებგურითა მით გონებითა განსკუთრეტს წე-
რილთა ჩუენთა და ფრიად ვიდრემე გულსმოდგინე იქმნების, და
ლექსთა უფეროთა და ძნიადობითა მრუმეთა სტოელთასა ფედრო-
ნულებრ დასკვრეტს და განგებათა ზენათა მათათა ორლანოდ შუე-
ნიერად სასმენელად აგემებს მსმენელთა, პლატონიკელთა სტიქიონ
ღმრთისმეტყუელებისათა, რომელ არიან ოთხნი ასონი; მათ შინა,
ვითა უმწვერვალესისა ხარისხისა აღმვლელმან, უმარტივესთა სქე-
სითა ფილოსოფოსთა კიბეთათა შემოვლო, ვითა „პერიარმენიისა“
განგებაჲ იწარმოების. და ამით მალლად მხედი გონებაჲ სპინთირითა
მით სულითა, ვითა ზმური და აკატე, სამობით ხედვისა საიდუმლო-
სა ნაბრწყინთა შარავანდითა განაელვარა. და მით წინამდებარე
ესე მრავალსადილი წიგნი ღმრთისმეტყუელებისა ძალითა რიტორ-
თა აკადემიასებრი და სტოელთა ლულარქნილ ბრძნობანი აწრფელ-
ნა და აღ[ა]მკო მულარბარ-სარუთობითა და სამართლად სახელ-სდვა
„სპეკალი“. ამისთვის, ვითა პლ[ატონს] ენაცვალა პროკლე დიოდოხო-

სი, ეგრეთ და პროკლეს და პეტრიწსა იოვანეს ელიადობოვა მო-
ძღუარი ესე. და ვითა ბერძენთა ზედა ხრიზანთოს, ეგრეთცა ქარ-
თველთა ზედან ანტონი. სამღდელოდ ნაკუეთად აღმომცენი და
საჭიროთა საზღვართა მომცემი. ხოლო „სპეკალსა“ ამას სამადლო-
ბელად მზადისა მიუწერს ღმრთისმსახურსა მეფესა სპანთა ივერთა-
სა, ბრძენსა და საფილოსოფოსთა სწავლითა აღმკულსა მეფესა,
მკნესა ირაკლის. ვინაჲგან სპეკალსა და სარუთთა ძვირფასობასა-
არმადანად მიუძღუანებენ მეფენი, ეგრეთ „სპეკალი“ ესე, ახლად და-
უცხოდ შემკული, და თვისთა სკოლათა ნაყოფნი, არმადანად მიე-
ძღუანების, ვითა „ხუთი კმაჲ“ პორფირის მიერ ხრიზაორიეს, და
შემკუანებელობითა გუარსა დაიცავს ათთა და ღუთთა შესმენა-
თასა, და არმადანისა შემწირველსა და მიმთვალველსა ურთიერთი და
მზადი აერთებს სულისა ერთებრიობისა აკმეთა და ძმებრივსა მათ-
სა გულსმოდგინებასა ორთასა აერთებს. და სუნად საყნოსლად
რგემებს ერთი ერთთა და ღმერთი ღმერთთა. და მეკუდოსა ამის
[6] წუქისა შენაობასა ამრავალეამიერებს და უკანასა სუფევესა იზიარ-
ებს. მისა ღიდება საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ.

[7] | ირაკლი კეთილმსახურისამი, მეფისა დავითიანისა, ვორ-
ციელად ნათესავმოდგამობით ძმისა თვისისა, ეპისტოლე მი-
წერილი ანტონის მიერ, საქართველოსა მამათმთავრისა, და-
ვითიანისა, რიტორისა.

ტრფიალებასა დასდებენ ოდიოტიმაჲ და კვალად სოკრათი
„ფედროსა“ შინა და პლატონ „ტიმეოს“ შორის. მაჯრა ტრფიალე-
ბა უკუტრფობაჲ თქუეს წარმონაარსთა პირველისადმი და პირვე-
ლისა უპირველესისადმი. ხოლო ესე არს ესე მითესულ ნათელნი
მზისაგანნი მყოფთა შორის, რომლისა გამო მან, ნაბერწყალთა გა-
მოკრთომამან მზისა და ცეცხლისა განმლევეელისამან*, ნოიმა ეგე,
რონელი შეიარებს ერთებრისგამოთა ერთთა გვარობასა გვართასა
და აღრსა მას უუთქვსა მზესა ერთთასა და ნამშკულსა კენტოროდ
ერთებრისა და ერთებრისგამოთა ერთთა შორის შობად დაცილე-
ბულსა, თვისისა არსებისა აღმძარცველი და აიდიოთა მექმსა მას
შესტრფის უაღრეს სიტყვსა სათვსოსა ბუნებისა, ამით აკეთილ-

* ებრაელთა, 12, 29.

ერთ|ებს სჯულსა ზესთგამოწვლილვისა სათნომყოფელი, რომლითა [8]:
ერთობასა მზისასა იცნობს განრემზომი მრავალმრთიანთა, და
ერთობასა შორის სამობასა შეურევენელსა იცნობს, მსახურებით
განვლთოლვილი ჰურიაებრისა და ცოფ-მორწმუნეთა ხენეშ ცნო-
ბითისა მსახურებისა. ხოლო ერთობასა შორის სამობითსა ერთსა
დასდებს, ვითარ წყაროსა ნათელთმეჭმრისა ნათელთასა, რომელსა
დაუცილებელად მეშვეობასა მის ნათელთ წყაროსასა შობისათჳს.
მისგამოსა შარავანდისა, და მიზეზ გამოკრთოლვისა მისგამოსა.
ბრწყინვალეებისასა, ხოლო შესტრფის მას ესთა ქველსიტყუებულად
და კეთილკმოვანად, და აღიარებს ნიკიას და სამეუფოსა ქალაქსა
ორმნათობთა ვარსკულავთამებრ შეკრებულეებისა გამოთქმათა. ხო-
ლო უამისშინასაცა შობასა ემმანუილისსა, რომელ არს შარავანდი
ნათელთ წყაროსა მზისაგანისა, დედისაგან ქალწულებრით სეშოთ,
ვითარ-იგი ექუა კვროშან ღმრთივთა ნაკვერცხალთამან ისაიი;
ყრმა იშვა ჩუენდაო*. „ყრმაღ“, ვითარ მამისაგან წარმონაშესა, ხო-
ლო „ჩუენდაო“, ვითარ აწლა ცნობილსა და გავგონებულსა ჩუენდა,
ვითარ ისწავე ერთისა გუამისა, რომელი იყო და არს მარად მყო- [9]
სა შინა ბუნებასა განზრქელებთა შეერთებითა მგონებელისდა მგრძ-
ნობელისა ბუნებისათა, და თანაშეერთებთა უუამოსა და უამისშინა-
სსა, რომელი არა თემის არს არავისდა, ორთაგან და ორთა შინა
ჯუამისშინათა ბუნებათა იგივე გუამი, და უწყებული მეორედ და-
ბადებისათჳს ჩუენისა, რომლისა დედასა და ქალწულსა იცნობ ქეშ-
მარიტად და საკუთრად ღნრთისმშობელად.

ესთა ცნობილ არს მაგის აღნთებულისა გონებისაგან, ვითარ-
იგი ასწავა ორმნათობმან სფერომან ეფესოს და ხალკიდონს ვარ-
სკულავთა ბრწყინვალეთამან. ესთა უქუე მადიდებელი მართლია-
დითა ხედვითა სამლოთ ევე გონებაჲ შუნი და ხატი თჳსი იცნა რაჲ
მზემან აიდიოსა შორის დამსკუთალულმან თვისთა მონაბრწყინთა-
გან ნათელთა აღავსო სხვა და სხვათა მიერ კელოვნებითა, რომელ-
თაგანი ერთი შეიყუარე შენ, მყოფთა მხედველებთა, პლატონი-
კელთა და პერიპატოსგამოთა გარდამომეცემელმან და თანადამდებელ-
მან ეკლესიისა ფილოსოფოსთა სწავლათამან. და ვითარ ყუავილ-
თაგან სიტყუერთა შემთხზველი გერკვნისა, ნაცვლად მეფობითისა
მის კორონოვანობისა² შენისა, გერკვნოსან იქმნები შენისაგანვე

* ისაია, 9, 6;

² ამაზუა: კორონა გერკვნსა ეწოდების ატრეკურთა კმათაგან.

[10] სიბრძნისმოყუარებისა, და სოლომონითა სქესთა გამო შთამო-
ხულ, მადლნიკებული გუარობითთა დავეითიანობისა ნათესავმო-
დგამებითა, და თანატომ ექმნები ახლისა მადლისა, რომელ არს
ეკლესიაჲ, სიძესა ეკლესიისასა.

ხოლო მტილსა შინა მეფობითსა მეშვთასა იმორჩები მზრდე-
ლად ნექტართა მიერ კეთილ უძლევაობისა შენისათა, დამატრო-
ბიერისა შენისა, და დამამტკიცვი აკმეთა მათთა აწინდელთა ამათ
ამვროსითა მიერ მალიად მწეობისათა. რამეთუ ვითარ-იგი სფე-
როჲ იძრვის შორის ქუეყანისა და ზღვისა ცხოველთა მძღვანი ცხო-
ვლობითთა მშვნეერთა ანუ ორძილობითთა კეთილთა მიმადლებად,
და ესთა სხუათაცა ბუნებათა, რათა ეგნენ თვნიერ ხრწნისა, ეგ
სახედვე არს ძრვაჲ შენისა ისოებრისა ძლევის-მოყუარებისა სფე-
როსა ერთა შენთათჳს.

მე შენთა ეგზომ შეწევენად ჩუენდა ტკივილმოყუარებათა,
სტრატიოტო ქრისტესო, შენმან უსაკუთრესად თანაშობილებითა
და თანაზრდითა და თანასწავლისშინაობითა სამადლობელად გი-
ძღვენ, ვითარ მეფეთა შესახებ შეწირვად „სპეკალი“, ეგ სახედვე
[11] სპეკალი ესე სიტყვითი ახალშეწყობით ვიმრთმელე შენისა დიდე-
ბულებისადმი, გარდმოცემაჲ პლატონიკელთა და უფროს პერიპა-
ტოსგამოთა ნაცელოვნებნთა გამოთქმათა შეკრებით. ხოლო ახლისა
მადლისაცა ეკლესიისა ფილოსოფოსთამიერნიცა რაჲმე გამოთქმა-
თა გარდამოცემანი ვიტყვიე მიზეზით, ვითარმედ უყუარს კეთილ-
მსახურსა მეფობასა შენსა ესევეითარნი ძღვენნი, და სიტყვანნიცა
ჩემნი. და ჩემთა წერილთა არა გარე-მიაქცევს ეკმაგიოჲ ერთისა მის
თვთკეთილობისა ელვარე გონებაჲ შენი. მაგრა შენ კორციელად
ძნისა, და მადლით მღვდელთმთავარისა არღირსისამიერნი ესე სიტ-
ყუანი შეიწირენ! და კსენებაჲ ჩემი ნუმცა დავიწყებიეს მკითხველ-
თა და მესწავლეთა ამის წიგნისა „სპეკალისთა“.

აჲ, დაწყებაჲ ფილოსოფოსებრთა სიტყუათა ჩემთა, რომელთა-
მე პერიფრასისებრ, ხოლო რომელთამე უვრცელესადრე.

[12] გარდამოცემაჲ ფილოსოფოსე|ბრ პლატონის და არისტოტელის
და პორფირის და ეკლესიისა ფილოსოფოსთამიერთა გამოთქმათა

რაჲ არს აობაჲ. თავი. 1.

აზიარა სადამე სახელითა აობამან ყოველნი მყოფნი ორად სა-
დამე, ნამდვილ მყოფისა და ზედშემოსრულისა მიმართ განკვეთითა.

ამის უადრესისა მყოფისათვის თქუა არისტოტელი: საქმე არსო თვითმყოფი, არავისდამი მოქენეა, ხოლო ზედშესრული თვითმყოფ-სა სადამე შინა ცნობილ, ვითარ სხეულსა. შინაა ფერი, ხოლო არა გარემოქცევით, ეს სახედვე, სული არა თუ ცნობასა შინა, გარნა სულსა შინა-ცნობაჲ; და მოსპო თუმცა სული, და მყის ცნობაჲცა მოსპობილ; ხოლო უკეთუ ცნობაჲ მოსპოს-მცა, ჰგიეს სული თვისა-გან მტკიცეა. ესთა ხედვაჲ ნამდვილ მყოფისა და ზედშესრულისა იმეცნებოდედ.

რად არს ნათესავი ანუ რად არს სახე. თავი 2.

ნათესავისაჲ სამ-სახედ შემოღებაჲ წინდადებულ ჩუენდა. რომელ არს გვარ ერთისა — ისრაიტელთათჳს ისრაიტელობაჲ. და მო-რისამებრ სქესისა იერუსალიმელთად იერუსალიმელობაჲ, ხოლო მე-სამე ხატი ნათესავისა გარდამოსცეს ძველთა: მრავალთა სახეთად გან-ყოფილებათა შესმენაჲ რაჲარსობისა შორის. ხოლო სახისა თუ თნე-ბად ხარ ცნობის, ორგვარ შეისწავებ მას, ვითარ ნაკვეთი და მორფი, გარნა უმტკიცეს ესე, ქვედაწესებულებაჲ მისი-ნათესავისად და რომ-ლისა შორის შეისმინების უსაყოველთაოესი იგი მისი. და ამას მიხედ-ვენ მხედველნი მყოფთანი. ამისთვის ვაკსენეთ აქა ჩუენ ნათესავისა თანა სახეა. რადსამიმართებულებისამებრ მათისა. ნათესავი პირვე-ლი არა სხვისა ქვეშე დაიდვა ნათესავისა, რამეთუ პირველმან კე-თილობამან მან აკეთილნა მის ქვეშენი მის მიერ მრავალსახედ. ესე არს პირველი უკვე ყუავილი შეწყობისა და პირველი ნამკი და გონებაჲ გონებათა და სული სულითა. ამისდა უზემოეს სხვისა ნა-თესავისა ყოფასა არა მეცნიერ სადამე არა ვინა. ხოლო წარწერეს იგი ძველთა ნათესავად უნათესავესად და არა სახედ, უზემოესო-ბისა|თვის მისისა. განზიდულთა უკვე მის მიერ სახეთა აქუნდეს-ლათუ კუალად განზიდვაჲ სხუაჲ სახედ, უპირველესნი იყუნენ ნა-თესავად, და უქვემოესნი სახედ, და ესთა სხუანი ვიდრე დასასრუ-ლისამდე სახისა. გარნა მას უკანასკნელსა სახესა არავინ მიხედა სხვა-სახედ განზიდვად, თვნიერ არს იგი მხოლოდ სახე და დასასრული სახე, და ესე არს მისდა სიტყუაჲ ძველთა, მხოლოდ სახე არსო, [13]

3 აშიაზე: ნათესავი იმეცნებოდედ უზადოსა მზისა მიერ მითესვაჲ ერთობ-რიობისა და კეთილობისა.

არმქონები ქვეშე თვისსა სხვისა სახისა, და ეწოდების ამას უსახროვანესი.

საქმარ უკვე არს ცნობად, რამეთუ სახენი სახელსაცა და განსაზღვრებასა მიითვალვენ უსაყოველთაოესისა თვისასა, ვიდრე უნათესავესამდე; ხოლო გარნა სახეთა ვერ ძალ-უცს ურთიერთარს ესე, ნუჟმე ივადროსა ვინ, მყოფისა ნათესავად დადებად არსებინად, რომელი არსებაცა არს და შემთხუვეითიცა არამედ სცთების ესევეთარი, რამეთუ მხოლოდ სახელი ოდენ წარმოილო არსებამან და არსებისზედა შემოსრულმან მყოფისა მიერ, გარნა განსაზღვრებად — არცა ერთმან არა.


[15] აობად ანუ თვითმყოფი საქმე, ანუთუ სხვისა შორის. ხოლო არსებად თვითმყოფი უკვე არს საქმე არავისდა შემტკიცებად მოქნე და ზედშემოსრული, არა თუ თვით თავით თვისით, არამედ მყოფი სხვისა შორის. თანგავლის სახედ უკვე აღჩენილ ესე, რამეთუ არცა არსებამან, არცა შემთხუვეითმან წარმოიღეს საზღვარი მყოფისა.

აჰა, უკვე სქიმაცა წინდადებულ, თუ ვითარ მოქმედებითა ნათესავისათა და ვნებითა სახეთათა წარმოდგეს ქმნილებანი არსთანი, რომელ არიან ნათესავნი და სახენი და სახეთა დასასრულთა განუკუთელნი*.

[17] | განზიდულ უკვე დასასრული სახე, არდა სხვადა რამე სახედ, არამედ განუკუთელნი, ვითარ კაცისაგან განზიდულ პეტრე და პავლე და იოვანე და სიმრავლენი შეგნებად შეუძლებელნი. და ეგ სახედვე ცხენისაგან განზიდულ განუკუთელნი მისნი, ვითარ-ესე რომელიმე რაკსი, და იგი რომელიმე ზერდაგი. განზიდვად უკვე სახისა განუკუთელადმი სრულსა თან-განზიდავს სახელსა და საზღვარსა სახისასა, და ესე ყოველთა სახეთა ზედა შეისწავების. ყოველი უკვე განყოფილებად ნათესავისა მიერ სახეთად ქმნილი, ორთა ვიდრემე ანუ სამთამდე, ხოლო იშვთ ოთხადმდე გამოჩნდების. შეუძლებელ უკვე განზიდვად ნათესავისა ხუთთამდე სახეთად. ხოლო კაცი და ცხენი არა სახედ, არამედ განუკუთელთა სიმრავლედ, რომელთა ზედა ბრძანა პლატონ, ვითარ რეცა შეუგნებელთა ზედა და ყუდროებად ძიებისა, სახეთა დასასრულთა ყოველთა ესთა ხედვად, რამეთუ არა არიან ნათესავ, და არცა სახეთა განუკუთელნი არიან სახე, არამედ გუამ, და განუკუთელ. ხოლო არსებითი უკვე მოქმედებად ესე სახედ, ვითარ სქიმაძანცა აღმოაჩინა.

არსებაჲ განზიდულ სხეულევანად და უსხეულოდ. ხოლო არსებაჲმან და სხეულევანმან ჰქმნა სხეული, და არსებაჲმან და უსხეულომან ჰქმნეს სული. სხეული განზიდულ ორძილობითად და უორძილოდ; სხეულმან და ორძილობითმან ჰქმნეს ცხოველი; ხოლო

[18]



სქემა 1.

სხეულმან და უორძილომან ჰქმნეს ქვაჲ. ცხოველი უკვე განზიდულ მგრძობელად და უგრძობელად; ცხოველმან და მგრძობელმან ჰქმნეს მშვიველი, ხოლო ცხოველმან და უგრძობელმან ჰქმნეს

ნერგი. მშვიინველი უკვე განზიდულ სიტყვერად და უსიტყვად; ხოლო მშვიინველმან და სიტყვერმან ჰქმნეს კაცი; და მშვიინველმან და უსიტყუმან ჰქმნეს ცხენი ანუ თუ კარი და სხვანი ესთა. კაცისა უკვე განზიდულეზად სიმრავლედ გუამებთად და ეგ სახედ პირუტყვისა სიმრავლედ განუკუეთელთად თითოეთლისა მათგანისა. ესე განზიდულეზანი ნათესავთანი სახეთად არს განყოფილეზად არსეზბითი სხვსა ჯახისად და სხვისა ბუნებისად.

განყოფილეზისათვის. თავი 3.

[19] ყოველსა განყოფილეზისა განუკუეთელთადმი, ანუ სახეთადმი ზიარებითად და საკუთრებითად და უგანთვისებითად ვასწავებთ. არს უკვე განყოფად ზიარებითი სხვად სხვისადმი, ანუ თავისადმი თვისისა. სხვსადმი, ვითარ პეტრე იოანესგან სხვაობით; ხოლო თავისადმი თვისისა — ჰაბუკებით და მკცოვანებით. ანუ თუ სხვისა და სხვისა მოქმედებით და დაცხრომით.

საკუთრად განყოფად არს სხვად სხვისადმი. ოდეს განყოს სადამე არგანშორებადმან უმთხუევითმან იგი ვინმე მის რომლისაგან, და ესე არს ნიშნოვნება განუკუეთელისა რომლითამე. ხოლო უსაკუთრესი განყოფად სხვა სხვისად არს განყოფად სახისმოქმედი, რომელ არს სხვაობად კაცისა შორის და ცხენისა. ამას უკვე სხვაობასა ვიცნობთ ვითარი-არსსა შორის. განყოფამან ზიარებითმან და საკუთრებითმან ჰქმნეს სხვებრი, ვითარ რეცა ვერ შემძლეთა სხვსა ქმნისათა, მაგრა განყოფამან უგანთვისებითმან ჰქმნა სხვად. ვითარ რეცა თავით თვისით მყოფმან განყოფამან, რომელსა შევისმენთ სახისმოქმედადცა, სხვებრად უკვე ძრვისა დაცხრომისადმი და ეს სახედ სხვათადმი, გარნა განზიდულთა მშვიინველისაგან მყოფად, რომელმან ჰქმნა სახე ესე, რომელ არს კაცი, და იგი ცხენი, რამეთუ არს იგიცა სახე მშვიინველისა. ესე უკუე სხვაობად მოქმედებითი გარდაიდვა ნათე|სავისაგან მყოფთადმი სახეთა.

[20] არს უკვე განყოფად განშორებადი და არს არგანშორებად-ცა. ზიარებითი განყოფად განშორებადსა შორის და საკუთრებითი, რომელ არს ნიშნოვნება, და ეგრეთვე თავით თვისით სამარადყოფად განყოფად, და ესეცა არგანშორებადსა შორის თანგანვლის სახედ აღიწინილობისამებრ.

არს უკვე თავით თვისით სხვაობაჲ, ვითარ კაცისა შორის სიტყუერი და მოკუდავი, გონებისა და მიწთომილებისა მითვალვაჲ; გარნა სხვებრნი იგი სხვაობანი, თუმაკა ვითარი-არსსა შორის იგინცა, არამედ არა თავით თვისით მყონი. უსრულესმან მან უკვე სახეთადმი სხვაობამან წარმოილო ერთებრიობაჲ და კეთილობაჲ ჯპირველესისაგან თჳსისა და აღავსო თვის შორის ყოვლობაჲ ნათესავისა თვისისა; ხოლო არ ესთა ჰქმნეს სხვებრთა მათ, ვითარ ვერ შემძლებელთა ყოფად თავით თვისით. სამარადყოფ სადამე არს სახეთა შორის უსრულესი იგი სხვაობაჲ, ხოლო სხვებრობაჲ დაღათუ არ განშორებად იყოსმაკა, დაერთო სადამე და მოაკლდა.

არს უკვე განწვალვით სხვაობაჲ სიტყუიერისა და უსიტყუისა და ამათ მიერ მშვინველისა თითოეულნი სახენი შედგეს სახედ. ხოლო რომელნიცა მიიღეს | რომელთამე უპირველესისაგან და შედგეს თითოეულნი სხვად და სხვად, არამედ საზღვართაშორისმან ლექსთა დართვამან განყუნა იგინი ურთიერთარს სხვაობით; რამეთუ მშვინველი მყოფ არს არსებაჲ, ცხოველი მგრძნობელი, გარნა რაჲჲმს განიკუთნა იგი სახეთად, წარმოიღეს რაჲ ესე სახეთა თერთოეულთა, მიილო კაცმან დართვაჲ „სიტყუერ მოკუდავისა“ ლექსისა და სხვამან „უსიტყუე მოკუდავისა“ შეწყყნარებაჲ. აჰა, იქმნა სხვაობაჲ სახეთა.

[21]

წარწერეს უკვე ძველთა განყოფაჲ, მატლეს რაჲ სახე ნათესავსა, რამეთუ რომელიცა აქუს ძალით უპირველესსა, მოქმედებს უკვე მას სახე. ხოლო უკეთუ არა თანა ედვამცა სიტყუიერსა და მოკუდავისა მშვინველის, არცაღა მითვალვაჲ აქუნდა ამის სახისა და არცა წინააღმდგომნი მყის თანად, რამეთუ უკეთუ ეს არა ესთ, არცაღა ყოვლითურთ მათ შორის თავით თვისით სამარადყოფ სხვაობაჲ.

კვალად არს სიტყუაჲ ამას ზედა ფილოსოფოსთა: სხვაობა არსო მრავალთა სახეთად გარდაცემაჲ, შესმენილი ვითარი-არსსა შორის. ესთა უკვე არს ცნობაჲ ვითარი-არსსა შორის სხვაობისა. რაჲჲმს იკითხვებოდეს სახე, რაჲარსობისა შორის ჳერ-არს კითხვის, მაგრა შინაგანით ცნობასა მისსა | არ ეცმაების ესე; ხოლო ვინაჲთგან ესე ესთ, მაშა, ვითარი არს კაცი, იკითხვებოდედ, და აჰა, მყის თანგავლის სახედ აღმოიჩინა მისთვის, რამეთუ ითქვა მკითხველთამი: სიტყუერი, მოკუდავი, გონების და ზედმიწევნულებისა მიმთვალველი. ნულუმე ესრეთ არა სიცხადე არსა შინაგანით შესმენად კაცი-სა? ქმნილთა ნივთისაგან და სახისაგან შედგმასა, მსგავსად ხატთა და ნივთთქმონებელთა შედგმისათა, ვითარ რეცა კაც-ნაკვეთი იგი

[23]

ანდროიანტი, ეგ სახედ კაცი ზიარებითისა თვისისა სახისამებრ შენადგი ნათესავისაგან და შესახედავისაგან განყოფილებისა, გარნა საგსედ ვიციოთ, ესე კაცი სიტყვიერ მოკუდავი, ვითარცა კაც-ნაკვეთი იგი.

[23] სახისაგან გარეშე მითვალულსა განყოფილებასა არა თნებად ვართ დაწესებად ნათესავისა ქვეშე მყოფად სხვაობად. ნუშუმე ვარსკულავთმრაცხველობა თუმცა საკუთარ კაცისა არს, სრული სხვაობა არსა? ესე არა თანა შესაწევნელ სადამე არსებითისა სხვაობისა შემოღებად, არამედ იგი არს უსრულესი და უსაკუთრესი განყოფაჲ სიტყვიერისა და უსიტყვისა. და ესე სამარადმყოფ სხვაობაჲ და ეგ სახედვე თითოეულთა |სახეთა, ვითარ-ესე აქა სიტყვაჲმან თანგავლის სახედ აღმოაჩინა.

განთვისებულისათვის. თავი 4

განხილვაჲ ოთხ გვარად განთვისებისა გვასწავა პორფირი. ხოლო პირველი მიხედვაჲ ამის აწ ჩვენგან სასიტყუელისა, ვითარ რეცა ერთსა შინა სახესა განუყრელისა და ესე ვიდრემე იყოს კელოვნებაჲ, გარნა არა ყოველსა შინა თითოეულსა კაცთაგანსა; და მერმელა ორფერკობაჲ, და ესე არა მხოლოდ კაცისა შორის; მესამედ უკვე, ქმნაჲ მკცოვანებად. ესე არცა ერთი სრულ საკუთარ არს სახითურთ განუკუთეთელთად. ხოლო მეოთხემან აზიარნა ყოველნი ერთისა და მისვე სახისა განუკუთეთელნი, ვითარ რეცა მოცინარობაჲ კაცისა და კერძოთა მისთა. მარად მყო არს ესე სახითურთ განუკუთეთელთა შორის კაცისათა; ხოლო თუმცა არა იცინოდეს-მცა იგი ვინმე, საკუთარვე არს მისდა. ხოლო ეს სახედ ცხენისა შორის მკვივანობაჲ. გარემოქცევით ვიტყვიოთ ესთა გვართა, ვითარმედ: ყოველი კაცი მოცინარი სადამე და ყოველი მოცინარი კაცი.

[24]

| შემთხუევიითისათვის. თავი 5.

ზედშემოსრული. არს სახილავიცა და იგივე არღა სახილავი, არმხრწნელი თვისისა ქვემდებარისა. და ამას უკვე ვასწავებთ ორგვარად: განშორებადადცა და არგანშორებადად. მუსიკელობაჲ და ესთა სხვანი განშორებადსა შორის, ხოლო თეთრ-ყოფაჲ ბროლისა

არგანშორებადი. შესაძლო უკვე მოგონებად; ბროლი რეცა რაათა არა იყოსმცა თეთრი, გარნა არა ხრწნის უთეთრობაჲ ბროლსა. ესთა ხედვაჲ ზედშემოსრულისა, რომელ არს შემთხუევიითი.

პორფირიოს ფილოსოფოსისამიერთა ხუთთა კმათა ზიარებაჲ.

თავი 6

აზიარა სადამე პორფირი ხუთკმაობით წარწერილნი თვისნი და ესენი უკვე არიან ხუთ: ნათესავი, [სახე], სხვაობა, განთვისებული, შემთხვევითი. ეს უკვე ზიარ მათდა, რეცა თუ სიმრავლისა შორის ცნობაჲ მათი, ვითარ-იგი ნათესავი სახეთაგან და განუკუეთელთაგან, ეგ სახედვე სხვაობაჲ და სახე თვისგნით სახეთაგან და განუკუეთელთაგან, ეგ სახედვე სხვაობაჲ და სახე თვისგნით განზიდულთა რიცხვთაგან და თვისი | სახითურთ განუკუეთელთაგან. ვთქვათ უკვე ნათესავისა სახეთადმი ყოველთა შესმენაჲ თითოეულთა და კერძოთა თითოეულთა სახეთასა, და სიტყვერებაჲ კაცისად და კერძოთა მისთა და სახე მისთა განუკუეთელთად და თვისი მის, რომლისაცა იყოს სახისა მისთა განუკუეთელთად, ხოლო მელან-ყოფაჲ ყორანთა სახისად და მისთა კერძოთად, და განუშორებელ სადამე არს შემთხვევითად ესე; ხელს ძრვაჲ მშვინველსა ყოველთა სახეთა შორის არს შესმენილ და ესე განშორებადად მოიღების.

[25]

ზიარი ნათესავისა და სხვაობისა. თავი 7.

იპყრობის უკვე გარეშემცველთა სიტყვითა სახე ნათესავისაგან და სხვაობისა. გარნა ესე სხვაობაჲ არა ყოველი მეზრ ნათესავისა გარეშემცველ არს. და ესთა ხედვაჲ ამის, რამეთუ შესმენილნი რაჲცალა ნათესავისაგან, მის სახეთად შესმენილ და რომელნიცა განყოფილებისაგან სხვაობისა მათგან სახეთად იყოს შესმენილ. ნათესავისა მშვინველისა შესმენილ უკვე არსებაჲ ცხოველი ნათესავად, გარნა მისთა სახეთა და განუკუეთელთა ვიდრემე — ყოველთად. განყოფილებისა აობაჲ სიტყვერ შესმენილ და სიტყვიერითსაცა სახესა ცნობილ სიტყვით ქცევაჲ. გარნა ზიარ ნათესავისა და სხვაობისა ეს, რამეთუ მოსპო რაჲ ნათესავი, მოსპობილ სახე მისგანთა თანა რიცხვთა. ეგ სახედვე განყოფილებაჲ იყოს რაჲ მოსპობილ, სახე სიტყვიერი მოსპობილ მყის მისგანთა თანა რიცხვთა.

[26]

განთვინებისათვის ნათესავისა და სხვაობისა. თავი 8.

ნათესავმან უკვე გარეშეიქცა სფეროჲ სხვაობისა, ვითარ რე-
ცა უძლიერესმან. ამას უკვე მყოფთა მხედველნი დასკვრეტენ სა-
დამე დრასტიროდ, რამეთუ არს ნათესავი მშენიველი, რომლი-
საგან არს უკვე სიტყვიერიცა და უსიტყვი. მერმეცა ნათესავი უკვე
ბუნებით უპირველეს სადამე მის ქვეშეთა განყოფილებათა. ეგან-
მხედველვე უკვე, მსმენელო, რამეთუ მოსპობად ნათესავისა თან-
მოსპობს სიტყვიერსაცა და პირუტყუსა; გარნა აღვოცამან ამათმან
არ თან-მოსპოს ნათესავიცა.

[27] მერმეცა ნათესავი უკვე არს უვითაროდ, ცნობილ რადასობისა |
შორის, მაგრა სხვაობად არა უვითაროდ არს, რონელი ვითარიაჩისსა
შორის ვისწავეთ. კვალად უკვე ნათესავი იგივე თითოეულთა გვარ-
თა. გარნა სხვაობად არა ესთ, არამედ განყოფისმოქმედი უკვე არს
სახეთა ნათესავისათა. ერთილა კვალად სათანადოდ არს მოღებად
ამისთვის, არამედ ნათესავი მეგრ ნივთისა და განყოფილებად —
მეგრ მორთვისა.

ესე ექმოდენ განთვინებასა ნათესავისა და სხვაობისა.

ზიარი ნათესავისა და სახისა. თავი 9.

მრავალთადმი შესმენამან აზიარნა ნათესავი და სახე, მიილის
რად სხვაობად ვითარ სახე, არამედ არა რეცა ნათესავი უკვე. და
თუმცა განიზიდა იგი სხვასახედ, გარნა ზიარ მათლა არს, რომელთა
შორის შეისმინონ მათლა ყოვლად რადმე ყოფად თითოეულთა.

განთვინებად ნათესავისა და სახისა. თავი 10.

გარეშეცვითმან პყრობამან ნათესავისამან განყო ნათესავი და
სახე, რამეთუ გარეშეცულთა ნათესავისა მიერ არშესაძლო მათლა,
[28] რათამცა გარე-შეიქცეს ნათესავი მათი. ნათესავნი უკვე ბუნებით
უპირატეს სახეთა, რომლითა განზიდვამან სხვაობითმან აღმოას-
რულეს სახეთა ყოვლობანი. ამყოფა ნათესავმან სახე, და ნათესა-
ვი ესთა არა სადა მოქენე სახისა. აღვოცა მოსპობამან ნათესავისა-
მან სახე, და თუმცა არლარა სადამე სახე, ეგოს ნათესავი ყოვლო-

ბით. შევისმენთ უკვე ნათესავსა სახეთაგან, ვითარ თანამოსახელეთაგან, გარნა სახეთა არა — ნათესავთაგან.

ზიარი ნათესავისა და განთვისებულისა. თავი 11

ქცევამან სახეთამან აზიარნა ნათესავი და თვისი, ვითარ რეცა კაცი მშვინველი და კაცი მოცინარი, ვოტყვით უკვე: პეტრე მშვინველი და პეტრე მოცინარი. კვალად თანამოსახელედცა სადამე შესმენილ ესენი ესთა, ვითარმედ ნათესავი სახეთად და თვისი, რომელთა იგი თვისი.

განთვისებაჲ ნათესავისა და განთვისებულისა. თავი 12

| შორ სადამე ამით გვარითა ნათესავი თვისისად. ნათესავი [29] ვიღრემე — უპირველეს სახეთა, გარნა თვისი — შორის სახეთა. შესმენილ ნათესავი მრავალთა სახეთად, ხოლო თვისი ერთისა მხოლოდ სახისად. კვალად აქუს აღმოჩენნა თვისსა გარემოქცევით, მაგრა ნათესავი არა ესთა. ხედავა, რამეთუ კაციცა და ცხენი და პილოდ მშვინველი, გარნა არა მხოლოდ კაცი? არა თანა-მოსპო თვისითა არყოფითა განთვისებულმან ნათესავი, მაგრა ნათესავი თუმცა მოისპოს, სადალა თვისი?

ზიარი ნათესავისა და ზედშემოსრულისა. თავი 13

მრავლითა შესმენნაჲ ზიარ ნათესავისა და ზედშემოსრულისა, განშორებადისაცა და არგანშორებადისა, ვითარ ძრვად მრავალთად, და ინდოთა და ყორანთათვის და ვიეთთათვის უგრძნობელთაცა — მელან-ყოფა. ხოლო ესე და არა სხვად რადამე ზიარ ნათესავისა და შემთხვევითისა.

განთვისებაჲ ნათესავისა და ზედშემოსრულისა. თავი 14

| განყო სადამე უპირველესობამან ნათესავი ზედშემოსრული- [20] საგან, რამეთუ შემთხვევითი შესმენილ შემდგომად სახისა. შენ უკეთუმცა მოილო არგანშორებადი შემთხვევითი, ხედავ მას შემ-

დგომად სახისა, რომლისაცა ზედა შევიდა იგი განუკუთვლელთა. არს დიდ სადამე ანუ კნინ ნათესავი სახეთად, გარნა ზედშესრული იგი— დართვაჲცა და მოკლებასა ქვეშე. უკეთუ განუკუთვლელთა ზედა სახეთასა მთავრებრივ შემთხვევითი, მაგრა ნათესავი, ვითარ რეცა უპირველესი ბუნებით, სახეთაცა ზედა და განუკუთვლელთა არსებით მარად მყო სადამე, ნათესავი უკვე რაჲარსობისა შორის შემენილ და ესე შემთხვევითი ვითარიარსსა შორის.

იტყვის პორფირი შემყუანებელობითსა შინა გვარსა: უპირველესი უკვე ესე ნათესავი ოთხთა ხუთგზის განყოფისათვის ოცსა შორის სადამე რიცხუსა განყოფილებით. ამან უკვე ხუთგზის განყოფილმან ოთხთამან აღმოსარულეს რიცხვთა ოცი. აჰა, გვაქუს უკვე კელთაშინა-ყოფამ ოთხგზის აღრიცხულთა ხუთად. მერმეცა მეოთხე განყოფილ არს სამგვარად; ხოლო აღვრიცხავთ რაჲ ოთხსა და სამსა, იქნების შვიდ. კვალად მესამე განყოფილ არს ორად, ანისი გვაქუს უკვე რიცხვი ორ. ხოლო ორი ესე დავრთოთ რაჲ შვიდსა ზედა რიცხუსა, იქმნების რიცხუსა შორის ცხრა. და მერმეცა მეორისა ერთ გვარ განყოფითა იქმნების ერთი. ესე ყოველი რიცხვი, შემდგომად ოცისა, იქმნა ცხრა და ერთ. აჰა, იქმნა ოთხთა ამათ განყოფამ: ოთხ, სამ, ორ, ერთ.

ზიარი სხვაობისა და სახისა. თავი 15

მრჩობლად მითვალვამ ზიარ უკვე არს სხვაობისა და სახისა, რამეთუ კაცისა მითვალვამ კერძოთაგან მრჩობლად, ვითარ რეცა პეტრე მარად სიტყვიერ და მერმეცა მარად პეტრე კაცი.

განთვისებაჲ სხვაობისა და სახისა. თავი 16

საკუთარ სხვაობისა ვითარიარსსა შორის ცნობამ, ხოლო სახისა-რაჲარსსა შორის. უკეთუ კაცისად რეცა ვითარებაჲ რაჲმე, არს სიმტკიცე მის ვითარებისა, არამედ შეგვამებული იგი ნათესავისა მიერთა სხვაობათაგან. მერმეცა სიცხადე სხვაობისა მრავალ-გზის მრავალთა სახეთად, რამეთუ ოთხფერკობამ მრავალსა ზედა მშვინ-ვიერთა, განყოფილთა სახითა, გარნა სახე მხოლოდ მის ქვეშეთა, არა — სახეთა ზედა.

ზიარი სხვაობისა და განთვისებულისა. თავი 17

სხვაობაცა და თვისი მრჩობლ მითვალულ, ვითარ კაცი მარად სიტყვიერი, მარად მოცინარი, საკუთარ კაცისად სიტყვიერ-ყოფად და ესთა მოცინარობაცა მარადის მის შორას.

განთვისებაჲ სხვაობისა და განთვისებულისა. თავი 18

განყოფად სხვაობისა და თვისისა იყავნ: სხვაობისა შესმენილებაჲ ვითარი-არსსა შორის, ხოლო თვისისა — არა ესთ. მერჯეცა სხვაობად, რომელ განყოფილებაჲ არს, არა გარემოქცევით, რამეთუ სიტყვიერსა შორის და უსიტყუსა, მაგრამ თვისი გარემოქცევით, რომელსა შინა არს სახესა, ყოველთა განუკუთმელთა მისთად.

ზიარი სხვაობისა და სხვაებრიობისა. თავი 19

| ზიარ სხვაობისა და სხვაებრიობისა შესმენად ვითარი-არსსა [33] შორის და მერმეცა ორთავე თქმად მრავალთად.

განთვისებაჲ სხვაობისა და სხვაებრიობისა. თავი 20

ესთა ხედვაჲ განყოფისა სხვაობისა შორის და სხვაებრობისა. სხვაობად გარეშეცვისა მოქმედ და არა გარეშეცულ, მაგრა სხვაებრობად — არა ესთ. სხვაობად დამეტებისა და მოკლებისა კიდე, გარნა სხვაებრობა ორთავე მიმთვალველ. უცხო შერევისაგან სხვაობად, ხოლო სხვაებრობად საწინგანმწყოსა ოდენმე შერეულ. კვალადცა, საზღვარნი ვინათგან ამათნი არა ერთ, და სადა განუთვისებელობად ამათი?

ზიარი სახისა და განთვისებულისა. თავი 21

თანასწორ გარემოქცევითი შესმენად სახისა და თვისისა. აჰა, კაცი მოცინარი და მოცინარი კაცი. ორთავე, სახესაც და|თვისსა, [34] აქუს მრჩობლ მითვალვად. და ესეცა ზიარი სახისა და თვისისა.

განეყო სახე თვისსა ეს სახედ, რამეთუ სახე უწინარეს წარ-
მოდგა და თვისი მერმელა დართულ სახისა შორის. სახე მარად.
მყოფ მოქმედებით ქვემდებარისა შორის, მაგრა თვისი ოდეს და-
ძალით სახე რაჟსამიძართად ნათესავისა თანა და თვისი — არა.
მებრ სახისა.

ზიარი სახისა და ზედშემოსრულისა. თავი 23

მრავლითაცა და კნინითაცა მცირედითა ზიარებანი ერთმანერ-
თისად სახისა და ზედშემოსრულისა, უფროს შორის ყოფით ზედ-
შემოსრული და რომელსა ზედა შევიღა⁴.

განთვინებამ სახისა და ზედშემოსრულისა. თავი 24

[35] რაჟარსობისაშინაობითა განთვინებულ ვიდრემე არს სახე ზედ-
შემოსრულისაგან, ხოლო შემთხვევითსა ვიცნობთ ვითარისა შო-
რის, ანუ თუ ვითარი აქუს. მერმეცა სახესა განეყოფთ ეს სახედ
ზედშემოსრულთაგან — განყარდთაცა და არგანყარდთა. რამეთუ
სახე უწინარეს მიმღებელ თვისისა აობისა, ვითარ რეცა ცნობილ
არს, რათა პირველ შედგესლა საქვემდებაროჲ და მერმე გვარი ზედ-
შემოსრულმან დაიმკვიდროს მას ზედა; ხოლო კვალად ამითცა გან-
ყოფილ ესენი. სახესა :ნუუმე ზედავსაა. ვინ განზიდვადმდე განუ-
კვეთელთა ზედშემოსრულისა მიერ გავითარებულ? არს[ა]და, და
ესეცა მათდა იყავნ განყოფაჲ; პეტრე მარადის არს კაც, მაგრა იგივე
პეტრე არა მარადის მწერალ, არცა მარად რომლითამე ნიშნოვან.

ზიარი განთვინებულისა და ზედშემოსრულისა. თავი 25

ესე იყავნ ზიარებად თვისსაცა და განუყრელსა შემთხვევით-
სა — მარად ყოფაჲ განთვინებულისა და ეგ სახედვე განუყრელისა
შემთხვევითისა.

⁴ ამაზე: მიკერს, თუ ვითარ თქვა პორფირი ზიარ ესე, ხოლო მე ვითარ
პორფირი თქვა, ესთა შეუღეგ.

აჰა, განუყო თვისი განუყრელსა შემთხვევითსა, რამეთუ პლატონ მარადის მოცინარ და იგი რაცსი მარად მკვიდან. მაგრა განუყრელი იგი ზედშემოსრული გვარი არა ესთ, ვითარმედ ეთიოპთათვის არა მხოლოდ ოდენ სიშავე, არამედ მალნართაცა და არწივთა, და უგრძნობელთაცა შორის, ვითარ რეცა ევალ-მუხისა და სხვათა. თვისი გარემოქცევითსა შინა გვარსა ცნობილ უკვე, მაგრა შემთხვევითი იგი განუყრელი არა ესთ. მოაქუს უკვე თვისსა მითვისლვად მრჩობლ და შემთხვევითსა დაერთოცა და მოაკლდა. სხვანცა ზიარებთნი და განყოფითნი ხუთთათვის კმათა მისაწოთნი გვარნი, მაგრა ესე ეკმა აწინდელსა ფილოსოფოსობითსა საზღვართმეტყუელებასა ჩვენსა.

შესმენილთაჟვის. თავი 27

ვასწავებთ უკვე შესმენასა ორგვარად: უპირველესთა — კერძოთა შორის და თანასწორთა — თანასწორთა შორის. ხოლო ხედვად ამისი ესთა. არსებად შესმენილ მშვინველისად უკვე, ხოლო მშვინველი კაცისად და კაცი განუყუეთელთად. გესმაა პლატონურთავან გამოთქმათა? იწარმოებინო ყოველი მყოფი პირველისაგან ერთებრისა, რომელ არს არსებად, სადა უკვე მეძიებელსა პირველისა მის ერთებრისა კეთილობის შესმენისასა შეხვდა შესმენად ზედმოწვენიათა გვართა ერთისაგან მის მიერ კეთილობად მოღებულისა სახისა, რამეთუ პირველსა მას მრავალნათხზი იგი სირად მყოფ აქუს ძალით და იგი დრკეს რად, განზიდულ მის მიერ მოქმედებით ყოვლნი იგი გვარნი გონებათა და სულთა სფეროსა და სხეულთანნი.

აჰა, სცან სადამე, ვითარ რეცა ნამდვილ მყოფი იგი შესმენილ გონებათა შორის და სულთა და სფეროსა და სხეულთა. რამეთუ ერთმან მან მზემან, ამის შორის დამსჭუალულმან კენტოროდ, კეთილყო რად ესე, პირველ და ერთ ყოცა, რამეთუ მის ზედა თვისი ერთობად და კეთილობად გარდაიტვიფრა; ხოლო ამის ხატისა თვი-

ნისა ხატნი, ხატის-ხატ თვისა ჰყუნა და ხატის-ხატთა შორის მის-
თენსა კეთილობანი ნამდვილ მყოფისა მიერ თვისნი.

[38]

ესთა ხედვად შესმენის გვარისა, რამეთუ რაოდენ | სნაცა იპყრობ.
არსთაგანსა ერთსა მყოფსა, სახეთა ანუ სახისა განუკვეთელთა, ყო-
ველსა შორის ჰპოო მყის უსრულესი იგი ერთებრი არსებაჲ. ამით
უკვე ვიცით შესმენად უპირველესთა კერძოთაგან. ხოლო სწორებით
შესმენად გარემოქცევით ისწავების, ვითარ რეცა ყოველი კაცი
მოცინარი და ყოველი მოცინარი კაცი. ესე ორღანო შესმენისა, სა-
ზღვარი ჩემნი, ჩემდად კმა იყავნ სიტყვად, მე — სამლთოსა დამას-
კელისად, თუმცა უღირსსა, მაგრა რწმენით მიმდევნელისა მისდა.

შესმენათათვის რაჲარსობითთა და ვითარიარსობითთა,
ხოლო თუ რაჲ არს შინაგნით შესმენად. თავი 28

[39]

ცნობად შესმენათა რაჲარსობითთა და ვითარიარსობითთა არა,
ერთ. ვხედავთ უკვე რაჲარსობითსა შესმენასა ესევეთარსა შინა-
სფეროსა, რამეთუ მკითხო რაჲ: რაჲ არს კაცი? გეტყვი: „მშვინ-
ველი“. და არს კაცი უკვე მშვინველ. არამედ ესე არა ეკმაა შინაგ-
ნით ცნობასა კაცისასა, რამეთუ ცხენიცა და ზროხად და სხვანიცა
მრავალნი მშვინველ. ხოლო თუ რაჲ არს შინაგნით უკვე ცნობად,—
ესე | არს სხვაობად კითხულისა შენისა მისთა თანმონათესავეთაგან.
გიკმს უკვე კითხვი: ჩემდა მერმეცა, ვინათგან თნებად ხარ ცნო-
ბის, ვითარმედ: ესე კაცი ვითარი უკვე არსო მშვინველი? აჰა, შეი-
სმენ ჩემ მიერ, ვითარმედ: „კაცი სიტყვიერი, მეკუდი“, და შევს-
ძინო მერმეცა, „გონების და მიწთომის მიმთვალველი“. ესე უკვე
ვითარიარსობითი შესმენად არს და შინაგნით ცნობად. ყოველნი
უკვე შეგნებისა შორის არშესაძლონი გუამნი კაცისანი ერთ და
იგივე ამის ვითარიარსობისა შორის შესმენითა. და ესე სხვაობად
უკვე არს სხვა სახეთა მიმართ მშვინველისათა.

იქმნების უკვე კვალად ვითარიარსობითსა შორის შესმენად,
მაგრა არათუ არსებითი არს იგი, არამედ გვარი არსებისა ზედა შე-
სრულთა, და ესე არა სახესა შორის, არამედ უფროსდა განუკვე-
თელთა, რამეთუ რაჲცადა აქუს კაცსა, რომელ არს სახე, საზღვარ-
სა შორისობად, მოუვიეს მისგანსა გუამსა იოანეს, მაგრა მეორითა
უკვე დანიშნვითა, იოანე სხვა სადმე პეტრესდა, რამეთუ იოანე ვი-
დრემე ღვთისმეტყუელებს, იოანე თეთრფეროვან, შესაძლო ესენი

პეტრესდაცა, მაგრა პეტრე ნათელ-სცემს, პეტრე არს მკცოვან, და შესაძლო ესენი იოანესდაცა. პირველი უკვე და უსრულესი და მარად მყო ვითარიარობაჲ ამითი ერთ და იგივე და ყოვლითურთ განუყრელ და სხვაობაჲ სხვა სახეთა მშვინველთაგან. ხოლო მეორე ურთიერთარს ზიარებითი და საკუთარი თითოეულისა და არა მარად მყო და არცა სხვაჲ, არამედ სხვებრი. სხვაჲმან უკვე შეამტკიცა ბუნებაჲ, განზიდული ნათესავისაგან, ხოლო სხვებრთა — გუამი. უპირველეს სხვაობისა ნათესავი, ხოლო უპირველეს საზისა — სხვაობაჲ. და ესე შესმენილებაჲ რაჲმარსობისა და ვითარიარობისა კმაჲ ჩვენდა გარდმოცემაჲდ.

[40]

რად არს უმიზეზოჲ მიზეზი და რად მიზეზოვანი მიზეზი
და რად არმიზეზი მიზეზოვანი. თავი 29

აღსიტყვაჲ სამად განყოფისა — უმიზეზოსა მიზეზისა და მიზეზისა მიზეზოვნისა და არმიზეზისა მიზეზოვანისა — ესთა ხედვითისა ნოიმასაგან ფილოსოფოსებრისა შთაჰკრეტელი, რომელ ესერა გესმის, გამკონეო. დრასტირიომან მყოფთა მხედველთამან და მწვერვალმან ღვთისმეტყუელთამან პლატონურთაგან გამოთქმათა ესთა გვასწავა. იტყვის ჩემი იგი ღვთისმეტყუელი პროკლესთვის პლატონიკელისა: მიზეზად იტყვისო ძალსა და მოქმედებასა შემოქმედებითსა, რომელი არს მიზეზ, ხოლო მიზეზოანად მის მოქმედებისაგან წარმოყენებულსა არსებასა, ხოლო უმიზეზოდ თვით პირველსა და უზიარებელსა. არამედ შენ რად უზიარებელი გესმეს, ნუ შემდგომთაგან ჰგონებ უზიარებელად, რამეთუ ესე მის უოცნოსა ოდენ ერთისაჲ არს თვითებაჲ, რომელი ზესთა ძეს ყოველთა ერთთა. ხოლო ესე აქა უზიარებელი ერთად გაიგონე, ვითარ თავი ნათხზისაჲ, რომელი სხვათა ყოველთა წარმოაყენებს თვისკვეშეთა მის სირაჲსა შორის. ხოლო თვით აღარა ჰქონდის თვის წინათ სხვაჲ მას ნათხზსა შორის, ვინაჲცა ერქუმის მას უზიარებელი, ვითარმედ უპირველოჲ. ხოლო ყოველსა მიზეზოანსა მიზეზი უზესთაჲს და ყოველსა მიზეზსა — უმიზეზო.

[41]

5 აშიაზე: დრასტირიოდ მყოფთა მხედველობისად იტყვის პროკლეს, მოადგილესა დიდისა პლატონისსა.

6 აშიაზე: ჩემი იგი ღვთისმეტყუელი არს სამლოთ იოანე პეტრიწი.

კვალადც განემარტოთ: იტყვის⁷ ფილოსოფოსი მიზეზოვნად წარმოყენებულსა გუამოვნებასა, ხოლო მიზეზად მათ მისდა მიცემულთა ძალთაცა და მოქმედებათა არსებასავე თანა, ხოლო უმიზეზოდ თვით მას მიზეზსა მიმცემთასა. შესისწავე, ვითარმედ გესმენ რად ძალნი და მოქმედებანი, რომელ არიან მიზეზნი, ნუ ვითარ უარსებოთა ძალთა და მოქმედებათა პრაქცხავ და ჰგონებ, ვითარ მოკუდავთასა, რამეთუ უკუდავთა მოქმედება და ძალი უკუდავ და სამარადისო და სამარადმყოფსა თანგანზიდულ და დაუბერებელ ყვავილი უსხეულოთა მოქმედებისად, და არსებად მოქმედებაცა მათისა არსებისად. რამეთუ არა თუ დავიწყებისაგან აღდგების და არცა უსრულობისაგან მოვა სრულებად და არცა წაკვეთისაგან სხვად ნაკვეთად, ვითარ ცისა სხეულთა ზედა, არამედ მუნ არცა მიდრეკად ჟამსა თანა შეკრული და არცა პირველი და აწითი და შემდგომითი, რამეთუ ესე ყოველი ესვითად სხეულთა და სხვად შეცვალეზადთად და არ-იგივეობასა შორის დამსქვეალულთად. ხოლო რომელთა აობად სამარადისო არს, მათი ძალი მოქმედება არს და მოქმედებად ძალ და მიზეზ ყოველთა სირაჲსშორისთა მიზეზოანთა.

და გაქუს სამი, ვითა ითქუა: მიზეზოანი, მიზეზი და უმიზეზო. ხოლო მიზეზოანსა მიზეზი ზესთა არს და კვალად მიზეზსა — უმიზეზოად ამით, რომელ მიზეზი მიზეზოანსა შორის განიცდების, ვისდაცა იყოს მიზეზ და მიზეზოანი — მიზეზსა შორის, ვითარცა მიმართნი, თანშეკრულ ურთიერთობით. ხოლო უმიზეზო ზესთა ძეს ამათ ყოველთა და ითქმის იგი უმიზეზოდ მიზეზად თვისისა სირაჲსად, ვითარცა ხატი ყოველთა უმიზეზოდ მიზეზისად, ხოლო უმიზეზოდ მიზეზობად უზიარებლობასა შორის განიცდების, რამეთუ დაღათუ წარმოაარსებს ერთი სიმრავლესა მყოფთასა, არამედ თანააღურველად დაიცავს თვისსა მიზეზობასა. ვინად მისდავე საბაძავად ყოველნივე ხატნი და ხატის-ხატნი, ვიდრე გაკერპოვნებულისა არსებისადმი. ვინად მოიღე და სახეთაცა ზედა სიტხადე აღმოსაჩინთად.

არს უკვე ცხოველთა მოკუდავთა ანაგები ოთხთა ასოთა მიერ, რომელ არიან კავშირნი ოთხნი. ესე თან-მისცემენ თვისთა რომელობათა ყოველთა მათგან დაკავშირებულთა და აღგებულთა, რამეთუ არიან ცხოველთა შორის ოთხთა ასოთა კავშირნი, ვითარ ცეცხლი, ქვეყანად ჰაირი და წყალი. აწ ესე მიზეზად იპყრენ ოთხნი ასონი ცხოველთად, ხოლო მათგან თანმინაცემნი რომელობანი მიზე-

⁷ ამაზე: პროკლე ფილოსოფოსსავე იტყვის.

ზოანად, და კვალად სიტყვა და მბადებლობითი და ცა — უმიზე-
ზოდ მიზეზად. ვინა აწ იხილე დამკერეტმან, რამეთუ ცხოველთ-
შორისთა რომელობათა, ხოლო კვალად ოთხთა ამათ კავშირთა —
სიტყვა და მბადებლობითი და ცა უზესთაეს და უმიზეზო მიზე-
ზი ყოველთა აგებულთა. ხოლო თანზიარებული ერთისად რომე-
ლისადვე არს და არა ყოველთა წარმოდგომილ. ესე არს ესე, ვითარ-
მედ ნაწილებით ზიარებული რაჟსადვე ერთისადა დაცილებულა და [44]
არს უდარეს ყოველთა პირველისა მიზეზისადმი. რამეთუ ყოველთა
უპირატესი მიზეზი ყოველთადა სწორებით წარმოდგომილ არს, ხო-
ლო ერთი მისდა ოდენ, რომლისად იგი იყოს, ვითარ ნაწილებით
ნაწილებითისადმი. და რამეთუ რომელიმე ყოველთა მიზეზისადმი
უთვისეს, ხოლო რომელიმე დამხე და უშორესრე თვს, ესე არს
ესე. რამეთუ ყოველნი საყოველთაონი ბუნებანი და მიზეზნი უფ-
რო ხატ და უმახლობელეს ყოველთა მიზეზისა და ვითარცა უპირა-
ველესთა მიზეზ წარმოჩენასა შორის, და რაზომითა შორის გამწთომ
შემოქმედებთისა ბადეასა შორის, ეგზომ უთვისეს ყოველთა მიზე-
ზისა. მოილე სახედ, რამეთუ ყოველთა სხეულენათა ცა უფრო
საყოველთაო და უთვისეს ყოველთა უპირატესისა მიზეზისა. და
კვალად ამას სხეულენასა ცასა — ცა სულითი. და კვალად სუ-
ლითსა ცასა — ცა გონებითი, რომელ არს ნამდვილ მყოფი. ვინაჲ
ესე უმეტეს მსგავს ყოველთა მიზეზისა, ვითარ უმეტეს მიზეზი ყო-
ველთა მყოფ წოდებულთასა და უმახლობელესი პირველისა არსთა
წყაროსა. ვითარ რაჲ შემოკლებულად იყოს, საჩინო არს უკვე ერთი
პირველი მრავალთა და კვალად სხვაჲ ერთი, ზიარებული შორის
მრავალთა, ერთბამად ერთი და არერთი, რომელი მითესულა და გან-
წვალებულ შორის მრავალთა. ხოლო თანზიარებულნი არერთ და
ერთ.

გესმა აწ კვალად, | და შესწავებით უწყოდე, ვითარმედ სამ [45]
სახე არს ხედვაჲ ერთისა: ვითარ ზესთაჲ პირველისა, რომელი ზეს-
თა ძეს ყოველსა გასაზიდსა რიცხუთასა და არცა რას ეზიარების
პირველ თვისსა და არცა რაჲს იზიარებს შემდგომად თვისსა, რაჲ-
თამცა განიწვალა მათადმი. და კვალად არს სხუაჲ ერთი, ხილული
შორის სიმრავლესა და თანგანწვალებული სიმრავლესაჲ თანა.
და კვალად სხუაჲ ერთი თითოეულსა ოდენ თვითებასა შორის იხილ-
ვების, რომელთა ამათ შესატყვი სახელი ერქუმის: პირველსა —
ზესთაჲ მრავალთაჲ, ხოლო მეორესა — შორის მრავალთაჲ, ხოლო
მესამესა — ერთი თვითებასა შორის გეარათასა, — რომელნი პირ-

ველმან კვამან ზესთერთისამან გასაზიდავსა შორის სამარადმყოსასა დამსკუალნა.

მერმეცა აღჩინაჲ, ვითარმედ, რაჲ არს მიზეზი და მიზეზოვანი. თავი 30

[46] ესთა ხედვაჲ მწვერვალ ღვთისმეტყველისა მეცხრისა სიტყვი-
ლა, მყოფთა მხედველნო. არ თანშესიტყულ ჰყოფს საღამე დიდი იგი
მიზეზსა და მიზეზოვანსა⁸. ხოლო აღრსა(!)უმოქენოსა მოქენისად-
მი მისცემს სილიგიზმოსა, ხოლო დაუცილებს თანშესატყვისაგან,
ვითარ აღმბაქველსა ზესთ-პირველისა არსთა წყაროსასა. ამასთან
წარმოდგომილ სიკეთე, ვითარ რეცა პირველისა გონებისად, რომე-
ლიცა აკეთილებს თვის ქვეშეთა, რომელთა ვიცნობთ არსებითისამებრ
ხატისა კეთილობით და სხვათა შორის ბინდებრ ზედშემოსულად,
ვითარ მეკუდთა და ხრწნისა თანშეკრულთა. ხოლო რაოდენ არს
საწაღსა მწაღეჲ, ეგზომ აღარ იყოს მშორავთა საწაღისთა. გარნა
სირაჲსა შინანი, იმეცნებოდედ რეცა ხატ და ხატის-ხატ, და ამით
აქლოს და შორს განზიდულ ესენი სატრფოსაგან. ხოლო თუ მკი-
თხავ: ესე ვითარ არსო? მე გითხრა შენ ესთა ხედვაჲ: რაზომცა
აქდეს ხატი პირველი და არა ერთი უპირველესსა მას ხატსა, ეგზომ
სხვათა წარმომაარსებელ და ძლიერ მიზეზ. ხოლო საშუალობით
ზიარებულნი უმსგავსო მიზეზისა. და სხვაჲ არა რაჲ, არამედ თქვა,
თვითკეთილობაჲ.

თუ რაჲ არს არსებაჲ, ანუ აჲ, ანუ მყოფი. თავი 31

[47] არსებაჲ და მყოფი და აჲ განყო ურთიერთას სამღთომან მზე-
მან⁹ ქართველთამან, ღვთისმეტყუელმან ჩემმან. თქვა, ვითარმედ:
აჲ და მყოფი და არსი სხვა და სხვაჲ არსო. ესთა ხედვაჲ, რამეთუ
არსებასა თანმოაქვს თვისი უკვე საზღვარი, ვითარ-იგი გვისწავიეს
ცა: არსება არს თვითმდგომ არმოქენეჲ სხვისა თვისდა მამყოფებე-
ლად, ვითარ ზედმოსრულთა, რომელი შემთხუევეითად თქვეს პე-
რიპატოსგამოთა, ვითარ მხედთა ბუნებითისა ოდენ სხეულისათა.

⁸ აშიაზე: დიდსა პლატონს იტყვის.

⁹ აშიაზე: პეტრიწსა იტყუს იოანეს, პლატონურსა ფილოსოფოსსა.

ხოლო დიდ პლატონ თვით მათ შემთხვევითათვის თქვა არსებდა ნამდვილ ნამკისა და ნამდვილ არსსა შორის, რამეთუ მუნ მორთულობაა არს არს და აქა შემთხვევა; მუნ სამნი ესე განსაზიღნი და ფერნი და ნაკვეთნი არს არიან და უსხეულო, მაგრა აქა ზედშემოსრულ და შემთხუევა; მუნ ხუთ ტომად აღავლენს, ვითარ არსებად, თვითებად, სხვაობად, დგომად, მიდრეკად. ვინაჲ ამათ, ვითარცა ტომთა და არსთა, დასხამს გონებითსა და გონიერსა შორის აღმკულსა. ხოლო ყოველსა მის პირველისა არსისაგან წარმოაჩენს. და ყოველსა გვარსა და თვითებასა გვართასა მის პირველისა თვისებისაგან წარმოაჩენს. და ყოველსა გვარსა და ვითარებითსა თვითებასა გვართასა პირველისა სხვაობისაგან წარმოაჩენს. და ყოველსა გებასა იგივეობასა ზედა პირველისა დგომისაგან წარმოაჩენს; და ყოველსა შემოქმედებითსა დამბადებითსა აღძრვისა პირველისა მიდრეკისაგან წარმოაჩენს. ვინა აწ იხილენ განმცდემან, რომელ რაჲცა რაჲვე ბუნებითთა ხედვათა შორის ზედშემოსრულად და შემთხვევითად ხედო, მუნ არს და ტომ არს.

[48]

ხოლო მყოფი ოდეს სთქვა, ვითარ-იგი თქვა არისტოტელის, საზიაროსა ნიშნავს სახელსა — არსისა და შემთხვევითისასა. მყოფი უფროს ვიდრემე არსისა, რამეთუ უმეტესთა არს შემცველ, მაგრა არა თუ, ვითარ არსებდა არსთა ქმნულებისა. ხოლო აჲ რაჲთალა განეყოფის მყოფსა და არსსა? იხილე მექვერეტმან, რამეთუ ოდეს არსი, ანუ მყოფი სთქვა, მყის თანავე გვარსა წარმოაყენებ ხედულისასა, რაჲცა რაჲვე იყოს განცდად ხედული იგი. ხოლო რაჲამს სთქვა ოდენ აჲ, კნიშნავ მარტოდენ განყოფილსა არაობისაგან. და რეცა თუ ათა შორის წარმოაჩენ, მაგრა უგვარად და პირ შეუპყრობელად, და მერმე უკანაჲსლა ზედა დაირთავს კითხულის სახედ ასა, ვითარმედ რაჲ აო? და მიუგებ თანგანვლით, ვითარმედ: ცეცხლი, ჰაირი, ანუ გონებდა, სული და ესე ვითა რაჲვე გვარი მყოფთა.

რაჲ მაზიარებელი და რაჲ ზიარებული. თავი 32

[49]

მზიარებელისა და ზიარებულისა ხედვად ესთა კმა ჩვენდა აწ სასიტყველსა შინა წინდადებულსა გვარსა. მზე იგი და წყარო კეთილობისა, რომლისა მიერ იერთა ერთმან კამან და არაერთმან

კეთილობამან, რომელ არს არსებამ და ანაქესი ნამდვილ მყოფისა, რომელიცა ითქმის უკვე მზიარებელად ნამდვილ მყოფისა ერთობისათვის ოდენ თან მიცემითა და ზიარებულად მისდა მოღებისა ნამდვილ მყოფი იგი. მაგრა არა რეცა თუ არისტოტელისა „ორდანოსა“ სახედ იყოსმცა მზიარებელი იგი წმიდად და ზიარებული, რამეთუ მზიარებელისა და ზიარებულისა გვარი — ესთ არისტოტელისამებრ „ორდანოსა“, რამეთუ რაჲცა აქუს უსაყოველთაოესსა, რომელ არს უზემოესი თანმიცემამ კერძოსა თვისისა, რომელ არს უქვემოესი, რამეთუ არსებასა რაჲცა იგი აქეს ძალით, აქუს უკვე მშვიინველსა მოქმედებით, და ეგრეთ ძალითნი მშვიინველისანი ჰქონან სახეთა მოქმედებით. თანმიცემამ არს და არა თანმიღებამ მზიარებელობამ ნათესავთაგან სახეთა, რამეთუ თანამიცემად ითქმის სა|ხეთად, ვინათგან შენადგი ყოვლობისა მოეცა მათ მკვიდრად ნათესავთაგან ბუნებით უპირველესთა, რამეთუ მათ მიერ აღმოასრულეს სახეთა თვითებამ თვისი, რაჲსაცა არიან მქონებელ. ხოლო თანმიღებამ ნათესავთა სახეთად წინა-უკმო არს, ვითარმედ რაჲთამცა თან-მისცა და თან-მიიღო უპირველესმან უმკროსთაგან, ვითარ ოთხთა რომელობათა, ვიტყვი უკვე ცეცხლისა, ჰაირისა, წყლისა, ქვეყანისა, ურთიერთარს თანმიცემიხა და თანმიღებისა, რომელნიცა არცა ერთი არს მეორისა უპირველეს ბუნებით, არამედ თან-მისცა უკვე თვითება თვისი უპირველესმან შემდგომსა, და არა-რაჲ მიიღო მის მიერ.

[50]

ესე ზიარებამ არს მზიარებელისა და ზიარებულისა, რამეთუ იზიარნა მიზეზმან, ვითარ უპირველესმან ბუნებით უკვე და ეზიარა მიზეზოვანი მიზეზსა თვისსა, რამეთუ წარმოჩენელი, რომელ არს მიზეზი, ჯამს მისდა, რაჲთა იზიაროს მიზეზოვანი, რომელ არს მის მიერ წარმოჩენილი; ხოლო მიზეზოვანისა, რომელ არს წარმოჩენილი, ჯერ-არს, რათა ეზიაროს, ვითარცა უადრესი უმჯობესსა თვისსა. ესე წოდებულ უპირველესისა მიზეზი, რომელ არს წარმოჩენილი და მიზეზი, ხოლო წარმოჩენილისა და მიზეზოვანისა ზიარებამ განვმარტეთ. მერმეცა|ვიტყვიეთ უწყებად ტრფიალთად-მი სწავლისათა, რამეთუ ურთიერთარს ზიარებამ შორის თანასწორთა, რომელ არს თანმიცემამ და თანმიღებამ, ვითარ ოთხთა რომელობათა, ხოლო უპირველესთა და შემდგომთა მზიარებელობამ და ზიარებულებამ ესთა ვისმინეთ პლატონურთაგან გამოთქმათა.

[51]

ყოველთა რამთავე კეთილისა მზიარებელთა ეწინაებისო პირველი კეთილობამ, — იტყვის ღვთისმეტყუელებისა დრასტირიო¹⁰, — რომელი არა სხვამ რამემ არს, გარნა[თვი]თკეთილობამ. იგი დაუზევდა სადამე ზესთმყოფობასა და რომელი-ესე იზიარა, კეთილ ყო და ზიარებული მისი კეთილობავე არს, წარმოდგომილ ბუნებასა და ძალსა და შესაბამსა თანა ბუნებისასა, არსი რამემ ზიარებთა მზისათა კეთილობისა მიმღებელი. რამეთუ რომელთა იკეთილნეს ზიარებთა ოდენ კეთილისათა, პირველ სხვათა მის რომლისამე ბუნებისა თანშეკრულთა, ხოლო მერმელა — კეთებულთა.

მზე იგი უმწვერვალესი კეთილობისა არ თანშეკრულად| დაუ- [52] ზევდების ყოველსა, რამეთუ არსნი წყურილით შესტრფიან მას, ვითარ საწაღსა და გულისსათქმოსა, ვითარ მეტრფენი — სატრფოსა, ვითარ იმრსა და მეზესთაესა მზესა. უკეთუ მზე — ნაწილ მყოფთა, ანუ თუ იგივე — მზე და მყოფი, არღა ვიდრემე მყოფი ტრ. უკალ მისდა, რამეთუ თვით იყოს კეთილობამ, კეთილობამ უკვე სდევს მსესა მას არა თუ ვითარ სავლტოსა, არამედ რამთა თან-მიილოს. ხოლო იზიაროს უსრულესმან მან და კეთილ ყოს, რამეთუ ესთ დევნამ მეტრფისა სატრფოსადმი. არა არს მყოფთა ეს, თუმცა არ ემდევრა ზესთა დაზევებულსა მყოფთასა, რამეთუ დამჯდე არს მაშინ თვისისა არსებისა და უარ მქმნე თვისისა აობისა.

ვიხილოთ პირველ რაობამ კეთილისა ანუ კეთილობისა, გარნა გუასწავებს სოკრატი „ფედროს“ შინა, ვითარ პირველსა წყაროსა და ერთთა წარმომაყენებელსა ზესთასა გონებათა მზესა, ზესთ მარტივისა საწყურსა ნამდვილ მყოფისასა, განყოფილსა კეთილისაგან, რომლისა საზომი აღზარისხებულ და ესთა დაფუძნებულ არსო თავსა კეთილისა ხარისხთასა — თვითერთი იგი კეთილობამ. იტყვის: ყოველი ბუნებამ შორის შედგმასა და მორთულობასა. ხოლო პირველი შენადგი და პირველი მორთულობამ| — ანაქსი [53] და არსებამ ნამდვილ მყოფისა. ესე ზესთ ნამკი იმყო და მორთო ზესთა მზისაგან, ვითარ ტაძარი კელოვნისაგან გონიერისა. თქვა თვით მანვე „ფედროსა“, რამო ურჩეულეს მყოფთა სილიგიზმითა უნარნარესი? ესთ ეცვიფრა ნადაშთა მათ ზესთ შევნიერებათა

¹⁰ აშიაზე: პროკლე ფილოსოფოსსა იტყუს, მოადგილესა სამღთოსა პლატონისსა.

პირველისა რთულისათა, სადა იწყო პირველმან წყობათა ყუავილ-
მან მის უსრულესისა კელოვნისაგან წარმოდღებად გონიერთა
გვართა, რომელსა უქუნსაქცო და სატრფოი აქუს თვისთა და ზეს-
თა — ზესთაუსრულესი იგი მზე. ჰკადრა მას სოკრატი სათვითოცა,
ვითარ მინცეჴსა თვისთა თვითებათა ყოვლ მეტრფეთა თვისთა,
აღმაჰ[ა]ზვრელი რეცა შეპყრობად და თანმიღებად თვისდა, დამა-
თრობი მათი მყოფთა ნექტართაგან და დამამტკიცი მათთა აკმეთა
ანვროსიათა მიერ. ხოლო არცა ჰყოფს თანმიღებულ, რაათა არა
განიჰრას მწადეთა წადილი, არცა უოცნოსა მეზესთაობისა თვისი-
სად შეიმეცნებს. თქვა კვალად გონებისათვის და სულისა, დევნაჲ
საწადთა დაიპყრან რა, თანწარყდენ და სხვისა ცნობაჲ იმეცდინონ
ცნობად. ამისთვის დაუცნაურდა აობასა შინა სილიგიზმოსასა, ვი-

[54] თარ იტყ|ოდა ღვთიემეტყვეთა ვინმე: იძულებაჲ ღვთისა საწყურთა
ამქმელ მყოფსო და დამიცილებს შობად. და კვალად ზედა დართავს:
„შობად დავიცილეო“. გესმაჲ, რამეთუ ყოველი შობაჲ ნიშნავს
წარმოობასა ნაშვისასა, ვითარ გონებაჲ გასაგონსა. გარნა ხედვაჲ
მზისა მის არ ესთა. რამეთუ სწადის შობად მგონებელსა და წარ-
მოებად გაარსებულსა, არამედ ვერ ეკმა მას, და ესე გამოუთქმოჲ.
არ უტევებსო მეტრფესა იძულებათაგან შობისათა დადგომად, რა-
მეთუ ეამქმელების უსქეტო ტრფობაჲ და ვერცა შობს რაესავე
სილიგიზმოთასა და ესთ გამხედველობით სწყურის და ელმის და
სურის მის ერთისადმი.

ზიარებული კეთილობაჲ ნაწილებითი არს და არ — მარტივ კე-
თილობაჲ, რამეთუ თვით მის პირველისაგან მზისა მიიღებენ მყოფ-
ნი გაკეთილებასა, ერთ-ქმნასა თვისთა თვითებათასა და კეთილ მათ-
და ერთ და იგივე ერთი და კეთილობაჲ, რამეთუ სადაცა მიჰყარნა
ერთმან თვისნი ერთებრნი ნაკადნი, მუნ იერთ-იკეთეს მისთა შემ-
წყენარებელთა. ესე არს ესე, რამეთუ რაჲცა მისცე სილიგიზმოსა,
არს ანუ გონებაჲ, ანუ სულ, ანუ ბუნებაჲ, ანუ ცაჲ. და ესე ყო-

[55] ვცლნი ერთქ|მნილ და შედგმულ ნაწილებით და განნაწილებულ,
ესრეთ მიმღენი კეთილისა და ერთებრივობისა. ხოლო თანგანელის-
სახედ ვშვერით ამას ზედა, რაზომ ერთობაჲ მათდა გაკეთილებაჲ
და რაოდენ გაკეთილებაჲ ერთობაჲ. ხოლო თუ დართავ კეთილო-
ბასა, აკნინებ, ვითარ-იგი, რაჲცა დაპართო ერთსა, არლა საღამე უზა-
ლო ერთი. ეგ სახედვე რაჲცა დაპართო კეთილობასა, ამცირებ მას.

ყოველი უმოქენომ სრული უპირველესსა მარტივსა კეთილო-
ბასა უდარეს არსო, — იტყვის ფილოსოფოსი, — რამეთუ რო-
მელსა უკვე თვის შორის მოეგოს კეთილობა, ესე სრული და
უმოქენომ, გარნა მზისა მის კეთილობისა არ თან-შესიტყულ და-
ზევებულისა მის ყოვლ-ზიარობასა და სრულობასა. სრულმან სადა-
მე თუმცა აღავსო თავი თვისი, იყოს-მცა აღვსებულ ზესთესრუ-
ლესისა. არმოქენე ვისდა მზე კეთილობისა. ხედავა, ვითარ სრუ-
ლი შედგა ნაწილებთაგან, ზედ დამრთველი სხვისაგან დასაბამსა [56]
სრულობისასა? რეცა ნამდვილ მყოფი მზისაგან ერთისა, ორთაგან
ერთის გამოთა წყაროთა შენადგი, განსიტყულ პირველ არსად და
გვართა გვარად პირველისა მის განუსიტყველისაგან მოუკლებელი-
სა ძალისა და უსაზღვროსა ამით ორთა დაზავებითა შედგა, სრულ-
იქმნა მითესვითა მზისა ერთებრთა აჩრდილთათა. ხოლო კენტოროდ
იგონებდ ერთებრისა მიზეზად მზესა მას. და მზამ ნუთუ გზამ
ესე გამოუთქმომ, ვითარმედ გაურთერთარსებულად ესე ორნი მყო-
ნი მყოფთანნი, რომელთაგან იწარმოეს გვართა. გარნა უიგიომ იგი
იგი, სახილავსა შინა სადამე გვარსა, არამედ მას და მასი გაბუნე-
ბებულთაგან. ხოლო ნაწილთა და ყოვლობათა სადა არა აობამ,
არცაღა იგი-სა და მასი-სა ლექსეანი, რამეთუ შემდგომთაგან გვიც-
ნიეს მისი და იგიცა, ვითარ-ესე აღმოიჩინების, ესთა ეზესთაების
მზე იგი. ხოლო სხვა სადამე კეთილობა და სხვა-კეთილი, რამეთუ
ვითარ უკენომ კეთილობამ, ხოლო კეთილი ვითარ ცვარნი, გარნა
არ ყოვლობამ ნაწილთა ჰგონო მზისა მის, რომლისად აკადრებულ
მარტივ და უნაწილო და დაუზავებლობამ. ესთა ყოვლობამ კეთი-
ლობისა სცან, ვითარმედ ყოველი სრული ტრფის სადამე, მასრუ- [57]
ლისად, გარნა უსრულესი იგი მზე, ვისდამცა იტრფობს, უკუნ-
საქცი და საწყურნი არსთა წადილისა და ღმობამ ხედვათა და-
კლებისა.

თუ რამ არს არსებამ ანუ ვითარ მოიგო შემთხვევითმან
მის შორის ყოფამ. თავი 35

თქვა არისტოტელი: არსებამ არსო უმოქენომ სხვისადმი შე-
მტიცებად, თვით მყოფი საქმე. ხოლო რომელსა ვიპყრობდეთ რამ

პოქმედებითა გონებისათა, ერთსა და მყოფსა თავით თვისით, რომელსა არა აქუნდეს ყოფიად სხვისა შორის, უეჭველ არსებამ არს იგი. ამისი უკვე გამოთქმამან პლატონურმან წოდებულ-ყო ნამდვილ მყოფობამ მრავალდალექსვით და პირველ კეთილობადცა და სრულად და ერთებრივად შენადგად ერთთაგან. ხოლო რომელნიცა წარმოდგეს არსებისაგან და იმკნეს და მოიბრუნეს კეთილობანი, იგინიცა წოდებულ არსებად. ხოლო დრკა¹¹ არსებამ ვითარებისა შორის მყოფად ბუნებად და სხვა იქმნა თანამონათესავეთაგან, და მრთველი თვისსა ზედა საზღვარსა შემატებუ|ლთა ლექსთა. სოლო შთამოქანვამან¹² ესთა არსისა ბუნებისამან განზიდვად მოიგო რიცხვთა სიმრავლედ, არ შესაძლოთა აღრიცხვსა შორის შემოსულისათა. და ესენი ერთისა და მისვე არსებითისა სახისანი, შესვლამან მათ ზედა შემთხვევითთამან განყუნა და სხვაებრობად მიჰყარნა მათ შორის. აჰა, შევიდა უკვე შემთხვევითი არსებებსა ზედა და მოიგო არსებისა შორის ყოფიად. ნულუმე ჰგონოს ვინ შეცვალვებამ არსებისა შესვლითა მის ზედა შემთხვევითთა, სცთების იგი, რამეთუ ზედშემოსრული არცა ყოფითა აცხოვნებს და არაყოფითა არცა ხრწნის ქვემდებარესა თვისსა. ესე არა საზღვარსა შინა მოიგენა ვინ გარეშეთამან და არცა სანატრელთა მამათა. მოიგო არსებამან საკუთრად არა ყოფიად სხვისა შორის, რამეთუ თვით ექმნა ქვემდებარე მის ზედა შესრულთა. ამისთვის სხვაებრობამან ქვემდებარენი არცა ყოფითა აცხოვნა და არცა არაყოფითა დააკლო ცხოვრებისაგან. მაგრამ სხვაობამან ქვემდებარე თვისი მის შორის ყოფითა აცხოვნა და არაყოფითა დააკლო ცხოვრებისაგან. პირველსა უკვე დანიშნვასაშინად სხვაობამ არა ცვალეობისა შინა გვარსა, რამეთუ არა სადა შეიწყნარამცა კაცმან უსიტყვობამ და არცა ირემმან სიტყვიერებამ, გარნა მეორისა დანიშნვისაშინამან სხვაობამან ქმნაცა ვითარებამ, რამეთუ განუკუთეთლმან კაცისამან. ანუთუ სხვისა მშვინველისა სახისამან შეიწყნარეს სნეულებაცა და სიმრთელე.

11 აშიაზე: ნულუმე ნამდვილ მყოფი ჰგონო შენ ესე არსებამ, გარნა სცთობი.

12 აშიაზე: არა თუ მხოლოდ გვთქვამს ესე ნათესავისათვის მშვინვიერისა და სახეთა მისთათვის, არამედ ცხოველთათვისცა, არმგრძობელთა ნერგთათვის და უსულთა და სხვათა ესთა გვართა, რომელთა ზედა შევიდა შემთხვევითი.

საზღვარი ბუნებით უპირველესისა, გვასწავა არისტოტელი, — თანშემომღებლობა და არა თანაშემოღებობა. ამან თანაშემომღებლობამან და არ თანშემოღებამან მიზეზ და დასაბამ და ძირ და მკეთებელ თანგანვლის სახედ აღმოაჩინა ბუნებით უპირველესი იგი მის ქვეშეთა. ხოლო მერმეცა უაღრესობაა ბუნებით უპირველესისა გამოვეჩინოთ, რამეთუ მოსპო რაა ბუნებით უპირველესი იგი, და კერძონიცა მისნი მყის აღვკვირებ ესე სახედ, რამეთუ ოდეს მშვინველი არღარა, სადაღა სახენი მისნი? არსაღა. გარნა თუმცა მოაკლდა სახე კაცისა, ეგოს საზღვარსავე თვისსა ზედა ნათესავი მისი ცხოველსა შინა, მკერძობელსა არსებასა. თან-შემოილო მშვინველმან კაცი და ეგ სახედვე სხვანიცა სახენი მშვინველისანი, გარნა კაცმან თან-შემოღებობა ვერა ქმნა კანჯართა, ანუ შველთა და მიხებრთა სახეთა. ესე ბუნებით უპირველესისათვის კმა ჩვენდა სიტყვად აწინდელისა ფილოსოფოსებრისა სიტყვისა.

[60]

თუ რაა არს ბუნებობა. თავი 37.

არისტოტელი გვასწავა სიტყვად ბუნებისა, რამეთუ სამღთოდ დამასკელი იტყვის გარდამოცემასა შინა არისტოტელის შესმენათასა: ბუნებობა არსო თითოეულისა მყოფთაგანისა დასაბამი ძრვისა და მყუღროებისა, ვითარ რეცა მოძრაობს ქვეყანაა აღმოცენებად მცენარეთა და მყუღროებსცა, რამეთუ არა იცვალეების სხვად აღვიდ. ნუჟუმე ჰკონოს ვინ შემთხვევითად ძრვისათვის და დაცხრომისა ბუნებობა. სკეთების იგი. პირველი უკვე არსებობა, რომელსა ჩიტყვამან პლატონიკელთამან დანატრა ნამდვილ მყოფად მის შორის მყოფთა სირაბთა, დრკა რა წარმოწყარობად და უფროს წარმოდღებად მრავალგვართა გვართა მოქმედებითა მზისა მის კეთილობისა მიერთა და განსახეებულ-ყო ბუნებანი ნამკნი — სულად და გონებად და სფეროდ და სხეულად. ხოლო მყუღროებდა შემდგომად წარმოარსვისა — ესე ცვალებად სასხვებროდ¹³ ითქმისა. ხოლო უკეთუ თქვას ვინ მარადის წარმოარსებად მის მიერ შემკულებანი გვართანი, ცთომი არს, რამეთუ ესე უსქეტოდ სქესი ყამსაშინადასა მოქმედებისა არს არასაღა, არამედ უყამოდასა წყაროსაგან ნათლისა

[61]

¹³ ხელნაწერშია: სასახვებროდ.

წარმოიშობება ბრწყინვალეებისა და შარავანდედისა უფროსდა, რამეთუ ესე აკადრებულ არს მისდა და არა ნაქმთა ზედა არსთა. სხვა სადამე ბუნებად არსებისაგან, ხოლო ვითარ სხვადა არს, აღმოვაჩინოთ ესე. ესთ უკვე სხვადა არსებად და ბუნებად, რამეთუ არსებად სადამე უვითარო, ხოლო ბუნებად ვითარებისა მიერ გაკეთებულ, ვითარ კაცი სიტყვიერისა მიერ ვითარებისა დაგვირგვინებულ. არსებასა უკვე აქუს ძალით ვითარებად, რადასობისა შორის შესმენილსა. ხოლო განზიდვა რაა იმოქმედების სახეთა არსებისათა, აღმოჩენილ სახეთა შორის მოქმედებით სიტყვიერებად.

რაა არს ხატოვნებად. თავი 38

✠ ხატოვნებად არსო სხვაობათაგან არსებითთა რეცა ხატოვან-
[62] ქნნილი, და სახედ წა|რმოჩენილი არსებად, — თქვა საღმთომან მოძღუარმან დამასკელმან, გარდმოცემასა შინა არისტოტელის შესმენათასა. ესე დანიშნავს დასასრულსა სახესა. არსებად უკვე, დახატულ რეცა ხატოვანქნნილი ცხოველისა და მგრძნობელისაგან სხეულისა, აღმოასრულებს მშვიინველსა, ხოლო კვალად სიტყვიერისა და მეკუდისა მექმი მშვიინველი არსებად დაკაზმავს¹⁴ სახესა კაცისასა. და ესე წოდებულ იქმნების ხატოვნებად, ვითარ რეცა ხატოვანქნნილი არსებად.

რაა არს გუამოვანი და რაა უგვამო. თავი 39.

ჰნიშნავს უკვე ორსა სახელსა გუამიცა და უგვამო. ხოლო
ჰნიშნავს მარტივსა აობასაცა, რომლისა გამო, ნუუემე მხოლოდ
მარტივსა არსებასა გვამოვნად მივხედავთა, გარნა არსებასა ზედა-
შესრულსაცა გვამოვნად? ხოლო მერმეცა ჰნიშნავს თვისგანსაცა
გვამსა, ვითარ განუკვეთელსა. გვამოვნად უკვე ცნობილ სადამე
[63] ბრძენთაგან სახეცა, რომელ არს|ბუნებად, ვითარ რეცა ერთისა
ბუნებისა გვამნი, არ შესაძლონი შეგნებად, რომელთა შინა ერთ
და იგივე სახე. კვალად გვამოვნად ითქმის ბუნებად სხვადა, სხვისა
მიერ მიმხუმელი გვამისა, ვითარ კორცნი სამლთონი სიტყვისანი,
რომელნი სიტყვისა შორის სამლთონსა გუამისა შეერთებულად

¹⁴ ხელნაწერში: დაკაზმავს.

აღიარების. მერმეცა უგვაგამო ორგვარად ვისწავეთ, რამეთუ უგვა-
მომან გვაჩვენა არარაფთ არასადა მყოფიცა და შემთხვევითიცა,
რომელსა არა თავით თვისით, არამედ სხვისა შორის აქვს ყოფად.

რად არს გვამი. თავი 40

თქვა არისტოტელი: გვამი არსო ბუნებაჲ სიტყვიერი, არსე-
ბაჲ განუკვეთელი და ქვემდებარეობაჲ უზიარებელი. კვალად გვამი
ვიდრემე არს განთვისებით მდგომარე შემტყიცებით არსებისაგან
და შემთხვევითთა, რიცხვითა განყოფილი თანამოსახეთა თვისთა-
გან. ჰნიშნავს გუამი მარტივსაცა აობასა, ვითარ რეცა არსებაჲ,
და ამისთვის თქვა სანატრელმან კირილე: ბუნებანი, რომელ არიან
გუამნი. და კვალად თქვა: მხოლოდ ბუნებაო ოდენ სიტყვისა, რო-
მელ არს გვამი. ნიშნავს უქვე გვამი თვისაგან ნდგსობასაცა [64]
შემტყიცებითსა, რომლითა გვაქვს ცნობაჲ სცხადით განუკვეთე-
ლისა სხვისა სხვათაგან, გარნა რიცხვითა ოდენ, ვითარ-იგი სოკრა-
ტი, პლატონ და სხვანი.

აღმოვაჩინთ, ვითარმედ არცა არსებაჲ, არცაღა სხვაობაჲ არსე-
ბითი, არცა არსებასა შესრული, არამედ მხოლოდ გუამნი ოდენ ვი-
ზილეთ, ვითარ რეცა განუკვეთელნი, რომელთა შორის შესმენილ
არს არსებაჲ, და არსებითი სხვაობაჲ და სახე და თვისი და შემ-
თხვევითი. ერთ და იგივე სიტყვითა არსებისათა ყოველნი ერთისა
ბუნებისა გვამნი და განუკვეთელნი, ხოლო სხვანი სიტყვითა არსე-
ბისათა სხვისა ბუნებისა გუამთაგან და განუკვეთელთა. ხოლო თა-
ნამოსახეთა თვისთაგან განეშორნეს გვამნი და განუკვეთელნი ურ-
თიერთარს, რომლისა გამო მიიღო შემთხვევითმან საკუთრად წო-
დებით გვამოვნებაჲ.

რად არს პირი. თავი 41

პირისა მეცნნი ვასწავებთ თვისთა მოქმედებათა გამო და თვი-
თებათა სიცხადით ერთთომთაგან განსაზღვრებულისა შესმენისა
მომცემელსა ჩვენდა. ვითარ გაბრიელ წმიდისა ღვთისმშობელისა [65]
მიმართ მსახურად ხარებისა სამლთოსა საიღუმლოსა ერთი იყო პი-
რი, მზრახველი ქალწულისა და არა ყოველი სიმრავლე თანმოსახეთა
მისთა. ამის გამო სანატრელთა მამათა გვამსა და პირსა და განუ-

კუეთელსა იგივე შესმენად მოუგეს, ვითარ თვისაგან მდგომარეთა და შემტკიცებულთა ერთისაგან ზიარებითისა ბუნებისა.

რად არს განუკუეთელი, თავი 42.

ოთხგვარად ასწავებს არისტოტელი მეძიებელთა განუკუეთე-
ლისათა შესმენასა მისსა. და ესთა ხედვად ოთხგვარობისა ამის,
ვითარ წერტილი და აწი და ერთი. ესენი არა განკერძობითსა და
არცა რაოდენობითსა შესმენასა ქვეშე არცა ერთი. კვალად მეო-
რითა გვართა განუკუეთელი ძნიად განსაკუეთესა რასამე ზედა მოი-
ღების, ვითარ-იგი აღამასი ქვაძ ძნიად არს განსაკუეთელ და ესთა
სხვანი. მესამე გვარი განუკუეთელისა შესმენილ, რამეთუ ნათე-
სავი რა განიკუეთა სახეთად, მერმეცა სახე განუკუეთელთად. მაჰრა
[66] | განუკუეთელი არცა სახეთად და არცა განუკუეთელთადმი განკვე-
თილ, რომელი მხოლოდ არს შესმენილ. კვალად განუკვეთელი ვი-
ციოთ უკვე მეოთხისამებრ გვარისა, რომელიცა შემდგომად განკვე-
თისა არღარა სცავს პირველსა ბუნებასა თვისსა, ვითარ პეტრე შე-
მდგომად განკვეთისა არღა მიიღო სრულებად ბუნებისა, რამეთუ
პეტრე არა სულ და უფროს არღაცა ორღანო ცორცისა. ესე მყოფ-
თა მხედველთა მიერ გვამისა თანაშესიტყულ არს, სწავლისქვეშენო.
მესამე უკვე და მეოთხე გვარი განუკუეთელისა ფილოსოფოსთა სა-
განმზრახოსა ეზოსაგანი არს.

რად არს მიუღრეკელი, რად — თვითმიღრეკი და რად — სხვისა
მიერ მიღრეკილი, თავი 43

არსთა აგებულებად ყოველი აობისადმი სამტომადისა განი-
ყოფის. ხოლო სამტომობად იგი არსთა ანაქესისა ვიტყვივით გან-
მარტებად და თანგანვლის სახედ აღმოვაჩინოთ იგი. სამთა ამათ
სქესთა შორის არს პირველი ტომობად მიუღრეკელობად და მეორე
მიღრეკი და მესამე მიღრეკილი. გარდავდვათ უკვე მიუღრეკელი
[67] | გვარი მარად მყოსა შინა აობ|ასა აღჩენილი, რომლისა გამო იწარ-
მოებიან ყოველნი ბუნებანი გონებისანი, ვითარ სამარადმყოფსა და
თვით ცხოველისა და გონიერთა¹⁵ და გონებითთა, ხოლო მერმეცა

¹⁵ აშიაზე: გონიერთა რად გესმას, ავამხედველ თვალი სულისა, თუ რომ-
ლისა მიმართ დანიშნულისა აობისა ითქვა.

გონიერთა ოდენ, სადა ზევს, დია და არეად გამოჩნდეს დასას-
რულსა გონიერთასა; ხოლო შემეცნებაჲ გაქუნდეს ამის ხატისა,
რომელ გონიერთა გონებისა დაუზევდების სფეროჲ, ვითარ საგონ-
ნებოჲ და გასაგონი მათი. აწ უკვე დადებამ ართრონისა ამის, თუ
რად არს, რომელ ნიშნავს პირსა მეორესა, ესთა ვითარმედ ოდეს
თქვა — სული, და ოდეს — სულიერი. ეგ სახედვე გონებამაცა
და გონიერი. რამეთუ სხვად სული სულიერისაგან და ეგ სახედვე
სხვად — გონებამ გონიერისაგან.

ხოლო აქა განყოფილნი სამ სქესად: მიუდრეკელი და თვით მი-
მდრეკი და სხვისა მიერ მიდრეკელი გამოჩნდეს. მიუდრეკელობაჲ
ყოველთა გონებათა და გონიერთა შორის დამსჭუალულ, რომლისა
არსებაცა და მოქმედებამ მიუდრეკელად და ზესთ ყოვლისა ცვა-
ლებისა და მიდრეკისაგან, რომლისა თანაარსებულა ინდალმა თვით
ერთისა მზისა შარავანდოსა. აქა თვითმიმდრეკელობისა ძალი და-
რდა არსებასა შინა სულისასა. მაგრა საუწყო არს ესე, | ვითარმედ [68]
რად არს თვით და თვისგნით ქონებამ მიდრეკადისა ძალისა. ესე
უკვე არს ძალი ცხოვლობითი და ვითარ წყაროჲ ცხოვლობისა,
რამეთუ სადაცა მიეფინოს მწვერვალი სულისა ნაკადთა, მუნცა
ცხოველ და მოქმედ მიმდრეკელ ყოფისა, ხოლო თვითმიმდრეკი
ამისთვის, რამეთუ არავისგან მიიღებს ცხოველობითსა ყოფასა და
აქუს თუმცა მადლით მიცემულ, არამედ ბუნება არს მისა იგი,
ვითარ ბუნებამ ნათლისა სინათლე, ესთავე ბუნება სულისა ცხო-
ველობამ.

ესე პლატონცა დიდმან აღმოაჩინა ამის თვით-მიმდრეკელობისა
მიერ უსხეულოდცა და უკუდავად, რამეთუ პლატონ უღირს ჰყოფს
ბუნებასა სხეულთასა, რადსავე მოგებად თვის შორის ძალისა ანუ
მოქმედებისა. ხოლო თვით მას სხეულსაცა ცისასა ბუნებით, ვითარ
მარტივად ოდენ სხეულისასა, უცხოვრებო და უქმ ყოფს მეტყველი
„ტიმეოსსა“ შორის, ვითარმედ: სხეული მოკუდავი და უმდგომ არ-
სო, მაგრა იმყოფების და მდგომებს, ვითარ საყოველთაოსა სულისა-
და თანმიმბრუნებებულნი და უოქრო. და მიითვალავსო მიდრეკათა
მარცვალთა მიერ შეწყობისათა, ეამსა თანა განზიდული დაუესე-
ბელსა. რამეთუ ზევს მიხედვითა გონიერისა ცისათა დაიბადა იგი
და | აღიმკო.

ხოლო კვალად იტყვის, სულმან ყოვლობითმან დაათრო იგი
და აღატრფო სამარადისოდ დევნად მის უოცნოსა და ყოველთა
შესაკუდლოსა ერთთა მზისად. ზედავა სამსქესობასა მიუდრეკელისა

[68]

[69]

და თვითმიმდრეკისა და სხვისა მიერ მიდრეკილისასა? რამეთუ მიმდრეკისაცა და მიდრეკილსა დაუწევა პლატონურმან ცნობამან მიუდრეკელი, მაგრა ორთავე უდარესობაჲ მისცა სხვისა მიერ მიდრეკილსა, და კვალად საშუალ მიუდრეკელისა და სხვისა მიერ მიდრეკილისა წარმოაჩინა არსება თვითმიმდრეკისა. ამის მიერ ახეზს და აზიარებს სხვისა მიერ მიდრეკადსა მიუდრეკელისა არსებისა მიმართ, რამეთუ ყოველი სხეული და სხეულიანი არსებაჲ სულიერისა მიერ ეზიარების გონიერსა მიუდრეკელსა არსებასა. ვითარ სული გონებისა მიერ ნამდვილ მყოფისა მორთულობასა, ხოლო კვალად ერთბამად სულნი და გონებანი ყოველნი ნამდვილ მყოფისა მიერ — მზესა მას ერთთასა. შეისწავე, რამეთუ უუთქო რგი ერთი ზესთა ძეს მიუდრეკელობისაცა და ყოველითურთ უოცნო არს იგი სამსა შინა თვითებასა, ვითარ მზე ნათელსა შინა ბრწყინვალეებასა და შარავანდელსა.

[70]

რამ არს თვისდადვე მიმართ უკუნქცევაჲ. თავი 44

უკუნქცევაჲ არს ბუნებითი მოქმედებაჲ უსხეულოთა თვითმიმდრეკთა. ხოლო უკუნქცევაჲ თვისდადვე არ შესაძლო სხეულთა, რამეთუ არა იმარმენ მისდა არს სხეულისა უკუნქცევაჲ. თნებადთა უკვე სწავლისათა ჭერ-არს ცნობის, თუ რათა მიზეზთა მიერ უკუნქცევიან არსნი თავისდადვე, ხოლო მეძიებელსა ამისსა იპოების ცნობაჲ ესთა, ვითარმედ ყოველთა შორის მყოფთა მითესულ ნათელი ერთისა. მაგრა გესმას რამა შენ ნათლად ესე, ნუ გარე და ზედშემოსრულად ნათლად იქნოჲ, არამედ გაიგონე იგი თვალად, ვითარ თესლად და მიზეზად არსისად, რომლისად იგი იყოს არსისა, რამეთუ პირველ თვით იგი ერთი დაემსჭულავის, მითესული ერთი, და თესლი მისი ზესთასა ერთისა. მერმელა გარემო თვით შემოიქმის რაჲსავე გვარსა არსებისასა. და არს იგი მიზეზ და ვითარ მანაჲ, უძრავი მის გვარისა, რომლისადცა იყოს, ვითარ რეცა კენტოროდ თვისისა სფეროსად. ესთა უკვე ჰპოვო ერთებრსა და არა ერთსა კეთილობასაცა შორის და სხვათა ყოველთა გონებათა და სულთა და სხეულთადმდე ყოველთა გვართა ზედა.

[71]

ხედავა, თუ ვითარ ყოველთა არსთა შორის მითესული ერთი იგივე ერთი და იგი არს? ხოლო სხვაჲ არს ესე ერთი ნამდვილ მყოფისად, ვითარ პირველისა ერთისა მახლობელისა და სხვაჲ — გო-

ნებისა და გონებათა და სხვა — სულისა და სულთა, და სხვა — ბუნებისა და ბუნებათა და სხვა — ვითარ სხეულისა და სხეულთა. ამათ ყოველთა შორის მითესულ არიან თესლნი მის ერთთა მზისა დამხედლისანი. და იგი მინათესი და მინაბრწყინი არს მიზეზ თითოეულებისა არსთასა. ხოლო შესატყვის არსებათა ერთნი განიყოფიან. და ეგ სახედვე შესაბამ ერთთსა არსნიცა, რამეთუ არა მისვე და ერთისა ბუნებისა და პატივისა ყოველნი არსნი. და არცა მისვე პატივისა ყოველნი ერთნი, ვითარ რიცხუთა შორის აღმოჩენილ სიცხადით, რამეთუ უმახლობელესნი¹⁶ ერთისანი არიან უპატიოსნეს და ერთებრივ შორის განზიდულთასა.

საუწყ არს სწავლისშინათაღმი, რამეთუ ოდეს ეტრფოდის არსი ზესთ არსისაღმი, პირველად თვისთა ყოველთა შინაგანით შეიარებზს, რათა ჰპოოს თვისშორისი და მიზეზი თვით ერთი. ვინაჲ მის მიზეზისა მიერ თვისისა, რომელ არს თვისშორი სი ერთი, შეეყოფის მას ზესთათა მზესა ერთსა, ვითარ „ფედროსა“ აღმოაჩენს სოკრატი, რამეთუ იტყვის, ვითარმედ: შეიარებდეს რა სული თვისისა არსებისაღმი, დაემთხვიოს პირველ სიმრავლესა არსთა ყოველთასა და მრავალსახეობასა მყოფთასა, ხოლო ვითარ დაიღრმოს, მერმე განაგდებს თითოგვარობასა გვართასა, და თვით თვისსაცა არსებასა აღიძრცვისო და მოეხვევის პირველად თვისსა შორისსა ღმერთსა და ერთსა და მერმე მის მიერ და მის გამო უსაზღვროსა მზესა ერთთასა. ხოლო გესმას რა შენ უკუნქცევად, ნუ ადგლით ოდენ ჰგონებ, ვითარცა სხეულთა ზედა, არამედ უსხეულოდცა ისმინე, რამეთუ ყოველი უკუნქცე, ამის თვის შორისისა ერთისა ზეტრფევე, უკუნ იქცევის, რათამცა თვის შორისისა ერთისა მიერ ჰპოოს საწყური მყოფთა და მზე ერთთა. იტყვის სოკრატი, აღიძრცვისო ანაგებსა თვისისა თვითებისასა და ვითარ ენთუსიაქმნილი შესტრფისო მას. ხოლო სხეული ვერ უკუნ-იქცევისო თავსა შორის თვისსა, — თქვა მანვე სოკრატი, — რომელ ნაწილთა შორის არს განზიდულ და განყრილ და სხვაჲ სხვაგან ნაწილნი მისნი, დალათუ სფერისგვარ იყომცა. ვინაჲ ვერ უკუნ-იქცევის ყოველი ყოველსა სხეული, ვითარ ესე ნაწილი მისიმცა ნაწილისად, და კვალად სხვაჲ სხვისად, რამეთუ არ ეგებისო ესე სხეულთა შორის. უკუნქცევად ყოვლად ყოვლითურთ უსხეულოთა არს. და რომელთა

[72]

[73]


¹⁶ ამაზე: სამლოსა დიონოსისი ზეციერისა მღელთმთავრობისათჳს თქმულნი აქა მიფარულ გამოჩნდეს.

შორის არცა-გაგვამებად წარმოსდგომოდის განზიდვით სამთაგან განსაზღვრულად, ვიტყვი სიგრძესა, სივრცესა და სიღრმესა, რამეთუ ყოველი სხეული ამა სამთა მიერ განსხეულდების მბადისა და მექმისა ღვთისაგან, ხოლო უსხეულოა ყოვლითურთ ზესთა ადგილთა მიერსა განზიდვასა, რამეთუ ყოველი ყოველსა შინა უსხეულოსა, ვინაჲ არცა ადგილისაგან შეიცვის და არცა ადგილთაგან ადგილთადმი მიდრეკების. სხვაჲ უკვე არს ადგილიცა უსხეულოთა და სხვაჲ მიდრეკაცა მათი. ვინაჲ სცან ესეცა, რომელ ცად მით ისფეროებს თვისთა შიდრეკათა, რომელ პირველ თვის შორისსა სდევს ერთსა. ხოლო ვინათგან განსხეულებული არს, მიექმნების მას ადგილთა მიდრეკაჲ. ესე შეწყვენითა პირველისა სიტყვისათა, და სიტყვებითა ფილოსოფოსთათა გარდამოიცა აწ ჩვენ მიერ, თუ რაჲ არს თვისადვე უკუნეცევაჲ.

რაჲ არს საზღვარი და რაჲ განსაზღვრებაჲ და რაჲ წარწერაჲ.
თავი 45

თქვა არისტოტელი: საზღვარი არსო სიტყვაჲ შემოკლებული, სიცხადე წინდადებულისა საქმისა აობისა. ხოლო ამმონიოსცა ერმისიისა და სხვანი გარეშენი არისტოტელისამებრ იკმევედეს ცნობასა საზღვრისასა და თვით არისტოტელი პირველთა თვისთასა. ხოლო სანატრელნიცა მამანი — მსგავსად ეპიკურელთა და სტოელთა და პერიპატისგამოთა, რომელთა გვასწავეს ცნობაჲ საზღვრისა და განსაზღვრებისა. მოილო განსაზღვრებამანცა იგივე სიტყვაჲ, რომელ აქუს საზღვარსა, ვითარ კერძომან და სახემან ბუნებით უპირველესისა თვისისა. ხოლო ხედვასა ამათსა შთავიჭურეტთ ესთა: განსაზღვრებამან აღმოაჩინა მოკლისაგან სიტყვისა წინდადებული საქმე, მაგრა საზღვარმან აღმოაჩინა არსებაჲ და მშვინვეერი. არსებაჲ იცნობებოდედ და მშვინველი, ვითარ რეცა ბუნებით უპირველესნი, რომელნი არა განსაზღვრებისა შორის და არცა გავითარებულისა შორის ბუნებლისა, ხოლო კაცი იცნობებოდედ, ვითარ სახე, რომელი განსაზღვრებისა შორის და გავითარებულისაცა ბუნებისა. საზღვარმან გარეშეიცვა პროვლიმაცა, რომელ არს წინჩამოსაგდებელი და კატასკევი და დაკაზმვაჲ, რომელ არს თხზვაჲ და მუშაკობაჲ საქმართა აღმოსაჩენისათა. ხოლო განსაზღვრებამან სიმპერაზმაჲ, რომელ არს თანგასავლელი მხოლოდ და განუკუე-

თელნი მისნი. აჰა, სქიმაჲ გარეშეცვით, თუ ვითარ არს საზღვარსა შორის და განსაზღვრებასა, რომელი გვასწავებს საცმარებასა საზღვრისა და განსაზღვრებისასა სიბრძნისმოყვარეთაგან.



აშიაზე: ხოლო ამას პირველისა ენოდების პროტასი.
 ხოლო საშუალისა კიდეთა შემკრველი
 ხოლო დასასრულისა სიმპერაზმაჲ რომელ არს თანგასავალი
 ურთიერთას კიდურთაჲ.
 შეისწავენ კანონნი სიტყვერებითნი, რამეთუ არიან ესევეთარი. .

სქემა 2

სქიმაჲსა პირველსა, რომელ არს არსებაჲ და საშუალსა, რომელ არს მშვიდნელი, ვიცნობთ საზღვარსა შორის, ვითარცა უსაყოველთაოესთა. ხოლო დასასრულსა, რომელ არს კაცვი, ვიცნობთ განსაზღვრებასა შორის, ვითარ რეცა კერძობითსა. რაჲ იგი არს განსაზღვრებაჲ, იგივე საზღვარი, გარნა არა გარე-შეისმინა ესე, რამეთუ რაჲცა საზღვარი, არა განსაზღვრებაჲ. საზღვარმან არა მხოლოდ გვაჩვენა თავი თვისი მოკლისა სიტყვისა შორის, წინდებულისა საქმისა ცხადმოფელისა, არამედ საზღვრის დადებასაცა შორის, რომლისა მიმართ აღიკსენების წინაგანფენაჲ, გვაჩვენა თავი თვისი, ხოლო თუ რაჲ არს წინაგანფენაჲ, ვითარ რეცა თქვას თუ ვინ: იოანე ღვთისმეტყუელებს, — ესე წინაგანფენაჲ არს. ხოლო აღიკსენების ესე ამისდა მიმართ, | ვითარმედ „იოანე“ და ვითარმედ „ღვთისმეტყუელებს“. მრავალგზის უკვე წოდებულ ყო წერილმან განსაზღვრებაჲ საზღვრად, ვითარ-იგი კაცსა ნათესაობითითა სა-

ხელთა წოდებულ ვყოფთ მშვინვეიერ, უსაყოველთაოესისა სახელი-
სა მკმეველნი. აზიარა უკვე საზღვარი და განსაზღვრებაა შემოკლე-
ბულმან სიტყვამან, წინდადებულისა საქმისა სიცხადისა მჩვენე-
ბელმან, რომლისა შორის ხედვაა ორთავე, ვითარ სიტყვიერ, მო-
კულადემან, გონების და მიწთომილების მიმთვალველმან — კაცი და
პეტრე. ხოლო ყოვლობამან და კერძობამან განყვნა იგინი, ვითარ
კვალად კაცი და პეტრე. განესხვავა განსაზღვრებაა წარწერითსა
განსაზღვრებასა. რამეთუ განსაზღვრებაა ერთსახეობითი არს და
ჯმათაგან არსებისათა ოდენ წარმოდგომილ, ვითარ — კაცი სიტ-
ყვიერი, მეკვდი, გონების და ზედმიწევნის მიმთვალველი. ხოლო
წარწერითი განსაზღვრებაა შერეული არს, რამეთუ მოიღებეს არ-
სებითთაგანცა და ზედშესრულთა, რამეთუ თუმცა სადამე თქვას
თუ ვან: კაცი მშვინველი, მეკვდი, გონების და ზედმიწევნის მიმ-
თვალველი, აღმართებით მავალი, ბრჭალ ფართოა — ესე უკვე
განსაზღვრე|ბისაგან და წარწერისა შეწყობილ. საუწყე ესე, ვითარ-
მედ ეკმაა სადამე კაცსა სიტყვიერ, მოკულაობაა — ესე საზღვარ-
საცა და განსაზღვრებასა შორის. ხოლო იშვით აღჩენამან სამთამდე
და ვიდრე ოთხამდეცა სხვაობისამან, რომლისა შორის შესძინა სა-
ზღვარსა და განსაზღვრებასა კაცისასა გონების და ზედმიწევნის მი-
თვალვაა. მაგრა აღმართმავლობაა და ბრჭალფართობაა — წარ-
წერითსა შორის განსაზღვრებასა მდებარე, არღა სადამე სიცხადე
პყოფს ჩვენდა არსებითსა განსაზღვრებასა კაცისასა.

[78]

საზღვარი ნათესავისაგან და შემამტკიცებულობითთა სხვაობა-
თაგან შემოკრებულ არს. სიმართლე საზღვრისა არს, რათა დართვა-
სა და მოკლებასა ლექსთასა არ მიითვალვიდეს. ხოლო აკეთილა სა-
ზღვარი გარემოქცევით შესმენამან, ხოლო რომელიცა არა გარე-
მოიქცეოდის, საზღვარი უსრულ არს. გარემოქცევაა საზღვრისა არს
ხატი ესე, ვითარ რეცა: ყოველი მშვინველი, სიტყვიერი, მოკულადე
კაცი არს და ყოველი კაცი არს მოკულადე, სიტყვიერი, მშვინველი.

საზღვარსა ორნი უკვე მოჰქონან გვარნი, რამეთუ არისტოტე-
ლოცა და ამმონიოს და ყოველთა გარეშეთა და სამლომან და-
მასკელმან | გვასწავეს. თქვეს, ვითარმედ საზღვარი ანუ განსაზღვრე-
ბაა პოვნილ არსო ორთა შინა — ანუ ქვედმდებარესა ანუ დასა-
სრულსა. ქვედმდებარესაშორისობაა განსაზღვრებისა არს, რომლისა-
თვის შთამოვალს, ხოლო დასასრული, რომელსა მიამარჯვებს. ქვე-
დმდებარისაგან უკვე, ვითარმედ ვიტყოდეთ რა: ვარსკულავთმრი-
ცხველობაა არს ხედვაა ზეციერისა სფეროისა, რომლისათვის შთა-

[79]

მოვალს, ხოლო დასასრულ — ცნობად ზეციერისა სფეროსა. ესე უკვე გვარი პირველი საზღვრისა და განსაზღვრებისა.

ხოლო გვარი მეორე, ვითარ აკლდეს რამ საზღვარსა ლექსი, ანაღლდეს საქმე, ვითარ თქვას თუ ვინ კაცისათვის — სიტყვიერი. და ესე არა გარემოქცევისთა შინა გვარსა, რამეთუ არა მხოლოდ კაცი არს სიტყვიერი, არამედ უფროსდა ანგელოსიცა. ხედავა, რამეთუ საზღვართა შორისმან ლექსთა მოკლებამან აღამაღლა საქმე? ხოლო დავრთოთ რა მატებული ლექსი საზღვარსა, დააკლდეს საქმესა, რამეთუ თქვას თუ ვინ: კაცი სიტყვიერი, მოკუდავი, ღრამმატიკოსი, — აჰა, შემატებულმან ლექსმან დააკლო საქმესა, რამეთუ არა ყოველნი კაცნი განსაზღვრნა, არამედ მხოლოდ კაცნი ოდენ ღრამმატიკოსნი. ესე კმა ჩვენდა აწ სასიტყულისა საზღვრისა და განსაზღვრებისა და წარწერისა სიტყვითი კელოვნება.]80]

რამ არს განწვალვად და რაოდენ გვარად განწვალვად.
თავი 46

ვასწავებთ უკვე განწვალებასა ჩვენ, მოწაფენი: სამლოსა იოანესნი, თნებადა სწავლისათა და ესეგვარობითნი შესმენანი დავაწესენით, ვითარ მოვიღეთ მოძღუარისაგან მანსურისა, რამეთუ მის მიერ გარდაიდვა სფერო — ნაკვეთი ესე თნებადთამი სწავლისათა, შესმენათაგან არისტოტელისთა: განწვალვად განზიდვად არს ნაქმის, ვითარ ნათესავი მშვინველი, განზიდულ სიტყვიერად და უსიტყვად, სრული განწვალვად არს. ხოლო ნახევარგანწვალვად ესთა გვარსა შინა. ვითარ უსიტყვი სახე მშვინველისა, კანჯარი და კარაული სხვა იქმნენ.

ზეგანწვალვად არს, რამეთუ წარმოდგა რა სახე ნაქმი, ვითარ ესე კაცი, და განეყო უსიტყვსა. მერმეცა ნაქმსა მას სახესა შორის განწვალვად მისვე ნაქმისა, ვითარ-იგი სხვად იქმნენ წული და ქალი, ხოლო მერმეცა განწვალვად, ერთისა განუტუეთელისა განჭრად, ვითარ სოკრატი სულად და სხეულად განიწვალა. განწვალებითსა შორის გვარსა დადათუ ესენი, მაგრა გარემეცვით ყოვლითურთ განწვალებითსაგან გვარისა იგინი, რომელნიცა წინააღმდგომ ურთიერთარს განიწვალენ, რამეთუ წული უკვე და ქალი, და ეგრეთვე სულიცა და კორცნი ერთისა სახისა და ერთისა განუტუეთელისა კერძონი. თნებად ვართ უწყებად, რამეთუ ესეგვარი არს წინააღ-

მდგომით განწვალვად, ვითარ თანმენათესავეთა განზიდვად სხვაობად, რამეთუ მშვინველი განიწვალა სიტყვიერად და უსიტყვად, და ორნი ესე სახენი წინააღმდგომ შემდგომად სხვაობისმოქმედებასა მათსა.

[82] გვარნი უკვე განწვალუბისანი რვისა შორის რიცხვისა: პირველი უკვე გვარი, ვითარ წათესავი — სახეთად. ხოლო გვარი მეორე — სახე, რომელ არს კაცი, განიწვალა და იქმნეს, ვითარ იოსებ და ბენიამენ და სხვანი. და გვარი მესამე, ვითარ სრული — კერძოთად, გარნა ესე ორგვარად. ანუთუ მსგავსად განჭრადნი კერძონი და ანუ არა-მსგავს. კერძონი სრულისანი მაშინ უკვე მსგავს ურთიერთარს, მიითვალონ რა სახელი და საზღვარი სწორებით, რაჟამს სხეული განიჭრას რა და დაწულილდეს კერძოთად და განკუთვლეთა მრავალ-ნაწილთა სხეულისათა სახელიცა და საზღვარი მიიღონ ყოველთა სწორებით. ხოლო უმსგავსო სამე არიან კერძონი, რაჟამს იგი არცა სახელი და არცა განსაზღვრება აზიარებდეს მათ. ვითარ იგი ლევიტელმან ათორმეტ კერძოდ განჭრა მეუღლე თვისი უძლებთარე კაცთა მიზეზის გამო. და კერძონი იგი ქალისა განჭრისისანი, არცა ერთი მსგავს ურთიერთარს, რამეთუ ზოგსავე თავად და სხვასა ფერკად და კელად, და სხვად ასობით განკვეთილსა ხედვიდეს, რომელნიცა არცა ერთ იყუნეს და სწორ ნაკვეთნი ასოთანი, ხოლო არცა თავმან და არცა ფერკთა მიიღეს სახელი და საზღვარი ქალისა მის, არცაღა ურთიერთას ოდენ.

[83] გვარი განწვალვისა მეოთხე სახელმოდგამისამებრ კმისა არს სხვა და სხვათადმი დანიშვნათა. ხოლო ესეცა ორისამებრ გვარისა, ვითარ ანუ სრულისადმი ანუ კერძოსად, ხოლო ესე არს ესე, რამეთუ ძალმან, სახემან მშვინველისამან, და ძალმან ვარსკიულავმან სფეროსამან მიიღეს ზოგად სახელი, რომლითა ზიარ იარნივე და ესენი არა კერძონი სადამე, არამედ სრულნი. მაგრა ძალლი ესე არს სახე მშვინველისა და იგი ძალლი სფეროსა ვარსკულავი არცა მშვინველ, არცა არსებისაგან ცხოველისა გრძნობადის გამო, არამედ სფეროსაგან უკვე სხვისა ბუნებისა, ხოლო კერძოსადმი სახელმოდგამი განწვალვად არს, ვითარ რეცა მწვერვალი ფარშამანგისა ფრთეთა და მწვერვალი კალმისა და მწვერვალი კოწოლთა ნერკთასა, რომელნი-ესე კერძონი არიან, და არა სრულნი.

ხოლო გვარი მეხუთე განწვალვისა ესე, ვითარ არსებად ზედშესრულთადმი, ვითარ ვინ თქვას თუ: ესე ვინმე ჩვენგანი გრძელ და იგი არა. და გვარი მეექვსე, ვითარ ზედშესრულნი არსებათადმი,

რამეთუ თეთრ იყო შინაგან სადაფი, ცხოველ გრძნობად რა იყო და მარგალიტი მისი თეთრვე არს.

გვარი მეშვიდე ამისვე, ვითარ ზედშესრული ზედშესრულ-
თადმი, რამეთუ ესე რომელიმე ფერი არს მეწამულ და იგი ფე-
როსფერ. გვარი არს მერვე განწვალებისა, ვითარ ერთისაგან —
ერთისადმი, ვითარ წერილი | მუსიკელობითი. და ორღანო სამუ- [84]
სიკოა ერთისა მომართ საგალობელისა მიხედვენ შესრულებასა დღე-
სასწაულთასა.

ესე გვარნი განწვალებითნი რიცხვით რვაჲ, რომლისა შორის
არცა ერთი ჰოვო ბუნებით უპირველესობაჲ, თვინიერ ერთისაგან
და ერთისამიმართთა შორის.

რად არს თანსახელობითი შესმენაჲ. თავი 47

თანსახელობითი უკვე არს შესმენაჲ, რაჟამს არა მხოლოდ სა-
ხელითა. არამედ საზღვრითაცა ეზიარნეს რადმენი ურთიერთს, ვითარ-
იგი პირველი და უმოქნეოჲ კეთილობაჲ გონებისა შორის შეიზმენე-
ბის, და გონებაჲ გონებათად და სული — სულთად და სფერო —
ნაწილთა მისთად და სხეული — სხეულთად. ხოლო გონებაცა და
სული და სფეროჲ და სხეული, რომელნიმე თუმცა უშორეს და
რომელნი მახლობელ არიან თვით ერთისა და კეთილობისა მზისა
ინდლამასა ერთებრისა, რომლისა გამო იწარმოეს ყოველთა ესე
ყოველნი მასვე თანსახელობითსა, რომელ არს თანამოსახელობითსა [85]
გვარსა შორის არიან | ყოველნი, რამეთუ ანაქესი გონებისა — ერთ
და სულისა — ერთ და სფეროსა — ერთ და სხეულისა — ერთი,
წარმონაარსთა ერთისა მიერ, რომელთა შორის იგივე არსებაჲ,
პირველი კეთილობაჲ და ერთობაჲ ზოგად თანწარმოდგომილ. აჰა,
სახელი და საზღვარი ერთობისა ყოველთა შორის არსთა აგებუ-
ლებისა ერთ და ამის გამო თანსახელ და თანამოსახელე ყოველნი
კეთებულნი.

რად არს თანსახელობითი შესმენაჲ საქვემდებაროსა და
ქვემდებარისა. თავი 48

გვარი შესმენისა საქვემდებაროსა და ქვემდებარისა გვასწავა
არისტოტელი. ხოლო საქვემდებაროდ მოვიდოთ ჩვენ მშვინველი,

ბომელი კაცსად შეისმინების და ესე შესმენამ თანსახელობითი უკვე. ესე არს ესე თანამოსახელე. და კაცი შესმენილ პავლესდად, რამეთუ ქვემდებარედ კაცისა არს პავლე. შეისმინების უკვე პავლესდადცა მშვინველი, ვითარ პავლეცა მშვინველ უკვე. საუწყეს ესე არს, რამეთუ ორგვარობამ მოჰქონან ქვემდებარეს: პირველი ვიდრემე აობით და მეორე — შესმენით; პირველისამებრ გვარისა, რამეთუ ქვემდებარე სადამე ზედშესრულისა არსებამ, რამეთუ აქუს მის შორის ყოფამ ზედშესრულსა მას; ხოლო მეორისამებრ გვარისა ქვემდებარე არს კერძობითი, რათა უსაყოველთაოესი მისი მის შორის შეისმინოს. ხოლო მეორისამებრ გვარისა საქვემდებაროდ, რომელ არს ყოვლობამ, და ქვემდებარე, რომელ არს პეტრე, შესმენასა შორის თანსახელობითსა, რამეთუ კაციცა და პეტრე მშვინველ, ხოლო პირველისამებრ გვარისა არა ესთ, არამედ უფროსდა სახელმოდგამთა შორის, ვითარ აობამ არსებისად და ზედშესრულისად. თანსახელობითი შესმენამ სრული — ესე არს ესე, რომელნი სახელითა და საზღვრითა ზიარ არიან, ვითარ-იგი მშვინველი ვისწავეთ კაცისად და ცხენისად ზოგებით, ხოლო სახელითაცა მშვინველისათა და საზღვრითა თანსახელ და თანმოხახელე ესენი, რამეთუ თითოეულმან მათმან სახელიცა და საზღვარი ნათესავისა მათისა აღავსეს თვის შორის. ხოლო წარწერა უკვე არისტოტელი თანსახელობისათვის ესრეთ: თანამოსახელე არიანო, რომელთა სახელი და სიტყვამ არსებისა იყოს იგივე.

არს უკვე სახელმოდგამობამ, რომელნი სახელითა ოდენ ეზიარნესმცა ურთიერთარს და არა განსაზღვრებითა და არცა წარწერითა იყუნეს ზიარ. ამისთვის უკვე თქვა არისტოტელი: სახელმოდგამი არსო, რომელთა სახელი იყოს ზიარ, ხოლო სახელისათანა სიტყვა არსებისა სხვა მათდა. და სიტყვად უკვე ფილოსოფოსმან განსაზღვრებამ თქვა და წარწერა. სიტყვადე აღმოაჩინა აქა არისტოტელი სახელმოდგამისა, რამეთუ არა საზღვრითა აზიარებს სახელმოდგამთა, არამედ მხოლოდ სახელით ოდენ, ვითარ-იგი ძალლი ზღვისა და ძალლიცა ქვეყნისა სახელით ოდენ ზიარებულ. ამათი შესაძლო საზღვართაცა ზიარებამ, ვითარ-იგი არიან სახელით ზიარებულ, რამეთუ ორთავე აქუს არსებამ ცხოველი, გრძნობადი, ხო-

ლო სახელმოდგამ უსრულეს — ძალდი მშვინველი და ძალდი ვარ-
სკულავი. აჰა, არსებისა სიტყვითა განყოფილ ესენი და სახელით
ოდენ ზიარებულ. თქვა კვალად არისტოტელი: სახელმოდგამობისა [88]
შორის სანნი პოვნილ არიან: თანამოსახელეთაგან, და რაოდენ-
თამებრ დანიშნვითა შემოღებულნი, და რომლისა დანიშნულისა მი-
მართ კითხულნი, ხოლო უკეთუ არცა ერთი იყოსმცა სადამე ამათ-
განი, იგი თანსახელობითსა შორის უეჭველ.

რად არს მრავალსახელობად. თავი 50

მრავალსახელობად განსაზღვრა არისტოტელი: მრავალსახელნი
არიანო სათვისოდ შემოსაღებულნი ერთისათვის. მრავალსახელნი
სხვა და სხვა სადამე სახელითა, ხოლო სიტყვითა არსებისათა იგი-
ვე, ვითარ რკინისაგან თითოეულნი სახელნი მახვილნი. ვითარ ვრმა-
ლი, ვითარ მოკლელი იგი ორპირი დანად, ვითარ ისარნი, ვითარ ლა-
ხვარი, ვითარ დანაკნი. ესე ყოველნივე რკინად და მახვილ, მაგრა
სხვა და სხვა სახელ, მოღებულ ერთსა ზედა.

რად არიან სხვანი და რად სხვასახელნი. თავი 51

განყოფილნი ორითავე და სხვან ურთიერთარს, ანუ ერთისა
ქვემდებარისა შორის და სხვა და სხვათა სახელითა ცნობილ, [89]
ვითარ იმრ და ამრ მდინარისა, გარნა ორთავე ამთ ერთი აქუს
ქვემდებარე. მდინარე იგი განწყოფს იმრსა და ამრსა. იქმნების
უკვე სხვათათვის არა ქონებად ერთისა ქვემდებარისა, ვითარ არ-
სებასა და ზედშესრულსა არასადა აქუს ერთსა ქვემდებარესა შო-
რისობად და სხვა მათდა წარწერაცა და სახელიცა.

რად არს სახელნართაულობითი შესმენად. თავი 52

საშუალ სახელმოდგამთა და სწორსახელთა — სახელნართაუ-
ლობითი შესმენად, რომელი აზიარებსცა და განყოფს სახელითაცა
და საზღვრითა. სახელნართაულობით წოდებად, ვითარ ქალწულები-
საგან — ქალწული, რომელი ეზიარნეს სახელით, ხოლო სხვა იქმ-
ნნეს დასასრულითა სახელისათა, რომელ არს უკანასკნელი უკვე
მარცვალი. მაგრა საზღვრითა ზიარცა და განყოფილ, რამეთუ ქალ-

[90]

წულებად არს უკვე სათნოებად, ხოლო ქალწული არსებად, რომელსა შინა სათნოებად. სახელნართაულობით უკვე არიან, რომელნი დადებითა სახელისათა ზედწოდებულ სამე არიან, ვითარ მეფემან სამეფოსაგან მიიღო ნართაულობად სახელისა, და მონამან — სამონოსაგან, ხოლო არცა სამეფოდ და არცა სამონო არიან სახელნართაულ, არამედ მეფე და მონა სახელნართაულობითსა შინა გვარსა. სქეტებრ იპყრობის სახელი ნართაულთაგან, რომელნიცა ისახელნართაულნეს, ვითარ მეფემან მეფობად და მონამან მონობად, გარნა ერთისაგანნი არა ესთ, რამეთუ ვერ იპყრას საგალობელმან წერილმან მუსიკელობად.

რად არს სწორმენათესავეობად და რად სწორსახეობად და რად სხვანათესავენი და რად სხვასახენი და რად სხვანი რიცხვითა და რად თანამეგვავე. თავი 53

[91]

უუთქვესა შინა კეთილობასა მზესა, თვითერთსა და ზესთ უოცნოსა, დამსჭუალულ არიან კავშირნი განგებისანი, რომლითა წარმოყვანებად ერთთა მიცემულ ხატისა თვისისა, რომელსა ერთებრეად და არა ერთად გვასწავებს დიდი პლატონ. დავსახო უკვე მაგალითის მომლებმან, ვითარ მზემან, მიმფენმან შარავანდისა და ბრწყინვალეებისამან, მინაბრწყინნი თვისნი ჰაერადმი და ქვე[ე]ყნად, რომლითა მინაქრთომთაგან ერთ ნათელთა მისცა ნაყოფთა წარმოობად ქვეყანასა, ვითარ მდელთა სხვა და სხვაობად. ხოლო მრავალსხვაობასა შინა თვითეულებად ესთა მზემან მან დიდებისამან, ერთმან წყარომან მზემან, თვისთა მიერ მინაბრწყინთა თვისგამოთა შარავანდისა და ბრწყინვალეებისათა თანა უქამოდ თვისგნით გამოკრთოლვითა თვისისა მის შარავანდისა და ბრწყინვალეებისა მიერ ნაბადსა ნამდვილ მყოფსა მისცა მეშვეობისა და უუქმობისა ძალითი და მოქმედებითი წარმოარსებად, რომლისა გამო იწარმოეს ყოველთა მყოფთა და იგივე კეთილობად, რომელი მისცა უმიზეზომან, სამნათობიეროსა შორის სამობისა ცნობილმან ერთმან გაბუნებებულთა და გასახებებულთა ყოველთა. ხოლო რომელთაცა იწარმოეს და წარმოდგეს თვითებად, თანწარმოდგომილ მათ ყოველთად უუქმო იგივე არსებად. ამით სწორ მენათესავე ყოველნი მყოფნი.

კვალად სხვანათესავ არიან, რაზომ მოიგოს სხვად და სხვად შესმენად. ესთა ვითარმედ არისტოტელი რად აღრიცხვა ცხრანი

ნათესავნი მხოლოდ სახელით ოდენ და იგიცა ზედმოღებით შეს-
შენილნი, რომელთა ერთებრისგამოსა შინა მყოფობასა მოუციეს
ყოფად.

სწორ სა|ხენი უკვე ესე არიან ესე, რომელნი საზღვარმან არ- [92]
სებითმან აზიარნა ურთიერთარს, ვითარ-იგი, ილია და ილისე. მერ-
მეცა სხვასახენი უკვე ესე არს ესე, რაჟამს სიტყვამან არსებისა-
მან მოუგოს სხვაობად ერთმანერთისადმი, ვითარ სიტყვიერმან უსი-
ტყვისადმი მოიგო სხვაობად.

სხვანი უკვე რიცხვითა ვისწავთ ესრეთ, რომელთა ზედშე-
სრულთაგან თვისაგანნი მდგომობანი ისაკუთრნეს და თვისაგანნი
ყოფანი მოიგნეს, ვითარ რუბენ და სიმეონ და ლევი და იუდა და
თვითობანი განუტუეთელთანი.

ხოლო სხვანათესავთა სხვა თვითოეული აქუს თვისად სახე
და ეგრეთვე განყოფილებად. ესთა, ვითარმედ სხვა ნათესავი ყოვ-
ლითურთ და უმსგავსო ვითარებისა მიმართ მშვინველი. სახე მშვინ-
ველისა — კაცი და განყოფილებად ამისი — სიტყვიერებად. მაგრა
ვითარებისა სახე — ფერი, ხოლო განყოფილებად ვითარებისა სა-
ხეთა შორისი, ვითარ თეთრი. შემამტკიცებელნი მშვინველისანი —
ცხოველი მგრძნობელობითი, ხოლო საგანწვალვონი — სიტყვიერი
და უსიტყვი, ზღვისა და ქვეყნისა. წარმომაჩინელ ვითარებისა —
თეთრი და ფერო, და შემამტკიცებელ ვითარებისა — არსებასა ზე-
და ყოფად, და ძნად ცვალებადობად. ხოლო საგანწვალვო — [93]
თეთრი და შავი. ხოლო რომლითაცა შესმენილ ნათესავი, სახეცა
იგივე და სხვაობანიცა სახისანი. ხოლო ურთიერთიდთა უკვე ნათე-
სავთა და სახეთა არარად მაყენებელ (რათა იგივე იყვნენლა თუ
სხვაობანი. მაგრა არა ყოველნი, ხოლო სხვაობად თქვა სახისგამოთა
შათდა არისტოტელი შემამტკიცებელნი მათნი.

ხოლო საუწყუ არს თნებადთამი სწავლისათა, რამეთუ ცხრანი-
ვე შენასმენნი მქონებელ არიან თითოეულნი, დაღათუ არა თვით
თვისით მყოფნი შემამტკიცებელობითა და საგანწვალვოთა სხვა-
ბათა, ხოლო თითოეულნი ცხრათაგანნი არიან უკვე უნათესავენსნი
და უსახოვანენსნი და ჰქონან ნათესავნი და სახენი მათ შორის,
რამეთუ უეჭველ ეს, ვითარმედ სადა ნათესავნი, მუნ სხვაობანიცა
საგანწვალვონი, რომელნი სხვა ჰყოფენ ნათესავთა სახეთად. და
შემამტკიცებელნი სახეთგამოთა სხვაობანი.

აწ უკვე ერთი არსებითობად ვიდრემე მოიღეს პერიპატოს-
გამოთა სამ სქესად: პირველი, ვითარ სწორნათესაობად სიტყვიე-

რისა და უსიტყვისა, რომელნი არსებით არიან იგივე. და ესე სა-
განწვალო არს სხვაობაჲ მათდამი. ხოლო მეორე — სწორმოსახეო-
ბაჲ, ვითარ პეტრე და პავლე და იოანე ერთისა|მქონებელ კაცებო-
სა, რომელ არს ბუნებისა, და ესე შემამტკიცებელი სხვაობაჲ თი-
თოეულთა განუყუთელთა, რამეთუ პეტრე სხვითა შემტკიცებულ
არს არსებისზედათაგან და იოანეცა ამისებრ და ესთა პავლეცა.
ხოლო მესამე — სხვაობაჲ რიცხვითა, ვითარ ისაია ვთქვათ რა
უკვე; ერთი არს რიცხვითა, განთვისებული სხვათა წინასწარმეტ-
ყველთაგან. თანამეგვამე არიან, რაჟამს ორნი ბუნებანი ერთსა ში-
ნა გვაჟსა შეიერთნენ და ერთი გუჟამი მოეგოს და ერთი პირი, ვი-
თარ-იგი სული და ჯორცნი ერთსა გუჟამსა შეასრულებენ კაცისასა,
რომელნი სხვისა არსებისა და სხვისა ბუნებისანი არიან.

რაჲ არს რაჲსაშინაობითი და რაოდენ გვარად რაჲსაშინაობაჲ.
თავი 54

არისტოტელი განყო გვარი ესე, რომელნი რაჲსაშინაობითად
შეგვისმენიეს ათერთმეტგვარად. ხოლო გვარი პირველი რაჲსაშინ-
აობისა არს: 1. ვითარ მიზეზი მიზეზოანსა შინა; 2. ვითარ სახე
ბუნებით უპირველესსა შინა თვისსა; 3. ვითარ კარავი წამებისა
არმათემს შინა; 4. ვითარ წმიდაჲ ქალწული წმიდასა შინა წმიდა-
თასა; 5. ხოლო ჟამსა შინა, ვითარ გამოუთქმელი განგებულობაჲ
ჟამსა შინა აგვისტოს კეისრისასა; 6. ხოლო ქურჭელსა შინა, ვითარ
მანანაჲ ზეცისა ტაკუქსა შინა ოქროსასა და ტაკუკი კიდობანსა
წამებისასა; 7. ვითარ პეტრე ნაწილებთა შინა თვისთა — სულსა
და ჯორცთა და ასოთაცა სხეულისათა; 8. ვითარ ნაწილნი პეტრესნი
პეტრეს შინა განკიდებამდე სულად და ჯორცად; 9. ვითარ ხატი
კეისრისა დრაჰანსა შინა, ნიეთსა ოქროსასა, 10. ვითარ დამბადე-
ბელობითსა მიზეზსა შინა, ვითარ-იგი ყოველნი ღვთისა შორის;
11. ვითარ ქვემდებარესა შინა, რომელ არს ფერი და ნაკვეთი სხე-
ულსა შინა.

ესე არს ესე განყოფაჲ ათერთმეტგვარად რაჲსაშინაობისა. ხო-
ლო თნებად ვართ უწყებად სწავლებადამი, ვითარმედ შევისმენთ
ნაწილთა ყოვლითურთისათა და ყოვლითურთსა ნაწილთასა — არა-
სადა, მაგრამ ყოვლითურთი, რომელ არს სოკრატე, ნაწილთა შინა
თვისთა.

ჩაბ არს ძალი დაღებული შემოქმედებოთისა მიზეზოსიგან
თითოეულთა შინა ერთთა, რომელ არიან ბუნებანი. თავი 55

არს უკვე არსთა აგებულებნსა გათვითებამა ძალისა, ბუნებით
იზარმენებულნსა, | ესთა: სულისა შორის გონიერისა და უკუდავი- [96]
სა ძალი ბუნებითი — თვითმიმდრეკობამა და თვისადვე მიმართ უკუნ-
ქცევამა — გვასწავა დიდმან პლატონ „ტიმეოს“ შინა, რამეთუ ყო-
ველი უსხეულომ თვითმიმდრეკიეა არს. ხოლო დიაკრისი უსხეუ-
ლომ — აღცისკრებად ქმნილთა მათ მზეთა შეუქმნელისა მზისად-
მი, რომლისაგან იქმნეს იგინი და რომელსა შესტრფიან, რომელნი
ალატრფნა მინაპრწყინმან მან მათდამო, მისმიერთა ნათელთა გო-
ნებათა თვისთა მღვდელმოქმედებითა შემწირველნი უსხეულოთა
ნათლიურთა ძღვენთანნი. ხოლო ურთიერთარს უკმოსა მიერ სიტ-
ყვისა სიტყვის მიმცემელობამა გულისკმის-საყოფელთა. ხოლო სა-
ხესა შორის კაცისასა თვითმიმდრეკობამა სრული არასადა ვისწავეთ,
რამეთუ ნაწილი კაცისა უსხეულომ, რომელ არს სული, თვითმი-
დრეკებრ მისდრეკს სხეულსა, თვის თანა მომგებელსა ერთობისასა,
და ნაწილი მიდრეკებს, რომელ არს სხეული. ხოლო აქვს უკვე
კაცსა დიაკრისიეა და მიდმოგონებისა მოქმედებამა და არა უკმოსა
სიტყვისა მიერ მიმცემელობამა ურთიერთარს გულისკმისსაყოფელთა
მოგონებათა. ხოლო უსიტყვისა შორის არსებამა — ცხოველი გრძნო- [97]
ბადი და ძალი — მშვინვარობამა, ვითარ|სახესა შინა მშვინველისა-
სა; და ნერგთა შორის ორძილობითი ძალი, ხოლო ქვათა შორის
მითვალეამ მკურვალეებისა, ვითარ რეცა არმქონებელთა სულიე-
რებისათა.

ესე თითოეულნი ბუნებანი, რომელ არიან სახენი, თქვეს გა-
რეშეთა ბუნებად და სახედ და ხატოვნებად, ვითარ რეცა უპირ-
ველენსო და ყოველანი გვამთანნი, რამეთუ თითოეულთა ამათგან-
ნი გვამნი გარეშეიცივან, ვითარ ბუნებით უპირველესთაგან. გვამსა
უკვე, ვითარ ქვემდებარესა ყოველდისა ბუნებისასა, რომელსა შო-
რის დაუკლებლად აღავსებს სახე-ყოფასა თვისსა, წოდებულ ყვეს
გვამი და გარეშემცველსა მათსა დასდევს სახელი ბუნებამა. ხოლო
მარტივობითსა ცხოვრებასა უწოდეს არსებამა.

ესე კანუნმან პერიპატოსიგანთამან აღმოაჩინა, მაგრა ეკლე-
სიის ბრძენნი ფილოსოფოსნი, გარემიმქცევენი მრავალ წმასნათა-
ნი, გვასწავებენ იგივედ სახოვანსა სახესა არსებად და ბუნებად და

ხატოვნებად, ვითარ-იგი იტყვის უსამღთოესი მოძღვარი დამასკელი გარდამოცემასა შინა არისტოტელის შესმენათასა, თავსა 10.

რომელნი არიან ათნი უნათესავესნი ნათესავნი. თავი 56

[98] | არისტოტელი გვასწავა თქმულთაგანათთვის, რომელთამე თქმად შეწმასნით და რომელთამე — არა. ეს სახედ არს თქმად შეწმასნითი, ვითარმედ თქვას თუ ვინ: სფეროდ ბრუნავს და ხრიზანთოს ვარსკულავთმრიცხველებს. ხოლო არაწმასნილი თქმად ესე არს ესე: ნივთი და ნაკვეთი. ამათგანნი თქმულნი არიან რომელნიმე მარტივად და უწმასნელად და არსებასა გვაჩვენებენ ჩვენ: 1. ვითარ რეცა გონებად, სული, სფეროდ; 2. ხოლო სხვად — რაოდენობასა, ვითარ ორი, სამი; ორი წყრთა, ოთხი წყრთა; 3. სხვად — რადასამიმართსა, ვითარ ნათესავი, სახე. 4. სხვად ვითარებასა, ვითარ თეთრი, ფეროდ; 5. სხვად — სადაობასა, ვითარ არიოპაგის შინა და გოდოლსა ზედა. 6. სხვად — ოდესობასა, ვითარ პირველსა წელიწადსა, მეორესა თთვესა, მესამესა დღესა; 7. სხვად — მღებარეობასა, ვითარ დღომად, ჯდომად; 8. სხვად — ქონებასა, ვითარ შემოსად, შეცმად; 9. სხვად-მოქმედებასა, ვითარ წვად, წყლვად; 10. სხვად — ვნებასა, ვითარ დაწვად, დაწყლვად.

ესე არს ესე ორდანი არისტოტელისა, რომელსა წოდებულ ყო მან „შესმენად“ და „კატილორია“, ვითარ რეცა ვიეთადმი სა-
[99] თქმელობად, რამეთუ აღორევი ეწოდების თქმასა. | ხოლო თნებად ვართ უწყებად ბრძანებისამებრ არისტოტელისა, რამეთუ აღმოჩენილთა ამათ ათთაგანნი თითოეულნი უნათესავესნი არიან ნათესავნი. ათთა ამათ ნათესავ შესმენილთა უნათესავესთა ვიტყვით უკვე, ვითარმედ ერთი უკვე არს არსებად და ცხრანი იგი ზედშესრულნი.

რად არს რაოდენი და რად რაოდენობად.¹⁷ თავი 57

ალოცისკრებენ ჩვენნი თნებდანი სწავლისანი გამგონეთა მებრწყინისა გონება მზისა იოანე მანსურისამი ცხრაათთვის შესმენათა პერიაპატოსგამოთასა გარდამოცემად მათდა, ხოლო სამღთოს¹⁸

¹⁷ აშიაზე: არქიტას მეორეთა არსებათა წინ დაწესებულ ყო რაოდენი.

¹⁸ აშიაზე: სამღთოდ ფილოსოფოსად დამასკელსა იტყვის, იოანეს.

იგი ფილოსოფოსი არისტოტელისმიერითაგან „კატილორიათა“ გარ-
დამოსცემს ჩვენ მოწაფეთადმი: რაოდენობაა არსო ერთთა შეკრე-
ბაჲ. ხოლო არავინ ჩვენგანმან ერთსა რაოდენად მიხედეს, არამედ
ერთი დაწყებაჲ არს და პირველ დადებული რაოდენობისა. და
ერთი და ერთი რაჲ მოვიდეს ზოგად, იქმნების ორ. ნუჲმე ჰგონოს
ვინ განყენებისმოქმედად რაოდენობაჲ, სტების იგი. რამეთუ გვა-
რი ესე არა განყენებასა ჰყოფს ერთთასა, არამედ უფროს ნა-
წევარობითსა უკვე შეაყენებს გვარსა და შეაწყობს და შეკრებს [100]
ერთა. განყოფამან ორთა ერთად და ერთად, და თვისაგან და თვი-
საგან დადებად მოგვეართვა და წინა-დაგვიდვა განწვალებაჲ, მაგრა
ერთისა და ერთისა ორად მოღებამან ქმნა შეერთებაჲ ერთთა.

თქვა არისტოტელი: რაოდენობაჲ არსო საზომი და რიცხვი,
ხოლო მრიცხველი. რომელი აღრიცხავსცა და განზომს. ქვემდებარ-
ენი — რიცხვისა და საზომისა რაოდენნი უკვე, რომელ არიან
აღრიცხვისა და განზომისა შინანი.

ვისწავეთ რაოდენობითნი, განწვალებისაცა და შერწყუვისაცა
მიმთვალველ. და განწვალებულნი უკვე არიან სხვანი ანუ სახითა,
ხოლო ანუთუ რიცხვითა; ხოლო შერწყმულ არს უკვე განზიდულ
განსადგმელსა შინა საზომისასა, ვითარ რეცა სვეტი რაჲმე აღსა-
ზომი ფარგლითა ანუ თუ სამტკავლოთა და საწყრთეულოთა მიერ,
და ესთა სხვანი, რომელნი ერთობისა მქონებელნი აღზომასა ანუ
თუ შთაზომასა და ეგ სახედვე მიმთვალველ უკვე რაჲსავე განზო-
მასა შინა არიან. ესენი წოდებულ შერწყმულად. ხოლო განწვა-
ლებულნი რაოდენობისაშინანი, ვითარ იგი ათორმეტნი ზოდნი ვარ-
სკულავთანნი, ანუ თუ გოდოლნი ქალაქისანი და ათორმეტნი ქვანი [101]
სამოსლისა აპარონისანი, ანუთუ კვიპაროზნი ათორმეტნი — ესე-
ნი განყოფილ და სხვა ჯრთიერთადთამი, ხოლო საწყველნიცა ქსე-
სტითა, ვითარ რეცა მცირედთა სიმრავლესა აღწყავს ვინ. წარწერაჲ
უკვე შერწყმულისა ესე არს ესე: რომელთაცა კერძონი ერთისა
რაჲსამე წარწერისამი შეყოფილ იყვნესმცა. რამეთუ ერთი რაჲ
იყო სიგრძედ განდგმული რაჲმე, ვითარ რეცა ორმტკავლელი, და-
სასრული ერთი მტკავლისა და დაწყებაჲ მეორისა მტკავლისა ერთი
არს, ვინათგან შეყოფილ უკვე არიან განუყოფელად ურთიერთას
ესენი.

არიან უკვე განსაზღვრებულნი. რომელთანი ნაწილნი არა შე-
რწყმოდინ ზიარებითისა რაჲსავე მიმართ სიტყვისა. ვითარ რეცა
ათთა მარგალიტთა ზედა, რამეთუ აღრაცხო რაჲ ხუთნი და ხუთნი,

არა არს მათდა ზიარებითი რაჲვე სიტყვაჲ შემაერთი მათი, რამეთუ თუმცა დაიდვასმცა შორის ხუთთა და ხუთთა, აჰა, იქმნების რიცხვი ათ და ერთ, და არა ათ.

102] ხოლო თვით სამგანსადგმელიცა აღმოაჩინს შერწყმულსა და განსაზღვრებულსა. ვინაჲ აღჩინილესე, რამეთუ განსაზღვრებულსა რაოდენობისა თანდადებულ არიან რიცხვი და სიტყვაჲ, ხოლო: აქა რიცხვად შევისწავებთ აღრიცხულთა, ვინათგან რიცხვულნი უფროს განსაზღვრებულ არიან, ვითა აღმოიჩინა სიცხადით; და სიტყვაცა განსაზღვრებულ სადამე, რამეთუ სიტყვასა, რიცხულსა ლექსებით, არა აქუს ზიარებითი რაჲვე საზღვარი, შემრწყმელი ნაწილთა მისთა, რამეთუ თუმცა აქუნდა სიტყვასა კერძობად ლექსნი ათნი და განიკერძოოს რაჲ ხუთად და ხუთად, არღა მათდა ზოგად საზღვარი შემრწყმელად. ხოლო თუმცა საშუალ მათსა დაიდვას რაჲმე, იქმნების ათ და ერთ, და არღარა ათ. ეგ სახედვე, ლექსსაცა, რიცხულსა მარცვლედად, არა აქუს საზღვარი შემრწყმელ მათდა. ვითარ რეცა პეტრე სახელსა, და საშუალ „ჰე“ მარცვლისა და „ტრე“ მარცვლისა არა აქუს საზღვარი, ზოგად შემაერთი ორი მარცვალთა მათ.

103] შერწყმითნი უკვე სარაოდენონი ესე არიან ესე, ვითარ რეცა: ეპიტანიაჲ და ღრამმი და ადგილი და ეამი. მაგრა წერტილსა არავინ მიხედა სარაოდენოდ, არა. რამეთუ განსადგმელი მისი არავის და პოვნილ არს, არცა მეგრ ღრამისა და უფროს ხოლო, არცა მეგრ ეპიტანიასა, ხოლო მეგრ სხეულისა ყოვლითურთ არა, რამეთუ ურაოდენო არს იგი. ღრამი განსადგმელსა შინა ერთსა უსივრცოდ, რომელსა აქუს სიგრძეჲ, და ესე შერწყმითსა რაოდენობასა მითვალავს და ერთგზის აქუს განზომილებაჲ. ხოლო კერძოთა მისთა საშუალ წერტილი არს, ორთავე კერძოთა შემაერთად. ეპიტანიაჲ— ორსა შორის განსადგმელსა, ვითარ რეცა გარეგნით სხეულისა კერძი, სიცხადით აღჩინილი ხედვასა შინა, მქონებელი სიგრძისა და სივრცისა, და ესეცა ერთობითსა განსაზომსა შინა, რომლისა კერძოთა მოჰქონან ზიარებითნი რაჲვე საზღვარნი შემრწყმელად შორისისა მის მათისა ღრამმისანი. უთხრათ უკვე თნებადთა სწავლისათა, ვაკესათვის განსწორებულისა ეპიტანიასა წოდებაჲ ველოვანისა, მაგრა უსწოროჲ და ღრლოვანნი ითქმიან. მარტივ ეპიტანიად..

ადგილიცა უკვე ჰაირისა¹⁹ ეპიფანიავე არს, ხოლო ადგილი შერწყმითად რაოდენობად შესმენილ.

სხეულსა აქუს განსადგემელსა შინა სამსა შესმენილებად და ესე არს ესე: სიგრძე, სიგრცე და სიღრმე. და ესეცა ერთობისამებრ განსაზომ არს, რომლისა კერძოთა აქუს უკვე ზიარებითი რადევე საზღვარი მათდა — ეპიფანია. [104]

ჟამნიცა განსაზომსა შინა, ვინათგან წარსულად და მოსვლადად შესმენილ. ხოლო აქუს ნაწილთა მისთა საზღვარი, შემაერთი ზოგად შერწყმისა მათისა — აწი.

სამთა ვპოვებთ კიდევან რაოდენობისა. ხოლო სამნი იგი ესე არიან ესე: ერთი და წერტილი და აწი.

მაგრა უსაკუთრესად შვიდნი უკვე რაოდენობისა მიმთვალველნი ვისწავეთ, ხოლო ესე არიან ესე: რიცხვი, სიტყვაჲ, ჟამი, ადგილი, ღრამბი, ეპიფანიაჲ, სხეული. ხოლო შემთხვევით რაოდენად ვიცნობთ მათ შორის სახედველთადაცა, საქმესა და ძრვასა და ესთა სხვათა. რამეთუ იქმნეს რა მრავალყამ საქმენი და ძრვანი, ითქმის, ვითარმედ „მრავალი საქმე“, „მრავალი ძრვაჲ“ და თუმცა მცირედ ჟამ — მცირედად ითქმიან. ეგ სახედვე, თუ იყოსმცა მრავალსა შორის სხეულსა სითერთე, ითქმის „მრავალი თეთრი“ და თუმცა მცირედსა შორის, ითქმის „მცირედი“.

კვალად რაოდენისაგამონი არიან განსაზღვრებულცა და განუსაზღვრებელცა. განსაზღვრებული ვიდრემე განზომად შესაძლო და აღსარიცხველად, | ხოლო განუსაზღვრებელი არშესაძლოჲ განზომად და აღრიცხუად. არამედ ყოვლითურთ ზესთა ამათ ყოველთა და ესე სამლთოჲსა და დაზევებულსა სიმალისა მიმართ აღიყუანების. [105]

ვიტკივთ მერმეცა გარდამოცემად და ვიტყოდეთ დიდისათვის და მცირისა, ფრიადისათვის და ცოტასა, უფროსისა და უმცროსისა, უმრავლრიცხვესისა და უმცირესრიცხვესისა, ორწილისა და ნახევარისა, და ესთა სხვათა. ესე ყოველი არისტოტელი მისცა რადსა-მიმართისა მისადგოსა დაწესებად.

რაოდენობისაგამონი არს იგი რომელიმე სიდიდე და ესე რომელიმე სიმრავლე, სიდიდე უკვე განზომისა მიმთვალველ და რაზომობისა, და სიმრავლე — აღრიცხვისა და რაოდენობისა. საუწყ არს, ვითარმედ რაოდენი ეპორველების რაოდენობასა, ვითარ ვი-

¹⁹ ხელნაწერშია: აპირისა.

თარი — ვითარებასა. ესე კმა ჩვენდა რაოდენობისათვის და რაოდენობისა გარდამოცემად აწინდელისა ფილოსოფოსებრისა სიტყვისა.

რადა რადსამიმართნი? თავი 58

- [106] თქვა არისტოტელი რადსამიმართათვის, ვითარ-იგი თვითყოფად რადსავე, ეგ სახედ|ვე²⁰ ყოფად სხვათადმი, ვითარ მამად ძისადმი და მოყუასნი ურთიერთადმი და დიდი კნინისადმი, და პირველი შემდგომისადმი, რომელ არს მიზეზი ბუნებითი მიზეზოვნისადმი ბუნებითისა და ესთა სხვანი. თნებად ვართ უწყებად, რამეთუ ოდეს იგი რადვე თვით იყო რა განსახილვადსა შორის, არა ითქმის რადსამიმართად, ესე იგი არ მომგები სხვისადმი განუტრელისა თვისებისა. მაგრა განუტრელი რა მოიგოს თვისებად რადვემან მეორისადმი, იგი რადსამიმართისა შორის შესმენილ. ხოლო ამათი უკვე მდგომობად ესე არს ესე — სხვისა შორის ქონებად განუტრელისა თვისებისა. არიან განუტრელსა შორის თვისებასა მყოფნი რადსამიმართნი რომელნიმე ერთ და იგრევე სახელითა, ვითარ მოყუასი — მოყვისა მოყვასი და განრემზომი, ვითარ მტერი — მტერისა მტერი. და არიან სხვანი სახელითა და ესთა სხვანი. 2. ამის რადსამიმართთა შორის აღმატებით სათქმელნიცა ვისწავეთ, ვითარ უფროსთა შორის და უმცროსთა. 3. კვალად ზედმიწევნულობად ზედმისაწვენთა, ვითარ მეცნიერებად სამეცნოთა, რამეთუ მეცნიერებად მართებს და განარჩევს სამეცნოთა. ჰგავს უკვე და მეგრ არს ამისა [107] ესეცა რადსამიმართობად, | ვითარ გრძნვად — საგრძნოთა გრძნვად. 4. კვალად დადებად — სამდებაროხსა დადებად, მეგრ ამისა დადგომად და სამდგოსა დადგომად. 5. ითქმის მერმეცა გვარი ამის რადსამიმართობისა ესთა, ვითარ ძალის გამო და უძალობისა. ძალისგამოდ არს, ვითარ განმაკურვი და განჯურვებული და უძალობის გამო, ვითარ-იგი არ თემის თვალსა მიხედვად არსებასა უვითაროსა. 6. ითქმის რადსამიმართობად ნათესავსა ზედა და სახესა, ვითარ

20 აშიაზე: ხუთთა სავმარ არს ძიებად წესსა რადსამიმართათასა: 1. მიზეზსა ზედწარწერილისასა, 2. გვაისა, 3. გვარსა. 4. მასწაველობასა ერთისა მიმართ განყოფილებისასა, 5. და წესსა, თუ რომლისა მიზეზისათვის რადსამიმართნი წინდაწესებულან, რომლისა, ვინა ვითარისასა.

მიზეზი — მიზეზოვანისა მიზეზი და მეგრ ამისა, ვითარ მამა — ძისა მამად.

მე უკვე შეიღსა შორის რიცხვსა ვიხილენ ესთა რაქსამიმართ-
საშორისნი განუტყრელითა თვისებითა, ხოლო ამათნი იმარმენნი
ესენი არიან: 1. რაქსამიმართნი რომელნიმე არიან გარეშესმენილნი
სახელითა, ვითარ მოყვასი და მოყვასი. ხოლო ესე წინაღრჩევით-
საცა შორის რაქსამიმართობასა შესმენილ. 2. მყის თანად გებად
ბუნებითი, თანაშემოყვანებად და თანაშეყვანვად, თანამოსპოლვად
და თანამოსპოლველობად, რამეთუ მოსპოლვამან ნათესავისამან
სახედ მოსპო, და თანამოსპოლველ გამოჩნდა ნათესავი სახ-სა. და
შემოყვანამან ნათესავისამან შემოიყუქანა სახედ. ხოლო უკეთუ [108]
თქვას თუ ვინ, სახისა მოსპობითა არ-თან-ობრწნებისო ნათესავი,
ჰე, ეგრეთ იყავნ და ჰეშმარიტ სადამე უთქვამს მეტყველსა ესე.
მაგრა მითხრას მე ესთა მეტყუელმან, ვითარმედ: ვისილა იყოს
ნათესავი, უკეთუ არა აქვნდესლა სახე? კვალად იტყვის წინააღმდეგო-
მი, ვითარმედ: მოკულდა რად აღამ, ეგო ცხოვლად სული და არ-
თან-მოისპო აღამის თანა. ვეტყვით, ვითარმედ: ეგო გვამი სეითისა
ცხოვლად შემდგომად აღამისა მოუსპობელ, მაგრა განუტყრელი
თვისებად მათი ეგო არლარა. და თუმცა ვინ დადვას მათ შორის
შემდგომად აღამისა განუტყრელი თვისებად, ესე ამით უკვე იქმნას
მიზეზით, ვითარმედ აღამ არს მქონებელი უკუდავისა სულისა. და
ესეცა არა საკუთრად მოიღების, არამედ უფროსლა ნართათლო-
ბით. 3. არა ბუნებითი მყისთანადობად აქუს უკვე უფალსა და მო-
ნასა, რომელსა იბედივ იტყვის სამლოთ იოანე დამასკელი. 4. არა
აუნებითი მყის-თანადობად აქუს კვალად სხეულსა და ფერსა. 5. არა
ბუნებითი მყისთანადობად. კვალად კელოვნებითი რაქსამიმართო-
ბად, ვითარ მოძლუარი მოწაფისა მიმართ. აღჩენილ ჩვენ უმეცარ-
მეტყველთა მიერ გვარი რაქსა|მიმართთა ანუთუ რაოდენ გვარად [109]
შეისწავების, ანუთუ ვითარ მოიღების განუტყრელი თვისებად რაქსა-
მიმართთა შემამტყციებელად, და ესეცა თუ რაოდენ გვარად? ის-
მინე, ვითარმედ: ჯერ-არს, რათა ერთი რადე იყოს და მერმე სხვი-
სა მიმართ მოიგოს განუტყრელი თვისებად, ვითა ერთებრმან და არა
ერთმან თვისგამოთა ერთებრთა და არა ერთთა შორის.

მისცა არისტოტელი თნებადთა სწავლისათა გვარი ვითარებისა
ოთხად. რამეთუ ამმონიოს ერმისიისა ესთა გვასწავებს არისტოტე-
ლისაგან განყოფასა ოთხგვარად ვითარებისასა, ესთა: 1. ხოლო გვა-
რი პირველი ესე არს ესე, გქსრ²¹ და დიათესი; 2. მეორე, ძალი²² და
უძალობაჲ; 3. მესამედ, ძალი ვნებულებითი და ვნებაჲ²³. 4. მეო-
თხედ, ნაკვეთი²⁴ და მორფი.

[110]

უთხრათ უკვე თნებადთა სწავლისათა, ვითარმედ პირველად
სამღთომან პლატონ იჴმია სახელი ვითარებისა სიტყვის ყოფასა
შინა თემისტიტომასსა, და მან დაბადა სახელი ამის ვითარებისა.
ხოლო იტყვის პლატონვე ამისთვის: ვგონებო მე უმეცრად, რამეთუ
დანიშნავს ვითარებასა ხელი ანაზღად თქმულობისათვის. ხოლო
არისტოტელი განავრცო ამის ვითარებისა სახელი ვიდრე სხეულ-
თამდე, მაგრა სულისადა ზედა თქვა მეტყველმან ვითარების-ყოფაჲ,
ვითარ სულისა შორის ყოფაჲ სათნოებისა და ზედმიწევნულობისა.
იტყვის სამღთოჲ²⁵ იოანე მოძღუარი ჩვენი გარდამოცემასა შინა

21 აშიაზე: ექსი არს გეომეტრიასა ძალისა ხედვაჲ, ხოლო გეომეტრიაჲ ატ-
ტიკურად წართქმული. და ჴმასა ჩვენსა ზედა გარდამოიღების ქვეყანისშოკელთა
ქელოვნებად. ხოლო დიათესი არს, ოდეს თქვას თუ ვინ ძლით სასამენელით ქო-
ნებაჲ გეომეტრიებერთა ხედვათა, ესე პირველისა ვითარების გვარისა აღჯსნაჲ.

22 აშიაზე: ძალი და უძალობაჲ მომზაებელობაჲ და მოუზაებელობაჲ: უნე-
ბითთამი საქმეთა ძალად მომზაებელობაჲ გაიგონე, ხოლო მოუზაებელობაჲ
უძალოდ. ესე მეორისა ვითარების გვარისა აღჯსნაჲ.

23 აშიაზე: ძალი ვნებულებითი და ვნებაჲ ესთა იმეცნების, რამეთუ ვნე-
ბულებითი ვითარებაჲ არს თოვლსა შორის სიცივე და ცხელსა შორის სიმ-
ხურვალე და ესე დატყუბილ, ანუ ვითარ ვნებისმოქმედი ანუ ვნებისაგან შორს
ქმნილი. სიცივე ვიდრემე და სიმჴურვალე თოვლისა და ცეცხლისა ითქმის ვნე-
ბულებითად ვითარებად. მაგრა არა ვნებისაგან შექმნილი შორის, რათა მიიღებ-
დნენ ამას ცხელი და თოვლი, რამეთუ არა ქცევაჲ რაჲმე ქმნა შორის ქვემდე-
ბარისა გვარმან ამან. არამედ უფროსლა დასდევს მათ სხვათა შორის სიმჴურ-
ვალეცა და სიცივე, ვითარ-იგი განჴურგებულისა შორის ოქროსა სიმჴურვა-
ლე ითქმის ვნებულებითად ვითარებად, ვიდრე ვნებისა მიერ შექმნილი შორის.
არსებად ვიტყვით, რაჲმას პირველსა ფერსა მოწითლესა მქონებში, შიშისა მიერ
შემწვარი, ყვითლად იქმნის, ამას უკვე ვიტყვით ვნება-ყოფად. ესე მესამისა
ვითარების გვარისა აღჯსნაჲ.

24 აშიაზე: ნაკუეთი უკვე და მორფი ესე არს ესე, ვითარმედ ნაკუეთი
უცხოველთა ზედა სათქმელ არს. ხოლო მორფი ცხოველთა ზედა მშენიწიერთა.
ესე მეოთხისა ვითარების გვარისა აღჯსნაჲ.

25 აშიაზე: სამღთოდ იოანეს ვიტყვით დამასკელსა, ეკლესიისა დიდსა ფი-
ლოსოფოსსა.

არისტოტელის შესვენათსა: ვითარება არსო, რომლითა იგი ზოგნი ვიდრემე იწოდებიან ვითარებად, ხოლო მერმეცა ვითარებად არს, რომლითა იგი ზიარებისა მისისა მქონენი სახელ შემატებულად იწოდებიან. ხოლო სახელნართაული, რომელ არს სახელ შემატებული, ესთა იმეცნების გვარისა ამის შორის, ვითარ-იგი ცნობისაგან ვთქვიოთ ცნობილად, მქონები ცნობისა. და ფილოსოფოსად ითქმის, რომელი ზიარ იყოს ფილოსოფოსებრისა კელოვნებისა. [111]

საუწყესე საჭიროდ, ვითარმედ ვითარი უპირველეს სადამე ცნობილ ვითარებისა, რამეთუ ვითარმან გვაჩვენა ვითარებად და მქონები მისი. და მკურვალმან — მკურვალებად და მქონები მკურვალებისა, რამეთუ ვითარებად მქონებელი არს ვითარისა, ვითარ მკურვალე მკურვალებისა. მაგრა ბევრგზის ვიხილეთ ვითარი გაგონებულად ნაცვლად ვითარებისა, ვითარ-იგი თქვას თუ ვინ, ვითარმედ: კაცისა წილ მშვინველი და არს კაცი მშვინველი. ეს სახედ რაოდენობისა წილ ითქმის რაოდენი და ვითარებისა წილ — ვითარ-. არიან ვითარებათაგანნი მშვინველისა სახეთა შორის, ვითარმედ ზედმიწევნილებად რომლისაგან ექაცა და დიათესი, სიმართლეს, ტკივილი და სიმართლეს და მორფი²⁶. ესენი სახეთა შორის მშვინველისათა. მაგრა უსიტყუთა სახეთა შორის არა ყოველნი. ესენი ანაგებად და გვარად ითქმიან. ორძილობითთაცა შორის სახეთა თუმცა არა ესენი, არამედ სხვანი, ესე იგი მკურვალე²⁷ და სიცივე და ნაკვეთი, შეხდომად და უძალობად. ესენი ვნებულეებითისა და ვნებისა ვითარებითსა გვარსა შორის. ამათნი ზოგნი უკვე ძალნი და ზოგნი — მოქმედებანი. ხოლო უკეთუ ძალნი, ჰქმნეს მათ ძალი და უძალობად და უკეთუ მოქმედებანი, ჰქმნეს მათ სიღრმედ შთაწევნად, ვითარ მკურვალებად სხეულთა შორის, და სითეთრე ბროლისა შორის და მარგალიტისა; და სიშავე სათისა შორის და ეკალ-მუხისა. ამათგანი ზოგნი ძალისა ვნებულეებითისა და ვნების ვითარებისა გვარისა შორის და ზოგნი არა ესთ. და ამათ ჰქმნეს უკვე შეხდომად და შეხდომითი ვითარებად, ხოლო რომელ-

26 აშიაზე: მორფი და ნაკვეთი ზემოთა შინა სხოლიონთა გარდაიდვა.

27 აშიაზე: მკურვალებად და სიცივე ზემოთა სხოლიონთა შორის გარდაიდვა, თუ ვითარ ერგების ვნებულეებითისა და ვნებისა ვითარებისა გვარსა. ხოლო სითეთრე და სიშავე არა ვნებულსა და ვნებისა გვარსა, არამედ ძალსა და მოქმედობასა შინა.

ნაცა არა სიღრმედში²⁸, არამედ ზედა²⁹ კერძო სხეულთა მყოფნი, ჰქმნეს მათ მორფი და ნაკვეთი.

[113] თქმულ არს მერმეცა ხატნი ვითარებისანი ოთხ, რომელთა ვიცნობთ ესთა: გვარი, ანაგები, კვალად ძალი და უძალობაჲ, შეხლობაჲ და შეხლობითი. ესთა ზედვად გვარისა³⁰ და ან|აგებისა, რამეთუ გვარი უპირველეს, ვითარ ნათესავი, და ანაგები, ვითარ სახე, რამეთუ გვარად ითქმიან ესენი ორნივე.

გვარ უკვე ესენი, რომელნიცა ადვილად იქცეს მყოფობისაგან თვისისა, რამეთუ ადვილ ცვალებადსა დაეგვარების განუკვეთელი არსებითისა ნათესავისა. და კვალად განმგდესა იხილავ მისსა.

[114] ანაგები არს უკვე, რომელნიცა ძვილ შესაცვლელსა შინა გვარსა გამოჩნდეს, რამეთუ თუმცა ადვილ სიმრთელე და იქცესმცა სნებად, მაგრა მრავალნი ვიხილენ განმრთელებულად სნებადნი, რომელთა შორის ძვილ სადამე გამოჩნდა სნებაჲ. და ესთა გვარნი უფროსდა ანაგებ ცნობილ. ძვილ განსაგდებ ანაგებისა გვარი, რამეთუ ანაგებ არს ჩვენთაგანთათვის მყოფთ მხედველობაჲ, რამეთუ ისწავა რად ვინმე ესე კელოვნებაჲ, ანუ თუ სხვაჲ რომელიმე ესთა, ძნიად განაგდოს მან იგი. მაგრა სხეულითა თვალითა ვერ შესაძლოა მიხედვად სიმრთელე უხილავი, ესეცა სხეულებისამებრ სიმრთელისა, რომელთათვისმე ადვილ განსაგდებელ და რომელთათვისმე ძვილ. ძალი უკვე და უძალობაჲ — პირველსა შინა ოთხობითსა გვარსა ვითარებისასა, ხოლო მეორესა შინა ამის ვითარებისასა ოთხობითსა გვარსა, ესე არს ესე, ვითარ რეცა მოქმედებაჲ, რამეთუ აქუს სიმარჯვე, ვითარ-იგი ყრმასა არა აქუს მოქმედებრთ სადამე მათიმათიკებრი ცნობაჲ, მაგრა შესაძლო შეწყყნარებად მისდა. ხოლო უსიტყვეთა არა ესთ. რამეთუ არცა ძალით და არცა მოქმედებრთ მათ შორის, გვარი უკვე ამის ნათესავისა მეორისა ოთხობისა, ესე იგი შეხლობაჲ და შეხლობითი. შეხლობაჲ, ვითარ სიგრილე და გარემზომი ამისი და სიშავე და კვალად განრემზომი ამისი.

26 აშიაზე: სიღრმედ შთაწევნითა ვითარებაჲ თანამოდგამ რომელიმე ექსისა და დიათესისა, რომელ არს ზედმოწევნულებაჲ.

29 აშიაზე: ზედა კერძო სხეულთა მყოფნი ვითარებანი მორფისა და ნაკვეთის ვითარების გვარისა მოდგამ, მაგრა ძალსა და უძალობასა და შორის ვითარებისა 3 გვარსა.

30 აშიაზე: გვარი უკვე და ანაგები მოდგამ ექსისა და დიათესისა.

ხოლო საუწყყ ესე, ვითარმედ შეხდომამა¹ მებრ გვარისა ვის-
წავეთ, რამეთუ ადვილ განმგდე არს სხეული შეხდომისა, რაჟამს-
იგი საკდემელ რაჟე ვისთვისმე იქმნის, მეწაულ ყვის მან და სნე-
ბამან განყვითნებითმან განაყვითნი: რგი ვინმე. და ესე შეხდომა
არს და ადვილ განსაგდებელ. მაგრა შეხდომითა² ვითარებამა ძნიად
შესაძლო შეცვალებად. ამან, შეხდომითმან ვითარებამან, თვისგან-
ნი ზოგნი უკვე გვიჩვენნა, რამეთუ არა შეხდომისაგანნი იყენეს, [115]
ესე იგი რომელნი არსებით მყო არიან ნითთა შინა, ვითარ წყლისა
შორის სიგრილე და ცეცხლისა — სიმკურვალე, რომელნი არა შე-
მდგომად არსებათა ცეცხლისა და წყლისათა იქმნენ მკურვალ და
გრილ. საგრძნობთა³ შორის მშვინველისა სახეთაგამოთაჟა ქმნა ესე
სახემან ვითარებამან, რომელ არს შეხდომად ზიარებითი. რამეთუ
სიმკურვალემან ცეცხლისამან განაყურვინს, სიგრილემან ყინელთამან
განეფხვის და სიტკობმან თაფლისამან დაატკნის. ეგ სახედვე თე-
თრმან და მეწაულმან, და შავმან და ფერომან ქმნის რა შეხდომად
სახედველთა მშვინველისაგამოთასა — განთეთრებამ და ესთა სხვა-
ნი, და განმარტებამ განჩევესა მისცა სახედველთასა. რომელნიცა
არა მოგებულ არიან ესთა ვითარებანი, არამედ არსებით მყო ესენი,
ანუ ყოვლისა და სრულისა ბუნებისა რამსავე არს, ანუ არა ყოვ-
ლისა, ვითარ ყოვლისა მარგარიტისა სითეთრე და არა ყოვლისა.
ვითარ მხოლოდ ეთიოპთა და ინდოთათვის სიშავე და არა ყოვლისა
კაცისგამოთათვის. მეორესა ოთხობითსა შორის ვითარებისა გვარსა
არს მეოთხე გვარი — მორფი და ნაკვეთი, რომელი პირველისა
ოთხობისა ვითარების გვარისა შორის | მეოთხევე არს გვარი. [116]
ზე-
მოთა უკვე სიტყვათა შინა გარდადვა, რამეთუ მორფი მხოლოდ
მშვინველთა შორის; ხოლო ნაკვეთი თუმცა ორძილობითთა შორის
ნერგთა, არამედ უორძილოთაცა ზედა მიღებულ სხეულთა. უკეთუ
თქვას თუ ვინ ნერგთა ანუ ძელთა და ქვითა და ესთა სახეთა ზედა
მორფი, არა საკუთრად, არამედ ნართაულად უთქვამს მას. ნაკვეთი
ვიდრემე ნათესავი, ხოლო მორფი სახედ, მაგრა მორფი მრავალ-
გზის ნაკვეთად ითქმის, ვითარ-იგი ანაგები გვარად.

31 აშიაზე: შეხდომად ვნებულეებითისა და ვნებისა ვითარებისგამოთა ეზიარე-
ბის ვითამე.

32 აშიაზე: შეხდომითნი რომელნიმე ეზიარებან ექსსა და დიათესსა, რო-
მელ არიან არსებით მყონი, მაგრა არა ყოვლითურთ.

33 აშიაზე: ესე ვნებულეებითისა და ვნებისა ვითარების გვარსა ეზიარების.

ითქმის³⁴ მერმეცა ვითარებად სიმართლევცა და განრემზომი მისი. აქვს ვითარსა და ვითარებასა ბევრგზის მიცემაჲ ურთიერთ-არს სახელისა, ვითარ თქვას თუ ვინ მკურვალეებისაგან მკურვალის სახელმოდგამადცა მოვალს ვითარებისგამონი, ვითარ ასტრონომისა კელოვნებაჲ და ასტრონომისა კელოვნებისა მიწთომილებისა ქონებაჲ ირაკლიდისი. ხოლო სხვა სახელობითცა ითქმის გვარი ესე, რამეთუ სათნოსა ილიას ანუ იოანეს სათნოებისაგან უწოდს ვინ მოსწრაფედ.

[117]

ვიტყვივით ესეცა უწყებად — ორგვარობაჲ შეხდომისა, რამეთუ ითქვა რაჲვე შემხვედრად და ვითარებისამი აღვალს ესეცა, ვითარ სამოსელი³⁵ განთეთრებული ითქვა თეთრად. ანუ შეხდომად არს. და ესეცა აღვალს შეხდომისამი, ესე იგი არღა ჯერეთ განთეთრებული, მაგრა განთეთრებადი.

საქირო უწყებად, ვითარმედ არა სხეულ სამე არს გვარი ვითარებისა. არამედ მყოფ სხეულსა შინა, რამეთუ უკეთუმცა სხეულ არსებისა ქვეშე შესმენილ, მაგრა არა თავით თვისით, არამედ სხვისა შორის, რამეთუ თვით-ყოფაჲ არ შესაძლო მათდა, თუმცა არა იყოს არსებასა შინა გვარი ყოველთა ზედშესრულთა, არიან³⁶ უკვე სხვანიცა ვითარებანი, რომელნი არსებისა გამო შევისწავეთ, ესე იგი განწვალვაჲ ნათესავისა დატყუბილთა ზედა ნათესავისგამოთა, რომელმანცა თითოეული მათი შეაყენა და წარმოადგინა სახედ და განყო თვისთა თანმენათესავეთაგან. ესე გვარი უკვე ოთხთაცა შინა კავშირთა მყოფ არს არსებითად, ვითარ ცეცხლისა შორის სიმკურვალე და წყლისა სიგრილე. ეგ სახედვე ტევრთაცა შორის რაჲვეთა სიკშომო — ესე რაოდენობისაგამონი უკვე. ხოლო ნაქვისა შინა ყვავილთა სიკშომი, რომელნი აქუს ქსულსა მას არსებითად. და ესე მდებარეობითისა შესმენისა გამო არს. სამ უკვე არს ვითარების თვითებაჲ, რომელთაგან | შედგომად აქუს მას: 1. პირველად უკვე შეწყნარებაჲ წინააღმდგომთა, ვითარ მკურვალისა შორის და გრილისა; და თეთრისა შორის და შავისა. 2. მეორედ აღრისა და დარისა შორის. და ესეცა წინააღმდგომ ურთიერთას, რამეთუ აღრი განვრცომასა გვაჩვენებს და დარეჲ მოკლებასა. 3. მესამე,

[118]

34 აშიაზე: ესე ექსისა და დიათესისა ზიარ.

35 აშიაზე: ესე ექსისა და დიათესისა ზიარ ვითამე.

36 აშიაზე: შეისწავე სხვაობათათვის არსებითთა.

შესადგო გვარისა ამის, რამეთუ უსახოანესიცა არს ესე გვარისა ამის ნათესაობითისა, ესე იგი მსგავსიცა და უმსგავსოა.

საუწყ არს ესე, ვითარმედ ნაკვეთსა არა სადა მოუციეს წინა-აღდგომაჲ. საჭირო არს ცნობაჲ. ვითარმედ სადაცა იაქვას მოკლე-ბაჲ, უკუთქმით მოკსენებულ იგი. მაგრა ვიეთთა წართქმულთაცა გვაჩვენეს მოკლებულნი საქმენი, ვითარ სიბრმე და ესთა სხვანი. მერმეცა არა ყოველი სახე წართქმით მოიღების, არამედ უკუთქმით-ცა, რამეთუ სახე არს უძღვებებაჲ და აჰა, ითქვა წათქმით. ხოლო სარწმუნოებაჲ ითქმის წათქმად, და ესე ფრიად კეთილ, ხოლო ურწმუნოებაჲ უკუთქმად, და ესე არა კეთილ. სარწმუნოებაჲ ვიდრემე სათნო ყოფაჲ, ხოლო ურწმუნოებაჲ — უარს-ყოფაჲ. ესე ეკმაოდენ ვითარისა და ვითარებისა გარდამოცემად ჩვენმიერსა სიტყვითსა კელოვნებასა.

რად არს სადაობაჲ. თავი 60

[119]

თქვეს უკვე პერიპატოსგამოთა სადასათვის. ვითარმედ: სადა-ობაჲ არსო აღმოჩენი ყოფად ადგილისაშინათა. მაგრა სადაობა-მან არა აღმოაჩინა ადგილი, არამედ ადგილსა შინა მღვთა რადეჲ, რამეთუ ოდეს იგი თქვას თუ ვინ. „ცაჲ“, ანუ თუ „აზიაჲ“, გინა „ევროპაჲ“, ანუ თუ „ჰრომი“, გინა „ეკლესიაჲ“ — გვაჩვენებენ ჩვენ სამდგოთა და არა მდგოთა სამდგოსა შინათა. ესთა — ხედვაჲ სადაობისა, რომელი თანგავლის სილიგიზმოსა მყოფთ მხედველთასა, რამეთუ თუმცა სადამე თქვას თუ ვინ თვინიერ მდგოთასა სამდგოჲ რადეჲ. არა გვაჩვენა სადაობაჲ, და არცა მდგომან სამდგოსა კიდე აღმოაჩინა სადაობაჲ. მაშა, ესე არს ესე სიტყხადე ნათესავისა ამის, ვითარ პეტრე ჰრომას და პაველე არიოპაგის შინა და მელიტონ კიდესა ზედა ზღვისასა და ლაშქარნი უენასასიანე და ტიტესნი გარე-მო იერუსალიმისა. აჰა, თანგანვლის სახედ აღმოიჩინა სადაობაჲ, რა-მეთუ ესთა არს განყოფაჲ სადაობისა: ქვე³⁷, ზე და გარემო. მერმე-ცა განყოფაჲ ამის ნათესავისა საწინააღმდგომ და უწინააღმდგომოჲ. საწინააღმდგომოჲ უკვე ზესთ და ქვეშე, ანუ თუ საშუალ და კიდურს. ზესთდანიშნეჲ სადაჲსა ესე არს ესე: ზესთ, ვითარ კრო-ნოს პირველსა შორის სარტყელსა სფეროსასა: და ქვეშე, ვითარ ქვეშე ნაბრალოვანსა კლდისა, ანუ სოროსა რადსავე დამარხულ კა-

[120]

37 აშიაზე: აჰა, სახენი სადაობისანი და ქვემოთა ლექსთაცა შორის ჰპოო.

რავი და კიდობანი წამებისა იერემიას მიერ; საშუვალ, ვითარ ცხოვრებად სოფლისა შორის ორთა შათ შეცოდებულთა კაცთა ჭვარცმულ; ხოლო კიდურსა, ვითარ ტბისა მის ტიბერიისა კიდესა, შემდგომად აღდგომისა კორცშემოსილი იგი სიტყვად.

კვალად სადაობად უწინააღმდგომად. არს ყოფად მის ვისიმე ეკკლესიასა შინა და სხვათა ესთა. არმიმთვალველ სადაობად მეტისა ანუ ნაკლებისა, რამეთუ იოანე იყო ეფესოს, არა იყო მეტ-ყოფად თიატირის ყოფასა მისსა და არცა ნაკლებ, და არცა წინააღმდგომად ყოფა იოანესი თიატირის შინა, ეფესოს ყოფასა მისსა. მაგრა ყოფად რადასავე წინააღმდგომად ესე არს ესე, ვითარ ზესთ-ყოფად და ქვეყოფად, მაგრა ესეცა არა ყოვლითურთ, რამეთუ ზესთ-ყოფად არა თავით თვისით თქვეს ვითამე და ქვეყოფად თავით თვისით. ვითარ-იგი წმიდათაგანნი ქვეყანა[სა] ზედა მყონი თავით თვისით დამბადებელისაგან შექმნითა თვითმფლობელ. მაგრა შემდგომად აღდგომისა მათისა არა მყო თავით თვისით ზეცისა იერუსალიმსა წმიდანი. კვალად სადაობად სხეულებითისაშინაა არს, ვითარ სული სხეულსა შინა, მაგრა ესე არა ზემოგარდაცემულთამებრ სადაობათა, მსწრაფლ განვლადობისათვის სულისა სხეულთაგან. ესე იგი, რამეთუ ადგილი სხეულებითი არა აღივსო უსხეულოსა მიერ მდგომასა და არცა ცალიერ სადამე მისგან მიყრდნობაცა სხეულებითი არს სადაობად. ყოველი გვარი სადაობისა რაოდენსამე შორის რიცხვსა, რომელი გარდამოიცა აწ ჩვენ მიერ, ხოლო სამლოდ იოანე მანსური განყოფილებისამებრ ადგილთასა გვასწავებს: 1. ზე, 2. ქვე, 3. მარჯლ, 4. მარცხლ. 5. წინათ, 6. უკანით, და თანა-წარკლების მრავალ წმასნასა ატიკიელთასა.

[121]

რად არს ოდესობად და რაოდენ გვარად ესე. თავი 61

ოდესობასა³⁸ ვასწავებთ ჟამისაგან სრულისა და არა სრულისა და თავით თვისით არა მყოფსა სრულად. სრული არს, ვითარ ქმნას თუ ვინ კითხვად ჩვენდა; ოდეს განკორციელდა სიტყვად გამოუთქმელად? მიუგებთ, ვითარმედ პირველ: 1752 წლისა. ხოლო არა სრულისა სიცხადე ესე არს ესე, ვითარმედ გვკითხოს რა ვინ; ოდეს³⁹

[122]

³⁸ აშიაზე: ოდესობად არს ჟამთა განყოფისა სიცხადე.

³⁹ აშიაზე: სახენი ოდესობისანი ესთა: გუშინ, დღეს, ხვალ — ერთა ესე გამოვაჩენთ.

იყოს აღსასრული ამის სოფლისა? ვიტყვით, ვითარმედ: მერმესა დღესა. ხოლო თავით თვისით არა სრულისა აღმოჩენად ესთა, იკითხოს თუ ვინ: ოდეს იყო, ანუ იყოს ძმათა ჩვენთა ზედა რუსთა კეთილმსახურთა თვითმპყრობელად ასული პეტრე დიდისა, ყოვლად მორწმუნე ელისაბედ, ანუ მეფე ქართველთა ზედა მორწმუნე თეინურაზ? ვიტყვით ჩვენ, ვითარმედ: აჲ მყო არს თვითმპყრობელობად რუსთა ზედა ელისაბედისი მადლითა ყოვლად წმიდისა სულისათა. და აჲ მყო არს მეფობაცა თეიმურაზისი ქართველთა ზედა მითვე მადლითა. ესე ოდესობისა გარდამოცემაჲ ექმაოდენ აწინდელსა სიტყვითსა კელოვნებასა ჩვენსა.

რად არს მდებარეობაჲ. თავი 62

არისტოტელი თქვა: მდებარეობაჲ არსო დებისა ქონება ვითამე სხვისა მიმართ, ვითარ რეცა სამგანსადგმელი რადვე მდებარეობდეს სხვისადმი მიყრდნობით. თუ ჯდომით. თუ დგომით. ხედვად სახეთა მდებარეობი|სათა სამად: 1. პირველი უკვე დგომაჲ. 2. ჯდომაჲ. [123] 3. მიყრდნობაჲ. განმართებითმან მდებარეობამან ქმნა დგომაჲ, ხოლო შეკვეციტმან — ჯდომაჲ და განმართებითმან ანუ შეკვეციტმან ვითამე კედელსა ანუ რადსავე მისაყრდნოსა მდებარეობამან — მიყრდნეად, მაგრა ესენი კერძოდ მდებარეობად ვისწავეთ, რამეთუ სრული მდებარეობა წოლა არს სარეცელსა, ანუ ადგილსა რადსავე მის რომლისამე სხეულისა მშვინველისა, ანუ უმშვინველისა დეზად, და ესთა სხვათა. არიან უკვე არსებით მყონი მდებარეობანი, ვითა არსებით მყონი ვითარებანი, ვითარ ასონი, მდებარენი თვისთა ადგილთა, ესე იგი — ქვეყანად, წყალი, ჰაერი, ცეცხლი — თვინიერ ცვალებსა; და რომელიმე — დადებით, კელოვნებითისამებრ დებისა, ესე იგი — სახელი. ეკლესია, სვეტი ანდრიანტი, და ესენი მოდგამ განმართებითისა მდებარეობისა. მდებარე არს-ვე ნაწილთა სფეროსათა ყოფად და ნერვთა, მაგრა სფეროსგამონი უორძილოდ მოძრავნი და ნერვნი ორძილით. ესენი მოდგამ მდებარეობისა ანუ კერძოდ, ანუ სრულიად. მდებარეობითნი გვარნი ზოგნი ძალით უკვე დასხმულ, რომელთად შესაძლო ცვალებაჲ, | და რომელთამე — [124] მოქმედებით, ვითარ-იგი სადაცა არიან დასხმულ. და ესე მოდგამ კელოვნებითისა მდებარეობისა.

ქონებაჲ არსო არსებისა არსებისაგან, — თქვა საქმლთო-
 მან მოძღუარმან⁴⁰ ჩვენმან, ხოლო სიკბადე უკვე ანისი ესთა: ანუ
 გარეშემცველ არს, ანუ გარეშეცულ, რამეთუ მყოფი ესე გარე-
 შემცველცა არს და გარეშეცულ. გარეშემცველ, ვითა შესამოსე-
 ლისა მიერ აპარონ და საქურველისა მიერ გედეონ ანუ აქილევ-
 და გარეშეცულ, ვითა მცირედი რაჲვე ქონებულ მის ვისგანმე.
 მაგრა სამართალ, რათა ორნივე ესე იყუნესმცა არსებაჲ, რამეთუ
 თუმცა ამთვანი რომელიმე იყოს თვითმყოფი და რომელიმე არა,
 ვითარ მეცნი და სამეცნოჲ. ესენი არღა აღიყუანების ქონებისა მი-
 მართ. ესენი უკვე განპყოფენ ქონებასა ორგვარად: სულიერისა და
 უსულოჲსა ქონებანი, რამეთუ ვიტყვით: უვის მას ვისმე რაჲვე სუ-
 ლიერთაგანი, ხოლო უსულოჲსასა ვიტყვით: აქუს მას საუნჯე ფრია-
 დი. და სხვანი ესთა. მრავალთა ზედა სახელმოდგამისამებრ კმისა
 მოიღების ქონებაჲ და ესე არა სთნდა გონებასა ჩემსა ყოველი გარ-
 დამოკეჲად, ვინათგან არად საპიროდ ვგონე.

[125]

რამ არს ქმნაჲ. თავი 64

განყვეს გამოთა პერიპატოსთა ქმნაჲ რაჲვე დატყუბილად,
 ესე იგი შემოყვანად და არშემოყვანად. ესთაჲ ხედვაჲ ორგვარო-
 ბისა ამის ისმინე, გამგონეო: შემოყვანაჲ არს, რომელიცა მოქმე-
 დებაჲ რაჲმე მმექმისა ვისგანმე შემოყუანებულ იქმნების ვნებუ-
 ლისანი. ხოლო ვნებაჲ მოქმედებასა განეყოფის ვნებულსა შორის,
 ვითარ რეცა წყლვაჲ მწყლველისაგან შემყუანილ დაწყლულისამი,
 რომელიცა იწყლვის, ხოლო დაწყლული იგი წყლვისა მიღებითა
 განირჩევის დაწყლულისა მის შორის, ვითარ მოქმედება ღვთის-
 შკლველი იუღიანთა განრჩეული ვნებისაგან განკორციელებულისა
 სიტყვისა და წყლულისა მის სიტყვისა ჯორცთა შორის. და შეყუა-
 ნილ იქმნა ვნებაჲ ღვთივგვამოვანთა მათ ჯორცთა შორის არშემო-
 ყუანაჲ არს უკვე, რომლითა მოქმედებაჲ არა ვნებითსა შეიყვანდეს
 და | არცა მოქმედებისაგან განესხვაგებოდეს თვის შორის ქმნისაგან
 და ვნებად იყოსმცა, რამეთუ ხედვისაგან თვალისად არა იქმნა ვნე-

[126]

⁴⁰ ამაზე: სანატრელი იოანე თქვა, დამსკელი, ეკლესიისა მოძღვართა ბეჲედი.

ზამ, არცა განრჩეულ ესე მოქმედებისაგან, ვითარ ზემო გარდაცემულნი იგი შეყვანილ ვნებაჲ ქმნისაგან. დატყუბილ უკვე შემოყვანითი ესე გვარი ქმნისა, ესე იგი მარტივი და შენადგი. მარტივი არს იგი, საშუალ არა რაობაჲ მმექმისა და ნაქმისა, ვითარ ბადვამ და შობამ, რამეთუ მბადები უსაქმოდ უკვე ბადებს, ეგ სახედვე მეშვი შობს უსაქმოდ, რამეთუ ამათ არცა ერთსა რაჲვე ნივთი ესაკმარების. მაგრა შენადგი იგი შემომყვანი გვარი ქმნის არა ესთა, არამედ საქმესა თანა ცნობილ, ვითარ განხერხვამ და შემოქა. და ესე არა უსაშუალოდ, რამეთუ შორის მხერხველისა და განხერხულისა — ხერხი და შორის შემოსილისა და შემოსისა — სამოსი. აჰა, შედგამეორე ესე გვარი მყოფისა ამის, რომელ არა მარტივი ვისწავეთ, რამეთუ მხერხველისაგან და ხერხისა იქმნა ხერხვა, და შორის მხერხველისა და განხერხილისა — ხერხი.

მერმეცა განვმარტოთ გვარი ესე არშემომყვანითისა ქმნისა. ესე უკვე ერთიცა არს და დატყუბილიცა. | ერთ არს იგი, ვითარ-მედ იხილვებოდეს თუ ქმნა იგი, და მმექმი და ნაქმი არა იყოს განრჩეულ. ესე იგი, ვითარ გამოსლვამ და წარსლვამ. არიან უკვე გამოსვლამცა და წარსვლამ ქმნა, მაგრა განმავალიცა და წარმავალი იგივე. დატყუბილ იყოს უკვე გვარი ესე, რაჲჲს მმექმი და ნაქმი განირჩიოს თუ, ვითარ-იგი განრჩეულ თქმამ და სმენა, რამეთუ თქმა იგი სხვა მეთქვისა და სხვა, ვისდადცა ითქვა. ეგ სახედვე სხვამ სადამე დამკონე და სხვამ — გასაგონი.

არიან⁴¹ უკვე ვითარებად შესმენილ ესენი, ესე იგი გამკონე და მხერხველი, რამეთუ გამკონე და განმგონებლობამ გაგონებისაგან იწოდა ვითარად და მკვეთი მკვეთრობისაგან. მაგრა განმკონებლობამ და მკვეთრობამ არა ვითარებად თქვეს ვინ ფილოსოფოსთა, არამედ ვითარებისგამოდ, რამეთუ ხედვა და გაგონება და ესთა სხვანი უფროსლა და საკუთრად ქმნისად ასწავეს.

ათნი უკვე მიზეზნი მიზეზოვანთადმი ქმნისა არიან მიზეზ, ვითარ ქმნისა და ვნებისა მიზეზ იქმნა ვითარებად, რამეთუ ვითარ მკურვალეებამან ქმნა განკურვებად და კვეთამან კვეთილი, აჰა, იქმნა კვეთილი მკვეთარისაგან, მაგრა მკვეთარსა ეწოდა მკვეთარისაგან მკვეთარი. ეგ სახედვე ვითარებად ქმნა მყოფნი ესე — ქმნაცა რა ვნებად. ხოლო ვინათგან⁴² იქმნა ნიადამ მკურვალეებისაგან განმკურ-

41 აშიაზე: ისმინე, განმგონეო.

42 აშიაზე: აჰა, თუ ვითარ ვითარებისაგან ქმნა და ვნებად.

ვებელიცა და განჯურებული, ამისთვის აქუს დაწყებამ ქმნასა და ვნებასა ვითარებისაგან. ეს სახედ სხვა მიზეზნი ესე იქმნეს ურთიერთთაგან, მაგრა შესმენისამებრ არა ერთი — მეორისაგან⁴³ და სხვად სხვისაგან დაწყებულ, რამეთუ არ შესაძლო მათდა მიზეზ-ყოფად მათი ურთიერთარს. ხოლო თუ შეისმინოსმცა სხვა მიზეზი სხვისა მიზეზისაგან ყოფად, არ შესაძლო არს, რათამცა დასაბამ და მიზეზ-ყოფად შესმენილ იყოსმცა სხვად სხვისა მიზეზისად. ხოლო უკეთუ გაგონებამ ქმნასა თანა არს გამგონესაგან გასაგონისა მიმართ, გარნა გაგონებამ არს ქმნა და არა გამგონე, არცა გაგონებული ქმნა არს. ესთა ვითარებაცა რაჲსამიმართთა არს ვითამე, რამეთუ გაგონებული გაგონებითა არს გაგონებულ, და გასაგონი გასაგონისაგან არს გასაგონ. ესენი უფროს ვითარების გამო, ვითარ მეცნიერებამ და სამეცნოჲ არიან ვითარებამ და ვითარი, არამედ ბრუნვებისათვის და გა|რეშესმენისა და ზედმოღებისათვის ურთიერთარს არიან რაჲსამიმართნი⁴⁴. არიან უკვე კმანი რაჲმენი, რომელთა მარტივად გვაჩვენეს ქმნამ, ვითარ შენებამ, მორჩევად და არიან მერმეცა კმანი, რომელთა არა მარტივად გვაჩვენეს მყოფი ესე, ვიფარ მუსიკელობამ და მკურნალობამ, რამეთუ მუსიკესა აქუს ნიშნავად სამუსისა ორღანოსა და მკურნალსა — სამკურნალოსა, რამეთუ მუსიკი სამუსთა ორღანოთაგან მუსიკ და ესთა მკურნალი — სამკურნალოსაგან მკურნალი.

[129]

ესთა გვარნი ვითარებანი რაჲსამიმართთადცა აღიუყანებრს. ესე უკვე მუსიკელობამ ნიშნავს საქმესა სასამუსიკოსა ორღანოსასა, რომელ არს მუსიკელობამ. და ესე არს ესე, რამეთუ იოანე მანსურმან იგალობა ქრისტესობამ. აჰა, სიცხადე მუსიკელობისა. რამეთუ ქმნა არს. ეს სახედვე მკურნალობამ ნიშნავს ქონებასა სნებადისასა, რომლისა მიერ ვიცანთ ვითარებამ და რაჲსამიმართობამ. მერმეცა ნიშნავს განკურნებასა — და ესე არს ქმნამ. ხედვა განკურნებისა, რომელი იქმნების სნებადისამი მკურნალისა მიერ, ესე მოძრაობამ არს, ხოლო განკურნებამ, რომელი კურნებისა შორის არს ცნობილ, არა მოძრაობამ, არამედ ქონებამ არს რაჲვე კურნებრსაშინაობისა. აღმოვაჩინოთ უკვე თანგანვლის სახედ, თუ რომელი შეუდგებიან ქმნასა.

[130]

43 აშიაზე: ისმინე, გამგონეო, თუ ვითარ შესმენამ ნათესავობითთა თვისად და თვისად მოუფიგეს.

44 აშიაზე: ისმინე, გამგონეო, თუ ვითარ ურთიერთას ზიარ და მოდგამ ნათესავნი.

1. შეწყყნარება⁴⁵ ფრიადისა და მცირისა
შეწყყნარებად ფრიადისა და მცირისა არს, რამეთუ განუტრევე-
ბად იქმნების უმცირესცა და ფრიად.

2. მითვალვამ წინააღმდეგობთა
მითვალვამ წინააღმდეგობთა არს, რამეთუ განუტრევებად და გა-
ცივებად არიან წინააღმდეგო.

3. მითვალვამ მოძრაობისა
მითვალვამ მოძრაობისა არს, რამეთუ წყლვამ თვინიერ ძრვისა
არა იქმნების, ხოლო ვნება უფროს საკუთარ მოძრაობად არს. მაგ-
რა ქმნად არა ყოველი არს მოძრაობად, რამეთუ გაგონებად — არა
მოძრაობად უკვე.

4. ერთგზის და მრავალგზის თქმად ამასვე
გვარისა არს
ერთგზის და მრავალგზის თქმად ამის გვარისა არს, რამეთუ
მეტყულებად ითქმის ერთგზისცა და მრავალგზის, და ვნებაცა ერ-
გზის და მრავალგზის ითქმის. | ხოლო ვნებად მყის ქმნისა თანა [131]
არს, რამეთუ რაღაცა შეუდგების ქმნასა, ესევე ვნებასაცა, ანს-
თვის უკვე განჩივად ცალ-კერძ ძვილ შესაძლო არს ქმნისა ვნე-
ბისგამოთაგან, მაგრა შესაძლო განჩივად ესენი, რამეთუ ქმნად
მეტა შეიწყყნარებს სახისგამოთა თვისთა. და ვნებად არა ესთ, ვი-
თარ ვნებად მოძრაობისაგან არს, ყოვლითურთ მოქმედებულ ქმნი-
სა მიერ. ესე ქართველთა სკოლართა ეკმაოდენ მიცემად, რამეთუ
თუმცა მიიღეს სავსებით მეცნიერებად ამისი ახალ-მესწავლეთა,
სხვათა უბრძნესთაგან აღვილ არს უვრცელეს აღრე გარდამოცემა
ათისა შესმენილისა ნათესავეად.

რად არს ვნებად. თავი 65

ვნებად არსებითსაცა და შემთხვევითსა ვნებასა გვაჩვენებს.
ვნებად არსებითად ყოველი უოქიომოდ და უღარესი თვისისა მიზე-

⁴⁵ აშიაზე: სახენი ამის ნათესაუისანი, რომელ არს ქმნად.

ზისაგან თქვა გონება-მზემან⁴⁶ და მამზემან ჩვენმან იოანე სამ-
[132] |ლოდ ფილოსოფოსმან აღცნასა შინა პლატონურთა გამოთქმათასა.
ესე უკვე ვნებაა არსებით მყოფ, არს მაკეთებელ და მალმერთ|ე-
ბელ, ხოლო შემთხვევითი ვნებაა არს მხრწნელ და მშლელ წეს-
თაგან არსებითთა. ესთა ხელდაე მყოფისა ამის, რომელ არს ვნებაა
არსებით მყოფ, ოდეს ზესთანი და მიზეზი ღრკენ და აქცევდენ
თვის სახედ, მას ეწოდების ვნება მაუკვდავებელ და მალმერთებელ;
ხოლო ოდეს თუ დარენი ღრკენ და აქცევდენ თავის გვარად. მას
უწოდს სიტყვაე მხრწნელად და მავსად. და ესე შემთხვევითსა ვნე-
ბასა გვაჩვენებს.

ვნებად უკვე თქვეს ვიეთმე სიხარულიცა და შვებაა. რამეთუ
სიხარულმან ძრულმან ავნო მხიარულ-ყოფად, რომელსა შეეძებუა
იგი. და ეგ სახედვე შვებამან. ესე არა მხრწნელ და მავს სულიერისა
არს, მაგრა მოდგამ ორნივე ესე შემთხვევითისა ვნებისა — სიხა-
რულიცა და ხრწნილება, ვითარ სიკუდილი, ვითარ წყლვა. ვი-
თარ კვეთა. სხვაობაე ვიეთმე შორის ვნებისა ესე: ესე იგი შინა-
გნითი ვნებაა და გარეშე ვნება; შინაგნით, ვითა ზემო აღმოვა-
ჩინეთ. ესე იგი შვებაა და სიხარული და სნეულება და მკურვა-
ლება, ხოლო გარეშე ვნება. ვითარ საღმთო განბანა და დაჯვარ-
გვინება და გვემა. ხოლო თუ საღამე თქვას თუ ვინ: გვემულმან
[133] მიილო თვის შორის ტკივილი და ვითარ გარეშედ ითქვას ვნებად
გვემა? ესთა მეძიებელსა, რომელი წადნოს ცნობად ქეშმარი-
ტისა. ვეტყვით, ვითარმედ: გარეშე ვნებაა არს გვემა, ვინათგან
გარეშემცველ არს გვემულისა. მაგრა გრძნობაე ტკივილთა შინაგნით
ვნებაა არს გვემულთა.

აქვს უკვე ნათესავსა ამას საკუთრად სახენი რიცხვით ოთხნი,
ესე იგი: 1. ყოფაე, 2. ხრწნაე, 3. შინაგნითი ვნებაე, 4. და გარეშე
ვნებაე. ხოლო ვითამე ყოფისა და ხრწნისა და შინაგნით ვნებათა
და გარეგნით ვნებათა სქესი არა სხვა და სხვა, რამეთუ მისვე
შემთხვევისაგან ვნებისა მყოფ. გარეშე ვნებანი ესე არიან, ვითარ
თქმაე, ხედვაე, გაგონებაე, ხოლო ესენი არა არიან მყოფნი.

ხოლო წყობიდან⁴⁷ და მზადებანი არა ვისჯანმე ქმნილნი. რო-
მელთა შეიწყნარეს დაწყობაე და მორთულობაე და შემზადნეს,
ესენი იქმნნეს, რაეცა არა პირველ იუუნნეს ესენი, ვითა ქართველ-

46 აშიაზე: იოანე პეტრიწსა, ფილოსოფოსსა ქართველსა, იტყვის.

47 აშიაზე: ვნებაე, რომელი არს მყოფ.

თა⁴⁸ მზემან იოანემან თქვა 11 თავსა „ღვთისმეტყველებითთა კავ-
შირთა აღსნისასა“: არიან მიზეზთაგან და უპირველესთა წარმო-
მაარსებითნი მათუკვდავებელნი ვნებანი. ესენი, თუმცა მიზეზი⁴⁹ [134]
მათი ღრკა რა წარმოარსებდ და იყვნეს წარმოობით ყოფანი ერთ-
თა ამათ, არა ვითარ ხუროსაგან ნაქმისაჲებრ იქმნნეს თვისთა პირ-
ველთაგან, არამედ წარმოდგეს და ყოფისა თვითებაჲ მოიგეს თან-
მიცემითა ერთებრისა კეთილობისა მიზეზისა მათისათა. ვნებად ით-
ქნის და არა ხრწნილებად გვარი ვნებისა ამის. ხოლო რაჲმს
ხრწნაჲ⁵⁰ მიიღოს რადვემან, რომელი რადსაგანვე ქმნითა იყოს მის-
და ხრწნილებად, — ესე შეცვალებაჲ არს არღარა მყოფად. მაგრა
რომელი იშვებდეს⁵¹, ანუ თუ იკვემებოდეს — ესე განსხვავებდითი
არს.

ხოლო ხედვად და გაგონებაჲ და ესთა სხვანი არცა მყო არიან⁵²,
არცაღა მხრწნელ და არცა ცვალებადნი და არცა განსხვავებადნი.
ესენი უკვე გარეშე ოთხთა მიზეზთაგან. გარნა ქვეშე ნათესავისა
ამის ვნებისა, რამეთუ რიცხვით ცხრათა პირველთა შორის უფროს
მხოლოდ ვნებისა არიან შესაბამ ესენი: 1. შეუღღს⁵³ ვნებასა მი-
თვალვად წინააღმდგომთა, რამეთუ სიხარულისა წინააღმდგომ არს
ურკვად, და ჰომრთელისა — სნებაჲ. 2. კვალად მეტისაჲცა და ნაკ-
ლებისა შეწყნარებაჲ, რამეთუ განწმედაჲ არა ნიადგ სწორად მი-
ილო გაწმედაჲმან. 3. მე|რმეცა ყოფად ძრვისაგან. 4. და მრავალგზის [135]
და ერთგზის თქმისა შეწყნარებაჲ. რამეთუ მეტყველებაჲ ანუ გა-
გონებაჲ და ესთა სხვანი ვისდადმე ზოგჯერ მრავალ და ზოგჯერ
ერთ და მცირედ შეწყნარებულ. 5. კვალად ყოფად მოქმედებისაგან,
რამეთუ არშესაძლო ერთთათვის ყოფად, თვინიერ მებრთისა თვი-
სისა. მაგრა შვებაჲ და მწუხარებაჲ თვინიერ ქმნისა შეხედვებინ
ვისმე.

არა აქუს ყოფად ვნებასა, სადა არა იყოს მოქმედებაჲ გარნა
ვნებაჲ თუ სადამე არა, ბევრ გზის მოქმედებაჲ აღჩენილ, ვითარ-
ზის პეტრე შორის შესაკრებელსა ქადაგებად, ხოლო ჯდომად პეტ-

48 აშიაზე: სამლოსა ფალოსოფოსსა იოანეს იტყვის, პეტრიწსა.

49 აშიაზე: აჰა, ხრწნილებითნი ვნებანი.

50 აშიაზე: ამას შეუღღების სულიერნიცა ხრწნილებითნი ვნებანი.

51 აშიაზე: აჰა, განსხვავებითი ვნებაჲ.

52 აშიაზე: აჰა, არცა მყოფი და არც ცვალებადნი, არცა განსხვავებადნი.

53 აშიაზე: სახენი ვნებისა ნათესავისანი.

რესი უფროს ქმნა არს უკვე და არა ვნებამ⁵⁴. ხოლო იროდისგან დასმამ პეტრესი საპყრობილესა — და ესე ქმნა არს იროდისი, ხოლო დასმამ დილეგსა — ვნებამ პეტრესად. და ესე თვინიერ ქმნისა არა. მაგრა ჯდომამ იგი პეტრესი შესაქრებელსა არა ვნება არს, არამედ ქმნა. ესთა უკვე ჯდომამ და დასმამ, ქმნისა ნათესავისგამონი, ერთისად — მოქმედებამ, ხოლო მეორისად — ვნებამ. არს უკვე ვნებამ საკუთრად უძღვებებაცა, რომელი სრწნილებითსა და ცვალებითსა და განსხვავებითსა ვნებათა ეზიარების და არს შინაგნითი ვნებამ.

[136]

ზემოსა ამას ნასიტყვსა ფილოსოფოსებითსა წოდებულ მარტივი მიღებამ, მაგრა რააცა პერიპატოსგამოთაგანი არს, მას ოდენ და არა პლატონურთა გამოთქმათა.

რამ არს, რომელი გვაჩვენებს წინააღმდეგობასა. თავი 66

ოთხად განყოფამ არისტოტელისგან განრემზომთა ესთა შთაქვრეტილ, რომელ არს: 1. რამსამიმართობითი, 2. მოკლებითი, 3. წინამეწყევობითი, 4. განრემზომობითი. 1. რაისამიმართობითი წინამეწყევობამა, რომელ თანშემოაქუს ურთიერთობამ და თანმოსპობს. ამათი უკვე გარეშესმენითი წინამეწყევობამ, რომელი საქმითი არს და აქვს თვისებამ თვის შორის განუკვეთელი, ვითა მამისა და ძისა შორის და უფლისა და მონისა, ესე იგი ვითა მამამ — ძისა მამამ და უფალი — მონისა უფალი. 2. წინამეწყევობამ⁵⁵ სამ უკვე: პირველი უსაშუალოდ, ვითა სიმრთელე და სნეულებამ, რამეთუ უკეთუ ერთი რომელიმე ნაწილთაგანი თუმცა სადამე სხეულსა შორის მნიშვნელისასა სნეულ, არღა ითქვას სხეულისა მისდა სიმრთელე, რამეთუ სრულიად არა მრთელ სხეული იგი.

[137]

აქვს უკვე წინამეწყევობითსა მას გვარსა საშუალობითიცა შესნენამ, ესე იგი მკურვალი და გრილი, რომელთა შორის არს უკვე საშუალო რამვე, ესე იგი არცა ტფილი და არცა გრილი, მერმეცა მკურვალეობამ და სიგრილე არიან, ამათნი რომელნიმე არა შეიწყყნარებენ ცვალებასა, რამეთუ იგი მკურვალი მარად მყო არს

54 აშიაზე: ქონებად ითქმის რამვე ვნებათაგანი, რომლისა შორის იყუნენ მის ვისადმე.

55 აშიაზე: რომელიცა წინააღმდეგობათაგანი იყოს თუ მის ვისმე შორის, ქონებამ არს მისდა, მაგრა უფროსდა ანაგებად რამცა აქუს. და მოკლებამ არღა ქონებად უკვე შესმენილ.

მჭურვალ და ესე გრილიცა მარადის გრილ. რამეთუ ცეცხლი მარადის მჭურვალ და ეგ სახედვე თოვლი მარადის გრილ. ესე მეორე არს წინამეწყევლობისა შორის. არს უკვე მითვალვამ ამათი მრჩობლ რავეესდა. რამეთუ წყალი გრილ არს, მაგრა ოდეს განატფოს თუ ვინ, იქმნების ტფილ. და ეგ სახედვე, თუმცა არა ძლიერად განტფა, იქმნების არცა ტფილ და არცა გრილ. რამეთუ რადეცა შეხვდა, იგი მიიღო მან. ესე მესამე არს შორის წინამეწყევლობითისა.

ამათ არცა ერთმან დაიდვეს თვის შორის განუტრელი თვისებამ და არცა გარე-შესმენამ და არცა თანამოხმამ და არცა თანამოსპობამ. ხოლო ესენი ბუნებით უკვე იქმენ წინამეწყევობასა — რადსამიმართობითიცა და წინამეწყევობითნი, რომელთა შორის წინააღმდგო არს საქმე. 3. მოკლებითი საკუთრებითსა შინა არს დამკვიდრებულ, რამეთუ რაჟამს მოაკლდეს ანაგები, ესე მოკლება არს. მხედველობამ უკვე მშვინველისა ანაგებ და, რაჟამს მოაკლდეს მხედველობამ, იქმნების მის რომლისამე მშვინველისად სიბრმე, ხოლო სიცხადე ამის მოკლებითისა წინააღმდგოსა ესთა: ესენი არცა გარეშესმენილ და არცა თვის შორის მქონებელ განუტრელისა თვისებისა, არცა ბუნებით წინამეწყვე, არამედ გარეშე ბუნებისა აქუს ამათ წინააღმდგომობამ ურთიერთარს, რომელთასა წინააღმდგომობასა შორის განმყოფი იხილვების საქმე. არიან უკვე ცხოველნიცა მგრძნობელნი და არ-მგრძნობელნიცა და უორძილონიცა არ-მხედველნი, და არავინ სადა უწოდა მათგანსა მქონებელ სიბრმისა, რამეთუ ქურცინი ცხოველ მგრძნობელ სადამე, მაგრა ბუნებით არა მისდა ხედვამ. და ეგ სახედვე ნერგნი და ესთა ქვანი, ანუ ძელნი, და არცა ერთსა მათგანსა წოდებულ ბრმობამ. 4. განრემზომობამ გვაჩვენა ნათქმითმან და უკუთქმითმან კმამან. წათქმამ არს უკვე რადვე მის ვისსამე, ვითარმედ თქვას თუ ვინ: | იგი არა კეთილ არს, რამეთუ ბოროტ არს.

[138]

[139]

რადსამიმართნი ღრამმატიკებრთა კანუნთაებრ ნათესაობითისამებრ ბრუნვებისა. ხოლო სხვანი ესე წინააღმდგონი არა ნათესაობითისამებრ ბრუნვებისა, რამეთუ სიმართლისა არა არს სნეულეობამ, არცა მხედველობისა არს სიბრმე და არცა კეთილისა არს ბოროტი, არამედ მამამ — ძისა მამამ არს და ძე — მამისა არს ძე. აღმოიჩინა, ვითარმედ ესე გვარი მეოთხე წინააღმდგოობისა უფროს სადამე წინამეწყევობა არს და არა გარეშესმენითი, არცა ბუნებითი და არცა საქმითი წინააღმდგო არს, არცა საშუალობით წინამეწყვე არს, არამედ სიტყვითი არს განყოფამ განრემზომთა უსა-

[140]

შეალოდ, ესე იგი წათქმად და უკუთქმად. არა რაჲვე ვისწავეთ საშუალ რაჲსამიმართთა, არცა ანაგებისა და მოკლებისა, არცა განრემზომობისა, რომელ არს წათქმად — კეთილ, ხოლო უკუთქმად, ესე იგი — ბოროტ. განრემზომობითნი ურთიერთიდთა მიმართ იგივედ არშესაძლონი თქმად, რამეთუ არა იგივე არიან ესე: იუსტიანემან ისიბრძნისმოყუაროს და იუსტინოს ნუ ისიბრძნისმოყუარებს აჰა, არცა წართქმად უკუთქმად იქცევის და არცა უკუთქმად — წართქმად. განეყოფის უკვე წინამეწყევობად მოკლებითისაგან და განრემზომისა, რამეთუ ესე წინამეწყევობად, რომელ არს გვარი 2, რომელსა საშუალ არა რაჲ აქუს. ესენი იცვალეზიან ურთიერთარს, რამეთუ სნეულეზად იცვალეზის სიმრთელედ და არ შეიცვალეზად, რამეთუ ოდეს მოაკლდეს ხედვად, არღარა იცვალოს სიბრძნე იგი ზედვად, ხოლო საშუალისა წინამეწყევთასა მიმთვალეველმან რაჲვე ქვემდებარემან საჭიროდ არმიმთვალეველობა ქმნა ნიადეგ მარტივთა თითოეულთა მათ წინამეწყევთაგანთა, რამეთუ სხეული არა ყოველი შავ არს ანუ თეთრ, არამედ ფეროცა არს, ესე იგი საშუალ თეთრისა და შავისა, და მეწამულცა. და ესთა სხეებითა შემთხვევიოთა ხილულ ფერებითა, რამეთუ ესთა მიმთვალეველმან ერთი რაჲვე წინამეწყევთანი მარტივად არა მიიღო. ხოლო ანაგებისა და მოკლებისა მიმდებელნი ერთსა მარტივად შეიწყნარებენ ორთაგანსა, რომელთა არა რაჲვე აქუს საშუალ. ხოლო რომელთაცა მიიღეს რაჲვე, ერთი მიიღეს — ანუ რაჲსამიმართთაგანი რომელიმე, ანუ ანაგებისა და მოკლებისაგანი რომელიმე, ანუ წათქმითისა და უკუთქმისაგანი ერთი მიიღეს და განისაკუთრეს მათ. მაგრა რომელთაცა საშუალ წინამეწყევთა მიიღეს რაჲვე, ორთაგან მიიღეს წინააღმდეგოთა, ანუ მკუტრვალისაგან და გრილისა — ნელ-ტფილი, ანუ თეთრისაგან და შავისა — ფერო. სხვად სადამე საშუალინთა წინამეწყევთა განრემზომი, რამეთუ ამისგანნი ერთი ჭეშმარიტ არს სადამე მარადის და ერთი — ცრუ. მაგრა საშუალისა მექონსა წინამეწყევსა ზედა არა ესთა, არა. მაშა, ვინათგან ესე ესთა არს — სხვაობად განრემზომისა და წინამეწყევისა, საცმარ უკვე არს, რათა აღმოვაჩინოთ მაგალითისა რაჲსავე დადებით: ლაზარე არს სნეულ და ლაზარე არს მრთელ. ერთი სადამე ამათგანი ჭეშმარიტ და ერთი — არა. მაგრა თუმცა სადამე მომკუდარ არს იგი, არცა ერთი ჭეშმარიტ, გარნა გაიგონე, ვითარმედ ლაზარე მრთელ არს, ლაზარე

[141]

სნეულ არს. თანშეთხზვითნი არიან თქმულნი ესე. ხოლო წინამეწყევობაჲ არასადა იქმნეს თანაშეთხზულებიანამებრ გვიარისა, ვითარ: სიმრთელე, სნეულებაჲ, სათნოებაჲ, უთნოებაჲ. ესენი არა თანაშეთხზვით არიან შესასმენელ. ხოლო ჩვენ თანაშეთხზვითნი ვთქვენით განრემზომითნი თქმანი. გარნა წინამეწყევთა ზედა არა ითქვას ოდესცა თანაშეთხზვითნი სახელნი და ზმნანი, რომელნი ერთისა თქმითა არა ცრუ ჰყოფენ მეორესა. ხოლო თანაშეთხზვითნი თქმანი განრემზომისა აღმომაჩენნი ერთსა ჰქმნარიტ ჰყოფენ და მეორესა — ცრულ. ამით უკვე სხვა იქმნა განრემზომი წინამეწყევთაგან. [142]

სხვა სადამე მოკლებითისაგანცა გასაგონისა ესე განრემზომი, რამეთუ განრემზომი ერთსა ჰქმნარიტ ყოფად გვიჩვენებს და მეორესა — ცრულ. მაგრა ანაგებესა ზედა და მოკლებასა არა ესთა იქმნების, რამეთუ მექონენი ანაგებისა და მოკლებისა, უკეთუ ცოცხალ იყუნესმცა, არა საკუთრად ითქვას მათ ზედა არცა ერთი, რამეთუ ყრმასა ზედა არავინ თქვას ოდესცა მუსიკელობაჲ და უმუსიკელობაჲ, ხოლო უკეთუ არღარა ცოცხალ ქვემდებარე ანაგებისა და მოკლებისა, სიცრუე არს, რამეთუ მას ზედა არცა მხედველობაჲ ითქვას და არცა სიბრმე. ესენი უკვე წინააღმდეგოსა თანაშეთხზვით მეთქვეობისა არისტოტელითაგან შესმენათა კჳა ჩვენდა გარდამოცემად.

რად არს მოძრაობაჲ. თავი 67

I [143]

თქვა უკვე არისტოტელი სქესი მოძრაობისა ექვსგვარად, რომელ არიან: 1. ქმნაჲ, 2. ხრწნაჲ, 3. ორძილი, 4. მოკლება, 5. შეცვალე, 6. სხვა და სხვაობაჲ. ამათ შორის ესე არიან განრემზომობითნი შესმენილებანი, ვითარ-იგი წინამეწყევე არს ქმნაჲ ხრწნილებისა, რამეთუ არაობისაგან არს იქმნა და წარმოღვა მყოფად, რადცალა არარაჲ იყო პირველ. ეგ სახედვე ესენი წინააღმდეგო ურთიერთარს, რამეთუ აღორძინებაჲ უფროსისამი მოძრაობს, რათა უფროს ყოს, და მოკლებაჲ უმცროსისამი, რათა უმცროს ყოს იგი რადვე. ხოლო შეცვალეებაჲ ესთა წინამეწყევენი გამოჩნდებიან შეხდომით. განთეთრებისა — განშავებაჲ და ადგილის ცვალებისა — დადგომაჲ და განქურვებისა — განცივებაჲ. გარნა ადგილისაგან

ცვალებასა აქუს წინააღმდეგოდ მოძრაობად, რამეთუ ზენათ მოძრაობად ადგილცვალებულისა წინააღმდეგოდ არს ქვენასა. მოძრაობასა ადგილცვალებულისასა, ვითარ აღტყორცოს თუ ვინ ქვეა ზენადმი, პირველად იწყებს ზენათად მოძრაობასა და არა ქვენადმი, ვიდრე დადგომად მოძრაობისა მის. ხოლო სხვა სხვაობად ურთიერთარს | რაჲვითა, ესეცა წინააღმდეგოდ, ვითარ შესვლამან ჰაირსა შორის ბნელსა ნათლისამან დააცხრო ბნელი.

ესენი უკვე მოძრაობისა გვარნი გარდაიდვა ჩვენ მიერ, ვითა თქვეს გამოთა პერიპატოსათა. და შენ, მეტრფევეო სწავლისაო, თუ გონდეს უერცელესადრე მოძრაობისა შესმენად, მიხედვ სამლოთსა მოძღვრისა⁵⁷ ჩვენისა გარდამოცემულსა კატილორიასა და იხილო ვრცელებულადრე თავსა შინა 45.

რად არს უპირველესობითი შესმენად. თავი 68

ღ არისტოტელი გვასწავებს უპირველესობითსა გვარსა ხუთგვარად. ხოლო ხუთნი ესე არიან: 1. ყამითა, 2. ბუნებითა, 3. წესითა, 4. პატივითა, 5. მიზეზობითა. არს უკვე შესმენად ყამითი უპირველესობისა, რომელ ახლისა უძველეს იყოს რაჲვე მყოფთაჲანი. ხოლო ბუნებითა, რომელი არა გარეშესმენილ იყუნეს — ბუნებით უპირველესი და ბუნებით შემდგომი. ვითარ მშეინველო ბუნებით უპირველესი კაცისა და კაციცა — მშეინველ, მაგრა არა ყოველი მშეინველი არს კაცი. | ხოლო წესითა უპირველესი ესე არს ესე, ვითარ ღრამატიკასა შორის უპირველეს მარცვალთაგან ასონი და კატილორიასა წინდადებად უპირველეს შეთხზულებისა და კიდურმდგომობისა და ესთა სხვანი. ხოლო პატივითა, ვითა არხიერის უპირველეს პრეზვიტერისა და კეისარი — ეპარხოისისა და ესთა სხვანი. ეგ სახედვე მიზეზობითი უპირველესობად არს, ვითა ადამ უპირველეს არს სეითისა, ვინათგან ადამ არს მიზეზი სეითისა მშობელობით. საუწყ არს ტრფიალთადმი სწავლისათა, რამეთუ უპირველესი და უკანაესი არა სახელმოდგამ, არამედ ერთისაგამონი უკვე არიან.

57 აზიზე: უსამლოესსა დამსკელსა იტყვის, იოანეს.

მყისთანადობითი უკვე გვარი ესე არს ესე, რომელი ორად განყო არისტოტელისგამოთა სიბრძნისმოყვარებაჲმან: 1. მყისთანადი⁵⁸ არს ორთათვის მოგებაჲ თანა ჟამისა, ვითარ ერთსა ჟამსა წარმონაშეთათვის ყოფად მყის თანად, ანუ თუ ერთსა წამსა მოგებაჲ ყოფისაჲ. 2. მერმეცა მყის თანადივე არს ურთიერთარს ქონებაჲ ზოგად ყოფისა, რომელნი ურთიერთარს არა იყუნენ მიზე-[146] ჴად და მიზეზოვანად, ვითარ ორწილი და ნახევარი, რომელთა ერთმანერთისა აქვს თანამოსპობად და თანაშემოხზად.

რამ არს შეთხზვაჲ, ესე იგი შეწმასნად ლექსთხზვითა, რომელ არს კერძოდ მეორე კატელორიათა. თავი 70

შეთხზვაჲ არს შეწმასნად კმათა მარტივთა, ანუ ლექსთა, რათა წარმოაჩინოს შინაგანმდებარე სიტყვაჲ. ხოლო სიტყვისა სახესა ორთა ვიცნობთ, ესე იგი — შინაგანმდებარესა და წარმოჩენილსა. რამცალა უკვე შინაგანმდებარე არს, ესე მარტოდ შინაგანმდებარედ ცნობილ და არა სხვად რადვედ. და რამცალა წარმოჩენილ, შეთხზვითა ლექსთათა წარმოჩენულ და არღარა შინაგანმდებარედ.

აწ უკვე საკმარ არს ცნობად გვარსა სასიტყუელისა ამის ფილოსოფოსებითისასა. რამეთუ წარმოჩენად კმისაგან არს და დაწყებაჲ — კმისა აღმოკვმოზისაგან. აღმოკვობად ვითარება არს ქვემდებარე გასავონისა. და აღმოკვობად ორ სადმე, ესე იგი — კმად და არაკმად. კმად არს მშვიდნეულთამიერი აღმოკვობად. ხოლო აქა [147] საზღვართა შორის დაიდვა აღმოკვობად ნათესავად და ესე განიწვალეზის კმად და არაკმად. კმად, ვითარ მშვიდნეულთა და არაკმად; ვითარ ბევრად ზართა და ეტლის თვალთა გორვეებისა და ქუნილად, და ესთა სხვათა, რომელნი არა კმანი არიან საკუთრად ესენი, არამედ უფროსლა არაკმანი.

ამის უკვე აღმოკვობისა ერთისა კერძოსად არს სახელ, რომელი ითქვა კმად. მაგრა მეორესა კერძოსა საკუთრად აქუს სახელი ჴედწოდებული ნათესავისა თვისისა, რომლისა არაკმად წოდებრთა მოსპობილ კმად წოდებისაგან.

58 აშიაზე: ესე უსაკუთრეს არს მეორისა მოღებად მყისთანადისა შორის:

აპა, თანგანელის სახედ მიეცა ესე ბრძენთა სკოლართა სილი-
გიზმოსა, რამეთუ კმაჲ მხოლოდ მშვინველისა სახისგამოთა შორის
ყოველთა და არა უგრძნობელთა ბგერასა წოდებულ. სხვაობაჲ არს
სახეთა შორის კმისათა შეერთებულთა და მარტივთა. ხოლო შე-
ერთებული არს, რომელი ასოთაგან შეერთებულ იყოს და იმოქმე-
დებოდეს კელოვნებითა მწერალთათა, ვითარ: კაცი. ლომი, კუვი-
ლი. ესე მწერალთა კელოვნებითა იმოქმედებ-ს და ესთა სხვანი.
ხოლო მარტივი არს, რომელი არა იმოქმედებ-ს კელოვნებითა მწე-
[148] რალთათა, | ვითა მკვივანობაჲ ცხენთა, და მყეფარობაჲ ძაღლთა,
და ყივილი მფრინველთა, რამეთუ ესენი არა საკუთრად სიტყვიერ
მეკუდისა კმისამებრ იმოქმედებიან კელოვნებითა მწერალთათა, არა-
მედ მარტივ არიან უფროსდა და არა ასოთაგან დასაწერელ.

შეერთებულიცა კმაჲ განიყოფის ნიშნოვნად და უნიშნო.
ვითარ დანიშნულისა შორის არს კაცი, ხოლო უნიშნოჲ ვითარ იპო-
კენტავრო, ანუ ასო, ანუ მარცვალი. სახელიცა და ზმნაჲ დანიშნულ.
და არს ართრონი და კავშირი დაუნიშვნელ. იპოკენტავროჲ, რო-
მელი ჩვენგანსა ეოცნებოდის მიღმოგონებისა მოქმედებისა მიერ,
ერთი რაჲვე განკერპოვნებულისამებრ გვამისა, ანუ განუკვეთლი-
სამებრ რაჲვესა, და გონებაჲ მჭკრეტი განიცდის მას, ვითარ მყოსა,
ხოლო ოდეს დადგეს გონებაჲ ხედვისაგან ესთა სახედველისა, აპა,
მყის დასცხრეს ხილულიცა მისი, რომელი არასაღა და ოდეს იყო
არარაჲ და ცხად სადამე, რამეთუ იპოკენტავროჲმან არარაჲ დანიშ-
ნულად გვაჩვენა. ხოლო ართრონთა არა აქუს დანიშნულებაჲ, ვიდ-
რე არა ზედა ზმნასა დაიდვას-მცა ართრონთაგანი. აღმოიჩინა, ვი-
[149] თარმედ იპოკენტავროჲცა და ართრონიცა შეერთებულ, მაგრა არა |
დამნიშვნელ რაჲვეთა, არა.

ჰნიშნავს უკვე კმაჲ რომელიმე სახელსა, რომელიმე ზმნასა და
რომელიმე სიტყვისა. ხოლო შეერთებული კმაჲ განიყოფის რვაღ.
ესე იგი სახელნაკლი და შესაწყნაროჲ. რომელნი სახელისა და ზმნი-
სავე არიან, რამეთუ სახელნაკლი მებრ სახელისა მიღებულ და
შესაწყნაროჲ მიღებულ ოდესმე სახელისნაცვლად და ოდესმე ზმნი-
სა. ხოლო ართრონი და ესთა სხვანი მოღებულ დამნიშვნელთათვის
საკაზმაჲად. ყოველი სახელისა და ზმნისა მიერ შეერთებული სხვაჲ
არარაჲ არს ვიდრემე, თვინიერ სიტყვაჲ და წინდადებაჲ სიტყვი-
საგან. ესე შეთხზვიტცა არს შესმენილ. აღმოიჩინა, ვითარმედ შე-
ერთებულთა კმათა დანიშნეს სახელი და ზმნაჲ და სიტყვაჲ.

სახელი არს კმაჲ შეერთებული და ზედწოდებული და დამნიშნე-
 ნელი და უქამო და უპიროვნო. ხოლო უკეთუ ვინ განწვალოს ნა-
 წილნი სახელისანი, რომელთაგან არს შეერთებულ, არღა სადამე
 დანიშნეს ნაწილთა მათ რაჲვე. აჲა საზღვრისამებრ პერიპატოს|გა- [150]
 მოთა კმაჲ თქვეს ნათესავად და შეერთებული — სახედ, რომელი
 განეყოფის მარტივსა კმასა. წოდებულ იქმნიან სახელნი, რომელნი
 არა ბუნებით არიან რაჲვე, არამედ წოდებით. ხოლო თუმცა სადამე
 ბუნებით წოდებულ ცთომილთაგანისა აპოლოს, რად არა ყოველთა
 გვართა ენანი უწოდებენ მას აპოლოდ? რამეთუ ჩვენ ქართველთა-
 განნი არავინ სადა ისმენენ, თუ რამ არს აპოლოს, რომელთაცა არა
 ატტიკელთა აქუს კელოვნებაჲ ენისა ზედამიწევნიო დაა უწოდებთ
 მზესა დ სხვანი — სხვასა და სხვასა სდებენ სახელსა.

ესე განეყოფის დამნიშვნელობითა და უნიშნოსა კმასა და
 ბრუნვებითსა, ვითარ-იგი ბრუნვებულნი არა რამსა ნიშნავს გან-
 რჩეულადრე. რამეთუ კრონოსს და კრონოსითა, და კრონოსიგან —
 ამით არცა ერთმან გვაჩვენეს დამნიშვნელობაჲ სახელისა, ვითარ
 ბრუნვებულთა. ხოლო ესე სახელი განეყო უქამოებითა ზმნასა, მე-
 რმეცა განეყო სიტყვისა, რამეთუ სიტყვაჲ თუმცა განიწვალა ნაწი-
 ლებად, გვაჩვენებენ ნაწილნი მისნი დამნიშვნელობათა თვისთა. მა-
 გრა სახელისა ნაწილთა განწვალებულთა დამნიშვნელობანი არასადა [151]
 აქეს, არა. ესთა იხილეთ ესე მკერეტმან, რამეთუ სახელი არს პეტრე
 და განწვალთ ნაწილნი მისნი: პე, ტრე — აჲა, ნაწილნი „პეტრე“
 სახელისანი. ხედავა, რამეთუ არცა „პე“ და არცა „ტრე“ ნიშნენ
 არცა ერთი არა რამსა? ხოლო უკეთუ ზოგთარე სახელისა ნაწილ-
 თა განწვალებულთა აქუს რაჲვე დამნიშვნელობანი, ესეცა იჩქითსა
 რასამე შორის დროსა და არა ყოველნი ნაწილნი იქმენ ეს გვარისანი
 ნიშნასა. და უკეთუ ერთ ნაწილმან ქმნა თუ სადამე ესთა. სახელი
 იგი არღარა დაინიშნოს მით. ვითარ: შეენიერე ენაველოს, „შვე“
 მან გვაჩვენა ესთა, ვითარ უთხრან თუ ანნას: აქამდე იყავ შენ ბერწ
 და აწ შევე შენ ყმაჲ, ხოლო ენაჲ ნიშნავს საგემებელსა ენასა მშვიდ-
 ველისასა; და მეორენი იგი ნაწილნი, ესე იგი „ნიერი“ და ცვალოს,
 არცა ერთი ნიშნენ სახელსა რამსავე.

ნაწილთა სიტყვისათა არა ესთა ჰქმნენ, რამეთუ მათ განწვა-
 ლებულთა ნაწილთა სიტყვისათა თითოეულმან დამნიშვნელობაჲ
 გვაჩვენეს თვისი, ვითა: ყოველი თვითმოდრავი სული. (რად არს,

[152] ვითარმედ „ყოველიცა“ და „თვითცა“ და „მოდრავიცა“ და „სუ-
ლიცა“ დანიშნულ არიან. ხოლო თქვას თუ ვინ: კაცი ფილოსოფო-
სი — ესე შექმნა, გინა განწვალებითა გვაჩვენებს კაცსა მო-
ციანარსა. და „ფილოსოფოს“-ყოფითა კელოვან-ყოფასა. ხოლო
თქმად იგი „არა კაცი“, რომელსა დასდვა წოდებად არისტოტელი
ვერ განმჩიველად სახელად, რამეთუ არაარობითა მოისპო „კაცი“
რამსავე ქვემდებარეობისაგან და არა ცხად-ყოფს რამსავე განჩი-
ულადრე.

რამ არს ზმნად. თავი 72

[153] ზმნად არს კმად შეერთებული და დამნიშნველი და ქამიერი და
პიროვანი, რომლისა ნაწილი განწვალებული არა რამთა ჰნიშნავს
სიტყვასა, ამისთვის, ვითარმედ ესე ქამიერი და პიროვანი არს, ხო-
ლო სახელი უქამოცა და უპირო. გარნა იხილე აქა მეჭკრეტმან, ვი-
თარმედ ზმნად პიროვანი, წრფელობითსა თანა სახელსა შეთხზული,
ნიშნავს ქვემარტებასაცა და სიცრუესა. ვითარ-იგი თქვას თუ ვინ:
„იოანე არს“, „იოანე არა არს“. ხოლო სხვასა ბრუნვებითსა ზედა
არა სიცხადესა აღმოაჩენს ქვემარტებისა და სიცრუისასა, ვითარ:
„იოანესი არს“, „არა არს იოანესი“, აჰა, არა სიცხადე მოგვცა ჩვენ,
თუ რამ არს იოანესი, ანუ რამ არა არს. მაგრა რაჟამს უჩინო-
ზმნად დადებულ ბრუნვებითსა ზედა, მაშინ იქმნებდის ზმნად იგი
უჩინო რეცა სახელ. ხოლო პიროვანი ზმნად, უჩინოსა ზედა ზმნასა
მოდებული, სიცხადესა მოგვცემს ქვემარტებისა და სიცრუისასა,
ვითარ იტყოდეს თუ ვინ: „ბეჭდის წარტაცებად მოვიდა“, „ბეჭდის
წარტაცებად არ მოვიდა“.

რამ არს სიტყვად. თავი 73

სიტყვად არს კმად შეერთებული⁵⁹ და დამნიშნველი, რომლისა
ნაწილნიცა განწვალებულნი დამნიშნველ. სიტყვა განეყო სახელსა-
და ზმნასა ამით უცვე, რამეთუ კერძონი სიტყვანი განყოფილნი თი-
თოდ, დამნიშნველ არიან, ხოლო სახელისა და ზმნისა კერძონი არა.

⁵⁹ აშიაზე: ცხად არს, ვითარმედ შეერთებული არა მარტივ არს, არამედ
ნაწილებთაგან.

ესთ დამნიშენელ, არა. სიტყვად უქამოხსაცა და ქამითისა არცა ერთისა ერთად შემწყყნარებელ, ვინათგან გარეშეცულ სიტყვისა მიერ სიტყვად სრულიცა და არსრული.

სრული სიტყვად არს, ვითა ქამიერი, ვითარ: „იოსტინოს არს ფილოსოფოსი“, ანუ „იოსტინოს მოწამე არს“. ხოლო არა სრული სიტყვად უქამოცა არს და ქამიერი; უქამო, ვითარ „პეტრე წინამძღვარი მოციქულთა დასისა“ და | ქამიერი: „მიიქცეს მოციქულნი იერუსალიმად“. სიტყვათაგანნი რომელიმე გამომაჩინებელ, ვითარ „სულ არს ღმერთი“; ხოლო რომელიმე — ბრძანებითი, ვითარ „წარვდით და მოიპოწათენით ყოველნი წარმართნი“; ხოლო რომელიმე — საწაღო, ვითარ „ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნეს უშჯულობანი“; ხოლო რომელიმე — ქვეწყობილი, ვითარ „უკეთუ ღმერთი იდიდა“; ხოლო რომელიმე უჩინო, ვითარ „ღვთისაგან ღმერთი შობილად კორცქმნა თავს იღვა“; ხოლო რომელიმე — საკითხავ: „არა გესმია?“. აწ უკვე სხვათა სამართალ ყოველთა მიქცევად და განმარტებად გამოსაჩინოსა, ვითარმედ სხვითა რადთავე არშესაძლო ვისდა მართლსიტყვაობად, ვინათგან სხვანი არცა მტკიცე და არცა სრულ არიან.

რად არს გამომაჩინებლობად. თავი 74

გამომაჩინებლობად⁶⁰ არს სიტყვად აღმოსაჩინო და საქმე რადვე ვისდადმე, წართქმად ანუ უკუთქმად, სიცხადისა მომცემი ჩვენდა ქეშმარტებისა ანუ სიცრუისა. ხოლო გამომაჩინებლობად იგი, რომელ არს შეგულისსიტყვა რადვე, ქვემდებარისათვის რადსამე გამოიჩინების წართქმით ანუ უკუთქმით, ვითარ რეცა: „პეტრე ქადაგებს“, „პეტრე არ ქადაგებს“. აჰა, ქადაგებად იგი პეტრესი გამომჩენი არს წათქმით და უკუთქმით. ხოლო თქმად იგი, აღმომაჩენი სიმართლისა ანუ სიცრუისა, ამით უკვე განეყო სხვათა სახეთა სიტყვისათა. ხოლო თქმად, ვითარმედ „მიყვარს მე“ — ამან არცა ქეშმარტებად და არცა სიცრუე სიცხადით მოგვცა ჩვენ. ეგ სა-

⁶⁰ აშიაზე: გამომაჩინებლობად შეგულისსიტყვად არს. და შეგულისსიტყვად ორთა წინადადებათაგან არს, რომლისა ნაწილ არს სიტყვად, რომელ არს საზღვარი; მაგრა გამომაჩინებლობასა და შეგულისსიტყვასა და წინადადებასა მოვიღებთ ნაცვლად ურთიერთარსთა.

ზედვე არცა სხვათა სიტყვისა სახეთა გვაჩვენეს ქეშმარიტისა და სიცრუისა სიტყვაჲ.

[156]

აწ უკვე გამომაჩინებლობად, წინაწყობად და წინდადებად ერთ და იგივე არიან, ჩამეთუ გამოჩნდეს რა საქმე რაჲვე, რაჲსათვისმე ითქმის აღმოჩენილად, ვითარ-იგი შეკრებულ სიტყვაობად წინაწყობისა და კიდურმდგომობისა იგივედ ითქმის წინაწყობად, ჩამეთუ მართლმეტყველთა შორის წინჩამოსაგდებელი. საჭირო არს ძიებად, თუ რაჲ არს წინჩამოგდებული იგი. მართლმეტყველთა უკვე ესთა პყრობად აქუს კანუნთა აღმოსაჩინთა წინჩამოსაგდებისათა, ვითარ: „სული უკვდავ არს“, უკეთუ „არა უკვდავ არს“. აჰა, სიცხადე მოგვცა ჩვენ, ჩამეთუ თქმად, ესე იგი „სული“, მარტივი ვჰმად არს, შეუწუმასნელი, და არა აღმოაჩინს ქეშმარიტსა და უქეშმარიტსა. ამისთვის ჯერ-არს, რათა შეთხზვითა, ესე იგი შეწმასნითა | გამოჩნდეს ქეშმარიტებად და სიცრუე იგი. ხოლო უკეთუ კაცმან გვაჩვენა სახედ, არა სიცხადე მოგვცა ჩვენ: არს, ანუ თუ არა არს. იპოკენტავროცა იგი მოიგონების, ვითარმედ დანიშნავს რაჲვესა და არა აღმოჩენილ არს. მაგრა რაჲმს იგი შეეთხზვის, არს, გინა არა არს, მაშინ ცხად სადამე, ვითარმედ არს, ანუ თუ არა არს. თქვა ვინ ჩემდა: „იპოკენტავროჲ არსო“, „იპოკენტავროჲ არა არსო“, „სული არსო“, „სული არა არსო“ — ამით ცხად სადამე საზღვართაგან ქეშმარიტებად და სიცრუე. ხოლო ქეშმარიტებად ესე არს ესე, რომლისა შორის აღმოიჩინების, ვითარმედ არსი არს, ხოლო არაარსი არა არს. და სიცრუე არს, რომლისა შორის აღმოიჩინების, ვითარმედ ითქვა რა არსი არაარსად, ხოლო არაარსი არსად. აჰა, განსაზღვრა ქეშმარიტებად და სიცრუე არსმან და არაარსმან.

ხოლო მარტივი უკვე კმანი არიან თვინიერ არსისა და არაარსისა. აჰა, თანგანვლის სახედ აღმოიჩინა, ვითარმედ ქეშმარიტებად და სიცრუე სრულად და მტკიცედ შეთხზვითსა შორის სიტყვისა არიან გაგონებულ.

რად არს განწვალებად წინდადებისა, რომელ არს
შეგულისსიტყვაჲ. თავი 75

[157]

| წინდადებად რომელიმე შესმენითი და რომელიმე ქვედადებითი. შესმენითი არს, რომლისა შორის იყოს ერთი ქვემდებარე და ერთი გაგონებული, ვითარ თქვას თუ ვინ: „პეტრე არს მწვერვალი

მოწაფეთა“. და გაიგონე, გამგონეო, რამეთუ აქა „პეტრე“ ქვემდებარე არს და „მწვერვალობაა მოწაფეთა“ გაგონებულ, და ამას წოდებულ შესმენითი. მიითვალა სახელი შესმენისაგან და არა ქვემდებარისაგან, რამეთუ შესმენად უპირველეს ქვემდებარისა. ხოლო ქვემდებარე იგი არს, რომლისა შორის ითქვის საქმე რაჲვე, რომელი შეისმინების სხვისაც ქვემდებარისა თვისისა შორის, ვითარ: „ოქროა ტაყუკსა შორის და ფეშუმსა“ — თვისთა ქვემდებარეთა, რომელთა შორის არს შესმენილ. მაგრა თანა გაც შენ, რათა იცოდი, ვითარმედ ოქროა უპირველეს არა ტაყუკისცა და ფეშუმისა.

ქვე-დადებითი არს, რომლისა შორის არს შესმენითი წინდადებად, ვითარ-იგი: „უკეთუ პეტრე არს მწვერვალი მოწაფეთა, მოციქული არს“. აქა აღმოიჩინებთან ორნი შესმენითნი წინადადებანი: 1. პეტრე არს მწვერვალი მოწაფეთა. 2. მოციქული არს. და ამას წოდებულ ქვედადებითი წინდადებად. ხოლო ერთი იგი შესმენითი წინდადებად მეორისა ქვედადებულა, რამეთუ „პეტრე არს | მწვერვალი მოწაფეთა“ — ქვე დაედებინ ამას თქმული იგი, (158) ვითარმედ „მოციქული არს“.

აწ უკვე ვიხილოთ შესმენითი წინადადებად იგი და მერმეცა ქვედადებითი იგი. განიწვალა წინადადებად იგი შესმენითად და ქვედადებითად. და კვალად განიწვალების წართქმად და უკუთქმად. ზოლო წართქმით არის გამოიჩინებად რაჲვესა საქმისა ვისდადმე მოლებულ, ვითარ თქვას თუ ვინ: „ნებთალიმ არს ისრაილ“, — ცხად არს, ვითარმედ ისრაილობად. რომელ არს საქმე რაჲვე, ვსთვისმე, ესე იგი ნებთალიმისდად აღმოიჩინა. ხოლო უკუთქმად არს გამოიჩინებად რაჲვე საქმისა ვისდადმე აღვოცა, ვითარ-იგი „ნებთალიმ არა არს ისრაილ“. აქა აღივოცა ისრაილობად ნებთალიმისი.


მერმეცა განიწვალების წინადადებად იგი ყოვლობითად და კერძობითად, ვითარ თქვას თუ ვინ: „ყოველი კაცი ქრისტეანე არს“, „არა ყოველი კაცი ქრისტეანე არს“. აჰა, „ყოველი კაცი ქრისტეანე არს“ — ესე ყოვლობითი არს, ხოლო „არა ყოველი კაცი ქრისტეანე არს“ — ესე კერძობითი არს. ხოლო გვაჩვენებს, ვითარმედ არა ყოველი კაცი არს ქრისტეანე, არამედ რომელიმე კაცი არს ქრისტეანე. ყოვლობითიცა და კერძობითი წინადადებანი სხვა და სხვა არიან, რამეთუ იქმნების, ვითარმედ წართქმად და უკუთქმად იყუნენ ვიდრემე ორნივე ყოვლობითნი, ვითარ-იგი: „ყოველი სული თვითმიმდრეკ არს“, „არავინ სული თვითმიმდრეკ არს“. აღმო_ (159)

იჩინა, ვითარმედ წართქმამცა და უკუთქმამ არიან ყოვლობითნი და ესთა წოდებულ წინააღმდგოვებითი განრემზომი.


არიან უკვე წართქმანიცა და უკუთქმანი კერძობითნი. ხოლო კერძობითი არს სამგვარად, რომელი კერძობითთა ნიშანთა მიერ დაინიშნოდეს, ესე იგი რომელიმე, ანუ ზოგი ვინმე. ხოლო წართქმასა და უკუთქმასა კერძობითსა ესე გვაჩვენებს, ვითარმედ: „რომელიმე სული არს თვითმიმდრეკ“, „რომელიმე სული არა არს თვითმიმდრეკ“. და ამას წოდებულ ქვეწინააღმდგომ განრემზომი, რომელსა წარმოობა აქუს უკვე წინააღმდგოსაგან განრემზომისა, რამეთუ იგი იტყვის: „ყოველი სული არს თვითმოძრაჲ“. მაგრა ესე არა მასვე იტყვის, არამედ „არა ყოველი სული არსო თვითმოძრაჲ“. მერმეცა მანვე თქვა: „არავის სული არს თვითმოძრაჲ“, და ამან: „რომელიმე სული არს თვითმოძრაჲ“. იქმნების, ვითარმედ არა კერძობითმან ნიშანმან დანიშნოს ლექსი. მაგრა არა ყოვ-

[160] ლობითსა გვაჩვენებდეს წართქმასა ანუ უკუთქმასა, ვითარ-იგი: „სული არს თვითმოძრაჲ“, „სული არა არს თვითმოძრაჲ“. ამას წოდებულ საშუალ, ანუ განურჩეველი განრემზომი, რამეთუ არა განუტრეღითა სახელითა და არცა ნიშნითა კერძობითისათა და არცა სახელნაკლითა, რათა გვაჩვენოს: ესე ანუ ეგე, ანუ იგი. ხოლო განურჩეველად ჩვენებულ, ვითარმედ: „სული არსო თვითმოძრაჲ“, „სული არა არსო თვითმოძრაჲ“. იქმნების, ვითარმედ განუტრეღითა სახელითა ითქვას, ვითარ: „მიხაილ არს თვითმოძრაჲ“, „მიხაილ არა არს თვითმოძრაჲ“. ანუ კვალად სახელ-ნაკლებად ითქვას: „შენ თვითმოძრაჲ ხარ“, „შენ არა თვითმოძრაჲ ხარ“. ხოლო ამას განრჩეულად აჩვენებს, ვითარმედ: რომელიმე თვითმოძრაჲ, რომელიმე არა თვითმოძრაჲ. განრემზომსა შორის ერთი უკვე ყოვლობითი არს და ერთი — კერძობითი, ვითარ-იგი ყოველი სული არს თვითმიმდრეკ“, „არა ყოველი სული არს თვითმიმდრეკ“, „არავინ სული არს თვითმიმდრეკ“, „რომელიმე სული არს თვითმიმდრეკ“. ხოლო ამას საკუთრად წოდებულ განრემზომი და მრჩობლ არს

[161] გვართა განრემზომისათა. რამეთუ ერთი არს ყოვლობითი და მეორე — კერძობითი. და ერთი არს წართქმამ და მეორე — უკუთქმამ. ხოლო სხვანი იგი ერთითა გვართა განრემზომობენ, ხოლო თუმცა განრემზომისა მიერ ერთი წართქმამ არს და მეორე — უკუთქმამ, მაგრა ორნივე ყოვლობითნი არიან. ეგ სახედვე ხოლო კერძობითნი. თუმცა ერთი — წართქმამ და მეორე — უკუთქმამ, გარნა ორნივე კერძობითნი.



|| [162]



1. ყოველი სული არს თვითმიმდრეკი
2. არა გინ სული არს თვითმიმდრეკი
3. რომელიმე სული არს თვითმიმდრეკი
4. რომელიმე სული არა არს თვითმიმდრეკი

სქემა 3

განრემზომობითი უკვე განრემზომი იგი არს, რომელი ორთა ეგანრემზომებოდეს. ხოლო რიცხვითა არიან ხუთნი, რომელნიცა გაგონებულ არიან განრემზომად: 1. წინააღმდგომ, 2. ქვე-წინააღმდგომ, 3. განრემზომი, 4. განრჩეული, 5. განურჩეველი. ხოლო უმტკიცეს ამთ ხუთთა შორის განრემზომთა სამნი უკვე, ანუ ორნი არიან ყოვლობითნი, რომელ არიან წინააღმდგონი. ხოლო განრჩეული და განურჩეველი, ერთი ვიდრემე რეცა ყოვლობითი და მეორე — კერძობითი. განრემზომი არცა მეტ სადმე და არცა კინი, რომელიცა აღმოიჩინა. და სიტჯადე ამისი ისმინეთ, სწავლისშინანო, წინამდებარესა აჰას სქიმასა შორის. | სამად სადამე განიყო წინადადებამ: 1. არსებითად, 2. ვითარებითად, 3. რაოდენობითად. ხოლო ესთა უკმს მეძიებელსა კითხვაჲ არსებითისა წინადადებისა, ვითარმედ: რაჲ არსო? ხოლო ვითარებითისა: რომელი-რაჲ არსო? ხოლო რაოდენობითისა: რაოდენი არსო? განყოფაჲ წინადადებისა შესმენითად და ქვედადებითად მეგრ არსებითისა არს, რამეთუ იკითხოს რაჲ ვინ, ვითარმედ: რაჲ არს წინადადებამ? ვიტყვით, ვითარმედ: შესმენითი, ანუ ქვედადებითი. ხოლო განყოფილებამ წინადადებისა წართქმად და უკუთქმად, ვითარებითისამებრ; ჯერ-არს კითხვად თნებადთავან ძიებისათა, რათა იკითხონ, ვითარმედ: რომელი-რაჲ არსო? აჰა, ითქვას მათდამი, ვითარმედ: წართქმად, ანუ უკუთქმად. ხოლო განწვალებამ წინადადებისა ყოვლობითად ანუ კერძობითად, რომელი მეგრ რაოდენობისა არს, ესე ღირს კითხვად, ვითარმედ: წინადადებამ ესე ყოვლობითი არს, ანუ კერძობითი? ვეტყვით ანუ ყოვლობითსა, ანუ კერძობითსა. და ესე რაოდენობითად გაიგონების გამგონეთავან.

[163]

[164]

მერმეცა წინადადებანი არიან ზოგნი განრჩევიით და ზოგნი — განურჩეველ. განრჩევიითი იგი არს, რომლისა შორის | არ აღმოიჩინების განურჩეველად არცა ქვემდებარე და არცა შესმენილი, ვითარ-იგა: „არს სული“, „არა არს სული“, „არს სული უკუდაგ“, „არა არს სული უკუდაგ“. განურჩეველი არს, რომლისა შორის ქვემდებარისა ანუ შესმენილისა არა განირჩეოდეს სახელნი, ვითართქვას თუ ვინ: „არს არა კაცი“, „არა არს არა კაცი“, „არს მართალი არა კაცი“, „არა არს მართალი არა კაცი“, „არს არა მართალი კაცი“, „არა არს მართალი კაცი“, „არა არს მართალი არა კაცი“, „არა არს მართალი არა კაცი“.

საუწყს ესე, ვითარმედ მშვინველი, რომელსა კაცისა უფროს აქუს გარეშეცვითი პყრობამ, განურჩეველსა შორის გვარსა; კაცი-

სა უენინეს მიეცეს მშვინველსა გარეშეცვითი პყრობაჲ, რამეთუ არა მშვინველად თქმამან აღკოცნა ყოველნი მშვინველნი და მხოლოდ უმშვინველნი გარეშეიცივნა, ხოლო რომელიცა განარჩეულსა შორის იყოს გვარსა რაჲვე, მცირედ მექონეჲ გარეშეცვითისა პყრობისა, იყოს იგი განურჩეველსა შორის, მქონები უმეტესისა გარეშეცვითისა პყრობისა.

მერმეცა წინადადებაჲ ორთაგან არს: რომელიმე მარტივ და არა აჩვენებს შეხდომასა რაჲვესა; | და არს არამარტივ, რომელი აჩვენებს თვის შორის შეხდომათა რაჲვეთა. მარტივი იგი არს, რომელმან თვის შორის ბუნებაჲ რომელიმე წარმოადგინოს მარტივად, ვითარ-იგი: „არს კაცი“, „არა არს კაცი“, „არს არაჲცა“, „არა არს არაჲცა“. ხოლო არამარტივი არს, რომელი არსებასა ზედა შეხდომილებასა გვიჩვენებდეს, ვითარ-იგი: „არს სული ნეტარ“, „არა არს სული ნეტარ“. ესთა თქმულნი გვაჩვენებენ ჩვენ არსებასა ზედაშესრულთა რაჲვეთა ვითარებათა. ვითარ სულსა ზედა სათნობეჲ და ზედმიწევნულობეჲ, ვითარცა თქვა არისტოტელი კატელორიას შინა ვითარებისასა.

მერმეცა წინადადებათაგანნი რომელიმე არს არსებოვანად და რომელიმე — გვაროვანად, არსებოვანად უკვე ესე არს ესე, რომელსა შორის ზმნაჲ გასაგონ იყოს არსად, ვითარ: „ცხენი არს“, „ცხენი არა არს“. აჲ არსებოვანად შევისწავებთ, ვითარმედ ზმნაჲ არა ქვემდებარე იქმნა, არამედ ითქვა შესმენილად. რომელ არს „ცხენი“ არსებოვანად. მერმეცა ვთქვათ, ვითარმედ: „ცხენი არს რაჲსი“, „ცხენი არა არს რაჲსი“. აჲ თუმცა არსებოვანი ითქვა ზმნაჲ, მაგრა არა მარტივ, არამედ შეხდომილიანად შევისმინეთ და არა ქვემდებარე ექმნა ამას | ზმნაჲ. გვაროვანი არს, რომლისა შორის გვაჩვენებდეს ზმნაჲ ქვემდებარეობასა თვისსა, ვითარ „ცხენისა ყოფად საჭირო“, „ცხენი სრბად შესაძლის“, „ცხენი სრბად შეუძლო“. ხოლო თუმცა სადამე აჲ გვაჩვენებს, რათა თქმაჲ იგი „ყოფად“ იყოსმცა შესმენილ, მაგრა „ყოფად“ და „სრბად“, რომელ-ითქუნნეს ზმნანი უჩინონი, იგი არიან ქვემდებარენი და თქმაჲ იგი „საჭირო“ და „შესაძლო“ გვეჩვენებიან გვაროვანად. ისმინე, ბრძენო, თუ რაოდენნი არიან გვარნი, ანუ თუ რაჲსათვისმე ითქვენეს გვაროვანად წინადადებანი, თუ ნებაჲს ღმერთსა, გარდაიდებიან თვისსა ადგილსა.

[167] სამ არიან უკვე სიცხადისა და გამომაჩინებლობისა მომცემელნი ჩვენდა ქვედმდებარეთანი, ესე იგი: 1. საჭირო, 2. შეუძლო და 3. შესაძლო. საჭირომ ვიდრემე ესე არს ესე, ვითა: საჭიროდ აქვს კაცსა, რათა იყოს სიტყვიერ, და შესაძლოდ აქუს კაცსა, რათა იყოს მუსიკელ, და შეუძლოდ აქუს კაცსა, რათა იყოს ოქროდ. აწ უკვე საჭიროსა შორის წინააღმდგოსა მის წართქმამ ქეშმარიტ არს სადამე, და უკუთქმამ — ტყუილ, ვითარ: „ყოველი სული არს თვითმიმდრეკ“, „არავინ სული არს თვითმიმდრეკ“. შეუძლოსა შორის არს წართქმამ ცრუ, ხოლო უკუთქმამ — ქეშმარიტ, ვითარ: „ყოველი თვითმიმდრეკი ოქრო არს“, „არავინ თვითმიმდრეკი არს ოქრო“. ხოლო შესაძლოსა შორის არიან ორნივე ცრუდ, ვითარ: „ყოველი კაცი არს ეპისკოპოს“, „არავინ კაცი არს ეპისკოპოს“. ქვეწინააღმდგოსა და განურჩეველისა საჭიროსა შორის წართქმამ — ქეშმარიტ და უკუთქმამ — ცრუ, ვითარ: „რომელიმე სული არს თვითმიმდრეკ“, „რომელიმე სული არა არს თვითმიმდრეკ“, ხოლო განურჩეველისა ეგ სახედვე, ვითარ: „არს სული თვითმიმდრეკ“, „არა არს სული თვითმიმდრეკ“. შეუძლოსა შორის წართქმამ ცრუ არს და უკუთქმამ — ქეშმარიტ, ვითარ: „რომელიმე თვითმიმდრეკი არს ოქრო“, „რომელიმე თვითმიმდრეკი არა არს ოქრო“. და შესაძლოსა შორის ორნივე ქეშმარიტ, ვითარ: „რომელიმე კაცი არს მუსიკელ“, „რომელიმე კაცი არა არს მუსიკელ“, „არს კაცი მუსიკელ“, „არა არს კაცი მუსიკელ“

[168] ხოლო⁸¹ განრემზომი ყოველი ერთი ქეშმარიტი არს სადამე და მეორე — ცრუ, ვითარ: „ყოველი სული არს თვითმიმდრეკ“, „არა ყოველი სული არს თვითმიმდრეკ“, „არავინ სული არს თვითმიმდრეკ“, „რომელიმე სული არს თვითმიმდრეკ“. და შესაძლოსა შორის, ვითარ: „ყოველი კაცი არს დოღმატიკოს“, „არა ყოველი კაცი არს დოღმატიკოს“; ხოლო შეუძლოსა შორის, ვითარ: „ყოველი კაცი არს ცხენ“, „არა ყოველი კაცი არს ცხენ“, „არავინ კაცი არს ცხენ“, „რომელიმე კაცი არს ცხენ“. ეგ სახედვე განრჩეულიცა ერთი — ქეშმარიტ და ერთი — ცრუ; საჭიროსა შორის, ვითარ-იგი:

⁸¹ აწიანზე: განრემზომი ესე საჭიროსა შინა ესთა იქმნების და შესაძლოსა და შეუძლოსაცა შინა.

„იოანე არს სიტყვიერ“, „იოანე არა არს სიტყვიერ“; შესაძლოსა შორის, ვითარ: „იოანე არს ფილოსოფოს“, „იოანე არა არს ფილოსოფოს; შეუძლოსა შორის, ვითარ: „იოანე არს ხერუვიმ, იოანე არა არს ხერუვიმ“. აწ უკვე ყოველი განრემზომი მარადის საჭიროსა შორის და შეუძლოსა ერთი — ქეშმარიტ და ერთი — ცრუ. ხოლო შესაძლოსა შორის სხვა იქმნებიან, რამეთუ შესაძლოსა შორის წინააღმდგომი ორნივე თანად არიან განცრუებულ.

ხოლო ქვეწინააღმდგომი ორნივე თანად არიან განცრუებულ. ხოლო ქვეწინააღმდგომი და განურჩეველი მყის თანად ორნივე არიან ქეშმარიტ. და ყოვლისა განრემზომისა და ყოვლისა განრჩეულისა ერთი ქეშმარიტ და ერთი — არა ქეშმარიტ, ვითარ-იგი მრავალჯერ ვთქუთ. მაგრა თუ იყოსმცა ერთსა და მასვე სახელსა ზედა, სახელმოდგამითისამებრ ორნივე თანად ქეშმარიტ იყუნენ წინააღმდგომი, ვითარ მშვინველისათვის: „ყოველი ძალლი არს მყეფარ“ — ეს ქეშმარიტ. და მათიმათიკებრისათვის ძალლისა: „არა ყოველი ძალლი არს მყეფარ“ — და ესეცა ქეშმარიტ. ეს სახედვე ესეცა: „იოანე არს წინამორბედ“, — ესე ქეშმარიტ იოანესთვის, ძისა ზაქარიასა და „იოანე არა არს წინამორბედ“ — ესეცა ქეშმარიტ, რამეთუ იოანნი მრავალ არიან და ერთი მხოლო არს წინამორბედ.

[169]

ხოლო ეს სახედ ადგილისათვისცა ითქვას თანად ქეშმარიტებად წინააღმდგოთა, ვითარ-იგი: „დღეს ცროის“ — და აქასა ადგილისათვის ქეშმარიტ ესე, და „დღესა არა ცროის — ესეცა ქეშმარიტ, რამეთუ არა ყოველსა ადგილსა იქმნების ერთად წვიმა ანუ გვალვამ.

ეს სახედ უამისათვისცა ითქმის ქეშმარიტებად წინააღმდგოთა თანად, ვითარ-იგი: „ირაკლიდი არს მოხუცებულ“, — ესე ქეშმარიტ მოსვლადისათვის უამისა. „ირაკლიდი არ არს მოხუც“ — ესე ქეშმარიტ აწმყოსათვის უამისა, მაგრა ესენი მებრ ძალისა და მოქმედებისა, რამეთუ ყრმად ძალით არს ასტრონომოს და მყოფთმწენდველ, გარნა მოქმედებით არა ერთი, არა. ხოლო რომელნიცა იყუნენ თანად ქეშმარიტ, არა განრემზომ იგინი, რამეთუ განრქეშმომთა სჯულ აქუს, რათა ერთი მართლოოდეს და მეორე ტყუოდეს. ვინაცა რომელნი-იგი თანად მართლოოდენ ვიდრემე, ანუ ტყუოდენლა, არა სადამე განრემზომისადმი აღიყუანებიან და არცა განრჩეულისა. ამისთვისცა მტკიცედ მყო. განრემზომ იგი არიან, რომელ განრემზომითი და განრჩევითი შესმენად მიეცეს გასაგონსა

[170]

სიბრძნის მეტრფევეთასა, რამეთუ განრემზომსა და განრჩეულსა შორის ბევრგზის ვთქუთ და აწცა მასვე ვიტყვით, ვითარმედ: ერთ — ჭეშმარიტ⁶² და ერთ-ცრუ, და გარე-შეისმინებისცა ესე. ხოლო წინააღმდგოსა თუმცა ერთი ჭეშმარიტ და ერთი ცრუ, მაგრა არა გარე-შეისმინების⁶³, თუმცა ერთი ცრუ არს, არა არს საჭიროლდ⁶⁴, რათა იყოს თუ ჭეშმარიტ, რამეთუ თანად განცრუვდებიან, და ჭევეწინააღმდგოსა და განურჩეველსა ერთი ცრუ არს და მეორე — ჭეშმარიტ. და არა გარეშესმენილ, თუმცა ერთი არს ჭეშმარიტ და არა საჭირო მეორისა ცრუ ყოფაჲ, რამეთუ თანად განმართლდებიან. ნუჟმე თქვას ვინ, ვითარმედ: რომელნიცა თანად განმართლდებიან, გინა ცრუ იქმნებიან, რადალა ითქმიან განრემზომად? უთხრათ უკვე ესთა მეძიებელსა, ვითარმედ: შესაძლოსა

[171]

შორის თანად ცრუ|ყოფაჲ და ჭეშმარიტ-ყოფაჲ იქმნების, არამედ არა-საჭიროსა შორის და შეუძლოსა. ვინა უკვე წინააღმდგომ, რომლისცა შორის განცრუვდეს. მუნ არა განრემზომობაჲ ითქვას ვიდრემე, არამედ გვარისამებრ განრემზომისა. ხოლო რომელსაცა შორის ერთი მართლოოდის და მეორე ტყუოდის, მუნ იყოს განრემზომობაჲ მტკიცე. ეგ სახედვე ქვედ-წინააღმდგომ და განურჩეველი, რომელთა შორის იქმნების თანად ცრუ-ყოფაჲ და მყის თანად განმართლებაჲ, მუნ არა ითქვას ვიდრემე განრემზომად, არამედ განრემზომისამებრ გვარისა.

ისმინე, მეტრფევეო სწავლილ, რამეთუ განცრუებაჲ კერძობითისა ცრუ-ყოფს ყოვლობითსაცა, ვითარ-იგი: „რომელიმე კაცი არს კანჯარ“, „ყოველივე კაცი არს კანჯარ“; „რომელიმე კაცი არა არს სიტყვიერ“, „არავინ კაცი არს სიტყვიერ“, გარნა არა გა-

⁶² აშიაზე: ესე გარეშესმენილ არს, რამეთუ ითქვას თუ: „ყოველი სული თვითმიმდრეკი არს“ და „რომელიმე სული თვითმიმდრეკი არა არს“, — პირველი ვიდრემე ჭეშმარიტ და მეორე — ცრუ. ესენი განრემზომ: „ყოველი სული თვითმიმდრეკი იყოს თუ ჭეშმარიტ, არა რომელიმე იქმნების სული თვითმიმდრეკი, არამედ ყოველი.

⁶³ აშიაზე: არა გარეშესმენაჲ მოიგო წინააღმდგომან, რამეთუ ვინათჲან ყოველი სული თვითმიმდრეკი არს, სადალა ითქვას, ვითარმედ: არავინ სული არს თვითმიმდრეკი. აჰა, არა გარეშეისმინა ესე.

⁶⁴ აშიაზე: საჭიროსა და შეუძლოსა შორის განრემზომი და განრჩეული ერთი — მართალ და ერთი ცრუდ, მაგრა გარეშესმენილ. ხოლო შესაძლოსა შორის წინააღმდგომი ორნივე ცრუ; ხოლო ჭევეწინააღმდგომ და განურჩეველი — ორნივე მართალ და არა გარეშესმენილ.


რემოქციევით, რამეთუ განცრუებად ყოვლობითისა არა ცრუჰყოფს
კერძობითისა, ვითარ: „ყოველი სული ნეტარ“, რომელიმე სული
ნეტარ“, „არავინ სული ნეტარ“, „რომელიმე სული ნეტარ“. ესთა
უკვე განმართლებად კერძობითისა განაცრუებს ყოვლობითისა, ვითა
ზენათა შინა ლექსთა გარდაიდვა. ზოლო ესე ცხად, | არამედ რაჟამს [172]
ზოგადნი იყუნენ მართალ, აჰა, კერძობითნიცა მართალ.

ესე კმა ჩვენდა აწინდელისა სიტყვითისა კელოვნებისა მოკმე-
დებად განრემზომთა განმართლებასა და განცრუებასა ზედა.

რომელნი არიან სწორნი წინადადებანი. თავი 77

თქვა ფილოსოფოსებითმან კელოვნებამან პერიპატოსგამოთა-
მან სწორნი წინადადებანი ყოვლობითად და კერძოებითად, რომე-
ლიცა ნიშანთა მიერ განყვეს სიბრძნის მოძღვართა მათ, რომელთა
ხედვად ესთა: არს უკვე ნიშნად წინადადებითთა ყოვლობითთა: ყო-
ველი. არავინ და სხვანი ესთა. ეგ სახედვე კერძობითი: ვინმე,
არავინმე, რომელიმე, არა რომელიმე, რადვე, არა რადვე და ესთა
სხვანი. ვიტყვივით ესე განშლად წინაშე თნებადთა სწავლისათა. რა-
მეთუ ზმნასა ზედა სხმულსა, რომელ არს „არა“, ამის უკვე წეს,
რომელთა შემდგომად თვისსა რადცა აქუს, რათა ხრწნიდეს მას, ვი-
თარ: „არა ყოველი კაცი წერს“. ხოლო თქმად, ვითარმედ „ყოვე-
ლი კაცი წერს“ — ესე ყოვლობითი არს წართქმად. გარნა თქმა-
მან. რომელ არს | „არა“, წინადადებითა ჰქმნა ყოვლობითი კერძო- [173]
ობითად და წართქმად უკუთქმად და ჰყო სწორ ესენი: „არა ყოველი
კაცი წერს“ და „რომელიმე კაცი წერს“. ეგ სახედვე ესენიცა სწორ
იქმნებიან: „არა არავინ კაცი წერს“, „რომელიმე კაცი წერს“. პირ-
ველმან უკვე, რომელიცა ითქვა, ესე იგი „არა“, პოვა შემდგომად
თვისსა ყოვლობითი უკუთქმად, ხოლო „არავინ კაცი წერს“ — ესე
უკვე ზოგადი უკუთქმად. ვინაჲ უკვე იხილე მექვერეტმან, რამეთუ
სახელი იგი, რომელ არს „არა“, ხრწნის და სწორ-ჰყოფს კერძო-
ობითისა წართქმასა, რომელ არს: „რომელიმე კაცი წერს“. სწორ
ვიდრემე ესენი, ვითარ: „ყოველი კაცი არა წერს“, „არავინ კაცი
წერს“. ხედავა, ვითარ „არა“-მან შემდგომად თვისსა არა პოვა
ნიშანი ყოვლობითი, ვინაჲ განეველთა ყოვლობითისა და მოსპო მარ-
ტოდ წართქმად და სწორ-ყო მისა, რომელ არს, „არავინ კაცი
წერს“, რამეთუ იგივე არს, რადვეცა არს „ყოველი კაცი არა წერს“.

იქმნებიან ვიდრევე სწორ ესენი: „არავინ⁶⁵ კაცი არა წერს“ და „ყოველი კაცი წერს“. აქა პოვა „არა“-მან შემდგომად თვისსა



- | | |
|--|---|
| <p>1. ყოველი კაცი წერს
არა ვინ კაცი არა წერს
არა რამე კაცი არა წერს</p> | <p>2. არავინ კაცი წერს
ყოველი კაცი არა წერს
არა რამე კაცი წერს</p> |
| <p>3. რომელიმე კაცი წერს
არა ყოველი კაცი არა წერს
არა არავინ კაცი წერს</p> | <p>4. არა ყოველი კაცი წერს.
რომელიმე კაცი არა წერს.
არა არავინ კაცი არა წერს.</p> |

სქემა 4.

65 აშიაზე: ისმინე, ბრძენო ნოიმაო, რამეთუ „არავინ კაცი არა წერს“ მოეცა სიცხადე, ვითარმედ „არა ერთი კაცი წერს“, რამეთუ ყოველი კაცი წერს. აჰა, უკუთქმად საოცნი ესე გაუსწორდა წართქმასა, ესე იგი „ყოველი კაცი წერს“.

კერძობითისა ნიშანი, რომელ არს „ვინ“. ხოლო უკუთქმად იგი, რომელ არს უკან|ასკნელი „არაჲ“, სწორ ჰყოფს ყოვლობითისა [174] წართქმისა. რამეთუ „კაცი არა ვინმე წერს“ არს კერძობითი უკუ-თქმად რომლისა წინა ძეს „არაჲ“.

აჲ, იქმნების სწორ ყოვლობითისა წართქმისა, ესე იგი: „ყოველი კაცი წერს“ — გვაჩვენებს ვიდრემე, არა ვინ არსო კაცი, რომელი არა წერდეს და ესე არს „ყოველი კაცი წერს“. სწორ იქმ-ნებიან ესენიცა: „არა ყოველი კაცი არა წერს“, „რომელიმე კაცი წერს“. აჲ პირველმან „არა“-მან პოვა შემდგომად თვისსა ნიშა-ნი ყოვლობითი და შემდგომი „არაჲ“ სწორ ყო კერძობითისა წარ-თქმისა. სწორ იქმნებიან ესენიცა: „არა არავინ კაცი წერს“, „რო-მელიმე კაცი არა წერს“. ხოლო პირველი იგი „არაჲ“ პოვებს შე-მდგომად თვისსა „ვინ-სა რომელ არს ნიშანი კერძობითი და უკანასკნელი „არაჲ“, ესე იგი უკუთქმა, სწორ ყოფს ყოვლო-ბითისა წართქმისა, რომელ არს: „ყოველი კაცი წერს“. ხოლო შო-რის წინადადებისა ამის — „არა არავინ კაცი [არა] წერს“ — სამნი უკვე არიან „არანი“, რომლისა პირველი იგი მოსპობს ყოველსა, რაჲვესაცა შემდგომად თვისსა პოვებს. ხოლო შემდგომი ესე იგი: „არავინ კაცი არა წერს“, რომელი | სწორ არს მისა, ვითარმედ „ყოველი კაცი წერს“. ვინა უკვე ხაწნა ესე და სწორ ყო წართქმისა, რომელ არს „რომელიმე კაცი არა წერს“, ხოლო „არავინ არა“ და „რომელიმე არა“ სწორ იქმნენ ჟრთიერთარს და „ყოველი არა“ და „არავინ“ სწორ არს ერთმანერთისა და „არავინმე“ სწორ „ყოვ-ლისა“ და „არა ერთი“ არა სწორ ერთისა“, რამეთუ მრავალგზის ორთა უკუთქმათა შორის ერთი იქმნეობს წართქმად ესთა, ვითარ-მედ: „არა არს კაცი, რომელი არა იყოს მოცინარ“. აჲ, სიციხადე მოგვცა ჩვენ, ვითარმედ საჭიროდ არს კაცისა მოცინარ ყოფაჲ, გარნა შენ, მეტრფევეო სიბრძნისაო, შთაჰვრიტე და იხილე ვიეთ-ნიმე წინადადებანი ამას სქიმისა შორის*.

რად არს გარეშესმენად წინადადებათა. თავი 78

თქვა არისტოტელი: გარეშესმენად არსო ნაცვალდადებისა, ვი-თარ თანზიარებაჲ ორთა საზღვართა და თანზიარებაჲ ორთა წინა-დადებათა, ნადაშთა მასვე ვითარებასა შორის მართლ-ზიარებით-ურთ. საზღვარსა შორის ნაცვალდადებაჲ არს უპირველესი რეცა

ნათესავი. ხოლო ორთა საზღვართა არს სხვაობაჲ, რომელ განე-
სხვების ნაცვალდადებაჲ იგი ქვედმდებარესა და შესმენილსა სხვა
ნაცვალდადებისა მიერ, რამეთუ ქვედმდებარენიცა და შესმენილნი
იგი არიან საზღვარნი წინდადებისანი, რამეთუ კიდურნი არიან წინ-
დადებისანი. ხოლო წინ-ჩამოსაგდებელი იგი განსხვავდებოდის ამათ
შორის.

- [178] ეზიარნეს უკვე ორნი იგი წინდადებანი ურთიერთარს ვითარ-
მე. მაჲრა მრავალჯერ ქვედმდებარე და შესმენილი, ცვალებულნი
ურთიერთარს, არ იქმენ უკვე ორსა წინდადებასა ზიარად ერთმა-
ნერთისა ესფერ: „უსხეულოჲ არს სული“, „სული არს უსხეულოჲ“.
ისმინე, გამგონეო, რამეთუ ესენი არა ორნი არიან წინდადებანი
ზიარებულნი ურთიერთარს, არამედ იგივე არს, რამეთუ ორთა
შინა „სული“ არს ქვედმდებარე, ხოლო უსხეულოჲ — შესმენილ.
რამეთუ არარაჲ განჩიევაჲ, ვინა სხვაობაჲ არს თქმაჲ, ვითარმედ:
„გაბრიილ ახარებს“, „ახარებს გაბრიილ“. არამედ რაჲამს ცვალები-
თა ქვედმდებარე იყოს თუ შესმენილად და შესმენილი — ქვედ-
მდებარედ, მაშინ სადამე აზიარნეს ორნი წინდადებანი ურთიერთ-
არს, ორთა მებრ საზღვართა, ესთა: „ყოველი სული უსხეულო არს“,
„არა ყოველი სული არს სხეულ“. აჰა, ესენი არიან ორნი წინდადე-
ბანი. და მოჰქონან ამათ ზიარებაჲ ორთა მებრ საზღვართა, ხოლო
„სული“ პირველსა შორის არს ქვედმდებარე, და მეორესა შორის —
შესმენილ. მაჲრა არა არიან მებრ მისვე ვითარებისა, რამეთუ ვი-
თარებაჲ ერთი წართქმითი არს და მეორე — უკუთქმითი. ვინაჲ
დაერთვის სიტყვასა შორის მუნ ნაღაშთა მისვე ვითარებისათა, რა-
მეთუ გარეშესმენაჲ კამს მისივე ვითარებისამებრ ესთა: „ყოვე-
ლი სული თვითმიმდრეკ“ და „არა ყოველი თვითმიმდრეკ სული“.
ამათ უკვე გვაჩვენეს თავი თვისი ორთავე გარეშესმენით თქმულთა,
[179] რამეთუ ესენი ორნივე არიან წართქმანი. ხოლო განმართლებით
დაერთვის, რამეთუ არს საკმარ გარეშესმენისა ზედ-შემოლებაჲ
სხვაჲ სილოგიზმითა პირველთადმი, სახეთა ოთხთა, რომელიცა
სილოგიზმითა შორის აღმოჩინების. გარეშესმენისა ზედშემოლები-
სამებრ გვართა თანა მართალთა იქმნების, რამეთუ რომელსაცა შო-
რის გარეშესმენისა ერთი არს მართალ და მეორე — ცრუ, არა მარ-
თალ და მტკიცე გარეშესმენა არს და არცა იქმნების ზედშემოლებაჲ
ვიდრემე, ვითარ კერძოსა მიერ უკუთქმაჲ არა მართალ ჰყოფს და
არცაღა ცრულ, ესთა: „რომელიმე კაცი არა არს ასტრონომოს“,
„რომელიმე ასტრონომოსი არა არს კაცი“. ვინაჲ სიცხადე მისცა

გასაგონოსა, რამეთუ არა სწორი არს გარეშესმენად ესე, არამედ რეცა ინდალმა გარეშესმენითისა, რამეთუ არა იქმნების ამის გამო ზედშემოღება გვართა.

ხოლო რომელნიცა არიან გარეშესმენისა მეტრ საზღვრისა, არიან სამ, ესე იგი: 1. თვისებითი, 2. მასვეობითი, 3. სხვაობითი. თვისებითი არს მეტრ ყოვლობითისა უკუთქმად იგი და გარემოიქცევის თვისადმი ესთა: „კაცი არავინ არს ბროლ“, „არავინ ბროლი არს კაც“. ცხად იქმნა წინაშე ფილოსოფოსთა გონებისა, ვითარმედ ესე უკუთქმად ყოვლობითისამებრ თვისადმი გარემოიქცა, რომელ არს ყოვლობითისამებრ უკუთქმისა. ხოლო ითქმის ესე თვისებითად გარეშესმენად, რამეთუ მისვე რაოდენობისა და ვითარებისამებრ ყოველსა რადვესა შორის, ვითარ რეცა არა რადსაგან დაყენებული გარე-მოიქცევის, ვითარცაღა თუ თვისებითად აქუნდა გარეშესმენად იგი. მასვეობითი, ესე იგი იგივეობითი, არს კერძოსამებრ წართქმა იგი, რომელიცა თვისებითისამებრ გარე-მოიქცეოდის თვისადმი: ესთა: „რომელიმე კაცი არს მშვინველ“, „რომელიმე მშვინველი არს კაც“. და ამას ვასწავებთ იგივეობითად გარეშესმენად, ვითარცა რაოდენობისა და ვითარებისამებრ. ხოლო იგივეობისამებრ იგივეობითნი — ესე მსგავს ყოვლობითისა არს უკვე წართქმად იგი. და ესე კერძობითისამებრ არს წართქმად.

[180]

სხვაობითი არს ყოვლობითისა და კერძობითისა გამო წართქმანი. და არა გარემოიქცევის ესე თვისადმი, ესთა: „ყოველი კაცია მშვინველი“, „რომელიმე მშვინველია კაცი“. გარნა ითქმ-ს ესე განწვალებითად გარეშესმენად, ვინათგან არა გარე-მოიქცევის თვისადმი. ხოლო არს სხვაობად რაოდენობისამებრ, რომლისაგანი ერთი არს ყოვლობითი და მეორე — კერძობითი. ხოლო თუშეცაღათუ ესეცა ყოველსა შორის გარე-მოიქცევის არარადსაგან დაყენებით, გარნა არა იგივეობისამებრ, არამედ მხოლოდ მისვე ვითარებისამებრ. ხოლო ამათ მიერ უღონოებითი არს, ვითარმედ საზღვარსა შინა გარეშესმენისასა ითქვა თანგანმართლებით და არა თანგანცრუებით.

[181].

ხოლო სამნი არიან გვარნი გარეშესმენისანი, რომელნიცა თანგანცრუებასა გვაჩვენებენ, ესთა: „არავინ კაცი მშვინველია“, „არავინ მშვინველი კაცია“, „რომელიმე კაცი ფინიკია“, „რომელიმე ფინიკი კაცია“. აჰა, სიცხადე მიეცა ამას, რამეთუ გვარნი ესე არა საზღვრისაგებრ გარეშესმენითისა არიან.

საქმარ არს აღჩენაჲ, ვითარმედ საკუთრად გარეშესმენისა საქირო, რათა განმართლებად და განცრუებად თან-იხილევბოდეს. ხოლო თუმცა სადამე ერთი მართლოოდეს და მეორე არ მართლოოდეს — ესე არა გარეშესმენაჲ. ითქვა, ვითარმედ საქმარებაჲ გარეშესმენისა ზედშემოლებისა შორის არს გვართასა, რამეთუ მუნ საქმარ სადამე არს განმართლებად და არა განცრუებად. მაშა, მუნ

[182] საზღ|ვარსა შორის ითქვა განმართლებად.

მერმეცა უღონობითი არს, რამეთუ ითქვა რა სამათვის გართა გარეშესმენისათა, ვითარმედ ყოველსა შორის დაუყენებელადო გარე-მოიქცევიან, მაგრა სიცხადესა აჩვენებენ, რამეთუ არა გარემოქცევაჲ აქუს მათ განმართლებით. საკუთრად გარეშესმენისა წინამეწყევდ არს ესე: „არავინ ქსული განჭრის დანას“, „არავინ დანაჲ განჭრის ქსულს“. აჰა, შემეცნებულ ესე გამგონეთა, ვითარმედ არა საკუთრად გარეშესმენა არს ესე, რამეთუ ორთავე შორის „განჭრაჲ“ არა შესმენილი. ესე არს ესე საკუთრად გარეშესმენაჲ: „არავინ ქსული განჭრის დანას“, „არავინ, რომელიცა განჭრის დანაჲ, ქსული არს“. ხოლო არცა ესენი არიან საკუთრად გარეშესმენისანი, არამედ წინააღმდგომნი არიან უკვე მართლიადისა გარეშესმენისანი, ესთა: „არავინ მოთხე მარგარიტსა შორის“, „არავინ მარგარიტი მოთხესა შორის“. ესთა უკვე ზედვაჲ გარეშესმენისა: „არავინ მოთხე მარგარიტსა შორის“, „არა რადვე, რომელიცა მარგარიტსა შორის არს, მოთხე არს“.

სხვანიცა ესთა ზედვანი გარეშესმენისანი, რომელთა არად საქირო იყო თითოეულთა დალექსვაჲ. იგივეობითისა გარეშესმენისა წინააღმდგომ ესე არს ესე: „რომელიმე წერს პატრუცაგსა“, „რომელიმე პატრუცაგი წერს კაცსა“. და ესე არა მართლიადი არს გარეშესმენაჲ, ვინათგან შორის ორთავე წერაჲ არს შესმენილი. ხოლო ესთა ჰეროვან გარეშესმენაჲ: „რომელიმე კაცი წერს პატრუცაგსა“ და „რომელიმე მწერალი, ანუ რომელი წერს, კაცი არს“. ხოლო წინააღმდგოსა ჰყოფენ ესენი: „რომელიმე მღვდელი არს საკურთხეველსა შინა“ და „რომელიმე საკურთხეველი მღვდელსა შინა“. ესე არა მართლიად გარეშესმენაჲ არს. ესთა უკვე აქუს წეს გარეშესმენისა, ესთა: „რომელიმე მღვდელი საკურთხეველსა შორის“ და „რომელიმე, რომელიცა არს საკურთხეველსა, მღვდელი არს“ და ესთა სხვანი.

[183]

განწვალებითისა გარეშესმენისა წინააღმდგოდ ესე: „ყოველი რიტორ ყრმა იყო“ და „რომელიმე ყრმაჲ რიტორ იყო“. ხოლო

მართლიადი გარეშესმენაჲ ამისი ესთა: „ყოველი რიტორი ყრმა იყო“ და „რომელიმე რიტორი, ყრმად მყოფი პირველ, რიტორი არს“. ესთა უკვე არს და მეგრ ამისა განწვალებითისა გარეშესმენისა და წინააღმდეგოსა მართლიადისა აღმოჩენაჲ, ძნიად მოქცევადნი გარე-მოაქციე. ნადაშნი უკვე მოუქცეველთანი მეგრ ყოველობისა წართქმანი და კერძოსებრნი უკუთქმანი, ესენი ვითარ: „ყოველი კაცი მშენიველი არს“, „ყოველი მშენიველი კაცი არს“, ერთი სადამე ჰეშმარიტ და მეორე — ცრუ, ვინაჲ არ სადამე გარეშესმენად ვიცით ესე. საკუთრად გარეშესმენაჲ იგი არს, ვითა თქვა არისტოტელიმან თანასწორთაგან გარეშესმენად, ესე იგი: „ყოველი კაცი მოცინარ“ და „ყოველი მოცინარი კაც“. არს უკვე მეგრ კერძოჲსა უკუთქმაჲ ესთა: „რომელიმე არა არს მკურნალ“, „რომელიმე მკურნალი არა არს კაც“. ერთი უკვე ჰეშმარიტ და ერთი — ცრუ. მაშა, გარეშესმენაჲ არა არს ესე, არამედ წინააღმდეგოდ ხედულ. „რომელიმე კაცი არს ნერგ“, „არავინ ნერგი არს კაცი“. საუწყე ესე გარდამოცემულისამებრ, ვითარ საკუთრად გარეშესმენასა შინა გარდაიდვა. რამეთუ ყოველობითისა მსგავს უკუთქმაჲ არს და კერძოსამებრ — წართქმაჲ: „რომელიმე კაცი არს ნერგ“, „არავინ ნერგი არს კაც“.

[184]

რომელნი არიან გვაროვანნი წინდადებანი. თავი 79

ფილოსოფოსთა უკვე პერიპატოსთა | სამნი თქვეს გვაროვანნი, ესე იგი: 1. საჭიროჲ, 2. შესაძლოჲ, 3. შეუძლოჲ. ესენი უკვე ოდესმე შესმენილ რა იყვნენ-ღათუ, მაშინ ითქმიან წინდადებანი ესე გვაროვანნი. ხოლო თქვას თუ ვინ: „კაცი არს თეთრ“, გვაჩვენა მან გარჩევით არარაჲ, რამეთუ არავისდა შესაძლო მიგებად: ჰე, არსო, ანუ არა არსო. რამეთუ ესე არსებოვანი არს წინდადებმაჲ. ხოლო რაჟამს თქვას თუ ვინ: „საჭირო კაცისა თეთრ ყოფად“, მაშინ ყოველთა მივსცეთ განჩევითი სიტყვაჲ, ვითარმედ „არა არსო“, არა. ხოლო თუ სადამე გვითხრას ჩვენ: „შესაძლო არსო კაცისა თეთრ ყოფად“, ვეტყვით კვალად განჩევით: „ჰე, არსო“. მერმელა თუ იტყოდეს, ვითარმედ: „შეუძლოდ არსო კაცისად თეთრ ყოფაჲ“, ვეტყვით: „არა“. აჰა, აღჩენილ, თუ ვითარ ითქმიან გვაროვანად.

[185]

ხოლო უყოვლოჲ და არავინაჲ და ესთა სხვანი ნიშანნი აწარმოებენ განჩევულსა გვარსა ჰეშმარიტისა და ცრუჲსასა. ნუუმე

ჰგონო შენ განურჩეველი იგი წართქმამ განრჩეულისა უკუთქმად, ხოლო ვითარ ესენი — შესაძლო ყოფად, შეუძლო ყოფად — არა განრემზომ ურთიერთარს, რამეთუ თანად ჰქმმარიტ არიან, ვითარ: შესაძლო ვარდისა მეწამულ ყოფამ, | შესაძლო ვარდისა მეწამულ არყოფამ.

თან განვლის ესე სიბრძნის მეტრფევეთა გასაგონოსა, რამეთუ რომელთაცა თანად ჰქმმარიტ ყონ, ანუ ცრუ ყონ ერთმანერთი, არა განრემზომ ურთიერთარს, არა, ვითარ-იგი გვეთქვამს ნიადაგ: ესენი არიან უკვე წართქმანი. რამეთუ შესაძლო ყოფამ არს განრჩეული წართქმამ, ხოლო შესაძლო არყოფამ არს წართქმამ განურჩეველი.

აწ უკვე სათვითოსამებრ გვარისა იქმნებიან ოთხნი წინდადეგანი: ორნი უკვე განრჩეულ და ორნი განურჩეველ, ვითარ: საჭირო ყოფად, არ საჭირო ყოფად, საჭირო არ ყოფად, არა საჭირო არ ყოფად; შესაძლო ყოფად, არ შესაძლო ყოფად, შესაძლო არ ყოფად, არა შესაძლო ყოფად; შეუძლო ყოფად, არ შეუძლო ყოფად, შეუძლო არ ყოფად, არა შეუძლო არ ყოფად და ყოველნი ესე წინდადეგანი არიან 12.

ხოლო თუმცა სადამე ემდევრებიან ესენი ურთიერთარს, მაგრა გამს ესთა შედრგინებამ, რათა ძალ-ედვას გარეშესმენად. საჭირო-სად შედრგინებულ შესაძლომ, მაგრა არა გარე-მოიქცევის. ხოლო უკეთეს ვისდადმე საჭირო არს ყოფად, შესაძლოცა არს ყოფად. გაქრნა არავისდა, რომლისა შესაძლო იყოს ყოფად, რათა საჭირო იქმნეს ყოფად, ვითარ: კაცისად საჭირო მოციინარ ყოფამ და შესაძლოცა; გარნა კაცისა შესაძლო ყოფად, რათა იყოს თეთრ, და არა საჭირო მისდა თეთრ-ყოფამ. არა ბარბაროს მეტყველ ვიქმნეთ, თუ დავაწესნეთმცა მართლიადნი შესადრგინონი, რომელთა ძალუტ ყოველსა შორის გარეშესმენად: 1. საჭირო ყოფად, არ შესაძლო არყოფად, შეუძლო არყოფად; 2. არ საჭირო არყოფად, შესაძლო არყოფად, არ შეუძლო არყოფად; 3. საჭირო არყოფად, არ შესაძლო ყოფად, შეუძლო არყოფად; 4. არა საჭირო არყოფად, შესაძლო ყოფად, არა შესაძლო ყოფად. საუწყს არს ესე, საჭირო ყოფამ, შეუძლებსადმი საწინააღმდეგოსა განრემზომი, თანად ცრუ ჰყოფენ ურთიერთთა. ხოლო შესაძლო-ყოფამ შეუძლოსადმი ქვეწინააღმდეგომითი არს, ანუ განურჩეველი, რამეთუ თანად განამართლებენ ურთიერთარს. და საჭირო ყოფამ და შესაძლო არყოფამ;

ხოლო შეუძლო-ყოფად და შესაძლო-ყოფად არიან განრემზომ წინა-
აღმდგონი. ესენი ურთიერთარს არცაღა მართალ ჰყოფენ და არ-
ცა — ცრუ. ხოლო ზემოთქმულნი იგი სახელნი და ზმნანი იცვალ- [188]
ნენ-ლათუ, მასვე ნიშნენ, რამეთუ იგივე არს თქმად: შესაძლო
ყოფად, ყოფა შესაძლოდ. ამას უკვე აღვსნასა შინა „ყოფად“ ანუ
სხევანი ზმნანი ქვედმდებარე იქმნებიან, ხოლო „საქაროდ“, „შე-
საძლოდ“ და „შეუძლოდ“ შესმენილ იქმნებიან.

რომელნი არიან ქვედადებთნი წინდადებანი. თავი 80

არისტოტელისა სკოლართა ასწავეს ქვედადებთნი წინდადე-
ბანი ოთხ-გვარად, ესე იგი: 1. უკეთუობითი; 2. შეწმასნვითი,
3. განწვალვითი, 4. ვითარებითი. უკეთუობაჲ თუ საღამე იყოსმცა
დაკავშირებულ, განიწვალვების ოთხად: 1. იქმნების უკვე ორთა ვი-
დრემე წართქმთა შესმენითაგან, ესთა: „უკეთუ ორძილი მო-
ზარდია, მაშასადამე, ცხოველია“, 2. იქმნების უკვე ორთა ვიდრემე
უკუთქმთაგან, ესთა: „უკეთუ ორძილი არ მოზარდია, მაშასადამე,
არ ცხოველია“. 3. იქმნების წართქმისაგან და უკუთქმისა, ესთა:
„უკეთუ ორძილი არს უმოზარდრა, მაშასადამე, არ ცხოველია“; [189]
4. იქმნების უკუთქმისაგან და წართქმისა, ესთა: „უკეთუ ორძილი
არმოზარდია, მაშასადამე, ცხოველია“. შეწმასნვითი შეწმასნვითისა
იქმნების კავშირისაგან, ესთა: „კაცი სიტყვიერი არს“ და „ლომი
უსიტყვი არს“. განწვალვითი იქმნების კავშირისაგან განწვალვითი-
თისა ესთა: „არსება არს, ანუ ზედშესრული“; ხოლო ვითარებითი
იქმნების ზედშემოღებით ესფერ: „რომელი ღრამმატიკოსობს“,
„ქელოვნობს“.

აწ საღამე ექმაჲ ესე უკეთუობითსა ჰეშმარიტ-ყოფასა. ხოლო
ოუბცალათუ წინამსრბოლი და რომელი სდევს, იყუნეს-ლათუ ცრუ-
ნი, ესგვარ: „უკეთუ ესთერ საფირონი არს, მაშასადამე, ქვაჲ არს“.
ესე წინამსრბოლ არს: „უკეთუ ესთერ საფირონი არს“ და ესე ცრუ
არს. ეგ სახედვე, რომელიცა სდევს წინამსრბოლსა მას, იგიცა ცრუ
არს, მეტყველი ესთა: „ესთერი ქვა არს“. ზედავა, რამეთუ ესე მიმ-
დევნი წინამსრბოლისა არა თუ ცრუ არს, არამედ ჰეშმარიტ, ესთა:
„უკეთუ საფირონი არს, მაშა ქვა არს“.

შენ უკვე, რომელი სწადნოდ სწადსა, ესე იგი სიტყვითსა
ველოვნებასა, ღვთივდიდებულო მეფეო და ძმაო, ვფიცავ თავსა

[190] შენსა, რომელსა შორის ქრისტე დამკვიდრებულ არს, ვითარმედ ორნი ესე ნაწილნი კატი|ლორიათანი — 2 და 3 — არა იყუნეს დროთა ჩვენთა ქართულთა ზედა კმათა და სხვათა ენათაგან გარდამოღებაჲ ვაქმნიე ვისმე და დავლექსენ მასვე კანონსა ზედა ლექსშეცვალობით და სხვა-გავგვარებულად, მაგრა იგივე კანონი ვიპყრენ არისტოტელი-საგანთა მესკოლეთაგანი.

რამ არს სილოგიზმომ, ესე იგი შეკრებაჲ სიტყვათა.
ესე ნაწილი 3 კატილორიათა. თავი 81

[191] თქვეს უკვე სკოლართა პერიპატოსათა: წინჩამოსაგდებელი არ-სო სიტყვაჲ, რომლითამე საცნოთა იცნობდეს რამ უცნომ, ესგვარ: „ყოველი ორძილი ზრდილებითია, ყოველი ზრდილებითი ცხოვე-ლია. მაშასადამე, ყოველი ორძილი ცხოველია“. ხედავა, რამეთუ „ზრდილებითი“ „ცხოველ“ თურეა. ხოლო ვინმე იყოსმცა მეცნი ლოდიკასი, რომელმან არა იცოდის ესე, ვითარმედ „ყოველი ზრდი-ლებითი ცხოველია“. იუფფერვე ესეცა გაგონებულ, რამეთუ რაჲვეცა ორძის, იზრდების, მაგრა ორძილისა ცხოველ-ყოფაჲ უცნოდ ეოც-ნების ვიეთთა. ხოლო ესე წინჩამოსაგდებითა იმეცნების, რამეთუ რაჲვეცა | იზრდების, ცხოველია. მაშა, ორძილი სადამე ცხოველია, რამეთუ რომელიცა ორძის, იზრდების იგი. ვთქვათ უკვე მიზეზნი წინჩამოსაგდებელისანი, რომელ ესე არიან: 1. შემოქმედებითი, 2. ნაკვეთობითი, რომელ არს გვარობითი⁶⁶, 3. ნივთებითი, 4. დასა-სრულებითი. შემოქმედებითი, ვითარ კარისა რაჲვესა შემოქმედ ხურომ. ნაკვეთობითი, ვითარ კარი ნივთებითისა ძელისა. დასასრუ-ლებითი, ვითა სიმტკიცე კარისა, რამეთუ სიმტკიცისათვის შეიმზა-და კარი.

ესე არიან ოთხნი მიზეზნი წინჩამოსაგდებელისანი. მაგრა პროკ-ლე ხუთად თქვნა მიზეზნი საქმეთანი, რომელთა შორის მიზეზად ითქუმის პროკლეს მიერ ორდანოცა ხუროვნობითი.

აწ უკვე შემოქმედებითი მიზეზი წინჩამოსაგდებელთა არს სიტყვი-ერისადმი, რომელ არს კაცი და წინჩამოსაგდებელითა იმეცნებს. და ანგელოზისა შორის არა სადა პოვნილ არს ესე, არა. რამეთუ მსწრაფლ მიძლე არიან გულისცემის-საყოფელთა სამეცნოთა თვისთა

66 ამიზე: ამისთვის მასვე და ერთსა დაპნიშვნენ ნაკვეთი და გვარი ვითამე. რამეთუ რაჲცა ნივთისა რაჲსაგანვე დანაკვეთებულ, გავგვარებულ.

და არა წინამოსაგდებელთა მიერ და არცაღა უსიტყუთა შორის არს ესე, რამეთუ არა არს მათ შორის ძალი გულისგმნის-საყოფელთა და გაგონებაჲ, არამედ მხოლოდ გრძნობაჲ ოდენ.

დასასრულებითი მიზეზი არს გვარი | წინამოსაგდებელისა. და [192] ნივთებითი მიზეზი არს დატყუბილ, ესე იგი, ახლო და შორ. ახლო უკვე წინდადებანი და შორ — მარტივმიღებანი. ხოლო დასასრულებითი — პოვნად უოცნოთა, რომლისათვის წინამოგდებაჲ იგი შემოვიდა შორის. და საცნოთა ცნობოდეს უცნოჲ, რამეთუ ყოველნი მყონი ეზარებთან ურთიერთილთამ:

სილოგიზმოჲ ითქმის წინამოსაგდებელად და შესახებელად, რამეთუ სიტყვანი გამომაჩინებლობითნი შეიწმასენიან, რათა მეცნ ყონ უცნოთა. ითქმის უკვე სილოგიზმოდ, რამეთუ ვითარ დიოლოლტიკოსი მოიღებს და წინამოაუღებს წინააღმდგოდ წინააღმდგოსა, ხოლო ესფერ უკუეა წინამოსაგდებელი. ხოლო შემოქმედებითი შეხებაჲ არს, რათა აწარმოოს რაჲვე, ანუ მოსპოს ცხოვრებისაგან, და ითქმის უკვე შეხებად.

წინამოსაგდებელი განიყოფვის ორსახედ: მეზრ ნივთისა და მეზრ ნაკვეთისა. მეზრ ნივთისა, რომელიცა წინდადებათაებრ იქმნების და მეზრ ნაკვეთისა ანუ გვარისა, რომელიცა წინამოსაგდებლისაებრ იქმნების.

აწ უკვე საცმარ უკვე არს თქმად, თუ ვითარი აქუს განწვალე-ბაჲ მეზრ ნაკვეთისა, ესე იგი გვარისა, ქმნილსა, რამეთუ ნაკვეთი უკეთეს ნივთისა. და მერმელა განყოფიად მეზრ ნივთისად გაგონებულისა. ხოლო გვარისაებრისა წინამოსაგდებელისა ხატნი ოთხნი უკვე, ესე იგი: 1. სილოგიზმოჲ, 2. ზედშემოყუანაჲ, 3. მოკლსიტყვაობაჲ: 4. აღმოჩენაჲ, ესე იგი მაგალითთ შემოღებაჲ. [193]

რამ არს ხატი პირველი სილოგიზმომსა. თავი 82

თქვა არისტოტელი: სილოგიზმო არსო, რომლისა შორის მოწონებითა შეგულისსიტყვათაგან რომელთამე წარმოობს სხვაჲ რაჲვე შეგულისსიტყვაჲ, ესე იგი გამომაჩინებლობაჲ, რომელიცა საჭიროდ ემდევრების⁶⁷ პირველთა შეგულისსიტყვათა, ესთა: ყო-

67 ანიაზე: ვესმნეს რაჲ, გამგონეო, მდევრობაჲ, ნუჲმე ჰგონო შენ მე-მლტოვარისა მდევრობაჲ. მდევრობასა ვიტყვიო, რომელ შეუღგებოდის და მს-დევს რაჲვე რამსავე.

ველი კაცი მშვინველია, ყოველი მშვინველი არსებაა, მაშასადამე, ყოველი კაცი არსებაა. მიხედვით, სწავლისშინაო ამას, რამეთუ ესე რაჟვე სიტყვაა სილოგიზმოსა, რომლისა შორის არიან უკვე რომელნიმე შეგულისსიტყვანი, რომელთა პირველთა წოდებულ წინადადებანი, რამეთუ წინდადებულად უკანასა შეგულისსიტყვისა, ხოლო უკანასა წოდებულ კიდურმდგომობაჲ, რამეთუ განსჯულ და კიდევანა პირველთა შეგულისსიტყვათა. აწითსა უკვე საზღვარსა

[194]

შორის სილოგიზმოსსა სიტყვა ნათესავად, რომლისა შორის შეგულისსიტყვანი ზოგნიმე არიან უკვე ერთისაგან შეგულისსიტყვისა, რამეთუ ერთსა შორის შეგულისსიტყვისა არ არიან შეგულისსიტყვანი მრავალ, რამეთუ თითოეულისა არს ერთი გამომაჩინებელი, ესე იგი შეგულისსიტყვაჲ. და განეყოფის ესე სხვაგვართა წინამოსაგდებელისათა, რომელ უსრულნი სილოგიზმონი, რომელნიცა თვისსა ადვილსა სულისა შეწევნითა გარდაიდვას.

ითქვა რაჲ, ვითარმედ მოწონებითნი წინდადებანი, მაგრა თუ არ იყვნესმცა მოწონებითნი წინდადებანი, რომლისამი მეძიებელი ჰყოფს წინამოგდებასა, არ ძალ-უტყს მეძიებელსა, ესე იგი წინამომგდებსა, რათა კიდურმდგომობაჲ ზედ შემოიღოსმცა. ხოლო სხვაჲ იგი რაჟვე შეგულისსიტყვაჲ, რომელი წარმოობს წინდადებათაგან, ესე არს ესე: კიდურმდგომობაჲ, რომელი წინდადებულთაგან წარმოობს შეგულისსიტყვათა და არა ერთი ამათ გამოჲ უკვე არსა, ესთა: „შენ კაცი ხარ“. გამოჩნდა უკვე, ვითარმედ კაცი ხარ. მაშა, შენ სადმე კაცი ხარ, გარნა ესე არა სილოგიზმოა, რამეთუ კიდურმდგომობაჲ ერთთა წინდადებათაგანი. არიან ვიდრემე სილოგიზმოსა შინა წინდადებანი დამამტკიც და კიდურმდგომ

[195]

ობაჲ — დამტკიცებულ. ხოლო დამამტკიც და დამტკიცებული არა მასვე და იგივესა გვაჩვენებენ თავთა თვისთა. ხოლო თუ ესე ესეფერ, მაშა, წინდადებათაგან სხვაჲ რაჟვე ყოფად კიდურმდგომობაჲ ჯერ-არს ცნობად, რამეთუ იგივე-ყოფითა არა დამტკიცნების. ხოლო ითქვა რაჲ, ვითარმედ საჭიროდ ემდევრების წინდადებითა, ამით მიზეზით ითქვა უკვე, რამეთუ ესგვარ იმეცნების. უკეთუ ყოველი კაცი მშვინველია და ყოველი მშვინველი არსებაა, მაშასადამე, ყოველი კაცი არსებაა. რომლისაცა ვიდრემე გონებაჲ გადიონოვსებულ სატრფოსადმი სიბრძნისა, შეეტრფის იგი სიმაღლესა გასაგონთასა, რათა გამგონე იქმნეს მალალთა და აღრთა და

ესფერმან იცის, ვითა ზედმიწევნულმან ყოველთამან, რამეთუ სილოგიზმოსა შორის სამთა აქუს ყოფად, სამთა საზღვართაგან შემტყიცებულთა შეგულისსიტყვათა, ესთა: ყოველი კაცი მშვინველია, ყოველი მშვინველი არსებაა, მაშასადამე, ყოველი კაცი არსებაა. ამას შინა ხედვად სამთა საზღვართა, ესე იგი: კაცი მშვინველი და არსებაა, გარნა კაცი არს უკვე უმცროს საზღვარ და უდიდეს — არსებაა. ხოლო საშუალი, რომელ არს კაცისა და არსებობა, ვითა ჰქმნა სქიმაჲ სამლომან ჩემ გონებაჲ მზემან იქონე სამლოდ ფილოსოფოსმან აღცხანასა შინა „ლეთისმეტყველებითთა კავშირთასა“, რამეთუ შორის პროვლიმასა და სიმპერაზმასა დადვა კატასკევი, რომლითა უნათესავესსა მოჰკიდნა დასასრული სახე და დამტყიცებულ ჰყო საშუალითა მით კატასკევითა, ვითარმედ „კაცი სადამე არსებაა“. ესე სილოგიზმოჲ უკვე, რამეთუ მშვინველმან ქვემდებარეობითა და შესმენილებითა ორნი უკვე საზღვარნი აზიარნა უარდაციდებით კიდურმდგმოობისადმი. ხოლო კიდურმდგმოობაჲ არასადა შევალს სამთა საზღვართაგან და ორჯერ მიღებათა წარმოდგებიან სამნი იგი შეგულისსიტყვანი.

[196]

ხოლო საზღვარი იგი საშუალობითი უდიდესისადმი საზღვრისა თანწმასნილი გაიგონების დიდ წინდადებად და უმცროსისა საზღვრისა თანწმასნილად. გარნა შეწმასნად უდიდეს და უმცროს საზღვართა გაიგონების კიდურმდგმოობად, ხოლო სილოგიზმოთა მებრ წინადადებისა უდიდეს და უმცროსნი წინდადებანი, პირველი და შემდგომი დაიწყობიან შეცვლით ერთმანერთისა, რომლისა ხედვად ესთა: ყოველი მშვინველი არსებაა, ყოველი კაცი მშვინველია, მაშა, ყოველი კაცი არსებაა. | ყოველი კაცი მშვინველია, ყოველი მშვინველი არსებაა, მაშა, ყოველი კაცი არსებაა. იხილე მეჰქვრეტმან, რამეთუ სილოგიზმონი წინდადებისამებრ არიან ორნი, ხოლო საზღვრისამებრ ერთი სილოგიზმოა. პირველსა შორის უკვე უდიდესი წინდადებანი არს წინადადებულ და მეორესა შორის უმცროსი არს წინადადებულ. ესფერნი ვიდრემე წინადადებანი უდიდეს და უმცროსნი, ანუ უმცროს და უდიდეს არა ითქმიან. გარნა იგია უდიდესი წინადადებაჲ და უმცროსი, ვითარ დაიდვა ფილოსოფოსთაგან სილოგიზმოსა შორის. გაგონებულა უკვე ესე, რამეთუ მრავალჯერ სამთა საზღვართა და ორთა წინდადებათა მა-

[197]

66 ამაზე: პეტრიწსა, ფილოსოფოსსა იოანეს იტყვის, ქართველთა მზესა.

ტებულნი საზღვარნი და წინდადებანი დაიწყობიან სილოგიზმოსა შორის, რომლისა ხედვამ ესგვარ: პეტრე კაცია, ყოველი კაცი მშვინველია. ხოლო ყოველი მშვინველი არსებაა, მაშასადამე, პეტრე არსებაა. ესე ესფერ, ვითა გაიგონე. მაგრა კანუნისამებრ სრულისა არა ესფერ, რამეთუ სილოგიზმოსა შორის საცმარ არს სამთა საზღვართა ყოფამ და ორთა წინდადებათა და ერთისა რაჲვესა კიდურმდგმოობისა.

[198]

ისმინე, გამგონეო, რამეთუ შუამ იგი საზღვარი სამისამებრ | გვარისა შეიწმასნების ორთა წინდადებათა შორის, ვინა არიან ვიდრემე. სამნი უკვე ნაკვეთნი სილოგიზმოსანი: 1. პირველი ნაკვეთია, რომლისა შორის შუამ საზღვარი გაქვემდებარდების უღიდესსა შორის წინჩამოსაგდებელსა და შესმენილ იქმნების უმცირესსა შორის, რომლისა ხედვამ ესთა: ყოველი მშვინველი არსებაა, ყოველი კაცი მშვინველია, მაშასადამე, ყოველი კაცი არსებაა. 2. მეორე ნაკვეთია, რომლისა შორის შუამ საზღვარი ორთა შორის წინჩამოსაგდებელთა გამესმენითდების. ხოლო ხედვამ ამისი ესთა: არავინ კაცი უსხეულოა, ყოველი ანგელოსი უსხეულოა, მაშასადამე, არავინ ანგელოსი კაცია. 3. მესამე ნაკვეთია, რომლისა შორის შუამ საზღვარი ორთა წინ ჩამოსაგდებელთა შორის გაქვემდებარდების, რომლისა ხედვამ ესთა: ყოველი მალრანი მშვინველი, ყოველი მალრანი შავია, მაშასადამე, რომელიმე შავი მშვინველია. ამათ უკვე თითოეულსა ნაკვეთსა აქუს ვიდრემე მრავალგვარობამ და არიან ვითა ყოვლობითნი და ვითა კერძობითნი, ვითა წართქმანი და ვითა უკუთქმანი, რამეთუ სხვა და სხვა გვარნი წარმოიბენ. რომელ არიან რიცხვთა ვიდრემე 19.

[199]

ვინა ეპოების მეძიებელთა და ტრფიალთა სწავლ | ისათა თქმულნი გვართა რიცხვი 19. და თვითთმ თქმული აჩვენებს გვარსა თვისსა, ვითარ ესე აქა აღმოიჩინების.

1. ბარ-ბარა, 2. კე-ლა-რენტ. 3. და-ნი-ილ, 4. ფე-ლი-ქტო. 5. ბა-რა-გილ, 6. კტე-პან-სტე, 7. და-ლი-თიმ, 8. ფაგ-ტეს-ცოდ, 9. ფმი-სელ-ცოდ, 10. კელტ-სა-პერ, 11. კალ-პეს-ნცეს. 12. ფლეს-ი-პოტ, 13. ბაპ-შოშ-ლო, 14. დოლ-გა-ტი, 15. ფელ-ლატ-გო, 16. დიმ-თა-ციმ, 17. და-მი-კირ, 18. ბო-შა-თორ, 19. ფე-რიმ-ზო.

ამათ ვიდრემე მიხვდავთ მჩვენებელად ჩვენდა გვართა წინდადებათა და კიდურმდგმოობათასა, რამეთუ პირველი თქმამ გვაჩვენებს პირველსა გვარსა. და მეორე და მესამე და ესთა, ვითა

კანუნსა ამას აქუს წეს ეგფერ, ვიდრე უკანამსამდე. ხოლო ყოველ-
სა მეთქვეობასა შორის არიან ოთხნი კმოვანნი ასონი: ანი, ენი,
ინი, ონი. საკმარა ფრიად მეტრფევეთა სწავლისათა, რამეთუ —
ანი — წართქმასა მიეცემის, და — ენი — უკუთქმასა. და ესენი
ყოვლობითისა წართქმელ და უკუთქმელ არიან. ეგფერვე — ინა —
წართქმაჲ და — ონი | — უკუთქმაჲ, და ესენი კერძობითისანი [200]
არიან. ხოლო თვიჯონი მეთქვეობანი არიან სამმარცვლენი. პირ-
ველი მარცვალი ნიშნავს უდიდესსა წინდადებასა და მეორე მარ-
ცვალი — უმცროსსა წინდადებასა, ხოლო მესამე — კიდურმდგმო-
ობასა. და შენ განიცდი ამათ გვართა პირისპირ დაწესებულალ. ხო-
ლო გვარი ესე წარწერეს ესთა: გვარი არს შეწყობაჲ ორთა განწვა-
ლებულთა წინამოსაგდებულთა და ზიარებულთა მებრ ერთისა სა-
ზღვრისა. ხოლო ხედვაჲ ამისი ესთა: ყოველი მშვინველი არსება
არს, ყოველი კაცი მშვინველი არს. აქა განწვალებულთა ურთიერთ-
არს წინდადებათა ვხედავთ შეწყობილ და ზიარ ერთმანერთისა
ერთისა გამო საზღვრისა, რომელ არს „მშვინველი“.

რამ არს ნაკვეთი. 1

პირველი ვიდრემე ნაკვეთი იგია, რომლისა შორის ერთი და
იგივე წინდადებაჲ გაქვემდებარდეს და მეორისა შორის შესმე-
ნილ იქმნას, რომელსა აქუს გვარი 9, რომელნიცა დაწყობად არიან
აქა.

1. ბარ ყოველი მშვინველი არსებაა
ბა ყოველი კაცი მშვინველია
რა მაშასადამე, ყოველი კაცი არსებაა.

2. კე არავინ მშვინველი ოქროა
ლა ყოველი კაცი მშვინველია
რუნტ მაშასადამე, არავინ კაცი ოქროა. [201]

3. და ყოველი მშვინველი არსებაა
ნი რომელიმე კაცი მშვინველია
ილ მაშა, რომელიმე კაცი არსებაა

4. ფე არავინ მშვინველი ოქროა
ლი რომელიმე არსება მშვინველია
ქტო მაშასადამე, რომელიმე არსებაჲ არ ოქროა.

შესრულდა გვარი პირველისა ნაკვეთისა რიცხვით 4, რომელს მართლიად ამდგობენ კიდურთა.

- 5. ბა ყოველი მშვინველი არსებაჲ
რა ყოველი კაცი მშვინველია
გილ მაშასადამე, რომელიმე არსებაჲ კაცი.
- 6. კტე არავინ მშვინველია ოქრო⁶⁹
პან ყოველი კაცია მშვინველი
სტე მაშასადამე, არავინ ოქროა კაცი.
- 7. და ყოველი მშვინველი არსებაჲ
ლი რომელიმე კაცი მშვინველია
თიმ მაშასადამე, რომელიმე არსებაჲ კაცი.
- 8. ფაგ ყოველი მშვინველი არსებაჲ
ტეს არავინ ოქროა მშვინველი
ცოლ მაშასადამე, რომელიმე არსებაჲ არ ოქროა.
- [202] | 9. ფმი რომელიმე მშვინველი არსებაჲ
სულ არავინ ოქროა მშვინველი
ცოლ მაშასადამე, რომელიმე არსებაჲ არ ოქროა.

საუწყესე სავმარ, რამეთუ ხუთნი ესე: ბა-რა-გილ, კტე-პან-სტე, და-ლი-თიმ, ფაგ-ტეს-ცოლ, ფმი-სელ-ცოლ — პირშეუპყრობელ და არა სწორებით ითქვიან, რამეთუ არა მართლიად ამდგობენ კიდურთა. ხოლო კიდურმდგომობათა ამათ შორის უდიდესი საზღვარი ქვედმდებარედ არს, რომლისა ხედვაჲ ესგვარ: ყოველი მშვინველი არსებაჲ, ყოველი კაცი მშვინველია, მაშასადამე, რომელიმე არსებაჲ კაცი. იხილე მეჭვრეტმან, რამეთუ არსებაჲ, რომელი უდიდესსა წინდადებასა შორის არს შესმენილად, აქა კიდურმდგომობასა შორის არს ქვედმდებარედ, ხოლო გვარი არს ესე — ბა-რა-გილ, და ესფერვე არს ხედვაჲ სხვათაცა. მაგრა პირველნი ოთხნი გვარნი, რომელ არიან: ბა-რა-რა, კე-ლა-რენტ, და-ნი-ილ, ფე-ლი-ქტო — არიან მართლიად და სწორად დამადგონი კიდურთანი. ხოლო კიდურმდგომობათა შორის უდიდესი საზღვარი მათი არა ქვედმდებარეა, არამედ შესმენილ.

⁶⁹ ხელნაწერშია: ოქროა.

რამ არს ნაკვეთი. 2

მეორე ვიდრემე ნაკვეთი იგია, რომელი მათვე ორთა წინ- [203]
დადებათა შორის შესიბინებოდეს. აქუს უკვე ამას მეორესა ნაკვეთ-
სა გვარნი ოთხნი, რომელნი დაწყობად არიან აქა:

10. კელტ არავინ ოქროა მშვინველი
სა ყოველი კაცი მშვინველია
პერ მაშასაღამე, არავინ კაცია ოქრო
11. კალ ყოველი კაცია მშვინველი
პეს არავინ ოქროა მშვინველი
ნეტს მაშასაღამე, არავინ ოქროა კაცი.
12. ფლეს არავინ ოქროა მშვინველი
ი რომელიმე კაცი მშვინველია
პოტ მაშასაღამე, რომელიმე კაცი არ ოქროა
13. ბაპ ყოველი კაცი მშვინველია
შოშ რომელიმე ოქროა არ მშვინველია
ლო მაშასაღამე, რომელიმე ოქრო არ კაცია

რამ არს ნაკვეთი. 3

მესამე უკვე ნაკვეთი იგია, რომელი მათვე ორთა წინდადებ-
თა შორის გაქვედმდებარდებრს. ხოლო აქუს ამას გვარნი 6, რ-
მელნი განწყობად არიან აქა:

14. დოლ რომელიმე კაცი არსებაა
გა ყოველი კაცი მშვინველია
ტი მაშასაღამე, რომელიმე მშვინველი არსებაა
15. ფიდ არავინ კაცი ოქროა
ლა ყოველი კაცი მშვინველია
ტვო მაშასაღამე, რომელიმე მშვინველი არ ოქროა
16. დიმ რომელიმე კაცი არსებაა
თა ყოველი კაცი მშვინველია
ციმ მაშასაღამე, რომელიმე მშვინველი არსებაა

[204]

17. და ყოველი კაცი არსებობს
მი რომელიმე კაცი მშენებელია
კირ მამასადამე, რომელიმე მშენებელი არსებობს

18. ბო რომელიმე კაცი არ ოქროსა
შა ყოველი კაცი მშენებელია
თორ მამასადამე, რომელიმე მშენებელი არ ოქროსა.

19. ფე არავინ კაცი ოქროსა
რიმ რომელიმე კაცი მშენებელია
ზო მამასადამე, რომელიმე მშენებელი არ ოქროსა.

[205] საუწყეს ესე, რამეთუ საცნობა, ვითარმედ გვარნი პირველისა ნაკვეთისანი მართლიად ამდგომებენ კიდურთა, რომელ არიან: 1. ბარ-ბა-რა, 2. კე-ლა-რენტ, 3. და-ნი-ილ, 4. ფე-ლი-ქტე. ესენი არიან მაწარმოებელ და წყარო სხვათა გვართა, რამეთუ სხვანი იგი ყოველნი ამათ ზედა მოსაღებელ არიან. ხოლო რომელიმე გვარი რომლისამე მიერთი ოთხთაგან გვართა ზედმოსაღებ არს. ხოლო აჩვენებენ ამას წინდადებულნი ასონი, რამეთუ ყოველსა შორის მეთქვეობასა ოთხნი ვიდრემე უქმონი | ასონი არიან წინდადებულ. და არიან ესენი: ბან, კან, დონ, ფა. რაჟამს უკვე მეთქვეობასა „ბანი“ არს წინდადებულ, გვარი ესე ზედ-შემოიღებოს პირველისადმი გვარისა, რომელ არს ბარ-ბა-რა; ხოლო რომელიცა იყოს თუ „კანი“, ესე ზედ-შემოიღებოს მეორისადმი გვარისა, რომელ არს კე-ლა-რენტ. და რომელიცა იყოს თუ „დონი“, ესე ზედ-მოიღების მესამისადმი გვარისა, რომელ არს და-ნი-ილ. და რომელიცა იყოს თუ „ფა“, ესე ზედ-მოიღების მეოთხისადმი გვარისა, რომელ არს ფე-ლი-ქტე. ხოლო თუ ვითა ზედ-შემოიღებიან ხუთნი ესე ასონი: სანი, მანი, განი, ცანი, შინი და არიან შორის მეთქვეობისა მჩვენებელად გვარისა ზედ-შემოიღებისა.

[206] თვითთა უკვე მეთქვეობა არს სამმარცვლოვანი, ვითარცა ზემო გარდაიდვა, და თითოეულსა მარცვალსა აქუს შეგულისსიტყვაჲ, ესე იგი გამომაჩინებლობაჲ რაჲვე, რომლისა პირისპირ დადებულა. იმეცნებოდედ ესე, რამეთუ რომელსაცა მარცვალსა აქუს „სანი“, ჰაჲმარა შეგულისსიტყვაჲ იგი, რომელთა გამომაჩინებლობაჲ, რათა გარეშეისმინებოდის საკუთრებითად. ხოლო რომელსა აქუს მანი, ესე გარეშესასმენ არს მასვე ეობითად. და რომელსა აქუს განი, ესე გარეშესასმენ არს განწვალებითად. ხოლო რაჟამს იგი შეგუ-

ლისსიტყვანი ესფერ მოიქცეოდენ, მაშინ გვარნი, რომლისა შორის გამომაჩინებლობანი იგი ზედშემოიღებთან. პირველთა მათ ოთხთა გვართა ზედა, ვითარ გვარი ესე, რომელა ბა-რა-გილ, რომელიც პირველ დადებული ბანი აჩვენებს, ვითარმედ გვარი ესე ზედშემოიღების გვარისადმი, რომელ არს ბარ-ბა-რა. ხოლო ხედვამ ზედშემოიღებისა ამის ესე არს ესე, რამეთუ განი აჩვენებს, ვითარმედ ჩემი შეგულისსიტყვამ გარემოაქციეო განწვალეებითად. და მაშინ იქმნების ბარ-ბა-რა გვარად. ხოლო ბარ-რა-გილ ესთა გვარი არს: ყოველი მშენიველი არსებაა, ყოველი კაცი მშენიველია, მაშასადამე, რომელიმე არსებაა კაცი. ხოლო ხედვამ მარცხელისა შეგულისსიტყვამ იგი არს კიდურმდგმობობამ რომელთა, მაშასადამე, რომელიმე არსებაა კაცი. გარნა ჰქანს ვიდრემე შეგულისსიტყვისა გარემოქცევად განწვალეებისაებრ და განწვალეებითი⁷⁰ გარეშესმენაა, რათა ყოვლობითი გარემოიქცეს კერძობითთამი და კერძობითი ყოვლობითთამი, ვითა ზემო გარდაიღღვა.

[207]

ლამინე, გამგონეო, რამეთუ თქმამ ესე — რომელიმე არსებაა კაცი, — ესე კერძობითსა გეაჩვენებს, მაგრა გარემოექცევა ესე ყოვლობითსა ესფერ: ყოველი კაცი არსებაა. გაიგონე მეძიებლო სწავლისაო, კიდურმდგმობობასა შორის ესფერა გარემოქცევამ ბარ-ბა-რა გვარისა. ყოველი მშენიველი არსებაა. ყოველი კაცი მშენიველია, მაშასადამე კაცი არსებაა. ეგ სახედვე გვარი ესე კლე-პანსტე. „ბანი“ აჩვენებს, ვითარმედ გვარი ესე ზედშემოიღების კელარენტ გვარისადმი. ესთა არს ზედშემოიღებამ ესე, რამეთუ „სანნი“⁷¹ აჩვენებს, ვითარმედ ჩემი შეგულისსიტყვამ გარემოაქციეო საკუთრებისაებრ, და მაშინ იქმნას კელარენტ გვარად. ეგფერვე გვარი ესე, რომელი და-ლი-თიმ, ხოლო „დონი“ აჩვენებს, ვითარმედ გვარი ესე ზედშემოიღების და-ნი-ილ გვარისადმი. ხოლო ესე არს ზედშემოიღებამ ესე, რამეთუ — „ბანი“⁷² აჩვენებს, ვითარმედ ჩემი შეგულისსიტყვამ გარემოაქციეო მასვეობითისაებრ, და მაშინ იქმნების და-ნი-ილ გვარად. ხოლო ესთა არიან სხვანიცა საჭვრეტელ. ხოლო რომელსაცა შორის მეთქევობსა არს „ცანი“⁷³, აჩვე-

70 აშიაზე: იხილე მეჭვრეტმან, მესწავლეო, თუ ვითარ განწვალეებითი გარეშესმენა იქმნების ყოვლობითთა და კერძობითთა.

71 აშიაზე: საკუთრებითი გარემოქცევა ესე არს ესე.

72 აშიაზე: მასვეობითი, რომელა იგივეობითი გარემოქცევაა.

73 აშიაზე: ცვლებითი გარემოქცევაა.

[208] ნებს, ვითარმედ ცვალებად იქმნების გვარსა შორის, და მერმელა ზედ-შემოიღების, ხოლო ცვალებად იგია, დიდი წინდადებად დადვას რა ვინ მცირისა ადგილსა შორის და მცირედ დადვას დიდისა ადგილსა შორის. ხოლო რომელიცა აჩვენონ ამათ: სანმან, მანმან, განმან, — ჰვამს, რათა მეტრ ჩვენებულისა ჰყოს, და მერმელა ცვალებად წინდადებანი, ვითა გვარი ესე, რომელა ფაგ-ტეს-ცოდ, და აჩვენებს, ვითარმედ გვარი ესე ზედ-შემოიღების ფე-ლი-ქტე გვარისადმი. ისმინე⁷⁴, მეტრფევეო სწავლისათ, რამეთუ ზედშემოღებად ამისი ესე არს ესე, რამეთუ „განი“ აჩვენებს, ვითარმედ ჩემი შეგულისსიტყვად გარემოაქციეო განწვალებითად, ხოლო ამისავე შორის „სანი“ აჩვენებს, ვითარმედ ჩემი შეგულისსიტყვად გარემოაქციეო საკუთრებითად. და „ცანი“ აჩვენებს, ვითარმედ ცვალებად დიდნი და მცირედნი წინდადებანი. და აჰა, იქმნეს ფაგ-ტეს-ცოდ გვარად. ფაგ-ტეს-ცოდ გვარი ვიდრემე ესე არს ესე: ყოველი მშვინველი არსება, არავინ ოქროსა მშვინველი, მაშასადამე, რომელიმე არსებად არ ოქროსა. მოვედ უკვე კელლინად ჩემდა და თანად გარემოაქციოთ დიდი წინდადებად ესე შენ და მე განწვალებითად, რამეთუ: რომელიმე არსებად მშვინველი. და მცირედ წინდადებად საკუთრებითად მოვაქციოთ გარე: არავინ მშვინველია ოქრო. ხოლო მერმელა ცვალებად გარემოაქციულნი წინდადებანი. და აჰა, მყის იქმნეს ფე-ლი-ქტე გვარად და ხედვად ამისი ესთა: არავინ მშვინველია ოქრო, რომელიმე არსებად მშვინველი. მაშასადამე, რომელიმე არსებად არ ოქროსა. ისილე განმჰკრეტმან, ვითარმედ რომელსაცა შორის მეთქვეობასა არს „ზინი“, აჩვენებს, ვითარმედ გვარი ესე გარემოაქციეითა, ანუ ცვალებითა არ ზედ-შემოიღების, არამედ შეუძლოსა შორის შემოიხმის. და მერმელა ზედ-შემოიღების. ხოლო შეუძლოსა შემოხმად — ესე არს ესე, რომლისაცა წინდადებისა პირისპირ არს „ზინი“, არს გვარისა მისისა კიდურმდგომობისა შემოხმად განრემზომისადმი მათისა; ხოლო წინდადებად იგი, რომელიცა შემოვიდა განრემზომისადმი თვისისა, დაიდვა ადგილსა შორის კიდურმდგომობისასა და კიდურმდგომობად იგი, რომელიც შემოვიდა განრემზომისადმი თვისისა, დაიდვა წინდადებისა მის ადგილსა შორის. ვითა გვარი ესე ბაჰ-შოშ-ლო — „ბანი“ აჩვენებს, ვითარმედ გვარი ესე ზედ-შემოიღების ბარ-ბარა გვარისადმი, ხოლო თუ ვითარ ზედ-შემოიღების, „ზინი“ აჩვენებს

74 აწიარე: გაიგონე, იმეცნე, შთაიგემა.

ყოფისა | რავესა, რომელი გარდაიდვა ზემო. ხოლო ბაპ-შონ-ლო [210]
გვარი ესე არს ესე: ყოველი კაცი მშვინველია, რომელიმე ოქროს
არ მშვინველია, მაშასადამე, რომელიმე ოქროს არ კაცია. ისპინე,
გამგონეო, რამეთუ წინდადებამ ესე „შინისა“, ესე იგი რომელიმე
ოქროს არმშვინველია, კამს შემოყვანად თვისისადმი განრემზომი-
სა, ვითა ესე: ყოველი ოქროს მშვინველია. ხედავა, რამეთუ აქა
არ გარეშისპინნეს ქვედმდებარე და შესმენილი, რამეთუ ესენი
არიან ვიდრემე განრემზომობითნი განრემზომნი, ვითა ესე: ყოველი
ოქროს მშვინველია, რომელიმე ოქროს არ მშვინველია. ეგ სახედ-
ვე კიდურმდგომობაა გვარი, რომელ არს ესე: რომელიმე ოქროს
არ კაცია, ღირს შემოყვანად თვისადმი განრემზომისა, ესე იგი:
ყოველი ოქროს არ კაცია. ღირს უკვე ესენი ცვალებად ურთიერთ-
არს, ესე იგი წინდადებამ იგი, რომელიცა შემოვიდა, თვისისადმი
განრემზომისა დადებად აღგილსა შორის. ხოლო კიდურმდგომობაა
იგი, რომელიც გარემოიქცა თვისისადმი განრემზომისა დადებით
წინდადებისა მის აღგილსა შორის, და იქმნა ბარ-ბა-რა გვარად,
ვითა: ყოველი კაცი მშვინველია. | ყოველი ოქროს კაცია, მაშასადამე, [211]
ყოველი ოქროს მშვინველია. ესე არს ხატი შეუძლომასა შემო-
ხმისა, ესე იგი შემოყვანისა. ხოლო თქმად ამისი, ვითარმედ რომე-
ლიმე ოქროს არ მშვინველია, ეს ქეშმარიტ სადამე. მაგრა რაჟამს
იგი შემოიყვანების თვისისადმი განრემზომისა, ესე იგი ყოველი
ოქროს მშვინველია, არ ქეშმარიტ, არამედ შეუძლოა. შეუძლოსა
შემოყვანვად გარდაიდების აქა. გარნა არა თუ მხოლოდ ზედშემო-
ლებისათვის გვართამსა, არამედ სიცხადესა მომცემს ჩვენ განრემზ-
ომობითისა განრემზომისასა, რომელთა ღირს, რათა ერთი ქეშმარი-
ტებდეს და მეორე ტყუოდეს. გარნა მე წინამოვდებამ ვყო ეს-
ფერ: რომელიმე ოქროს არ მშვინველია. ხოლო თუმცა სადამე ის-
მენენ ამას უფიცნი სილოგიზმოსანი, უკვირსთ, მაგრა საქმარა თქმად:
ყოველი ოქროს მშვინველია, რამეთუ განრემზომობითია ერთისა
კერძომასა საქიროება ქეშმარიტ-ყოფისა. საუწყ ესე, რამეთუ 19
გვართა არვისად შესაძლო დართვად სხვა რავეე. და ამისსა სიცხა-
დესა მომცემენ ჩვენ კანუნნი. ხოლო კანუნთა ზიარებაა აქუს ყო-
ველთადმი ნაკვეთთა. მერმეცა კანუნნი არიანცა მხოლოობითნი თი-
თოსად | მი ნაკვეთისა.

ზიარებულთა პირველი კანუნი არს ვიდრემე მარტივთაგან კერ-
ძოთა შეუძლოება სილოგიზმოთა. ხოლო წინააღმდეგოდ წინ-ჩა-
მოვდების ესთა: რომელიმე მშვინველი არსებაა, რომელიმე კაცი [212]

მშვინველია, მაშასადამე, რომელიმე კაცი არსებაა. ისმინე, მეტრ-
ფევეო სწავლისაო, რამეთუ რომელიცა ყოველსა შორის კეშმარიტ.
იყოს, იგი სილოგიზმოსამებრ კანუნისა იქმნების. ხოლო რომელი-
ცა რაფვესაგან თუ კეშმარიტ და არა ყოველსა ადგილსა, იგი არა-
არს სილოგიზმოჲ. ვითა ესე, რომელიცა მარტივთა კერძოთაგან იყოს
თუ კეშმარიტ, იგი არა ყოველსა შორის ადგილსა იქმნების კეშმა-
რიტ, ესთა: რომელიმე მშვინველი ლომია, რომელიმე კაცი მშვინ-
ველია, მაშასადამე, რომელიმე კაცი ლომია. მეორე უკვე კანუნი, ესე
არს ესე, რამეთუ მარტივ უკუთქმათაგან შეუძლოჲ არს სილოგიზ-
მოჲ. ხოლო წინააღმდგოდ წინ ჩამოიგდების, ესფერ: არავინ ოქ-
როა კაცი, არავინ ლომი ოქროა, მაშასადამე არავინ ლომია კაცი.
ამისდა უკვე წინააღმდგოდ ესე: არავინ ოქროა კაცი, არავინ მოცი-
ნარი ოქროა, მაშასადამე, არავინ მოცინარია კაცი.

[213] მესამე უკვე კანუნია, თუმცა სადამე ერთი წინდადებათა | განი-
იყოს თუ კერძობითი, ღირს, რათა კიდურმდგომობაჲცა იყოს კერ-
ძობითი და არა გარეშესმენით. რამეთუ ყოვლობითთაგანცა წინ-
დადებათა იქმნების კიდურმდგომობაჲ. ხოლო წინააღმდგოდ აქა-
წინ-ჩამოიგდების, ესთა: ყოველი მშვინველი არსებაა, რომელიმე
კაცი მშვინველია, მაშასადამე, ყოველი კაცი არსებაა. ამისდა უკვე
წინააღმდგოდ ესე: რომელიმე მშვინველია ლომი, რომელიმე კაცი-
მშვინველია, მაშასადამე, ყოველი კაცი ლომია. მეოთხე უკვე კა-
ნუნი არს, თუმცა სადამე ერთი წინდადებათაგანი იყოს თუ უკუ-
თქმაჲ, ღირს, რათა კიდურმდგომობაჲცა იყოს უკუთქმაჲ.

მეხუთე უკვე კანუნი ესე არს ესე, რამეთუ საშუალ მყოფ
არდადებად არს კიდურ-მდგომობად.

ხოლო ესე კანუნნი ზიარებითნი: 1. ნაკვეთსა აქვს უკვე მხო-
ლოობითნი კანუნნი. 2. პირველ ვიდრემე კანუნი არს ოთხთა შორის
გვართა, რომელნი არიან მართლიად კიდურთა დამადგონი. რამეთუ
მცირისა წინდადებასა ღირს, რათა იყოს წართქმაჲ. ხოლო წინა-
აღმდგოდ წინ-ჩამოიგდების, ესთა: ყოველი კაცი მოცინარია, არ-
ავინ ოქროა კაცი, მაშასადამე, არავინ ოქროა მოცინარი. ამისდა წი-
ნააღმდგოდ ესე: ყოველი მშვინველი | არსებაა, არავინ ოქროა-
მშვინველი, მაშასადამე, ოქრო არსებაა.

[214]

მეორე უკვე კანუნი არს, რათა ოთხთავე მათ შორის გვართა
წინდადებაჲ იყოს ყოვლობითი. ხოლო წინააღმდგოდ წინ-ჩამოიგ-
დების, ესთა: რომელიმე მშვინველი არსებაა, ყოველი კაცი მშვინ-

ველია, მაშასადამე, ყოველი კაცი არსებობს. ამისდა წინააღმდეგოდ
ესე: რომელიმე არსებობს ოქროსა, ყოველი კაცი არსებობს, მაშასადა-
მე, ყოველი კაცი ოქროსა.

მეორესა ნაკვეთსა აქუს ვიდრემე მხოლოობითნი კანუნი 2. პირ-
ველი უკვე კანუნი არს, რამეთუ უღიღესისა წინააღმდეგობისა ღირს,
რათა იყოს ყოველობითად, ხოლო წინააღმდეგოდ წინ-ჩამოიგდების,
ესთა: რომელიმე ოქროსა მოცინარ. ყოველი კაცია მოცინარ, მაშა-
სადამე, არავინ კაცია ოქროსა. ამისდა უკვე წინააღმდეგოდ ესე:
რომელიმე არსებობს არმოცინარია, ყოველი კაცია მოცინარ, მაშა-
სადამე, რომელიმე კაცი არარსებობს. მეორე უკვე კანუნი ამის ნა-
კვეთისა ესე არს ესე, რათა წინააღმდეგობათაგანი ერთი იყოს უკუთქმად,
ხოლო წინააღმდეგოდ წინ-ჩამოიგდების, ესთა: ყოველი კაცია მშვიდ-
ველი, ყოველი მოცინარი მშვიდველია, მაშასადამე, ყოველი მოცი-
ნარი კაცია. ამისდა | წინააღმდეგოდ ესე: ყოველი კაცი მშვიდველია, [215]
ყოველი ლომი მშვიდველია, მაშასადამე, ყოველი ლომია მშვიდვე-
ლი.

მესამესა უკვე [ნაკვეთსა]⁷⁵ აქუს კანუნი მხოლოობითნი 2.
პირველი უკვე კანუნი ამის ნაკვეთისა, ესე არს ესე, რათა მცირე
წინააღმდეგობა იყოს წართქმად, ხოლო წინააღმდეგოდ წინ-ჩამოიგდე-
ბის, ესთა: ყოველი ზამბაკი თეთრია, არავინ ზამბაკი შავია, მაშა-
სადამე, რომელიმე შავი ართეთრია. ამისდა წინააღმდეგოდ ესე: ყო-
ველი მშვიდველი არსებობს, არავინ მშვიდველი ოქროსა, მაშასადამე,
რომელიმე ოქროსა არ არსებობს. მეორე უკვე კანუნი ამის ნაკვეთისა,
ესე არს ესე, რათა კიდურმდგომობა იყოს კერძობითი, ხოლო
წინააღმდეგოდ წინ-ჩამოიგდების, ესთა: ყოველი კაცი არსებობს, ყო-
ველი კაცი მშვიდველია, მაშასადამე, ყოველი მშვიდველი არსებობს.
ამისდა უკვე წინააღმდეგოდ ესე: ყოველი მალრანი შავია, ყოველი
მალრანი ფრთოვანია, მაშასადამე, ყოველი ფრთოვანი შავია.

რად არს გვაროვანი სილოგიზმობა. თავი 83

| დაწყობილად უკვე თქვეს პერიპატოსა მესკოლეთა თქმულნი [216]
სილოგიზმონი ყოველნი არსებოვანთაგან წინააღმდეგობათა. ხოლო და-
დებად თნებად ვართ ხატისა გვაროვანთათვის წინააღმდეგობათა და

75 ხელნაწერშია: კანუნსა.

მიხედვად ხატისა ესთა. რადვეცა უკვე საჭირო⁷⁸ იყოს, შესაძლოცა ვიდრემე არს, იგი ვითა: პეტრესდა საჭირო მარად ქმნად სხვათა და არ ერთისა. და შესაძლოცა არს, რათა იქმოდეს პეტრე მარად სხვასა. აჰა, სიცხადე მოგართუ, მე ვითარმედ საჭიროა რადვეცა არს, შესაძლო არს. ხოლო რადცა შეუძლებელ არს, საჭირო არს არა ქმნად, ვითა შეუძლებელ პეტრესდა ქმნად ზუნებად ცეცხლისა, ანუ გვამისა და გვამისა ზავებად ერთისადმი პირისა აღყვანებად. და ესე ვინათგან შეუძლებელ არს, საჭირო არს არაქმნად ამისი პეტრესგან, მივხედავთ უკვე წყობილზავებულად სილოგიზმოსა, არსებოვანთა და გვაროვანთაგან წინდადებათა, ხოლო ხედვად ამისი ესფერი: ორძილობითისა ცხოველობაჲ არს საჭირო; ხოლო ორძილობითი არს ზრდაჲ, მაშასადამე, ორძილობითისა ცხოველობაჲ არს საჭირო.

[217] | რაჲ არს ქვედადებითი სილოგიზმოჲ და რაჲ არიან კაცშირნი ლექსთანი რომელნიმე. თავი 84

თქვა სიბრძნისმოყვარებამან არისტოტელის სკოლართამან:

1. უკეთუობითი, ესე იგი თუმცაობითი, ესგვარად: უკეთუ სფეროჲ ბრუნვებითი არს, მომრგვალებულ არს. აჷ სადამე სფეროჲ ბრუნვებითი არს, მაშასადამე, სფეროჲ მომრგვალებული არს.
2. შეწმასნითი არს ვიდრემე, ესგვარად: პლატონ თეოლოლოს არს. და არისტოტელი — დიოლოლტიკოს. ხოლო თეოლოლია და დიოლოლტიკა არიან ფილოსოფია, მაშასადამე, პლატონიცა და არისტოტელი არიან ფილოსოფოს. მერმეცა: კაცი სიტყვიერი არს და ციღამტკავლელი — უსიტყვი, არამედ სიტყვიერი და უსიტყვი არიან სხვა და სხვა. მაშასადამე, კაცი და ციღამტკავლელი არიან სხვა და სხვაჲ.
3. განწვალებითი არს ვიდრემე, ესგვარად: ყოველი მყოფი არსებაჲ არს, ანუ ზედშესრული, ხოლო ფერი არ არსებაჲ არს, მაშასადამე, ფერი ზედშესრული არს.
4. ვნებითი არს ვიდრემე, ესგვარად: რომელიცა თნებად არს სწავლის, ღირს მისდა მორჩილ-ყოფად, შენ

[218] | თნებად ზარ სწავლის, მაშასადამე, გიღირს მორჩილ ყოფად. ესგვარ არიან სხვანიცა სილოგიზმოსამიმართნი წინჩამოსავლებლნი.

⁷⁸ ამითხე: საჭირო რადცა, იგი შესაძლოცა, მაგრა რადვეცა შესაძლო, იგი არა საჭირო.

არამედ ესენი ელვარისა გონებისადმი შენისა უახლეს ყოფად მიმართმელებიეს, შენ ჩემისადმი საკუთარ მეფისა და შენ ძმებრითა მოწულეობითამცა მიგრიეს. და ესე თუმცა უწყის მიმადლებულმან გონებამან შენმან, მაგრა მეცა მოგართვა უწყებად. კიდე ამათსა, რომელნცა მოვიცხენებით, სხვითა არვისდა ძალ ზედმიწევნად ესთა გვარებისა.

რად არს ზედშემოყვანად, ესე იგი გვარი 2 წინჩამოსაგდებელისა.
თავი 85

გეასწავა⁷⁷ დიოლოლტიკმან არისტოტელისამან ზედშემოყვანად ესგვარად: ზედშემოყვანად არს, რომლისა წყობილებთა ზოარის მრავალნი კერძობითნი წინდადებანი შემოიყვანებოდიან კიდურმდგმოობად, რომლისა ზედვად ესგვარ: იოანე მანსური არს მუსიკელ, კოზმაა არს მუსიკელ, გერმანოს მამათმთავარი არს მუსიკელ, — მამასადამე, ყოველი კაცი არს მუსიკელ. ხედავა, რამეთუ კერძობითთაგან წინდადებათა არა წარმოარს კიდურმდგმოობად, ესთა: ცხენი და ზროხად, და ქურციკი და სხვანი უსიტყვნი არიან მშენველ, მამასადამე, ყოველნი მშენველნი არიან უსიტყუ. სცანა, რამეთუ წინდადებანი არიან მართალ და კიდურმდგომობად არს ცრუ. რამეთუ კაცი მშენველი არს, მაგრა არა უსიტყვი არს, რამეთუ მსგავს ღვთისა აღეგო იგი მექმისა მიერ ყოველთასა. მერმეცა, რომელმან იცის ასტრონომიად, ასტრონომოსი არს, რომელმან იცის გეომეტრიად, გეომეტროსი არს; ხოლო რომელმან — ღრამმატიკად, ღრამმატიკოსი არს, რომელმან იცის მკურნალობად — მკურნალი არს. მამასადამე, რომელმან იცის ბოროტებად, ბოროტი არს. ამა, სიცხადე მომცა ჩვენ ამან, რამეთუ წინდადებანი მართლობენ, ხოლო კიდურმდგომობად ცრუ არს, რამეთუ ცნობად ბოროტისა არა ბოროტი არს, ესთა: ვითარმედ წმიდათა იცოდეს ბოროტი წინააღმდგომად კეთილისა და შემკრძალველთა წმიდა-ყვენეს თავნი თვისნი ბოროტისაგან, რამეთუ თუმცა არა იცოდეს, განურჩევლად ექმნა მათ სათნოებაცა და უთნოებად, ესე იგი ბოროტი.

[219]

⁷⁷ ამაზე: ზედშემოყვანად არა ქეშპარტსა გვაჩვენებს მარად კიდურმდგმოობასა, ვითა განიცდი აქა.

[220] დიოლოტიკად პერიპატოსგამოთა ასწავებს მოკლესიტყვაობა-
სა, ესგვარ: მოკლესიტყვაობად იგი არს, რომლისა შორის კიდურ-
მდგომობად არა სიცხადით გამომიჩნდებოდის ჩვენ, მაგრა მტკიცედ
ყო სიქმედ სიცხადით შეგვესწავებოდის, რომლისა ხელვად ესთა:
ყოველი მოსწრაფე მოღვეწე არს. ხელვავა, თუ ვითარ გვაჩვენა ამან,
რამეთუ მოსწრაფებად უღვეწოდ არა იქმნების, არა, და მტკიცე ჰყო-
არ სიცხადით გამოჩინებად კიდურმდგომობისა სიტყვისა. ესე არს
ესთა, ვითარ გვითქვამს. მაგრა არა ყოველმან მოკლესიტყვაობამან
ქმნა ესთა. ვთქვათ, ვითარ არ იქმს ყოველი მოკლესიტყვაობად მებრ-
ზემო-გარდაცემულითა, რომელი შეგვესწავიეს ესგვარ: ყოველი-
სა ვისმე რადვეცა არ წარწყმედულ, აქუს საღამე, ესე ჰვავს ვიდრე-
მე მართალსა, მაგრა რაჟამს იგი კიდურმდგომობად ამისი სიცხა-
დით განვიცადოთ, მაშინ უმტკიცოებად ამისი გამომიჩნდეს ჩვენ,
რამეთუ ითქვა რა, ვითარმედ: ყოველისა ვისმე რადვეცა არა წარ-
წყმედულ, აქუს საღამე, იუდასი არა წარწყმედულ უსხეულობად,
მაშა, იუდა უსხეულოდ იყო. ეს ცრუ არს. რამეთუ იუდა შინა-
ფანცემითა არა წარწყმიდა უსხეულობად, რამეთუ არა აქუნდა,
არამედ რაცა აქუნდა, წარწყმიდა მან, ესე იგი მოციქულებად.

[221] | რამ არს აღმოჩენად, ესე იგი გვარი წინჩამოსაგდებელისა.
თავი 87

ასწავებს სიბრძნისმოყვარებად პერიპატოსა სკოლართა: აღმო-
ჩენად არსო, ესე იგი მაგალითთ შემოღებად, რომლისა შორის სწო-
რი რა სწორისამებრ გამომიჩნდებოდის, ესგვარ: მოკლევად ისრაი-
ტელისა ფინეზისგან ველფედორს კეთილ; მაშა, მოკლევად სამოი-
ლისგან აგაბისა არს კეთილ. ხოლო კერძობითისა მიერ კერძო-
ბითისა დამტკიცებად არა მარად მტკიცედ ყოფასა გვაჩვენებს და
არცა მარად ჰეშმარით ყოფასა, რამეთუ მრავალჯერ განცრუვდე-
ბის, ესგვარ: დიოსკორე⁷⁸ მართლმადიდებელ იქმნების შემდგომად.

⁷⁸ ესე არა საპირო დიოსკორესდა მართლმადიდებელ ყოფად, არამედ შე-
სადლო. რამეთუ უკეთუ საპირო, ყოველნი მართლმადიდებელნი იქმნენსმცა ერე-
ტიკოსნი, ვითარ იძულებულნი საპიროებისაგან.

ერეტიკოსობისა, რამეთუ აგვისტინე შემდგომად ერეტიკოსობისა მართლმადიდებელ იქმნა. ცხად სადაჲმე აქა, რამეთუ არა საჭიროდ იყო, მართლმადიდებელ იქნა არა აგვისტინე, მაშა, დიოსკორეცა მართლმადიდებელ იქმნა.

აწ ვიდრემე სამნი არიან გვარნი ესე: 1. ზედშემოყვანაჲ, 2. მოკლსიტყვაობაჲ, 3. აღმოჩენაჲ. ხოლო ესენი არა სრულნი სილოგიზმონი არიან. ხოლო ოთხთა გვართა შორის წინჩამოსაგდებელისათა ერთი მხოლოდ არს სრულ, ესე იგი სილოგიზმოჲ. | ხოლო სხვანი ყოველნი არსსრულნი ზედ-შემოიღებიან. და ესენიცა ზედ-შემოიღებიან სრულისადმი სილოგიზმოსა. ზედშემოყვანაჲ ზედშემოდებასა იქმს, ესგვარ: აგვისტოს და კლავდის და სხვანი გვამნი არიან კეისარ, ხოლო ყოველი კაცი არს აგვისტოს და კლავდის და სხვანი განუკვეთელნი. მაშასადამე, ყოველი კაცი არს კეისარ. იქმნების უკვე მოკლსიტყვაობაჲ ზედშემოდებულ, ესგვარ: რომელიცა ერეტიკოსი მართლმადიდებელ იქმნეს, ერეტიკოსი იყო. აგვისტინე იქმნა მართლმადიდებელ, მაშასადამე, აგვისტინე ერეტიკოს იყო. აღმოჩენაჲ ზედშემოდებულ იქმნების, ესგვარ: ყოველი აღვოცა ბოროტისა არს კეთილ. ისრაიტელისა ხოლო ფინეზისაგან მოკლუაჲ და საპოილისაგან ავაბისა არიან აღვოცა ბოროტთა, მაშასადამე, არიან კეთილ. აწ ვიდრემე არიან ხედვანი ესე ოთხთა გვართა წინჩამოსაგდებელისათა, რომელნიცა წინჩამოსაგდებელისამებრ გვართსა განიწვალებიან. ხოლო აწ საუწყე არს გვართათვის წინჩამოსაგდებელისათა, რომელნი მებრ ნიეთისა განიყოფიან.

[222]

რად არიან გვარნი წინჩამოსაგდებელისანი. თავი 88

| ნიეთი წინჩამოსაგდებელისა გვასწავეს პერიპატოსა სკოლართა მეტყველთა: ნიეთი წინჩამოსაგდებელისა. არიანო შეგულისსიტყვანი, ესე იგი გამომაჩინებლობანი, რომელნიცა არიან სამნი: 1. საჭიროჲ, 2. შესაძლოჲ, 3. შეუძლოჲ, რამელნიცა ზემოთა თავთა შინა პირველ გარდავდევით. სამად აქუს უკვე წინჩამოსაგდებელსა ცნობაჲ განჩიუვისა: 1. აღჩენითად, 2. დიოლოღტიკად⁷⁹, ესე იგი მართლსიტყვაობად; 3. სიბრძნეობითად. საჭიროთაგან ნაწყობი ანუ ნამზადი წინჩამოსაგდებელი ითქმის აღჩენილად. ხოლო შესა-

[223]

⁷⁹ ამიაზე: დიოლოღტიკა არს ორმეტყვეობაჲ, ხოლო ორთმეტყვეობაჲ არს მართლსიტყვაობაჲ.

[224]

ძლოთაგან რომელიცა დაიმზადა, ითქმის დიოლოლტიკად, ხოლო შეუძლოთაგანი მზადებული ითქმის სიბრძნეობითად. გვარნი უკვე წინამოსაგდებელისანი არიან გვარნი დიოლოლტიკისანი, ხოლო დიოლოლტიკა არს კერძოკი ფილოსოფიასი. საძიებელ უკვე, ვითარმედ თუ რაოდენი აქუს განყოფაჲ ფილოსოფიასა. ანუთუ რაჲსათვის არს დიოლოლტიკაჲ. კერძოკი სიბრძნისმოყუარებისა⁸⁰, ანუ რაჲ არს დიოლოლტიკა, ესე იგი მართლსიტყვაობაჲ და რომელთა შორის განსხვავდების. და მიერთიგან სრულიად საძიებელ არს: აღმოჩენითი, მართლსიტყვაობითი და სიბრძნეობითი.

რაჲ არს ფილოსოფიაჲ და რომელთა შორის განსხვავდების და რაჲ არს დიოლოლტიკაჲ, რომელ არს მართლსიტყვაობაჲ. და რაჲ წოდებაჲ მისი კინი კერძოდ და არა კერძოდ ფილოსოფიასა. თავი 89

არავისდა ძალ წარწერაჲ ფილოსოფიასა ერთითა სიტყვითა. ხოლო მოთხრობანი ქცევითანი არა სადამე ვინ თქვეს ზედმიწევნილებად. არცა მივხედავთ მას, ვითა ზედმიწევნილებასა, არამედ სარწმუნოებისამებრ უწოდებს მას სიბრძნისმოყუარებად, ესთა გვარსა, ვითარ-იგი სანატრელისა მამისა ჩვენისა ანტონის ზეციერისა. ქცევისა ვორცთა შინა ყოფისა მოთხრობასა, რამეთუ სიბრძნისმოყვარებით იყო ქცევაჲ მისი და ესთა სხვათა წმიდათასა. ქცევისა ანგელოზებრსა სარწმუნოებით უწოდებთ სიბრძნისმოყვარებად, ესე იგი ფილოსოფიაჲ, ვითარ იტყვის სოლომონ: დასაბამი სიბრძნისა შიში უფლისა.

[225]

და გარეშეთაცა თქვეს: ფილოსოფია არსო წვრთაჲ სიკუდილისა. მესავმარა უკვე აქა მე ამმონიოს ერმისისამიერნი განსაზღვრებანი ფილოსოფიასნი, რომელი იტყვის შემოხმასა ფილოსოფიასა განსაზღვრებისასა მრავალსა. იტყვის: მრავალთაო მრავალგზის განსაზღვრესო იგი უძვეელესთაგან. ხოლო რათა არა მიზეზობისმოყუარეთა უქამოსაო პატივისმოყვარებისა აწსა შინა მივცეთ უამისა ბრალობაჲ, თითოსა საზღვრისა წარმომეტყველთა, ვალ გარდა ხუთთა, ანუ მცირედ წამართ წამოთქმაჲ.

⁸⁰ აშიაზე: ესე იგი ფილოსოფიასა.

საზღვარნი ვიდრემე ფილოსოფოს[ო]ბესანი; ორნი⁸¹ უკვე არიან ქვედმდებარისაგან და ორნი — დასასრულისაგან. და სხვა⁸² იგი ზესთალმატებულებისაგან, რომელი აქვს სხვათა კელოვნებათაში. საზღვარი⁸³ ფილოსოფიისა ქვედმდებარისაგამო ესე არს ესე, — თქვა ამონიოს, — ფილოსოფია არსო მყოფთ მეცნიერებაჲ, რომლისა ზიარ თქმითა ნემესიოსცა ემესელი ეპისკოპოსი კაცობრივისა არსებისაძლითსა შინა ფილოსოფოსებითსა სიტყუასა. განვშალოთ უკვე მოკლედ საზღვარი ესე: თუმცა მყოფნი არიან, რამეთუ არა წინდადებულ ფილოსოფოსისა ყოველთავე საზოგადოსმორქისტა [226] კაცთა ცოდნაჲ რიცხვეულად, არამედ თუ რაჲ, ანუ ვითარა არს ბუნებაჲ კაცისა, რამეთუ არსებასა თვითოსა საქმისასა სკვრეტს ფილოსოფოსი, რამეთუ უკეთუ მყოფარიანობაჲ ნაცვლად მყოფი არიანობისა. იტყუას დიდი პლატონ: ფილოსოფია არსო მეცნიერებაჲ სამართთა და კაცობრივთა საქმეთა, და ცხად არს, ვითარმედი იგი არს უპირველესი არსი. ხოლო განესხვავების ესე მხოლოდ სიცხადითა და უცხადობითა, ვითარ რამეთუ განყვნა მყოფნი სამართოდ და კაცობრივად, სამარადისონი უკვე თქვნა სამართოდ, ხოლო ქმნისა და ხრწნის თანშეკრულნი თქვნა კაცობრივად. ვინაჲცა ესე განსაზღვრებაჲ და პირველი ქვედმდებარისაგან განეჩინებთან, ხოლო განეყოფიან ურთიერთარს სიცხადით და უცხადობით, ვითარცა ითქვა.

ხოლო არს⁸³ ესევეითარიცა საზღვარი დასასრულისაგან, მეტყველი: ფილოსოფიაჲ არს მსგავსებაჲ ღვთისა, რაოდენ ძალ-უცს კაცსა. რამეთუ ესრეთ განსაზღვრა პლატონ, რამეთუ ღმერთსა მრჩობლნი ჰქონან მოქმედებანი: რომელნიმე მეცნიერებითნი, რომელთაებრ ყოველნი უწყისი, ვითარ სიტყვისმოქმედნიცა დაჰნიშნენ მეტყუელნი, ხოლო ღმერთმან ყოველნი უწყისი; ხოლო რომელნიმე — წინგანმგებელობითნი უკნინესთანნი, რომელთაებრ ყოველი სოფელი წინ-განეგების, ვითარცა სიტყვისმოქმედნი იტყვიან: ღმერთი მომცემელ კეთილთა, ხოლო ფილოსოფოსსა ორისაებრევე ჰნებავს თავისა თვისისა მიმსგავსებაჲ ღვთისა, რამეთუ ჰნებავს მხედველ-ყოფაჲცა ყოველთაჲ, რამეთუ ყოველთა ზედ-დასკვრეტს. და თანად წინგანგებასაცა ყოფს უკნინესთასა, რამეთუ [227]

81 აშიაზე: ესოდენნი უკვე არიან საზღვარნი ფილოსოფოსობისანი.

82 აშიაზე- 2. ესე არიან ქვედმდებარისაგანნი საზღვარნი ფილოსოფოსობისანი.

83 აშიაზე: დასასრულისაგან.

სამოქალაქო ფილოსოფოსი მსაჯულობს და სჯულთა⁸⁴ დასხამს. ვინადაც სამართლად მსგავსებამ ღვთისა არს ფილოსოფოსობამ. ხოლო „ძალისაებრობამ კაცისამ“ კეთილად დართულ არს, რამეთუ არცა მეცნიერებამ მსგავს არს, არცა წინაგანებამ იგივე არს, ვინამთგან არასადა უყვარს მსგავსებამ მზესა მას ქუემემთრევთა კაცთა, რამეთუ რომელთანი არსებანი განყოფილ, მათნი სრულებანიცა განყოფილ არიან. და სახილველ არს ესე სხვათაცა ცხოველთა ზედა, რამეთუ ვინამთგან კაცსა და ცხენსა განყოფილი აქუს ბუნებამ, განყოფილი აქუს დასრულებამცა. რამეთუ კაცისა უკვე სრულებამ არს სიტყვისაებრ და ცნობისა სიცოცხლე, ხოლო ცხენისა — სიმკვირცხით სრბამ და ბრძოლათა შინა მარჯვე ყოფამ.

[228] და თვით მათ უსიტყუთაცა შორის მრავალი განყოფილებამ არს სრულებათა, ვინამთგან განყოფილებისაცა მათისამ სხვამ არს სრულებამ ძაღლისამ და სხვამ — ცხენისამ, ვინამცა უკეთუ ამათ შორის განყოფილ არიან სრულებანი განყოფილებისაებრ ბუნებისა, მრავლად უფროდს კაცისა შორის და ღვთისა. ვინამთგან მრავლად განყოფვიან ბუნებითა, სამართლად სრულებანიცა განყოფილნი ჰქონან. კეთილად სადამე დართულ არს საზღვრისადა, რაოდენ ძალ-უცო კაცსა.

არს უკვე ფილოსოფიამ მსგავსებამ ღვთისა, ძალისაებრ კაცისა. ხოლო თუ რომლისა მიზნისაგან მიიმართა ესთა განსაზღვრებამ ფილოსოფიისა, ითქმოდენ, რამეთუ ვინამთგან, ვითარცა ვთქუ, მრჩობლნი არიან ძალნი ღვთისანი, ხოლო მრჩობლნი სული-საცა ჩვენისანი — მხედველობითნი და საქმიერობითნი. ხოლო ფილოსოფოსსა თითოეულთა კერძოთა სულისათა შემეობამ ჰნებავს მსგავსებისა მიმართ ღვთისა, რომლითამე ვნებულებითთა. სულისა ძალთა მძრველსა და სხვათა მღუწელსა. სამართლად პლატონ მსგავს ყოფად ღვთისა ძალისაებრ კაცისა განსაზღვრა ფილოსოფიამ.

[229] ხოლო არს⁸⁵ სხვადაცა განსაზღვრებამ, დასასრულისაგან მეტყველი, ფილოსოფიამ არს წურთამ სიკუდილისა, — იტყვის პლატონ „ფედრონსა“ შორის. ხოლო ვინამთგან წინამდებარე საზღვარი — წურთამ სიკუდილისა — ფილოსოფიასა განსაზღვრებს, ითქმოდედ, თუ ვითარ ჯერ-არს სმენამ წვრთასა სიკუდილისასა. რამეთუ კლეომეგროტოს ვინმე სახელით, შთამხედველმან „ფედ-

⁸⁴ აშინაზე: სჯულთა დასხამს სამოქალაქოთა და გარეშე რაჟვეთა.

⁸⁵ აშინაზე: 4. დასასრულისაგან.

რონსა“ პლატონისასა, და ვითარმედ უკმს ვიდრემე ფილოსოფოსსა წურთად სიკუდილისად მცნობელმან, ხოლო გეარისა ვერ მცნობებან, აღსრულმან ზღუდით შთაიგდო თავი თვისი. ამისდა მოწამედ ამერაკიელისა მის კაბუქისათვის შეაწყო ზედწარწერილი სიტყვისმოქმედმან, რამეთუ იტყვის: არქუ, მზეო, ძნობდი, კლეომეროტ ამერაკელმან, შთაქრილმან მაღლით ზღუდით ჯოჯოხეთადმი, არაჲს ძვირსა სიკუდილის ღირსსა მენებმან, გარნ ერთს პლატონის წიგნს მქვრეტმან სულისძლითსა.

ვინამცა უმეცრებისა მიერ, კაბუქისადა შემთხვეულისა, კელყოფისათვის განიბილვოდედ, თუ რად ჰნებაეს თქმულსა ამას წურთასა სიკუდილისასა. და რამეთუ პლატონ ბრძანებს არა განყვანებად თავისა თვისისა და იტყვის, ესრეთ ვიდრემე უკვე უთქუმელთა შორის არს მათთვის თქმული სიტყვაჲ: ვითარცა საპყრობილესა რასმე შინა ვართ კაცნი და არა გვიქმს თავთა თვისთა განყვანებად მისგან, არცა განვლდომაჲ. დიდად რადმე მიჩნს მე, და | არა ადვილ განსახილველად. ხოლო არა ჯერ-არს განყვანებად თავთა თვისთაჲ, რამეთუ ვითარ-იგი⁸⁶ საპყრობილესა შინა მყოფმან და შევრდომილმან, ბრალისა რამსათვისმე ინებოს თუ განაპრავად, დაარღვეეს, რაოდენ მას ძალ-უცს სჯულთა. ევრეთევე მოსწრაფეცა განჯსნასა სხეულის საკრველისა, მიცემულისასა წინგანგებისა მიერ, დაარღვეეს დამზადებელობითთა სჯულთა, არა ჯერ-არს უკვე მკვლელ თავისა ყოფაჲ. ვინამთუან ესრეთობად აქუს ამათ, ვითარ წურთად სიკუდილისად ვთქვათ ფილოსოფიაჲ.

[230]

მოიხილე უკუე თქმულთამო, და დაიჯსნას უღონოებაჲ. ცნობა საჯმარ არს, ვითარმედ კაცისა შეზავებულ ყოფასა — სულისაგან და კორცთა, მრჩობლი არს საკრველიცა, და განჯსნად სულისა მრჩობლი, რამეთუ არს ბუნებითად თქმული საკრველი, რომლისა მიერ სულსა შეეკრვის სხეული, და ცოცხალ იქმნების მძა მიერ. ხოლო არს წინააღრჩევეითიცა საკრველი, რომლისა მიერ სული შეიკრვის მმონებელი სხეულსა. და შეიპყრობვის მის მიერ. მრჩობლი უკვე განჯსნადცა, ერთი ვიდრემე სხეულისა სულისაგან, ხოლო მეორე, სულისად სხეულისაგან. და სიკუდილიცა მრჩობლი: რომელიმე — ბუნებითი, | რომლისაებრ ყოველნი კაცნი მოცულებით, ესე იგი არს რომლისაებრ განეშორების სხეული სულსა, ხო-

[231].

⁸⁶ აშიაზე: ჰხნდავა, თუ ვითარ თქვეს ვარეშეთაცა, თუ რად სიბოროტე არს მკვლელ თავისა ყოფაჲ.

ლო რომელიმე — წინააღრჩევითი, რომლისაებრ ფილოსოფოსნი იწურთიან განშორებასა სულისასა სხეულისაგან. და ამისებრ ითქმიან მწურთელად სიკუდილისად, ესე იგი არს განყოფაჲ სულისაჲ სხეულისაგან. არს უკვე ფილოსოფიაჲ წურთაჲ სიკუდილისაჲ. ესე იგი არს წურთაჲ სულისა სხეულისაგან განშორებისად.

ხოლო ღირს⁸⁷ ძიებისა არს; ვითარმედ უკეთუ დასასრულად აქუს ფილოსოფიასა მეცნიერებაჲ მყოფთაჲ, ვითარ განსაზღვრებასა მეტყველსა: მეცნიერებაჲ მყოფთაჲ, უკეთუ მყოფ არიან. და კვალად მეცნიერებაჲ სამართთა და კაცობრივთა საქმეთად — ქვედმდებარისაგან ვიტყვიტ განსაზღვრებაჲდ. ხოლო ოდეს სიმრთელის მოურნეობითსა — დასასრულისაგან, რამეთუ ამას მიჰმარჯუებს. ეგრეთვე ფილოსოფოსობისაჲ ზედა, უკეთუ დასასრულად აქუს მეცნიერებაჲ მყოფთაჲ, დასასრულისაგან ყოფად ჯერ-აჲს თქუნიან განჩინებულთა საზღვართა. ხოლო პირველად⁸⁸ იგი განიხილვოდედ, ვითარმედ ფილოსოფიასა, რომლისამე მქონებელსა მხოლოდ მხედველობითისა, ხოლო რომლისამე მოქმედებითისასა, მრჩობლი აქუს | დასასრულიცა, რამეთუ ოდეს ვიტყოდით წურთა სიკუდილისა ყოფასა ფილოსოფოსობისასა, საქმიითისაგან დასასრულისა განვსაზღვრებთ მას ყოფად. ხოლო ოდეს მეცნიერებაჲდ მყოფთა, უკეთუ მყოფ არიან — მეცნიერებითისაგან. ხოლო ოდეს მსგავსებად ღვთისა ძალისაებრ, ორთაგანვე. აწ სადმე მკურნალობითი შეზავებულად მყოფი ოდეს უკვე მხედველობითისაებრ ოდენ მისისა განსაზღვრებოდის, ითქმის ზედმიწევნულებად, კაცობრივთა სხეულთათვის შთამომავალად. და სამართლად ქვედმდებარისა მისისაგან ვთქვათ ესევეითარი განსაზღვრებაჲ. ხოლო ოდეს მისებრ, რომლისათვის იჲმარების ესევეითარი ხედვაჲ, ვითარმედ სიმრთელე არს მოურნეობითი — დასასრულისაგან ვიტყვიტ ყოფად განსაზღვრებაჲ ანა ანას. ხოლო ფილოსოფოსობაჲ მარტივისა მქონებელი მხედველობითისა გვარისაჲ, რამეთუ მისთვის და მხოლოესა იქების მეცნიერება საქმეთაჲ, არამცა სხვითა ვიდრემე ქვედმდებარისაგან მიითვალვიდა განსაზღვრებასა და სხვითა დასასრულისაგან, რამეთუ მეცნიერებაჲ ვიეთამე არს მეცნიერებაჲ. ვინაჲცა ერთბამად და ზოგად შემოიღების მეცნიერებაჲ და ვიეთიმე მეცნიერებაჲ. და თანად ქვედმდებარისაგანცა | და დასასრულისა თქვას თუ ვინმე ესევეითარი

⁸⁷ აშიაზე: უღონიერებაჲ.

⁸⁸ აშიაზე: ალქნაჲ.

საზღვარი, არ ცოდოს უფროისღა ერთაგანვე ყოფად. გარნა ნუ
უკვე განთვისებულად სხვათაგან განსაზღვრებათაგან მეტყუელისა
მსგავსებად ღვთისა ძალისაებრ და განსაზღვრებელისა, თუ
რასა შინა არს მსგავსება და მეტყუელისა წურთად სიკუდილისა —
ქვედმდებარისაგან სახელ-სდევს წარმოქმულთა საზღვართა.

ხოლო არს⁸⁹ სხვადაცა განსაზღვრება და ფილოსოფიისა არისტო-
ტელისი, ზესთაღმატებისაგან მისისა სხვათა ზედმიწევნულობათა და
ქელოვნებათა მიმართ მეტყველი: ფილოსოფია არს ქელოვნება
ქელოვნებათა და ზედმიწევნულობა ზედმიწევნულობათა. ფილო-
სოფია, ესე იგი ზედმიწევნულობა ზედმიწევნულებათა, ხედვი-
თად და საქმიითად განყოფილ, რამეთუ ფილოსოფიასაგან⁹⁰ რა-
მელიმე მხოლოდ ზედმიწევნილებითნი, ვითარ-იგი ცნობად თავისა
თვისისა და რომელნიმე — ზედმიწევნულებითნი და მოქმედებითნი,
ვითარ-იგი ცნობად მოსწრაფებისა⁹⁰, ხოლო მოსწრაფებად არს რე-
ცადა ზედმიწევნილებითად შეისწავების მხოლოდ, არამედ მოქმე-
დებითად. საუწყ ესე, ვითარმედ რომელნი მხოლოდ არიან ზედ-
მიწევნილებითნი, აქვს შესწავება ხე|დვითად, და რომელნიცა არიან [234]
ან ზედმიწევნილებითნი და მოქმედებითნი, შესწავებანი მათნი ითქ-
მიან საქმიითად.

განყოფად მხედველობითისა ფილოსოფიასი არს ფისიკად და
ლოლიკად და მეთეფისიკად. საქმიითისა შორის პირველი არს ქვე-
ვითი, რომლითა იქმნების მორატულობა და შეწევნა ყოფისა ქა-
ლაქთა და გოდოლთა და სახლთა. განყოფენ უკვე ამით ფილოსო-
ფიასა ფილოსოფოსნი: ფისიკად, ლოლიკად, მყოფითად და მეთე-
ფისიკად. რომელსა დასდევს სახელი პლატონისაგანთა თეოლოლიად.

საქმარ არს უწყებად ტრფიალთა სწავლისათა, რამეთუ ლო-
ლიკად სწავებს სიტყვასა წარმოჩენილსა, რამეთუ ლოლიკად თქმულ-
თაგან მიიწითომვის ზედმიწევნულებად. ხოლო ამათგანნი, რომელ
არიან ღრამმატიკად და დიოლოტიკად და რიტორიკად და განმსჯე-
ობითი. არიან სიცხადით ჩვენებულ ყოველსა ადგელსა შორის. ჰაზ-
რი ვიდრემე ლოლიკასი არს კშირად წარმოჩენად სიტყვათა. ხოლო
მყოფობითი, ესე იგი ცხოვრებითი, აცნობებს ტრფიალთა სწავლი-
სათა მყოფობითსა მოსწრაფებასა, ესე იგი სათნობასა, რომელი
ფისიკად თქვა წერილმან სათნობითმან არისტოტელის და ეპკლე-

89 აშიაზე: 5. ზესთ აღმატებულებისაგან.
90 აშიაზე: ესე იგი, სათნობად.

[235] სიძის მოძღვრათამან. ჰაზრი უკვე მყოფობითისა არს | ვითა მართლ-
წარმოებაჲ კეთილწადილისა.

ხოლო ფისიკა და მეთეფისიკაჲ სიცხადესა მომცემენ რაჲვე
ბუნებათასა, მაგრა სხვაფერ, რამეთუ ფისიკა გვაჩვენებს გრძნო-
ბითად მყოსა სხეულისაგან და გვაშოვანისა, რომელ არიან მართლო-
ობითნი ნაწილნი, არამედ მეთეფისიკაჲ წარწერს გრძნობითად მყო-
სა — არსებაჲ, სხეული, გვაშოვანი — რომელ არიან ყოვლობითნი.
ფისიკაჲ უკვე განყოფს არსებასა ნითად და სახედ, ესე იგი ვორ-
ცად და სულად. ხოლო მეთეფისიკაჲ განყოფს კაცსა პეტრედ და
პავლედ და სხვა გვაშობად, რომელნი თვის შორის აღმოასრულე-
ბენ სიტყუასა ყოვლობითისასა. მერმეცა ფისიკაჲ ძრვისაგან ბუნე-
ბისა პყრობილი ოთხთაგან დაკავშირებულად, ესე იგი ქვეყანისა-
გან, წყლისა, ჰაირისა, ცეცხლისა, იტყვის მაცხოვრად სხეულსა, და
მიზეზსა არასადა ვის უჩვენებს, თუ რაჲსათვის ოთხთა კავშირთა
არც მეტ და არც ნაკლებ არს სხვაჲ შემწყობ მათი. მაგრა მეთე-
ფისიკაჲმან გვაჩვენა მიზეზი, ვითა გვისწავიეს ღვთისმეტყველებით-
თაგან კავშირთა პლატონურთა და პროკლესმიერთა. თუმცაღათუ
არისტოტელი მოგვცა ფისიკაჲ, რამეთუ ესთა თქვეს მრავალთა, არა-
მედ უფროსდა სამღთომან გრიგორი ნოსელმან, და ოქრონ|ქტარ-
მან ჩემ გონება მზემან იოანე დამასკელმან მარტივმილებანი მოგვ-
ცნეს ჩვენ. ხოლო ლათინთა შორის თომა აქვინელმან მოძღვარმან
და სკოთოს და სხვათა. მეთეფისიკაჲ უზესთაჲს გვაჩვენებს თავსა
თვისსა წიგნსა ღვთისმეტყველებითთა კავშირთასა პროკლესმიერსა
თეოლოლიასა, უმეტეს და უკეთეს. სხვათა თქმულთაგან. ფისიკა⁹¹
და მეთეფისიკა ერთსა და მასვე ჰაზრსა გვაჩვენებენ თვისსა, ესე
იგი შეპყრობაჲ უცთომელთა მყოფთა, ხოლო ჰაზრი ორთავე ერთი
და იგივეა, ვინაჲ სადამე ერთად აქუს გამოკრთომაჲ სიცხადისა.

ხოგთა ვიდრემე სამად განუყვიეს ფილოსოფიაჲ, ესე იგი: ფისი-
კად, ლოლიკად და მყოფობითად, ესე იგი ცხოვრებითად ანუ ქცევი-
თად. ხოლო მეთეფისიკაჲ დადვეს ფისიკასა თანა, არათუ მხოლოდ
ერთისათვის ჰქმნეს ჰაზრისა, რომელი ორთავე იგივე და ერთი აქუს,
რომელ არს უცთომელი პყრობაჲ მყოფთა, არამედ უმეტეს ამის-
თვის, რამეთუ ორნი გვაჩვენებენ ჩვენ რაჲვე ბუნებათა, დაღათუ
სხვა ფერ და სხვა ფერ. მერმეცა ერთსა და მასვე მეცნიერებასა

91 აშიაზე: გაიგონე, იმეცენ, შთაიგებე.

შესაძლო ყოფილ მოგვეცემენ ჩვენ, რამეთუ რაჟამს გონებად ფისიკასა და მეთეფისიკასა კერძობითსა რაჟსავე ბუნებითისამებრ მოძრაობისა ეძიებს, მაშინ არს ზედვად ბუნებითი, რომელა ფისიკად. [237]

ხოლო რაჟამს ამდგომს ზედვად იგი შემდგომად ძიებისა უძრავად და უქმნელად და თქვას ესთა: არა ყოფად ყოვლისა ესთავითანა კერძობითისა, მაშინ არს მეთეფისიკად. ესთა ვიდრემე ძვილ განარჩევად აქუს ურთიერთარს ფისიკასა და მეთეფისიკასა, ვითარმედ ფილოსოფოსნი სიტხადით ძვილ განარჩევენ ზედმიწევნილებასა ვითამე, ფისიკად არს ანუ მეთეფისიკად, ვითა ზედვად გვაშისა და ვნებათა მისთა ზედ-შემოილეს პლატონიკელთა მეთეფისიკასადმი, არამედ შესაძლო არს ზედ-შემოლებად ორთავე. რამეთუ რაჟამს გონებად სხეულსა თანზიარებული მოძრაობისა მიერ, რომელიცა იყოს, თუ გვაშისა ძლით იპყრობდეს გვაშსაცა და ძალთა მისთა, მაშინ ჰყრობად იგი არს ზედვად ბუნებითი, რომელ არს ფისიკად. და რაჟამს იპყრობდეს ყოვლობითად და შეუძრავად ჰყოფს, ესე იგი სარწმუნოდ ჰყოფდეს რა, ვითარმედ ყოველი გვაში ესთა არს სადამე, მაშინ იქმნების ზესთა ბუნებითი, ესე იგი მეთეფისიკად, რომელ არს ნიადაგ შეუძრავ. ხოლო ესთა არიან და იგივე ფისიკად და მეთეფისიკად. ხოლო ზედვად, რომელ არს მეზრ ფისიკასა, არა მეთეფისიკა არს, არამედ ბუნებითი არს, ესე იგი ფისიკად, რამეთუ ფისიკასა მრჩობლ აქუს ნიშნავად: ერთი ვიდრემე ბუნებითსა თანა ზამგან|სადგმელსა რადვესა, და მეორე — სხეულებითსა ანუ გვაშ მოვნებითსა. ყოველი უკვე ზედვად მეთეფისიკასი არს მეზრ ფისიკასა, მაშასადამე, ბუნებითი არს იგი. მაგრა ქვეშარტი მეთეფისიკად არს თეოლოლიად ეკლესიისა მოძღვართა გონება მზეთა ფილოსოფოსთა და არს უაღრეს გონებისა ზედვისაგან სარწმუნოებითისა შესაბყრო.

საქმარ ვიდრემე ცნობად ზედვად იგივე საქმისა სხვის და სხვისამი საზედმიწევნილოსამებრ სხვა და სხვა ფერისა შემოლებისა, ვითარ ზედვად ნათესავისა და სახისა და სხვა ყოვლობითთა ზედ-შემოლებისა მეთეფისიკისადმი. ხოლო მსგავსევე საზღვარნიცა არიან წინდადებისანი საქმარებად დიოლოლტიკისა. ვინად მარტივმეტქეობისაცა შორის მცირედ გარდაიდვა ეგსახედვე ზედვადცა აღდგლისა და ყამისა და სხვათა, რომელნი ათსა შორის მიზეზსა მყო არიან, რომელნიცა ზედ-შემოილებიან ფისიკისადმი. ხოლო ვითარ-იგი არიან საზღვარნი წინდადებისანი საქმარად დიოლოლტიკისა, ლოლიკასი — ზედმიწევნილებად, ხოლო ფისიკად და ლოლიკად და

1239j

მყოფობით, ესე იგი რადევე ქვევით, გარდაცემისა შორის სა-
 ცნარ ერთმანერთისა, რამეთუ სადა-იგი იყვნენ-ლათუ ესენი ურთი-
 ერთარს, დაზავებდით აქუს ყოფად, ვითარ-იგი წინჩამოსაგდებელ-
 სა, რომელ არს ზედმიწევნილებად ლოდიკასი, ფისიკასადმი და მყო-
 ფობითისა პოვნილ. ხოლო თუ სადამე თნებად იყოსმცა ვინ, რათა
 ესენი კიდევან ერთმანერთისა ჰპოოს, ცუდად შვრების იგი. თუმ-
 ცალა ფისიკად უპირველეს სადამე ლოდიკისა. ბუნებაჲ⁹², რომელ
 არს ქვედმდებარე ფისიკასი, უპირველეს არს უპირველესისა. სიტ-
 ყვისა, რომელი ქვედმდებარე არს ლოდიკასი, მაგრა სწავლად ლო-
 დიკასი. ესე იგი სიტყვაობითისა, პირველ იქმნების სწავლისაგან
 ფისიკასა, ესე იგი ბუნებითისა. ხოლო დიოლოლტიკად, რომელ არს
 ზედმიწევნილებად ლოდიკასი, არს ხატი საქმეთა საცნოთა, რამეთუ
 წინჩამოსაგდებელთა მიერ იცნობიან უცნონი. ხოლო რომელიცა
 არა სწავლულ იყოს თუ ჯერეთ გვარსა საცნოთასა, რომელ არს
 ზედმიწევნილებად რადევე, რომელი აღიყვანს ზედმიწევნილებად, ვი-
 თარ უცევე ძალ მისდა აღსლვად სხვათა ზედმიწევნილებათა? მაშა-
 სადამე, ესთა ღირს მესწავლეთა საქიროდ, პირველ ღრამშატიკად
 სწავლად და მერმელა დიოლოლტიკად, ესე იგი მართლსიტყვაობად,
 რომელ არს კატილორიაჲ. ხოლო ჩვენ, ვინათგან შეწევნითა ყოვ-
 ლად წმიდისა და არსთა მამკისა სულისა მადლითა ვინათგან გარ-
 დავდევით, თუ რად არს ფილოსოფიაჲ და | რომელთა შორის განი-
 წვალების იგი, მაშა, აწ თანამდებ ვიქმნენით, რათა ვაჩვენოთ სწავ-
 ლისწინათა, თუ რად არს დიოლოლტიკად და რადსათვის კერძოცი
 არს და არა კერძოჲ ფილოსოფიასი. რამეთუ ლოდიკად არს კერძო
 ძოჲ ფილოსოფიასი, ხოლო დიოლოლტიკად კერძოჲ არს ლოდიკასი.
 მაშასადამე, დიოლოლტიკად არს კერძოცი ფილოსოფიასი, ესე იგი
 არა კერძოჲ ფილოსოფიისა და კერძოსი. ესე კმა ჩვენდა ფილო-
 სოფიისა რაობათა გარდამოცემად.

[240]

რად არს დიოლოლტიკად და რომელთა შორის განყოფის.

თავი 90

იტყვის არისტოტელი მართლსიტყვაობითისაძლითსა შორის:
 დიოლოლტიკა არსო ურთიერთარს მესკოლეთა სიტყვისგებაჲ, რა-

⁹² აშიაზე: ესთა ქვედმდებარედ არს ბუნებაჲ ფისიკას ზედმიწევნილისა,
 ვითა სფეროჲ ასტრონომოსისა.

მეთუ ერთი ვიდრემე იკითხავს და მეორე ნაცვალ-უჯებს. მერმეცა არისტოტელი თქვა: დიოლოტიკა არა მხოლოდ რაძარსობითისა-მებრ არსო საკითხავ, არამედ მერმეცა მებრ ვითარაძარსობითისა. და ესთა სხვანიცა საკითხავნი, რომელთადმი არა შესაბამე „ჰე“ და „არა“, რომელ არიან მოკლსიტყვისებანი განჩემზომობითნი, რამეთუ „ჰე“ არს წართქმად და „არა“ — უკუთქმად. ხოლო რაძარსობითისამებრ არ ეძიებს ერთ-კერძოსა განჩემზომობისასა სიტყვის-მგებელისაგან, რათა ეკმაოდენმეცა მოკლსიტყვისებანი, არამედ ვითარცა არს, სწადნოვს მას, რათა ჰპოვოს ნაცვალთა კითხვისა, განჩემზომობითი ვიდრემე კითხვად არ დაიცილებს მას, რომლისაცა სკოლართაგანისა იქმნა კითხვად, რათა ნებისამებრ მისისა უტევოს, რამეთუ დიოლოტიკად ორსა კერძოსა წინჩამოგდებულ ჰყოფს სკოლართაგანისადმი, რომლისად არს კითხვად ძიებთა ერთისა კერძოსათა ესფერ: სული არს თვითმიძრეკ, უკეთუ არა არს თვითმიძრეკ? ხოლო იგი, რომლისა მიმართ მკითხველსა აქუს კითხვად, ერთსა კერძოსა ამათგანისასა მისიემს სიტხადესა მკითხველსა მას და არ სხვისაცა რაევსა. და რაემს იგ-მკითხველი ორსა კერძოსა განჩემზომობისასა დასდებს მოქმედებით. ესფერ: სული არს თვითმოძრავ. უკეთუ არა არს თვითმოძრავ? მაშინ მას, რომლისად სათანადო არს ნაცვლისებებად, არ ძალ აქუს, რათა ნაცვალ-სცეს: ჰე ანუ არა, რამეთუ არა ცხად იქმს წართქმესა, ნაწილისად არს, ან უკუთქმისად. მაშა, ერთი ეამს მისდა მათგანისა დადებად ესთა: სული არს თვითმიძრეკ ანუ არა არს თვითმიძრეკ? ხოლო რაემს კითხვის მოქმედი ერთსა დასდებდეს კერძოსა მოქმედებით და ერთი იგი კერძოდ ძალით არსუ|ცნობილ, ესფერ: სული არს თვითმიძრეკ? მაშინ მიმგებისდა ძალ, რათა ნაცვალ-სცეს „ჰე“ ანუ „არა“. დიოლოტიკად განსხვავდების წინჩამოსა-გდებელისამებრ. ვითარ წინჩამოსაგდებელი სახისამებრ განწვალუ-ბისა განიყო ოთხად. ეგ სახედ უკვე დიოლოტიკაცა განსხვავდების ოთხად: 1. სილოგიზმოდ. 2. ზედშემოყვანად. 3. მოკლსიტყვაობად, 4. აღმოჩენად. ესე იგი მაგალითით შემოღებად. ხოლო სახენი წინჩამოსაგდებელისანი — სახენი არიან დიოლოტიკასანა, ხოლო წინჩამოსაგდებელნი და წინდადებანი არიან საქმარნი დიოლოტიკისანი. დიოლოტიკად რომელთამე ამტკიცებს და რომელთამე მოსპობს. რამეთუ უკეთუ წინჩამოსაგდებელი დიოლოტიკისი არს სრული სილოგიზმოდ, იქმნების მაშინ შეკრებულ სიტყვაობითი დიოლოტიკად, ხოლო თუმცა სადამე არს ზედშემოყვანებითი წინჩა-

[243]

მოსაგდებელი, არს ზედმემოყვანებითი დიოლოღტიკაჲ. ხოლო თუმა-
ცა სადამე მოკლსიტყვაობითი არს, არს მოკლსიტყვაობითი დია-
ლოღტიკაჲ. ხოლო თუ სადამე აღმოჩენითი არს, არს აღმოჩენითი
დიოლოღტიკაჲ. დადათუ სახენი წინჩამოსაგდებელისანი არიან სა-
ხენი დიოლოღტიკისანი. გარნა არა ერთსა და მასვე ვიცნობთ წინ-
ჩამოსაგდებელსა და დიოლოღტიკასა. ხოლო დიოლოღტიკაჲ არს
სკოლართა ურთიერთარს კითხვა და ნაცულისგებაჲ. და ესვითაჲ
არს სიტყვისგებაჲ. და წოდებულ ატტიყურად დიოლოღტიკაჲ,
რომელი ჩვენსა ზედა კმასა გარდამოიღების — ორსიტყვაობაჲ. და
თუ სადამე წინჩამოსაგდებელი ერთსაგან სკოლარისა იყოს, არა
ორთა მეთქვეობაჲ არს იგი, არამედ ერთთქმაობად შეერაცხეს ესე
ფილოსოფოსთა. ხოლო თუ სადამე დიოლოღტიკოსმან ვინმე ჩა-
მოავდოს შორის ერთი ჩამოსაგდებელი, ითქმის ერთჩამოსაგდებე-
ლად და თუ სადამე ორი, იქმნების მაშინ ორნი ჩამოსაგდებელნი,
და რაოდენნიცა იყვენნა, ეგოდენი ითქმიან ჩამოგდებანი. ერთი
ვიდრემე წინჩამოსაგდებელი არა ითქმის ერთდიოლოღტიკად. და
არცა ორი — ორად დიოლოღტიკად. რამეთუ დიოლოღტიკოსი მრავ-
ალსა წინჩამოსაგდებელსა და მრავალსა წინდადებასა იქელოვნებს.
და რომელნიმე იყუნენ დიოლოღტიკასაშორისნი, გარეიპყრობს მათ.
ამათ უკვე მომცეს სიტყხადე, რამეთუ წინჩამოსაგდებელი და წინ-
დადებამა არიან ვითა დიოლოღტიკაჲ.

[244]

აწ ვიდრემე სხვა იქმნა დიოლოღტიკაჲ ოთხსახედ, რომელ არი-
ან სახენი სახის განწვალვისამებრ წინჩამოგდებულისა. | მერმეცა
სხვა იქმნების დიოლოღტიკაჲ სამსახედ, რომელ არიან სახენი წინ-
ჩამოსაგდებელისანი, ნივთისა განწვალულებისამებრ. და არიან ესენი:
1. აღმოჩენითი, 2. დიოლოღტიკობითი, 3. ზედმიწევნილებითი. აღ-
მოჩენითი დიოლოღტიკა არს, იყოს რა საჭიროდ, ესგვარ: ყოველი
კერძოკი კნინ არს თვისისადმი კერძოსა. გარნა ესე საჭირო უკვე და
შეუძლო არს, რათა არამცა იყოს ესთა. ხოლო დიოლოღტიკობითი
დიოლოღტიკაჲ არს, რომელი შესაძლო იყოს, ესგვარ: ყოველ დე-
დაკაცსა უყვარს ქმარი თვისი. და ესე შესაძლო, მაგრა არა საჭირო.
რამეთუ მრავალნი არიან დედაკაცი, რომელნი მოძულე არიან
ქმრისა. არავის განსრულსა ქმრისაგან უყვარს ქმარი თვისი. ელენე
განვიდა ქმრისაგან მენელაოსა. მაშასადამე, არ უყუარს ელენეს
ქმარი თვისი. ისმინე, გამგონეო, დიოლოღტიკასდა ძალ, რათა და-
გაჯეროს, ვითარმედ ელენეს უყუარს ქმარი თვისი, რამეთუ არს

ცოლი ქმრისა. და ძალ ვიდრემე დიოლოლტიკასდა ესეცა, რათა და გაჯეროს, ვითარმედ ელენე განვიდა ქმრისაგან.

ზედმიწვენილებითი დიოლოლტიკა არს, რომელი იყოს თუ შეუძლოთა, ესგვარ: ყოველი უსხეულოა სული არს და ესე შეუძლო, რამეთუ ეპი-ფანიაცა და ღრამმი და წერტილი და არა რაჲ [245] ვეცა არიან უსხეულო. აწ ვიდრე აღმოჩენითსა წოდებულ მასწავლებლობითო, რამეთუ მოძღვარი მოწაფესა ასწავებს ქეშმარიტსა, ეგსახედვე ხოლო დიოლოლტიკაჲ, რაჲამს სწადნოის ქეშმარიტისა მითესვად მსმენელთადმი, მაშინ აღმოაჩენს საჭიროსა. ხოლო საჭიროა არს ვიდრემე დატყუბილ და დასარწმუნოა და დაურწმუნოა. ხოლო დასარწმუნოა ესგვარ: ყოველი მიზეზოვანი შემდგომ არს თვისისა მიზეზისა. აჰა, იმეცნებოდედ, ვითარმედ ესე არს ესე საჭიროა და დასარწმუნოა. და ურწმუნოა არს ესგვარ: სფეროა არს ზრუნვებულ აღმოსავალით და ესე არს საჭირო. მაგრა არა დასარწმუნებელ მრავალთა. დიოლოლტიკობითსა უკვე წოდებულ საიკვო. ხოლო რაჲამს დიოლოლტიკობითი წადნოას მხოლოდ გამგონისასა მოწონებად ვიდრემე მოწონებულეებასა და სიტყვისგებასა შორის, აგრძალვად აქუს ქეშმარიტისა და ცრუსათვის, არამედ მხოლოდ დასარწმუნოსათვის აქუს ღვწაჲ, რომლისა შორის იკვეულნი წინჩამოსაგდებელნი არიან მრავალ. ხოლო დასარწმუნოა არს დატყუბილ: საჭიროა და არსაჭიროა. საჭირონი ვიდრემე იგინი არიან აღმოჩენითის მტვირთველნი, ესთავგარ: ყოველი არხიერის უმალლქეს არს მისგან, რომელი აქუნდა პირველ, აჰა, ესე [246] დასარწმუნოა და საჭიროა. გარნა საჭიროა, რომელიცა არა ქეშმარიტ დიოლოლტიკაჲ, თუ სადამე არ შემოღებულ ვნებად, ესგვარ: ეპისკოპოსთა ჩვენ შორის კელმწიფებითა განკვეთილ მწვალებელნი და ესე არს საჭირო, რათა მიუდრეკელნი ერეტიკოსნი განიკვეთნენ. გარნა მრავალთადა არა დასარწმუნებელ ესე. ხოლო დასარწმუნოა და არა საჭიროა ესთგვარ: ყოველი მოწაფე მოძღვრისა მორჩილ, — ესე დასარწმუნოა მრავალთა, მაგრა არა საჭიროა არს. ვინაჲცა ითქმის იკვეულობითად, რამეთუ ესთა საგონებელ არს, რათა ყოველი მოწაფე მოძღვრისა იყოს მორჩილ და შესაძლოცა, ვითარმედ ყოველი მოწაფე მოძღვრისა რათა იყოს მორჩილ და შეუძლოცა.

ზედმიწვენილსა წოდებულ მაცთურებითი მიზეზით, ვითარმედ რაჲამს დიოლოლტიკობითი არს, არ-კრძალვად აქუს ყოველ გამგონეთა მოძწონებლობასა. არამედ ამას უკვე წადნოას წინამეწვე-

[247] სათვის სარცხვინოსა და რათა ასპარეზსა შინა უმეცარ გამოაჩინოს, მაშინ არსაპიროდ და დაურწმუნოდ შემოიღოს ვნებად, ესგვარ: შენ, მეფეო, რაფეცა არ წარგიწყმედიეს, გაქეს, — ესე არა საპიროცა და დაურწმუნოდ. ხოლო მომწონებელ ამისა თუ ვინ, იგი ზედმიწევნულა, და არა ზედმიწევნილ, და რომელმან ჰყო წინჩამოვლდება ესე, მაცთურ არს სადამე და წინჩამოვლდებულცა მაცთურებითი არს. მეტქვეობითნი გვისწავაეს და ვიცით ცხადად, ესგვარ:

აღმოჩენილი დიოლოღტიკაა არს მასწაველობითი და საპიროდ და მარად ქეშმარიტი. ხოლო დიოლოღტიკობითი დიოლოღტიკაა არს იქვეულობითი და დასარწმუნოდ, ოდესმე ქეშმარიტ და ოდესმე ცრუა. ზედმიწევნილებითი დიოლოღტიკაა არს მაცთურებითი და დაურწმუნოდ და მარად ცრუა. აწ ვადრემე ჰაზრი აღმოჩენითისა არს დამადგოდ ქეშმარიტისა. ხოლო ჰაზრი დიოლოღტიკობითისა არს. რათა დასარწმუნოდ ჰყოს სიტყვაა თვისი. თუმცა სადამე ქეშმარიტ მეტყველი მეცადნოდ, რათა დასარწმუნოდ ჰყოს სიტყვაა თვისი და მრავალსა წინჩამოსაგდებელსა შეგულისსიტყვასა შემოიღებს ვნებად და მსთვად სიტყვაობითა შემოიღებს შორის სიტყვათა საწადთა და სხვათა, რომელი არა იყოს დიოლოღტიკოსობა, რამეთუ ესთა გვარნი არშეგულისსიტყვან არიან. ხოლო ჰაზრი ზედმიწევნილებითისა არს, რათა მაცთურებით არცხვინოს ვიეთთა.

[248] საუწყა ესე მესწავლეთადმი, რამეთუ აღმოსაჩენითნი ყოველ ადგილსა შორის არიან და მრავალნი ზედმიწევნილებანი შემოღებულ ჰყოფენ მას ვნებად⁹³, ესგვარ: ყოველნი ჯრამზნი წარმოზიდულნი უცხადესისაგან ნიშნისა წერტილისადმი იგივე არიან. ხოლო „ანი“ და „ფა“ ასონი წარმოზიდულ უცხადოსაგან ნიშნისა წერტილისადმი, მამასადამე, სწორ არიან. ესე არიან წინჩამოსაგდებელნი გეომეტრისა ზედმიწევნილთაგან და აღმოსაჩენითი არს და საპიროდ. ეგ-სახედვე ყოველ ფისიკისა ზედმიწევნილებასა რაოდენ-საქმარ წინჩამოსაგდებელი, აღმოჩენითითა, ესე იგი მაგალითთ შემოღებითა, წინ-ჩამოუგდებს. ხოლო ჰაზრი ფისიკისი არს უკთონელ ჰყობაა მყოფთა.

⁹³ აშიაზე: სადაცა ესთა ადგილსა იხილო ვნებად წოდება, საქმის შემოღებად გაიგონე, მკითხველო.

ეგფერვე სხვანიცა ზედმიწევნილებანი აღმოჩენითთა შემო-
ლებენ ვნებად, ხოლო ზედმიწევნილობიანი ადგილნი არ სპირო-
ნი და არცა დასარწმუნონი არიან, არამედ მაცთურნი. ესენი ითქვ-
ნეს თვისსა ადგილსა. ხოლო დაოლოლტიკობითნი ადგილნი არა
არიან ყოვლითურთ სპიროდ სიტყადესა მომცემნი, მაგრა არიან
დასარწმუნონი, და ესე ქვეშე ამისა გარდაედეით.

ჩაოდენნი არიან ადგილნი დიოლოლტიკასანი. თავი 91

| პერიპატოსა სკოლართა გვასწავებს: ადგილი არსო კათედრად; [249]
რომლისა შორის დამტიკებულად შეისწავების წინამოსაგდებელი
იგი, ანუ თუ ადგილი არს, რომელი აჩვენებდეს წინამოსაგდებელი-
სა ჭეშმარიტებასა, ესეგარ: შური ბოროტ არს, მაშასადამე, მე-
შურნე ბოროტ არს. ვინაეცა ადგილი თურე არს აღმატებული სა-
ხელისაგან, მაშა, ღირს აქა, რათა ჰყო წინამოსაგდებელი მტიკეც,
განმაქეშმარიტებელი წინამოსაგდებელისა. ხოლო რავეცა შესა-
ბამ აღმატებულისა, მასვე ვჰყოფთ შესაბამად განზრქელებული-
საცა. აწ ვიდრემე მან რომელმანმე მესკოლემან წინ-ჩამოიგდო, ვი-
თარმედ: შური ბოროტ არს. მაშასადამე, მეშურნე ბოროტი არს.
ხოლო ვისაცა იქმნა წინამოგდებამ იგი, ეტყვის მოქმედსა წინ-
ჩამოგდებისასა. სადგან არსო ადგილი, ესე იგი სადგან არსო და-
მტიკეცებამ ესე, ვითარმედ შური ბოროტ იყოსმცა და მეშურნიცა
ბოროტი იყოს? მაშინ იტყვის მისდა წინამომგდებელი: ადგილი
არსო აღმატებულისაგან. მერმეცა ჰრქვას-ვე მან, რომლისაგამი იქმნა
წინამომგდებამ, მიეც მარტივად დიდი წინამოსაგდებელი. რომლითა
განჭეშმარიტდეს და სიტყადე მიეტეს წინამოსაგდებელსა შესა, | [250]
მაშინ წინამოსაგდებელი იგი მისცემს, წინამოსაგდებელისა ამის
მეტყველი: რომელი შესაბამ აღმატებულისა, იგივე შესაბამ გან-
ზრქელებულისაცა. აქა სიტყადე მიეცა, რამეთუ ადგილი არს სა-
დამე მამყო მტიკედ წინამოსაგდებელისა. აწ ვიდრემე რომელ-
თამე ზოგს-რე წოდებულ ზემოა. ხოლო ზოგს-რე ქვემოა: ზემოა,
ვითარ წინასწარმეტყველებამ და ქვემოა, ვითარ წინასწარმეტყვე-
ლი. ხოლო აღმატებული დაუზევდების სადამე განზრქელებულსა,
რამეთუ არა შესმენილ მის მიერ. ხოლო წინ-ჩამოიგდებისა. ესეგარ:
ქალწულებამ დიდებულ, მაშასადამე, ქალწული დიდებულ. ვინა-
ცა სიტყადე არს ჩვენდა, ვითარმედ ადგილი არს აღმატებულისა-
გან. მიეტეს დიდი წინამოსაგდებელი თქმულსა, ვითარმედ რავე

შესაბამ აღმატებულისა, იგივე შესაბამ განზრქელებულისა. აქა ადგილი იგი იყო აღმატებულისაგან, რომელი წოდებულ ზემო ადგიდ. ხოლო რაჟამს-იგი ადგილი იყოს რაა განზრქელებულისაგან, რომლისა წოდებულ ქვემო, ესე არს ესე წინჩამოსაგდებელი ამისი: ქალწული დიდებულ, მამასადაამე, ქალწულებაა დიდებულ. აჰა, სი-ცხადე ჩვენდა, რამეთუ ამით ადგილი განზრქელებულისაგან იქმნა.

[251] შიეცეს უმეტეს დიდი წინჩამოსა|ჯდებელი თქმულსა მას, რაჟვეცა შესაბამ აღმატებულისა, იგივე შესაბამ განზრქელებულისა. ადგილი ვიდრემე განწინამსრბოლისა, და განციდურ-მამდგოისა სახელ-დადებულ და არა განმდევრისა და არცა განციდურ-მდგმოობითისა. 'ხოლო რაჟამს აღმატებულისაგან იყოს რა, მაშინ აღმატებული იქმნების წინამსრბოლ. ხოლო განზრქელებული მდევარ აღმატებულისა, ესგვარ: კეისრობაა სარგებელ, მამასადაამე, კეისარი სარგებელ. აქა სადაამე აღმატებული სიცხადით იმეცნების, ვითარმედ იქმნა წინამსრბოლ. ვინაჲ კითხულისა მისთვის: სადაგან არსო ადგილი? და ითქმისო: აღმატებულისაგან. მიეცეს უმეტეს დიდი წინჩამოსაგდებელი თქმულსა მას, ვითარმედ: რაჟვეცა შესაბამ აღმატებულისა, იგივე შესაბამ განზრქელებულისა. რაჟამს-იგი იყოს რაა განზრქელებულისაგან, მაშინ წინამსრბოლი იქმნეს განზრქელებული და მდევარ — აღმატებული განზრქელებულისა, ესგვარ: კეისარი სარგებელ; მამასადაამე, კეისარობაა სარგებელ. აქა სადაამე იმეცნების სიცხადით, ვითარმედ განზრქელებული იქმნა წინამსრბოლ, ხოლო აღმატებული — მდევარ, აქა ვიდრემე თუმცა წინამსრბოლ განზრქელებული, მაგრა მის მიერ მოილო ადგილი, ესე იგი აღმატებულისაგან.

[252]

მერმეცა ადგილთა ზოგთამე წოდებულ საშუალო გინა შინაგანითი, და ზოგთამე — გარეგნითი. აწ უკვე წინამსრბოლსა და მდევარსა მისსა ერთბამად მყოფობით საშუალ ადგილნი ეწოდების, ვითა ქალწული და ქალწულებაჲ. ხოლო თუ სადაამე ქალწული იყოსმცა წინამსრბოლ, იყოს ქალწულებაჲ მდევარ; ანუ ქალწულებაჲ წინამსრბოლ და ქალწული მდევარ — საშუალ ადგილნი ეწოდოსთ. რამეთუ ქალწული და ქალწულებაჲ არ არიან გარეგნით ერთმანერთისა, არამედ ერთბამად არიან მყო მარად. ეგფერვე კეისარი სარგებელ, მამასადაამე, კეისარობაა სარგებელ. აქა სადაამე სხვანი ერთბამად არიან. ხოლო თუ სადაამე წინამსრბოლი და მდევარი ურთიერთარს გარეგნით იყუნესმცა, ეწოდების მათ ადგილი გარეგნითი, ვითა ქალწული და უქალწულოჲ, ანუ კეისარი და

სოლდათი. და ესთა სხვანი გარეგნითნი ურთიერთარს. ხოლო წინ-
ჩამოიგდების ესთა: ათინაიდა ქალწულ არს, მაშასადამე, ათინაიდა
არა უქალწულოა არს. არს უკვე აქა ადგილი წინააღმდეგობითი.
მიეცეს უმეტეს დიდი წინჩამოსაგდებელი დადებად ერთისა წინა-
აღმდეგოსა, | რომლითა მოისპობის მეორე.

[253]

აწ უამი წინაშე ჩვენსა, რათა განვპყოთ ადგილნი დიოლოლტი-
კობითნი. რაოდენმე თავოანად, რომელი წარწერეს პერიპატოსგამოთა
პყრობად ყოველთა დიოლოლტიკობითთა ადგილთა. ხოლო პირველ
ღირს ჩვენდა თქმად ადგილნი საშუალნი და მერმელა ადგილნი გა-
ჩეგნითნი.

1. ადგილნი ვიდრემე შინაგნითნი — ესე იგი საშუალნი, ანუ შორისნი — არიან საზღვრისაგან და საზღვრებითისა.
2. სწორმეთქვეობისაგან და სწორმეთქვეობითისა სახელისა.
3. ყოვლადისაგან და კერძოსა.
4. მიზეზისაგან და მიზეზობითისა.
5. ქმნილებისაგან და ქმნილებითისა.
6. ხრწნილებისაგან და ხრწნილებითისა.
7. საქმისშემოღებისაგან და საქმის შემოღებითისა.
8. განმზიდველობისაგან და მდევრობითთა შემთხვევითთა.
9. აღმატებულთაგან და განზრქელებულთა სახელთა.

რომელნი არიან ადგილნი საზღვრისა და საზღვრობითისანი.
თავი 92

| თქვა⁹⁴ არისტოტელისგამომან სიბრძნემან: ადგილი არსო
საზღვრისაგან, რამეთუ საზღვარი იქმნების წინამსროლ და სა-
ზღვრებითი მდევარ. ხოლო ადგილსა ამას მოჰქონან ოთხნი ჩამო-
გდებანი და ოთხნი უდიდესნი წინჩამოსაგდებელნი: 1. პირველი
არს ვიდრემე, ესე არს ესე, რომლისა შორის საზღვარი გაქვემდე-
ბარდეს წართქმით, რომლისა მავალითი ესე არს: ჩამომგდებელი რა
წადნოდეს, რათა მტკიცედ ჰყოს წერაჲ კაცისა, ხოლო ჩამოაგდებს,
ესგვარ: გვამოვანი, გონების და კელოვნების მიმთვალველი, წერს,
მაშა, ადგილი საზღვრისაგან არს. მიეც დიდი წინდადებაჲ, რათა
მტკიცე იქმნეს ჩამოსაგდებელი, ესგვარ: რომელი შეისმინების
საზღვრისაგან, შეისმინოს საზღვრობითისაგანცა. 2. არს ვიდრემე
ესე, რომლისა შორის საზღვარი შეისმინების წართქმით, ვითარ-იგი

[254]

⁹⁴ აშიაზე: თავი არს 1.

ჩამომგდლებს მექმი წადნოოდეს, რათა მტყიცე ჰყოს, ვითარმედ პეტრე არს კაცი, ხოლო ჩამოიგდების, ესგვარ: პეტრე არს მგრძნობელი. ორფერკი, სიტყვიერი, მაშასადამე, პეტრე არს კაცი. აჰა, სიტხადე მოგვეცა ჩვენ, ვითარმედ ადგილი არს საზღვრისაგან. მიეც უკვე დიდ ჩამოსაგდებელი, რომლისად შეისმინოს საზღვარი იგი, რომლისაგან შეისმინების | საზღვრებითიცა. 3. არს ვიდრემე, რომლისა შორის გაქვემდებარდების უკუთქმით, ესგვარ: მგრძნობელი, ორფერკი. სიტყვიერი არა წერს, მაშასადამე, კაცი არა წერს. აჰა, სიტხადე ჩვენდა, რამეთუ არს ადგილი საზღვრისაგან. მიეც უკვე უმეტესი ჩამოსაგდებელი, ესგვარ: რომელი რადვეცა მოიძპოს საზღვრისაგან, მოიძპოს საზღვრებითისაგანცა. 4. არს ვიდრემე, რომლისა შორის საზღვარი იგი შეისმინების უკუთქმით, ესგვარ: ოქროდ არა არს მგრძნობელი, ორფერკი, სიტყვიერი, მაშასადამე, არა არს კაცი. აჰა, სიტხადე ჩვენდა, რამეთუ არს ადგილი საზღვრისაგან. მიეც უკვე სიტხადე, რომლისაგან მოიძპოს საზღვარი. მოიძპოს საზღვრებითიცა, ადგილი ვიდრემე არს საზღვრებითისაგან, რამეთუ საზღვრებითი იქმნების წინამსრბოლ, ხოლო საზღვარი — მდევარ. მოჰქონან უკვე ადგილსა ამას ოთხნი წინამოსაგდებელი: 1. არს ვიდრემე, რომლისა შორის საზღვრებითი გაქვემდებარდების წართქმით, ესთავარ: კაცი წერს, მაშასადამე. მგრძნობელი, სიტყვიერი, ორფერკი წერს. აჰა, სიტხადე მოგვეცა ჩვენ, ვითარმედ არს ადგილი საზღვრებითისაგან. მიეც უკვე სიტხადე, რომელი რადვეცა შესმენილ საზღვრებითისაგან, შესმენილ საზღვრისაგანცა. 2. არს ვიდრემე, რომლისა შორის არს საზღვრებითი შესმენილი წართქმით, ესგვარ: პეტრე არს კაცი, მაშასადამე, პეტრე არს მგრძნობელი. ორფერკი, სიტყვიერი. აჰა, სიტხადე მოგვეცა ჩვენ, ვითარმედ არს ადგილი საზღვრებითისაგან. მიეც უკვე სიტხადე, რომლისაგან შესმენილ საზღვრებითი, შესმენილ საზღვარიცა. 3. არს ვიდრემე, რომლისა შორის გაქვემდებარდების საზღვრებითი უკუთქმით, ესგვარ: კაცი არა წერს, მაშასადამე, მგრძნობელი, ორფერკი, სიტყვიერი არა წერს: აჰა, სიტხადე მოგვეცა ჩვენ, ვითარმედ არს ადგილი საზღვრებითისაგან. მიეც უკვე სიტხადე, რომელი რადვეცა მოიძპოს საზღვრებითისაგან, მოიძპოს საზღვრისაგანცა. 4. არს ვიდრემე, რომლისა შორის საზღვრებითი არს შესმენილ უკუთქმითა, ესგვარ: ოქროდ არა არს კაცი, მაშასადამე, ოქროდ არა არს გვამოვანი, ორფერკი, სიტყვიერი. აჰა, სიტხადე მოგვეცა ჩვენ, ვი-

[255]

[256]

თარმედ არს ადგილი საზღვრებითისაგან. მიეც უკვე სიცხადე: რომლისაგან მოისპოს საზღვრებითი, მოისპოს საზღვარიცა.

| რომელინი არიან ადგილნი სწორმეტქვეობისა და სწორმეტქვეობითისგან-სა სახელისა. თავი 93

[257]

არისტოტელი⁹⁵ ასწავლის: სწორმეტქვეობაჲ მჩობლ არსო: გარემოქცევადი და რომელიცა არა გარე-მოიქცევეს, მსგავს სწორმეტქვეობითისა, ვითა ითქვა რა გეომეტროსი, ითქვა სწორ და გარემოქცია, რამეთუ არა ყოველნი მეცნი მხოლოდ ღრამშისა გეომეტროსი არს, არამედ ველოვანთა ეპიფანიათა და სხეულთა და ესგვართა ზომისა. არს ვიდრემე, რომელიცა გარემოქცევის ესთა: სიბრძნისმოყვარე. სწორ ითქვა, მაგრა გარემოქცია, ესთა: მოყვარე სიბრძნისა სიბრძნისმოყვარე არს და სიბრძნისმოყვარე მოყვარე სიბრძნისა არს, ხოლო მოყვარე სიბრძნისა სიბრძნისაგან არს სიბრძნისმოყვარე. აწ უკვე, რომელი არა გარემოქცეოლის, დამგდე ვექმნეთ. აჲ ვიდრემე მოსავსენ არს გარემოქცეოითი სწორმეტქვეობაჲ. არს ვიდრემე ადგილი სწორმეტქვეობისაგან. რამეთუ სწორმეტქვეობაჲ იგი იქმნების წინამსრბოლ და სწორმეტქვეობითი — მდევარ. ხოლო ადგილსა | ამას მოაქუს ოთხნი ჩამოგდებანი და ოთხნი უყოვლითურთესნი წინჩამოსაგდებელნი: 1. არს ვიდრემე, რომლისა შორის სწორმეტქვეობაჲ გაქვემდებარდებოდეს წართქმით, ესთა: მოყვარე სიბრძნისა კელოვნებს, მასშასადამე, სიბრძნისმოყვარე ველოვნებს. აჲ, სიცხადე მოგუცა ჩვენ, ვითარმედ არს ადგილი სწორმეტქვეობისაგან. მიეც უკვე სიცხადე, რომელი რაჲვეცა შესმენილ სწორმეტქვეობისაგან სახელისა, შესმენილ სწორმეტქვეობისაგანცა. 2. არს ვიდრემე, რომლისა შორის სწორმეტქვეობაჲ შეისმინების წართქმით. ესგვარ: სოკრატი არს მოყვარე სიბრძნისა. მასშასადამე, არს სიბრძნისმოყვარე. ვინაჲცა არს ადგილი სწორმეტქვეობისაგან, მიეც სიცხადე ამას, რომლისაგან შესმენილ სწორმეტქვეობაჲ, შესმენილ სწორმეტქვეობითიცა. 3. არს ვიდრემე, რომლისა შორის სწორმეტქვეობაჲ იგი გაქვემდებარდებოდეს უკუთქმით, ესგვარ: მოყვარე სიბრძნისა არა არს უკელოვნოჲ. მასშასადამე, სიბრძნისმოყვარე არა არს უკელოვნოჲ. ვინაჲცა არს ადგილი სწორმეტქვეობისაგან. მიეც უკვე სიცხადე, რომელი რაჲვეცა მოსპობილ სწორმეტქვეობისაგან, მო-

[258]

[259] სპობილ სწორმეთქვეობითისაგანცა. 4. არს ვიდრემე, რომლისა შორის სწორმეთქვეობაჲ იგი შეისმინების უკუთქმით, ესგვარ: უწვრთოდ სიკუდილისა არა არს მოყვარე სიბრძნისა. მაშასადამე, უწვრთოდ სიკუდილისა არა არს ფილოსოფოს, ესე იგი სიბრძნის-მოყვარე. ვინაჲცა ცხად, რამეთუ არს ადგილი სწორმეთქვეობისა-გან მოეც უკვე სიცხადე: რომლისაგან მოსპობილ სწორმეთქვე-ობაჲ, მოსპობილ სწორმეთქვეობითიცა. სწორმეთქვეობითისა არს ადგილ, სწორმეთქვეობაჲ რა წინამსრბოლ იყოს, ხოლო სწორმე-თქვეობაჲ — მღევარ: მოჰქონან უკვე ადგილისა ამას ოთხნი ჩამო-საგდებელნი და ოთხნი წინჩამოსაგდებელნი: 1. არს ვიდრემე, რომ-ლისა შორის სწორმეთქვეობითი გაქვედმდებარდებოდეს წართქმით, 2. არს ვიდრემე, რომლისა შორის სწორმეთქვეობითი შეისმინოს წართქმით. 3. არს ვიდრემე, რომლისა შორის სწორმეთქვეობითი გაქვედმდებარდებოდის უკუთქმით, 4. არს ვიდრემე, რომლისა შო-რის სწორმეთქვეობითი შეისმინოს უკუთქმით.

ესე ადგილთათვის სწორმეთქვეობის და სწორმეთქვეობითისათა კმა ჩვენდა გარდამოცემად.

[260] | რაოდენნი არიან ალაგნი ყოვლისაგან და კერძოსაგან.
თავი 94

ექვსად⁹⁶ განწვალა პერიპატოსა სიბრძნემან ადგილი:

1. ყოვლობითისა ყოვლადისაგან და ყოვლობითისა კერძოსაგან.
2. ყოვლითურთობითის ყოვლადისაგან და ყოვლითურთობითის კერძოსაგან.
3. ყოვლობითისა ნიშანის ყოვლადისაგან და თანშეკრებულთა-გან კერძოთა.
4. ზედაუდებელითისა ყოვლისაგან და ზედდადებულებითის კერ-ძოსაგან.
5. ადგილობითის ყოვლადისაგან და ადგილობითის კერძოსაგან.
6. ჟამითისა ყოვლისაგან და ჟამითის კერძოსაგან.

1. ადგილი არს ყოვლობითისა ყოვლადისა ანუ ნათესავისაგან, რამეთუ ყოვლობითი რა ყოვლადი იქმნეს წინამსრბოლ, ხოლო სახე, ანუ ყოვლობითი კერძოჲ, მღევარ. და არს ესე მარად უკუ-

⁹⁶ აშიაზე: თავი არს 3.

თქმით, ესგვარ: ქვაა არა არს მშენიველი, მაშასადამე, ქვაა არა არს კაცი, ვინა ცხად სადამე, ვითარმედ ყოვლობითისა ყოვლისაგან, ანუ ნათესა ცხისაგან. მიეც უცხადესობაა: აღვოცა ყოვლობითისა ყოვლისა, აღვოცოს კერძოსაცა მისისა. ადგილი ვიდრემე ყოვლობითისა კერძოსაგან, ესე იგი ყოვლობითისა სახისა არს, ესგვარ: რამეთუ სახე ყოვლობითი იქმნების წინამსრბოლ, ხოლო ყოვლობითი ყოველი, ანუ ნათესავი — მღევარ. და ესე მარად არს წართქმით. და აქუს ორი ჩამოსაგდებელი: 1. არს ვიდრემე, რომლისა შორის ყოვლობითი სახე გაქვედმდებარდების, ესგვარ: კაცი წერს, მაშასადამე, მშენიველი წერს. ვინა ცხად სადამე, ვითარმედ სახისაგან. მიეც უცხადესობაა: რომელი რაფეცა შესმენილ ყოვლობითისაგან კერძოსა, ესე იგი სახისა, შესმენილ მისისა ყოვლადისაგანცა, ესე იგი ყოვლისა. 2. არს ვიდრემე, რომლისა შორის სახე, ანუ ყოვლობითი კერძოა, შეისმინების ესგვარ: პეტრე არს კაცი, მაშასადამე, პეტრე არს მშენიველი. ვინა ცხად სადამე, ვითარმედ სახისაგან. მიეც უცხადესობაა: რომლისაგანცა შესმენილ სახე, შესმენილ მისგანვე ნათესავიცა მისი.

[261]

2. ადგილი არს ყოვლითურთობითის ყოვლისაგან, რამეთუ ყოვლითურთობითი ყოველი იქმნების წინამსრბოლ, ხოლო კერძონი მისნი — მღევარ. და ესე მარად არს წართქმით. ესგვარ: | ეკლისია არს, მაშასადამე, კედელნიცა არიან. ვინა ცხად სადამე, ვითარმედ ყოვლითურთობითისა ყოვლისაგან. მიეც უცხადესობაა: დადებულ რაა ყოვლითურთობითი ყოველი, დადებულ კერძონიცა მისნი. ადგილი ვიდრემე ყოვლითურთობითისა ყოვლისაგან არს. რამეთუ ყოვლითურთობითი კერძოა იქმნების წინამსრბოლ, ხოლო ყოვლითურთობითი ყოველი — მღევარ. და არს ესე მარად უკუთქმით: კედელნი არა არიან, მაშასადამე, არცა ეკლისიაა არს. ვინაიცა ცხად სადამე, ვითარმედ არს ყოვლითურთობითისა კერძოსაგან. მიეც უცხადესობაა: ხრწნაა ყოვლითურთობითისა კერძოსა ხრწნის ყოვლადობითაცა კერძოსა.

[262]

3. ადგილი არს ყოვლობითისა ნიშნისა ყოვლისაგან, რამეთუ ყოვლობითისა ნიშნისაგან იქმნების ყოვლადი, ესე იგი, ყოველი — წინამსრბოლ, ხოლო კერძოა მისი — მღევარ წართქმითცა და უკუთქმით. წართქმით ვიდრემე ესგვარ: ყოველი კაცი წერს, მაშასადამე, პეტრე წერს. ვინაიცა ცხად სადამე, ვითარმედ ყოვლობითისა ნიშნისა ყოვლადისაგან. მიეც უცხადესობაა: რომელი რაფეცა შესმენილ ყოვლობითისა ნიშნისა ყოვლისაგან, ყოველობითითიც შეს-

[263] მენილ თითოთაგანცა კერძოთა მისთა. ხოლო უკუთქმით, | ესგვარ: არაინ წერს, მაშასადამე, პეტრე არა წერს. ვინაეცა ცხად სადამე, ვითარმედ ყოვლობითისა ნიშნისა ყოვლისაგან. მიეც უცხადესობაჲ: რომელი რაჲვეცა მოსპობილ ყოვლობითისა ნიშნისა ყოვლისაგან, მოსპობილ ყოველთაგანცა კერძოთა მისთა. თანშეკრებულთა კერძოთაგანი ვიდრემე აღგილი ესე არს ესე, რამეთუ თანშეკრებულნი კერძონი იქმნებიან წინამსრბოლ, ხოლო ყოვლობითისა ნიშანი ყოვლადი — მღევარ. და ესე წართქმითცა არს და უკუთქმით. წართქმით ვიდრემე ესგვარ: პეტრე წერს, იოანე წერს, და სხვა ყოველნი თანმოსახენი მათნი წერენ, ვინაეცა ცხად სადამე. ვითარმედ თანშეკრებულთაგან კერძოთა. მიეც უცხადესობაჲ. რომელი რაჲვეცა შესმენილ თანშეკრებულთაგან კერძოთა, შესმენილ ყოვლადისაგანცა მათისა. ხოლო უკუთქმით ესგვარ: სოკრატე არმკვივან. პლატონ არმკვივან და სხვანი თანმოსახენი ამათნი არმკვივან. მაშასადამე, არაინ კაცი მკვივან. ვინაეცა ცხად სადამე, ვითარმედ თანად შეკრებულთაგან კერძოთა. მიეც უცხადესობაჲ: რომელი რაჲვეცა მოსპობილ თანშეკრებულთაგან, მოსპობილ ყოველთაგანცა კერძოთა მისთა. ზედდადებული ყოვლადი ესე არს ესე. რომლისა

[264] შორის არა | რაჲვე იყოს ზედდადებულეზა, ესგვარ: კაცი, ანუ მწვინველი, ხოლო ზედდადებული ესე არს ესე: ვარსკულავთმრიცხუელი კაცი ანუ გეომეტროსი კაცი, ვარსკულავთმრიცხუელი მწვინველი, გეომეტროსი მწვინველი.

4. აღგილი არს ზედდაუდებელისა ყოვლადისაგან. ზედდაუდებელი რა იქმნეს წინამსრბოლ, ხოლო ზედდადებული — მღევარ და ესე მარად არს უკუთქმით, ესგვარ: ვეფხი არა არს კაცი. მაშასადამე, არა არს ჭრელეზულ კაცი. ვინაეცა ცხად სადამე. ვითარმედ ზედდაუდებელიცა ყოვლადისაგან არს. მიეც უცხადესობაჲ: აღვოცაჲ. ესე იგი მოსპოლვაჲ ზედდაუდებელისა ყოვლადისა. აღვოცეს კერძოსაცა მისთა. ზედდადებულთაგანი კერძოსაგანი აღგილი ესე არს ესე, რამეთუ კერძოთა იქმნებიან ზედდადებული წინამსრბოლ. ხოლო ზედდაუდებელი ყოვლადი — მღევარ. და ესე მარად წართქმით არს. ხოლო აქუს ამას ორნი ჩამოსაგდებელნი: 1. არს ვიდრემე, რომლისა შორის ზედდადებული კერძოთა გაქვედმდებარდების. ესგვარ: ვარსკულავთმრიცხუელი კაცი წერს, მაშასადამე, კაცი წერს.

[265] ვინაეცა ცხად სადამე, ვითარმედ ზედდადებულთაგან კერძოსა. მიეც უცხადესობაჲ: რომელი რაჲვეცა შესმენილ ზედდადებულთაგან

გან კერძოსა, შესმენილ უზედდადებულისაგანცა ყოვლადისა. 2. არს ვიდრემე, რომელი შორის ზედდადებული კერძოა შეისმინების, ესგვარ: აპოლონ არს ვარსკულავთმრიცხველი, მაშასადამე, აპოლონ კაცი არს. მიეც კვალად უცხადესობაჲ: რომლისად შეისმინებინ ზედდადებული კერძოა, მისდავე შესმენილ ყოვლადიცა მისი.

5. ადგილობითი ყოვლადი ნიშნავს ყოველსა ადგილსა, ხოლო ადგილობითი კერძოა — თვითოსა ადგილსა. ადგილი ადგილობითისა ყოვლადისაგან არს, ადგილობითი რა ყოვლადი იქმნას წინამსრბოლ. ხოლო ადგილობითი კერძოა — მდევარ. და არს ესე წართქმით და უკუთქმით. წართქმით უკვე, ესგვარ: ღმერთი არს ყოველსა შორის ადგილსა, მაშასადამე, არს აქა. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ ადგილობითისაგან ყოვლადისა არს. მიეც უცხადესობაჲ; რაჲვეცა შესაფერ ადგილობითისა ყოვლადისა. შესაფერ ადგილობითისაცა კერძოა. ხოლო უკუთქმით ესგვარ: სატანაჲ არა ყოველსა ადგილსა არს, მაშასადამე, არა აქა არს⁹⁷. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ ადგილობითისაგან ყოვლადისა. მიეც უცხადესობაჲ: რაჲვეცა აღიჯოცოს თუ ადგილისაგან ყოვლადისა, აღჯოცილ მყის ადგილისაგანცა კერძოა. ადგილობითისა კერძოსაგან არს ადგილი, ადგილობითი რა კერძოა იქმნას წინამსრბოლ, ხოლო ადგილობითი ყოველი — მდევარ. და ესე მარად უკუთქმაჲ არს, ესგვარ: ჰველი არა არს აქა, მაშასადამე, არა არს ყოველსა შინა ადგილსა. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ ადგილობითისაგან არს კერძოსა. მიეც უცხადესობაჲ: რაჲვეცა არშესაფეროა არს ადგილობითისა ყოვლადისა.

[266]

6. ჟამითი ყოვლადი არს უკვე ყოვლობაჲ ჟამისა. ესგვარ: მარად და არაოდეს. კერძოა ჟამითი ნიშნავს ერთსა ჟამსა და არა ყოველსა. ადგილი ჟამითისა ყოვლადისაგან არს, ჟამითი რაჲ ყოვლადი იქმნეს წინამსრბოლ. ხოლო ჟამითი კერძოა — მდევარ. და ესე მარად წართქმითცა არს და უკუთქმით. წართქმით უკვე ესგვარ: ღმერთი არს მარად, მაშასადამე, აწცა არს. ვინაჲ ცხად სადამე, ვითარმედ არს ჟამითისაგან ყოვლადისა მიეც უცხადესობაჲ: რომელი რაჲვეცა შესაფერ ჟამითისა ყოვლადისა, შესაფერ ჟამითისაცა კერძოსა. ხოლო უკუთქმით ესგვარ: აპოკენტავროა არაოდეს არს, მაშასადამე, არცა დღეს არს, ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს ჟამითისაგან ყოვლადისა. მიეც უცხადესობაჲ: რაჲვეცა აღჯოცილ ყოვლადისაგან ჟამითისა, აღჯოცილ კერძოსაგანცა მისისა.

[267]

⁹⁷ ამოაზე: ძალითა ჯვარისათა არა ჩვენ თანა არს სატანა, უკეთუ არა ნებსით მოვაწვივეთ იგი ჩვენდა.

ჟამითისა კერძოსაგან არს ადგილი, ჟამითი კერძოა რა იქმნეს წინამსრბოლ. ხოლო ჟამითი ყოვლადი — მღევარ. და ესე მარად არს უკუთქმით, ესგვარ: იპოკენტავროა არა არს ღღეს, მაშასადამე, იპოკენტავროა არა არს მარად. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ ჟამითისაგან არს კერძოსა. მიეც უცხადესობაჲ: რაჲვეცა შესაფერ ჟამითისა კერძოსა, შესაფერ ყოვლადისაცა მისისა. ესე კმა ჩვენდა გარდამოცემად აწინდელისა სიტყვითისა კელოვნებასა.

რომელნი არიან ადგილნი ანუ რაოდენ მიზეზისაგან და მიზეზობითისა. თავი 95

X არისტოტელითაჲ ფილოსოფოსთა ოთხი თქვეს თვითობაჲ მიზეზისა, რომელ არიან: 1. შემოქმედებითი, 2. ნივთებითა, 3. ნაკვეთობითი, ესე იგი გვარობითი, 4. დასასრულებითი. ამათ უკვე თითოეულთა მოჰქონან მიზეზობითნი თვისნი. ხოლო ადგილნი არიან რვანი: ოთხნი უკვე მიზეზისაგან და ოთხნი მიზეზობითისაგან. [268] თვითო ვიდრემე მიზეზი იქმნების — წინა მსრბოლ და მიზეზობითი მისი — მღევარ. ხოლო მერმეცა გარემოქცევით თვითოა მიზეზობითი იქმნების წინამსრბოლ და მღევარ მიზეზი მისი.

X არს უკვე ადგილი შემოქმედებითისა მიზეზისაგან: ალგებითი და დარღვევითი. ალგებითი ვიდრემე ესგვარ: რომელმან წარმართა სკოლაჲ, არს კეთილ, მაშასადამე, სკოლაჲ არს კეთილ. ხოლო დარღვევითისა ხედვაჲ ესთა: რომელმან სწამლოს, არა კეთილ არს, მაშასადამე, წამლვაჲ არა კეთილ არს. ვინაცა ცხად არს სადამე, ვითარმედ არს შემოქმედებითისაგან. მიეც უცხადესობაჲ: უკეთუ შემოქმედებითი მიზეზი არს კეთილ, შემოქმედებითი მიზეზობითიცა არს კეთილ. ხოლო უკეთუ შემოქმედებითი მიზეზი არა არს კეთილ, შემოქმედებითი მიზეზობითიცა არა არს კეთილ. არს უკვე ადგილი შემოქმედობითისაგან მიზეზობითისა: ალგებითი და დარღვევითი. ალგებითისა ხედვაჲ ესთა: სკოლაჲ არს კეთილ, მაშასადამე, რომელმან ალაგო იგი, კეთილ არს ხოლო დარღვევითისა ხედვაჲ ესთა: წამლვაჲ არა არს კეთილ, მაშა, რომელმან ქმნა იგი, არა არს კეთილ. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს შემოქმედებითისა მიზეზობითისაგან. მიეც უცხადესობაჲ: უკეთუ საქმეჲ კე-

თილ, მექმიცა კეთილ, ხოლო უკეთუ სადამე | არ კეთილ, მექმიცა [269]
არ კეთილ.

ნიეთი ვიდრემე არს მრჩობლ: გებითი და უგებითი. გებითისა
ხედვად ესთა: ვითა ბარძიმსა შორის ეგოს ოქროჲ⁹⁹, ხოლო უგები-
თი: ვითა ილეკროჲ არა ჰგეის ბარძიმსა შორის. არს უკვე აღგილი
ნიეთებითისა მიზეზისაგან: აღგებითი და დარღვევითი, ესთა: ოქ-
რო არს, მაშასადამე, ოქროვილისა ყოფად არს შესაძლო. ხოლო
დარღვევითი ესთა: ოქროჲ არა არს, მაშასადამე, ოქროვილი არა
არს. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ ნიეთებითისაგან მიზეზისა.
ნიეთ უცხადესობად: იყოს რა მიზეზი ნიეთებითი, იყოსცა მიზეზობი-
თიცა მისი, ხოლო თუ მოსპობილ მიზეზი ნიეთებითი, მოსპობილ მიზე-
ზობითიცა მისი. არს უკვე აღგილი ნიეთებითისა მიზეზობითისა მხო-
ლოდ აღშენებითი. და ესე წართქმით, ესგვარ: ოქროვილი არიან,
მაშასადამე, ოქრო არს. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს ნიეთ-
ებითისაგან მიზეზობითისა. მიეც უცხადესობად: იყოს რაჲ ნიეთ-
ებისაგან მიზეზობითისა რაჲვეცა, იყოს დანაღაშიცა მისი და ნიეთ-
ებითი მიზეზი. ხოლო რაჲამს ნიეთებითი¹⁰⁰ მიზეზი არღარა ეგოს,
იყვალოს იგი, რომლისა სიცხადისა მოცემად წინ-ჩამოიგდების ეს-
თა: ოქრო არა არს, მაშასადამე, ილეკრო იყო; დაბანი არს, მაშასა-
დამე, ქვა და თიგად | იყო. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს [270]
ნიეთებითისა მიზეზობითისაგან. მიეც უცხადესობად: იყოს რაჲ
რაჲცავე ნიეთებითისაგან მიზეზობითისა, ღირს, რათა უგებითი მი-
ზეზი იყოს პირველ სამიზეზოსაგან თვისისა. არს უკვე აღგილი
ნაკვეთობითისა, ესე იგი გვარობითისა მიზეზისაგან, აღგებითი და
დარღვევითი. აღგებითი უკვე ესთა: სამგანდგმულობად არს, მა-
შასადამე, სამგანდგმული არს, ვინაჲ ცხად სადამე, ვითარმედ არს
ნაკვეთობითისა მიზეზისაგან. მიეც უცხადესობად: იყოს რაჲ ნა-
კვეთობითი მიზეზი, იყოს სამიზეზოცა მისი. ხოლო არა ყოფითა ნა-
კვეთობითისა მიზეზისათა, არცაღა სამიზეზოჲ მისი იყოს. არს უკვე
აღგილი ნაკვეთობითისა მიზეზობითისაგან ეგ სახედვე: აღგებითი
და დარღვევითი. აღგებითი ვიდრემე ესთა: სამგანდგმულ არს, მა-
შასადამე, სამგანდგმულებად არს. ხოლო დარღვევითისა ხედვად
ესთა: არა არს სამგანდგმული, მაშასადამე, არა არს სამგამდგმუ-

99 აშიაზე: თუ სადამე არს ბარძიმი ოქროსა.

100 აშიაზე: ნიეთად იმეცენ ოთხთა ასოთა, ანუ ბალღამთა რომელობანი რა-
მეთუ მშვიინეელისა სხეულთა შორის არა ჰგეიან, არამედ ცვალებულად არს მყო-
ფობად მათი შორის სხეულთა მათ.

[271]

ლებდა. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ ნაკვეთობითისაგან არს მიზეზობითისა. მიეც უცხადესობა: იყოს რა ნაკვეთობითისაგან მიზეზობითისა, რაჲცავე იყოს მიზეზიცა, ხოლო თუ არა იყოს რგი, არცალა ესე იყოს. არს ვიდრემე ადგილი დასასრულებითისაგან მიზეზისა: აღგებითი და დარღვევითი. აღგებითი უკვე ესთა: ნეტარებაჲ არს კეთილ, მაშასადამე, სათნოებაჲ არს კეთილ, რამეთუ დასასრულ არს ყოველთა სათნოებათა ნეტარებაჲ. ხოლო დარღვევითი ესთა: საუკუნოჲ პატიეი არს ბოროტ, მაშასადამე, უთნოებაჲ არს ბოროტ. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს დასასრულებითისაგან მიზეზისა. მიეც უცხადესობა: რომლისა დასასრულ არს კეთილ. თვით იგიცა არს კეთილ. ხოლო რომლისა დასასრული არს ბოროტ. თვით იგიცა არს ბოროტ. არს უკვე ადგილი დასასრულებითისა მიზეზობითისაგან ეგ სახედვე: აღგებითი და დარღვევითი. აღგებითი ვიდრემე ესთა: სათნოებაჲ არს კეთილ. მაშასადამე, ნეტარებაჲ არს კეთილ. ხოლო დარღვევითი ესთა: ცოდვებ არს ბოროტ. მაშასადამე, საუკუნოჲ პატიეი არს ბოროტ. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს დასასრულებითისაგან მიზეზობითისა. მიეც უცხადესობა: რაჲვეცა არს კეთილ, დასასრულიცა მისი არს კეთილ. ხოლო რაჲვეცა არს ბოროტ, დასასრულიცა მისი არს ბოროტ. ესე ეკმა აწინდელსა სიტყვისთა კელოვნებასა ჩვენსა.

[272]

რომელნი არიან ადგილნი მყოფობისაგან და მყოფობითისა. თავი 96

არისტოტელისაგანთა სკოლართა ასწავეს მყოფობისაგან ადგილი¹⁰¹, რაჲმს მყოფობაჲ იქმნებოდეს წინამსრბოლ, ხოლო მყოფობითი — მდევარ. ხოლო ესე აღგებითი არს და დარღვევითი, რომლისა ხედვებ ესთა: აღგებაჲ გოდლისა კეთილ, მაშასადამე, გოდოლი კეთილ. ხოლო დარღვევითი: დარღუევებ გოდლისა ბოროტ, მაშასადამე, გოდოლი ბოროტ. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს მყოფობისაგან. მიეც უცხადესობა: რაჲვესიცა მყოფობაჲ კეთილ, იყოს თვით იგიცა კეთილ და რაჲვესიცა მყოფობაჲ ბოროტ, იყოს თვით იგიცა ბოროტ. არს უკვე ადგილი მყოფობითისაგან, მყოფობითი რაჲ წინამსრბოლ. ხოლო მყოფობაჲ — მდევარ. ხოლო არს ესე აღგებითი და დარღვევითი. აღგებითი ვიდრემე ეს-

¹⁰¹ აშიაზე: თავი არს 5.

ფერ: გოდოლი კეთილ, მაშასადამე, აღებამ გოდლისა კეთილ. ხოლო დარღვევამ: გოდოლი ბოროტ, მაშასადამე, აღებამ გოდლისა ბოროტ. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ მყოფობითისაგან. მიეც უცხადესობამ: რავეცა კეთილ, მყოფობაცა მისი კეთილ, ხოლო რავეცა ბოროტ, მყოფობაცა მისი ბოროტ.

[273]

რომელნი არიან აღგილნი ხრწნილებისაგან და
ხრწნილებითისა. თავი 97

ხრწნილებისაგან არს აღგილი¹⁰², ხრწნილებამ რა იქმნას წინამსრბოლ, ხოლო ხრწნილებითი — მღევარ. და არს ესეცა აღგებითი და დარღვევითი. აღგებითი ვიდრემე ესგვარ: ხრწნილებამ გოდლისა ბოროტ, მაშასადამე, არს გოდოლი კეთილ. ხოლო დარღვევითი: ხრწნილებამ გოდლისა არს კეთილ, მაშასადამე, გოდოლი არს ბოროტ. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ ბოროტისაგან მიეც უცხადესობამ: რავეცა ხრწნილებამ არს ბოროტ. თვით იგი სადამე არს კეთილ. ხოლო რავეცა ხრწნილებამ არს კეთილ. თვით იგი სადამე არს ბოროტ. არს ვიდრემე აღგილი ხრწნილებითისაგან, ხრწნილებითი რა იქმნების წინამსრბოლ, ხოლო ხრწნილებამ — მღევარ. ეგ სახედვე ესეცა აღგებითი არს უკვე და დარღვევითი. აღგებითი ვიდრემე ესთა: ხრწნილებითი არს კეთილ, მაშასადამე, ხრწნილებამ მისი არს ბოროტ. ხოლო დარღვევითი: ხრწნილებითი არს ბოროტ, მაშასადამე, ხრწნილებამ მისი არს კეთილ. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს ხრწნილებითისაგან. მიეც უცხადესობამ: რავეცა კეთილ, ხრწნილებამ მისი სადამე არს ბოროტ, ხოლო რავეცა ბოროტ, ხრწნილებამ მისი სადამე არს კეთილ.

[274]

რომელნი არიან აღგილნი საქმის შემოღებისაგან და საქმის შემოღებითისა, ესე იგი მოქმედებისაგან და მოქმედებითისა.
თავი 98

საქმის შემოღებამ¹⁰³ არს მოქმედებამ საქმარისა რავესი, ვითა მსაჯულისა სასჯელი და მახვილისა კვეთამ. არს ვიდრემე აღგილი

102 აშიაზე: თავი არს 6.

103 აშიაზე: თავი არს 7.

საქმის შემოღებისაგან, საქმის შემოღებად რაა იქმნების წინამსრბოლ, ხოლო საქმის შემოღებითი — მღევარ. ხოლო არს ესეცა აღგებითი და დარღვევითი. აღგებითი ვიღრემე ესგვარ: სასჯელი არს კეთილ, მაშასადამე, მსაჯული არს კეთილ. ხოლო დარღვევითი: სასჯელი არს ბოროტ, მაშასადამე, მსაჯული არს ბოროტ. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს საქმის შემოღებისაგან. მიეც უცხადესობა: რაღვესიცა საქმის შემოღებად კეთილ, თვით იგიცა | სადამე კეთილ. ხოლო რაღვესიცა საქმის შემოღებად ბოროტ, თვით იგიცა სადამე ბოროტ. არს უკვე აღგილი, საქმის შემოღებითი რა იქმნების წინამსრბოლ, ხოლო საქმის შემოღებად — მღევარ. ეგ სახედვე ესეცა არს უკვე აღგებითი და დარღვევითი. აღგებითი ვიღრემე ესგვარ: პური კეთილ, მაშასადამე, ჭამად პურისა კეთილ; ხოლო დარღვევითი: თაფლუჭი ბოროტ, მაშასადამე, სმად თაფლუჭისა ბოროტ. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს საქმის შემოღებისაგან. მიეც უცხადესობა: რაღვეცა კეთილ, საქმის შემოსაღებითიცა მისი კეთილ*; ხოლო რაღვეცა ბოროტ, საქმის შემოსაღებითიცა მისი ბოროტ;

რომელნი არიან აღგილი განმზიდველობითა და მღევრობითაგან შეხლომათა. თავი 99

ვისწავებთ¹⁰⁴ და ვასწავებთ განმზიდველობითსა შემთხვევასა ესგვარ: რაღვეცა ზრდილებითი არს, ემღევრების საჭიროდ ჰკირეყოფად. ხოლო რაღვეცა აღიზარდა, საჭიროდ იყო მკირე. აღგილი ვიღრემე არს უკვე განმზიდველობითისა შემთხვევითისაგან. განმზიდველობითი რაა შემთხვევად იქ | მნების წინამსრბოლ, ხოლო მღევრობითი — მღევარ. და ესე მარად წართქმით არს. ხოლო ხედვად ამისი ესთა: მანასემან შეინანა, მაშასადამე, შეცოდებული არს. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს განმზიდველობითისაგან შემთხვევითისა. მიეც უცხადესობა: იყოს რაღვეცა განმზიდველობითი შემთხვევად. იყოს მღევრობითიცა. არს ვიღრემე აღგილი მღევრობითისაგან შემთხვევითისა. მღევრობითი რაა იქმნების წინამსრბოლ, ხოლო განმზიდველობითი — მღევარ. და ესე მარად არს უკუთქმით ესთა: ყოვლად წმიდამან ქალწულმან არა სცოდა. მაშა-

¹⁰⁴ აშიაზე: თავი არს 8.

* ხელნაწერში ეს ფრაზა მეორდება.

სადამე, არა შეინანებს. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს მღევ-
რობითისაგან შემთხვევითისა. მიეც უცხადესობამ: მოისპოს თუ
მღევრობითი შემთხვევად, მოსპობილ განმზიდველობითიცა.

რომელნი არიან ადგილნი აღმატებულთაგან და
განზრქელებულთა სახელთა. თავი 100

არს¹⁰⁰ უკვე ადგილი აღმატებულისაგან: ალგებითი და დარ-
ლვეითი. ალგებითი ვიდრემე ესთა: მეფობად კეთილ, მაშასადამე,
მეფეად კეთილ. ხოლო დარლვეითი: მეფობად ბოროტ, მაშასადამე, [277]
მეფეად ბოროტ ვინად ცხად სადამე, ვითარმედ აღმატებულისაგან. მი-
ეც უცხადესობამ: რადვეცა შესაფერ აღმატებულისა, იგივე შესა-
ფერ განზრქელებულისაცა. არს ვიდრემე ადგილი განზრქელებუ-
ლისაგან ეგ სახედვე, ვითა აღმატებული, ესეცა ალგებითი და დარ-
ლვეითი არს, ესგვარ: მოსწრაფება¹⁰⁵ ბოროტ, მაშასადამე, მოსწრა-
ფე ბოროტ. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს განზრქელებული-
საგან. მიეც უცხადესობამ: რომელი რადვეცა შესაფერ განზრქელებ-
ბულისა სახელისა, იგივე შესაფერ სახელისაცა აღმატებულისა. ესე
ეკმაოდენ გარდამოცემად აწინდელსა სიტყვითსა კელოვნებასა
ჩვენსა.

რომელნი არიან ანუ რაოდენ გარეგნითი ადგილნი. ხოლო
არიან ამის 101 თავისა შორის თავნი 7; ხოლო ესე თავი
გვაჩვენებს, თუ რომელნი არიან ადგილნი უდიდესისაგან
და უმცირესისა. თავი 101

ვისმენთ¹⁰⁶ უკვე სკოლართაგან არისტოტელისათა ადგილთა-
თვის უდიდესისა და უმცირესთაგანთა. იქმნების უკვე ადგილი | [278]
ესე უდიდესისა, აქვნიდეს რა მღევრად უმცირესი. და ესე მარად
უკუთქმით არს საცნოდ, ესგვარ: არ ძალ მეფეთდა გამოლებად ქა-
ლაქი ტროადა, მაშასადამე, არ ძალ მკედართადა გამოლებად ქა-
ლაქი ტროადა. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს უდიდესისა-

¹⁰⁵ აშიაზე: მითქვამს რა, მოსწრაფება ბოროტ არს, ნუუმე სათნოებისა
ჰკონო შენ მოსწრაფება ბოროტ? რამეთუ რომელი მრთელცნობობით არს მო-
სწრაფება, ესე ყოვლად კეთილ არს, მაგრა მოსწრაფება არს განრემზობი
სათნოებისა უთნობაცა; და ამას უთნონი იქმენ მოსწრაფებით.

¹⁰⁶ აშიაზე: თავი არს 1.

გან. მიეც უცხადესობაჲ: რაჲვეცა უდიდესისადა არ ძალ, იგი არცალა უმცირესისადა ძალ ყოფად ანუ ქმნად. არს უკვე აღგილი ვიდრემე უმცირესისაგან, იყოს რაჲ წინამსრბოლ უდიდესი, ხოლო უდიდესი — მდევარ და ესე მარად არს წარმოქმით, ესგვარ: მკედართადა ძალ გამოღებად ქალაქი ტროადა. მაშასადამე, მეფეთაჲცა ძალ გამოღებად ქალაქი ტროადა, ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს უმცირესისაგან. მიეც უცხადესობაჲ: რაჲვეცა უმცირესისდა ძალ, იგი უმაღლესისადცა ძალ ყოფად ანუ ქმნად.

რომელნი არიან ადგილნი განრემზომისაგანნი. თავი 102

1279] ოთხნი¹⁰⁷ თქვენს არისტოტელითთა განრემზომნი: 1 რაჲსა-მომართად; 2. წინამეწყევობითად. 3. მოკლებითად; 4. განრემზომობითად. რაჲსამიმართობითთა შორის განრემზომი — ერთი ვიდრემე წინამსრბოლ და მეორე მდევარ. და არს ესე აღგებითი და დარღვევითი. აღგებითი ვიდრემე ესგვარ: მამაჲ არს. მაშასადამე, ძეცა არს. ხოლო გარე-მოვაქციოთ ესე: ძე არს, მაშასადამე, მამაცა არს. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს რაჲსამიმართობითთა განრემზომთაგან. მიეც უცხადესობაჲ: რაჲვეცა არს ერთი განრემზომთაგან, მეორეცა სადამე არს. ხოლო რაჲვეცა ერთი თუ სადამე არა არ[ს]¹⁰⁸, არცალა მეორეცა.

წინამეწყევობითთაცა შორის განრემზომთა ერთი — წინამსრბოლ და მეორე — მდევარ. მაგრა წინამეწყევთა უსაშუალოთა თუ სადამე არს წინამსრბოლი წართქმითა, იქმნების მდევარი უკუთქმით. ხოლო უკეთუ გარემოქცევით წინამსრბოლი არს უკუთქმით, იქმნების მდევარი წართქმით, ესთა: ლაზარე არს მრთელ, მაშასადამე, არა სნეულ; ლაზარე არა მრთელ, მაშასადამე, სნეულ. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს უსაშუალოთა წინამეწყევთაგან. მიეც უცხადესობაჲ: რაჲვეცა იყოს ერთი წინამეწყევთა, აღკოცილ მეორე, რამეთუ აღკოცითა უსაშუალოდ წინამეწყევთა ერთისათა დაიდების | მეორე. ხოლო წინამეწყევთა, რომელთა აქუს მითვალგავა საშუალისა, ერთი არს წინამსრბოლ და მეორე — მდევარ. და ესე უკუთქმით და არა გარეშესმენით, ესე იგი გარემოქცევით, რამეთუ წინამსრბოლი არა იქმნების უკუთქმით, ესთა: რამეთუ უკე-

280]

107 აშიაზე: თავი არს 2.

108 ხელნაწერშია: არა.

თუ არს შავი, მაშასადამე, არა არს თეთრი. ხოლო თუ თეთრი არს იგი, მაშასადამე, არა არს შავი. მაგრა შესაძლო, რათა არა იყოს შავი და არცა თეთრი, არამედ ფერო — და ესთა სხვანი იყუნენ.

ანაგებითი და მოკლებითი უკვე განრემზომონი ერთმანერთისად-
ღი არიან წინამსრბოლ და მდევარ, გარნა ებრი უსაშუალოთა წინა-
მეწყვეთა იყოს თუ სადამე წინამსრბოლი. წართქმით იყოს, ხოლო
მდევარი — უკუთქმით. და გარემოკცევიით ესთა: მელიტონ არს
მხედველ, მაშასადამე, არა არს ბრმაჲ. მელიტონ არა არს მხედველ,
მაშასადამე, არს ბრმაჲ. ხოლო წართქმითი მდევარი არა მართლო-
მს, თუ სადამე წინამსრბოლი უკუთქმით არა იყოს ქვედმდებარესა
მას, რომლისა შორის აქუს ყოფაჲ ანაგებ-ყოფად. ხოლო ფინიკისა
ითქვას თუ, არა არს მხედველ, ესე არს ჭეშმარიტ წინამსრბოლი,
მაგრა მდევარი არს ცრუ, რამეთუ | გვეტყვის. ვითარმედ: მაშასა-
დამე. არა არს ბრმაჲ. ხოლო ესე არა უგრძნობელთა ზედა ითქმის.
არამედ ცხოველთა, რომელთა აქუს გრძნობაჲ. ეგ სახედვე წარ-
თქმითი იგი მდევარი ცრუ იქმნების მებრ ჟამისა. რამეთუ ყრმისად
თქმაჲ: არა არს ფილოსოფოს, — ჭეშმარიტ სადამე, მაგრა თქმაჲ,
მაშასადამე, არა არს ზედმიწევნილ. ესე ცრუ არს, რამეთუ არა
არს ჟამი მისდა ჭერეთ. ღირს, რათა ვინათჲან ესთა არს, რათა ვი-
ცოდეთ. ვითარმედ უკუთქმითი წინამსრბოლი შესმენად ქვედმდე-
ბარისაჲგან თვისისა, რომლისად ხოლო წართქმითი მდევარი იქმნე-
ბის ჭეშმარიტ, ესგვარ: მოხუცი ესე არა არს ფილოსოფოს, მაშა-
სადამე. არა არს ზედმიწევნილ.

[281]

განრემზომობითთა განრემზომთა არა აქუს საშუალ არარაჲ,
ხოლო შორისი, ესე იგი საშუალი, აქეს სამთა: 1. სახეობითსა,
2. ნიუთებითსა, 3. ჟამითსა. ქონებაჲ სახეობითისა შორისისა ეს-
გვარ: ვითარ თეთრისა და შავისა შორის ფეროჲ და სხვანი. ნიუ-
თებითისა: ვითარ ცეცხლისა და სნეულისა შორის ქვაჲ¹⁰⁹. ჟამი-
თისა: ვითარ ლეკვი ძაღლისა, ვიდრე დღემდე მეცხრედ შობითჲან
მისით არცა მხედველ არს და არცა ბრმაჲ. ესენი უკვე შორისნი
და შუანი არ|ვისად ძალ თქმად საშუალ-ყოფად განრემზომობითი-
სა განრემზომისა, ვითარმედ უსაშუალ არს განრემზომობაჲ იგი,
რამეთუ ყოვლისა და ყოვლისა შინა ჟამისა შესაძლო არს თქმად:
არს ანუ არა არს.

[282]

ნაწილნი განრემზომისანი ერთი ვიდრემე წინამსრბოლ და მეო-

¹⁰⁹ აშიაზე: არცა ცოცხალ ყოფა და არცა სნეულ ითქმის ქვისად.

რე — ცრუ და გარემოქცეულთა ერთმანერთისა. ხოლო წინამსრბოლ ვიღრემე და მღევარ არს, ესგვარ: შენანება სოლომონისი არს ქეშმარიტ, მაშასადამე, შეუნანებელობა არს ცრუ. ხოლო გარემოქცევით ესგვარ: შენანება სოლომონისი არს ცრუ, მაშასადამე, არ-შენანება არს ქეშმარიტ. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ განრემზომობითისაგან არს. მიეც უცხადესობა: განრემზომობითისა განრემზომობისა თუ ერთი სადასე არს კერძოდ ქეშმარიტ, მყის მეორე არს ცრუ და გარემოქცევითთა არს ესე: რამეთუ ერთი თუ სადამე ცრუ არს, მეორე მყის ქეშმარიტ.

რომელნი არიან ადგილნი განწვალებისანი. თავი 103

[283] რვაგვარობა¹¹⁰ ვთქვით თავისაცა შორის 46, ვითა ვისწავეთ უსამლოვისაგან მოძღვრისა ჩვენისა დამსკელისა და აწცა განვაცხადეთ შენისადმი ვრცელ გონებისა, ღვთივ დიდებულ მუფე. არს ვიღრემე გვარი განწვალებისა¹¹¹: 1. თანმოსახელობა თანმენათესავეთა სხვათა და სხვათა სახეთა; 2. სხვაგვამობა თანმოსახეთა განუკვეთელთა. 3. სრულისა, ესე იგი ყოვლითურთ-სა, განწვალვა კერძოდ და კერძოდ, ანუ მსგავს, ანუ არა მსგავს. 4. სახელმოდგამისაებრ ჳმისა და ესეცა ანუ სრულისა და სრულისა განყოფა, ანუ კერძოთა. 5. არსება ზედშესრულთადმი, ვითა: ესე ვინმე ჩვენგანი გრძელ და იგი არა. 6. ზედშესრულნი არსებათადმი, ვითა: თეთრი ორსა გვაჩვენებდეს სხვა და სხვათა რაღვესა; 7. ზედშესრული ზედშესრულთადმი, ვითა სხვა გრილი და სხვა—მჭურვალი; 8. საქმე რაღვე არსადცა და შემთხვევითად, ესე იგი ერთისაგან და ერთისა მიმართ.

[284] ადგილი ვიღრემე განწვალებისაგან ქმნილი ესგვარ არს: განწვალებთა რაღვე იყოს რა წინამსრბოლ და რაღვე მღევარ. ხოლო განწვალებისაგან წინ-ჩამოიგდების ესთა: სოკრატი არს მშვინევი, ანუ სიტყვიერი არს, ანუ უსიტყვი, | გარნა არა არს უსიტყვი, მაშასადამე, არ-სიტყვიერი არს; ანუ სიტყვიერი არს, მაშასადამე, არა არს უსიტყვი. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს განწვალე-

¹¹⁰ აშიაზე თავი არს 3.

¹¹¹ აშიაზე: ყოველნი ესე განწვალებითნი თქმანი იგივედ იმეცენ გვართად ვითარებრთად, რომელნი 46 თავისა შორის არიან და სხვა სხვაობასა ამათსა ნუ უცხოდ გაიგონებ.

ზისაგან. მიეც უცხადესობა: რადეცა დადებულ თანგანწვალეებითი ერთი, აღმვოცელ იყოს მეორისა. ხოლო აღვოცა ერთისა დასდებს მეორესა, ესე იგი ჰგიეს მეორე. მეორედ განწვალვისაგან წინჩამოსაგდებელი იქმნებოს ესთა: თვალი ანუ მგრძნობელ, ანუ არამგრძნობელ. გარნა არს არამგრძნობელ, მაშასადამე, არს არამგრძნობელ. ვ-ნაა ცხად სადამე, ვითარმედ არს განწვალეებისაგან. მიეც უცხადესობა: რადეცა თანგასაწვალელი თუ მოისპოს ერთი, ჰგიეს მეორე. და მოისპოს რა მეორე, ჰგიეს ერთი. ეფუერვე სხვათაცა განწვალებათაგან აღვილ არს წინჩამოსაგდებელი მეცნთაგან ფილოსოფოსთა.

რომელნი არიან აღვილნი თანსქესობითთაგანნი. თავი 104

თანსქესობითთაგანი¹¹² რომელიმე არს წინამსრბოლ და რომელიმე — მდევარ. და ესე არს აღვებითი და დარღვევითი. აღვებითი ვიდრემე ესგვარ: მოცინარობაა არს თვისი კაცისა და მკვივანობაა — ცხენისა. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს ერთსქესობითთაგან. მიეც უცხადესობა: თანმსგავსნი ვიდრემე არიან ერთფერ, ხოლო მოცინარობაა და მკვივანობაა თანსქეს, რამეთუ ერთარ-იგი მოცინარობაა არს კაცთა შორის, ეგსახედვე მკვივანობაა ცხენისა შორის. ხოლო დარღვევითი ესთა: მოცინარობაა არა არს ნათესავ კაცისა, მაშასადამე, არცაღა მკვივანობაა არს ნათესავ ცხენისა. მიეც უცხადესობა: თანმსგავსნი იგივეობითნი არიანვე, მაგრა მოცინარობაა და მკვივანობაა არ თან-მსგავს. გარნა ვითა მოცინარობაა არს კაცისა შორის, ეგსახედვე მკვივანობაა არს ცხენისა შორის.

რომელნი არიან აღვილნი მსგავსთაგანნი შემსგავსებისაგანნი. თავი 105

მსგავსთაგანი¹¹³ რომელიმე არს წინამსრბოლ და რომელიმე — მდევარ, ესგვარ: არ აღჩიულ იქმნებოს შეხლომითა წილისათა მენავეთმოძღვარი, არამედ უფროსლა კელოვნებით. მაშასადამე, მოძღვარი თეოლოლიასი არა ჰვამს აღჩიევად წილ შეხლომით, არა

112 აშიაზე: თავი არს 4.

113 აშიაზე: თავი არს 5.

მედ კელოვნებით. ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ არს შემსგავსებისაგან, მიეც უცხადესობაჲ: მსგავსნი ღირს ერთმანერთისამებრ მსგავსებისა ყოფად. ხოლო მენავე და თეოლოლოს არიან მსგავს, რამეთუ ვითა მენავეჲ ნავისადმი, ეგსახედვე არს თეოლოლოს თეოლოლითისადმი სკოლისა.

რომელნი არიან ადგილნი გამოცდილისაგან. თავი 106

მე¹¹⁴ ღვთივ მიმადლებულისადმი გონებისა შენისა ვწაღნოჲ ჩვენებად ფილოსოფიისა გვართა რაჲვეთა. და თუმცაღა არცალებაჲ გაქუს წარკითხვად ჭერეთ, მმართველობისა გზით ერისა შენისათა. ზვაობით მრავალდალექსულსა ამას წერილსა, მაგრა რაჲემს იგი მაღლი სულისა დრო გცემს მოცალებობასა ასპარეზადმი აპოდრომიასა და ველისაშინათა ცხოველმგარძნობელთა სრვად, მაშინღა ბიხედავ ღვაწლსა ჩემსა. და რხილო რა, რწმენოდენ შენსა ღვთივ ბრწყინვალესა ნოიმასა. რამეთუ რაჲცა ვისმინე, იგი თავდგმულე-
[287] ბით ვავვირგვინე წიქნსა ამას და ვრიდებ მრავალდალექსვასა. არამედ არ ღირს არიან დატევეზად წინამდებარენი სახლვარნი. და სხვათა თანა ესენიცა მექვერეტმან იხილენ. ადგილი გამოცდილებისაგან არს, გამოცდილებაჲ რა ვიეთთა რწმენოდენ ვიეთმე რაჲვეთა შინა, ვითა უმიროს ღრამმატიკისა სწავლულებასა შინა გამოცდილ, და არისტოტელი ფისიკასა შინა, და პლატონ ვარსკულავთმრიცხველობისა შორის. ხოლო ჩამოიგდების ესთა: არისტოტელი თქვა: ზეციერნიო სხეულნი არა არიან ოთხთა ასოთაგან. მაშასადამე, ჭემმარიტ სიტყვა ესე, ვინაცა ცხად სადამე, ვითარმედ გამოცდილისაგან მიეც უცხადესობაჲ, რომელიცა გამოცდილ არს თვისისა შორის ზედმიწევნილებისა, დასარწმუნოჲ არს ზედმიწევნილებაჲ მისი.

რომელნი არიან ადგილნი ანუ რაოდენ სხვა და სხვათაგან ნათესავთა. თავი 107

თქვეს¹¹⁵ სკოლართა პერიპატონასათა: ადგილიო სხვა და სხვათაგან ნათესავთა წოდებულ. მაგრამ წინამსრბოლნი გინა მღევარნი

114 აშიაზე: თავი არს 6.

115 აშიაზე: თავი არს 7.

ნათესავნი არა რეცა თუ თავით თვისით მყო, არამედ სახე ერთისა ნათესავისა გაქვემდებარდებოდეს რა თვისისა ნათესავისად. იქმ- [288] ნების წინამსრბოლ. და სახე ერთისა ნათესავისა ეგფერვე ქვედ- მდებარეობითა თვისისა ნათესავისათა არ იქმნების მდევარ, ესეგვარ: სული არს არსებაჲ, ხოლო ფერი არს ვითარც, ხოლო სული სადამე არა არს ფერი, ვინაჲცა ცხად სადამე, ვითარმედ სხვა და სხვათა ნათესავთაჲს. მიეც უცხადესობაჲ: რომლითაცა ნათესავნი არიან სხვა და სხვა, თავით თვისით არიან სხვა და სხვაჲ.

აჲ სადამე თქმულნი ადგილნი არიან ესენი: 1. საზღვრისაჲს, 2. განსაზღვრებისაჲს, 3. სწორსიტყუაობისაჲს, 4. სწორ-სიტყუაობისაჲს, 5. ყოვლობითისაჲს ყოვლადისა, 6. ყოვლობითისაჲს კერძოსა, 7. ყოვლითურთობითისაჲს ყოვლადისა, 8. ყოვლითურთობითისაჲს კერძოსა, 9. ყოვლობითისაჲს ნიშანისა, ესე იგი ყოვლადისა, 10. ერთად შეკრებულთაჲს კერძოთა; 11. ზედდაუდებელისაჲს ყოვლადისა; 12. ზედდაუდებულთაჲს კერძოთა, 13. ადგილობითისაჲს ყოვლადისა, 14. ადგილობითისაჲს კერძოსა. 15. ჟამითისაჲს ყოვლადისა, 16. ჟამითისაჲს კერძოსა. 17. შემოქმედებითისაჲს მიზეზისა, 18. შემოქმედებითისაჲს მიზეზობითისა. 19. ნივთები- [289] თისაჲს მიზეზისა, 20. ნივთებითისაჲს მიზეზობითისა, 21. ნაკვეთობითისა, ესე იგი გვარობითისაჲს მიზეზისა. 22. ნაკვეთობითისაჲს მიზეზობითისა, 23. დასასრულებითისაჲს მიზეზისა, 24. დასასრულებითისაჲს მიზეზობითისა. 25. ქმნილებისაჲს, 26. ქმნილებითისაჲს, 27. ხრწნილებისაჲს, 28. ხრწნილებითისაჲს, 29. საქმის შემოღებისაჲს. 30. საქმის შეზოსაღებელისაჲს¹¹⁶. 31. განზიდულე- ბითისაჲს შემთხვევითისა, 32. მღვერობითისაჲს შემთხვევითისა, 33. აღმატებულისაჲს სახელისა, 34. განზრქლებულისაჲს სახელი- სა, 35. უღიდესისაჲს, 36. უმეირესისაჲს. 37. რაჲსამიმართობითისაჲს განრემზომისა, 38. წინააღმდეგოსაჲს, 39. ანაგებისაჲს და მოკლებისა, 40. განრემზომისაჲს. 41. განწვალებისაჲს, 52. თანსქესობითთაჲს, 43. შემსკავსებულთაჲს, 44. გამოცდილისაჲს, 45. სხვა და სხვათაჲს ნათესავთა.

წარწერენ, ვითარმედ კიდე ამათსა არა არს ადგილი სხვაჲ დიოლოღტიკობითი. ხოლო უკეთუ თნებად არს თუ ვისიმე გონებაჲ გამოიძიების. სცნას ესევეითა მან. რამეთუ ყოველსა დიოლოღტი- [290]

¹¹⁶ აშაზე: ესე იგი ვნებულება და ვნებულებითო.

კობითსა ადგილსა ესენი იპყრობენ გარეშეცვიითთა წესითა. გარნა მრავალსა ჩამოსაგდებელსა არა ესთა კითხვითა მიეცეს ადგილი, თუ ვინმე მან ჩამოაგდოს, ესთა: ყოველი კერძოა უმცირეს თვისისაგან ყოვლადისა, ხოლო თავი ვიდრემე არს კერძოა სხეულისა, მაშასადამე, თავი არს უმცირეს თვისისა სხეულისა. ისმინე, გამგონეო, რამეთუ წინჩამოსაგდებელისა უსარწმუნოესი ადგილი არს დიდისა წინადადებისა, ესთა მეტყველი: ყოველი კერძოა უმცირეს თვისისაგან ყოვლადისა. მაშასადამე, არღარა ღირს კითხვად, ვითარმედ არს ადგილი, რამეთუ რაიმეცალა უსარწმუნოესი დადგეს ადგილი, უმეტეს ამისა, ესთა მეტყველისა: ყოველი კერძოა უმცირეს თვისისა ყოვლისა, ესე იგი ყოვლადისა. აჰა, ცხად სადამე, ვითარმედ ეღფერნი წინჩამოსაგდებელნი ესთა უსარწმუნოესთა წინადადებათა ზედა ჰვიან უცვიფრებელად და არ სათანადოდ კითხვის.

[292]

აწ სადამე რომელთამე ადგილთა წოდებულ-ჰყოფენ შინაგანად და რომელთამე — გარეგანად, ვითა გარდავდევით. ხოლო ესე შემსგავსებისამებრ შორისთასა, ესე იგი შინაგანთა, და გარეშეთა ადგილთა, რამეთუ ოქროვილი შინაგან ოქროსა არს მყო და ოქროა ოქროვილისა შინა ითქმის. აჰა, ადგილნი შინაგანითნი ესეშორისნი; ხოლო კეისარი და სოლდათი — გარეგნითი ერთმანერთისა მყოფობით. აჰა, ადგილნი გარეგნითნი. ხოლო პოვნილ არსცა მედიცბელთა მიერ ადგილი გარეგანი შორის ადგილთაშორისთა, ვითა შემოქმედებითი მიზეზი და მიზეზობითი თვისი არიან გარეგან ერთმანერთისა, მაგრა დაწესებულ შორისსა ადგილსა შინა — ხოლო მიზეზი ამისი ესე არს ესე, რამეთუ მიზეზთა და მიზეზობითთა მრავალნი მოჰქონან ადგილნი შორისნი, ვითა ნივთებითი მიზეზი — დაშთომითი და მიზეზობითი თვისი — შორისნი, ესე იგი შინაგანი ეიდრემე არიან ადგილნი. და მიზეზი იგი — ესე იგი შემოქმედებითი, ნივთებითი, გვარობითი, დასასრულებითი — და მიზეზობით ღვთსა მიერ ღირს არიან, რათა ერთბამად დაიწესნენ: ვინაცა შორისნი, ესე იგი შინაგანნი და გარეგანნი, რომელნიცა არიან ამის შორის, ვამს, რათა ერთბამად დაიწესნენ. ხოლო თუმცალა თუ ჰგონოს ვინ ადგილი სხვაჲ ყოფად მერმეცა, რომელი დაწესებულ არს შორისად და გარეგანად კიდე ამათსა, სცთების იგი. ისმინე, გამგონეო, ვითარმედ ესენი შემსგავსებისა ითქმიან შორისად, ესე იგი შინაგანად და გარეშედ, ესე იგი გარეგანად და არა მებრ მტკიცებრისა. მტკიცედ შორისი ადგილი არს წერილი ქვეყნისა, ანუ საშუალო და მრგვლივ — პირი ქვეყნისა. მერმეცა მტკიცებრი შორისი ადგილი

[293]

არს ქვეყანა და გარეგან — მომრავლებითი ცაჲ. ხოლო ითქმის-
ცა შორისი ეკლესიისა, გოდლისა, ანუ სახლისა, და ეგსახედვე გა-
რეგანი, ესე იგი გარეშეცა მათი და ესთა სხვანი.

ვაკმაებთ მრავალდაღექსვასა ამას გარდამოცემად ღიოლოლ-
ტიკობითათვის ადგილთა, რათა არა შესაწყინებელ იქმნეს მკი-
თხველთა.

რომელნი არიან მაცთურნი. თავი 108

გვასწავეს პირველთა ჩვენთა განსწავლულთა პერიპატოსგამოთა
სკოლისათა: მაცთურნი არიანო წინჩამოსაგდებელნი ოცნებითად
და არა ქეშმარიტებითად, რამეთუ მაცთური წინჩამოგდებაჲ იგი
გამომიჩნდების ჩვენ, რეცა მყო წინჩამოსაგდებელისამებრ, მაგრა
მაცთუნებს ჩვენ და არა ეგრეთ არს. ხოლო აქა უკვე საზღვარსა
შორის წინჩამოგდებაჲ არს ნათესავ, რომლითა განყოფილ მაცთურ-
ნი მაცთურთა მათგან, რომელიცა აღსაწონელთა და ესგვართა შო-
რის იქმნების, რეცა ვაჭრობით და ესევითა სხვითაცა რაჲვეთა.
ხოლო ოცნებითი | და არა ქეშმარიტებითი არს განყოფილებაჲ, [294]
რომელი განყოფს მაცთურთა წინჩამოგდებათა სხვათა წინჩამოსა-
გდებულთაგან. გარნა თუ ვითარ გამოიჩნდების მყოფ წინჩამო-
გდებით, რომელნიცა არაჲაჲ არიან, ამათ ვიხილავთ გვართა შინა
მაცთურთასა, რომელნი შესასწავებელად გვაქვს წინარე. ხოლო
ყოველნი მყის, ანუ მსწრაფლ წინჩამოგდებანი ოცნებულ ქეშმა-
რიტ-ყოფად, მაგრა არა ქეშმარიტ არიან მყოდ. ისმინონ სწავ-
ლისშინათა: ყოველი მაცთური ანუ წინამეწყვე არს კანუნთა გან-
რემზომისათა და ანუ კანუნთა სილოგიზმოსათა. ესე არს კანუნი
განრემზომისაგანი, იყოს რაჲ მასვე ქვედმდებარესა ზედა და შეს-
მენილ მასვე არსებასა ზედა. ხოლო ნიშნავს ესე მასვე ადგილსა
და ზედშემოლებასა. ითქვა ვიდრემე მასვე ქვედმდებარესა ზედა,
მაგრა არა არს ესე განრემზომამ: იუდა არს მოციქულ, იუდა არა
არს მოციქულ, ხოლო რომელიმე იუდაჲ არს მოციქულ და სხვა
რომელიმე იუდაჲ არა არს მოციქულ. ხოლო თუ სადამე იყოს რა
მასვე სოკრატის ზედა, არს განრემზომობაჲ. ხოლო ითქვას რაჲ
მასვე შესმენასა ზედა, ესე არაჲაჲთ განრემზომობაჲ არს: სოკრატი
არს საძაგელ, სოკრატი არა არს საძაგელ, | რამეთუ შევნიერების [295]
გამო ანუ სხვითა რაჲვეთა საძაგელ არს, მაგრა ქცევის გამო არა
არს საძაგელ. ხოლო იყოს თუ მასვე ზედა შესმენისაგან, არს განრე-

მზომობაა. ითქვა რაჲ მასვე არსებასაზედაობაჲ, ესე არა განრემზომობა. მობაჲ არს: სოკრატი არს მკცოვან, სოკრატი არა არს მკცოვან. ხოლო იყოს თუ მასვე არსებასა ზედა, არს განრემზომობაჲ. ხოლო მასვე დანიშნულისა ზედა ითქვა: რა ესე, არა განრემზომობაჲ არს. შენ გიხილავს კვრეტაჲ მარგარიტისა ადამასითა, შენ არა, გიხილავს კვრეტაჲ მარგარიტისა ადამასითა. ხოლო გიხილავს, ვითარმედ კვრეტაჲ მარგარიტისა ადამასითა იქმნა, მერმეცა არა გიხილავს კვრეტაჲ მარგარიტისა ადამასითა, არამედ თვალითა. ხოლო იყოს თუ მასვე დანიშნულსა ზედა, განრემზომობაჲ არს. ითქვა რა ზედა ადგილისა ესე, არა განრემზომობაჲ არს. დიოსკორიდესი თვალი მხედველი არს, დიოსკორიდესი თვალი არმხედველ არს, რამეთუ ერთი თვალი არს მხედველ და მეორე — არმხედველ. ხოლო იყოს თუ ესთა მასვე ადგილსა ზედა, არს განრემზომობაჲ. ითქვა რა მასვე ზედშემოლებასა ზედა, ესე არა განრემზომობაჲ არს: წერილი სარგებ არს, წერილი არასარგებ არს, | სარგებ არს ვიდრემე მეცნთა, ხოლო არასარგებ — უმეცნოთა. ხოლო იყოს რა მასვე ზედა ზედშემოლებითა, არს განრემზომობაჲ. კანუნნი ვიდრემე სილოგზომოსანი სილოგზომოსა შინა ითქვენს.

[295]

ხოლო ყოველნი მაცთურნი არიან რიცხუსა შორის სადამე ათსა: 1. სახელმოდგამობითი, 2. ნართაულებითი; 3. ფანწვალეობითი, 4. უყოვლობითი, 5. მდევრობითი, 6. გარდამავალობითი, 7. შემსგავსებითი. 8. განრემზომობითი, 9. ანაგებითი, 10. შესატყვისობითი.

რომელნი არიან სახელმოდგამებითნი მაცთურნი, ამას აქუს შორის თვისსა თავნი 10. თავი 109

მოქქონან¹¹⁷ უკვე მაცთურთა სახელმოდგამობითთა გვარნი სამნი. ხოლო გვარი პირველი სახელითა ესგვართა არს, მყის თანად რა სხვა და სხვათა რაჲვეთა დანიშნვიდეს. ვითა სახელი არს ძალლი, ხოლო ჩამოიგდების; ესთა: ყოველი ძალლი მყეფარი არს, რომელიმე ძალლი სფეროსა ვარსკულავი არს, მამსადამე, რომელიმე სფეროსა ვარსკულავი მყეფარი არს. ითქმის, ვითარმედ: ყოველი ძალლი მყეფარი არს, მაგრა, მარტოდ ქვეყნიერისათვის ძალლისა და არცა ზეციერისა და არცა ზღვისა-შინასათვის.

[296]

იქმნების ვიდრემე გვარი მეორე ესთა სახელითა, რომელიცა პირველად პნიშენიდეს ერთსა რაფევსა, მაგრა შესაბამისამებრ დანიშნვიდეს მრავალსა, ვითა: ნათელი, ბნელი, სიკუდილი, ძალი და ესთა სხვანი. ნათელი უკვე ნიშნავს თვალსა ქვედმდებარესა, მაგრა შესაბამისამებრ ნიშნავს ღმერთსა, სათნოებასა, ზედმიწევნილობასა. ეგ სახედვე ხოლო ბნელიცა ნიშნავს მოკლებასა საგრძობელი-სასა, რომელ არს თვალი. გარნა შესაბამისამებრ ნიშნავს ეშმაკსა და ცოდვასა. ხოლო სიკუდილიცა — მსგავსად ბნელისა. ხოლო ძალი ნიშნავს სამგვარად: ორსა სახელსა მშვინველისასა, ესე იგი ძალსა კმელისა და ზღვისასა, ხოლო მესამესა — კერძოსა, რამეთუ არს კერძოდ სფეროსა ვარსკვლავი იგი, რომელ არს ძალი, ხოლო შესაბამისამებრ, ძალი ნიშნავს სიძვისსა ეშმაკსა და მოქმედსა სიძვისასა კაცსა, რამეთუ იგი რომელიმე კაცი ძალ იწოდების, ხოლო ჩამოიგდების ესთა: ყოველი ძალი მყეფარი არს, რომელიმე კაცი არს ძალი, მაშასადამე¹¹⁸, რომელიმე კაცი არს მყეფარ.

ისმინე, გამგონეო, თუ ვითარ იქმნების გვარი მესამე ნართაულითა | სახელითა, რომელიცა წინდადებულითა ასოთა, ესე იგი, უნითა იქმნების. ფიტი არიან ესე: უკუდავი¹¹⁹, უსხეულო. უსრული და ესთა სხვანი. ხოლო ჩამოიგდების ესთა: ყოველსა უსხეულოსა არა აქუს სხეული, ხოლო სული არს უსხეულო, მაშასადამე, სულსა არა აქუს სხეული, საუწყ ესე საკმარ, ვითარმედ უსხეულოსა მრჩობლი აქუს ნიშნავს: პირველად ნიშნავს მას, რომელიცა არსხეულევან არს, ხოლო მეორედ ნიშნავს, რომელი არა არს სხეული, თუმცადა არს მექონე სხეულისა. ვითარცა არს სული. გარნა ესთა სიუხადე მაქვს ჩვენ ამისი. ვითარმედ ბუნება სულისა უსხეულო არს. და ამისთვის ვიტყვით მას უსხეულოდ. ხოლო ვინათგან თანაშეარსულ არს სხეულისა, ვიტყვით არა უსხეულოდ, ხოლო ესთა ჩამოიგდების: უკუდავითა. ყოველი უკუდავი არ მოკუდების, აღამ აღეგო უკუდავად, მაშასადამე. არღარა მოკუდების. საუწყ ესე, ვითარმედ უკუდავი მრჩობლსა ნიშნავს: ერთი იგი მას, რომელიცა არ მოკუდების, ვითა ანგელოსი არ მოკუდების და მეორე, რომლისა არ ძალ — არმოკუდავება. რამეთუ თუმცა აღამ არ გარდა-

[297]

¹¹⁸ ამიაზე: ადვილ არს შეგნება ამისი.

¹¹⁹ ამიაზე: ნუუმე ჰგონო შენ ესე სახელნართაულებამ. გარნა სცთები, რამეთუ ესე სხვაფერ არს, რამეთუ უნი დაერთო სახელსა და წინდადებით.

[298] ჯდამცა ბრძანებასა, არა მოკუდამცა. ესე ყოველნი არიან უკვე | წინამეწყვე კანუნთა სილოგიზმოსათა, რამეთუ არ არიან მასვე ქვედ-
მდებარესა ზედა, რამეთუ სახელმოდგამ უკვე არიან.

გამოჩინებაჲ რთულებითთა და განწვალებულთა
მაკთუროთა. თავი 110

ნართაულებითი¹²⁰, ესე იგი რთულებითი, და განწვალებითი მა-
კთური, — რომლისა შორის დართვითა სხვაჲ რაჲვე დაინიშნვის და
განწვალებითა სხვაჲ რაჲვე გამოძიხნდების სახეთაგან მისთა. ხოლო
მოჰქონან ამას გვარნი ექვსნი: 1. არს ვიდრემე სახე, ესე იგი გვარი,
რომლისა შორის არსობითი ზმნაჲ და მიძლეჲ. რთული და წვალე-
ბული ნიშნვენ სხვა და სხვაჲა ესთა: ჰრომ[ი] არს აწ, ხოლო აღგე-
ბული არს, მაშასადამე, ჰრომი აწ აღშენებული არს. ისმინე, გამგონეო,
ვითარმედ „აღშენებული“ ლექსი და „არს“ — ესენი განი-
წვალნენ რა, სხვაჲა და სხვაჲა ნიშნვენ, ხოლო რთული — სხვაჲა
რაჲვესა. არამედ არს ესე სილოგიზმოსთა კანუნთა წინამეწყვეჲ,
რამეთუ არს მარტივ ნაწილთაგან, ესე იგი კერძოთა, 2. არს ვიდრემე
გვარი, რომლისა შორის მყის მინალი იგი განიწვალოს ესთა: ყო-
ველი გვამოვანი ა|ნუ სიტყვიერი არს, ანუ უსიტყვი. ხოლო ყო-
ველი გვამოვანი არა არს სიტყვიერი, მაშასადამე, ყოველი გვამო-
ვანი უსიტყვი არის. ისმინე, გამგონეო, ვითარმედ ყოველი გვა-
მოვანი ანუ სიტყვიერი არს, ანუ უსიტყვი მყის თანად მიღებისამებრ
და არა განწვალებისამებრ. ხოლო არს ესე წინამეწყვე განრემზო-
ვისა კანუნთა. რამეთუ იგივე არ შეისმინების ქვედმდებარისად,
რამეთუ ოდესმე არს შესმენილ სიტყვიერი და უსიტყვი მყის თა-
ნად გვამოვანისად, ხოლო ოდესმე მარტივად — სიტყვიერი. 3. არს
ვიდრემე გვარი, რომლისა შორის წვალებისამებრ ღირს არს მიღე-
ბად მყის თანად მიღებისა, ესთა: ყოველი გვამოვანი არა არს კაცი,
ყოველი მოცინარი არს გვამოვანი, მაშასადამე, ყოველი მოცინარი
არა არს კაცი. ისმინე, გამგონეო თქმისა, ვითარმედ ყოველი გვა-
მოვანი არა არს კაცი — ამას მრჩობლი აქვს ნიშნავა: ერთი ვიდრემე
მყის თანად მიღებისა, რამეთუ ნიშნავს, ვითარმედ მყის თანად
ყოველი გვამოვანი არა არს კაცი, რომელ არს ოგივე, ვითარმედ
არაჲინ გვამოვანი არს კაცი და არს ცრუ. ხოლო მეორე — წვა-

120 აშიაზე: თავი არს 2.

ლებისაებრ, ესე იგი, ვითარმედ ყოველი გვაშოვანი არა არს კაცი, არამედ ვითენიმე გვაშოვანნი არიან კაცნი. და არს ქეშმარიტ, ხოლო არს ესე წინამეწყვე განრეშობისა კანუნთა, რამეთუ გვაშოვანი არა არს ერთისადმი ქვედმღებარისა, რამეთუ რომელიმე გვაშოვანი არს კაცი და რომელიმე გვაშოვანი არა არს კაცი. 4. არს ვიდრემე გვარი, რომლისა შორის ზმნაა ზედსხმული რაჟე რაჟევესა თანდართულ იქმნების და განიწვალების ესთა: რომელი ცხოველობს, მარად არს, სეკუნდოს ცხოველობს, მაშასადამე, სეკუნდოს მარად არს. ისმინე, გამგონეო, ზმნაა ზედსხმული ესე, რომელ არს „მარად“, რთული „ცხოველისა“ თანა ნიშნავს რაჟევესა და განიწვალების რაჟ, ნიშნავს სხვასა რაჟევესა და ამისმებრ გვარისა ჩამოიგდების ესთა: რომელმან ერთმან მხოლოდ მოკლა, არა სხვანი მოკლნა, არამედ ფინეზ მოკლა ისრაიტელი, მაშასადამე, სხვანი არა მოკლნა. ისმინე, გამგონეო, ვითარმედ — „მხოლოდ“ — ესე ლექსი დართო რაჟ ფინეზის ზედა, ნიშნავს სხვასა რაჟევესა, ესე იგი მხოლოდ ფინეზ იყო, რაჟეშს საქმე ესე ქმნა რაჟმე ხოლო ფინეზისაგან განწვალებული და საქმისა თან რთული, ნიშნავს სხვასა რაჟევესა, ესე იგი, ვითარმედ ფინეზისა არს მხოლოდ საქმე ესე ქმნილი და არა სხვა რაჟმე საქმე. ესენიცა¹²¹ განრეშობისა კანუნთა არიან წინამეწყვე. 5. არს ვიდრემე გვარი, რომლისა შორის ზმნაა რაჟმე მოქმედებითი ბრუნვებითს თან-ირთოს რაჟ და განიწვალოს ესთა: შენ რომლითა გიხილავს ისრაიტელი წყლული, მითვე არს წყლული, ხოლო თვალითა გიხილავს ისრაიტელი წყლული, მაშასადამე, თვალითა შენითა არს წყლული. ისმინე, გამგონეო, ვითარმედ ზმნისა, ესე იგი „ხილვისა“, შესაძლო რთვად „თვალისა“ თანა, ხოლო მოქმედებითისა ბრუნვებისაებრ შესაძლო განწვალვად თვალისაგან და მოქმედებითსა თანა რთვად ესთა: თვალითა გიხილავს ისრაიტელი წყლული, რომლითა იხილე ისრაიტელი წყლული, ხოლო არს ესეცა წინამეწყვე სილოგიზმოსა კანუნთა, რამეთუ მარტივ ნაწილთაგან არს, ესე იგი კერძოთა. მერმეცა არს წინამეწყვე სილოგიზმოსა კანუნთა, რამეთუ „ხილვად“ ლექსი სხვისა და სხვისა ზედა ირთო და ირთვისცა. 6. არს ვიდრემე გვარი, რომლისა შორის სახელი განიწვალვის ესთა: იგი არს პეტრე მოციქულ, ხოლო პეტრე მოციქული არს მოციქული პეტრე, მაშასადამე, იგი არს მო-

[300]

[301]

121 აშიაზე: ისმინე, თუ ვითარ არიან ესენი განრეშობისა წინამეწყვე.

[302]

ციქული პეტრე. ისმინე, გამგონეო, რამეთუ პეტრე მოციქული თავით თვისიან სხვასა ნიშნავს რაფვესა, ხოლო განიწვალოს რა, „პეტრე“ და „მოციქული“ სხვასა და სხვასა ნიშნვენ რაფვეთა. ხოლო ესეცა წინამეწყვედ სილოგიზმოსა და განრემზომისა კანუნთა. | და ესე არს მარტივ კერძოთაგან. მერმეცა პეტრე მოციქული არა მხოლოსა ნიშნვისა შორის შემოიღების.

რამ არს უყოვლოდ მაცთური¹²². თავი 111

[303]

მაცთური უყოვლოდ, რომლისა შორის კერძოთა რამეთა აღცნებს ყოვლადად მყოფ, რომელიცა არარაჲ არს, ამას უკვე ვიცნობთ სახეთა თვისთაგან, რომელსა აქუს სახე ორი, ანუ გვარი ორი: 1. არს ვიდრემე სახე პირველი, რომლისა შორის შემთხვევითისა კერძოდ რამე ყოვლადისად შეისმინებინ, ესთა: რაფვესაცა ქვედმდებარესა შორის სიმეწამულე არს, მეწამული არს, მალრანისა შორის სიმეწამულე არს; მაშასადამე, მალრანი მეწამული არს. აქა უკვე სიმეწამულე. მალრანისა შეისმინა ყოვლადისა მალრანისად, რომელ არს შემთხვევითისა კერძოდ. ესე იგი ნიკარტი მალრანისა მეწამული არს და შეისმინა ყოვლადისა მალრანისად. ესე არს ესე წინამეწყვედ განრემზომისა კანუნთა. ხოლო არა არს მასვე ადგილსა ზედა, რამეთუ ნიკარტისა არს სიმეწამულე და არა სხეულისა. ესე უკვე ითქმის უყოვლადად, რამეთუ მალრანსა შინა სიმეწამულე თუმცადა არს, არა სხეულისა, არამედ ნიკარტისა. 2. არს ვიდრემე სახე, რომლისა შორის საქმე რამე ყოვლადისა — მიზეზი სხვისა საქმისა რაფვესი, ხოლო მიიღებს საქმე იგი ესგვარ, ვითარმედ ყოვლადისა მისისა არს მიზეზ ვითამე, რომლისამებრ საქმეთა რაფათამე არს, ვითა: საზრდელი არს ყოვლობისა, ესე იგი ყოვლადისა, მიზეზ სიცოცხლისა ცხოველთასა. მაგრა საქმისა რაფვესი, ესე იგი სნეულუბისა, არს სატყვივარ ვითამე და მიიღების საზრდელი რეცა თუ ყოვლადისა ცხოველთასა სავნებელ, ესგვარ: მცირედ მოღებაჲ საზრდელისა რაფსავე უსნებობისათვის არს კეთილ, მაშასადამე, არარაფთ შიღებაჲ ფრიად კეთილ არს. ისმინე, გამგონეო, რაფვეცა ყოვლობისა ცხოველთასა არს სარგებელ საზრდელი, აქა დაიდვა ყოვლობისა ურგოდ. და არს ესე სიცრუე. ხოლო ითქმის უყოვლადად, ითქვა რა საზრდელი სავნებელ სიცოცხლისა რაფ-

¹²² აშიაზე: თავი არს 3.

• ზამებრ საქმისა და არა ყოვლობისა. ესე უკვე არს წინამეწყვე სი-
ლოგიზმოსა და განრემზომისა კანუნთა, რამეთუ არს მარტივ კერ-
ძოთა. მერმეცა არაარსი იგი მითვე ზედშემოლებითა.

რომელნი არიან მღევრობითნი მაცთურნი. თავი 112

მოჰქონან¹²³ უკვე მღევრობითთა მაცთურთა სახენი ორნი: [304]
1. არს ვიდრემე სახე, ესე იგი გვარი, რომლისა შორის ჰეშმარიტ
მღევრობასა ემღევრებოდეს ცრუ მღევრობაჲ ესთა: თუმცა არს
კაცი არს გვამოვანი¹²⁴, მაშასადამე, თუ არს გვამოვანი, არს კაცი.
მერმეცა¹²⁵ თუ არს კაცი, არს გვამოვანი, მაშასადამე თუ არა არს
კაცი, არა არს გვამოვანი. მერმეცა¹²⁶ თუ არა არს გვამოვანი, არა
არს კაცი, მაშასადამე თუ არს გვამოვანი, არს კაცი, ისმინე, გამგონ-
ეო, ვითარმედ ესე არს ესე კანუნი მღევრისა, წარტქმისა რაჲ კერ-
ძოჲ იყოს წინამსრბოლ და ყოვლობითი — მღევარ. ხოლო¹²⁷ უკე-
თუ კაცი არს, გვამოვანი არს. ისმინე, ვითარმედ უკუთქმასა შინა
ყოვლობითი იქმნების წინამსრბოლ და კერძოჲ — მღევარ. ხოლო
უკეთუ¹²⁸ არა არს გვამოვანი, არა არს კაცი. ამას უკვე სახესა შინა
ყოველი კიდურმდგომობაჲ არს წინამეწყვე კანუნთა ამით, რამეთუ
წარტქმასა შინა არს ყოვლობითი წინამსრბოლ და კერძობითი —
მღევარ. ხოლო უკუთქმასა შინა კერძობითი არს წინამსრბოლ და
ყოვლობითი — მღევარ. ამისთვის უკვე არიან სიცრუე წინათქმულ-
ნი. 2. არს ვიდრემე სახე, რომლისა შორის კერძონი ყოვლადისა
რაჲსამენი არა აღრაცხილ | არიედ, ესგვარ: სოკრატი გვამოვანი [305]
არს, გვამოვანი არს სოკრატი; პლატონ გვამოვანი არს, გვამოვანი
არს პლატონ. ესთა ხოლო სხვანიცა კაცნი. მაშა, ყოველი კაცი გვა-
მოვანი არს და ყოველი გვამოვანი კაცი არს. ისმინე, გამგონეო,
ვითარმედ აჲა არ-აღრაცხილ იქმნა ყოველნი კერძონი გვამოვანისა-
ნი, რამეთუ გვამოვანი არა კაცისად მხოლოდ არს შესმენილ, არა-
მედ ცხენისად და პილოსად და სხვათა მშვინველისა სახეთად ყო-

123 აშაზე: თავი არს 4.

124 აჲა, სიცრუე.

125 აშაზე: სიცრუე ესეცა.

126 აშაზე: სიცრუე ესეცა.

127 აშაზე: აჲა, ჰეშმარტი.

128 აშაზე: ჰეშმარტი ესე.

ველთა. ხოლო სოკრატი და პლატონი და სხვანი არიან კაცისა განუკვეთელნი მხოლოდ, ვინაცა სიცხადე მაქუს ჩვენ, რამეთუ არა გარემოეჭყევიან ყოვლისა გვამოვანისად. ხოლო არს ესე წინამეწყვე კანუნთა სილოგიზმოსათა, რამეთუ კერძობითთაგან ყოვლობითი გაკიდურმდგომდა.

რომელნი არიან გარდამავლობითნი მატუტრნი¹²⁹. თავი 113

[306] გარდამავლობითი არს, რომელი თვისსა ზედა წესსა არა ეგების, არამედ გარდავლის სხვად რაჲვედ. და ესე იცნობების თვისთა სახეთაგან, რომელსა აქუს სახედი ორი: 1. არს ვიდრემე გვარი, ესე იგი სახედი, რომლისა შორის გარდავლის ქარსებისაგან არაარსად ესთა. მოგცე შენ დრაჰკანი ერთი, არა მაქუს მე დრაჰკანი ერთი, მაშასადამე, მოგცე შენ, რადეა არა მაქეს. აქა უკვე დრაჰკანი იგი არს მყო, რომლისა იტყვის მიცემად და მისცემს, რადეა არ აქუს — ესე არს არა-არსი; აჰა, გარდავლის არსებისაგან არაარსად. საუწყ არს, ვითარმედ რომელსა იტყვის: არა მაქუს ერთი დრაჰკანი, — აჩვენებს, ვითარმედ: მრავალი მაქესო დრაჰკანი, მაგრა შენ ერთსო მოგცემ, მაშასადამე, კიდურმდგმოობად ცრუ არს, რომელ არს: შენ მოგცეო, რადეა არა მაქეს. 2. არს გვარი, რომლისა შორის გარდავლის არსებისაგან სხვად რაჲმედ¹³⁰ ესთა: სოკრატი არს კაცი, ხოლო კაცი არს სახე, მაშასადამე, სოკრატი არს სახე. აქა უკვე გარდავლო კერძობითისაგან ყოვლობითად — და არს ესე სიცრუე. ხოლო მეორისამებრ სახისა არიან მრავალ: ეს რაჲვეცა ისყიდე პირველ საქმელად, ჭამე, მაგრა უმი ჯორცი ისყიდე საქმელად პირველ, მაშასადამე, უმი ჯორცი ჭამე. აჰა, აქა ვითარისაგან გარდავლო სხვად რაჲმედ ვითარად, რამეთუ უმი და მგბარი არიან ვითარნი. ესენი არიან წინამეწყვე განრემზომისა კანუნთა, რამეთუ არა იქმნებთ მასქვე ზედა, რამეთუ გარდავლეს რად სხვისაგან სხვისადმი.

[307]

რომელნი არიან მსგავსებითნი მატუტრნი. თავი 114

მატუტური¹³¹ მსგავსებითი არს, რომლისა შორის საქმე, რაჲვე არს მსგავს რაჲსამე და გვართა რაჲვეთი წადნოის ყოველიურთ

129 აშიაზე: თავი არს 5.

130 აშიაზე: არა თუ სხვად არსებად.

131 აშიაზე: თავი არს 6.

მას მსგავსებად ესთა: ვითა სიმრთელე და სნეულებამ არიან უსაშუალო წინააღმდეგო, ეგ სახედვე — დატყუბილიცა და მხოლოდ, ესე იგი მარჩბივი და კენტი არიან უსაშუალო წინააღმდეგონი. ხოლო ქვედმდებარე სიმრთელისა და სნეულებისა იცვალეზის ვითარმე, რამეთუ სხეულმან მრთელისამან ისნეულა და სნეულმან იმრთელა, მაშასადამე, მარჩბივი კენტი იქმნა და კენტი — მარჩბივი. ისმინე, გამგონეო, რამეთუ მარჩბივი და კენტი უსაშუალობითა არა ემსგავსენს სიმრთელესა და სნეულებასა, მაგრა — ყოვლითურთ. ხოლო სიმრთელე და სნეულებამ არიან წინმეწყვე, ხოლო მარჩბივი და კენტი არ არიან წინააღმდეგო; რამეთუ წინააღმდეგოთა რეცა სიმრთელისა გინა სნეულებისდა ძალ ერთმანერთისა აღკოცად, თვინიერ ხრწნისა, მაგრა მარჩბივი და კენტი რომელთად შეისმინებთან, არ ძალ აღკოცად ურთიერთარს, რათა ქვედმდე ბარე მათი მერმელა ეგოსმეცა უხრწნელად. მერმეცა სნეულებამ და სიმრთელე იცვალეზიან ერთმანეთისაღმი, რამეთუ სნეული მრთელ იქმნების და მრთელი — სნეულ, მაგრა არ ძალ ცვალეზად ურთიერთას მარჩბივისა და კენტისა.

[308]

მერმეცა რაოდენობასა შინა წინააღმდეგობამ არა არს, რამეთუ მარჩბივი და კენტი მსგავს რიცხვისად შესმენილ, რომელ არიან რაოდენ, მაშასადამე, მარჩბივი და კენტი არა არიან წინააღმდეგონი. ეგფერვე ჩამოიგდების ხოლო ესეცა, ვითარ: სიკუდილი არს განრემზომ ცხოვრებისა, ეგ სახედვე ხრწნამ არს მყოფობისა განრემზომ, გარნა სიკუდილი არს ხრწნამ, მაშასადამე, ცხოვრებამ არს მყოფობამ.

საუწყ არს, ვითარმედ გვართა რამთამე სიკუდილი და ცხოვრებამ მსგავს ხრწნისა და მყოფობისა. მაგრა არა ყოვლითურთ მსგავს, რამეთუ ცხოვრებამ არს არსებამ, ხოლო მყოფობამ — მოძრაობამ. ეგფერვე სიკუდილი არს შემდგომად მოძრაობისა, რომელ არს ხრწნადი, ხოლო ხრწნილება — მოძრაობამ, და ხრწნილებისადა ძალ ნიშნად მოძრაობისა, რომელ არს ხრწნადი; მერმეცა ნიშნავს სიკუდილისა, რომელ არს შემდგომად მოძრაობისა ხრწნადი, ვინაეცა ესე სიკუდილი ხრწნამ არს, ხრწნა ანუ ხრწნილებამ და არა გარე-მოიქცევის, რამეთუ ხრწნილებამ არა არს სიკუდილი.

[309]

ეგსახედვე ჩამოიგდების ხოლო ესე: თვალი ინდოსი არს კერძო და ესსახედ კბილიცა. ხოლო თვალი რა ინდოსი იყოს ბრმამ, ბრმად ითქმის ინდოცა, მაშასადამე, კბილი ინდოსი არს თეთრ,

თეთრ ითქმის ინდოცა: გაიგონე, ვითარმედ მრთელობითი, ესე იგო ყრვლითურთობითი ყოვლობაჲ, რომელ არს ყოვლადი, მებრ ანაგებისა და მოკლებისა გავითარდების ნაწილთაგან თვისთა, რამეთუ ტიმეოს¹³² ანაგებითისა მხედველობისა მიერ წოდების მხედველად, ხოლო მსმენელობისა მიერ — მსმენელად. ეგ სახედვე ხოლო მოკლებისა მიერ მხედველობისა — ბრმად და ფერკითა კელობისა მიერ — მკელობითად. ხოლო სითეთრე და სხვანი ესთა არა არიან რომლისამე ყოვლადისა ყოვლითურთნი ნაწილნი, ვითა მხედველობაჲ და არა მოკლებაჲ, ვითა სიბრმე. ვინაჲ ესეგვარნი რაჲმენითუ კერძოსა შორისმცა არიან, კერძოსად შესმენილ და უკეთუ ყოვლადისა შორის — ყოვლადისად.

რომელნი არიან განრემზომობითნი მაცუთრნი.

თავი 115

- [310] მაცუთრთა¹³⁵ განრემზომობითთა მოჰქონან | უკვე სახენი ექვსნი: 1. არს ვიდრემე სახე თანსახელებრ, ვითა: ქაჩაჩოვან-ცხენისამებრ არს მკვივან, ხოლო მებრ ვირისა არა არს მკვივან, მაშასადამე, ქაჩაჩოვანი არს მკვივან და არა არს მკვივან. 2. არს ვიდრემე სახე სახელმოდგამისებრ, ესთა: ძალლი ხმელეთისამებრ არს მყეფარ, ხოლო სფერისებრისა არა არს მყეფარ. 3. არს ვიდრემე სახე ძალისა მიერ და მოქმედებისა, ესთა: ყრმაჲ არს ღრამმატიკოს — ესე ძალისაებრ, ხოლო ყრმაჲ არს არღრამმატიკოს ესე მოქმედებისაებრ. 4. არს ვიდრემე სახე ალაგისაცა მიერ, ესთა: ღღეს ცროჲს აქა, ხოლო არა ცროჲს ეთიოპიას, მაშასადამე. ღღეს ცროა არს და არა ცროა. 5. არს ვიდრემე სახე მიერ სხვა და სხვათა ზედშემოღებთა, ესთა: რკინაჲ არს უნდოჲ, ვითა რვალი და არა უნდოჲ, ვითა მიწაჲ, მაშასადამე, რკინაჲ უნდოჲ არს და არუნდოჲ. 6. არს ვიდრემე სახე სხვა და სხვისა მიერ ნიშნვისა ესთა: ალექსანდრემან საქმისა მიერ იხილა ბრძმედითა ოქრო გამოდნობილი, ხოლო ცნობისა მიერ — არა ბრძმედითა, არამედ თვალითა იხილა ოქრო გამოდნობილი, მაშასადამე, ალექსანდრემან ბრძმედითა იხილა ოქრო გამოდნობილი და არა ბრძმედითა იხილა ოქრო გამოდნობილი.
- [311] ესე ყოველნი არიან | წინააღმდეგო კანუთთა განრემზომისათა.

¹³² აშიაზე: არა პლატონის წიგნსა ვიტყვი, რომელ არს „ტიმეოს“, არამედ ერთსა ვისმე კაცსა, განუკვეთილსა კაცისასა.

¹³³ აშიაზე. თავი არს 7. -

რომელნი არიან მაცთურნი ანაგებიონი. თავი 116

მაცთურნი¹³⁴ ვიდრემე ანაგებიონი იგი არიან, რეცა იჩემდეს რაჲ რაჲვესა ქონებასა ვისდა, რაჲცა არა აქუს, ესთა: წიგნი ესე არისტოტელისა არს, მამასაღამე, არისტოტელის აქუს წიგნი ესე. იხილეა, მეფეო, ვითარმედ ფრიად ცრუ არს ესე, რამეთუ წიგნი ესე არა აქუს არისტოტელის, არამედ მე მაქვს. საუწყეს ესე, ვითარმედ მრავალსა ეწოდების არისტოტელისი, რომელნი არა ჰქონან არისტოტელის; ხოლო „კატილორიაჲ“ — ესე საზღვრისაებრ და არა მოგებულისაებრ არისტოტელისა არს, ვინაჲცა მე მაქუს ესე და არა არისტოტელის. მერმეცა რომელი რაჲცა არა წარწყმიდა ვინმე, აქუს მას. ახოლო არა წარწყმიდა მეფობაჲ, მამასაღამე, აქუს მეფობაჲ. ესეცა სიცრუე. მერმეცა რაჲცა გარდაფრინდების, ფრთოვანი არს, კატაჲ გარდაფრინდა ზღუდით, მამასაღამე, კატაჲ ფრთოვანი არს. მრავალნი უკვე ესთა ჩამოიგდებიან და ესენიცა ზემოთამებრ არიან წინააღმდეგო კანუნთა განრეშზომისათა, რამეთუ არა მასვე ზედა არიან.

| რომელნი არიან მაცთურნი შესატყვისობითნი. თავი 117

[312]

მაცთურნი¹³⁵ შესატყვისობითნი. ესე იგი შესაბამობითნი. არიან, რომელნიცა ურთიერთამებრ შესატყვისთა რომელთამე საქმეთა, ხოლო ჩამოიგდებიან ესთა: სლვაჲ ღამესა შინა, სიძვაჲ შესაბამ ურთიერთას; ეგფერვე, კაზმაჲ პირისა და სიძვაჲ შესაბამ ურთიერთარს, იგი რომელიმე ვალს ღამესა შინა, მამასაღამე, მეძავი არს¹³⁶. საუწყეს არს, ვითარმედ მრავალნი სამლოსათვის მოსწრაფებასა ვალს ღამესა შინა და სხვანი დაცვისათვის ქალაქისა და სხვანი მგზავრ მევალნი და არა მხოლოდ სიძვისათვის არს. მერმეცა მკაზმავი პირისა არა ყოველი მეძავი არს, რამეთუ სხვაგვარცა იქმნების, სიძვისა კიდე, კაზმაჲ პირისა და არა მხოლოდ სიძვისათვის.

რომელნი არიან შემსგავსებითნი მაცთურნი. თავი 118

არს ვიდრემე¹³⁷ მაცთური შემსგავსებითი, რაჲვეცა იქმნების შემსგავსებისაებრ, ესთა: წარსლვაჲ შეემსგავსების სიკუდილისა. ხო-

134 აშიაზე: თავი არს 8.

135 აშიაზე: თავი არს. 9.

136 აშიაზე: ისინი, გამგონეო, რამეთუ ფრიად ცრუ არს ვითამე ესე ჩამოსაგდებულნი.

137 აშიაზე: თავი არს 10.

[313] ლო ჩამოიგდების ესთა: რომელი იტრებს და წა|რვალს, სიკვდილით არს სნეული, იგი იტრებს და წარვალს ამიერ; მაშასადამე, იგი სიკვდილით არს სნეული. ხოლო რაჟამს უმეცარი ისწავებს, ზღვის კიდემ ანეულ იქმნეს, აჰა, ისწავა უმეცარმან, მაშასადამე, ზღვის კიდემ ანეულ იქმნა. მერმეცა, რომელიცა უწესოდ იტყვის: ჭერა-სიძემან წარწყმიდა წვერი, დიოსკორიდე უწესოდ იტყვის, მაშასადამე, წვერი ჭერასიძესი წარუწყმედიეს. მერმეცა, სტუმართმოძულე არვესა შინა ცხოვართასა მიივლინები, დიოსკორიდე არს სტუმართმოძულე, მაშასადამე, მიივლინოს არვესა და იქმნეს მწყემს. სხვანიცა ესთმრავალნი არიან, რომელთა მაცთურებანი ადვილ იცნობიან. ხოლო ყოველნი შემსგავსებულნი შემსგავსებისაებრ იტქმიან და არა დასარწმუნოსამებრ, ისწავებენ უკვე მაცთურსა მეცნაენი, რათა აცთუნონ ვიეთნი, მაგრა მეცნიერნი, ესე იგი ბრძენნი, ისწავებენ, რათა არა შესცთენ სხვათაგან. ესენი მკირედ გარდაიდვნეს მაცთურთათვის, მაგრა ეკმაების, რომელნი ისაჯმარებენ¹³⁸.

რამ არს კრძალვამ სიტყვის მიგებისა, ჩამოსაგდებისა და წინჩამოსაგდებელისა და ესგვარისა ცილობისა.

თავი 119

[314] მაცილობელთა სიტყვისათამი ექმნათ წინჩამოგდება ესე: ყოველი მცხოვრები ორძილობითი არს, რწმუნებულ არს. სამე-ტყეო არს, ვითარმედ განრჩეულად-რე თქმამ, თუ ყოველი მცხოვრები სამგანდმულებითი ორძილებითი არს, რწმუნებულ არს. მაგრა განურჩევლად თქმამ, ვითარმედ ყოველი მცხოვრები ორძილებითი არს, არა არს რწმუნებულ, რამეთუ ანგელოსი არა არს ორძილებითი. კვალად ჩამოუგდოთ წინა ესე; რომელთა შედგმანი გულისკმისაგან იყვნენ, არიან ლიტონთა შორის გულისკმითა, ხოლო ყოველობითნი შედგებიან გულისკმისაგან, მაშასადამე, არიან ლიტონთა შორის გულისკმითა. სამეტყეო არს¹³⁹, ვითარმედ შედგმანი გულისკმისაგან მრჩობლ არიან. პირველი ვიდრემე არს მარტოდ გულისგანზრახვისაგან, მაგრა არა არს იგი, რომელი განიზრახა, ხოლო მეორე, თუმცა სადამე გულის ზრახვისაგან შედგების, მაგრა-

138 აშიაზე: სადა არა რამ იმეცნარების.

139 აშიაზე: გაიგონე, იმეცენ, შთაიგეზე.

არა ლიტონისა გულის-განზრახვისაგან, ვითა ყოვლობითნი, რამეთუ გონებაჲ ერთ მოქმედებათაგან კერძოთა შეამტკიცებს ყოვლობითად და არა თვისთაგან, რეცა თუ არა რაჲსაგან, რამეთუ კერძოვანნი არა რაჲთამე ხატითა შედგებიან გულისგანზრახვისაგან. აწ საღამე ჩამოგდება იგი ს|ავშარ არს უწყებად, ვითარმედ განრჩეულად [315] თქმად არს, რომლითა იქმნებიან შემტკიცებანი გულის-განზრახვისაგან მხოლოდ და არიან ლიტონთა გულის-განზრახვითა შორის და დარწმუნებულ არს. ხოლო განურჩევლად თქმად, თუ რომლითაცა არიან შემტკიცებანი, განზრახვისაგან გონებისა არიან ლიტონთა გულისზრახვისა შინა, ხოლო არა არს დარწმუნებულ. ეს სახედ უკვე ღირს ესგვართა განკრძალვად.

მერმეცა, თუ საღამე წინამეწყვისა, ესე იგი წინააღმდგოსა. სიტყვაჲ არა სრულ არს და საბრვე არა არს, კამს მყის სიტყვის მიცემაჲ. ხოლო უკეთუ ვრქვას საღამე ესგვარ: არა თუ, რაჲვეცა არს ბრძენთა მოგებული, არს ბრძენთა. მაშინ შეიპყრობი: მოციქული არს, მაგრა არა არს მოგებული ბრძენთა. ხოლო თუ საღამე თქვა: ჰე, რაჲვეცა არს ბრძენთა, არა არს მოგებულ ბრძენთა, მაშინ კვალად შეიპყრვი შენ, რამეთუ გვაჩვენებს, ვითარმედ თუ რაჲვეცა იყოს ბრძენთა და არა იყოს მოგებულ ბრძენთა — თურე არა რაჲ აქუსთ მათ მოგებულ. და არა ესთა არს ესე.

მერმეცა, თუ საღამე ჩამოგდებაჲ ჰეშმარტებდეს, არ ღირს არს მარტივად შეწყნარებაჲ მისი. არამედ გიღირს თქმად, ვითარმედ: ვჰგონებ, ანუ ვიჭნოჲ, ანუთუ | ჰგავს, ვითარმედ ეგრეთ არს. [316] ანუ ეგვარ შევრაცხოთ მყოლ. ესე საიჭუნოჲ მასუნი კამს შენდა მიგებად მას. ხოლო უკეთუ თქვას, ვითარმედ: ეგეო შეიპყრვის წინამეწყვისა მიერ, არა რაჲთ სირცხვილ არს შენდა, რამეთუ არა შეგიწყნარებია იგი მარტივად. მერმეცა, იყოს თუ საღამე წინააღმდგოსა ზედა სხვაობითი იქვი, მიუგე, ვითარმედ: ეგრეთ ვჰგონებ მაგას, რაჲცა არს. და თუ შორის მევსიერებისაგან მისისა სახელი ფილოსოფოსისა იყოს თუ, მიუგე, ვითარმედ: რომელთამე იქუთავან ეგრეთ არს. ხოლო უკეთუ, ვითა უმეცარი, უკამსად სიმსწრაფლით შესეტესლა თუ ლექსითა ანუ სიტყვითა წინააღმდგომ შენი და მოგართვას ცთომილი ლექსი ანუ სიტყვაჲ ცუდწმასნილი წინააღმდგომ შენდა რაჲვე, მიუგე, ვითარმედ: შენ არ შეგიწყნარებდეს სიტყვაჲ ჩემი გონებისამებრ ჩემისა, რამეთუ მე ვწაღნოჲ, რათა გაგონო შენ ესე რაჲმე, ხოლო შენ გაიგონებ სხვად რაჲმედ.

1317]

შენ. ყოველთ იქემისა მადლთ ძეობილო, დღესივედღებულ
ლო მეფე, მიიღე ესე სამნაწილობითი ფილოსოფიაჲ: 1. მარტივი
მიღებაჲ, 2. თხზულებაჲ, 3. სილოგიზმთა, და დაწერე პატრუცაგსა
მალალ სამეუფოსა გონებასა შენსა. თავმან შენმან, ჩემგან მრავალ-
ტრფობით დასაფიცავმან, არარაჲ ჩემისამებრ უსწავლელობისა, თა-
ვისა ჩემისა მიხრობით, მისიბრძნიეს ცთომილსა, არამედ რავეცა
ვცემინე ლათინთაგან ფილოსოფოსთა და ზაქარიას ვისმე სომეხთ
მოძღვრისა, რომლისაგან აღმეკსნა მე დაფარულებაჲ არისტოტე-
ლისაგამოთა სიბრძნეთა, და სხვათა მიერ ვიეთმე მეცნიერთა — იგი
შეკრებით განვაწყვე და ესთა გვირგვინოსან ვიყავ წიგნი ესე, „სპე-
კალი“, თავდგმულებით. ხოლო ვწადნოჲ კვალად სულისათვისცა
რავეეთა საზღვართა მოკსენებად და ეგ სახედვე სხვათა სხეულ-
ცხოველობითთა ძალთა, ანუ მოქმედებათა ჩვენებად შენისა დი-
დებულებისადმი.

რამ არს სული: არსებაჲ არს, ანუ ზედშესრული? თავი 121

1318]

რ უსამღთოესთა ვიდრემე მოძღვართა და წმიდისა ეკკლესიისა
ბრძნეთა ფილოსოფოსთა მაქსიმე და იოანემან მოგვეცეს მოძღვრე-
ბაჲ ესე, ვითარმედ ყოველნი მყოფნი ვინათგან ანუ გრძობითა
იცნობებიან. ანუ გონებითა მიიწთომიან, ხოლო მიწთომასა ზედა
საქმისა რასამე მოსწრაფე არს გონებაჲ ცნობად. პირველად უკვე,
თუ არს. ეძიებს; ამისდა მერმელა, თუ რამ არს; და მერმე ამათსა
შემდგომად, თუ ვითარი, ანუ რომელი რამ არს; და კვალად შემ-
დგომად, თუ რაჲსათვის არს. ესე უკვე წეს ცნობადისადმი გონე-
ბისაგან სიბრძნისმოყვარისა. ხოლო ჩვენცა, სულისათვის სიტყვის-
მოქმედთა, წინდადებულ ვყოთ, თუ რომლითა სამსჯავროთა —
გრძობითა, ანუ გონებითა მიუღიეს სულსა მისაწთომილებაჲ, და
მერმელა რამ არს იგი, რომელთა მიერ იჩვენების და მოიგონების
მყოფ. ესთა უკვე შემდგომითი შემდგომად, ვითარ იცნობების რამ
არს: არსებაჲ არს ანუ ზედშესრული, ხოლო კვალად ამათსა შე-
მდგომად მებრ საზღვრისა, რომელი რამ არს: სხეული ანუ უსხეუ-
ლი; მარტივი ანუ შეზავებული, მოკუდავი ანუ უკუდავი, სიტყვი-
ერი ანუ უსიტყვი.

რამ არს მიწთომილებამ ფილოსოფოსთაგან სულისა. თავი 122

თქვეს უსამღთოესთა მოძღვართა ჩვენთა ზემომოცხენებულ- [319]
თა პირველთა თვისთაებრ მყოფთა ყოველთა ანუ გრძნობითა, ანუ
გონებითა მიწთომამ, ანუ ცნობამ, ვითარცა ითქვა. ხოლო გრძნო-
ბისა ქვეშე შემრდომსა კმად გამოსაჩინებელად აქუს გრძნობამ.
რამეთუ მყის მიხებასა თანა ოცნებასაცა შემიქმს ჩვენ ქვედმდე-
ბარისასა. ხოლო გონებითა მიწთომადი არა თავისა თვისისა, არა-
მედ შესრულებათაგან იცნობების. ეგსახედვე სულიცა, გონებისა
არ ზედმიწევნილისა ქვეშემრდომი არსებით, არა თავისა თვისისა,
არამედ ზედშესრულთაგან იცნობოს სამართლად, ესე იგი არა მის-
თაგან, არამედ მის გარემოთაგან, ვითა ხატი მიუწთომელისა მზისა.

რამ არს ჩვენგან მიწთომამ სულისა. თავი 123

სულსა ვიდრემე გულმსიტყვითა დიაკრისებრითა მიგწვთებით, 1
ესთა: სხეული ვინათგან არს მოძრავ, შინაგნით ვიდრემე აქუს ძრვამ
ანუ გარეგნით. ხოლო სიცხადე მაქვს ჩვენ ამისი. ვითარმედ სხე-
ულსა არა გარეგნით აქვს ძრვამ — არც ჭენებით, არც მოხვეწით, [320]
ანუ მოზიდვით, ვითარცა უსულოთა. მაქმა, ცხად სადამე არს, ვი-
თარმედ შინაგნით ძრული არა ბუნებით იძრვის მეტრ ცეცხლისა.
რამეთუ იგი მარად არს მოძრავ. ვითარმედის იყოს ცეცხლ, რამეთუ
სხეული, განკვეთისა შემდგომად თვისაგან სულისა, არა იძრვის
მკუდარქმნილი. აწ სადამე თუ არცა გარეგნით იძრვის, ვითარ უსუ-
ლომ რადვე, არცა ბუნებით, ვითარცა ცეცხლი, მაშასადამე, სი-
ცხადე მაქვს ჩვენ, ვითარმედ სხეული იძრვის სულისა მიერ სი-
ცოცხლისა მიმცემელისა მისდა. ვინაჲცა თუ სული. იცნობებრს
სხეულისა ჩვენისა სიცოცხლისა მმნაქვებელად, იყოს და თავითაცა,
თვისით ცნობილი წინააღმდეგოთაგან, ვითარმედ არსება არს.

რამ არს ჩუენებამ, ვითარმედ არსებამ არს სული. თავი 124

იჩვენების ვიდრემე სული ესთა, ვინათგან არსება არს იგივე და
ერთი რიცხვითა, ნაწილებით მიმღები წინააღმდეგოთა. ხოლო სული
თვისისა ბუნებისაგან არ განდგომილი წინააღმდეგოთა, ესე იგი სა-
თნობისა და უთნობისა. ნაწილებით მიიღებს; მაშასადამე, არსებამ
არს სული, ვითარცა წინააღმდეგოთა ნაწილებით მიმღე. ხოლო

[321] ვინათგან სხე|ულოცა ვიდრემე არს არსებამ, ვითარ მოსავალ არს იქვად მაცხოვნისა მისისა უარსებო ყოფამ, არა თუ ვინმე არ მყო-სა მყოფისა მიზეზად მეტყველ იყოს. და თვით მის სხეულისა მა-მყოფად სულსა, არამედ უფროსლა ვერცა წინააღმდგოსა, თვინ-ერ სულისა, და უფროსლა ზრწნადსა და შლადსა, განყოფითა მისი-თა. აჰა, ცხად სადამე არს, ვითარმედ არსებამ არს სული.

რამ არს სული; სხეული ანუ უსხეულომ? თავი 125

გარეშეთა უკვე ფილოსოფოსთა: ეპიკიროს და სტოველთა და კრატია და დიმოკრატის და ირაკლიტოს და თალი და თვით დიდმან პლატონ და არისტოტელი და დინარზოს და ამმონიოს და სხვათა გარეშეთა ფილოსოფოსთა თითოეულმან — თითომ თქვეს წვალე-ბამ სულისათვის და სხვა და სხვაგვარ განსაზღვრეს სული, ვერ მცნობელთა მადლითა სულისათა. მაგრა დიდმან პლატონ უკეთეს მათ ყოველთა, ესე იგი გარეშეთა ბრძენთა, თქვა სული მეტყველ-მან: [322] არსებად გონიერად, თვითმიმდრეკად, ვითამცა | რიცხვად ნა-წევრობითისად. ზოლო სადღუკეველთა და ახალსა შინა დიდმან ორი-გენი, და მანინ ჰპარსისა მოწაფეთა, ესე იგი მანიქეველთა, სხვა და სხვაგვარად წვალებისმთავართა თქვეს სულისათვის წვალეობამ, რომელთასა ყოველსა განაგებს მოძღვრებასა წმინდა ეკკლესიამ.

ითქვა რა ზემო სულისათვის, ვითარმედ არს და არსებამ ვი-დრემე არს და სხეულსა შინა არს, ზოლო ღირს ჩვენდა თქმად, ვითარმედ: სხეული არს ანუ უსხეულომ? ვთქვათ, ვითარმედ: ვი-ნათგან სხეულსა შინა არს, რომელი ჰძრავს მას, ვითარ ნებავეს, ვი-თა ზემო გარდავდევით. ღირს ჩვენდა გამოჩინებად ვითარმედ, თუ ვითარ არს სხეულსა შინა. ზოლო თუ სადამე გვერდით დადებულ მისა, ვითა საროთი საროთსა, რათა ამიერ იყოს რა სხეულ, ყო-ვლითურთ არა იყოს სხეული სულიერ, რამეთუ ნაწილითა რამთამე დადებულ მისა არს გვერდით. ზოლო თუ შეყოფილ არს ანუ თუ შეზავებულ, შეიქმნას იგი სიზრქესა. ზოლო თუ ვითარ არა იქმს სიზრქესა მის შორის ყოფითა სული სხეულისასა, ცხად სადამე არს, რამეთუ პირველ სულისათვის განკვეთითა სხეული უზრქეს იყო, და შემდგომად მოაკლდა რა სული, უმცირეს მისა არს, რაოდენ [323] იყო პირველ სულისა თანა. მერმეცა თუ სხეულ | არს ანუ თუ გა-რეგნით იძრვის, ვითა ჰენებითა ვისგანმე, ანუ მიზიდვით უსულთა-

შებრ, ანუ თუ შინაგნით სულისა მიერ და არა რაღვე არს უნებლით მძრველი მისი. სცანა, რამეთუ სულისად ყოფად სული — უადგილოა არს მოძღვრებაჲ? ცხად სადამე, ვითარმედ სხეული სადამე არს ძრული სულისა მიერ შინაგნით. ხოლო კვალად თუ სადამე არს სხეულ სული, ვითარებანიცა გრძნობადნი ჰქონან და სხეულებრ იზრდების. მაგრა ესე უადგილო არს თქმაჲ. ვითარმედ რათა სული იზრდებოდესმცა სხეულიანთა საზრდელითა, არამედ უფროსლა სიტყვითა.

აწუა უკვე ვითარებანი მისნი, ესე იგი სათნოებანი, თავით თვისით იცნობებიან, დაღათუ მოქმედებითა მისითა კორცთა მიერ ჩვენებიან. ხოლო სხეულისა ცხოვლობითი რაჲცა ძალ, იგი არა მოქმედებაჲ, რამეთუ ყრმისად ძალ მუსიკელობაჲ ანუ სხვაჲ რაღვე სიტყვითი კვლოვნებაჲ და არ მოქმედებაჲ, არცა ერთი, არა. მაგრა სულისა რაჲცა ძალ, იგივე მოქმედებაჲ და რაჲცა მოქმედებაჲ — იგივე ძალ, ვინათგან გონიერ არს იგი, ვინათგან უოქმოდ თანწარმოდგომილად აქუს მას ძალი და მოქმედებაჲ, ვითა თქვა ჩემ გონება მზემან იოანე სამტომან ფილოსოფოსმან პეტრიწნან განმარტებასა შინა „ღვთისმეტყველებითთა კავშირთასა“. აჰა, ცხად სადამე არს, ვითარმედ სული უსხეულოა არს.

[324]

რაჲ არს სული: მარტივი ანუ შეზავებული? თავი 126

მარტივ-ყოფაჲ ვიდრემე სულისა იცნობების უსხეულებითა მისითა ცხად-ყოფისა მიერ. რამეთუ შეზავებული მრავალგვაროვან არს და მრავალგვარ ხილული, და ხილული — გრძნობითად, ხოლო გრძნობითი — სხეულ. მაშასადამე, მარტივ არს სული, ვინათგან უსხეულოა არს იგი.

რაჲ არს სული: უკუდავი ანუ მოკუდავი? თავი 127

ვირწმუნებთ უკუდავ-ყოფასა სულისასა მარტივად გამოჩინებისა მიერ მისისა, რამეთუ არცა ერთი მყოთაგანი არს მხრწნელ და მავს თვისისა მყოფობისა, და თუ არა, არცაღამცა დაწყებასა მოქმედებითსა ქმნილ იყო იგი. ხოლო ხრწნადი და ვსებადნი წინააღმდეგოთა მიერ იხრწნებიან და დაივსებიან. ხრწნად ვიდრემე მიიღოს მან, რომელიცა შემტკიცებულ არს წინააღმდეგოთაგან, ხოლო

[325]

წინააღმდგოთაგან შემტკიცებული შეზავებული არს, რომლისათვის დაქსნადცა არს. ხოლო დაქსნადი ზრწნადი ვიდრემე არს, ხოლო ვინადგან უზრწნელ, უკუდაცა არს. მერმეცა სხვაგნით და არა თანერგად მექონეა ცხოვრებითისა ძალისა ეგზომ ჰვიეს, რაზომცა იმპირვოდის მის შორის მოქმედისა ძალისა მიერ. ხოლო და-რა-დგეს მისშორისი იგი მექმი, მოაკლდეს იგიცა, არა ვისგანმე უკვე, არამედ თვის შორის თანერგად არს მექონეა ცხოვრებისა, არაოდეს-ცხოვრებითსა მყოფობასა მოაკლდეს. ხოლო თანანერგ სულისა არს სიცოცხლე, ესე იგი ცხოვრებაჲ, ვითარ სამობისა — მეტობაჲ და ცეცხლისა — მჭურვალეობაჲ და სინათლისა — ნათელი. ვინაჲ-ცა სხეულსაცა სული მოართვამს სიცოცხლესა. ხოლო რომელსა მოაქუნდეს ცხოვრებაჲ, მიუთვალველ სადამე არს იგი სიკუდი-ლისა, ვინადგან თანანერგად¹⁴⁰ მომღებელი წინააღმდგოთაგანისა რაჲ-სავე მიუთვალველ არს ერთკერძოსა წინააღმდგოთასა. ვითარ სი-ნათლე, მომღეჲ ნათლისა, მიუთვალველ არს ბნელისა და ეგ სა-ხედვე, ვითა ცეცხლი მჭურვალეობისა მომღეჲ, მიუთვალველ არს განგრილებისა; ესთა სიცოცხლისათა თანამომღე, მიუთვალველი სი-კუდილისა, უკუდაც არს. აჰა, ცხად სადამე არს სული მიმცემი სხე-ულისად ცხოვრებისა, რამეთუ უკუდაც არს სული.

[326]

რაჲ არს სული: სიტყვიერი ანუ უსიტყვი? თავი 128

მრავალთაგან ვიდრემე იჩვენების, ვითარმედ სიტყვიერი არს სული ჩვენნი. პირველ ვიდრემე, ვითარცა მომპოვნებელი ჯელოვნე-ბათა, რომელნი ესაჰიროებიან ცხოვრებასა შინა მყოფთა, რამეთუ უქმად და ურგოდ არ მყოფნი ცხოვრებისად, არა ვითარ დამთხვე-ვით უსიტყვადმცა შემტკიცდეს. აწ სადამე თუ სრულ ჰყოფენ კე-ლოვნებანი საჰიროსა ცხოვრებისასა, ხოლო საჰიროჲ საქებელ სი-ტყვითა ნაშზადებ, ხოლო სულისა მიერ პოვნილ არიან ესენი, მა-შასადამე, სიტყვიერ არს სული. მერმეცა ვინათგან არა ეკმაების კაცსა გრძნობანი მშვინეველებრნი მიწთომასა ზედა მალალსა მისა-
 [327] წთოსასა, ეს|ეცა სიტყვადესა მომცემს ჩვენ, ვითარმედ სიტყვიერ არს სული. რამეთუ არა გვეკმავის შემეცნებისა შორის მყოფთასა მინებაჲ გრძნობათა, რამეთუ არშეცთომილად ყოფად ვწადნოდთ

¹⁴⁰ აშიაზე: თან-ნერგად მომღებელი არს სული წინააღმდგოსა სიკუდილი-სადმი, ესე იგი, ცხოვრებისა.

მათ ძლით უსიტყვებრისამებრ გრძნობისა. რამეთუ ნაკვეთითა სწორ-
თა და ფერთა მსგავსთა გრძნობაჲ უსიტყველი და დაკლებული
სიტყვისაგან განურჩევლად იპყრობს ცნობასა მათსა, რამეთუ
მგრძნობელნი იგი ორღანონი გრძნობისანი უსიტყველ არიან და
სიცრუითსა შემიქმენ ოცნებასა მყოფთასა. მაშასადამე, სიტყვიე-
რებითი ვიდრემე არს ჩვენი ჰემმარტი მიწთომჲ მყოფთა, ხოლო
უკეთუ მისაწთომელებრი სხვაჲ იყოსმცა დაზევებული გრძნობითა
მისაწთოთა, სხვაჲ იყოს უღრესი ძალი საცნობელთა ამათ. ხოლო
უკეთუ არმისაწთო თუ არიან, არცაღა იყუნენ სხუებრ ჩვენდა
ესენი, თვინიერ ვითარ-იგი სახილველ არიან. ხოლო ვინათგან მი-
საწთო არიან, ცხად არს ამისგან, რამეთუ თითოსა შესაბამ საკმა-
რებისა ვიკმარებთ და კვალად ვცვალებთ, რაჲვესადცა ვსწადნო-
ოდეთ.

აწ ვიდრემე თუ გამოჩნდა ჩუენგნით მყოფთა მიწთომილებჲ
და გრძნობანი, ვინათგან უსიტყველ მყონი ტყუილსა ითნებენ, გო-
ნებაჲ¹⁴¹ სადამე | არს სიტყვით წხედველი და განმსჯელი და წარ-
მომჩენი ყოველთა სამეცნოთა და ვითარ-იგი ჰემმარტი არს შემ-
მეცნი ყოველთა და გონება იგი არს სიტყვიერებითი ნაწილი სუ-
ლისა, მაშასადამე, სიტყვიერ არს სული. აწ უკვე ვინადგან გამოი-
ჩინა სული არსებისა ჩუენისა, ვითარმედ არსება არს და უსხეულო
არს და მარტივ არს და უკუდავ და სიტყვიერ, თანამდებ ვართ უწყე-
ბად, თუ რაჲ არს სული საზღვრისამებრ.

[328]

რაჲ არს სული საზღვრისამებრ. თავი 129

იტყვის დიდი აღბერდი: ვიეთთაო განსაზღვრეს სული, ვითარ
არცა გაგონებაჲ, ხოლო ვიეთთაო, თუ სული, და ვიეთთაო, ვითა
სმენა, გაგონებაჲ და სული. ხოლო რომლისათვისცა აქუს სულსა
ბუნებაჲ გაგონებისა, განსაზღვრების აღექსანდრისისა მატინისისა
მიერ დრეკისათვის გონებისა, ესთა¹⁴²: სული არს არსებაჲ უსხეუ-
ლოჲ, ცნობადი, მიმთვალველი ნათლოვნებათა უკანაჲსა¹⁴³. სიცხა-
დითა შესაგნებითო, რამეთუ შორისობითა ანგელოსათათა შეისმი-

141 აშიაზე: გაიგონე შეენიერი.

142 აშიაზე: გაიგონე.

143 აშიაზე: უკანაჲ ითქმის, რამეთუ საშუალ პირველისადმი გონებისა აქუს
ანგელოსი სულსა ჩვენსა, რომელთა უკანა შეისმენს მალალთა გასაგონთა.

[329] ნების, ესე იგი შეიგნებს ანუ გაიგონებს. ამის მეტრ საზღვრისა ვიცნობთ, რამეთუ კაცებრივი სული ყოველთა მათ წმიდათა ანგელოსთასა შემდგომად უსაშუალოდ არს მიმთვალველი ნათელ ბრწყინვალებათა.

სული ვიდრემე, რომლისამებრცა ითქმის სული, ესთა უკვე განსაზღვრა ნემესიოს:^{*} სული არსო არსება უსხეულოდ, მმართველი სხეულისა. და ამის უკვე საზღვრისა მიერ განსწავლულნი ვიტყვი: სული არს მიმდრეკი და მმართველი სხეულისა. მერმეცა განსაზღვრებისამებრ ფილოსოფოსისა, წიგნსა შინა სულთასა, სული არს ესთა: სული არს მოქმედებად ბუნებითი და საქმობითი, სხეულისა ძალით სადამე სიცოცხლის მექონისა, ითქმის ვიდრემე აქა მოქმედებად პირველი, გინა სრულებად. ამის უკვე განსაზღვრი-, საებრ ვიცნობთ, ვითარმედ შემეერთი სხეულისა არა ყოვლისა, არამედ მხოლოდ საქმობითისა და ბუნებითისა, ესე იგი ბუნებითად მზადებულისა, მითვალვად სულისა სიტყვიერისა. ხოლო აგვისტინე განსაზღვრებს ესთა:¹⁴⁴ სული არსო მსგავსებად ყოველთა. ესე უკვე განსაზღვრებად შემსგავსებითა სულისათა ნაბადთა მიმართ, რამეთუ სული ნიადეა თვისისამებრ ბუნებისა არს შესაბამ მითვალვად მსგავსებისა ყოველ მოფარდულობათა — კორციელთაცა და სულიერთთა, საუწყ¹⁴⁵, არს, ვითარმედ რომელნიმე იცნობებთან წინააღმდეგობა მიერ, ვითა ნათელი ყოფითა ბნელისათა და უსხეულოდ ყოფითა სხეულევანისათა. ესთა ითქმის, ვითარმედ სული მიმთვალველ არსო მსგავსებისა. მერმეცა¹⁴⁶ სხვადა არს განსაზღვრებად მისი: სული არს ხატი ღვთისა, მშვიინვადა სიცოცხლისა. ხოლო ესე უკვე საზღვარი მოიღეს მოძღვართა წიგნისაგან შესაქმისა 2.7 ვითარი იგი მსგავსების ღმერთსა, რამეთუ არა განიჭრების თითოეულისაღმი, ვითარ-იგი ითნებდეს უმფთონი მანიქეველნი, არცალა თესლოვნებისაგან შემოქმედებითისა მიზეზისა, გარნა ღვთისაგან დაბადებითა მიფენილ არს სხეულსა შინა, რამეთუ მიფენითა დაბადების იგი.

[330]

მერმეცა სენეკა^{*} ესთა განსაზღვრა იგი: სული არსო სმენად საცნაური, განწყესებული ნეტარებად შორის თვისსა და სხეულსა.

¹⁴⁴ აშიაზე: გააგონე.

¹⁴⁵ აშიაზე: იმეცენ.

* ხელნაწერშია: ნემეგიოს.

¹⁴⁶ აშიაზე: შეისწავე შეენიერი.

* ხელნაწერშია: სენეა.

ესე უკვე განსაზღვრებამ არს მიხედვითა ძულისათა უკანასკლამი, რომლისაებრ, არათუ მარტოდ ფანკიდებული ინეტარების ყოვლითურთად თვის შორის, ვითარცა ანგელოსი, არამედ მერმეცა სხეულსა შინა დიდებულსა აღმატების ყოვლითურთი იგი დიდებული ინეტარება იგი.

რამ არს საქმისამებრ სული. თავი 130

[331]

სულისათვის ვიდრემე გაჩენამ სხვა და სხვამ დადევს ფილოსოფოსთა. მაგრა დიდი პლატონ სულსა იტყვის რიკვ ყოფად, დრასტიკოდ, ესე იგი თვითმიმდრეკად. და არისტოტელი თქვა სული მოქმედება ყოფად სხეულისა; ხოლო პითაგოროს იტყვის სულსა თანშესჯილ ყოფად. და იპოკრატოს იტყვის სულსა — მშენივამ არსო წვლილი. და იპაროს იტყვის: უძლიერესობა არსო სული ცეცხლოვანი. პარმენიდის იტყვის — ქვეყანისაგან და ცეცხლისა და ეპიკოროს იტყვის — პაერისაგან და ცეცხლისა. და სტოველთა თქვეს — მშენივად მჭურვალედ და ცეცხლოვანად. ხოლო იპპონ თქვა წყლად და კრატია — სისხლად, ხოლო დიმოკრატოს თქვა — ცეცხლად, მეტყველმან მრგვალნიო სფერო-ნაკვეთნი განუყვეთელთანი შედარებულნი და თანშესჯილნი, ცეცხლად და პაირად სულსა შეასრულებენო. ხოლო ირაკლიტოს სული ყოვლისა ორთქლად თქვა ნოტიოთაგან, არამედ ცხოველთ მგრძობელთშორისთა — ორთქლთაგან, ერთოში თქვა, შეზავებულად. და სხვათა სხვაგვარ თქვეს იგანსაზღვრებამ ძულისა გარეშეთა ფილოსოფოსთა. ვითარ-იგი მოიჯენებს ყოველსა წვალებსა სულისძლითსა გარეშეთასა ინეტარი ნემესიოს ემესელი ეპისკოპოსი ფისიკასმეტყველებსა შინა თვისსა¹⁴⁷, სულისძლითსა შორის სიტყვასა: განვეყოთ უკვე მრავალ წმანსასა ელინთასა და ჯადუცეველთასა ბოროტ ცნობასა და ოროგენიტთა ელამ მოძღვრებასა და მანიქველთა საძაგ სიბრძნისმოყვარებასა და მოწაფე ვიქმნნეთ სანატრელთა მოძღვართა ჩვენთა, განსაზღვრებისა მეტყველთა სულისათვის: სული¹⁴⁸ არს არსებამ სულიერი და სიტყვიერი, ნაბადი არა რაჟსაგან ცხოვრებად კაცობრივისა სხეულისა. თქვა დიდმან ალბერდი სულისძლითსა შინა სიტყვასა: სული ითქმისო დაბადებულად — სრულებითად

[332]

147 აშიაზე: ისმინე, გამგონეო, ფრად შევნიერო.

148 აშიაზე: შეისწავე.

და უსრულებითა — ზედმიწევნილებისამებრ და სათნოებისა, მაგრამ არა უსრულესი ბუნებითისამებრ ძალისა. რამეთუ უსხეულოა არს და არა გაქვედმდებარდების იგი, რეცა ქვეშემრლომი საგრძნობთა და არცა განფენითი არს და განდგომითი მებრ განსაზომელთა. სულსა² უკვე აქუს რაოდენობაჲ, ვითარცა იტყვის აგვისტინე, არა განზომითი, არამედ შეძლებითი ძალითი. ხოლო მარტივ არს სული, ვითა ზემო გარდაიდვა, მებრ საქმისა მისისა, არა რაჲსა შიმთუალველი აღორძინებისა, ანუ მოკლებისა, რამეთუ სხეულსა შინა არცა უდიდებისა არს დიდ და არცა უმცირესისა არს მცირე, ვითარცა იტყვის აგვისტინე. ხოლო სიმრავლე ძალთა სულისადმი არ დიდების სიდიდე ბუნებასა შინა მისსა, არამედ სიმრავლე იგი ძალთა არს სიმრავლე მოქმედებათა, ვითარცა იტყვის მზე ნათესავისა ჩვენისა სამლოთო იოანე¹⁴⁹ განმარტებასა შინა „ღვთისმეტყველებითა კავშირთასა“¹⁵⁰. მერმეცა სული არს სიცოცხლე საუკუნოჲ, ესე იგი გონიერებითა და ნებითა, ესე იგი თვითველმწიფებითა, ხატად მღვთისად ქმნილი, მიმთვალველი სათნოებისა და უთნოებისა, გვირგვინისა და პატივისა. სული არს თვითმფლობი, ძალითა, ანაგებითა და შეებითა განშვენებული და თვითმიმდრეკობითა, ესე იგი არავისგან ძრვითა. სიტყვიერებითა, ესე იგი გონებითა და სისუბუქითა, ესე იგი სიწლოებითა, რომელ არს უსხეულობითა, გვირგვინონებული, რომელსა არა აქუს სიმძიმე. არცა ნაკვეთი, არცა ფერი;

[334] მაგრა თვითმფლობისაებრ და თვითმიმდრეკობისა არს ცვალებადი და შემწიკვლებადი. ხოლო დიდებულ არსცა, რამეთუ არს მიმთვალველ საუკუნოობისა და არს წრფელ, რამეთუ არს ბუნებით მწდგმ ნეტარებისა და არს კეთილ, რამეთუ არს მადლით ზიარებულ ღვთაებისა.

რომელნი არიან პყრობადნი ძალნი სულისანი. თავი 131

იტყვის მწვერვალი მოძღვართა შორის დასავალისათა დიდი აღბერდი: მგრძნობელსა ჯულსა აქუსო ძალი დატყუბილ, ესე იგი პყრობითი და ძრვითი, გარნა პყრობითი განსხვავდების შინაგანად და გარეგანად. ხოლო ძალნი პყრობადისანი გარეგნითნი არიან გა-

149 აშიაზე: იოანე არს ქართველი ღვთისმეტყველი.

150 აშიაზე: იხილე.

რეგანნი ხუთნი სამგრძნობელონი, ესე იგი: 1. ხედვამ, 2. სმენამ, 3. გემებამ. 4. ყნოსამ, 5. შეხებამ. მაგრა შინაგნითნი პურობადნი არიან ხუთნი ძალნი მგრძნობელისა სულისანი: 1. ზოგადითი გრძნობამ, 2. წარმოჩინებამ, 3. იქვი, 4. პაზრი, გინა განზრახვამ, 5. მექსიერებამ.

ამათნი ვიდრემე ყოველნი ძალნი მოქმედებინად თქვეს პერიპატოითთა ფილოსოფოსთა, რამეთუ სხეულებითნიო საქმითა სრულყოფენ საქმართა თვისთა, ვითარმედ არიან მხლოლად გარემო ნაწილთა, ანუ კერძოთა. ხოლო ყოველნი უკვე სახენი არიან რადევსა ნივთსა შინა, რამეთუ სახე თვინიერ ყოველისა ნივთისა მიღებული ყოვლობითი არს გარემო, რომლითა მოქმედებს მეცნიერებამ ანუ გაგონებამ. ხოლო ესე ადვილ სადამე არს ცნობად, რამეთუ კერძოვანთა სამგრძნობელოთა¹⁵¹ შინა, რამეთუ არა-რამ არს პურობამ, თვინიერ აწ მყოსა საგრძნოსა. შინაგანთა ვიდრემე ძალთა, — რომელ არიან წარმოჩინებამ, იქვი, განზრახვამ, — იგივე არს პურობამ, რამეთუ ყოველთა მათ შორის არს პურობამ მხოლოდბითისა გვარისა, პურობისამებრ კერძოთა მისთასა. ხოლო რაოდენობისა და ვითარებისა ყოველნი ძალნი — ესენი არიან ვნებითნი¹⁵² და მიიღებენ, ანუ ივნებენ განუკვეთელთაგან და სახეთაგან, რომელ არიან დასაბამნი, გინა მიზეზნი სამგრძნობელოსა ცნობისანი. სამგრძნობელოდ ითქმის, რამეთუ არს მრჩობლ ცნობამ სამეცნოსა, რომელიცა აღმობრწყინდების მის მიერ, რომელსა საკუთრად აქუს ცნობამ სამეცნოსა მიერ. ვითა გვარნი ზიარნი¹⁵³ და ესმებრნი სამგრძნობელოდ არს, რომელი წარმოდგებოდეს განუკვეთელთაგან და წინჩამოდებითთა საგრძნობელთაგან კერძოვანთა, რომელ არიან დასაბამნი სამგრძნობელოცისა ცნობისანი. მერმეცა საცნაურ არს, რამეთუ არავინ პურობითი სამგრძნობელოდ ძალი სცავს მას, რამსაცა იპურობს, არამედ რომელსამე პურობილსა თვისგან, დაიცავს მას, რამეთუ სხვამ ვიდრემე არს ძალი, რომელი იპურობს კეთილ და სხვამ არს, რომელი სცავს კეთილ. გარნა რომელი კეთილ იპუ-

¹⁵¹ აშიაზე: ესე იგი საგრძნობელსა. მაგრა საგრძნო უფროსდა იგი არს, რამცა იგრძნობის მგრძნობელისაგან მყოფი რაავე.

¹⁵² აშიაზე: საქმის მისაღებულად იმეცენ.

¹⁵³ აშიაზე: ზიარნი ვიდრემე ესე არს ესე, რამეთუ შინაგანნი და გარეგანნი გრძნობანი ეზიარებიან ურთიერთას, ესგვარ, ვითარმედ გარეგანნი გრძნობასი თან-მიცემით ურთიერთარს ზიარებულ და ეგვერვე შინაგანითნიცა.

რობს, სრულ იქმნების ნოტიათა მიერ და რომელი სცავს, სრულ-
იქმნების სიკმელითა და სიგრილითა.

რომელნი არიან კერძოვანნი გრძნობანი. თავი 132

X მერმეცა¹⁵⁴ დიდმან თქვა ალბერდი: კერძოვანნიო, ანუ გარე-
გნითნი სამგრძნობელონიო, არიან ხუთნი, რომელნიცა ზემოსა შინა
თავსა მოვიკსენენით. ესენი უკვე საქმითა რაითავე შესიტყულ და-
საქმითა რაითავე სხვა. აწ სადამე¹⁵⁵ შესიტყულ ხუთნი სამგრძნო-
ბელონი არიან ამათ შინა, რამეთუ არიან მიმღებლობითნი, ანუ
ვნებითნი ძალნი, რამეთუ ვიგრძნობთ შინაგან მითვალვითა და
არა გარემიქცევითა ანუ მივლინებითა. ხოლო საგრძნო, დადებულ
სამგრძნობელოსა ზედა, არა იქმნების მგრძნობელ. ხოლო ყოველ-
ნი [337] მგრძნობელნი არიან შემწყყნარებელ, ანუ მიმთვალველ გრძნო-
ბათა კერძოვანთა და არა ყოვლობითთა. თვითთელისადმი საგრძნო-
ბელთა მიმზიდველ ვიდრემე არიან ორნი ძარღენი: ერთი უკვე
გრძნობად, რომელი საქმარებად არს წინააღმდეგოდ გარეგნითთა, ხო-
ლო მეორე — წადიერად, ანუ ნებიერად ძრვად, რათა იყოს შინა-
განი ძალი, ანუ სიმენე სულისა. ხოლო ჰაზრი მიაპარჯევს აგებუ-
ლებიანადმი. გრძნობასა შინა ყოველსა კამს ყოფად ზომიერობაჲ
საგრძნობელისაჲ რაჲვესაცა საქმისა გრძნობადმი, რამეთუ შუა-
სადმი ადვილებენ. ესე იგი დაამდებიან, და კიდურისადმი იხრწნე-
ბიან. ხოლო გრძნობასა შინა ღირს, რათა იყოს წინდადებული
ახლოს და სამიმდებოჲ შუა. ხოლო მრთელი და შესადარი საქ-
მეჲ არს მოქმედებითი ჰაზრი სულისა. ყოველსავე გრძნობასა
მოქმონან თითოჲ დასაბამი. ესე არს ესე ზოგადითი გრძნობაჲ,
რომლისაგან ვითარ რეცა შუა წერტილისაგან წარმოობენ, ვი-
თა ღრამმნი რომელნიმე. მერმეცა უკვე სხვაობენ კერძოვან-
ნი გრძნობანი მრავალთავე საქმითა, ხოლო თითოსა მოქმონან
ვიდრემე საკუთარნი საქმენი. მერმეცა სხვაობენ წინდადებულსა-
შინა. კვალად სხვაჲ მომღებითი შორისაა შინა, ესე იგი შუასა, რამე-
თუ [338] გემებადთა* და შეხებადთა აქვთ შუად შინაგანი | და სხვათა —
გარეგანი. მერმეცა განრჩეულ იქმნების მალიად პყრობითა, რამეთუ:

¹⁵⁴ აშიაზე: იმეცენ.

¹⁵⁵ აშიაზე: ვიგონე.

* ხელნაწერშია: გემებიდთა.

ხედვითნი მალიად იპყრობენ განშორებულსა. სხვა იქმნებიან ვიდრემე ადგილითა, რამეთუ არიან ხედვითნი რეცა მალალსა ზედა კათედრასა. ხოლო შემდგომი და მეორე არს სმენითი. ზოლო კვალად სხვანი მსგავს წესისა. მერმეცა იქმნებიან შეწმასნვითა, ესე იგი თხზვითა, რამეთუ გემებადნი და შეხებადნი უძლიერეს არიან საჭიროდ ცვად განუკუვეთელისაცა და სახისა, რამეთუ გემებადითა გამოირჩევეს საზრდელსა, რომლითა დაცულ ცხოველმგრძობელი ზრწნისაგან. ხოლო შეხებითი გამოირჩევეს რავევთა წინდადებულთა, ვითარ რეცა ტფილსა ანუ ცივსა. ხოლო ცხოველმგრძობელი რავე კიდევან თუ იქმნეს ესევითარისაგან წესისა, იზრწნეს იგი უეჭველ. სხვა იქმნებიან უკვე ყოვლობითიცა, რამეთუ შეხებადი ხოლო ყოვლობითი ვიდრემე არს არა ქონებისათვის საქმეთა განრჩეულთა, ხოლო არცა იგი ყოველთა შორის ნაწილთა. მერმეცა სხვა იქმნებიან დამცველობითა შეწყნარებთთათა თავსა შორის თვისსა, ვითა სიცხადე მაქვს ჩვენ შესახებელსა ზედა. საუწყუა ესე, ვიხილავთ რეცა ხედვითთა და თვალთა, მაგრა სხვაგვარ, რამეთუ ხედვითთა ვიხილავთ მოქმედები|სამებრ და საზისა, გარნა თვალთა — საქმობითისამებრ. მასვე ვიმეცნებთ სმენითისადცა და გემებითისად და სხვათაცა სამგრძობელოთად¹⁵⁶. ხოლო სული გაუცხოვდების გრძობადადთაგან სამ-სახედ, რამეთუ წამებს ამას ჩვენ თანა სამლოთოცა მწყობრი მამათა და ფილოსოფოსნიცა გარეშენი. და სხვად იტყვის სანატრელიცა გრიგორი ნოსელი „კაცის შესაქმის“ განმარტებასა შინა, 15 თავსა. ხოლო თუ ვითარ გაუცხოვდებოს სული გრძობათაგან, მოვაკსენოთ მოკლედ შენსა კეთილმსახურსა მპყრობელობასა მგფე: 1. ძილისა მიერ, 2. წარტაცებისა მიერ უმეტეს, 3. სიკუდილისა მიერ უფრორე.

[339]

რაჲ არს ზოგადითი გრძნობაჲ. თავი 133

ასწავებს მთავარი შესკოლეთა დიდი ალბერდი ზოგადითისათვის გრძნობისა ტრფიალთა სწავლისათა, ესთა: ზოგადითი გრძნობაჲ არსო ძალი მიმთვალველობითი წინდადებადთა, ყოველ კერძოვანთა გრძნობათასა, რამეთუ ყოველნი გარეგანნი კერძოვანებრ წარმოებენ ზოგადისაგან გრძნობისა, რეცა საშუალ წერტილისა-

¹⁵⁶ აშიაზე: პირველად გარეგნითა გრძნობათა შინაგნითი გრძნობანი ამისთვის მოვიკსენენით, ვინათგან სულისათვის არს სიტყვა ჩვენი.

340] გან, და მსგავს გრძნობისა მათისა ზედშემოიყვანენ ზოგადისადმი გრძნობისა, რომელსა სჯიან და განარჩევენ. ვინაჲ საუწყყ არს ტრფი-ალთადნი სწავლისათა, რამეთუ ზოგადი გრძნობაჲ არს მაწარმოებელ და წყარო. და ძირ, რომლისაგან წარმოებენ ყოველნი გრძნობანი და რომლისადმი ყოველ მოძრაობაჲ სამგრძნობელოთანი ზედ-შემოიყვანებიან, ვითარცა დასასრულისადმი ოხუანისა.

ძალსა უკვე ამას მოჰქონან რომელნიმე საქმენი, ვითარ-იგი რომელ არს გრძნობაჲ, ხოლო საქმე რაჲმე, ვითარ-იგი, რომელ არს ზოგადი. აწ სადამე ვითარ-იგი რომელა გრძნობაჲ, აქუს შეწყყნარებად გვარნი მოფარდულობათანი, თვინიერ ნივთისა, მაგრა აწ ყოფითა არა უნივთოდ. ხოლო ვითარ-იგი რომელა ზოგადი, მოაქუს უკვე შეწყყნარებაჲ ორთა გვართა.

პირველი ვიდრემე არს შინაგნითი იგი განსჯაჲ სამგრძნობელო-დასა რაჲსამე, რომლისა მიერ ვიპყრობთ ჩვენ ხილვადსა, რაჲსაცა ვიჩილავთ ოდესმე და სმენად სმენისა, რაჲსაცა ვისმენთ ოდესმე, და ესთა სხვათად, ხოლო მგრძნობელთა შორის ცხოველთა თუ სადამე არა იყოს შინაგან განსჯაჲ, არ ექმავების მათ სარგებელ ხილვად და სმენად, ხოლო მეტრ სხვათა გრძნობათაგან პყრობისადმი.

341] მეორე უკვე არს შემსჯავსებაჲ მრავალსაგრძნოთა ერთმანერთისადმი, ტკბილისა — უტკბილესისადმი და თეთრისა — უთეთრესისადმი. ხოლო ესე ამისთვის აქუს უკვე ზოგადი გრძნობაჲ, რამეთუ მისდამი შემოიყვანებიან გრძნობილნი ყოველთა თვითთა გრძნობათანი.

ძალი ესე დადებულ წინა-კერძოსა შინა ტვისსა, სადა შეკრბებიან სამგრძნობელონი ხუთთა გრძნობათანი და არს აღდილი ნოტია, ხოლო ტვისსა საქმისა მისისა მალიადობითა შეიწყყნარების, მაგრა არ მარხავს მათ და არცა სცავს.

რად არს ძალი წარმოჩენითი: თავი 134

ძალი ვიდრემე წარმოჩენითი¹⁵⁷ არს სიტყვისაებრ მისვე აღბერდი დიდისა, ძალი პყრობითი, რომლისა შორის დაცულ შემსგავსებანი საგრძნობელთ მოფარდულობათანი. ხოლო ესე ძალი უძლიერეს განზიდავს ზოგადითისაგან გრძნობისა. რამეთუ ზოგა-

¹⁵⁷ ამოაზე: წარმოჩენითი არს, რაჲსაცავე გრძნობილსა შემოსწერდეს, ვითარცა აწ მყოსა გარდასრულთა.

დიოთ გრძნობად არმიძღებელ არს შემსგავსებასა, თვინიერ ახლო მყოფისა-რე საქმისა. გარნა ესე სცავს ვიდრემე მსგავსებასა და კვალად განეშორების მყოფსა საქმესა. აწ სადამე ამის შორის გან-
ყენებდა აქუს ამას ზოგადითისაგან გრძნობისა, რამეთუ ზოგად-
სა გრძნობასა ესახმარების აწ მყოფსა გარეგანნი საქმისა, ვი-
თარ რეცა კერძოვანნი გრძნობანი. მერმეცა ძალსა უკვე ამას
წოდებულ საუნჯე გვართა, რამეთუ ამის შორის დაიცვიან გვარნი,
შილებულნი კერძოვანთაგან გრძნობათა. ძალი უკვე ესე დადებულ
პირველსა შინა კერძოსა ტვინისასა ვითარ-იგი დადებულ ზოგადითი
გრძნობად. მაგრა ამასა აქეს უკვე უმეტესი სიმტკიცე, ანუ სიფიცხე,
წარმოობილი სიგრილისაგან ტვინისა, სადა-იგი წარმოჩენითი სცავს
შეტვიფრვით შეწყნარებულთა ზოგადითისაგან გრძნობისა.

[342]

რად არს საგონებელი, ესე იგი იქვი. თავი 135

საგონებელი, ესე იგი იქვი, ასწავა სკოლართა თვისთა მთავარ-
შან მათმან დიდმან აღმბერდი: ძალი რადამე არსო, რომელიცა შე-
წყნარებულისა გვარისაგან აღმოიღებს ჰაზრსა, ანუ განზრახვასა,
რომელიცა არა იყოს მითვალულ გრძნობითა, ვითარ-იგი: რომელი-
მე ცხოვარი ივლტოდის მგლისაგან და მგელმან შეიწყალოს, ვი-
თარცა მეშვმან ნაშვი თვისო, ესე უკვე არა იქმნამცა, უკეთუმცა
არა აქუნდა მგელსა ცნობად ნაშვისა თვისისა განუქვე|თელისა, ვი-
თარმედ იგი არს ნაშვი თვისი, არცა ცხოვარსა ცნობად მავნებელისა
თვისისა. მაგრა ესენი არ არიან ცნობილ გრძნობისა მიერ. იქვი¹⁵⁸
ვიდრემე სხვა — წარმოჩენითისაგან, ესთა: წარმოჩენითი უკვე
იპყრობს მხოლოდ გვარსა, პყრობილსა ზოგადისაგან გრძნობისა.
ხოლო წარმოჩენითისადმი მხოლოდ არა შედგომილ განცხრომად
მწუხარებისა, არცა ლტოლვად უკანა მღევარისა. მაგრა იქვისადმი
მყის შედგომილ თითოვ ამათგანი ერთმანერთისადმი, ვითარ-იგი
მოქმედებითსა ზედმიწევნულებასა თვით იგიობად ხილვადისა, ანუ
განცდადისადმი. ეგ სახედვე იქვსა — წარმოჩენითისადმი და ამის-
თვის იქვი არ ყოვლითავე არს პყრობითი, მერმეცა მოძრაობითა
შისითა, რამეთუ განსაზღვრავს, რადსადმი უქმს მგრძნობელსა ძრვად
და რომლისაგან ლტოლვად. ხოლო რაჟამს-იგი მგრძნობელი იძრო-

[343]

[344]

დეს თუ თვისისადმი საზრდოვანა, ჯამს წარმოჩინებდა საზრდოვანა ყოფად მგრძობელისადმი, მაგრა საგონებელი, ესე იგი იქვი, არა მხოლოდ სძრავს, არამედ იპყრობსა. მაშასადამე, საქმარ მგრძობელთა ქონებად იქვისა, რომლითა იძროდენცა, ხოლო საქმე იქვისა არს პყრობად არა მართლიად სიტყვიერისად, არამედ ბუნებ|თისა. ვინაჲცა არა იპყრობს, რაჲ-მე უკვე იყოსმცა, რაჲსაცა იპყრობს, სილოგიზმთა, ანუ სახელი, ანუ ზმნაჲ? — არა, არამედ იპყრობს სიყუარულსა და მტერობასა, დაყუდებასა და დაუყუდებლობასა.

ძალი ესე ვიდრემე არს წინა-კერძოსა შორის წიაღსა ტვინისასა, რომელ არს ტფილი, ანუ მჭურვალი ძრვისაგან მრავალთა მშვირვათასა, რომლისადცამი არს.

რაჲ არს ჰაზრი, ესე იგი განზრახვაჲ. თავი 136

ჰაზრი¹⁵⁹ არს, ესე იგი ძალი განზრახვისა, რომელი ჰრთავს გვართა გვართა ზედა, გვართა ჰაზრთა ზედა და ჰაზრთა ჰაზრთა ზედა. აწ სადამე მაშინ არს ჰრთავა გვართა გვართა ზედა ჰაზრისა მიერ, რაჲჲმს იპყრობს რა რაჲვესა თეთრ ყოფად, ანუ შავად და ანუ რაჲჲმს ჰრთავს სხვა და სხვა გვართა, და განაწყობს იპკოცენ-ტავროსა. და ჰრთავს ვიდრე გვართა ჰაზრთა ზედა, ვითარ რეცა იპყრობს ცხოვარსა, მგლის სახედ იქმნების მავნებელი და ლტოლვალი. მერმეცა ჰრთავს ჰაზრთა ზედა. ესთა არს უკვე გვარი ესე, ვითარცა სიტხადე მაქვს ჩვენ მრავალთა კრავთა შორის ურთიერთარს | მსგავსთა, რამეთუ ცხოვარი იცნობს კრავსა ნაშვისა თვისსა, მიცემად ძუძუსა კრავისა თვისისა და არა უცხოსა კრავსა, ნაშვისა თვისისა მსგავსსა, აწოებს იგი.

[345]

აწ სადამე განზრახვითა უდიდესი არს ცნობაჲ, რამეთუ ძალ არს ქონებად მგრძობელისა სულისა მიერ, რომელ არს უსიტყუსა შინა. არა მხოლოდ უწყის აწმყოჲსა, არამედ ღვეწაჲ აქვს ყოფადისთვისცა. ამით უკვე რომელნიმე ცხოველმგრძობელნი აღაგებენ რეცა სახლთა თავისა თვისისად და ეგსახედვე მფრინველნი ბუდეთა და მორეწვად საზრდელთა თვისთა იღვეწიან უსიტყუნი იგი ცხოველ-მგრძობელნი შორიდგან და მართვეთა თვისთა ზრდიან მფრინველნი. ამით უწყიან მათ, ვითარმედ ესე — ესე არს და იგი — იგი არა არს. და ესთა ამისებრ, რომლისა ცნობაჲ ზედ-შემოიღების წარ-

159 აშიაზე: 4.

თქნისა და უკუთქმისა გვარისამებრ. მერმეცა ვიხილავთ მგრძნობელცხოველთა გამომრჩეველად ამის რადასამე და შემრაცხველად თვისსა. ხოლო გამომრჩევისა და შერაცხვისადმი ესავმარების დადებამა გულისამა რაფვესათვის და ცნობამა საქმისამებრ მისისა. ამისთვის უკვე მრავალთა თქვეს, ვითარმედ განზრახვამა არსო ნაწილ რამმე სიტყვიერებისა, მაგრა ვიტყვი: არა არს ჰემმარტივი გამორჩევა მგრძნობელისა, არამედ რეცა მსგავსი რამმე. [346]

ვიეთთა მიერ ესე წოდებულ კაცისა შორის განზრახვადობითად. არამედ განზრახვამა¹⁶⁰ საკუთრად სიტყვიერისა არს. კვალად ჰაზრი იმოქმედების ძალისა შორის, ვითა მღვიძარგისა, რამეთუ ძილისშორისსა¹⁶¹ შინა ეოცნებიან საქმენი რაფვენი აწ მყოლ. ხოლო ესე არს ესე. რათა იყოსმცა მოქცევამა ზოგადითისადმი გრძნობისა. აწ უკვე ძილი ესე ოდეს იყოსმცა სწორებულ სიტყვიერისა, ვითარცა არს კაცისა შორის, მაშინ შეიწყნარებს მმართებლობისა მოქმედებასა და ესთა მოფარდულობისასა, რამეთუ სიტყვიერებამა ოგი განყენებულა მათისამებრ სხვაობისა, რომელთა აქუს ვიდრემე ქცევამა და ამისთვის მოქმედებანი ჰაზრისანი მრავალ არიან შორის სახესა კაცისასა. ხოლო სადა-იგი ჰაზრი არა არს სიტყვიერისა თანა. ვითარ რეცა უსიტყვისა შორის, მაშინ იქმნების წარმართებამა მხოლოდ ბუნებითისამებრ გრძნობისა, რამეთუ ბუნებამა იგი ერთითა გვარიითა არს მის შორის¹⁶² და აქუს მათ ერთი გვარი. ამისთვის უკვე პყრობამა ჰაზრისა და ერთითა კერპითა — უსიტყვობითისა მას ბუნებასა შინა. ამისგან არს უკვე ესთა მოქმედებანი უსიტყუთა რომელთაგანიმე, რამეთუ ყოველი მაღალური ერთითა კერპითა შესწმასნის | ბუღეთა და ყოველი მერცხალი ესგვარევე იქმს, ვითა [347]

თქვეს უკვე ფილოსოფოსთა ვიეთმე, ვითარმედ ძალნი ესე უფრორე არიან მოქმედ უსიტყვთა შორის. ვიდრე მოქმედებანი, მაგრა კაცისა შორის უმეტეს თქვეს მოქმედად ძალთაგან, ესე იგი, რამეთუ მათდა — ძალ, ხოლო სიტყვიერთად — მოქმედებამა. რამეთუ უსიტყვნი იძრვიან არა თავით თვისით მიმართებლად რადასამე საქმარისა, რამეც არა წეს იყოს ბუნებისა მათისა, არამედ უფროს მიიზიდებიან და მიდრკებიან სხვისადმი. მაგრა კაცობრიენი მოძრა-

160 აშიაზე: ისმინე, გამგონეო, თუ ვითარ მიოქვამს განზრახვამა.

161 აშიაზე: ისმინე სიზმართათვის.

162 აშიაზე: გააგონე, მკითხველო, რამეთუ ორთა ბუნებათაგან არს კაცი.

ობანი, უფროსლა უკვე გონებითნი, განიწესებთან მმართველობი-
სამებრ სიტყვიერისა, რამეთუ კაცისა შორის უმეტესი და უკეთესი
ნაწილი მიდრეკს მთავრებრივად¹⁶³ და დარეჲ და მძიმე ნაწილი
მიდრეკების მოწებრივად. საუწყ არს, ვითარმედ შავნი ბალღამნი
არიან სნებადნი და ცნობავნებულნი და ამათ მოქქონან ჰაზრნი.
გარნა ესე არა იქმნების ბრწყინვალითა ხატითა სამგარძნობელითა
მოქმედებათა მიერ, არამედ ვნებათაგან, ანუ მიმღებლობისაგან
ბუნებისა და შერევისაგან ორთქლთასა, რომელნი აღვლენ და აღ-
შფოთებენ აღძრვითა თავსა. ესგვარნი ვიდრემე ორთქლნი სხვა და
[348] სხვაობით წარმოჩენისა | მიერ იქმენ შერეეასა, დაბადებენ სხვა და
სხვასა საზარელსა და განსაკრთომელსა ოცნებასა.

მერმეცა საუწყ არს, ვითარმედ უსიტყვემგარძნობელნი ადვილ
გრძნობენ უწინარეს მოძრაობისა უფროსრე კაცთა, ვითა სიცხადე
მაქვს ჩვენ ჭინკველისა მიერ, რამეთუ ოდეს შეეკრბეს საზრდელსა
თვისსა, ვიდრემე წვიმისა სამითა დღითა უწინარეს, ხოლო ქათამი
სიმარჯვისადმი უამისა გვიყოლეებს, რამეთუ უწინარე ჰაირის ცვა-
ლებისა გრძნობს. ესგვარნი არიან უწინარეს მოძრაობისა რომელ-
თამე საგრძნობთასა მგრძნობელთამიერნი გრძნობანი. ესე უკვე არს
ესე გრძნობა უწინარეს მოძრაობისა ანუ შეძრვისა გრძნობა უსი-
ტყვთა, უფროს კაცთა, რამეთუ კაცნი მრავალსა ზრუნვასა და
შფოთსა თანმყოფდ არიედ მიდმოობისაგან გონებისა და ცილობისა
ერთმანერთისადმი, და განრჩევისა და განწვალეებისა ურთიერთისად-
მი, ვითარცა შეყოფილნი, უწინარეს შეძრვისა ვერ გრძნობენ
მსწრაფლ, ვითარცა უსიტყვნი, რომელნი ესგვარსა შფოთსა და
ზრუნვასა არ შეყოფილ არიედ და არცა კაცებრივ მოქმედებენ მი-
დმოებითა სიტყვიერისა გონებისათა, არამედ ბუნებითისამებრ სა-
ზღვრისა მათისა მხოლოდ გრძნობითა იქცევიან.

[349] აწ სადამე ძალი ესე, რომელ არს | ჰაზრი, ფრიად აყენებს,
ვითარ წინააღმდგომ ზედმიწევნულებისა, რამეთუ ძლიერად მწუ-
ხარებასა და ზრუნვასა მისცემს სულსა ზედდამრთველი შფოთებნი-
სა და ესგვარისა შერევისა, ხოლო არა მხოლოდ მისაღებელთაგან
გრძნობათა, არამედ ვითარებისაგან თვისისა. ესე უკვე ვითარმედ
წინააღმდგომ არს და მხრწნელ და მავს ზედმიწევნილებისა, რამეთუ
რაჟამს ზეციერთადმი და უსამღთოესთა აღიჭრფოს თუ ვინ ზედ-

¹⁶³ აშიაზე: ვაჲ კაცისა მის, რომელმან იმთავროს თუ მონაჲ მეფისა ზედა,
ვითარ მე მიმთავრებოეს მონაჲ მეფისა ზედა.

მიწვევნილებასა ესთამან, აყენებს მისგან, ხოლო ესე ამისთვის, რამეთუ ზედმიწვევნილებად ვერ შემწყნარებელ არს ესგვარისა რად-
ვესი და არიან მსგავს ურთიერთას პაზრი და ზედმიწვევნილებად.

აწ სადამე პაზრი დადებულ შორის საშუალ ტვინისა ჟებეა, ესე იგი დაწიალებულისა და მეკსიერობისა, რამეთუ პაზრი იგი თავისა თვისისა გვართა ზედა, რომლითა მიიღებს წარმოჩინებითი გრძნობითა, ხოლო განზრახვათა ზედა დაიცვის მეკსიერობითი და მაშინ გვართა მათ და განზრახვასა განუყოფს და დართავს.

ჩაა. არს მეკსიერობად. თავი 137

იტყვის უსამლოესი მოძღვარი ჩვენი დამასკელი იოანე და ნეტარი ნემესიოს ემესელი: | მეკსიერობად არსო საუნჯე კსენებო- [350]
სა და აღკსენებისა. ხოლო დიდი ორიგენი იტყვის ამისთვის: ოცნებად არსო რომელიმე ნადაში რადსაგანვე გრძნობის, მოქმედებით ქმნილისა აღჩენილისა. ხოლო ვითარ პლატონ იტყვის: მაცხოვარებდა გრძნობისა და გაგონებისა, რამეთუ სული გრძნობადთა უკვე გრძნობს თავთა მიერ, მიითვალავს და იქმნების თნებად, ხოლო გონიერთა — გონებისა მიერ და იქმნების გაგონებად. ხოლო რაჟამს უკვე სახეთა, რომელნი მიიტნნა და რომელნი მოგონნა, თვის შორის დამტევენელ იყოს, ამისა აღკსენებდა წოდებულ.

ხოლო ჰგავს უკვე აქა პლატონის მიერ თქმად არა თუ თვით თვისებებისა გაგონებისა, რამეთუ გრძნობადნი აღიქს[ე]ნებიან მეტრ თვითებად, ხოლო გონიერნი — შემთხვევით, ვინადგან მიდმოგონებითაცა აღკსენებდა პირველ წარმოდგომილთა ოცნებათაგან მიექმნების, ხოლო საყუთრებით გაგონებისა ესთა მეკსიერ ვართ, ვითარ-იგი ვისწავეთ. ანუ ვისმინეთ, მგერა არსებისისა მისისა მეკსიერობად არა მაქუს ჩვენ, რამეთუ არა თუ პირველქმნილისა ოცნებისა მიექმნების მითვალვად გონიერთა, არამედ სკოლისაგან, ანუ რადვესაცა სასწავლოსაგან, გინა ბუნებითთა პაზრთაგან აღმკსენებლობად ვიტყვი, რაჟამს იგი რადვესი | პირველ მეუწყებ ანუ მესმეა ქმნილ ვიყვნეთ, ანუ სხვაფერ რაულადცა უწყებულ იყოს. გარნა პირველსა შესაბამი აქუს წარსულისა დროსამი, რომლისათვისცა იუწყებოდედ, რომელ აღკსენებულ არს ქმნილი და ხრწნილი და ჟამისა თანგანზიდვით აუებული და არს ვიდრემე წარსრულთა აღკსენებდა, რომელი არა ვიდრემე წარსრულთაგან იქმნების, არა-

მედ ოდესმე მყოთაგან. ხოლო აღკსენებად ითქმის, დავიწყებაა რა საშუალებას აღკსენებასა, რამეთუ აღკსენებად არს, ხარწილისა ცსენებისა კვალად მოხმად და წარმოჩინებად. ხოლო იქმნების ხარწად რადეფსა დავიწყებისაგან. და დავიწყება ვიდრემე არს განგებად ვსუნებისა. მაგრა ოდესმე მარად და ოდესმე რაზომმე, რომლისათვის იყო აღკსენებად. არამედ არს სხვადაცა აღკსენებად, რომლისა არა არს დავიწყებად გრძნობისაგან და გაგონებისა, ვარნა ბუნებითა ზრახვათა ბუნებრივთაგან. ხოლო ბუნებითად ზრახვად ვიტყვი, რომელნი თვინიერ მოძღვრისა ყოველთადა მიქმნილ არიან, ვითარ ყოფად ღვთისა. ამას უკვე იტყოდა დიდი პლატონ, ვითარმედ აღკსენებად არსო გვართა.

[352]

ესთა უკვე ოცნებული მისცემს. მიდმოგონებით აღჩენილსა, ხოლო მიდმოგონებითი — მიდმო | სიტყვიტისა, მაგრა მიიღოს რაჲ სიტყვიტმან და მიდმოსაჯოს, წარავლენს მექსიერობითად, რომლისა ორღანო არს უკანა კერძოდ წიაღი ტვინისა, რომლისა ნათხემავად და ტვინისამიერად წოდებულ და მისწორისი მშვიწვარებითი ძალი. ხოლო ვინათგან ვიდრემე სამგრძნობელოთა დასაწყისად და წყაროდ და მაწარმოებელად ვიტყვი წინა კერძოსა წიაღსა ტვინისასა და სიტყვიერებისად — საშუალსა, ხოლო მექსიერობისათვის — უკანა კერძოსა, საჭირო არს ჩვენებად, ვითარმედ ესსახედ არს ესე და რათა არა ვიეთნი უსიტყვად მრწმუნებელად მათდა შესცენდა თუ. კმა გამოჩინებად თვით მის ნაწილთმოქმედებისაგან მოვიღოთ, რამეთუ თუ საღამე წინა-კერძოსა წიაღსა ტვინისათა რაჲთავე ევნოს სახითა, სამგრძნობელონი უკვე დაიცვებიან, მაგრა, გონიერებითი მერმეცა ჰგეისვე. ხოლო საშუალსა თუ წიაღსა ტვინისასა ევნოს, გაგონებად ვიდრემე მოსცეთეს მხოლოდ და გრძნობისა საცავნი ჰგინ მცველად ბუნებითა გრძნობათა. ხოლო თუ საღამე წინათა და საშუალთა წიაღთა ევნოს, თანად გულისსიტყვად და გრძნობად წარწყმდების და განიკუთების. ხოლო თუ საღამე უკანასა კერძოსა ევნოს, მარტოდ | მექსიერებად წარწყმდების. ვარნა გრძნობასა და გაგონებასა არარად ევნოს.

[353]

ისმინე, გამგონეო, რამეთუ არა თუ შეხდომითისათვის ძრვისა ვმეთქვეობთ აწ ჩვენ, არამედ უკეთუ წინამან და საშუალმან და უკანამან ივნონ თუ ერთბამად, მყის გრძნობად და გულსსიტყვად, ესე იგი განზრახვად და მექსიერობად იხარწნებიან მყის. და ყოველი ცხოვლობად მგრძნობელთა წარწყმდების. საცნაურ ვიდრემე იქმნების ესე სხვათადაცა მრავალთა ვნებათა და შემთხვევათაგან და უფროს-

რე ნაღვლიანთაგან, ხოლო განავლიანებულთა ვიეთთამე გრძნობაჲ ეგის-ვე მარტოდ, არამედ გაგონებასა მარტოსა ჰვნებოდეს. ესფერ უკვე განავლიანებულთათვის თქვა დალინოს: მატყლისმოქმედი ვინმეო მახლობელად მისსა მის მიერ ქმნადო განწესებულ იყო, ხოლო აღდგაო და მიიხუნა ჭურჭელნი ჭაქისანი და საარკმელთა მიმართა და ჰკითხვიდა თვითოსა მუნ მდგომარეთასა და სახელ-წოდებულ ჰყოფდა თითოსა ჭურჭელსა, თუ სადამე უნდა მათ, რათა თუ სადამე, შთაუგდოს მათ. ხოლო მუნ მდგომარეთა მიუგეს, ვითარმედ გვინდაო. ხოლო პირველ ვიდრემე შთააბნია, რათა თვითოჲ ჭურჭელი, იტყვის მერამეცა, ჰკითხვიდაო | მათ: თუ გინდათ სადამე, მატყლისმოქმედიცა შთამოგიგდო. ხოლო მათ რეცა საცილისად ჰაზრ-ჰყვეს თვისად სიტყვაჲ იგი და ეტყოდეს: გვინდაო. ხოლო აღიღო და შთაუტევა ზეით ქვე მატყლისმოქმედიცა. [354]

ისმინე, გამგონეო, რამეთუ კაცსა მას სამგრძნობელონი უკვე აქენდეს მრთელად, რამეთუ იცოდა, ვითარმედ ესე ჭურჭელნი არიან ჭიქისანი და ისი — მატყლისმოქმედი. გარნა ვნებულო აქუნდა მას გაგონებაჲ. ხოლო სხვანი ცალიერთა მიერ წარმოიდგენენ ოცნებასა და იჭვეულობენ ხედვად, რომელთა არა ხედვენ. ხოლო სხვანი ცნობიერებენ დაუკლებელად. ესე უკვე ყოველი წინა-კერძოთა მხოლოდ ივენეს წიაღთა ტვინისათა და საშუალი ეგო უვნებელად. რამეთუ თითოეულთა ნაწილთა ვნებაჲთა შეხდომისაგან სიმარჯვე მოქმედებისა დაიყენების, რამეთუ მითაცა ასოთა ვნებულნი იქმნების ცხოველმგრძნობელი, რომლითა ჩვეულ იყოს მოქმედებად ვნებულნი იგი ასოჲ, ესგვარ, რამეთუ ფერკ ვნებულნი დავიცილებით სვლისაგან, რამეთუ ფერკისა მიერ არს მოქმედება სლვისა.

რამ არს მიდმოგონებაჲ. თავი 138

გვასწავებს ოქრონექტარი უსამღთოესი¹⁶⁴ | მოძღვარი ჩვენი და ნემესიოს ემესელი მიდმოგონებასა ესგვარ: მიდმოგონებითისა არიან ესენი: განსჯაჲ და თანდართვაჲ და მიმართებაჲ და განლთოლვაჲ. ხოლო განთესვით და საკუთრად — გაგონებაჲ გასაგონთა და სათნოებანი და ზედმიწევნულებანი, ესე იგი, სიტყვითნი კვლოვნებანი, და განზრახვითნი. და წინგამორჩევითი ძალი ესე არს ესე, რომე-

¹⁶⁴ აშიაზე: იოანე არს დამასკელი.

ლიცა ძილისშორისთა მიერ მაუწყებს ჩვენ ყოფადთა, რომლისა ვი-
დრემე გრძნობად ქეშმარიტ-ყოფასა ითნებდეს პითალორელნი, შე-
მდგომნი ებრაელთანი. ვინაჲ ორღანოდ ამისა არს საშუალ წიაღი
ტვინისა და მისი შორისი იგი მშენივარებითი სული.

რამ არს შინაგანმდებარე სიტყვაჲ და რამ გარემოსილი,
ესე იგი წარმოჩენილი. თავი 139

[356] სხვა იქმნებიან სიტყვიერებაჲ სულისა — შინაგანმდებარელ სი-
ტყვად და კმოვანად, ესე იგი გარემოსილად. გარნა არს ვიდრემე
შინაგანმდებარე სიტყვაჲ მიდრეკაჲ სულისა განმსიტყველობიანსა
ძალსა შორის ქმნილი, თვინიერ რაჲვესა კმოვანებისა, რამეთუ
მრავალჭერ უქმოდ ვეზრახებით თავთა თვისთა და | ძილისშორისთა
შორის ვზრახავთ. ხოლო უმეტეს სიტყხადესა მომცემს ჩვენ ესე
სიტყვიერებისა ჩვენისასა, რამეთუ შობიდგან ყრუნი, ანუ თუ ვნე-
ბისა ანუ სნებისა რაჲსავე მიერ უქმონი, არათუ უადრეს არიან სი-
ტყვიერ, არამედ გარემოსილისა სიტყვისა კმისა შორის და ენისა
აქუს მოქმედებაჲ. ხოლო თანაშემწე და ორღანო კმისა მრავალნი,
ვითარ საშუალ გვერდთა შორის ფერღნი და მკერდის თავი და
სასულე და კვალად კორჯი და სასაჲ და ამათნი უფროს-რე უხონ-
დროენნი და თანაღწმასნილნი ძარღენი და ენაჲ და მიდრეკანი
ამათ ასოთანი და ნახსამნი ბუნებითისაგან ორღანო მათდა ქმნილნი,
ხოლო ენისა მიდმოქმნათა შორის — პირისპირი, რამეთუ ამის
შორის აღიქმნების და ნაკვეთოვან და ვითარ მორფოვან იქმნების
მიდმოქმნაჲ ენისა, ვინაჲ უკვე ენაჲ და კორჯი ძალთსაცემელისა
ადგილის მპყრო არიედ. ხოლო ზემოსა კერძოსა სასისასა — კმისა
და კბილნი და რაულადცა აღებაჲ პირისა, ვითარ რამ ორღანოსა
შორის სამუსიკოსა ძალნი. ეგსახედვე ესე კმად და აღმომავსებელ
ადგილსა მათსა თანშეწეზნად ვიდრემე და ცხვირთაც შვენიერ
კმოვანებისადმი ანუ უშვერ კმოვანობისა, ვითა იგი საუწყყო არს
[357] მგალობელთაგან. და ესე არს ესე გარემოსილად, ესე იგი წარმო-
ჩენილად წოდებაჲ. ხოლო ესე არს ქადაგი მიდმოგონებისა და მო-
გონებისა, რომლისა გამო ვიწოდებითცა განმზრახველ.

რომელნი არიან ძალნი სიტყვიერისა სულისანი. თავი 140

იტყვის არისტოტელი, სამნი არიანო ძალნი სულისანი, -ესე
იგი: 1. ძალნი, 2. ანაგებნი, 3. ვნებანი. და ამასვე ასწავებს ძალად

სულისად დიდიცა აღბერდი. აჴ სადამე ძალნი არიან ვიდრემე მკვიდრ, ხოლო ანაგებნი — მოგებულ, ანუ მიუვნ-ლ. და ვნებანი არიან შინაგან-ნაბადებ. ანაგებთა ვიდრემე მოგებულებისა გვაქვს სიცხადე ზედმიწევნილებისა და სათნოებისა მიერ და კეთილ ანუ არკეთილ ქცევითისა ყოფისა მიერ, რამეთუ ესენი არიან ანაგებ, ვითა გვითქვამს ვითარებითაა ძლითსა შინა სიტყვასა, თავსა 59: არიან ვიდრემე რომელნიმე არა მოგებით, არამედ მიუფენით, ვითარცა თქვა დიდმან აღბერდი, ვითა ზედმიწევნილებამ სოლომონის და სამლოთა მოციქულთა¹⁶⁵ და სათნოებანი¹⁶⁵. ხოლო ანაგებ-
ბისა — მოგებულისა მღევარ. რაბამიცა აქუს მოქმედებანი, ეგფერ-
ნივე არიან ანაგებნიცა, მაგრა მიუფენითსა შორის ანაგებსა წინა-
უკმო არს გვარი ესე, რამეთუ რაბამიცა ანაგებნი, ეგფერნი მოქ-
მედებანიცა. გარნა ქეშმარტ ესე, რამეთუ მოგებითნი ანაგებნი ვითა
დაიბადებიან მოქმედებითა, ეგსახედვე ბადებენ მოქმედებასა, მაგ-
რა არა სასყიდლით მოგებადსა, რამეთუ მის გჳმო არიან ვნებანი
შემოსრულნი გარეგნით ხოლო სახელწოდებულ ჰყოფს არისტო-
ტელი ვნებასა მას ზედმოღებულად წინდადებულთაგან. მერმეცა
სხვაგვარ მიღებულ ვიდრემე ვნებანი, ვითა ითქმინ: გემოვნებანი,
ვითა შიში და ვითა ტკივილი. ძალად უკვე სიტყვიერისა თქვეს
ნებაცა, ესე იგი, წადიერებამ სიტყვიერებრი და ნებაცა.

[358]

რამ არს ოცნებამ. თავი 141

ოცნებამ უფროსდა უსიტყვისა ვიდრემე არს სულისა, მექმი
სამგრძნობელთა მიერ ორდანოთა. რომელ სახელ-იდების გრძნო-
ბად, ხოლო ოცნებადი ქვეშემრდომი გრძნობისა. ხოლო გრძნობადი
იგი არს, რომელი ქვეშემგრდომი იყოს გრძნობითა, ვითა ბილვამ
არს ვიდრემე თვით იგი ძალი ხედვითი. ხოლო ხილული — რომე-
ლიცა ქვეშემგრდომ არს ხილვისა, ნუუმე და ქვამ ანუ სხვამ რამ-
ნე. ოცნებამ ვიდრემე არს სულისა უსიტყვისა ნაოცნებისა ნაქმი
რამსაგანვე, ხოლო საოცი — შემთხვევამ ღვთისამიერი უსიტყუთა

[359]

165 აშიაზე: ესენი სამლოთსა შინა განბანასა, ესე იგი ნათლისღებასა მიუფენ-
ებიან განუკეთელთა მადლით ძეობლთა ღვთისათა, ეგფერვე მონანულისა
აღმართებაცა, ჰაგრა მოქმედებისაგან არა წარმოებენ ესგვარნი ანაგებნი, არა-
მედ უფროსდა გვარისა და ანაგებისა ძალთაგან წარმო არიან კეთილთა მოქმე-
დებანი.

შორის კერძოთა სულისათა, არა ერთისა ოცნებისა მიერ ნაქმი. ხოლო ორღანო ოცნებისა არს წინა-კერძოდ წიადი ეზოთა ტვინი-სათა.

რად არს გრძნობად. თავი 142

ძალად სულისად თქვეს მოძღვართა გრძნობად, რომელი მო-
ვიქსენენით 116 თავსა შორის: რომელი არს ძალი სულისა შემდ-
არებელობითი, ესე იგი, განმრჩეველობითი ნივითა. ხოლო სამგრძნო-
ბელონი გრძნობელობისა ორღანონი, რომელთა გამო ვგრძნობთ,
ხოლო საგრძნოდ არიან ქვეშემგრძნომნი გრძნობისანი, ხოლო მგრძნო-
ბელი არს ცხოველი მქონე გრძნობისა. არიან გრძნობადნი და ეგ-
სახედვე სამგრძნობელონიცა ორღანონი ხუთ, რომელ არიან ესენი...

რად არს ხედვად. თავი 143

- [360] ხედვად¹⁶⁶ ვიდრემე არს | გრძნობად და სამგრძნობელოდ ორ-
ღანო ხილვისა, ტვინითგამონი ძარღვნი და თვალნი. ამისი თქვეს
უკვე ფილოსოფოსთა: იპარხოს — თვალთაგან განზიდვად შარაყან-
დელთა. ხოლო ეპიკიროს — კერპნიო ცხადთანო შთაქრინი თვალ-
თამი. და არისტოტელი — არათუ კერპნიო სხეულოვანი, არამედ
რომელობად ცვალებითი გარემო ჰაირისა საცხადოთაგან ვიდრე
სახედველთადმი მიექმნებისო. ხოლო დიდმან პლატონ — ცისკროვ-
ნებისა მიერ შემოზომილ გარდაედინებისო ნათელი თვალთაგან
თანტომისა მისისა ჰაირისად. ხოლო ლალინოს, თანმეკმედ პლატო-
ნისა ხედვითისძლითსა მეშვიდესა შინა წიგნსა თანმეკმეობისამებრ
პლატონისა იტყვის. ხოლო პორფირი წიგნსა გრძნობადისძლითსა —
არცა იკონა, არცა კერპიო, არცა სხვად რადვე არს მიზეზ ხედვისა,
არამედ თვით მის სულისა მიმთხვევად ხილვადთა, და ცნობად თა-
ვით თვისით, რომელ არს სახილველ, რამეთუ სულისა მიერ იპყრო-
ბიანო ყოველნი მყოფნი. მაგრა ჩვენ, ყოველსა მრავალეჭსევასა
ატტიკელთასა განლთოლვით, მოძღვრებისამებრ უსამდთოვისისა გო-
ნება შზისა იონანე დამასკელისა ხედვისათვის ვაუწყოთ მეფობასა
[361] შენსა, კეთილ|მსახურო: იგრძნობს სადამე ხედვად პირველისამებრ
ნიტყვისა ფერსა, რამეთუ შესაბამე ყოფს ფერსა და რომელსა ზედა

¹⁶⁶ აშიაზე: აპა, გარეგნითი გრძნობანი.

შევიდა იგი და რაოდენობისა ფერის ქვედმდებარისა, თუ ვითარ შერწყმითითა რაოდენობითა რაოდენ არს და ნაკუეთსა და მორფსა და ადგილსა, სადა აქუს ყოფად სამ-განფენილსა მას და საშუალ მყოსა, — ძრვასა და დგომასა, მქისეობასა და წყლტუებასა, ვაკესა და უვაკოსა, მკვეთრობასა და ბრჭეებასა, რიცხვის ქვეშ შემვრდომასა, რაოდენობასა და ვითარებასა ადგილისასა, წყლოვან არს, ანუ მიწოვან, ნოტიო ანუ კმელი. ხოლო უფროსლა ჰაირი ამხიარულებს ხედვასა, ნათლოვან რა იყოს.

რამ არს სმენამ. თავი 144

იტყვიან¹⁶⁷ ნეტარი ნემესიოს ემესელი სმენასა ესგვარ: სმენამ არსო მეგრძნემ კმათა და ბგერათა და იმეცნევის უკვე ამის სმენისა გამო კმათა და ბგერათა სიმახვილო და სიმძიმე, წყლტუება და მქისეობამ და სიდიდე. ხოლო ორდანო არს ამისსა ძარღვნი ტვინითგამონი ლბილნი და გვარისა ყურ|თასა შეზადებულებამ. ხოლო [362] უფროს-რე მათი ზრქელ-ტომობამ, რამეთუ სიზრქესა აქუს მარჯვეობამ კმათა და ბგერათამი. ხოლო მხოლოდ კაცი ოდენ და ციდა-მტკაველი არა იძრვენ ყურთა, მაგრა სხვანი მგრძნობულნო ფრკვი-მავალნი, რომელთაცა აქუნ ყურნი, იღრევენ მათ.

რამ არს ყნოსამ. თავი 145

ყნოსამ ერთი გრძნობათა არს ვიდრემე¹⁶⁸, რომელნი იქმნებიან ცხვირისა გამო, რამეთუ ცხვირი უკვე აღავლენს ორთქლთა წინა-კერძოსა წიაღსა ტვინისასა და არს საგრძნობლოდ ესე ორთქლებრი ბუნებით. და მიმღეფ ორთქლთა, ხოლო არს სხვაობამ რეცა ნათესავოანი ორთქლთა, ესე იგი სუნნელებამ და სიმყრალე და საშუალ ამათსა — არცა სუნნელებამ და არცა სიმყრალე. იქმნების უკვე სუნნელებამ ნოტიათაგან სხეულსა რადვესა შორის, დაუკლებლად მყოფთაგან. ხოლო ვინადგან ყოვლად ანუ რადვედ, არ-მყოფთაგან იქმნების სიმყრალე.

167 აშიაზე: 2.

168 აშიაზე: 3.

[363] გრძობითა¹⁶⁹ | შორის ერთი არს ესე ორღანოჲ სამგრძნობელოჲ. ესე იგი გემებაჲ. ხოლო არს ბალღამთა განმრჩეველობითი, რომელ არს მგრძნობელობითი მათი და ორღანო არს ამისა ენაჲ, მაგრა უფროსრე მწვერვალე ენისა, რომელთა ვიეთმე ურანისკოსად დასდევს სახელი, რომლისა შორის არიან ტვინისგამო წარმოობილნი ძარღვნი ვრცელებულნი და მიღმომთხრობელნი სამთავროსანი, ნაქმისა მის განრჩევრსა, ესე იგი გრძნობისანი. ხოლო გემებითად წოდებულნი ვითარებანი ბალღამთანი არიან სიტკბოებაჲ და ძნიაღობაჲ, მძიმეობაჲ, მყავეობაჲ, მომხევაობაჲ და მქახეობაჲ, მლაშეობაჲ და მწარეობაჲ, მკლეობაჲ და მსუქანეობაჲ. ამათი ეიდრევე განმრჩეველი არს გემებაჲ. გარნა წყალი უვითაროჲ არს ამათ ვითარებათა მიერ, რამეთუ არცა აქუს ამათი რაჲვეობაჲ.

[364] გრძობითა¹⁷⁰ შორის ერთი არს შეხებაჲცა, რომელი ზიარად აქუს ყოველთა ცხოველ-მგრძნობელთა და იქმნების ესე ყოვლისა სხეული | სადმი მგრძნობელთასა ტვინით წარმოობილთა ძარღვთაგან, გარნა სხეცა საგრძნობელთა თავსა აქუს გრძნობაჲ. ხოლო შეხებასა ემდეგრების ტფილი და გრილი, ჩჩვილი და მაგარი, მძიმე და სუბუქი, რამეთუ მხოლოდ შეხებისა მიერ ცნობილ ესენი, მაგრა შეხებასა და ხედვასა ზიარად ემდეგრებიან: მქისე და წყლტუებაჲ, კმელი და ნოტიაჲ, ზრქელი და წვლილი, ზემო და ქვემო და ადვილი სიდიდე და სიკინანე. რაჲამს უკვე თუ საღამე ესგვარ რაჲვე ერთითა მიახლებითა შეხებისათა შეიცვებოდის, იგი სრული გრძნობაჲ არს შეხებითი. მერმეცა კშირი და უკშიროჲ და მრგვალი, ანუ მოთხე და სხვანი რაჲვენი ნაკუეთნი ესე სახედვე მიახლებითა შეხებითითა ცნობილ. ხოლო ესე სახედვე შეხებით ცნობილ მიახლებაჲ სხვისა გვამისა, მაგრა მეკსიერობისა მიერ და მიღმოგონებრსა ესგვარვე უკვე და რიცხვისაცა ორთა ანუ სამთადმი, და ამათ მცირედ ადვილ გარეშეცვითად იგრძნობს მათ შეხებაჲ, მაგრა უმკვეთრეს განარჩევს ხედვაჲ.

169 აშიაზე: 4.

170 აშიაზე: 5.

საუწყა, ვითარმედ სხვანი სამგრძნობელონი ორლანონი ორნი და ორნი უმზადებიეს ღმერთსა დამზადებულობისამებრ | უუთქვი- [365] სა, ესე იგი: ორნი თვალნი და ორნი ყურნი და ორნი ნესტენი და ორნი ენანი და რომელთამე მგრძნობელთა განყო ენანი, ვითა გველისა და რომელთაჲ — შეერთებულად, ვითა კაცისა. ესთა ქმნა ღმერთმან, რათა თუ სადამე ევენოს ერთსა, მეორე ეგოს საკმარად მგრძნობელისა მის. მაგრა შეხებაჲ ყოველსა სხეულსა შინა მგრძნობელისასა დაღვა: ძვალთა და ძარღვთა და რქათა და ბრჭალთა და თმათა. საკმარ ვიდრემე არს ცნობად, ვითარმედ ხედვაჲ თვალთა პირისპირად წრფელ წარზიდულთა ღრამმთა ხედავს, ხოლო სმენაჲ, ყნოსაჲ არ ესთ, არამედ უფროსლა ყოვლით კერძო. მაგრა გემოსხილვაჲ და შეხებაჲ არს წრფელ წარზიდულითა ღრამმითა, არცა ყოვლით კერძო, არამედ მაშინ ოდენ, რა მ-ეახლნენ რაჲვესა საგრძნოსა, გრძნობენ მათ.

რად არს ძალი და მოქმედებაჲ სულისა და რად
გაგონებისა და რად გასაგონი. თავი 148

ფილოსოფოსებივითა სიბრძნისა სიტყვათა ანტილოგოსმან ჩემ გონება მხიამან|იოანემან სამლომან¹⁷¹ ფილოსოფოსმან და დრას- [366] ტირიომან ღვთიემეტყველთა კელოვანთამან თქვა „ღვთისმეტყველებითთა კა:შირთა“ წინასიტყვათა შინა დრასტიკოსათეს ესფერ: საჭირო¹⁷² არსო ცნობად, ვითარმედ სხვაჲ არს ძალი და მოქმედებაჲ სულისა და სხვაჲ — გონებისა. ხოლო ყოველთავე ელლინთა ენამზებობასა ზედა წოდებულ თვისი სახელი შესაბამი. მაგრა ჩვენთავან არცა თარგმანთაო და არცა სხვამან ვინ დასკვირტნა. ესე უშლიდა ყოვლად ბრძენსა მას ქართველთა კმათა ზედა ღვთისმეტყველებითთა გამოთქმათა ლექს-კლებულებაჲ. რამეთუ პირველთა ამის ერცულ-გონებისათა ყოველივე ერთად და სწორად თქვეს და დაღვეს. მაგრა შენ გაგონე, ტრფიალო სიბრძნისაო, ღვთიე დიდებულო მეფე. თუ ვითარ გვაჩვენა ჩვენ ატიკურთა ლექსთაგან ძალნი და მოქმედებანი სულისა და გონებისანი ნათესავთა¹⁷³ შენთა შესაფერომან რტომან.

171 აშიაზე: პეტრიწსა იოანეს ვიტყვი, სამლოსა ფილოსოფოსსა ქართველსა.

172 აშიაზე: ისმინე, გამგონეო, ხოლო ნუ მომედგრდები ნახივსა ზედა ამას.

173 აშიაზე: ესე იგი, რამეთუ იოანე პეტრიწი ბრძენთა ჩვენთა თქვესა სა-
მეუფოთა გვართავან დავითიანთა.

[367] იტყვის დიდი იგი: ძალთა და მოქმედებათა სულისათა წოდებულ
 დიანვიაჲ; ხოლო გონებისასა — ნოიმაჲ, ხოლო გასაგონსა და ზესთ-
 მდებარესა — ნოიტომ. აღიღებს უკვე დიდი იგი მოძღვარი და თო-
 თოსა ამათსა განგვიმარტებს ჩვენ ესფერ: დიანვია არს აქრა მარ-
 ტივი და შეუღგმელი იგი გონებაჲ, არამედ ვითარ რეცა გონებაჲ
 ანუ მიღმოგონებაჲ, რამეთუ¹⁷⁴ სულსა მიღმოობისა შორის აქუს
 ძალი გაგონებისა და შედგმული და არა მარტივი, ვითარ გონებასა,
 რამეთუ შეადგენს არსსა და არაარსსა, განიზრახვიდეს რაჲ, ვითარ-
 იგი, რაჲამს ვლამორი რაჲსავე, ვიტყვი, ვითარმედ ესე, ანუ იგი
 ვქმნა, ანუ არა ვქმნა. და მერმელა უკანაღსებრთასა რომელსამე ზე-
 და მივიპაზრავ და მივიწადებ ანუ არსსა, ანუ არაარსსა, რომლისა-
 თვის ჰრქვიან მას სახელი შესაფერომ, რომელ არს მიღმოგონებაჲ
 ანუ მიღმოგაგონებაჲ. ესთა ჰგავსო, თქვა პორფირი, მიღმოგაგო-
 ნებაჲ სულისა, ვითარ ოდეს კაცი ბიჯებისა მიერ მივიღოდის, რა-
 მეთუ არა მარტივად მიღრქების მუნ, სადაცა მიემართოს, არამედ
 ბიჯთა მიერ გზავნითი გზავნად სრულ-ჰყოფს ნაცვალთა თვისთა.
 ესთადვე და სულიცა. ამისგან ამისდად მოდგების მცირედ, ვითარ-
 მდის არა ყოველი შემოსისახოს და შემოიცივას გასაგონომ და თვის
 გჯარ ჰყოს, რადცა რაჲვე იყოს. ხოლო გონებაჲ¹⁷⁵ ზედ-მიესხმის
 მარტივად, ვითარ აღმოკდა რა მზე და აპა, შარავენდიცა მისნი უჟა-
 [368] მოდ და მიუღრქეკლად დაჰფარვენ ყოველსა და არა მცირედ-მცი-
 რედ მიდგებიან, არამედ მყის თანავე აღმოჩენასა მზის დ-სკომასა
 აპა, და მიფენადცა შარავენდელთა. ესრეთვე და გონებისაცა ზედა.
 ცინაჲ აპა, გონებაჲ და აპა, გგონებაჲ. რამეთუ თანავე წარმოდგო-
 მილა გონებისადა გაგონებაჲ, ვითარ მზისდა შარავენდი.

ხოლო ნოიტომსა ხედვად ესთა: ნოიტომ¹⁷⁶ ყოველი ზესთა ძეს,
 ვისდადცა იყოს სანოიტომ, გარნა შენ ნოიტომ, რომელიცა ჰრქვიან
 გასაგონსა ან საგონსა, სხვაჲ არს ესე და სხვაჲ მიღმოგონებაჲ, ვი-
 თარ აღმოიჩინა. ითქვა რაჲ უკვე ნოიტომ, არს ანუ საგონი, ანუ
 გასაგონი. ისმინე, ვითარმედ ყოველი გასაგონი უმჯობეს არს გამ-
 გონესა, რამეთუ დაუზევედების გასაგონომ გამგონესა, ვითარ აწ
 მსგალითთა მიერ სიცხადე მიეცეს: რამეთუ სულსა¹⁷⁷ დაუზევედების

174 აშიაზე: ისმინე ფრიად შეუნიერი.

175 აშიაზე: აპა. ნოიმაჲ.

176 აშიაზე: აპა, გასაგონი.

177 აშიაზე: სხვაარიანობაჲ სამობისათვის თვითებათასა.

გონება და სხვა — არსება მისი და სხვა — სული და არს სული გამგონე, ხოლო გონება — გასაგონო და გონებასა დაუ-
 ზევების არსება ნამდვილ მყოფისა და არს გონება გამგონე, ხოლო გასაგონი — ნამდვილმყოფი. ხოლო კვალად ნამდვილ-მყოფ-
 სა დაუზევების სამლო და ერთებრივი რიცხვი, რამეთუ სხვა არიან იგი და სხვა — ნამდვილ მყოფი და გასაგონო — ზესთა [369]
 არსებითი რიცხვი და კვალად¹⁷⁸ გამგონე არიან ღვთიანი და ზესთ-
 არსნი მხოლონი, და გასაგონო — მათგან პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვროება. და კვალად გამგონე არიან პირველი სა-
 ზღვარი და პირველი უსაზღვროება. ხოლო გასაგონო — სწო-
 რად ყოველთაგან ზესთმდებარე იგი უოცნო ერთი და კეთილო-
 ბა, რომელსა წადილმან პატივისამან კვალა მას მამადცა წოდე-
 ბა. აჲ ესე ყოველნი წესთაებრ თითოთა გამგონეცა არიან და გა-
 საგონოცა, ვინაჲ სათანადო არს შესწავებით უწყება, ვითარმედ
 უმჯობეს არს ყოველი გასაგონო ყოველსა გამგონესა, ვითარ უმე-
 ტეს ღვრთივი.

რამ არს გაგონება არსებისა და გვამოვნებითისა.

თავი 149

უუთქვისა მის ზესთარსებითისა რიცხვისა და ღვთიანი ზესთ-
 არსთა მხოლოთა და პირველისა საზღვრისა და უსაზღვრობისა და
 სწორად ყოველთაგან ზესთმდებარისა მის უოცნოესა ერთისა და
 კეთილობისა ღვთისმეტყველმან მანვე იოანემან, სამლომან მზი-
 მან ქართველთამან, გვასწავა ესფერ ღვთისმეტყველებითა კავშირთა [370]
 წინასიტყვათავე შინა არსებისათვის და გვამოვნებისა. რცყის დი-
 და იგი¹⁷⁸: ყოველსა არსებასა და გვამოვნებასა შემდგომთაგან
 გავიგონებთ. ხოლო შემდგომნი არსებათანი არიან ძალნი და მოქ-
 მედებანი მათნი, და ვითფერ იყოს მოქმედება, ეგფერვე ძალი,
 და ვითფერ ძალი, ეგსახედვე და არსებაცა.

ხოლო კვალად საკმარ არს შესწავება. რამეთუ პირველნი ბუ-
 ნებით შორის გაგონებისა გამგონისასა უკანასკნელ იქმნებიან, და
 ბუნებით შემდგომნი — პირველ, ვითა არსება თითოესა და მოქ-
 მედება, რამეთუ ბუნებით არსება უპირველეს. ხოლო ოდეს გა-

178 აშიაზე: ისინი ფრიად საკვირველი ღვთისმეტყველება.

179 აშიაზე: ისწავე, გაიგონე, იმეცენ, შეისწავე.


ვიგონებდეთ რადვესა, უკანასკნელთაგან გავიგონებდეთ, რომელ არიან ძალნი და მოქმედებანი, რამეთუ, ვითარნი იყვნენ ძალნი და მოქმედებანი, მსგავსადვე არსებათაცა გულისკმა-ვყოფთ, რამეთუ ყოველი ძალი და მოქმედებამ ვინაჲსავე და რომლისა არსებისა არს და იყოს თუ მოქმედებამ მისი მარტივ და შეუდგმელ, და არსებაცა მისი მარტივ არს და შეუდგმელ, ხოლო თუ მოქმედებამ მისი არმარტივ და არცა არსებამ მისი მარტივ, ვითა ზენათგან აღმოჩინა¹⁸⁰.

[371]

| შეისწავე კვალად, ვითარმედ სხვებრ ვიტყვით ძალთა და მოქმედებათა სულსა ზედა და სხვებრ გონებასა ზედა და სხვებრ მის ერთისათვის, ანუ ერთთათვის. სულისათვის ვიტყვითო, თქვა დიდმან მან, თანწარვლის სახედ მცირედ-მცირედ და წარმატებით და ანუ განმგებელად მოქმედებასა ანუ არა და მათ ძალ ოდენ, ვითარ ყრმათა, ანუ უსწავლელთასა. რამეთუ ძალად ოდენ არიან, ხოლო მოქმედებითისაგან გავგონებისა — უნაწილო, ვითა აღმოაჩინა არისტოტელი. რამეთუ უფილოსოფოსოთა სულითა ძალად ოდენ იტყვის და არა მოქმედებით. ხოლო რომელთა იფილოსოფოსეს, მათ შორის ოდენ დასდებს მოქმედებითსა სულსა და გონებასა. ხოლო კვალად სხვაჲ არს ძალი და მოქმედებამ განგონებისა, ვითარ და არსებამცა, რამეთუ თანწარმოდგომილად და სამარადისოდ აქუს მოქმედებამ არსებასა თანა, და არსებამ მოქმედებასა თანა, ვითარ მზესა დისკოსა თანა სანიდადგოდ შარავანდნი. ესთავე გონებამ თვისსა გასაგონოსა თანა, რამეთუ სხვაჲ არარამ არს გონებამ, თვინიერ სამარადისოდ მოგონებამ და არა ვითა სული, რათამცა მცირედ-მცირედ წარმეტებოდა და ზედა-დაიროთვიდა გასაგონთა და ამის გასაგონოსაგან სხვადმი მიდგებოდა, | არამედ ერთბამად გონებამ და გასაგონომ მისი. ხოლო ამის ერთისათვის ვერცა გავგონებასა ვიტყვით ამისთვის, რამეთუ ყოველი გამგონე უმეტრებისა თანშეკრულა წადიერი გავგონებამ, რომელი არა გავგონა და ცნობად, რომელი არა ეცნა. ხოლო იგი დაზესთებული ერთი დაუზვედების ცნობასა და გავგონებასა. რამეთუ რადცა ცნას რომელი არს, უმეტარ არს, ანუ რომელი გაიგონოს, რომელმან წარმოაარსა და აღამკო არსებამ გონებისა. და კვალად გონებამ ყოველსავე თითოსა თითოეულად გაიგონებს და მრავალსა — მრავლად. ხოლო ერთი ყოველთა და თითოეულთა ერთებრივ და განუწილებელად, ვითარ აღმოაჩინა წი-

[372]

180 აშიაზე: გაიგონე, შთაიგემე.

ნათვე, რომელი იტყოდა, ვითარმედ ყოველი გამგონე შესაბამისად თვისთა არსებათასა იმოქმედებისო. ხოლო მოქმედებაჲ ერთ-ისა ერთებრივი და ზესთ არს შესაბამისად ზესთაობისა თვისისა. 

თუ ვითარ ჭერ-არს სასწავლოსა წიგნთა კითხვაჲ. თავი 150

იტყვის კვალად დიდი იგი მოძღვარი, მზე ქართველთა ნათესავისა და გვირგვინი ჩვენ ტომთა, თვისთა დავითიანთა, სამღთო იოანე, თუ | ვითარ ჭერ-არს სასწავლოსა წიგნთა კითხვაჲ: იტყვიან, [373] იკითხვიდის სოკრატი, ვითარ იკითხვიდიან ყმანი მცირენა. და კვალად შეექცისო მასვე წარკითხულსა, რამეთუ არათუ გვარსა ღირს საკითხავისასა მიცემაჲ, არამედ ცნობისა და აღუწყებისათვის არს სათანადოჲ და გაკვეთისა და შედგმისა და უკუნ-ქეუვისა, და უკანით პირთა აღებისა და წერტილთა და სხვათა ყოველთა მძღვართა, ვითარ მახვილსა ოქსიასა და ვარიასა, რომელ არს მძიმე და პერისპომენსა, რომელ არს გარემორთხმული, და სხვათა სათანადო არს, რათა ვიკმარებდეთ კმასავე თანა და პირსა სიტყვისასა, რათა გონებაჲ უცთომელი აღვიუწყოთ და შევისწავოთ, რომელ მალლად კითხვაჲ მოშლის გაგონებასა, რამეთუ ბგერა კმისა რეცა თუ თანა-წარჩიტაცებს, რომელ არს სული.

იოანესთვის პეტრიწისა ფილოსოფოსისა მოკლედ მოკსენებაჲ,
თუ ვინ იყო იგი, ანუ ვითარი იყო. თავი 151

იოანე უკვე თეთალი სიბრძნისა იყო ნათესავით ქართველი და სამეუფოთა სქესთაგან აქუნდა მას შთამოობაჲ. ამან უკვე ყოველი [374] ფილოსოფიაჲ, ესე იგი ღრამმატიკაჲ და რიტორიკაჲ და გეოზეტრიკაჲ და ასტრონომიაჲ და მუსიკაჲ და ფისიკაჲ და მეთეფისიკაჲ— ვითა მზემან ზოდნი, ერთბამად შემოვლო. და ყოველსა ელლინთა ენამზეობითსა სიტყვითსა კელოვნებასა ზედმიწევნულ იქმნა. და თავად მან ინდალმასა და უმყოჲსა არსისა და სიზმრისა ნაცხოვნებისა კიდევან ჰყო თავი თვისი და ოპიზას, მონასტერსა წმიდისა იოანე წინამორბედისასა, მიიწია ძმათა თანა და მალალთა მათ ზესთ ღვთისმეტყველებითთა სხოლიონთა წილ იმყო უნდოჲ კელლინი¹⁸¹ და

¹⁸¹ აშიაზე: იყო კელლინი — ესე იგი მრავალთა ღვაწლთა მოსწრაფებათა მიერ შეაპყო იგი.

ცამეუფოთა წილ სამოსთა — ძაძა და რომელსა მოჩრიღებდეს, მოჩრიღთა თანა ფიცხელითა მოჩრიღებითა თავდგმულებით გვირგვინოსან იქმნა. და ესრეთ უფლისადმი მივიდა. ესე იყო ჟამისა მცირედ პირველ დავით მესამისა მეფისა ქართველთასა კეთილმორწმუნისა, ძისა გიორგისა დავითიანისსა, რომელი მოიკვსენების სახელწოდებით აღმაშენებელად. ამან სამლომან იოანე გარდამოილო ქართველთა კმასა ზედა სამლომად წერილი და მრავალნი ღვთისმეტყველებითნი და ფილოსოფოსებითნი წერილნი. და ვკვონებ, ვითარმედ სამკურნალონიცა წერილნი და მრავალნი ღვთისმეტყველებანი უაღრეს ბუნებისა გამოთქვნა მრავალდალექსულთა იამბიკოვანთა გალობათა შინა. ხოლო მრავალნი გალობანი სათვეოთა და ტრიოდონისა და პენტეკოსტისა გარდამოილო ბერძენთა კმათავან ჩვენთა ზედა კმათა და მრავალნი შესხმანი წმიდათანი ბერძულისაგან ქართულად გარდამოილო. ამან განმარტნა წიგნი პროკლე ფილოსოფოსისა, რომელ არს „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“ და ბერძულისაგანცა ქართულად გარდამოილო და „კატილორია“ არისტოტელისა და „პერიარმენია“. და წიგნი ამმონიოს ერმისისა, რომელ არს „განმარტებაჲ პორფირი ფილოსოფოსისა „ხუთთათვის კმათა“, და არისტოტელის „შესმენათა“ და წიგნი ნემესიოს ემესელისა „კაცის არსებისათვის“ და მრავალნი სხვანი წერილნი და წიგნი იოანე სინელისა, მონაზონთათვის განმამდიდრი იგი საუნჯე მრავალფასი, რომელი ოცდაათა მიერ კიბეთა აღიყუანს სიყვარულისადმი და შეაერთებს სიყუარულსა მას უუთქესა მზესა. ესე წიგნი იოანე სინელისა ორგვარად არს გარდმოღებულ ამის დიდისა მიერ: პირველი ვიდრემე განკარგულად*, ხოლო მეორე იამბიკოვანად გალობასა ზედა გარდამოილო ჩვენთა ზედა კმათა. ხოლო მისთვის წერილ დალექსულთა რად, აჰა, საკმარ არს თქმაჲ, რამეთუ თვით გვაჩვენებენ თავთა თვისთა უტკბილეს თაფლისა და უფროს ოქროთა ხვაეთა განმამდიდრებელად და გასაგონთათვის მასპინძელ ყოფად უხრწნელითა მით სანუაგითა.

ამის ყოვლად ბრძენისა მოძღვრისა იყუნეს მრავალნი მოწაფენი შედგომილ, მაგრა უფროსლა ეფრემ მცირეჲ და არსენი იყალთოელი, რომელნი შესაფერო იქმნეს ზედმიწევნილებითა მოწაფედ ესთა დიდისა მოძღვრისა.

* ხელნაწერშია: გარკარგულად.

შემნდობელ მექმენინ წმიდაჲ ეგე გონებაჲ შენი, რომელსა შორის სიტყვაჲ თანა გონებით მიზეზით თვისით და თანა სულით თვისით, არსთა ცხოველმამყოფთ, დამკვიდრებულ არს, შენ, ელვარყო მადლთაგან შეიღთა უსამღლოესად განმზილველო და ღვთაებრ განმსაჯეო და ღუთისმეტყუელებრ წარმომაჩინო მყოფთაო, კეთილ მსახურო მეფე. მე, შენმან წმიდამან გონებამან უწყოდენ, რამეთუ თავით ჩემით არა რაჲ მითქვამს, რაჲვეცა არა ვიხილე გარეშეთა და ეკლესიისა ბრძენთაგან ფილოსოფოსთა. მიიღე ესე და დადევ ფაისის საცავსა სიტყუითთა შესაწირაჲთასა, ვითარცა მოძღვარმან შენმან ქვრივისამიერი იგი ძღვენი უფროს მრავალთა შესაწირთა მდიდართასა, ვინადგან მე რაჲცა მაქუნდა, იგი შევეწირე შენდა. ხოლო მადლი ყოვლად წმიდისა სულისა მდიდრად იყავნ შენ თანა, აწღა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

თავი 153

ოდეს ვიწყე გამოთქმად მე, ანტონი, სრულიად საქართველოსა მამათმთავარმან, დავითიანმან, წიგნი ესე, ვიმყოფებოდი კერძოსა შინა ქართლისასა, ქალაქსა გორს, წელსა დასაბამიდგან სოფლისათ 7250, ხოლო განჯორციელებითგან სიტყვისა 1752, თთუესა იულისსა 11, და სრულ იქმნა ამასვე წელსა 7250 და 1752, თთუესა ოკდომბერსა 14, 17 მთოვარისასა. დღესა ოთხშაბათსა, ექამსა დღისასა ქართველთა სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს, მეფობასა ქართველთა ზედა თეიმურაზ პორფიროვანისასა, ეზოსა შინა პალატისა ჩემისასა, კელლინსა შინა ჩემსა. ხოლო ვიყავ შობიდგან ჩემით, ოდეს სრულ ვყავ გამოთქმად წიგნისა ამის, „სპეკალია“, წლისა 32, მაგრა ორი ვდრემე დღენი აკლდეს სრულსა 32 წელიწადსა ცხოვრებისა ჩემისასა.

| ზანდუკი წიგნისა, რომლისა წოდებულ „სპეკალი“ [379]

1. აობისათვის, ესე იგი მყოფისა
2. ნათესავისათვის და სახისა
3. განყოფილებისათვის, ესე იგი სხვაობისა
4. განთვისებულისათვის

5. შემთხვევითისათვის, ესე იგი ზედშესრულისა
6. ზიარებისათვის ხუთთა ემათა პორფირიოს ფილოსოფოსისათა
7. ზიარისათვის ნათესავისა და სხვაობისა
8. განთვისებისათვის ნათესავისა და სხვაობისა
9. ზიარისათვის ნათესავისა და სახისა
10. განთვისებისათვის ნათესავისა და სახისა
11. ზიარისათვის ნათესავისა და განთვისებულისა
12. განთვისებისათვის ნათესავისა და განთვისებულისა
13. ზიარისათვის ნათესავისა და ზედშესრულისა
14. განთვისებისათვის ნათესავისა და ზედშესრულისა
15. ზიარისათვის სხვაობისა და სახისა
16. განთვისებისათვის სხვაობისა და სახისა

- [380] | 17. ზიარისათვის სხვაობისა და განთვისებულისა
18. განთვისებისათვის სხვაობისა და განთვისებულისა
 19. ზიარისათვის სხვაობისა და სხვაებრობისა, ესე იგი ზედშესრულისა

20. განთვისებისათვის სხვაობისა და სხვაებრობისა
21. ზიარისათვის სახისა და განთვისებულისა
22. განთვისებისათვის სახისა და განთვისებულისა
23. ზიარისათვის სახისა და ზედშესრულისა
24. განთვისებისათვის სახისა და ზედშესრულისა
25. ზიარისათვის განთვისებულისა და ზედშესრულისა
26. განთვისებისათვის განთვისებულისა და ზედშესრულისა
27. შესმენლთათვის
28. შესმენლთათვის რაჯარსობითთა და ვითარისარსობითთა და თუ რაჲ არს შინაგნითი შესმენაჲ
29. უმიზეზოდსათვის მიზეზისა და მიზეზისა მიზეზოვანისა და არ-მიზეზისა მიზეზოვანისა

- [381] | 30. აღჩენისათვის მიზეზისა და მიზეზოვანისა
31. რაობისათვის არსებისა, მყოფისა და აისა
 32. მზიარებელისათვის და ზიარებულისა
 33. თვითკეთილობისათვის და კეთილობისა
 34. მარტივ-კეთილობისათვის და უმოქენო და სრულკეთილობისა
 35. არსებისათვის და ანუ ვითარ შოიგო ზედშესრულმან მის შორისა ყოფაჲ
 36. ბუნებით უპირველესობისათვის
 37. ბუნებითისათვის

38. ხატოვნებისათვის
39. გვაგონებისათვის და უგვაგონისა
40. გვამისათვის
41. პირისათვის
42. განუყვეთელისათვის
43. მიუღრეკელისათვის და თვითმიღრეკისა და სხვისა მიერ მიღრეკადისა
44. თვისადე მიმართ უკუნმქცევისათვის
45. საზღვრისათვის და განსაზღვრებისა და წარწერითისა განსაზღვრებისა
46. განწვალვისათვის და რაოდენ გვარობისა მისისა
47. თანსახელობითისათვის შესმენისა
48. თანსახელობით გაგონებისათვის საქვემდებაროსა და ქვედმდებარისა
- | 49. სახელმოდგამობისათვის
50. მრავალსახელობისათვის
51. სხვათათვის და სხვასახელთა
52. სახელნართაულობით გაგონებულთათვის
53. სწორ მენათესავეთათვის და სწორ-სახეთა და სხვა-ნათესავეთათვის და სხვა-სახეთა და სხვათა რიცხვთა და თანმეგვაგონისა
54. რაჟსაშინაობისათვის და რაოდენ გვარობისა მისისა
55. ძალთათვის განთვისებულთა თითოეულთა შორის სახეთა
56. ათთათვის უნათესავესთა ნათესავეთა
57. რაოდენისათვის და რაოდენობისა
58. რაჟსამიმართათვის
59. ვითარისათვის და ვითარებისა
60. სადაობისათვის
61. ოდესობისათვის
62. მდებარეობისათვის
63. ქონებისათვის
64. ქმნისათვის
65. ვნებისათვის

[382]

აქა სრულ იქმნების პირველი ნაწილი კატილორიისა

66. წინააღმდგოთათვის
- | 67. მოძრაობისათვის
68. სუბორველესობისათვის შესმენისა

[383]

69. გვარისათვის მყისთანადობითისა
70. თხზულებისათვის, ესე იგი შეწმასნისა
71. სახელისათვის
72. ზმნისათვის
73. სიტყვისათვის
74. გამომაჩინებლობისათვის, ესე იგი შეგულისსიტყვისა
75. განწვალებისათვის წინადადებისა
76. განრეშზომთა განმართლებისათვის და განცრუებისა
77. სწორთათვის წინადადებათა
78. გარეშესმენისათვის, ესე იგი გარემოქცევისათვის წინდადებათასა
79. გვაროვანთათვის წინდადებათა
80. ქვედადებითათვის წინადადებათა

აქა სრულ იქმნა ნაწილი მეორე კატელორიათა

81. სილოგიზმთათვის, რომელ არს შეკრებაჲ სიტყვათა
82. სილოგიზმოსა პირველისათვის ხატისა და სახელთათვის და სამ-
თათვის ნაკვეთთა მისთა
83. გვაროვანისათვის სილოგიზმოსა
- [384] | 84. ქვედადებისათვის სილოგიზმოსა და კავშირთათვის ლექსთა
რომელთამე
85. ზედშემოყვანისათვის, რომელ არს გვარი მეორე წინჩამოსაგ-
დებელისა
86. მოკლსიტყვაობისათვის, რომელ არს გვარი მესამე წინჩამოსაგ-
დებელისა
87. აღმოჩენისათვის, რომელ არს გვარი მეოთხე წინჩამოსაგდებე-
ლისა
88. გვართათვის წინჩამოსაგდებელისათა
89. ფილოსოფიასათვის და რომელთა შორის განსხვავდების იგი
და დიოლოღტიკასათვის და რაჲსათვის არს დიოლოღტიკა
კერძოკი ფილოსოფიისა და არა კერძოჲ
90. დიოლოღტიკასათვის და რომელთა შორის განსხვავდების იგი
91. ადგილთათვის დიოლოღტიკასათა, თუ რაოდენ არიან
92. ადგილთათვის საზღვრისა და განსაზღვრებისათა
93. ადგილთათვის სწორთმეტქვეობისა და სწორმეტქვეობისაგანისა
სახელისათა
94. ადგილთათვის ყოვლისაგან და კერძოსა, თუ რაოდენ არიან

95. ადგილთათვის მიზეზობისაგან და მიზეზობითისა, თუ რაოდენ არიან
- | 96. ადგილთათვის მყოფობის და უმყოფობისაგანთა, თუ რა- [385]
ოდენ არიან
97. ადგილთათვის ხრწნილების და ხრწნილებითისაგანთა
98. ადგილთათვის საქმის შემოღებისა და საქმის შემოღებითისა-
განთა
99. ადგილთათვის განმზიდველობითთა და მდევრობითთაგან შე-
ნდომათა
100. ადგილთათვის აღმატებულთა და განზრქელებულთა სახელთა
101. ადგილთათვის გარეგნითთა, თუ რაოდენ არიან. ხოლო თავსა
მას შინა არიან თავნი 7 და გვაჩვენებს ესე ადგილთა უდი-
დესისაგან და უმცირესისა.
102. ადგილთათვის განრეშომთაგანთა
103. ადგილთათვის განწვალებისათა
104. ადგილთათვის თანსქესობითთასა
105. ადგილთათვის მსგავსთა შემსგავსებისაგანთასა
106. ადგილთათვის გამოცდილისგანთასა, რომლისა შორის გამო-
მთქმელი წიგნისა ამის ვითა პირისპირ ეტყვის კეთილმსა-
ხურსა მეფეს ირაკლის
107. რაოდენობისათვის ადგილთასა სხვათა და სხვათაგან ნათესავეთა
108. მაცთურთათვის
109. სახელმოდგამებითათვის მაცთურთა, რომელსა აქუს თვის შო-
რის თავნი
110. გამოჩინებისათვის რთულებითთა და განწვალებულთა მაცთურ-
თასა
111. უყოვლომასათვის მაცთურისა
112. მდევრობითთათვის მაცთურთა
113. გარდამავლობითთათვის მაცთურთა
114. მსგავსობითთათვის მაცთურთა
115. განრეშომობითთათვის მაცთურთა
116. ანაგებითთათვის მაცთურთა
117. შესატყვისობითთათვის მაცთურთა
118. შემსგავსებითთათვის მაცთურთა
119. კრძალვისათვის სიტყვის მიგებისა, ჩამოსაგდებელისა და წინ-
ჩამოსაგდებელისა და ეს გვარისა ცილობისა
22. ანტონ პირველი კათალიკოსი

120. სიტყვა მფფისამი ირაკლისა
121. სულისათვის — არსებად არს, ანუ ზედშესრული
122. მიწთომილებისათვის ფილოსოფოსთაგან სულისა
123. ჩვენგან მიწთომისათვის სულისა
124. ჩუენებად, ვითარმედ არსებად არს სული
- [387] | 125. სულისათვის, ვითარმედ სხეულ არს, ანუ უსხეულოდ
126. სულისათვის, ვითარმედ მარტივ არს, ანუ შეზავებული
127. სულისათვის, ვითარმედ უკვდავი არს, ანუ მოკვდავი
128. სულისათვის, ვითარმედ სიტყვიერი არს, ანუ უსიტყვი
129. რაობისათვის სულისა მებრ საზღვრისა
130. რაობისათვის სულისა მებრ საქმისა
131. პერობადლათათვის ძალთა სულისათა
132. გრძნობათათვის კერძოვანთა, ესე იგი ნაწილოვანთა
133. გრძნობისათვის ზოგადითისა
134. ძალისათვის წარმოჩენითისა
135. საგონებელისათვის, ესე იგი იქვისა
136. ჰაზრისათვის, ესე იგი განზრახვისა
137. მექსიერობისათვის
138. მიდმოგონებისათვის
139. შინაგანმდებარისათვის სიტყვისა და გარემოსილისა, ესე იგი წარმოჩენილისა
140. ძალათვის სიტყვიერისა სულისათა
141. ოცნებისათვის
142. გრძნობისათვის
143. ხედვისათვის
- [388] | 144. სმენისათვის
145. ყნოსისათვის
146. გემებისათვის
147. შეხებისათვის
148. გამოჩინებისათვის, თუ რაა არს ძალი და მოქმედებად სული-
სა და რაა გონებისა და რაა გასაგონი
149. გამოჩინებისათვის არსებისა და გვაგონებისა
150. წვრთისათვის, თუ ვითარ ჭერ-არს, რათა იცოდენ მესწავ-
ლეთა სასწავლოსა შინა წიგნთა კითხვად
151. ვითარებისათვის იოანე ფილოსოფოსისა ქართველისა დავი-
თიანისა

152. მიმართმელობითისათვის ლიტყვისა, წიგნისა ამისა „სპეკალისა“,
კეთილმსახურისადმი მეფისა ირაკლისა, გამომთქმელისა მიერ
153. უამისათვის, თუ ოდენ იწყო ანუ სრულ ჰყო, ანტონიძან მათმთავარმან დავითიანმან წიგნი ესე „სპეკალი“

| დიდებასა შევსწირავ ღმერთსა ყოვლისამპყრობელსა, რომ- [983]
ლისა შეწევნითა ილუაწა მრავლითა შრომითა სრულიად საქართვე-
ლოს პატრიარქმან, მეფის ძემან ანტონი სანატრელმან და განმართა
და განასრულა ნაკლულევანება ჩვენ ქართველთა, რამეთუ წიგნი
ესე მრთელად არასადა სმენილ არს საქართველოსა შინა, არამედ
ახლად ამან ილუაწა და მისცა ყოველთა სიბრძნისმეძიებელთა სიბრ-
ძნეთა სისრულე. მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი,
რომლისა ბრძანებითა მე უღირსმან მღღელმან, ტფილისის ქალაქს
ჯვარის საყდრის დეკანოზმან, იოანემ აღვწერე წიგნი ესე საფი-
ლოსოფოსო — „სპეკალი“, — თთვისა ნოემბერსა 26. გვედრებე,
ყოველთა მხილველთა ამისთა, რათა შენდობა ჰყოთ ჩემ ცოდვი-
ლისათვის, ქრისტეს აქათ 1752, ქართულსა ქორონიკონსა უმ.

ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

ბერძნული სიტყვების ლექსიკონი

ა

ა დ ა ნ ე ს ი — ჭირკვალი.

ა დ ა ს ტ ი რ ნ ა — აამოქმედა.

ა დ ი ო — სამარადისო „ხატი თვისი იცნა რა მზემან აიღოსა შორის დამსკვა-
ლულმა“. „აიდიოსა საქმესა მას შესტრფის“.

ა კ ა ტ ე — აქატი, ძვირფასი ქვა.

ა კ შ ე — აუკავება, მწვერვალი.

ა ნ ა ლ ო ლ ო ა — აღმყვანებლობითი განხილვა. „სულთა ანალოლომღი დასდებს“.

ა რ ი ა ნ ტ ი — ძეგლი, ქანდაკება.

ა რ დ ი ფ რ უ დ ო ბ ა — მყის, უცეხადი. 1. „არცა განსაზიღთაგანობა ექმეების
ერთთა ზესთა მიმზეობასა და არცა ნამდვილობანი და უზადო არდიფრუ-
ლობენ“.

ა რ თ რ ო ნ ი — ნაწილაკი, ნაწევარი, არტიკლი „ხოლო ართრონთა არა აქუს და-
ნიშნულებაჲ, ვიდრე არა ზედა ზმნასა დაიდვასცა ართრონთაგანი“.

ა ტ ტ ი კ ე ლ ე ბ რ ი ვ ი — ბერძნული.

ა ლ ო რ ე ვ ი — თქმა „რამეთუ აღორევი ეწოდების თქმასა“.

ბ

ბ ა ზ მ ა კ ი — სანათი, „სამობით განსკერეტს და უამქმელებს თავსა წყაროსა ბაზ-
მაკთასა“.

დ

დ ი ა თ ე ს ი — არამყარი თვისება, საწინააღმდეგო: ექსი.

დ ი ა კ რ ი ს ი — გულისხმისყოფა. მოპოვება, განსჯის, დასკვნის, დასაბუთების გზით.
ფილოსოფიური ცოდნა ეყრდნობა დიაკრისებურ გულისხმისყოფას.

დ ი ა ნ ვ ა ა — ძალი და მოქმედება სულისა. დისკურსიული აზროვნება. აზროვ-
ნების ძალა. „დინავაჲ არს არა მარტივი და შეუდგმელი იგი გონებაჲ, არა-

მედ რეცა გონებით ანუ მიდმოგონება, რამეთუ სულისა მიდმოობისა შორის აქუს ძალი გაგონებისა და შეღებულ და არა მარტივი...“ იხ. მიდმოგონება.

დიოლოტრია — დიალექტრია საუბრის, დიალოგის ხელოვნება. მტკიცების ან უარყოფის გზით ქეშმარიტების დადგენის წესების ხელოვნება. „დიოლო-დტრია არს ურთიერთას მესკოლეთა სიტყვის გება, რამეთუ ერთი ვიდრემე იკითხავს და მეორე ნაცვალუგებს“, „დიოლოტრია არს ორმეთქვეობა ხოლო ორმეთქვეობა არს მართლსიტყვაობაა“.

დრასტირიო — მოქმედი, გამძლე. „დრასტირიოდ მყოფთა მხედველობისად იტყვის პროკლეს, მოადგილესა დიდისა პლატონისა“.

2

ეკმაგიო — ყალიბი, სახე, გამოხატულება. „ნიადისა ეკმაგიოსა მისთვის უცვა-ლებელისა მის ხატისა“, „ეკმაგიომ ერთისა მის თვით კეთილობისა ელვარე გონებაა შენი.“

ემფასი — ანარექლი, შუქი (პეტრაწი).

ენტუსია — აღფრთოვანება ღვთაებრივი, ღვთიე გაბრწყინებული. „ვითარ ენთუსია ქმნილი შესტრფის მას“.

ენტელექია — ძალა, რომელსაც გამოჰყავს საგანი შესაძლებლობიდან და აძლევს სინამდვილეს, ფორმას (დ. მ.) პოტენციის (ძალის) სისრულეში მოყვანა ანუ ენტელექია შესაძლებელია მოქმედებით, მოძრაობით.

ეპიფანია — ზედაპირი. „უსწორა და ღირღოვანნი ითქმიან მარტივ ეპიფა-ნიათ“.

ექსი — დიათესის საპირისპირო, მდგრადი თვისება, „ექსი არის გეომეტრიასა ძალისა ხედვა, ხოლო გეომეტრიაა ქვეყნის მზომელთა ხელოვნებაა“.

3

ვარია — მძიმე. „მძიმედ, რომელ არს ვარია“.

0

ილექრო — შენადნობი. ოქროს და ვერცხლის ნარევი.

ინდალმა — შარავანდელი. „რომლისა თანაარსებულა ინდალმა თვით ერთისა მზისა შარავანდლოსა“.

კ

კანთარშანი — ფატარი. ძელი ღამით ცეცხლებრივ მოელვარე. ფოსფორი.

კანუნი — წესი.

კანუნი აღმოსაჩენტაა — წესი სილოგიზმისა, დასაბუთების, აპოდიქტის კანონი.

კანუნი მხოლოობითი — სპეციალური წესები ცალკეული ფიგურებისათვის.

კატასკევი — არგუმენტაცია. დასაბუთებისათვის საჭირო არგუმენტაციის მოწყობა. „კატასკევი ანუ დაკაზმვა, ანუ თხზვა, რომელ არს თხზვა და მუშავება სახმართა აღმოსაჩენისათა“.

კენტრო — ღერძი, ცენტრი.

ლ

ლექსი — სიტყვა, გამონათქვამი, აზრი. „ლექსი არის ხმაა ნიშნოვანი“.

მ

მარმენიო — ბედი, ხვედრი. „ხოლო უკუქცევამ თვისადე არ შესაძლო სხეულთა რამეთუ არა იმარმენ მისდა არს სხეულისა უკუქცევამ“.

მორფი — სახე, ფორმა, გარეგნობა. „მორფი სათქმელ არს ცხოველთა ზედამშენიერიტა“. „ნაკვეთი უსულოთა ზედა ითქმის, მორფი სულიერთა ზედა“.

ნ

ნოიმა — გონების ძალა და მოქმედება. უშუალო შემეცნება. განსხვავებით მიდმოგონებისაგან. „ძალთა მოქმედებათა გონებისასა წოდებულ ნოიმაა“.

ნოიტოა — (ნოიტონი) გონების საგანი, გონებით მისაწედომი. „ნოიტოა, რომელიცა პრქვიან გასაგონოსა ან საგანს“. „ძალთა და მოქმედებათა სულისათა წოდებულ დიანვამ, ხოლო გონებისასა — ნოიმა, ხოლო გასაგონოსა და ზესთ მდებარესა — ნოიტოა“.

ნოტია — (ნოეტოს) გონებით მისაწედომელი.

ო

ონკოს — მასა, ტვირთი, „ონკოს, რომელ არს ზეაი“.

ორჯანო — არისტოტელეს თხზულება ორჯანონი.

ოქსია — მკვეთრი მახვილი.

პ

პროვლიმაა — წინამძღვარი, პრობლემა, მსჯელობა, რომლის დასაბუთებაა საჭირო. „საზღვარმან გარეშეიცივა პროვლიმაცა, რომელ არს წინწამოსაგდებელი და კატასკევი და დაკაზმვა, რომელ არს თხზვა და მუშავება სახმართა აღმოსაჩენისათა“.

პროტაზის — სილოგიზმის შემადგენელი ნაწილი. წინამძღვარი, რომელიც ამტკიცებს ან უარყოფს რაიმეს რაიმეს შესახებ.

რ

რიტორი — ენაშქვერი. დახელოვნებული რიტორებასა შინა.

ს

ს უ მ ე პ ე რ ა ზ მ ა ა — დანასკვი. დამტკიცებული თეზისი. თანგასავალი ანუ გამომდინარეობა ორი თანამდებარე მსჯელობიდან. სიმპერაზმა სილოგიზმის შემადგენელი ნაწილი — დანასკვი. მისი ქართული კალკი თანგასავალი. „სუფმპერაზმა, რომელ არს თანგასავალი ე. ი. დანასკვი“.

ს ი რ ა ა — მწკრივი. რიგი ნათხზი სირაისა. წყება.

ს ტ რ ა ტ ი ო ტ ი — მხედარი.

ს ქ ე ს ი — სახე, ფორმა, თვისება, მდგომარეობა. მიმართება, გვარი: „თქვა უკვე არისტოტელი სქესი მოძრაობისა ექვს გვარად“, „სამთა ამთ სქესთა შორის აღმოვაჩინოთ იგა“.

ს ქ ი მ ა — სქემა. „სქიმაჲ, რომელ არს ნაკუეთი“.

უ

უ ს ქ ე ტ ო — უკავშირო, თანმიუღებელი.

ძ

ქ ს ე ს ტ ი — ძველებური საწონი ლიტრა და ნახევარი მოცულობისა.

ქ ს უ ლ ი — ნაქსოვი.

ღ

ღ რ ი ფ ო ა — ძნელი გამოსაცნობი, რთული, დახლართული. „ფრიაღისა საღრიფოსა და ძნიაღობისადაჲსი საუწყოთასა გარდმოანაკადა“.

ქართული სიტყვების ლექსიკონი

ა

ა გ ე ბ უ ლ ი — შექმნილი, გაჩენილი, წარმოშობილი. „უმიზეზო მიზეზი ყოველთა აგებულთა“.

ა დ გ ი ლ თ ა მ ი დ რ ე კ ა — სივრცობრივი მოძრაობა. სხვის მიერ ამოძრავება. „ვიინაჲდან განსხვავებული არს, მიექმნების მას ადგილთა მიდრეკალ“.

ა დ გ ი ლ ი — 1. რაოდენობის სახე, „ადგილიცა უკვე აპირისა ეპიფანია არს, ხოლო ადგილი შერწყმითად რაოდენობად შესმენილ 2. ტოპი — „ადგილი არსო კათედრაჲ, რომლისა შორის დამტკიცებულად შეისწავებს წინაჩამოსავლებელისა ქეშმარიტებასა“, „ეტყვის მოქმედსა წინამოვლდებისასა: „საიდგან არსო ადგილი ესე იგი რადგან არსო დამტკიცებაჲ ესე“.

ა ზ მ ნ ო ბ ა — ფიქრი, განზრახვა.

ა მ ო ს ა ვ ა ლ ი — საფუძვლები, რომლებიც სილოგიზმში დასკვნის ფორმაში წინამძღვრების სახეს იღებენ.

ამქმელი — მეანი. (უამქმელებს — ამშობიარებს).

ანაგები — ბუნებრივი, თანდაყოლილი თვისება. „ანაგები არს უკვე რომელიცა ძვილ შესაცვლელსა შინა გვარსა გამმოჩნდეს“.

ამ — მყოფი, არსებული. საპირსპირო ტერმინი არაა. „რაჟამს თქვა ოდენ ამ პნიშნავ მარტოოდენ განყოფილსა არაობისაგან და რეცა თუ ათა შორის წარმოაჩენ, მაგრა უგვაროდ და პირშეუპყრობელად“.

აობა — აობა ნიშნავს განყოფილს არაობისაგან. აობა საერთო სახელი არსებულინისა, მყოფისა. იქნება ეს ნამდვილმყოფი, არსება, სუბსტანცია თუ ზედშესრული, შემთხვევითი, არსებობა, უფორმო რაობა (სული, გონება, პიარი). „აობაჲ ანუ თვით მყოფი საქმე, ანუ თუ სხვასა შორის, ხოლო არსებაჲ თვით მყოფი უკვე არს საქმე არაჲისდა შემტკიცებად მოქენე, და ზედ შემოსრული, არათუ თვით თავით თვისით, არამედ მყოფი სხვისა შორის“.

აებბს — არსებობას ანიჭებს.

არა არსი — არ არსებული.

არათანა შემოღებაჲ — „საზღვარი ბუნებით უპირველესისა თან შემომღებლობაჲ და არა თანა შემოღებაჲ“, „გარანა კაცმან თანშემოღებაჲ ვერა ქმნა კანჯართა ანუ შველთა და მისებრთა სახეთა“.

არეგების — არ შეიძლება, არ ეკუთვნის არ ხდება, „არ ეგებისო ესე სხეულთა შორის“.

არვე — ფარა.

არსება (არსებაჲ) — სუბსტანცია (უსა) ის, რაც თავისი არსებობისათვის სხვას არ საჭიროებს. პირველადი, ყოველივეს საფუძველი, ძირითადი კატეგორია არისტოტელეს ათ კატეგორიას შორის. „არსებაჲ არსო უმოქენიოჲ სხვისადმი შემტკიცებად თვით მყოფი საქმე. „იწარმოების ყოველ მყოფი პირველისაგან ერთებრისა, რომელშიც არს არსებაჲ“.

არსი — 1. არსებული, მყოფი, „ღმერთი არსთ მბადი“. 2. მთავარი აზრი, რაობა.

არსებაჲ — არსებობა, მყოფობა.

ასო — 1. ელემენტი, 2. სხეულის შემადგენელი ნაწილი. სტიქია. კავშირი. „არც უკვე ცხოველთა მოკუდავთა ანაგები ოთხთა ასოთა მიერ“. „სტექიონი ასონი სახელდებიან ცეცხლსა, აირსა, წყალსა და ქვეყანასა. „ხოლო ამათ ოთხთა ასეთა კავშირადაც სახელდებიან, ვინაითგან მით დაკავშირდებიან ყოველნი ნივთნი.“

აუგებელი — შეუქმნელი, ის, რასაც არა აქვს დროული საწყისი, გაუჩენელი.

აღთხზვა — დაკავშირება, დამოკიდებულება, შეკავშირება.

აღკაზმვა — 1. შეზავება, შედგენა. 2. არგუმენტაცია, დასკვნის გამოყვანა წინამძღვარებიდან „ნაწილობითთაგან საყოველთაო არა აღკაზმის“.

აღლევაჲ — ანალიზი, დაშლა, გაკუეთა, რთულის დაშლა მარტივებ.

აღმატებული — აბსტრაქტული, განყენებული, ზოგადი. „აღმატებული — ქალწულება დიდებულ. განზრქელებული — ქალწული დიდებულ“.

(იხ. განზრქელებული).

- ა ღ მ ო ხ მ ო ბ ა ა — წარმოთქმა, ბგერის წარმოთქმა. „წარმოჩენამ ხმისაგან არს და დაწყება ხმისა აღმოხმობისაგან“. 70.
- ა ღ მ ე კ უ ლ ე ბ ა — 1. საფეხური საძეაროს იერარქიულ წყობაში. 2. ზეციურ სხეულთა დასი.
- ა ღ მ ე უ ლ ი — „აღმკული“ (ბერძნული „კოსმოსის“ ნ. კეკელმაძე).
- ა ღ მ ო ს ა ჩ ე ნ ი (აღმოსაჩენელი) — 1. საბუთი, არგუმენტი, ის, რაც უნდა დაბტკიცდეს, დასამტკიცებელი, დასასაბუთებელი.
- ა ღ მ ო ჩ ე ნ ა ა — 1. ნათელყოფა, მაგალითი, ანალოგია. 2. დასკვნა ანალოგიის საფუძველზე. დამტკიცება, დასაბუთება. „აღმოჩენამ ესე იგი მაგალითთ შემოღებაა“.
- ა ღ მ ო ა რ ს ე ბ ა — აღმოჩენა, ნათელყოფა.
- ა ღ მ ო ც ი ს კ რ ე ბ ა — განათება. „სამობით ხტეამ ზეგარდამო გარდამოციცკრა და მით აღანთო სიმრუჲე სულთა“.
- ა ღ მ ო კ ე რ ე ა ა — დანახვა, გამოჩენა, შეხედვა.
- ა ღ მ ხ ს ე ნ ე ბ ლ ო ბ ა — (აღკსენება) — მესხიერება, დავიწყებულის აღდგენა
- ა ღ რ ი — გაძლიერება. „რამეთუ აღრი განერცომასა გვიჩვენებს“.
- ა ღ რ ჩ ე ნ ა — ნათელყოფა.
- ა ღ ს ი ტ ყ ე ა — ასახვა, აღნიშვნა.
- ა ღ უ რ ე ვ ე ლ ი — გამორჩეული.
- ა ღ ფ რ ო ბ ა — აღფრენა. „ნერგნი ღვთიენი სატრფოდი აღაფრო“.
- ა ღ ჭ მ ნ ა — შექმნა, წარმოქმნა.
- ა ღ რ ე ნ ა — არჩევა, ამორჩევა, გამოჩენა, დასაბუთება. „მერმეცა აღჩენა, ვითარ რაა არს მიზეზი და მიზეზოვანი“.
- ა ღ ძ რ ც უ ა — განდგება, განძარცვა. „ფისისა არსებისა აღმძრცველი“.
- ა ღ ხ ო ც ე ა ა — მოსპობა. „აღხოცეამ ესე იგი მოსპოლვაა“.
- ა ღ ხ ს ე ნ ე ბ ა (აღკსენება) — მოგონება, გახსენება დავიწყებულის აღდგენა. „არს ვიდრემე წარსულთა აღკსენება, რომელი არავიდრემე წარსულთაგან იქმნების, არამედ ოდესმე მყოთაგან“.
- ა ღ ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი — გახსენებელი.
- ა ღ წ მ ა ს ნ ა ა — განუწყვეტელი.
- ა წ ი თ ი — აწმყო „არცა პირველი და აწითი, შემდგომითი“.
- ა ხ ს — ხლება, ახლო ყოფნა. „მხოლოდ რაოდენ არს საწაღსა მწაღე, ემზომ აღარ იყოს მშორავთა საწადისთა“.
- ა ჰ ა რ ო ნ ი — სამოსელის ქვა. „თორმეტნი ქვანი სამოსელისა აჰარონისანი“.

ბ

- ბ ა ზ მ ა კ ი — სანათი, კანდელი. „სამობით განსკერეტს და უამქმელუმს თაესა წყაროსა ბაზმაკთასა“.
- ბ რ კ მ ა (ბრკუმა) შეფერხება, დაბრკოლება, ხელისშეშლა.
- ბ რ ყ ე ი ლ ი — შავი ნიშანი, ლაქა.

ბუნება (ბუნება) — სავნის ბუნება. 2: არსებით განუყრელი ნიშნების ერთობლიობა. 3. მოძრაობის და მდგრადობის მიზეზი. 4. ბუნებრივი თვისება, ხასიათი. „ვითარ ბუნება ნათლის სინათლე, ესთავე ბუნება სულისა — ცხოველებად“. „ესთ უკვე სხვა არსება და ბუნება, რამეთუ არსებაჲ, სადამე უვითარი, ხოლო ბუნება — ვითარებისა მიერ გაკეთებული“. „ძალი მოქმედებითი თითოულსა არსისა, წესი ბუნებისა დატული ყოველთავე ქმნულსა შორის“. „ბუნებაჲ არს თითოეულის მყოფთაგანისა დასაბამი ძრვისა და მყუდროებისაჲ“.

ბუნებითი — ფიზიკური, თანდაყოლილი.

ბუნებითი გრძობა — ინსტინქტი.

ბუნებითი ზრახვა — თანდაყოლილი ცოდნა, თანდაყოლილი ცნება, წარმოდგენა.

ბუნებითი მყის თანადობა — ერთდროულად არსებობა.

ბუნებითი უპირველესი — პირველადი, ზოგადი, რომელიც მეტია კერძოსთან შედარებით „მოისპო რა ბუნებით უპირველესი იგი და კერძოკნითა. მისნი მყის აღზოცნა. ეგ სახედ, რამეთუ ოდეს მშვინველი არღარა, სადაღა სახენი მისნი — არსაღა“.

ბჭობაჲ — მეტყველება, საუბარი, განსჯა.

ბ

გაარსებული — განხორციელებული. „რამეთუ სწადის შობად მქონებელსა და წარმოებად გაარსებულსა, არამედ ვერ ექმნა მას“.

გაგება — ყურადღება, გონება, ცნობა.

გაგვამება — განსხეულება, არსებობის მოპოვება (პეტრ.). „უკუნქეცევა ყოველად ყოველითურთ უსხეულოთა არს და რომელთა შორის არცა გაგვამება წარმოსდგომოდის განზიდვით სამთაგან განსაზიღთა“.

გაგონება — (გაგონება). შეცნობა, გააზრება, გონებით ქვრეტა წმინდა აზროვნება. სული გრძნობადი უკვე გრძნობს თავთა მიერ, მიითვალავს და იქმნების თნება, ხოლო გონიერთა — გონების მიერ, და იქმნების გაგონებად“.

გაგონებული — გონებით ქვრეტის შედეგი. „ვითარ ითქუას, თუ ვინ პეტრე არს მწვერვალი მოწაფეთა. პეტრე ქვემდებარე არს და მწვერვალობაჲ მოწაფეთა გაგონებულ“.

განთვისება — განცალკევება.

გაკვეთა — გაყოფა, დანაწევრება, ანალიზი.

განკიდურმდგომი — განაპირა, განცალკევებულ, დასკვნა. „ხოლო არს ესე წინამეწყევე კანუნთა სილოგიზმოსათა, რამეთუ კერძობითთაგან ყოვლობითი განკიდურმდგომთა“.

გამგონე, გამგონი — შემეცნებელი, მოაზროვნე, შემეცნების სუბიექტი.

გამგონებლობა — დისკურსიული აზროვნება. იხ. მიდმოგონება, მიმოგონება, განმსიტყველობა, დიანეაჲ, გულისხმისყოფა, მოგონება.

გამობრყვილი — გამოზნექილი.

- გამომაჩინებელი — მტკიცებითი, თხრობითი. „სიტყვათაგანნი. რომელიმე გამომაჩინებელ, ვითარ „სული არს ღმერთი“, ხოლო რომელიმე ბრძანებითი. — „ვითარ წარვედით და იმოწაფენით ყოველნი წარმართანა“.
- გამომაჩინებლობა — მსჯელობა. მტკიცება, დასაბუთება, დედუქციური მტკიცება, სილოგისტური მსჯელობა. „გამომაჩინებლობა შეგულისსიტყვაჲ არს და შეგულისსიტყვაჲ ორთა წინადადებათაგან არს, რომლისა ნაწილ არს სიტყვაჲ, რომელ არს საზღვარი. მაგრა გამომაჩინებლობასა და შეგულისსიტყვასა და წინადადებასა მივიღეთ ნაცლად ურთიერთასა“.
- გამო — მაწარმოებელი აფიქსი ფილოსოფიურ მიმდინარეობის ან რომელიმე ფილოსოფოსის სკოლიდან გამოსულთა სახელწოდებას აწარმოებს. პერიპატოსის გამო — პერიპატოელნი. არისტოტელის გამონი, არისტოტელეკები.
- გამოჩინება — დასაბუთება. აპოდეიქსის. „ღირს ჩვენდა გამოჩინებად, ვითარმედ თუ ვითარ არს სხეულსა შინა“. დედუქციური მტკიცება.
- გამცდე — განმკურეტი, დამნახველი.
- განდგენა — განდგინება, განყენება.
- განვლოვა — განდგოვა, გაყოფა, გამოცალკეება, აოფუგაჲ, „ბინდისფერნი წუერთობანი განიელთა“.
- განზიდვა — გაყოფა, განაწილება „არსებამ განზიდულ სხეულევნათ და უსხეულოდ“. „მშვინველი უკვე განზიდულ სიტყვერად და უსიტყვად“.
- განზიდული — განვრცობილი, გაშლილი, გაქრმული,
- განზრახვა — ნდომა, სურვილი. შესაძლებლობათა აწონ-დაწონის პერიოდი ნებელობის აქტში.
- განზრქებელი — კონკრეტული.
- განთვსება — გამოყოფა, განსხვავება. „განთვსებისათვის ნათესაისა და სხვაობისა“.
- განთვსებელი თვისი — განცალკეებულნი, საკუთარი ნიშანი.
- განკარგვაჲ — განყენება, თავთავის ადგილას მოთავსება.
- განკიდებაჲ — დაშორება, დაცალკეება.
- განკრძალვაჲ — მორიდება, გაფრთხილება.
- განკიდურმდგომი — გამოყოფილი, განცალკეებულნი.
- განმართება — გასწორება.
- განმგონე — მოაზროვნე. შემეცნების სუბიექტი.
- განმსიტყველობა — ლოგიკა.
- განმსტრობი — მხვერაფი. „განმსტრობისა ხედვისა დაუდგნობს“.
- განმცდელი — განმხილველი, შემსწავლელი.
- განრემზომი — განსხვავებული, დაპირისპირებული. „განრემზომობაჲ, რომელ არს წართქმაჲ კეთილ, ხოლო უკუთქმაჲ ესე იგი ბოროტ“.
- განრემზომობითი მაცთური — ისეთი პარალოგიზმი, სადაც ორი ქვეშარიტი წანამძღვრიდან გამოდის წინააღმდეგობის შემცველი დანასკვი.
- განსადგმელი — გასაზომი.

განსაზიდი — მანძილი, სიშორე.

განსაზიდგანობა — ვაშლა, სიფართოვე, „არცა განსაზიდგანობა ეკაშების ერთთა მიზნობასა“.

განსაზღვრება — არსებითი ნიშნებით დახასიათება. ტერმინი. „განსაზღვრებაშ აღმოაჩინა მოკლისაგან სიტყვისა წინ დადებულ საქმე“. და ა. შ.

განსაზღვრებული — განყოფადი რაოდენობა.

განუჩეველი — განუსაზღვრელი. „არა კაცი“, „არა მართალი“.

განსრული — უნაკლო, სრული.

განუკვეთელი — სიტყვისიტყვითი თარგმანია ინდივიდუალურისა. Tomos-individum იგი აღარ გაიყოფა გვარსახეობითი მიმართებით.

განუსაზღვრებელი — უსასრულო. იგი არ შეიძლება გაიზომოს და აღირიცხოს.

განყენება — განშორება, განცალკევება.

განყოფილება — ნიშანი. „განყოფილება ანუ ნიშანი სამი სახისაა: განმასხვავებელი. შემთხვევითი ანუ ზედშემოსრული და სხვაობრივი“. განყოფილება არს, რომლითა განიწვალების და წარიწერების საქმე თითოეული“. განმასხვავებელი ნიშანი, რომელსაც შეაქვს ცვლილება საგანში. ან ხდის მას სხვად. ის, რომელიც კმნის სახეს. შემკმნელი ნიშანი.

განშლაა — განმარტება.

განშორებადი ნიშანი — თვისება, რომლის ირ ყოფნა არ ემუქრება საგნის არსებობას. შემთხვევითი ნიშანი.

განჩინება — მსჯელობა. „წარტქუმასა და უკუტქუმასა განჩინება სახელედების“.

განმცდელი — დამნახველი, აღმქმელი. „პლატონი არსთა განმცდელი ხედვასა ზენაისა ეგანმცდელა“.

განცხადება — მოვლენა. „განცხადებანი არც ერთ იქმნებიან თვინერ მოძრაობისა“.

განწვალება — გაყოფა, დანაწილება. „განწვალება განზიდვაა არს ნაქმისა“.

განწვალებითი სილოგიზმი — გაყოფითი სილოგიზმი.

განკვერტა — ხალვა „პლატონი სამობით განსკვერტს“.

გარემოქცევა — უკუქცევა, შებრუნება (კონვერსია) „გარემოქცევით ვიტყვით ესთა გვართა ვითარმედ „სხეულსა შინაი ფერი, ხოლო არა გარემოქცევით“.

გარეშე ფილოსოფოსები — „გარეშეთა უკვე ფილოსოფოსთა წარმართთა, არაქრისტიან ფილოსოფოსთა“.

გარეშესმენაა — უკუქცევა, უკონვერსია — იხ. გარემოქცევა.

გარეშე ქცევა — შემოსაზღვრა, ქონება.

გასაგონი — გონებით მისაწვდომი ობიექტი. „შემეცნების საგანი „გესმაა, რამეთუ ყოველი გობაა ნიშნავს წარმოობასა ნაშვისასა, ვითარ გონებაა გასაგონოსა?“.

გებაა — მყოფობა, უძრავად ყოფნა.

გ ვ ა მ ი (გ უ ა მ ი) — იპოსტასი, პირი „გვამი არსო ბუნებაა სიტყვიერი, არსებამ განუკვეთელისა ქვემდებარეობამა უზიარებელი“.

გ ვ ა რ ი — (გუარი) მოდუსი, სახე, ხატი, ფორმა, იდეა, საწყისი, „მწუხარებისა გუარნი ოთხსახე, გუარი და მყოფი“.

გ ვ ა რ ი ზ ი ა რ ი — ზოგადი თვისებები მოძრაობა, სიმყარე, რიცხვი, ფიგურა, სიდიდე.

გ ო ნ ე ბ ა — გონება, უმაღლესი ნიჭია ადამიანის სულისა.
„გონება ანუ გონებაი, მარტივი გონითი მოქმედება“.

გ რ ძ ნ ო ბ ა — ძალი სულისა. შეგრძნებანი. „ძალი სულისა შემდარებლობითი, ესე იგი განმრჩევლობითი ნივთაა“.

გ უ ა მ ო ვ ა ნ ი — სხეულის მქონე. „იტყუეს ფილოსოფი მიზნოვნად წარმოყენებულსა გუამოვნებასა“.

გ უ ლ ვ ა, გ უ ლ ე ბ ა — სურვილი. განზრახვა. „რამამდ იგულობებოდეთ“.

გ უ ლ ი ს ს ი ტ ვ ე ა ი — ფიქრი, აზრი, განზრახვა.

გ უ ლ ი ს ს მ ი ს ყ ო ფ ა — აზროვნება, გაგება, მოფიქრება.

დ

დ ა დ გ ნ ო ბ ა — დაწყება, დაქვემდებარება.

დ ა დ ე ბ ა — დებულება.

დ ა ზ ე კ ე ბ ა — ზემდგომად ყოფნა. „თვითკეთილობა იგი დაუზევდა სადმე ზესთ მყოფობასა და რომელი ესე იზიარა, კეთილყო და ზიარებული მისი კეთილობავე“.

დ ა კ ა ზ მ ვ ა — დასაბუთების შედეგა. საფუძველი, რომელიც სილოგიზმში წანამძღვრის ადგილს იკავებს. კატასკევის ქართული კალკი. „კატასკევი ანუ დაკაზმვაი, რამეთუ ამის დაკაზმვისა მიერ აღმოიჩინების ყოველი აღმოსაჩინოი“.

დ ა მ ს ქ უ ა ლ ლ ი — „ხატი თვისი იცნა რა მზემან აიდიოსა შორის დამსკვალულმან“ მყარად მყოფი.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა — დასკვნა, მტკიცება, დარწმუნება.

დ ა მ ხ ე — მდარე, ქვემოდ მყოფი.

დ ა რ ე ი — ცუდი, ქვედა, არასრულყოფილი. ნაყლები ღირსების, ქვედა საფეხურზე მდგომი. „რამეთუ აღრი განერცომასა გვაჩვენებს, და დარეი მოკლებასა“. „რამეთუ კაცის ყოველს უმეტესი და უკეთესი ნაწილი მისდრეკს მთავრებრივად და დარეი და მძიმე ნაწილი მიდრკების მონებრივად“.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი. — მიზანი. შედეგი. 2. ბოლო. „ხოლო არს ესე ვითარიცა საზღვარი დასასრულისაგან, მეტყველი: ფილოსოფიაი არს მსგავსებათი ღვთისა, რადგან რაოდენ ძალ-უქსი კაცსა. „დასასრულად აქუს ფილოსოფიასა მეცნიერება მყოფთაი“.

დ ა უ ც ნ ა უ რ ე ბ ა — შეუცნობლად, შეუმეცნებლად დარჩენა. „დაუცნაურდა არაობასა შინა სილოგიზმისასა“.

დ ა დ ა თ უ — თუ, თქმვა, კიდევ, რომ თუკი.

დ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ა. — სუბალტერაციის დამოკიდებულება.

ე ბ გ უ რ ი — დარაჯი. „ებგური საღთოთი პლატონი“.

ე გ ს ა ხ ე დ ვ ე — ასე, ამგვარად, ასევე.

ე ლ ე მ ე ნ ტ ი — სტიქია, ნიეთი, აგებულება, წესი.

ე მ დ ე ვ რ ე ბ ი ს — თანსდევს. „ემდევრებიან ურთიერთს“ ხოლო შეხებასა ემდევრების.

ვ ი ე თ ი — რომელიმე, ზოგი.

ვ ი თ ა რ — როგორც, როგორ.

ვ ი თ ა რ ე ბ ა — ერთი ათ კატეგორიათაგანი, თვისობრიობა. „ვითარებაი. მქონებული არს ვითარისა, ვითარ მხურვალე-მხურვალეებისა“.

ვ ი თ ა რ ი — რომელი. გარკვეული თვისების მქონე.

ვ ი თ ა რ ი ა რ ს ო ბ ა — პასუხობს კითხვაზე როგორი არის საგანი? „თნებად ხარ ცნობისა, ვითარმედ ესე კაცი ვითარი არსო მშეინველი? აჲა შეისმენ ჩემ მიერ ვითარმედ კაცი სიტყვიერი, მეკული. და შევისძინო მერმეცა“ გონების და მიწთომის მიმთვალველი. „ესე უკვე ვითარი არსობისა მიმთვალველი შესმენაჲ არს შიგანით ცნობაჲ“.

ვ ნ ე ბ ა დ ი — უპირისპირდება დრასტირიო და მოქმედი.

ვ ნ ე ბ ა ა — ერთი ათ კატეგორიათაგანი. „სადაცა ესთა ადგილსა იხილო ვნებად წოდებაი საქმის შემოღებაი“.

ვ ნ ე ბ ი თ ი ს ი ლ ო გ ი ზ მ ი — პირობით კატეგორიული სილოგიზმი.

ზ ა მ ბ ა კ ი — ზღვის ნიჟარა, მარგალიტის მოქმედი (ს. ს. ორბელიანი).

ზ ე გ ა ნ წ ვ ა ლ ე ა ი — გაყოფილის სხვადასხვა ნიშნით კვლავ გაყოფა. ზოგადის დაშლა ერთეულებად სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. „ზეგანწვალვა არს, რამეთუ წარმოდგა რა სახე ნაქმი, ვითარ ესე კაცი და განეყო უსიტყვისა“.

ზ ე ღ დ ა დ ე ბ ა — ტერმინის შემოსაზღვრა. ამ ტერმინის კომპოზიციის სხვა ტერმინთან. „ზეღდადებულ ყოვლადი ესე არს ესე რომლის შორის არა რაგვე იყოს ზედდადებულებაჲ ესე გვარ: კაცი, ნუ მშეინველი“.

ზ ე ღ დ ა რ თ ვ ა ა — ლოგიკური განსჯა კერძობიდან ზოგადისაკენ. ინდუქცია.

ზ ე ღ მ ი წ ე ვ ნ ი ლ ე ბ ა — ზ ე ღ მ ი წ ე ვ ნ უ ლ ე ბ ა — ცოდნა, მეცნიერება, ხელოვნება.

ზ ე ღ დ ა უ ღ ე ბ ე ლ ი — შემოუსაზღვრავი.

ზ ე ღ მ ე მ ო ს რ უ ლ ი (ზეღმოსრული) — შემთხვევითი, არაარსებითი. „არსება არის თვითმდგომი, არა მოქნევი სხვისა, თავისდა მამყოფელად. ვითარ ზედმოსრულთა რომელი შემთხვევითად თქვეს პერიპატოს გამოთა. „ზეღმემოსრული თვით მყოფსა სადამე შინა ცნობილ, ვითა სხეულსა შინა ფერი, ხოლო არა გარემოქცევით“.

ზედშემოყვანაჲ (ზედშემოდება) დაყვანა-ინდუქცია, ე. ი. ზედშემოყვანაჲ არის დასკვნა, რომელშიც მრავალი კერძო წანამძღვარიდან გამოიყვანება ერთი ზოგადი დანასკვი. „გვასწავა დიალექტიკა არისტოტელისამან ზედშემოყვანაი ეს გეარად: „ზედშემოყვანაჲ არს, რომლის წყობილებისა შორის მრავალნი კერძობითნი წინადადებანი შემოიყვანებიან კიდურმდგომობად“.

ზედწოდებული — პირობითი, მეტი სახელი.

ზედწარწერა — სათაური.

ზერდაგი — ჩალსფერი ცხენი.

ზესთაღმატება — უაღრესობა, წარჩინებული. „ხოლო არს სხვაჲცა განსაზღვრება ფილოსოფიისა არისტოტელისი, ზესთ აღმატებისაგან მისისა სხვათა ზედმიწევნულობათა და ხელოვნებათა მიმართ“.

ზესთგანყენებული — მიღმა არსებული, გაშორებულნი.

ზიარება — 1. ურთიერთობაში ყოფნა. მონაწილეობის მიღება. 2. საერთოს ქონა, მსგავსება. „იზიარა მიზეზმან, ვითარ უპირველესმან ბუნებით უკვე და ეზიარა მიზეზოვანი მიზეზსა თვისსა, რამეთუ წარმომჩენელი, რომელ არს მიზეზი ხაჲს მისდა, რათა იზიაროს მაზეზოვან რომელ არს მის მიერ“.

ზიარი — საერთო, თანამონაწილე, თანაზიარი. „ზიარი ნათესავისა და სხვაობისა მრავალთადმი შესემენამან აზიარა ნათესავი და სახე“.

ზმნა — ზმნაი არს ზმანი შეერთებული და დამნიშვნელი და ქამიერი და პიროვანი რომლისა ნაწილი განწვალებული არა რაჲსა პნიშნავს სიტყვასა აისათვის ვითარმედ ესე ქამიერი და პიროვანი არს, ხოლო სახელნი უქამო და უპიროჲ

ზმნობა — განზრახვა.

ზმური — ზურმუხტი. ვითა ზმური და აკატე სამობით ხედვისა საიდუმლოსა ნაბრწყინთა განაელვარა“.

ზოგადი — საერთო, საზიარო. „ერთი და ერთი რაი მოვიდეს ზოგად, იქმნების ორ“.

ზოგადობაი — საყოველთაობაი.

ზრახვა — საუბარი, ფიქრი, აზრი.

თ

თავდგმულება — „გვირგვინოსან ვყავ წიგნი ესე „სპეკალი“ თავდგმულებით“.

თანააღთხზვა — შეკავშირება, დამოკიდებულება“.

თანააელა — თანმიყოლა, მისწრაფება.

თანაადიდება — სინთეზი.

თანადართვაჲ — თანხმობა, რწმენა, დაჭერება.

თანაელა — თანმიყოლა, თანმიდევნება.

თანგაელა — დანასკვი. „თანგავლის სახედ აღმოვაჩინეთ იგი“.

- თანამეგვაზე — ერთ ჰიპოსტასში შეერთებულია ორი ბუნება. „თანამეგვაზე არიან რაჟამს ორნი ბუნებანი ერთსა შინა გვარსა შეერთდენ და ერთი გუამ მოევალს და ერთი პირი, ვითარ იგი სული და ხორცი ერთსა გუამსა შეესრულებენ კაცისასა“.
- თანამებუნებე — ერთი ბუნების მქონე. თანაიდენტური.
- თანამოსახელე — სახელმოდგამი, ომონიმი. ის, რასაც სახელიც საერთო აქვთ და ცნებაც იგივე.
- თანაშეთხზვითი — შეკავშირებული. „თანაშეთხზვითი თქმანი განრემზომისა აღმოჩენნი ერთსა ჭეშმარიტ ჰყოფენ და მეორესა ცრუს“.
- თანგავლით — გზადაგზა, გაკვრით. სხვათაშორის. „თანგავლის სახელ უკვე აღჩენილ ესე, რამეთუ არცა არსებამან და არც შეთხუევაამან წარმოიღე საზღვარი მყოფისა“.
- თანგასავალი — დანასკვი, რომელიც აუცილებლად გამოდის ორი ჭეშმარიტი წანამძღვრის ლოგიკური კავშირიდან. აქედან ტერმინი და სიმპერაზმა. ქართ. კალკი თანგასავალი. სილოგიზმის მესამე შემადგენელი ნაწილი დანასკვი. ბერძნული სეიმპერაზმას ქართული კალკი.
- თანდართეაჲ — აზროვნებითი ძალის (მიდმოგონების) ერთ-ერთი გვარი. რწმენა, დაჭერება.
- თანმოსახე (თანამოსახე) საგნები და მოვლენები, რომლებიც ერთსა და იმავე სახეს ეკუთვნიან.
- თანსქესობითი — ერთგვაროვნება, მსგავსება.
- თანშეკრული — დაკავშირებული პირველ სხვათა მის რომლისა მებუნებისა თან შეკრულთა, ხოლო მერმელა კეთებულთა“.
- თანშემომღებლობაჲ — „საზღვარი ბუნებით უპირველესისა“. „თანშემომღებლობანი და არა თანა შემოღებანი. „ბუნებით უპირველესი ეწოდება იმას, რაც არსებას სხვებთან თანშემომღებლობაი“.
- თანშემღებობი — ახლის შემომტანი. იგულისხმება სხვასთან ერთად, მაგრამ არ გულისხმობს სხვას. თავის მოსპობასთან ერთად მოსპობს მეორეს. მაგრამ არ ისპობა მასთან ერთად.
- თანშესიტყვა — სილოგიზმი. სილოგიზმი რომელიც თანშესიტყვაჲ, სამი ტერმინისაგან შედგება და ერთი დანასკვისაგან“.
- თანწარვლის სახით — ზოგადად, გაკვრით და არა სპეციალურად.
- თანწარმოღგომა — თანაგაჩენილი, თანარსებული.
- თანწმასნილი — შეუღლებული.
- თვით და თვისგნით — თავის თავიდან. „რაი არს თვით და თვისგანით ქონებაი მიდრეკადისა ძალისა?“
- თვითმიმდრეკი — თვითმოძრავი. „თვითმიმდრეკი არავისგან მიიღებს ცხოველობისა ყოფასა და აქუს მადლით მიცემულ, არამედ ბუნება არს მისა იგი“.
- თვითმყოფი — ნამდვილმყოფი. „არსებაი თვით მყოფი საქმე არავისდა შემტკიცებად მოქენე“.

თვისი — ნიშანი, თვისება. ნათესავი. „რამეთუ რომელიმე ყოველთა მიზეზისადმი უთვისეს, ხოლო რომელიმე დამხე და უშორესავე თვის“.

თვითშორის — შინაგანი. „რათა კპოს თვითშორისი და მიზეზი თვით ერთი“
თნება 1. სურვილის ქონება. „თნებად მაქვს უწყებად“ — მაქვს სიამოვნება გაუწყობ. გრძნობადი შემეცნების საფუძველზე აღმოცენებული არა აუცილებელი და კემპარიტი ცოდნა სინამდვილის შესახებ“. „რამეთუ სული გრძნობადთა უკვე მიითვალავს და იქმნების თნებად, ხოლო გონიერთა გონების მიერ და იქმნების გაგონებაი“.

თურე — როგორც ჩანს.

თხზვა — შედგენა, შექმნა, აღწერა „თხზვაი არს შეწმასნაი ხმათა მატრეათა ანუ ლექსთა, რათა წარმოაჩინოს შინაგან მღებარე სიტყვაი“.

0

იძულება — აუცილებლობა.

იქვიოქჷ — (შინაგანი პერობადი ძალების ერთ-ერთი სახე. აზრი, შეხედულება, მოსაზრება, განზრახვა) ცხოველის მარტივი ქცევის საფუძვლად დებულ გრძნობადი შემეცნების საფუძურის გამოსახატავად არს წარმოდგენილი იქვის ცნება.

კ

კავშირი — ასო, ელემენტი, საწყისი. სტოხეონ. „სტეიკიოა ეწოდების კავშირსა, ამისათვის დადვა კავშირა, ვითარცა უმარტივესი ყოვლსა“.

კანთარშანი — ფატარი ძელი ღამით ცეცხლებრივ მოელვარე. ფოსფორი.

კანუნი — წესი.

კანუნი ზიარებულთა სილოგიზმისა — სილოგიზმის ზოგადი წესები.

კაცნაკეთი — ქანდაკება.

კელობა — კოქლობა.

კერძო — 1. ნაწილი, განცალკევებული „სრული კერძობობით აღყოფა ე. ი. მთელა ნაწილებად“. 2. კერძობობითი. კონკრეტულა „განრეზმობთა შორის ერთი უკვე ყოვლობაი არს და ერთი კერძობობითი“.

კერძოვანი გრძნობა — შეგრძნებები. „ღიდმან თქვა აღბერდ კერძოვანნიო ანუ გარეგნითი სამგრძნობელნიო“.

კერძოკი — კერძოს ნაწილი. „დიოლოტიკაი არს კერძოკი ფილოსოფიაა“.

კერძობობითი — განცალკევებული. ცალკეულა. კონკრეტული. — ერთეულადი, „კერძობობითი იგი სახელი არს, რომელიცა ერთსა განუქრელსა და განუკვეთელსა საქმესა კნიშვიდეს“.

კიდეგან — გარეშე, თვინიერი.

კიდექმნულა — განცალკევებულად შექმნილი. „რომელმან უმკნი და ელღინთა ენამეკერობისა კიდექმნულნი ქართულნი აენამეკეა“.

კიღუკა ტერმინი — დიდი ანუ პირველი. მეორე ანუ უკანასკნელი ტერმინები. „კიღუკა მსჯელობათა საერთო სიტყვა საშუალო ანუ კიღუკა შემკვერელი“.

კიღუკმდგო — დანასკვი.

კკლავმოღებოთი — მიმართებითი.

მ

მაარსებელი — არსებობის მომცემი, სიცოცხლის, დასაბამის მომცემი.

მაგალითით შემოღება — ანალოგია.

მაგჭამოვნებელი — არსებობის მომცემი, საფუძვლის, დასაბამის მომცემი.

მავს — შემცველი, შემავსებელი. 85.

მანაი — პალო, მარგილი. „არს იგი მიზეზ და ვითარ მანად უძრავი მის გვარისა, რომლისადცა იყოს“.

მართლსიტყვაობა — „იტყვის არისტოტელი მართლსიტყვაობითისა ძლითსა შორის“.

მარტივიღება — ელემენტარული ნაწილი.

მალრანი — ფრინველი.

მაცთური — არასწორი, მოჩვენებითი განსჯა, ბჭობა. „მაცთური არიანო წინამოსაგდებელი ოცნებითად და არა ქეშმარიტებოთად. ყოველი მაცთური ანუ წინამეწყვე არს კანუნთა განრეშზომისათა ანუ კანუნი სილოგიზმისათა და რეცა მყო.“

მგონებელი — ცოდნა, გაგება. „სწადის შობად მგონებელსა“.

მგრძნობელობითი სული — საპირისპირო სიტყვიერი სულია. გონების შემცველი განვითარების ცხოველურ საფეხურზე მგრძნობელობით სულს აქვს პერობადი-გრძნობადი აღქმის ძალა — აპერაქენზია. ძვრითი — წადიერებითი მოქმედების ძალა.

მდგოა — დამოუკიდებელი მყარად მდგარი, მუდმივი უძრავად მყოფი.

მდგომარეობა — ერთი ათ კატეგორიათაგანი. „მდგომარეობა არსო ღებისა ქონება ვითმე სხვასა მიმართ.“

მდევრობა — თან მიღვენება. „მდევრობასა ვიტყვი, რომელ შეუღებობლის და მისდევს რაივე რაივესა“.

მეამქმელი — მეანა.

მეთეფისიკა — მეტაფიზიკა. ქეშმარიტი მეთეფისიკა არს თეოლოლია ეკკლეზიისა მოძღვართა: გონება მზეთა ფილოსოფოსთა და არს უაღრეს გონებასა ხედვისაგან სარწმუნოებითისა შესაპყრო“.

მეთნეობა — მოსახრება.

მეთქვეობა — მეტყველება, თქმა, მსჯელობა, განსჯა.

მესაკმარი — „მესახმარა უკვე აქა მე ამონიოს ერმესისა მიერნი განსაზღვრებანი ფილოსოფისანი“.

მეტრფე — რომელსაც სურს, ისწრაფის, მსურველი.

მექმეობა — მოქმედება. ხოლო დარადგეს მის შორისი იგი მექმეობა მოაკლდეს იგიცა“.

- მ ე კ მ ე — მოქმედი, შემქმნელი. (დმერთის ეპიტ.) „ერთობასა შორის სამობითს ერთხა დასდებს, ვითარ წყაროსა ნათელმქმნისა ნათელთასა“.
- მ ე შ ე ე ო ბ ა — მშობელობა, წარმოშობა. „მეშვეობასა მის ნათელ წყაროსასა“.
- მ ე ს ს ი ე რ ო ბ ა — მოკსენება, გამოკსენება, მიმოგონება, სწავლა, კსენება. „იტყვის უსაღმრთოესი მოძღვარი ჩვენი დამასკელი იოანე და ნეტარი ნემესიას ემესელი“ მეკსიერება არსო საუნჯე კსენებისა და აღკსენებისა“.
- მ ი ბ ზ ნ ე ბ ლ ი — დაკეპირებული, საერთო ბუნების მქონე.
- მ ი დ მ ო გ ო ნ ე ბ ა — აზროვნება. განსჯა განაზრება, მსჯელობა. დისკურსიული აზროვნება. მისი საგანი გონიერია და არა გრძნობადი. „მიდმოგონება სულისა ვითარ ოდეს კაცი ბიჭებისა მიერ ვიდოდეს,“ რამეთუ არა მარტივად მიდრკების მუნ, სადაცა მიემართოს, არამედ ბიჯთა მიერ გზავნითი გზავნად სრულ ჰყოფს ნავალთა თვისთა“.
- მ ი დ მ ო ბ ა — აქათ იქითობა, ტყუილი ლაპარაკი, ქორი.
- მ ი ზ ე ზ ო ვ ა ნ ი — შედეგი. ის, რასაც მიზეზი აქვს მიზეზისაგან მომდინარე.
- მ ი თ ე ს ვ ა — ჩანერგვა. „ესე არს ესე მითესული ნათელნი მიდრეკათა მარცვალთა მიერ“.
- მ ი თ ვ ა ლ ვ ა — მიღება.
- მ ი მ ა რ თ ე ბ ა ა — მიდრეკილება, სხვასთან დამოკიდებულება.
- მ ი უ დ რ ე კ ე ლ ო ბ ა ა — უმოძრაობა. „სამთა ამთ სქესთა შორის არს პირველი ტომობა — მიუდრეკელობა“.
- მ • ფ ე ნ ა — გაშლა.
- მ ი ნ დ ო მ ა მ — ვაგება, შეცნობა. „მყოფთა ყოველთა ანუ გრძნობითა — ანუ გონებითა წთომავი, ანუ ცნობა“.
- მ მ ა რ თ ე ბ ე ლ ი — წარმმართველი. „ესთა უქვე განსაზღვრა რემიგიოს: სული არსო არსება უსხეულოი, მმართველი სხეულისა“.
- მ ო გ ო ნ ე ბ ა ა — წარმოდგენა, განზრახვა, აზრი.
- მ ო თ ხ ე — უჯრა, სკიერი.
- მ ო კ ლ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა ა — ენთიმემა. დანასკვი, რომელშიაც გამოტოვებულია დიდი ან მცირე წანამძღვარი.
- მ ო რ თ ე ა — მორთულობა (შემზადება, მოკაზმვა — პარმონია, შეწყობა სრულყოფა).
- მ ო ს ა ხ ს ე ნ ე ბ ე ლ ი — ანალიზი, ახსნა, კომენტარი. „მოსახსენებელი ხუთთა ხმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“.
- მ ო ს წ რ ა ფ ე ბ ა — ეთიკა. „მყოფობითი ფილოსოფიი იკვლევენ მოსწრაფებასა ესე იგი სათნობასა“.
- მ ო ფ ა რ დ უ ლ ო ბ ა — გამოკვლევა, ნაშრომი, წიგნი (თ. კუონია).
- მ ო ლ ე ბ ა — მიღება, აღება, მოტანა.
- მ ო წ ა დ ე — მნატერელი, მოტრფიალე.
- მ რ ა ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ა ნ ი — პოლინომი. მრავალსახელიანი სახელობით განსხვავდებიან, განსაზღვრებით კი ერთმანეთს ემთხვევიან. „მრავალსახელნი სხვადასხვა სახელითა, ხოლო სიტყვითა არსებითა იგივე“.

მ რ თ მ ე ლ ო ბ ა — საჩუქრად მირთმევა. „ეგსახედვე სპეკალი ესო სიტყვიო ახალ-
შეწყობით ვიპრთმეღე შენისა დიდებულეებისადმი“.

მ რ ო წ ლ ე ო ბ ა — ხანმოკლეობა, ცვალებადი, არამყარა ვითარება.

მ რ უ მ ე — ბინდი, სიბნელე.

მ რ ჩ ო ბ ლ ი — ორმაგი. ორივე მხრით. „მრჩობლად მითვალვი ზიარ უყვე სხვაო-
ბისა და სახისა, რამეთუ კაცისა მითვალვი კერძოთაგან მრჩობლად ვითა
რეცა“. პეტრე არად სიტყვიერ და მერმეცა მაშად პეტრე კაცი.

მ ს გ ა ვ ს ე ბ ი თ ი — (შემსგავსებითი) შედარებითი, ანალოგიურა.

მ ს ი ტ ყ ვ ე ლ ო ბ ა ი — მსიტყველი, მსჯელობა.

მ ს თ ვ ა დ — მალე.

მ ტ ი ლ ი — ეენახი, აგარაკი.

მ ქ ე რ დ ე ე ლ ი (სომხ.) — გრამატიკოსი (ე. ბაბ.).

მ ქ ი ს ე — ხორკლიანი, დაბზარული, უხეში.

მ ყ ი ს თ ა ნ ა დ — უტბად, ერთდროულად. არსებობა. „მერმეცა მყისთანადივე არს
ურთიერთას ქონებაი ზოგად ყოფისა, რომელნი ურთიერთას არა იყუნენ
მიზეზად და მიზეზოვნად, ვითარ ორწილი და ნახევარი, რომელთა ერთმა-
ნეთისა აქეს თანამოსპობაი და თანა შემოხმაი“.

მ ყ ო — „რომელი იყო და არს მარად მყოსა შინა ბუნებასა“.

მ ყ ო გ ა რ დ ა ს უ ლ ი — წარსული.

მ ყ ო ფ ი — არსებული. არსება. სუბსტანცია. შეიცავს არსსაც და შემთხვევითსაც.
„ხოლო მყოფი ოდეს თქვა არისტოტელი, საზიაროსა ნიშნავს სახელსა არ-
სსასა და შემთხვევითისასა“.

მ ჩ უ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა — მტკიცება, დასაბუთება. (იხ. გამოჩინება, აღმოჩენა, აღმო-
საჩენელი) მტკიცება, დასაბუთება.

მ ც ნ ო ბ ე ლ ო ბ ა — შემეცნება, ცოდნა.

მ ძ ნ ო ბ ი — კეთილზმოვანი „მძნობ წერილთა ფილოსოფოსთასა აღმოიქვირა“.

მ შ ვ ი ნ ვ ე ლ ი — ცოცხალი. სულიერი.

მ ძ ღ ვ ა ნ ი — წინამძღოლი. „სფერო იძვრის შორის ქვეყანისა და ზღვის ცხო-
ველთა მძღვანი ცხოველობითთა მშვინივიერთა“.

მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ი თ ი — თეორიული.

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი კ ა ნ უ ნ ი — სპეციალური.

მ კ უ მ ე ვ ე ლ ი — მიმღები, შემხები.

6

ნ ა ბ ა დ ი — ნაშობი, წარმოშობილი.

ნ ა ბ რ წ ყ ი ნ ი — განათებული, გაშუქებული.

ნ ა დ ა შ ი — ნაშთი, დარჩენილი (ბ. ბ.) „ნადაშთა მასვე ვითარებასა შორის მართლ-
ზიარებითურთ“.

ნ ა ვ ს ი — დაბალი, ხელოსნური. (მ. რ.).

ნ ა თ ე ს ა ვ ი — ტ ო მ ი, 1. მოდგმა. 2. თანამემამულე. 3. გვარი სახეთა შემცველი.

ნ ა თ ე ს ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი — „ნათესავი პირველი არა სხვის ქვეშე დაიდვა ნათე-

სავის რამეთუ პირველმან კეთილობამან აყეთონა მის ქვეშენი მის მიერ პრავალ სახელად.

ნათესავი უნათესავესი — უზოგადესი გვარი, რომელსაც გვარი არ მოეძებნება. კატეგორია. „ნათესავ შესმენილთა უნათესავესთა ვირცვით უკვე, ვითარმედ ერთი უკვე არს არსება და ცხრანი იზი ზედშესრულნი“.

ნათლოვანება — ინტელექტუალური პირველ მიზეზისა. სული არის არსებაი უსხეულოი ცნობადი მიმთვალველი ნათლოვანებათა უკანასისა სიცხადისა შესაგნებითა“.

ნათხზი — მწკრივი, სირაი. სერია შეკრული, წყება. „უზიარებელი თავი ნათხზისა, რომელი სხვათა ყოველთა წარმოაყენებს თვით ქვეშეთა მის სირაისა შორის. „აქა უზიარებელი გაიგონე, ვითარ თავი ნათხზისა“.

ნაკადი — წყარო, წარსადინებელი. „აღსდგების ნაკადისადმი მეტრფედ“.

ნაკუთი — ფორმა, ფიგურა, სქემა. „ნაკუთი უცხოველთა ზედა ითქმის. ხოლო მორფი — ცხოველთა ზედა მშვიწვიერთა“. ქართველთა ზედან ანტონი, საზღვდელოდ ნაკუთად აღმომცენი და საჭიროთა საზღვართა მომცემი“.

ნამდვილმყოფი — პირველი მყოფი, მარადიული (საუქუნო) მარადისობაზე უწინარესი. უსაზღვრო და ამავე დროს საზღვრის შემცველი.

ის, რაც არ საჭიროებს რაიმეს თავისი მყოფობისათვის. ნამდვილმყოფი არის გონების სერიის (ნათხზი) სათავეში. დგას სირათმთავარი, (გჭარმთავარი) „ნამდვილმყოფი აპირველი გონება, იგი პირველმყოფია. რომელმაც მყოფობა მიიღო ზესთაერთისაგან. იგი არის მიზეზი ყოველი მყოფისა. ნამდვილ მყოფი პეტრიწის ონტოლოგიურ სტრუქტურაში დამსკვალულია „ჰეიეს“ გონების სფეროში (დ. მე-ლიქიშვილი).

ნამსკუალი — დამსკვალული, მყარად მდგარი, მყოფი.

ნართალად თქმა — გადატანითი მნიშვნელობით.

ნართალი — ზედღართული, არარსებითი, შეძენილი.

ნაქმი — საქმე, საგანი. „წარმოდგა რა სახე ნაქმი, ვითარ ესე კაცი და განეყო უსიტყვსა. მერმეცა ნაქმსა მას სახესა შორის განწვალვამ მისთვე ნაქმისა ვითარ იგი სხვამ იქმნენ წული და ქალაქი“.

ნაშვი — დაბადებული, ნაშვი „ყოველი შობამ ნიშნავს წარმოობასა ნაშვისასა“.

ნაცვალგება — პასუხის გაცემა. „რამეთუ ერთი ვიდრემე იკითხავს და მეორე ნაცვალუგებს“.

ნაცვალდადება — მონაცვლეობა, სამაგიეროდ რისიმე ხმარება.

ნაცვალსიტყვაობა — ლოგია.

ნაწილი — კერძო.

ნაწილობითი — კერძობითი. ნაწილების საწინააღმდეგოა, — საყოველთაო.

ნება — წადილი, სურვილი, „სულის გონიერ ნაწილში ისახება წადილი — ნება. უგონო ნაწილში — გულისთქმა და გულისწყრომა. 4. გადაწყვეტილება. ნებისყოფის ძალა. განზრახვა“.

ნიადი — მუდმივი, მარადიული. „ზე ახლა ფილოსოფოსი. ნიადისა ეკმაგონისა“.

ნივთებითი — მატერიალური, ნივთიერი.

ნი ვ თ ი — მატერია, მასალა, საგანი ნივთი. „ელემენტი ვიეთთამე ოთხნი კავშირითა ნივთად აღუწერიათ. „ნივთი წინაჩამოსავდებელისა არიანო, შეგულისსიტყვანი, ესე იგი გამომაჩინებლობანი“.

ნი შ ნ ო ვ ა ნ ი — მნიშვნელობის მქონე. „შეერთებულიცა ხმაი განიყოფის, ნიშნოვნად და უნიშნოდ. „სახელიცა და ზმნაჲ დანიშნულ და არს ართრონი და კავშირი დაუნიშვნელი“.

ნ უ უ მ ე — არამედ, ვითა, მაშასადამე. „არა თუ უკუე არს, არამედ მსგავსი რაიმე მისი, ვითა არამედ და მსგავსი მისი“.

მ

ო დ ე ს ო ბ ა — ერთი ათ კატეგორიათაგანი — დრო. „ოდესობა არის უამთა განყოფის სიცხადე“.

ო რ თ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა — „დიოლოღტიკა არს სკოლართა ურთიერთას კითხვა. და ნაცვლისგება. და ეს ვითარ არს სიტყვის გებადა წოდებულ ატიკურად დიოლოღტიკა. რომელი ჩვენსა ზედა მასა გარდამოიღების ორთ სიტყვაობა“.

ო რ წ ი ლ ი — აღორძინება. სახე მოძრაობისა. მცენარეთა ზრდის ძალა.

ო ც ნ ე ბ ა — ოცნება, ფიქრი, ზმანება. წარმოღვენა. „ოცნება ვიდრემე არს სულისა უსიტყვისა ნაოცნებისა ნაქმი რაასაგანვე. „ცთომილება არს წინაჩამოგდება ოცნებითი და არა კეშმარტი“.

პ

≡

პ ა ტ რ უ ც ა გ ი — მეფეთა მიწერ-მოწერა.

პ ე რ ი პ ა ტ ო ე ლ ი — არისტოტელის მიმდევარნი.

პ ე რ ი ს პ ო მ ე ნ ი — შემოსილი, გარემორთხმული. „პერისპომენსა, რომელ არს გარემორთხმული. და სხვათა“.

პ ი რ ი — პ ი რ ი — ინდივიდი, პერსონა. — „პირი — ცნება, მიზანი ძირითადი აზრი საკითხი ხშირად გაღმოიციემოდა ლექსებით პირი, დ. მ. გარდა ამისა: ძირითადი აზრი, საკითხი, მიზანი.

პ ყ რ ო ბ ი თ ი ძ ა ლ ე ბ ი — აპერპენზიის პროცესები. გრძნობადი აღქმის ძალები. გრძნობადი შემეცნების პროცესები.

ჟ

ჟ ა მ ი — დრო, კატეგორია, რაოდენობის სახე.

ჟ ა მ ი ე რ ი — დროული, დროს დაქვემდებარებული.

ჟ ა მ ი ს ა თ ა ნ გ ა ზ ი დ ვ ი თ ა ა გ ე ბ უ ლ ი — დაკავშირებულია დროში, დროში განფენილი.

- რ ა ბ ა მ — შესატყვისი, ანალოგია. ვითარ. რაზომ.
- რ ა ბ ა მ ე ბ ა — მიმსგავსება, შესაბამობა. რაგვარობა. „ყოველნი ერთსა ერაბა-მეზიან“.
- რ ა ბ ა მ ი — როგორი, რადგან. „რაბამად საშინელ არიან საქმენნი შენნი“.
- რ ა მ ა რ ს ო ბ ა — რაობა, „რამეთუ რამ არსობისა შორის შესმენილი რომელიცა რამ არსობისა შორის შეისმინების არსება არს“.
- რ ა მ ა რ ს ე ბ ი თ ი — რაობა. პასუხობს რა არის საგანი. „ვხედავთ უკვე რამ არსებითს. შესმენასა ესე ვითარსა შინა სფეროსა, რამეთუ მკითხო რამ არს კაცი გეტყვი მშენიველი“.
- რ ა მ ს ა მ ი მ ა რ თ ი — ერთი ათ კატეგორიათაგანი ურთიერთობის ამსახველი, მიმართება. დამოკიდებულება. რამსა მიმართნი არიან საგნები, რომელთა შესახებ ამბობენ, რომ ის, რაც ისინი არიან, არიან სხვისთან მიმართებაში. „თქვა არისტოტელი რამსამიმართათვის ვითარ იგი თვითმყოფად რამსავე, ეგსახედვე ყოფა სხვათადმი“.
- რ ა მ ს ა შ ი ნ ა ო ბ ა — მსჯელობა, რომელიც პასუხობს კითხვაზე, რაშია საგანი.
- რ ა ო დ ე ნ ი — რაოდენობრიობა „საუწყ არს, ვითარმედ რაოდენი ეპირველებს რაოდენობასა, ვითარ ვითარი ვითარებასა“.
- რ ა ო დ ე ნ ო ბ ა — ერთი ათ კატეგორიათაგანი. ის, რაც ექვემდებარება განომავს და აღრიცხვას. „თქვა არისტოტელი: რაოდენობა არს საზომი და რიცხვი რომელი აღრიცხავსა და განზომს: რაოდენობა იყოფა: ღრამად, ეპიფანიით და სხეულად. ეამად და ადგალად“.
- რ ა ე ს ი — წაბლისფერი ცხენი.
- რ ე ც ა — თითქოს, ვითომ, ესეიგი.
- რ ე ც ა მ ყ ო — ვითომ არსებული.
- რ თ უ ლ ე ბ ა თ ი — შეზავებული.
- რ ი ხ ვ ი თ ი — რაოდენობის სახე.

- ს ა გ ა ნ ს ა დ გ მ ე ლ ი — მდგო უძრავი. უძრავად მდგომი.
- ს ა გ ო ნ ე ბ ე ლ ი — ეპეი, საგონებელი ესე იგი იქვი ასწავა სკოლართა თვისთა მთავარმან მათმან დიდმან ალბერდი ძალა რამე არსო, რომელიცა არა იყოს მითვალული გრძნობითა“.
- ს ა გ ო ნ ე ბ ო — გონების ობიექტი. „რომელ გონიერთა გონებისა დაუზეფდების სფერო, ვითარ საგონები და გასაგონი მათი“.
- ს ა გ რ ძ ნ ო ბ ე ლ ი — გრძნობის ორგანო, ასონი, რომელთა მიერ ვიგრძნობთ.
- ს ა გ რ ძ ნ ო (ს ა გ რ ძ ნ ო) — შეგრძნების ობიექტი. „საგრძნონი არიან ქვეშევრდომნი გრძნობისანი“.
- ს ა დ ა ო ბ ა — ადგილი. ერთი ათ კატეგორიათაგანი. „სადაობა არს აღმომჩენი ყოფად ადგილისა შინათა. „ესთა არს განყოფად სადაობისა“ ქვე, ზე და გორემო“.

ს ა ზ ო გ ა დ რ — საერთო, ზოგადი, საყოველთაო.

ს ა ზ რ დ ე ლ ი — საყვები. „რამეთუ გემებადითა გამოირჩევს საზრდელსა, რომლითა დაულ ცხოველმგრძობელი ხრწნისაგან“.

ს ა ზ ლ ვ ა რ ი — 1. ტერმინი. 2. განსაზღვრება. საზღვარი, ანუ ტერმინი არის საგნის აღმნიშვნელი სიტყვა. ბერძნული ჰოროს პირდაპირი თარგმანია. „არცა არსებამან და არცა შემთხუევით მან წარმოიღეს საზღვარი მყოფისა“. „საზღვარი არსო სიტყვა შემოკლებული საცხადე წინ დადებულისა საქმისა აობისა“.

ს ა ზ ლ ვ ა რ ი ს ა შ უ ა ლ ო ბ ი თ ი — საშუალო ტერმინი.

ს ა ზ ლ უ ა რ დ ე ბ ა — განსაზღვრება.

ს ა კ რ ვ ე ლ ი — შემკვრელი, შემაერთებელი რგოლი.

ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი — განსაკუთრებით. კეშმარტი. ნამდვილი.

ს ა მ ა რ ა დ მ ყ ო — მუდმივად მყოფი, სამარადისოდ მყოფი. სამარადყო სხვაობა.

ს ა მ გ რ ძ ნ ო ბ ე ლ ო (სამგრძნობელო) — გრძნობის ორგანოები, გრძნობადი აღქმის საგანი. „სამგრძნობელო არს რომელი წარმოდგებოდეს საგანა“. სამგრძნობელო არს რომელი წარმოდგებოდეს განუკვეთელთაგან და წინააღმდეგებითა საგრძნობელთაგან კერძოვანთა, რომელ არიან დასაბამნი სამგრძნობელო საცნობისანი. „სამგრძნობელონი — გრძნობელობისა ორღანონი“.

ს ა მ ი მ ლ ე ბ ო — ობიექტსა და გრძნობის ორგანოს შორის მდებარე გამაშუალებელი გარემო.

ს ა მ ი მ ლ ე ბ ო შ უ ა — ობიექტსა და გრძნობის ორგანოს შორის მდებარე გამაშუალებელი გარემო. „ხოლო საგრძნო დადებულ სამგრძნობელოსა ზედა არა იქმნების მგრძნობელ“.

ს ა ტ რ ფ ო — სასურველი.

ს ა ო ც ნ ო — წარმოდგენა.

ს ა რ ა ო დ ე ნ ო — სიდიდე. „შერწმითანი უკვე სარაოდენონი ესე არიან ვითარცა ეპითანიაი და ღრამში და ადგილი და ქამი“.

ს ა რ უ თ ი — მოზაიკა, ხატის მორთულობა პატიოსანი ქვებით.

ს ა ს ი ტ ყ ე ე ლ ი — სალაპარაკო. სათქმელი. „ესთაჟმა ჩვენდა აწ სასიტყველსა წინ დადებულსა გვარსა“.

ს ა უ წ ყ ო — საცნობელი, საცოდნელი, აშკარა, ცხადი.

ს ა ქ მ ა რ ი — საქმე, საქციელი. გასაკეთებელი. „სხეულებინიო საქმითა სრულყოფენ საქმართა თვისთა“.

ს ა ქ მ ე — საგანი, ობიექტი, მოქმედება, პრალმა, რეალობა, პრაქტიკა. „საზღვარი არსო სიტყვა შემოკლებული სიცხადე წინდადებულისა საქმისა აობისა“. „საქმე არსო თვით მყოფი, არავისადმი მოქენე“.

ს ა ქ მ ი თ ი — პრაქტიკული. საქმითი მეცნიერებანია: ვთიკა, ეკონომიკა, პოლიტიკა. უპირისპირდება თეორიული „ხედვით“ მეცნიერებას.

ს ა ქ მ ი ს შ ე მ ო ლ ე ბ ა — რაიმეს კეთება, მოქმედება.

ს ა ქ მ ი ს შ ე მ ო ლ ე ბ ი თ ი — მოქმედებითი. ადგილი. „საქმის შემოღებისაგან და საქმისშემოღებითსა, ესე იგი მოქმედებისაგან და მოქმედებითსა“.

- ს ა ლ რ ი ფ ო — დახლართული, ძნელად გასაგები.
- ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო — საზოგადო, საერთო.
- ს ა მ შ უ ა ლ ი — საშუალო ტერმინი. „სამშუალსა ეწოდების კიდეთა შემკერელი“.
- ს ა ც ა დ ი — ცოდნის საგანი, ცდის მსაქირობელი.
- ს ა ც ნ ა უ რ ი — ცხადი, გასაგები. 2. ინტელიგიბლური. 3. რისი შემეცნება შეიძლება.
- ს ა ც ნ ო — სასურველი.
- ს ა წ ა დ ო ა — სასურველი.
- ს ა ქ ი რ ო — აუცილებელი, გარდამავეალი.
- ს ა ხ ე — სახე, ფორმა. გარეგანი შესახედავი. 2. რადაც იშლება გვარი. „სახეს ორგვარ შეისწავებ მას, ვითარ ნაკვეთი და მორფი, გარნა უმტკიცეს არს ესე ქვედაწესებულებათ მისი ნათესავისადა“.
- ს ა ხ ე ლ ი — სახელწოდება, ტერმინი: „სახელი არს ხმა შეერთებული და ზედწოდებული და დამნიშვნელი და უკამო და უპიროვნო“.
- ს ა ხ ე ლ მ ო ღ დ გ ა მ ი — რომელიცა სახელითა ოდენ ეზიარებისცა ურთიერთას და არა განსაზღვრებითა და არცა წარწერითა იყუნეს ზიარ“.
- ს ა ხ ე ლ ნ ა რ თ ა უ ლ ი — სახელნართაული, ომონიმსა და სინონიმს შორის. როგორც სახელით, ისე განსაზღვრებით. ისინი ნაწილობრივ ემთხვევიან, ნაწილობრივ განსხვავდებიან. მათ ეწოდებათ პარონიმები ე. ი. წარმოებული. საერთო ძირის მქონე განსხვავებული სახელებით გამოხატული ვითარებანი. მაგ., წმინდა და სიწმინდე.
- ს ა ხ ე უ ს ა ხ ო ვ ა ნ ე ს ი — სახოვანი სახე. ინდივიდი. უმდაბლესი სახე, არ წარმოადგენს გვარს სხვა სახის მიმართ. „სახე არ მქონებთ ქვეშე თვისისა სხვისა სახისად და ეწოდების ამის უსახოვანესი“.
- ს ა ვ მ ა რ — სახმარნი დიოლოლტიკისნი — დასაბუთების ელემენტები. „წინჩამოსაგდებელნი და წინადადებანი არიან სახმარნი დიოლოლტიკისანი“.
- ს ა ვ მ ა რ ა რ ს — ცნობად — საქიროა იცოდე.
- ს ა ქ ი რ ო — აუცლებელი. „საქირო აქეს კაცსა, რათა იყო სიტყვიერ“.
- ს ი ლ ო გ ი ზ მ ი — სილოგიზმი.
- ს ი ტ ყ ვ ა — ცნება, სიტყვა, გამოთქმა განსაზღვრება. მსჯელობა.
- ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ა — ა ზ რ ო ვ ე ბ ა. „სიტყვიერებათ სულსა განიყოფება შინაგან მღებარე სიტყვად და ხმოანად, ე. ი. გარემოსილად.“
- ს ი ტ ყ ვ ი ე რ ე ბ ი თ ი — ლოგიკური, ხედვითი.
- ს ი ტ ყ ვ ი ე რ ი — გონიერი, მოაზროვნე. მეტყველი. აზროვნების უნარის მქონე, ლოგიკური. „ნათესავი მშენიველი განზიდულ სიტყვიერად და უსიტყვოდ“.
- ს ი ტ ყ ვ ი ე რ ი ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ა — ლოგია. ლოგიკური საქმიანობა, ლოგიკის დისციპლინა.
- ს ი ტ ყ ვ ი ტ რ ი ს უ ლ ი — ღვთაებრივი საწყისი აღამიანში. უკვდავი. არსება. წმინდა ფორმა უმატერიოდ. რომელსაც არა აქვს არავითარი სხეულებრივი

ორგანო და არაფრით სხეულებრივით არ არის განსაზღვრული. საბ. გრძნობადი სული.

ს ი ტ ყ ე ის გ ე ბ ა — კამათი, საჩაროდ ლაპარაკი, პასუხის გაცემა,

ს ი მ წ ლ ო ე ბ ა — სიმწვრილე, „სიწლღებითა, რომელ არს უსხეულობითა. სიწვრილე“.

ს მ ე ნ ა — სმენა, ყურადღება. „სმენაი არს შეგრძნეი ხმათა და ბგერათა — ყურადღება.“

ს რ უ ლ ე ბ ა ი — სრულქმნილება.

ს წ ო რ ნ ა თ ე ს ა ე ი — ერთგვაროვანი.

ს წ ო რ ს ა ხ ე ნ ი — ერთი სახისობანი, ერთი საჭისანი.

ს ხ ე ა ო ბ ა — განმასხვავებელი ნიშანი. რომელიც გვარში მოცემულ სახეებს განასხვავებს გვარში მოცემულ სხვა სახეებისაგან. საგანში მათ შეაქვთ ცვლილება.

ს ხ ე ა ო ბ რ ი ო ბ ა ა — შემთხვევითი ნიშანი.

ს ქ უ ლ ი — კანონი.

ტ

ტ ა კ უ კ ი — საღვინე ქურჭელი, მცირე ზომისა.

ტ რ ფ ი ა ლ ე ბ ა — მისწრაფება, სურვილი.

უ

უ ა რ ს ო — არ არსებული.

უ ა ლ რ ე ს ი — აღმატებული, უკეთესი, უმეტესი. უპირველესი. უალრესისა მყოფთათვის თქვა არისტოტელი: საქმეარსო თვითმყოფი, არავისადმი მოქენეი“.

უ გ ვ ა რ ო — უფორმო, გვარი, რომელსაც გვარი არა აქვს. „ხმოვანება სიტყვათა არს უგუაროი“.

უ გ უ ა მ ო ბ ა — უსხეულობა. არ არსებული, სხვა არსებულში მყოფი.

უ ე ი თ ა რ ო — თვისების არმქონე, უთვისებო.

უ ზ ი ა რ ე ბ ე ლ ი — არა ზიარებული. თავი „ნათხზისად რომელი სხვათა ყოველთა წამოაყენებს თვის ქვეშეთა მის სირაღსა შორის. ხოლო თვით აღარა კქონდის თვის წინათ სხვადა მის ნათხზსა შორის, ვინაიცა ერქუმის მას უზიარებელი, ვითარმედ უპირველოი“.

უ თ ნ ო ი — რაც არ არის მოსაწონი, მისაჩენი, ჩასათვლელი. მანკიერი, უკეთილო..

უ თ ქ ე ი — უთქმელი, „უუთქესა მზესა ერთთასა“. რისი გამოთქმაც შეუძლებელია.

უ კ ე თ უ ო ბ ი თ ი — თუ სადმე, ხოლო თუ, უკეთუ სათუო, პირობითი.

უ კ ნ ი ნ ე ს ი — უმცირესი, უსუსტესი.

უ კ უ თ ქ მ ა — აბოღატია. უარყოფა, უარყოფითი მსჯელობა: „უკუთქმამ არს გამოჩინებაი რაჟე საქმისა, ვისადმე აღხოცა“.

უ კ უ თ ქ მ ი თ ი — უარყოფითი, არ, ნუ, არღაცა, არათუ, არარად.

უ კ უ ნ ქ ც ე ვ ა — უკან მობრუნება, დარღვევა. მხოლოდ უსხეულოთა შორის..

„ხოლო გესმას რა შენ უკუნქტევაბ, ნუ აღვილით ოდენ ჰგონებ, ვითარცა სხეულთა ზედა, არამედ სხეულომცა ისმინე.

უ მ დ გ ო — არა მყარი, არა მუდმივი.

უ მ ო კ ე ნ ო ა — სრულე, თვითკმარი, ის, რის არსებობასაც არ სჭირდება სხვა.

უ ნ ა თ ე ს ო ვ ა ნ ე ს ი ნ ა თ ე ს ა ვ ი — გვარი უმაღლესი კატეგორია.

უ ნ ი შ ნ ო — მნიშვნელობის არ მქონე, არამატერიალური. „დანიშნულისა შორის არს კაცი, ხოლო უნიშნოა, ვითარ იპოკენტავროი ანუ ასო, ანუ მარცვალი.

უ ო ო ნ ო — რისი წარმოსახვა, წარმოდგენა შეუძლებელია, წარმოდგენელი, წარმოუსახველი. (ზმნა ოცნებადან).

უ შ ა მ ო — მუდმივი, დროისგან დამოუკიდებელი.

უ ა რ ა ბ ა მ ო — მსგავსის არ მქონე.

უ ს ა კ უ თ რ ე ს ი — განყოფილ, ის, რითაც კაცი განსხვავდება ცხენისაგან. ნიშანი, რომელიც ქმნის სახეს.

უ ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ე ს ი — უზოგადესი. „სხვანი სახელსაცადა განს ზღვრებასა მითვალევენ უსაყოველთაოსისა თვისისა, ვიდრე უნათესავესამდე“.

უ ს ა ხ ო ვ ნ ე ს ი — სახე. იხ. სახე უსახოვნესი („მხოლოდ სახე არსო არ მქონებთ ქვეშე თვისისა სხვისა სახისა, და ეწოდების ამას უსახოვნესი“.

უ ს რ უ ლ ო ბ ა — არასრულქმნილება, არასრული მოქმედება. „არცა უსრულე-ბისაგან მოვა სრულებად.

უ ს კ ე ტ ო ი ს ქ ე ს ი — „რამეთუ უსქეტრი სქესი ეამსა შინაისა მოქმედებისა არს არა სადა, არამედეაჰოსისა წყაროსაგან“

უ ტ ო ვ ი — უგუნური, აზროვნების არ მქონე.

უ უ ქ მ ო — უმოქმედო, მოქმედების საპირისპირო.

უ ღ ო ნ ო ბ ი თ ი — უძალი.

უ ჩ ი ნ ო — დაფარული, არაცხადი.

უ ო ო — შეუძლია, ვსაპირიება.

უ ც ნ ა უ რ ი — შეუცნობელი. უცნობი, მიუწვდომელი.

უ ც ნ ო ა — უცნობ უარყოფითი ფორმაა მიმღობისა ზმნიდან ცნობა („წარმოდგენა, წარმოსახვა) ზმნიდან. რისი შეცნობაც შეუძლებელია.

უ ძ ა ლ ო ბ ა ი — უძლურება, პოტენციის, შესაძლებლობის არ ქონება.

უ ქ ე რ ო — უადგილო, შეუფერებელი, მიუღებელი.

ფ

ფ ე შ უ შ ი — საეკლესიო კურკელი. წმინდა ნაწილთა დასასვენებელი.

ფ ო რ მ ა — სახე.

ქ

ქ ე დ ი დ ე ბ ი თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა — რთული, დამოუკიდებელი წინადადება. რომლის შორის არის ერთი შესმენითი წინადადება. მაგ, „უკეთუ პეტრე არს მწევრ-ვალი მოწაფეთა, მოციქულ არს“.

ქ ე ე ყ ა ნ ა — მიწა, ერთი ოთხ ელემენტთაგანი.

ქვემდებარე — ის, რაზედაც გამოითქმის რაიმე. საგანი, რომელსაც ვიკვლევთ. „ფიზიკა უპირველეს არ ლოდიკისა. ბუნება, რომელს არს ქვემდებარე ფიზიკისა. უპირველეს არს უპირველესისა სიტყვისა, რომელ არს ქვემდებარე ლოდიკისა“.

ქმნაჲ — ერთი ათ კატეგორიათაგანი.

ქსესტი — ძველებური საწონი ლიტრა და ნახევარი მოცულობისა.

ქსუდი — ნაქსოვი.

ქცევა — მოძრაობა, ცვლილება.

ქ

ლ

ღირსი — მართებული, ჯეროვანი. მართალი.

ღონე — მეთოდი, გზა, ძალა.

ყ

ყ

ყოვლადი — საერთო, საყოველთაო, ზოგადი.

წ

ყოვლობითი ყოვლადი — საერთო, გვარში, ზოგადი.

ყოვლობითი კერძო.

შ

შარავანდედი — შუქი, სხივი.

შებუნებული — იმავე ბუნების, შემტკიცებელი, მკვიდრად მყოფი.

შეგნება — ქება, ცოდნა.

შეგულისსიტყვაჲ — სილოგიზმი „დასაბუთება სილოგიზმია, ხოლო სილოგიზმი შედგება ორი ქეშმარტი წანამძღვრისა და დანასკვისაგან“ — გამომაჩინებლობაჲ შეგულისსიტყვაჲ არს ხოლო შეგულისსიტყვაჲ შემოკრებლ არს ორთა ქეშმარტთა წინადადებათაგან და შესრულებისა“.

შედგმა — შედრკინება (შეზავება, შეერთება, სინთეზი).

შედგომა — მოყოლა, მიდევნება. მსგავსება.

შეზავებაჲ — შერევა, შერწყმა.

შეზავებული — ჰარმონიული, ზომიერად შეერთებული. შედგენილი.

შეთხზვა — წინადადება „შეთხზვაი არის შეკრებაი“ ხმათა მარტივთა ანუ ლექსთა შეწყმანაჲ, რათა წარმოაჩინოს შინაგან მდებარე სიტყვაი“.

შეიარება — შეერთება. „რამეთუ ოდეს ეტრფობოდის არსი ზესთ არსისადმი, პირველა თვისთა ყოველთა შინაგნით შეიარება“.

შეკრებაჲ — სილოგიზმი. დასკვნის გამოსვლა სილოგიზმში.

შემამტკიცებლობითი სხვაობანი — არსებითი ნიშნები. განსაზღვრება შედგება არსებითი ნიშნების (შემამტკიცებლობითთა სხვაობათაგან) და გვარისაგან.

შემასრულებელი — იხ. ენტილექცია.

- შემთხვევითი** — (ზედშემოსრული) შემთხვევითი, არარსებითი ნიშანი. „არის. არა მზრწნელი თვისისა ქვემდებარისა“ ე. ი. მის არსებობა არარსებობაზე. არ არის დამოკიდებული მისი მატარებელი ქვემდებარე.
- შემოკრება** — სილოგიზმი. „სილოგიზმი შემოკრებილია ორი ქეშმარიტი წანამძღვრის და დასკვნისაგან (შესრულება).“
- შემოღება** — დაყვანა. „გარემოქცევეთა ანუ ცვალებთა არ ზედ შემოღების“ არც უკუქცევეთ და არც წანამძღვართა ადგილების შეცვლით არ დაიყვანებთ პირველ ფიგურაზე.
- შერწყმული** — მთლიანი, უწყვეტი, დაუნაწევრებელი. რომლის წევრები სავრთო ნიშნით ერთიანდებიან.
- შესიტყვა** — სილოგიზმი.
- შესმენა** — 1. მსჯელობა, 2. კატეგორია, 3. ის, რაც ისმის განსჯილი საგნის შესახებ. შესმენამან აზიარა ნათესაეი და სახე. „ოთხ გვარად ასწავებს არისტოტელი მეძიებელთა განუკვეთელთასა შესმენასა მისსა“.
- შესრულება** — 1. დასკვნა, მტკიცება. 2. დანასკვი სილოგიზმში. შედეგი.
- შეტვიფრება** — დაბეჭდვა.
- შეუძლო** — შეუძლებელი. „შეუძლო არსო კაცსა თეთრ ყოფი“.
- შეუძლოისა შემოხმა** — შეუძლებელზე დაყვანა.
- შეყოფილი** — გაერთიანებული. „ხოლო თუ შეყოფილ არს ანუ თუ შეზავებულ, შეიქმს იგი სიზრქესა“, შეყოფილ უკვე არიან განუყოფელად ურთიერთას ესენი“.
- შეყატანება** — შესავალი, ის, რასაც კომენტარი სჭირდება.
- შეცვალება** — ცვლილება და გადანაცვლება, მოძრაობის გვარი.
- შეწმასენა** — შეკავშირება, შეთხზვა. „შეწმასენა ესე იგი თხზვა“. „შეთხზვა არს შეწმასენა ხმათა მარტიეთა ანუ ლექსთა, რათა წარმოაჩინოს შინაგან მდებარე სიტყვა“.
- შეწმასენითი სილოგიზმი** — რთული. სილოგიზმი. „პლატონ თეოლოლოს არს და არისტოტელი დიოლოტიკოს. თეოლოლია და დიოლოტიკა არიან ფილოსოფია. მაშასადამე პლატონიცა და არისტოტელი არიან ფილოსოფოს“. თ.
- შეწყობა** — შედგენა, შეერთება, პარმონია (მორთულობა).
- შეხლომა** — (შეხულობა) ძალა, ვნება, ერთი ათ კატეგორიათაგანი. 2. შემთხვევა.
- შეხლომითი** — ვითარების სახე. ვნებითი. ძნელად შესაცვლელი ვითარება. შემთხვევითი. საპირ. ანაგები ანუ ძნელად შესაცვლელი თვისება.
- შინაგან დადებული სიტყვა** — აზრი. ფიქრი.
- შინაგანი მითვალვა** — მიღება. საპირისპირო გარემოქცევისა, აქტიობისა.
- შინაგან მდებარე სიტყვა** — (შინაგანი სიტყვა) ფიქრი, აზრი, აზროვნება. შინაგანი სიტყვა ფილოსოფოსთა „ზრახვა ჩვენს თავთან გარეგან მუტყველებამი გამოსახვის გარეშე. „ხოლო სიტყვის სახესა ორთა ვიცნობთ ესე იგი შინაგან მდებარესა და წარმოჩენილსა“. 1. თ.

შინაგანი ძალე ზი — იხ. შინაგნითი პერსონაჟი.
შორის ჩქენებითი — დეტალური, ზუსტი.
შუა სახლვარი — საშუალო შერამინი.

ჩ

ჩუქნე ბამ — ჩვეულება, მტკიცე; მსგავსი ტენისება.

ც

ცნება — მიდმოგონების, დისკურსიული აზროვნების შედეგად მოპოვებული ცოდნა, შემეცნება. „ხოლო მიწთომასა ზედა საქმისა რასამე მოსწრაფე არს გონებაი ცნებად“.

ცნობა — ცოდნა, შემეცნება, გონებით ზედშიწვენილება. „სული არა თუ ცნობასა შინა, გარნა სულსა შინა ცნობა.. და მოისწო თუმცა სული, და მყის ცნობაიკა მოსწობილ. ნოლო უკეთუ ცნობა მოისწოსმცა, ჰგეც სული თვისაგან მტყიცე“.

ცნობადი — გონიერება, გონება. „ესე უკვე წერს ცნობადისადმი გონებისაგან სიბრძნის მოყვარისა“.

ცნობიერება — ცოდნის, ცნობის ქონა.

ცროი — წვიმა ცრის.

ცხრველი — ცოცხალი, ცოცხალი არსება.

ცხოველობა — სიცოცხლე.

ძ

ძალ — ძალქუს. შეუძლია. „ძალ ვიდრემე დიოლოღტიკოს და ესეცა, რათა დაგაჭეროს“. თ.

ძალი — ენერჯია, შესაძლებლობა, პოტენცია. „აწ სადამე ძალი არიან ვიდრემე მკვიდრ, ხოლო ანაგებნი მრგებულ ანუ მოფენილ და ენებანი არიან შინაგან ნაჭადებ“.

ძალი გაგონებისაჲ — სულს აქვს ძალი გაგონებისაჲ, მისი მოქმედება არის არამარტივად გონება ანუ გაგონებაჲ, „ინტუიციური, მარტივი გონითი მოქმედება არამედ რთული, ნაბიჯ-ნაბიჯი, გზანითი, გზანითად მიმდინარე პროცესი. დისკურსიული აზროვნება ერთბაშად კი არ მოეფინება შემეცნების ობიექტს, როგორც მზის დისკო და მისი სხივები, არამედ ნელ-ნელა მიდმოგონების გზით შემეცნებს მას.“

ძალი ვნებულებითი — „ძალი ვნებულებითი და ვნება ესთა იმეცნების: რამეთუ ვნებულებითი ვითარება არს ბოვლისა შორის სიცივე და ცხელსა შორის სიმშურავლუ და ესე ღატყუბილ ანუ ვითარ ვნების მოქმედი ანუ ვნებისაგან შორის ქმნილი.“

ძალნი — პოტენციალური.

ძალი წარმოჩენითი — „ძალი წარმოჩენითი“ არს სიტყვისაებრ მისივე აღ-

ბერდი დიდისა, ძალი პურობითი, რომლისა შორის დაცული შემსავსებან
საგრძნობელთ მოფარდულებთან.ი

ძ ა ლ ნ ი ს უ ლ ი ს ა ნ ი — იტყვის არისტოტელი წამნი არიან ძალნი სულისანი.
ესე იგი. 1. ძალნი. 2. ანაგეზნი. 3. ვნებანი. აჰსევე ასწავებს ძალად სული-
სად დიდია ალბერდი.

ძ ა ლ ყ ო ფ ა — ანუ ქენა.

ძ ნ ი ა დ ო ბ ა — ძნელი, ბნელი. 4. ძნადობითა მრუმეთა სტოელთასა დასკვერტს.

ძ რ ე ა — მოძრაობა (ძრვა და მუქდროება) ძრვა და დაცხრომა. უძრაობა.

ძ ე ტ ლ ი — გამოსახულება, ალაღმა.

ფ

წ ა რ თ ე მ ა — (წართქემა) შტკიცება, დადებითი მსჯელობა. „წართქმით არის გა-
მოჩინება რაფესა საქმისა, ვისდადმე მოღებულ, ვითარ თქვას თუ ვინ
„ნებათაღიმ არს ისრაილ უკუთქმის საპირისპირად“. ჰე არს წართქემა“.

წ ბ რ მ ო ა რ ს ე ბ ა — წარმოქმნა, შექმნა.

წ ა რ მ ო დ გ ო მ ა — წარმოშობა, აღმოცენება, წარმოება.

წ ა რ მ ო დ გ ო მ ი ლ ი — წარმოშობილი, აღმოცენებული, შექმნილი.

წ ა რ მ ო დ ლ ე ე ბ ა — გაჩენა, დაბადება. „სადა იწყო პირველმან წყობთა მის
უსრულესისა კელოენისაჲნ წარმოდლეხად გონიერთა გვართა.“

წ ა რ მ ო ე ბ ა — წარმოშობა. „იწარმოების ვითა ერი არმენისა განგება იწარ-
მოებინ.“

წ ა რ მ ო მ ზ ე ე ბ ა — „უფამოისა წყაროსაჲან ნათლის წარმოშეება“.

წ ა რ მ ო ნ ა ა რ ს ი — შექმნილი, აღმოცენებული, წარმოებული. „ტრფიალება —
უკუტრფობად თქვეს წარმონაარსთა პირველისადმი და პირველისა უპირველისადმი“.

წ ა რ მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი — წარმოქმნილი. „იტყვის ფილოსოფოსი მიზეზონად
წარმოყენებულსა გუამოენებასა“.

წ ა რ მ ო ჩ ე ნ ა — წ ა რ მ ო ჩ ი ნ ე ბ ა — წარმოდგენა, წარმოქმნა, შტკიცება, ნათ-
ლად დანახვა გრძნობადი შეშეცნების საფეხური.

წ ა რ მ ო ჩ ე ნ ი თ ი — გამოთქმული სიტყვა. — წარმოჩენითი არს, რაისაყვე
გრძნობილსა შემოსწერდეს, ვითარცა აწ მყოსა გარდასრულთა“.

წ ა რ მ ო ჩ ე ნ ი თ ი ძ ა ლ ა — წარმოქმნის საგნის ხატს იმ პირობებში, როდესაც
საგანი უშუალოდ არ არის მოცემული.

წ ა რ მ ო ჩ ე ნ ი ლ ი ს ი ტ ყ ვ ა — შინაგან მღებარე სიტყვისაგან აქვს აზრის შე-
ტყობინების ფუნქცია. დისაბუთება, არგუმენტაცია. „ლოლიკა ასწავებს სიტ-
ყვასა წარმოჩენილსა“.

წ ა რ მ ო ნ ა ა რ ს ი — აღმოცენებული, შექმნილი, წარმოებული.

წარწერა — აღწერა, არა არსებითი ნიშნებით განსაზღვრება. „განესხვავა განსაზღვრება წარწერითსა განსაზღვრებისა. რემეთუ განსაზღვრება ერთ სახეობით არს და ხმათაგან არსებითისა ოდენ წარმოდგომილ ვითარ. კაცი სიტყუიერი მოკლდი, გონებისა და ზედმიწევნის მიმთვალველი. ხოლო წარწერითი განსაზღვრება შერეული არს, რამეთუ მიიღების არსებითაგანცა და ზედმესრულთა“.

წარწყმედა — დაკარგვა, მოსპობა.

წესი — თანამიმდევრობა, რიგი, მწყრივი. თანამიმდევრობა სტოიქიონი; სტიქია, ელემენტი.

წვალება — 1. განსაკუთრებული სწავლა განდგომილთა საზოგადოსაგან სარწმუნოებისა. 2. დანაწილება, დაქუცმაკება. „თითოეულმან თითო თქვესწვალება სულისათვის და სხვადასხვაგვარ განსაზღვრეს სული ვერ მცნობელთა“.

წინააღმდგომობითი — განრეზომი — დაპირისპირებული ანუ კონტრარობის დამოკიდებულება. მაგ., ზოგად დადებითი და ზოგად უარყოფითის დამოკიდებულება.

წინააღრჩევა (წინააღრჩევი) წინასწარ შერჩევა, ნებით გამორჩევა. „რასა მამართანი რომელნიმე არიან გარე შესმენილნი სახელითა ვითარ „მოყვასი“ და „მოყვარი“. ხოლო ესე წინააღრჩევისთადაცა შორის რასა მიმართობასა შესმენილ“.

წინაგანმწყობი — დაპირისპირებული, მოწინააღმდეგე. დაპირისპირებული.

წინაგასვლა — წინამძღვარი.

წინდადებული — ობიექტი.

წინამდებარე სიტყვა — წინადადება, წინამძღვარი.

წინამეწყვი, წინამეწყვო — წინააღმდეგი, საწინააღმდეგო, დაქვემდებარებული. „სიმართლეს და სნეულებანი არიან წინამეწყვეთ, ვინაიღვან. მათ ძალუძთ ერთმანეთისა აღზოცაი“.

წინაუკმო — გარემოქცევით, პირიქით. ურთიერთსაწინააღმდეგო.

წინაწყობა — წინამძღვარი.

წინჩამოგდება — საბუთი, არგუმენტი. „სიტყვა ასახსნელი ან მქონე აღმოჩინებისა“. ცთომილება არს წინჩამოგდება ოცნებითი და არა კეშმარტებითი“.

წინჩამოსაგდებაელი — მსჯელობა. წინამძღვარი. „წინჩამოსაგდებაელი ანუ წინამძღვარი“.

წოდებით — წოდებული თქვიან სახელნი რომელნი არა ბუნებით არიან რაივე, არამედ წოდებით.

წრფელობითი — სახელობითი ბრუნვა.

წყარო — თავი, დასაწყისი. „განსკვრეტს და უმოქმედებს თავსა წყაროსა ბაზმაკთასა ერთასა“.

წყლვა — დაქრა, დაკოდვა.

წყლტუ — თანასწორი. უხორკლო.

წყობილზავებული — ჰარმონია.

წყობადი — რიგზე დადებული.

კურტა — დაკვირვებით ყურება. პეტრიწთან — გონების თვალთ ხედვა. ღრმად ხედვა.

კვირობა — დანახვა.

ხადილი — მოწოდება.

ხატი — სახე, ფიგურა. ფორმა მაგალითი. „ხატი ვითარებისანი: გვარი, ანაგები, ძალი, და უძალობა“. ხოლო მესამე ხატი ნათესავისა გარდამოსცემს ძეგლთა“.

ხატოვნება — სახე, ხასიათი, შესახედავი, ფორმა, სიტყვიერებისა და მეკულისა მექმი შეშინველი არსებაი დაკავშავს სახესა კაცისასა. და ესე წოდებულ იქმნების ხატოვნებად. ვითარ რეცა კმნილი არსებაი.

ხლომილი — ვისაც ხელა წილად.

ხედვა — დაკვირვება, ხილვა, კურტა. თეორია. „ხედვაი თვალის ჩენს. გინსა საქმე საცანურ, გინა მეცნიერება. „დაპირ. პრაქტიკა, გონებით მოქმედება. „ხედვად უწოდენ ფილოსოფოსნი მეცნიერებასა“. ხედვითითეორიული. პრაქტიკულის, საქმიის საწინააღმდეგო.

ხედული — თეორია,

ხელოვნება — ოსტატობა, ცოდნა, საქმიანობა, მეცნიერება.

ხენეში — საძაგელი, ავი. „განთოლვილი ჰურიებრისა და ცოფმორწმუნეთა. ხენეშ ცნობითისა მსახურებისა“.

ხმა — სიტყვა, ტერმინი, კატეგორია. ცნება, განსაზღვრება. დანაწევრებული ბგერებით შედგენილი სიტყვა.

ხსენება — მეხსიერება.

ჯამს — საჭიროა

ჯუმევა — ხმარება, საჭიროთა.

ჯელოვნება — უნარი, შესაძლებლობა, ოსტატობა, საქმის წესთა ცოდნა, ხელოვნება, მეცნიერება.

ჯმა — იხ. ხმა. ცნება, განსაზღვრება, კატეგორია. დანაწევრებული ბგერებით შედგენილი სიტყვა.

ჯმოვანი — კმოვანი სხუა იქმნებიან სიტყვიერებაი სულისა: შინაგან მდებარე სიტყუათად და კმოვნად ესე იგი გარემოსილად“.

ჯმოვანი სიტყვა — ბგერითი მერტყველება.

ჯორცი — სხეული.

ჯსენებაი — დახსოვება. შდრ. აღხსენება. დაიწყებაი ვიდრემე არს განგდებაი კსენებისა“.

ჯუმევაი — საჭიროყოფა.

ჭერ არს — რიგია.

ჭეროვანი — შესაბამისი.

ჭილა — უფერო ერქვანი.

ჭერჩინება — დაღებითი მსჯელობა. მტკიცება.

3

პაზრი — „გინა განზრახვანი“. ფანტაზია.

პაზრი — შინაგანიპრობადი ძალის ერთ-ერთი სახე, „პაზრი ესე იგი განზრახვათ არის შინაგანი გრძნობის ის ძალა, რომელი პრთავს გვართა ზედა, გვართა პაზრთა ზედა და პაზრთა ზედა“.

პრთვა — დამატება.

პსჯა — მსჯელობა.

პსჯული — კანონი.

პყო — ქმნა.

პყოფს — იქმნევა.

პირთა საძიებელი*

ბ

ზვესტინე — ევგუსტინე 308. 310.
 ბლბერდი — ბლბერტ დიდი 307. 310.
 312. 313. 314. 315. 323
 ამპონიოს ერპისიისა — ამპონიოს ერპი-
 სი 176. 178. 194. 254. 304. 332.
 ბნტონი — ბნტონ ზაგრატიონი — 140.
 141. 142. 254. 333.
 ბრისტოტელი. 144. 145. 163. 164. 167.
 169. 170. 171. 172. 176. 178. 179.
 181. 182. 183. 184. 185. 186. 188.
 189. 191. 194. 195. 201. 208. 211.
 212. 229. 233. 235. 237. 250. 259.
 260. 262. 269. 271. 282. 286. 299.
 309. 322. 324. 330. 332.
 ბრსენ ივალთოელი 332.

გ

გვიორგი — დავით მესამის შჰა, მეფე სა-
 ქართველთა 332
 გრიგოლი ნოსელი — 260. 313.

დ

დავით მესამე 332.
 დამასკელი იოანე 158. 169. 170. 178.
 188. 189. 193. 194. 202. 212. 260.
 284. 319. 321. 324
 დიმიტრატოს — დემეტრიტე. 304. 309
 დინარხოს — ბერძენი ფილოსოფოსი,
 პერიპატოელი. 304.
 დიონისის 175

ე

ელისაბედ — პეტრე დიდის ასული 200.
 201

ეპიკროს /ეპიკიროს/ ეპიკური 304. 309.
 324
 ეფრემ მცირე 332

ზ

ზაქარია ყაითმაზაშვილი 309

თ

თალი — თალესი 300. 304.
 თეიმურაზ მეფე ქართველთა 201. 333
 თომა აჭვინელი 194. 260
 თემისტოისი 194

ი

იოანე თბილისის ჯვარის საყდრის ღე-
 კანონი 339
 იოანე მანსუქი 204
 იოანე სინელი 332
 იპარიონს 309
 იპარხოს ფილოსოფონი — 324
 იპოკრატოს — ჰიპოკრატე 309
 იპსონ 309
 ირაკლი მეფე ქართველთა 142. 140. 142.
 333
 ირაკლიტოს — ჰერაკლიტე ეფესელი 304.
 309
 ისაია — ისაია წინასწარმეტყველებ 143

კ

კირილე — კირილე ალექსანდრიელი 171
 კლეოპატროს ამვარაკიელი პლატონის

* პირთა საძიებელი შეადგინა ა. გაჩეჩილაძემ.

დიადოგეს „ფედრონის“ პერსონაჟი. 256
კრატია — ორატორი და ფილოსოფოსი, პლატონის ნათესავი 304. 309

8

მანინ სპარსი — რელიგიურ ფილოსოფიური სექტის მანიქეველთა მამამთავარი 304

მანსური იოანე 179. 188. 200
მაქსიმე — მაქსიმე აღმსარებელი 302

9

ნემესიოს ემესელი 254. 308. 309. 319. 321. 325. 332

ო

ორიგენი — ლეტისმეტყველი 304. 319

პ

პარმენიდე 140. 309
პეტრე დიდი — რუსეთის იმპერატორი 201.

პნთალოროს — პითაგორა 309
პლატონ 140. 140. 142. 144. 146. 146. 157. 159. 162. 163. 171. 173. 173. 184. 187. 256. 259. 260. 286. 298. 304. 309. 320. 320. 324

პორფირიოს — პორფირი 141. 142. 144. 150. 150. 156. 324. 328. 332

პროკლე — პროკლე დიადოხოსი 141. 142. 159. 160. 165. 236. 260. 332

პეტრიწი იოანე 141. 142. 159. 162. 179. 206. 207. 302. 305. 310. 327. 329. 331. 332

ს

სენეკა 308

სკოტოს — ღუნს სკოტი. 260

სოკრათი — XIX 142. 165. 171. 175. 175. 179. 186. 331

სოლომონი — 144

ტ

ტიმოთე — გორის მიტროპოლიტი (გაბაშვილი) 140

უ

უმბროსი — ჰომეროსი 286

ხ

ხრიზანთოს 142. 188

ხრიზაორეს 142

ღ

ღალინოს 321. 324

ბეოზრაფიულ ადგილთა საქმიანობა

აზია 199
არემათემი 186

გორი 141. 333.

ევროპა 199.
ეთიოპია 298

ეონია 140. 141.
ეფესოს 143. 199

ებერია 141
იერუსალიმი 199

ნიკია 143

ოპიზა 33
რომი (პრომი) 199

ხაქართველო 33

ტროადა 281. 282

ტფილისი 333. 339

ქართლი 333

ხალკიდონი 143

შ ი ნ ა პ რ ს ი

ანტონ პირველის თხზულება „სპეკალი“, გ უ ლ ნ ა რ ა დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი	3
„სპეკალის“ ენისათვის, ნ. კოტინოვი	124
ანტონ პირველი კათალიკოსი „სპეკალი“. ტექსტი ლექსიკონი	140
პირთა საძიებელი	371
გეოგრაფიულ ადგილთა საძიებელი	372

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის-
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით:

სბ 4537

გამომცემლობის რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი ნ. კვინიკაძე.
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია.
კორექტორი ნ. შაჩაიძე
გამომშვები ი. სახეაძე

გადაეცა წარმოებას 12.03.91; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.8.91;
ქალაქის ზომა 60×84¹/₁₆; ქალაქი № 2; ბეჭდვა შალაი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 21.86;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19.41;

ტირაჟი 2200; შეკვეთა № 594;

ფასი 6 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19